


ვახტანგ გოგუაძე

„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“

(ღმერთო შენითა!)

გამომცემლობა „ლეგია“
თბილისი – 1993

რედაქტორი პროფესორი თემურ ჯაბოდნიშვილი

გარეკანის მხატვარი ოთარ ჯოლია

ძვირფასო მკითხველო!

ამ წიგნსაც ორი კატეგორიის მკითხველი ეყოლება: კეთილმოსურნე და განმქიქებელი. ორივენი პატივისცემას იმსახურებთ. პატივს არა ვცემ კაცს, რომელიც აქებს ან ძაგებს წიგნს, რომელიც არ წაუკითხავს. თუ შენი წიგნის მეშვეობით ადამიანი შენი აზროვნების ველში შემოვა — გეთანხმება თუ გედავება, პატივისცემის ღირსია. ამიტომ ამ წიგნის „წინასიტყვაობის“ ნაცვლად მიმართვა — „ძვირფასო მკითხველო“ — ძალაში რჩება.

ეს წიგნი ჯერ შემადგენლობისაა. თითქმის ოცდაათი წლის ნააზრევ-ნაჯახირევია მასში მოკრებილი. ამ ხნის მანძილზე სხვა წიგნებიც დამიბეჭდავს, მაგრამ ეს უფრო ახლოსაა ჩვენს მღელვარებასთან. ალბათ ისიც საინტერესოა — გუშინდელი პროგნოზები ემთხვევა თუ არა დიაგნოზს — გვიგვრძნია თუ არა, — საით მიდის წუთისოფელი. ამ წიგნში ყველა ჩვენთაგანის სატკივარია გადმოცემული, — რამდენად პატიოსნად, უფალმა განსაჯოს და დროის მეშვეობით ჩვენც გაგვიცხადოს იგი.

წიგნის პირველ კარს გოეთეს „ფაუსტის“ ცნობილი სიტყვები მიუსადაგე და ასე ჰქვია: „ეჰ, თეორია, ჩემო მეგობარო, უფერულია, ხოლო ოქროს ხე სიცოცხლისა მუდამ მწვანეა“.

წიგნის ეს თავი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ფილოლოგების, ესთეტიკოსების, ფილოსოფოსებისათვის. მასში ლიტერატურისა და ესთეტიკის თეორიული საკითხებია გადმოცემული. აქვეა, რამდენადმე შეკვეცილი სახით, ჩემი საკანდიდატო დისერტაცია — „ფორმა და შინაარსი პოეზიაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაგალითზე “. მას თან ერთვის აგრეთვე ვაჟასა და სხვა მწერლების შესახებ შემდგომ პერიოდში დაწერილი სტატიები. იმ ხანებში მეტის-მეტი ჟინი მწვავდა ფილოსოფიური აპარატით მიეწვდომოდი მიუწვდომელს და ამიტომ სტილი წერისა მძიმეა და ბევრ ღრუბელსაც შეიცავს. მთავარი იდეა, აზრი, წინასწარ მინდა მკითხველს გაეუზიარო. იმ ხანებში ყველაფერს ჰეგელის თვალებით ვუყურებდი, უფრო სწორად ვისწრაფოდი ასე; ჰეგელის თვალსაზრისით შევუპირისპირე ერთმანეთს ფორმის ბრწყინვალება აღმოსავლურ-პოეტურისა და შინაარსის ფილოსოფიურობა ევროპულისა. კონკრეტული მიზანი კი ასეთი გახლდათ: როგორ შეიძლება ფილოსოფიის ენაზე გამოითქვას ქართული ეროვნული სულის, ქართული კულტურის სულის განსაზღვრება. საქართველო, მისი ფიქსირებული კულტურა არის უნიკალური მოვლენა აღმოსავლურ-დასავლურის სინთეზისა. ორი კონტინენტის, მსოფლიო რელიგიათა დიდი დანაშრევები ქართული კულტურის მრავალფეროვნების წყაროა. ეს არ ნიშნავს იმას, — ჩვენი კულტურა სხვისაზე მეტი გვეგონოს. ლაპარაკია მის თავისებურებაზე. კერძოდ, როგორ ერწყმის ერთმანეთს ორი სამყაროს სუ-

ლისკვეთება. ეს პრობლემა უკვე პირველხარისხოვანი პრობლემა ხდება მსოფლიოს პოლიტიკური სინამდვილისათვის. ეროვნებათაშორისი, მსოფლიო მასშტაბით უკვე გაჩაღებული ვნებების დაცხრომას შეენაცვლება — უფრო ღრმა, უფრო ფართო მასშტაბის საწუხარი — რელიგიათა და კულტურათა შორის ურთიერთობის პრობლემა. საქართველო ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა, მაგრამ ქართველები არიან მაჰმადიანებიც. ერთი ძმა ქრისტიანია, მეორე — მუსულმანი — რა ჰქნას საქართველომ. ერთი გიგანტი მეზობელი ქრისტიანია, მეორე — მუსულმანი. აი, ამ პატარა საქართველოს, დიდ ქვეყნებზე დიდი პრობლემები აქვს. არსებობს ორი გზა — რელიგიათა შორის დაპირისპირება-გამწვავების გზა. ეს ნიშნავს მსოფლიოს კატასტროფას. მეორეა რელიგიათა შორის ურთიერთშემწყნარებლობის გზა. „საქართველო უნდა გახდეს მსოფლიო რელიგიათა თანაარსებობის, ურთიერთშემწყნარებლობის საერთაშორისო ლაბორატორია“ ედუარდ შევარდნაძე

ახლა თუ ნიჭმა გამოიღვიძა, აზრმა თუ სძლია უაზრობას, საქართველოში, შეიძლება არაჩვეულებრივი აზრიც გაბრწყინდეს. ეს მჯერა იმიტომაც, რომ არ არსებობს უაზრობა და სისულელე, აქ რომ არ თქმულიყოს ამ ერთი წლის განმავლობაში. არ შეიძლება აბსურდის ამ ბორგვას რაღაც ნათელი არ მოჰყვეს!..

მეორე კარი წიგნისა: „პანთეონი“ — ეძღვნება იმ ღირსეულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას, რომელთა მიმართ გამოსათხოვარმა სიტყვებმაც კი უკეთესი უნდა გაგვხადოს ჩვენ.

ამ ბოლო წლების მთელი მღელვარება, თავგზააბნეულობა და თავისუფლებისაკენ გზის ძიება — ხშირად, ხშირად გვაიძულებდა აგვეხედა ზევით შიშით, მონანიებით, ვედრებით — რაც ხდება შემთხვევითია, თუ განგების ნებაა — სასჯელია, ან იქნებ უფალს დავაციწყდით. ამ წუხილმა მეც შემაწუხა და ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძიებანი, რაც ამ წიგნის მესამე თავშია რუსთაველის სიტყვებით გავალამაზე:

„არა ვიქმ ცოდნა რას გვარგებს,
ფილოსოფოსთა ბრძნობისა“...

დადგა ჟამი სასწაულებრივი გადაფასებისა. რისთვის, ვისთვის ვწერდით ტომებს, რა მისცა სულს, გაუნათა თუ დაუბნელა გზა ერს და ქვეყანას. დაიწყო ლტოლვა ღმრთის ნების ამოცნობისაკენ. როგორც წმინდა წერილი გვაუწყებს, აპოკალიფსის ჟამს გამოჩნდებიან მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი, არიან ისეთებიც, ვინც ჯერ თავს აცდუნებენ, თავს დააჯერებენ — უფალი გამოგვეცხადაო და მერე ვალდებულად თვლიან თავს, შენც დაგაჯერონ. ჩემთანაც ხშირად მოდიან. სახელმწიფო საბჭოში ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი და მითხრა: მე ღმერთი გამომეცხადა და თქვენთან გამომგზავნა, თქვენ კი გროზნოში უნდა გამაგზავნოთო. შევატყვე,

რომ აქ ფსიქიკურ მოვლენასთან ნაკლებად გვქონდა საქმე, უფრო ეშმაკობდა, თვალთმაქცობდა და მაინცდამაინც პატიოსნად ვერ ექცეოდა უფლის სახელს. არადა მემუქრებოდა, რომ დამაბეზღებდა უფალთან, მის დაჟალებებს რომ „არ ვასრულებდი“. საშველი რომ არ გამართვა, მე ვეუთხარი: თუ უფალმა თქვენ ჩემთან გამოგგზავნათ — თქვენ რატომ გგონიათ, რომ უფალი მეც არ გამომეცხადა.

— რა გითხრათ მერე? — თვალდაჟუტილი მეკითხება მანდილოსანი.

— რა მითხრა - და აი ამ ჭალბატონს არ დაუჯერო, გროზნოში ღმერთი კი არა, ეშმაკი აგზავნის ადამიანებსო... ქალი მაშინვე გამშორდა და მერე აღარ მოსულა. ხუმრობაც ღმერთმა გვასწავლა, ოღონდ უნდა გავარჩიოთ — რაზე ვიხუმროთ

აპოკალიფსის თემამ ისე როგორც ბევრს, არც მე მომცა მოსვენება. შიშით გული მისკდებოდა, მინდოდა არ შევხებოდი ამ უფაქიზეს საკითხს. მხოლოდ და მხოლოდ უსაზღვრო ვედრებით, პატიებით, ვცდილობდი და ვცდილობ დავეუჯეროთ უფლის გაფრთხილებას. ურთულესი საკითხია, დიდი ნებისყოფაა საჭირო, არ შეგეშინდეს, არ იცრუო, არ ირწმუნო თავისი თავი იმაზე მეტად, რისი უფლებაცა გვაქვს. საკითხი ასე დგას, იქნებ წახდა კაცობრიობა: ღალატი, ვერაგობა მეტად და ნაკლებად თუ ჩაგრავს სიყვარულს, სიკეთეს, თუ უზნეობაშია ჩაფლული კაცობრიობა, კაცობრიობამ უნდა აგოს პასუხი. უვარგისი კაცობრიობის არსებობას არარსებობა სჯობია; და თუ ასეთია უფლის ნება, არ არის რა მასზე წმინდა და კეთილი. მისგან მსჯავრი და სასჯელი სამართლიანია და კეთილი. აპოკალიფსის ოპტიმისტურობა რომ გაიგო, მეტისმეტად უნდა გაიწმინდო სინდისი, გული და სული ღმერთს მიანდო. დღეს ურელიგიო თვალებით ვერაფერს დაინახავ. ჩვენი ცხოვრების წყაროხეა, უფლის ნებასთან მისი შეფარდება იმ მისწრაფებით — მოვინანიოთ, დავთრგუნოთ საკუთარი უღმერთობა არა თუ გამართლებულია, სავალდებულოა. წინასწარმეტყველების არაეითარ ცდუნებას არ ავყოლილვარ. ბიბლია და ცხოვრება ასე ახლოს საუკუნეების მანძილზე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. „ბიბლიაში“ ჩვენ განათლების სამკაულებს კი არა, გადარჩენის გზებს, იმედის ნაპერწკლებს ვეძებთ...

ბოლო თავს ასე შევარქვი: პროგნოზები და დიაგნოზები.

თანამედროვე ადამიანის მეტყველება სავსეა თვითცტირებებით — პროგნოზებისა და წინასწარმეტყველების ცდუნებებით: „მე ვამბობდი და ხომ გამართლდა“, „მე ვთქვი“, „მე ჯერ კიდევ როდის ვთქვი“ და ა. შ. ერთი სიტყვით, პროგნოზის დიაგნოზად ქცევა ალღოს, თანდაყოლილი ჰკუის ნიშანია. ასეთ რაიმეს ზოგჯერ ჰკუით „გამოთვლი“, უფრო კი ღვთისაგან ნაკარნახევს ჰგავს. აი, ეს აყენებს ადამიანებს იმ ცდუნების გზაზე — წინასწანმეტყველების, გამორჩე-

ულობის წყურვილი რომ ჩნდება. წიგნის ამ ბოლო კარს შემთხვევით არ ჰქვია ასეთი სათაური -- ერთგვარად პრეტენზიული სახელი. მაგრამ თუ აქ ზოგიერთი პროგნოზი დიაგნოზად იქცა, არც გამორჩეული ინტუიციის წყალობაა და არც უფლისაგან გამორჩეული ჯილდო. საკითხი ეხება ელემენტარულ მოქალაქეობრივ სინდისს. არ უნდა იკადრო იმის თქმა, რაც არა გწამს, არ უნდა აჰყვე მოდურ-პოლიტიკურ აზროვნებას. არ უნდა გინდოდეს ყოველთვის მოიგო, ვიღაცამ ხომ უნდა წააგოს, საქმემ რომ მოიგოს.

წიგნის ამ თავის მთავარი მოქმედი გმირი ბატონი ედუარდ შევარდნაძეა. ჯერ კიდევ 1974-75 წლებში ახლობლებში დამიჩივლია და დამიპირებია — ნეტავი ასეთი წიგნი დამაწერინა — „ედუარდ შევარდნაძე და ჩვენი საზოგადოება“ — მერედა ვინ გიშლისო. -- თეთრი ცხენი უნდა მყავდეს შეკაზმული და არა მყავს-მეთქი. არაფერი ძნელი მისახვედრი არ იყო მაშინ მისი მოღვაწეობა. ელემენტარულ ანტირეკლამას უწევდა თავის ნაღვაწს. დღესაც მოდური, ინერციით აგორებული ცნობიერებით უყურებენ მის ცეკას მდივნობის დროინდელ მოღვაწეობას საქართველოში — „საზიზღარი კომუნისტური რეჟიმის პერიოდს“. ავიღოთ და შევადაროთ ამ პერიოდის ქართული კინემატოგრაფი. ვისაც არ სურს, იტყვის, რა შუაშია კინოს წარმატება და შევარდნაძე? ამ კითხვას, ალბათ, ძალიან საინტერესო პასუხი გაეცემა, ამ კითხვაზე პასუხს გასცემს ჩვენი კინემატოგრაფის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები. იქნებ ჩვენი თეატრის მაშინდელი საერთაშორისო ტრიუმფი იყო ისეთი თავისთავადი მოვლენა, კავშირი რომ არ ჰქონოდა შევარდნაძის მოღვაწეობასთან? იქნება შემთხვევითი იყო და ასევე უკავშირო ქართული სპორტის ტრიუმფალური შედეგები, ევროპის თასი ფეხბურთში? იქნება თავისთავად მოხდებოდა საქართველოს უდაბნოში სახლების მშენებლობა, „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“, ძველი თბილისის ამაღორძინებელი — შევარდნაძე „ამაოდ“ გაისარჯა, რადგან ყველაფერი ეს მიმდინარეობდა ლენინის დროშის ქვეშ. ეს იყო იმთავითვე დიდი პოლიტიკოსი, — რომლისთვისაც ამოცანა იყო: ლენინური სიტყვა და რეალური საქმე არ უნდა ყოფილიყო ერთი. აი, ჩინებული ქართული თეატრალობით შესრულდა ეს პოლიტიკური ამოცანა. 1978 წლის 14 აპრილის სპექტაკლის რეჟისურა თუ ვინმესთვის ძნელი გასაგებია, რაღა გვინდა პოლიტიკაში. ბატონმა ედუარდმა, დისციპლინარულმა პიროვნებამ, მკაცრმა გამტარებელმა სამართლებრივი პოლიტიკისა, გამოიწვია ინტელიგენცია — ხან ერთი ლოყა მიუშვირა, ხან მეორე. მეც გავაკრიტიკე ერთი-ორჯერ. მაგრამ არც მისთვის, არც სხვისთვის არ იყო საიდუმლოება — ეს იყო ჯარისკაცული პარტნიორობა — სიყვარულზე და კეთილმოსურნეობაზე დაფუძნებული კრიტიკა. კრიტიკა ადრესირებული იყო ბატონი ედუარდის სახელზე, მაგრამ არსებითად კრიტიკის საგანი იყო ის ნაკლო-

ვანებანი, ჩვენს ცხოერებას რომ ახლდა თან. არაფერი ძნელი მისახვედრი არ იყო ეს.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი. 1977 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა თუ მოვლინება. 25 დეკემბერს სვეტიცხოველში შესდგა ღვთაებრივი დღესასწაული — ილია მეორის აღსაყდრება. ღვთივ კურთხეული მართლდმადიდებლური ქართული ეკლესიის თავკაცის გვირგვინი დაედგა ღვთისაგან გამოგზავნილს, წარჩინებულ ადამიანს, უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. მწამს და დამემოწმებიან კეთილნი მოწმენი, რომ უფლის ნების შეწევნით ბატონმა ედუარდმა კეთილი როლი შეასრულა ამ ურთულეს საქმეშიც. ზოგჯერ ამბობენ, თითქოს მაშინდელი მოღვაწეობით, უკვე იცოდა, წლების შემდეგ მის მიერვე დანგრეული იმპერიისაგან გამოხსნილ საქართველოში რომ დაბრუნდებოდა, აეად წამოსაძახები არ დახვედროდა-რა.

ბატონი ედუარდის პორტრეტის შექმნას ჯერ არ ვაპირებთ. მის შესახებ ტომები დაიწერება. იგი მსოფლიო-ისტორიული პიროვნებაა. მაგრამ ჯერ თამაში დამთავრებული არაა. შესძლებს თუ არა იგი უფსკრულის პირას კი არა, უფსკრულში მყოფი საქართველოს ამოყვანას, მის გადარჩენას. თუ მან ეს შესძლო, უნდა იწამოს ყოველმა ათეისტმა, რომ უფალმა ცხადად გაგვიცხადა წყალობის მადლი. მაშინ ის ღმერთის დავალებას ასრულებს. ნურავის მოეჩვენება ეს ავადმყოფური ცრუმესიანიზმის მსგავსებად. ადამიანები ზოგნი ღმერთს ემსახურებიან და ზოგნიც სატანას. მწამს, რომ აღსრულდება ნება ღვთისა, უფალია ყოელის შემქმნელი, მისი ნებაა ყოველი სიკეთე...

უფლის ნებაა „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“. ამ წიგნში თავმოყრილი მასალის ერთად შეკერა. რომ არა იზა ჩხაიძისა და თამრიკო გოგუაძის გარჯა — მასალის სისტემატიზაცია, ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის პირობებში, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ასე იყო მიღებული უწინ: ავტორი მადლობას უცხადებდა ყველას, ვინც წიგნის წიგნად ქცევის პროცედურაში ეხმარებოდა. მე მინდა ასეთ ადამიანებს მადლობა გამოვუცხადო. თუ წიგნში ვინმეს რაიმე მოეწონება, მაშინ მკითხველისგანაც ერგება მადლობა.

ვისურვებდი დრო და წიგნი იღბლიანად შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ეჰ, თეორია, ჩემო მეგობარო, უფერულია,

სოლო ოქროს ხე სიცოცხლისა მუდამ მწვანეა

წიგნი — ინერგია

წიგნის „მაგიური ძალის" ათვისება ამთვისებელზეა დამოკიდებული. ისევე როგორც მეტ-ნაკლები სიღრმით იწერება წიგნი, ასევე მეტ-ნაკლები სიღრმით იკითხება იგი; როგორც არსებობს გენიალური მწერალი, არსებობს გენიალური მკითხველიც. წიგნის კარები ყოველთვის ადვილი მისაგნები არაა.იგი ყოველთვის პირველი გვერდიდან არ იწყება (მხედველობაში გვაქვს ფილოსოფიური, ჰუმანიტარულ-მეცნიერული ლიტერატურა).

შეიძლება კაცმა წიგნის კითხვა თავიდან არც დაიწყოს, არამედ იმ საკითხიდან, რომელიც მას მიიზიდავს სარჩევის მიხედვით. ასე, რომ, წიგნი ზოგჯერ ბოლოდანაც იკითხება. ჩვეულებრივი შეგონება ასეთია: წიგნი უნდა ვიკითხოთ ნელა, დაკვირვებით; ვიდრე არ გავიგებთ წინამდებარე აზრს, ნუ გადავხტებით შემდეგზე. მიშელ მონტენი კი წერს, რომ მე როცა წიგნს ვკითხულობ, არ ვიმტვრევ თავს იმაზე, რასაც ვერ გავიგებ და გავაგრძელებ იმის კითხვას, რაც მესმისო.

ზოგიერთი წიგნი შეიძლება ძალიან ჩქარა იკითხებოდეს. მკითხველმა წიგნის სტრიქონების ტემპი უნდა იგრძნოს და მის სუნთქვას თავისი სუნთქვა შეუხამოს. შესაძლოა ზოგჯერ ხტუნვა-ხტუნვით წაკითხვა უკეთესი იყოს, ვიდრე თვეებით თრევა საკუთარი გონებისა, როცა წინარე გვავიწყდება შემდგომის კითხვისას. არ იქნება ურიგო, საკმაოდ დიდხანს ფიქრი წიგნის სარჩევზე, რა კავშირებია წიგნის სათაურებსა და ქვესათაურებს შორის.

ცხადია, წიგნიდან მით მეტს შევიძენთ, რაც უფრო მომზადებული ინტერესით მივალთ საკითხთან. მაგალითად, გვინდა გავიგოთ იმანუელ კანტის შემოქმედებაში საკითხი — „ხასიათი" ისე, რომ ჩვენ ამ საკითხზე მანამდე საგანგებოდ არ გვიფიქრია. ცოტა რამეს შევძლებთ. სასურველია, ვიდრე ჩვენ მას ჩაეკითხავდეთ, წინააღმდეგ ჩვენი ცნობისმოყვარეობის წყურვილისა, დავჯდეთ და ვიფიქროთ — რა არის „ხასიათი". დიდი წვალების შემდეგ, თუ ჩვენ გონებას გარკვეული ძარღვი გააჩნია და საკუთარ ფეხებზე დგომა შეინც შეუძლია, აღმოჩნდება, რომ ჩვენ ზოგიერთ რამეში შევხვდებით ამ ფილოსოფოსის ნააზრევს და ეს ზოგიერთი რამე საწინდარი გახდება ბევრის ჩახვედრისა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ ვიქნებით პასიური გამგები.

ჩვენს დროში უდიდესი საქმეა იმის გარჩევა, თუ მრავალ წიგნთაშორის რომელს მივცეთ ჩვენს ცნობიერებაში ადგილი. ფუჭი წიგნი ვერ გვინაზღაურებს დროის იმ ნაკვეთს,რომელიც ჩვენ მასზე დავხარჯეთ. მაგრამ შეიძლება ვიპოვოთ ისეთი მეგობარი – მასწავლებელი-წიგნი, რომელიც ცოცხალი ბრძენკაციით გვიხელმძღვანელებს. უდიდესი ბედნიერებაა ასეთი წიგნის პოვნა. თუ ახალგაზ-

რდას ტალანტი გააჩნია,რომელიც გამქვირვალე ინტერესებითაა გაშუქებული, იგი, როგორც მაგნიტი ქვიშაში დაფარულ რკინის ნამცეცებს, თვითვე იპოვის თავისი ინტერესების მოპასუხე წიგნებს,ან იმ კაცს, რომელიც ამ წიგნებს აპოვნინებს.

მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას, რას ვკითხულობთ, არამედ იმასაც - რის შემდეგ რას. წიგნების სიმრავლეში რჩევებზე ორიენტაციის ალღო იგივეა, რაც გემისათვის კომპასი. პირველი საუკუნის ფილოსოფოსი სენეკაც წერდა; ისე, როგორც გაღიზიანებულმა კუჭმა არ იცის, რა საზრდო სჭირდება სხეულს, არც ახალგაზრდის გონებამ არ იცის, რა წიგნი სჭირდება მის სულს.

შერჩევითი კითხვისაკენ მოგვიწოდებდა ემილ ზოლა.

„რა კარგი იქნებოდა, რომ არსებობდეს მხოლოდ ცოტა, მაგრამ კარგი წიგნები“ — წერს შოპენჰაუერი. იგი თავის ფილოსოფოსობას უმადლის თავის მასწავლებელს,რომელმაც უანდერძა მას, რომ არ ეკითხა ფილოსოფოსებიდან პლატონისა და კანტის გარდა არავინ. მისი აზრით, თუ ყველა ფილოსოფოსის თვალით შევხედავთ სამყაროს, საკუთარი აზრი აღარ შეგვრჩებაო. რამდენად სწორი აზრია ეს, სხვა ამბავია, მაგრამ გონებას რომ წიგნთან დამოკიდებულების მგრძნობიარე ნიუანსები გააჩნია — ეს ცხადია.

სტეფან ცვაიგს ორი დიდი აღმოჩენა მიაჩნია ყოველ აღმოჩენათა საფუძვლად. პირველი ესაა ბორბალი, რომელიც სივრცეში მოძრაობის საფუძველია, მეორე — წიგნი, რომელიც სულიერი მოძრაობის ფუძეა.იგი ირონიულადაა განწყობილი იმ თვალსაზრისის მიმართ, რომლის მიხედვით „წიგნის დრო წავიდა, ახლა სიტყვა ეკუთვნის ტექნიკას... რა ვიწრო შეხედულებაა!“

კინოსა და ტელევიზიის გრანდიოზულ დამსახურებას ვინ დაამცირებს, მაგრამ ვისაც სურს ფანტაზიის ელასტიურობის ძალა არ დაჰკარგოს, მან გარკვეული ეკონომია უნდა გასწიოს დამზადებული, თვალის ფაქტად ქცეული წარმოდგენების მიმართ, რადგან ფანტაზია მას გარეთ გამოაქვს და ჰკარგავს შემოქმედებითი, ორიგინალური ენერგიის, წარმოსახვის ძალას.

წიგნი ენერგიაა, რომლის ათვისებას მრავალი იდუმალებანი გააჩნია.

30 აპრილი, 1971 წელი.

ტრაბახი

ტრაბახი საინტერესო მანკიერებაა. ცნობილია უცხოური გამოთქმა: „იტრაბახე, იტრაბახე, რაღაცა მაინც დარჩებაო“. ზოგჯერ მართლაც ასეა, მაგრამ ხანდახან ტრაბახი იმ ღირსებასაც თან გაიყოლებს, რომელიც მართლა გააჩნდა კაცს.

ტრაბახი მრავალნაირია. ყველაზე მარჯვეა თავმდაბლობაში შეფუთვილი ტრაბახი. მაგალითად, შეიძლება გესმენოდეს — ეს კაცი რა ზრდილია, ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებ თავის თავზე, თუმცა მეცნიერებისა არაფერი გაეგება და პროფესორია, მაგრამ ალალი იყოს... აი, ესაა ყველაზე ყოჩაღი ტრაბახი.

ყველაზე გულუბრყვილო მოტრაბახედ მონტენს თავის თავზე მოლაპარაკენი მიაჩნია. იგი გულისხმობს იმათ, რომელთათვისაც ტრაბახი ერთგვარი იუმორისტული დამოკიდებულებაა თავის თავთან.

ტრაბახის მარჯვე ფორმაა აგრეთვე ხელოვნური თავმდაბლობა — თავის მოკატუნება ქების წინაშე, თითქოსდა მაღლა ვდგავართ საკუთარ პიროვნებაზე და ამ დროს კი ვქმნით ხოტბისთვის შესაფერ სიტუაციას. „მხოლოდ სულით მდაბიონი არიან ყოველთვის თავმდაბალნი“ (გოეთე). ასეთი ტრაბახი ფაქტია ფილოსოფიისა და ხელოვნებისათვის, ჩვეულებრივად კი ტრაბახს ვუწოდებთ გამელავნებულ ფორმას, პიროვნების მიერ თავისი თავის მეტად წარმოჩენის სურვილს.

ტრაბახი არის კოხტაობა თავისი თავის წინაშე, თავისი თავის უკმარისობის განცდა, თავისი რეალური არსებობის დაფარვის სურვილი და თავის სუბიექტში გაუმჯობესებული სუბიექტის წარმოდგენისაკენ მისწრაფება.

რა თქმა უნდა, ყველა იმ სარკეს ვირჩევთ, რომელიც უკეთ გვიჩვენებს ჩვენსავე სახეს და არა იმას, ზუსტ გამოსახულებას რომ დაგვანახებს. დიდია ცდუნება თავისი თავის მოხატვისა. მაგრამ ვინა გვყავს ჩვენს თავზე უკეთესი, მას რომ ვატყუებთ? ვისი უნდა შეგვრცხვეს უფრო მეტად, ვიდრე ყველაზე საპატივსაცემო საკუთარი „მე“-სი.

იფერებდე ტიტულს, თანამდებობას, ქებას, რომელსაც არ იმსახურებ — ეს ნიშნავს ტრაბახს. მაგრამ ხანდახან კაცმა თვითონვე უნდა შეანჯღრიოს კრიტიკულად თავის თავთან ჩაძმაკაცებული უკონტროლო დამოკიდებულება; შეეცადოს ისევე იფიქროს და ენაგაშლილ ილაპარაკოს თავის მანკიერებაზე, როგორც ილაპარაკებდა მოწინააღმდეგეზე; თავის თავს შეხედოს ისე, როგორც სხვას. მერედა რა სარგებელს მოგვცემს ეს? — თავის თავისადმი პატივისცემის უფლების სასიამოვნო გრძნობას, საკუთარი პიროვნული სიმაღლის განცდას.

ტრაბახი ადამიანური მოვლენაა, მაგრამ მხოლოდ კერძოულ-ადამიანური თვისებაც როდია. ტრაბახა შეიძლება იყოს სოფელი, ქალაქი, ერი. ისტორია იცნობს ტრაბახა ერებს, რომლებიც თავიანთი კულტურის ზედმეტი ქებით სხვა ერებს, ნაცვლად ჰეშმარიტი კულტურისა, ტრაბახის კულტურაში არწმუნებდნენ.

ტრაბახი სენია, რომელიც ადრე თუ გვიან თავს იჩენს და შერჩენით არავის შერჩენია.

14 მაისი, 1971წ.

შური
ფსიქოლოგიური ეტიუდი

შური ყველგანაა, სადაც ჟღერს პირველი სიტყვა „მე". ცხოვრება სრბოლაა, შეჯიბრებაა, ყველა ისწრაფვის პირველობისკენ. ამ ლტოლვას თან ახლავს შური. ამიტომაცაა, რომ შურს ინტელექტუალური განვითარების პირობადაც მიიჩნევენ. ინტელიგენციას რომ ურთიერთში ისეთი მარტივი ინტერესები გააჩნდეს, როგორც არაკაციელ მეღორეებს (კანტის მაგალითია), მაშინ ვერ განვითარდება ინტელექტი. მართლაცდა, სულ სხვანაირი იქნებოდა სამყაროს მუშაობის წესი და მისგან გამომდინარე ადამიანის ბუნება, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს ამ შავი უნარისაგან.

რა თქმა უნდა, ჩემი ბრალი არ არის, რომ გულში ეშმაკი ჩამომიქროლებს, როცა მეგობარ კოლეგას მეტად აქებენ, ვიდრე მე. მე მას ვულოცავ წარმატებას, ვცდილობ გაღიმებას, მაგრამ სახეზე ღიმილის კუნთები დაბნეული ეძებენ ბუნებრივ ფორმას. ამაში პირველყოველისა ბუნება აგებს პასუხს, მაგრამ მე მბრალდება შურთან ბრძოლაში დამარცხების სისუსტე.

ადამიანი ადვილად ამჩნევს სიკეთის დამაბრკოლებელ ბოროტ ძალას თავის თავს გარეთ,. მაგრამ ძნელია მისი შემჩნევა საკუთარ თავში ჩემი თვალები ხედავენ სხვის თვალებს, მაგრამ ვერ ხედავენ საკუთარ წამწამებს. შურიც ასეა. იგი სხვაში შეუდარებლად უფრო კარგად ჩანს, ვიდრე საკუთარ არსებაში.

საინტერესოა, რაში დასჭირდა ბუნებას ასეთი ირონია ადამიანისადმი? შური იმიტომ ჩამიღვენთა ბუნებამ სულში, რომ გამოეცადო სიკეთისაკენ ლტოლვის უნარი.ეს სამოქალაქო ომი საკუთარ თავში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ბრძოლა გარეშე ძალებთან. ესაა ბრძოლა საკუთარ თავზე ბატონობისათვის. შურთან ასეთი შერკინება არის დიდი სულიერი შემოქმედების წყარო. რა თქმა უნდა, შურიცაა და შურიც. ზოგში იგი ერთი ნამცეცია და მასთან ბრძოლისათვის ერთი ნამცეცი სიკეთეა საკმარისი. მაგრამ ფაუსტმა რომ გაანათოს სიკეთის ძალით, მას დიდი ეშმა, მეფისტოფელი სჭირდება.

რასაკვირველია, ცხოვრების როგორც მსოფლიო მდინარის ტანზე მუდამ ჩნდება უამრავი მორევი, ტბორი, რომლებიც დიდი მდინარების რიტმში არ მონაწილეობენ. რიცხვით განუსაზღვრელია ისეთი ადამიანები, რომლებიც პიროვნულობას ვერ აღწევენ იმიტომ რომ,

როგორც ამბობენ მათში არასოდეს გაუღვიძნია ერთად ჩაძინებულ ანგელოზსა და სატანას.

შურის უცნაურობა იმაშია, რომ მას არ უყვარს შორს წასვლა, იგი ბუდობს ღვიძლ დედმამიშვილებში, ნათესავებში, მეგობარ-კოლეგებს შორის. მე გაცილებით უფრო აღტაცებით ვლაპარაკობ ჩემი თაობის ინგლისელი კოლეგის წარმატებებზე, ვიდრე ჩემი აქაური მეგობარ-კოლეგის, ძმაკაცის მიღწევებზე, რომლებიც ბევრად აღემატება ბრიტანეთის წარმომადგენლის წარმატებებს. როდესაც შემახსენებთ ჩემი აქაური კოლეგის მიღწევებს, მე ვიჭმუხნები და გეთანხმებით, — „ჰო... კი... არა უშავს რა...", — ვიწყებ წინადადებას ჩაღრუბლული სახით და გაბადრული ვამთავრებ: „...მაგრამ ინგლისელის აღმოჩენა სულ სხვაა". — ოჰ, ნეტა ნათლად დამანახა, რა პატარა ვარ მაშინ! ისე ვლაპარაკობ გეგონებათ ჩემი აზროვნების აპარატს მე კი არ ვმართავ, ვიღაც სხვას ჩაუგდია ხელში, თორემ ცხრა მთას იქეთ გადავისროდი ამ სისუსტეს ჩემი არსებისას.

შურის ანტიპატიის ემოციები იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ძალითაა იგი გამოვლენილი. პატარა და გამარჯვებული შური გაცილებით უფრო საძაგელია, ვიდრე დიდი შურის მსხვერპლად გახდომა (მოცარტი და სალიერი).

შური ეთიკის ფილოსოფიური პრობლემაა. ჩვენი მიზანი არაა შურის შესახებ ვინმეს ფილოსოფიური განათლება. ყველამ ვიცით, რაც აქ თქმულია. ისიც ვიცით, რომ ჩვენ შურის ფაქტს სხვებში აღვიქვამთ გარეგნულად, მაგრამ თუ რა ხდება ამ დროს სხვის სულში, ეხვდებით იმის მსგავსი ვითარებით, რომელიც ჩვენს სულში გვიგრძვნია. შური რომ ვიგრძნოთ, ეს სირცხვილი არაა, მაგრამ როდესაც დაგვეუფლება, გვბატონობს — ესაა საშინელება. ეს წერილი ერთ ადამიანურ ტკივილზე ხმამაღალი ფიქრია, ადამიანისადმი სიყვარულისა და პატივისცემის მისწრაფებით გამოწვეული, რომელიც უფრო მეტად გულის საქმეა, ვიდრე გონებისა.

15 ოქტომბერი, 1971 წ.

ფილოსოფოსობა და ფილოსოფიამცოდნეობა

გრამდიოზული სიტყვაა ფილოსოფოსი, ბრძენს ნიშნავს, მაგრამ ბრძენთა აზრების მცოდნეს ჯერ კიდევ ბრძენს ვერ ეუწოდებთ. ფილოსოფიამცოდნეობა სხვათა აზრებით აზროვნებას გულისხმობს, ფილოსოფოსობა კი დამოუკიდებელ აზროვნებას.

ფილოსოფიამცოდნეობა პროფესიული მეცნიერული სფეროა, უაღრესად რთული, მაგრამ ფილოსოფიის დოქტორი რომ გახდე, ამისათვის განსაკუთრებული ნიჭიერება არ არის საჭირო. აქ მთავა-

რია შრომისმოყვარეობა. ფილოსოფოსობას კი მეტი სჭირდება — იშვიათი ბუნებისეული ნიჭი.

ცნობილია, რომ ყოველი დიდი მოაზროვნე დავალებულია ფილოსოფიისაგან. მაგრამ საკითხავია რანაირად იყო შეძენილი ეს ფილოსოფია. გავხსნათ ფრჩხილები: ბეთჰოვენი ტრადიციული სასწავლო პროგრამებით ფილოსოფიაში ნიშანს ვერ მიიღებდა, მაგრამ მის მუსიკაში მოისმის გენიალურად ნაგრძნობი პლატონისა და კანტის მეტაფიზიკა. დიდებული აზრია: მე მინდა თქვენ გასწავლოთ არა ფილოსოფია, არამედ ფილოსოფოსობა" (კანტი). ეს ნიშნავს ადამიანში სულიერი თავისუფლების, აქტიური გონების აღზრდას. პიროვნების თეორიული აზროვნება უნდა აღმოცენდეს და გაიფურჩქნოს მისივე სულიერ სამყაროში. გავიხსენოთ, როგორ ამოახსნევინა სოკრატმა უცოდინარ მონა ბიჭს გეომეტრიული ამოცანა.

დასამალი არაა: ჩვენ ვნერგავთ ერუდიციის კულტს. აუდიტორიაში პროფესორმა რომ ათი შეკითხვა დასვას და ყველაზე ერთმა სტუდენტმა უპასუხოს, ამ სტუდენტს უთუოდ ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ეს მაშინ, როცა შეიძლება ეს გვირგვინი მოგვიანებით ელოდება არა მას, არამედ კუთხეში მჯდარ ჰაბუკს, რომელსაც განსწავლის პროცესში კვლევითი ინტერესი ამოძრავებს და ასე იღონიერებს გონებას. ხოლო ერუდიტი ვუნდერკინდი, ან ვუნდერსტუდენტი უმეტესად იჭყლიტება ნაადრევად დახუნძლული ცოდნით. ფილოსოფიის შემსწავლელს მეთოდი უკვე გამზადებული ხვდება. შემოქმედი ფილოსოფოსი კი თვითონვე ქმნის საკუთარ მეთოდს, რადგან მომავალი ფილოსოფოსისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითმასწავლებლობის უნარი ბუნებისაგან ბოძებულ ტალანტშიეე ძევს. მას სხვათა შეგონებანი არ დასჭირდება, რადგან ტალანტი თვითონვე პოულობს გზას. ამოცანაა ჯანსაღი, ჩვეულებრივი მონაცემების გონების გახსნა, რომ მას თავისი თავი შევაცნობინოთ. საშუალო მონაცემების მქონე გონებამ ამ შემთხვევაში, ფილოსოფოსების აზრით, საშუალო კი არა, დიდ შედეგებსაც შეიძლება მიაღწიოს მეცნიერებაში.

ახლა ჩვენ, შესაძლოა, ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, როგორც მკურნალი ექიმი, რომელსაც რეცეპტს სთხოვენ და რომელმაც მოხიბლა თავისი პაციენტები დავრდომილთა სასწაულებრივი ქრისტესებური განკურნების ამბებით. ასეთი რეცეპტის გამოწერას არ ვაპირებთ, რადგან იგი ჩვენს შესაძლებლობას აღემატება და, გარდა ამისა, საგაზეთო წერილში კაცი კაცთაგანი ამას ვერც შეძლებს. რამდენიმე მინიშნება მხოლოდ და ისიც თვალსაჩინო ფსიქოლოგიური გზით:

ბრძენის ბრძნულ საუბარს რომ ვუსმინოთ, შეიძლება კარგად ვერც მოვუყვეთ შემდეგ შინაარსი მისი. ნაამბობისა, მაგრამ შევამჩნევთ როგორ გვიადვილდება ცნობიერებაში მანამდე მოციალე ზო-

გიერთი წარმოდგენის „ხელში ჩაგდება“, რომელიც სულ გაგვირბოდა და ჩვენც მივსდევდით მას აზრის კლანჭებით, რათა ცნებაში გადაგვედნო, ბურუსისაგან გაგვეწმინდა. როდესაც მარცვალა-მარცელით, წყვეტილი სუნთქვით ვცდილობ, ვწვალობ აზრი გამოვთქვა და ვერ გამბობ, ამ შემთხვევაში ბრძენს შეუძლია ორიოდე სიტყვით ისე უბრალოდ ჩამომიტანოს ბაგეებამდე ჩემი სათქმელი, რომ სულს მოეთქვამ:

აი, აი, ეს მინდოდა მეთქვა და ვერ მეთქვაო.

ფილოსოფიურობის გამომუშავებისათვის ტვინზე ბევრი აზრების დაყრა კი არაა საჭირო, არამედ იმ აზრებისა, რომლებიც ეგუება ჩვენს სულს. ფილოსოფიური გზა გულისხმობს გულის ფიქრების თეორეტიზაციას. ჩავიხედოთ ჩვენს ფიქრებში, გადავარჩიოთ ისეთი, რომელიც ჩვენს კერძო, ყოფით ინტერესებს სცილდება.

ლამაზი აზროვნების გამომუშავება ფილოსოფიაში არ ნიშნავს ბრჭყვიალა სიტყვების რახარუხს. ეს ნიშნავს, რომ აზრებს აქვთ მოსჩანს კაცი ნათელი სულით, სიკეთის იდეისადმი სიყვარულით გამსჭვალული. ნააზრევი, აზრი უნდა დაემსგავსოს კაცს და კაცი აზრს. იგულისხმება, როცა აზრი ნათელ კაცს, ძლიერ გონებას პოულობს, მაშინაა იგი გულზე მომხვედრი თორემ დაბნეულ კაცს თუ აზრი დაემსგავსა, ვაი იმ გამტანჯავ ფილოსოფოსობას.

17 დეკემბერი, 1971 წ.

რატომ არის ორიგინალობა ბ ა მ ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ე ლ ი

ორიგინალური ნიშნავს თავისთავადს, ახალ, შეუჩვეველ,ცოცხალ აზრს, საქმეს, რაც უწინარეს, შინაგანი მრწამსის გამოხატულებაა. იგი გულისხმობს ტრადიციული აზრის ან ქცევისაგან ერთგვარ განდგომასაც და განპირობებულია ჰეშმარიტი, ფასეული აზრის შინაგანი მოთხოვნით. ტრადიციული ცნობიერებისათვის ეს აზრი, რასაკვირველია, გამღიზიანებელია.

როდესაც თქვენ საუბარს იწყებთ, წარმოდგენაში მე წინ გისწრებთ და ვამთავრებ თქვენს სათქმელს. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ ვგრძნობ, გუმანით ვხედები საით უნდა წავიდეს აზრი. მაგრამ თუ თქვენ ისეთი მოულოდნელი მიმართულებით გადაუხვიეთ, საითაც მე არასოდეს გამიხედავს, ეს მაღიზიანებს. იგულისხმება, თქვენ თვითდაჯერებული ხართ, რაც იმას ნიშნავს,რომ არ გჯერათ ჩვენი, იწუნებთ ჩვენი აზროვნების წესს.

ისტორია უამრავ პარადოქსს იცნობს, როცა ორიგინალურ,გენიალურ ქმნილებებს გესლიანი ღიმილით ხვდებოდნენ. „რას იზამ! სხვის აზრებზე როდი ვწერ, არამედ ჩემი აზრების შესახებ. მე კი საგნებს

ვუცქერი არა ისე, როგორც სხვები; დიდი ხანია, რაც ამას მსაყვედურობენ" (რუსო). ორიგინალობის სავალდებულო ზომა არაა გენიალობა. იგი ფასეულია ყოველთვის,როცა მას წრფელი, შინაგანი მოთხოვნილება წარმოშობს. ორიგინალობა ნიჭის გამხელაცაა. მართალია პუშკინი:

„ბედნიერია, სხვების თვალსაგან
ვინაც დამალა მაღალი ზრახვა".

წინ ისე როგორ წახვალ, თუ ზურგი არ შეაქციე იმ მიჯნას, საიდანაც იწყება თქვენი წინსვლა. ორიგინალობა არაა მასობრივი რამ, იგი ერთეულების წილხვდომილია. ორიგინალური აზრი, ცხადია, უპირისპირდება არაორიგინალურს. ესაა პროგრესის ცნობილი დიალექტიკა. ამიტომ ორიგინალური აზრის ავტორს დიდი სიმამაცე მართებს, გაუძლოს თუნდაც ასეთ ყიჟინას: „ამდენი ხალხი გეუბნება და კიდევ არა გჯერა?!" ორიგინალურის ჰეშმარიტება ყოველთვის კენჭისყრით როდი შეფასდება. ორიგინალური აზრი, როგორც დაპირისპირება ტრადიციული აზრისადმი, უნდა გავიგოთ დიალექტიკური მნიშვნელობით. დაპირისპირებულ ჯგუფში შეიძლება იყვნენ ისეთებიც, რომელთაც, ორიგინალური აზრის ავტორს ხელი რომ მოტყუეს, ღამის თავისი ხელი შეაძლიონ სანაცვლოდ, მაგრამ შისი აზრის სიახლის, ორიგინალობის ან გაგება არ ძალუძთ, ან ატანა. ბრძენთაგან თქმულა: ორიგინალურს არ ველოდებითო.

აზრის ორიგინალობის ერთ-ერთ ნიშანს ფრაზა წარმოადგენს. იგი ზოგჯერ მთელ თხზულებას აიწონის. ფრაზა ნიჭის საქმეა და კინაღამ იგივეა ფილოსოფიასა და პუბლიცისტიკაში, რაც ფორმულები მათემატიკაში. ალმასივით ფრაზა ღონე და სილამაზეა გონებისა. ფრაზა დიდი ამოსუნთქვაა, შეებაა,რადგან იგი ნიშნავს აზრის შეკუმშულ ენერგიას, აზრისა და სიტყვის მარჯვე კავშირის ნიჭს, ზოგჯერ რომ სიტყვას გაღუნავს აზრის გასამართავად, ზოგჯერ რომ გაცვეთილ სიტყვას ფერს შესძენს და ხშირად სინტაქსის კანონებს ღიმილით დაუკრავს თავს. ფრაზა ორიგინალური აზრის სხეულია და ვიდრე აზრი სიტყვებს დაიმორჩილებდეს, სიტყვები ძლიერ ურჩობენ. ესაა „ენა ენაში" (პოლ ვალერი).

ორიგინალურ სტრიქონებს დიდი ნდობა სჭირდება. უცნობი ავტორისაგან ძნელი დასაჯერებელია ორიგინალობა. ერთ-ერთ მის მტრად ითვლება რეცენზუტული ან რედაქტორული მიმართება. როდესაც მე სარედაქციოდ მაძლევენ იმ კაცის ორიგინალურ ნაღვაწს, რომლისთვისაც ჯერ საზოგადოებას ორიგინალობის უფლება არ მიუნიჭებია, ვცდილობ არატრადიციული შეფერილობის ყოველი აზრი ქარს გავატანო. ასეთ შემთხვევაში ჩემმა მახვილმა შეიძლება ის ფრაზა შემუსროს, რომელიც ავტორს ყველაზე ფასეულად მიაჩნდა. როდესაც რედაქტორულად ეუდგებით ნააზრევს, უმეტესწილად ჩვენ ჰიღრმისეულ შრეებს არ ვწვდებით. ამასთანავე, კითხვის პროცესში

არ გვშორდება საკონტროლო აზრები და ამდენად ნააზრევს კი არ ვკითხულობთ მხოლოდ, არამედ სხვის აზრს ჩემს აზრებში. ამიტომ ზოგჯერ განათლებული რედაქტორი რომ აცხადებს: მე ვერ გავიგეო, შეიძლება მოსწაელემ გაიგოს. ამას ჩინებულად აგვიხსნის ერთი გამოთქმა, თუ მას რელიგიურ მხარეს ჩამოვაცილებთ. ქრისტე ამბობს: პატარა ბავშვს უფრო ესმის ჩემი, ვიდრე ბრძენ წარმართსო. რასაკვირველია, არიან იშვიათი ალღოთი დაჯილდოებული რედაქტორები, რომლებიც ტრადიციული აზრების კვალობაზე როდი გააწყობენ კაცის ნააზრევს.

ორიგინალობა მხოლოდ წმიდა აზროვნების სფეროს არ ეკუთვნის. ორიგინალობად ითვლება ხოლმე მომეტებული საზოგადოებრივი ენთუზიაზმიც. ესეც გამღიზიანებელია. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ტ.შიბუტანი წერს: „მრავალი სტუდენტი, განსაკუთრებით დიდ სასწავლო ცენტრებში, გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ აქ სწავლების ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე მოსამზადებელ სკოლებში. მაგრამ მათ უნდა ახსოვდეთ, რომ პროფესორების საქციელი უნდა განხილული იქნეს იმ ზეგავლენის თვალსაზრისით, რასაც ისინი აწყდებიან კოლეგების მხრივ. ზოგ შემთხვევაში პროფესორი, რომელიც ძალიან ბევრ დროს და ძალას კარგავს სტუდენტებთან მუშაობაზე, აღშფოთებას იწვევს და მას ექცევიან ისევე, როგორც „სიჩქარის საოცრებას" საწარმოში" („სიჩქარის საოცრება"-ს ამხანაგები გაბოროტებული დაცინვით ეძახიან იმ მუშებს, რომლებიც დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ. ეს თურმე მთელი ჯგუფის აღშფოთებას იწვევს).

როგორც ორიგინალომანიაა ცუდი, ასევე ცუდია გარშემო მყოფთათვის მყუდროების დარღვევის შიშით თავის თავში ორიგინალური აზრების ჩაკვლა. რაც შეიძლება მეტი ნდობა უნდა გაეუწიოთ ახალგაზრდობას, რომ მათი ინტერესები გაიფურჩქნოს ორიგინალურის, ძიებაც გზით, რომ მარად მოწაფეებად არ დარჩნენ მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

14 აპრილი, 1972 წელი.

კრიტიკა და ესთეტიკა

1. კრიტიკა არის გაზომვა, შეფასება იმ იდუმალი მანძილისა, რომელიც იდეალსა და შექმნილ ნაწარმოებს შორის ძევს. „კრიტიკა გამოიყენება ნებისმიერ სფეროში და ამიტომ მას აქვს მრავალი სახეობანი" (სენტ-ბევი). კრიტიკა არის მოცემულის შეფარდება შესაფარდებელ იდეალთან.

2. ასეთი შეფარდების ცნება პირობითია. ასეთ ფარდობითობას არ გააჩნია იმგვარი სიზუსტე, როგორც, ვთქვათ, მათემატიკურ კრი-

ტიკას — ხუთი ნაკლებია ექვსზე და მეტია ოთხზე. ლექსი ვარგა ან არ ვარგა უნდა შევაფასოთ იდეალს. მაგრამ იდეალი არ არის ისეთი რამ, რაზედაც შეიძლებოდა თითით მიგვეთითებინა, როგორც გრძნობად სასრულო ფაქტზე. მაგრამ მისი ფილოსოფიური არსებობა რომ ფაქტია, ამის უარყოფაც არ შეგვიძლია. მაშასადამე, ვერ ვიტყვით, რომ ესა თუ ის ლექსი კარგია იმიტომ, რომ უტოლდება ან აღემატება „მერანს“, ან ცუდია იმიტომ,რომ ჩამორჩება „მერანს“.

3. ყოველი ახალი მხატვრული მოვლენა განუმეორებლობას, თვითმყოფადობას, ინდივიდუალურობას გულისხმობს და მისი განზომილებისათვის არსებული ქმნილებანი შეფასებისთვის მხოლოდ დამხმარე, მეორე რიგის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომაც ამგვარი, მეორე რიგის საშუალების ჯარეშე კრიტიკას არსებობა არ შეუძლია. მაშასადამე, ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს ვერ გავზომავთ სხვა კონკრეტულად არსებული ნაწარმოებებით. კონკრეტულად არსებული უნდა გავზომოთ არაკონკრეტულით, ზოგადობის ცნებით, ესთეტიკურის კრიტერიუმით. თუმცა ჩვენ შეიძლება სრულებით არ ვეფიქრობდეთ ზოგადობის ცნებაზე, ესთეტიკურ კრიტერიუმებზე, როგორც ასეთზე, როცა რომელიმე მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას ვაფასებთ.

4. კრიტიკა არის ერთეულის შემეცნება, ესთეტიკა — ზოგადისა. კრიტიკა არის ამა თუ იმ ნაწარმოების კრიტიკა, ესთეტიკა კი სწავლობს მხატვრულ ქმნილებებს საზოგადოდ.

კრიტიკოსი მხატვრული ნაწარმოების სულიერ ღირებულებას,თუ შეიძლება ითქვას, ზომავს, წონის, მაგრამ ეს ოპერაცია შეფასებისა აქ გაცილებით უფრო სუბიექტს მინდობილი საქმიანობაა, ვიდრე ესთეტიკაში. ე.ი. კრიტიკოსი, შეიძლება ითქვას, თვითონაა კრიტიკის კრიტერიუმი. ყოველ შემთხვევაში იგი მზა თეორიული, მის გარეთ უკვე არსებული ფორმულებით ვერ ისარგებლებს.

კრიტიკოსის შემეცნების აპარატი რაღაც ცალკე განყოფილებასავით ჩადგმული კი არაა მის ცნობიერებაში, არამედ მოიცავს მთელ მის პიროვნებას. ე.ი. კრიტიკოსი მხატვრულ ფაქტს იმეცნებს არა მხოლოდ გონების, არამედ გულის საშუალებითაც. კრიტიკოსი ფაქტის გემოვნებითი შეფასებისას ხელმძღვანელობს გრძნობით. გრძნობითი მომენტი აქ ისე რთულად ერწყმის ცნობით მომენტს,რომ მისი გაგლეჯა კანტმაც ვერ მოახერხა.

5. ფილოსოფოსის ერთადერთი იარაღი არის გონება, შემეცნება. მართალია, შემეცნება აქაც არ დაიყვანება მშრალ განსჯაზე. მაგრამ კრიტიკოსი გაცილებით მეტად უშუალო მიმართებაშია, ფაქტთან, ვიდრე ესთეტიკოსი. ზოგადობა, როგორც ითქვა, გონების სტიქიაა. საქმე გვაქვს პრინციპულ განსხვავებასთან: ერთ შემთხვევაში — როცა გვაინტერესებს საკუთრივ „მერანი“ და მეორე შემთხვევაში — როცა გვაინტერესებს, რა არის ის საერთო მუხტი, რომელიც „მე-

იანს", მიქელანჯელოს „დაეითს", ბეთჰოვენის „მთვარის სონატას"... ერთნაირ არეში მოაქცევს. ე.ი. ესთეტიკას აინტერესებს ის ზოგადსაყოველთაო მუხტი, რომელიც ხელოვნების სხვადასხვანაირ მოვლენებს ერთი სახელის — ხელოვნების — ქვეშ აერთიანებს.

6. კრიტიკოსი ხვდება ფაქტს არა მხოლოდ ცნობის, არამედ გრძნობის გზით. ასეთი გრძნობისეული, გემოვნებისეული სინჯვა ფაქტისა განსხვავდება წმინდა შემეცნებითი პროცესისაგან. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ კრიტიკოსი პოტენციური ხელოვანიც უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ სტეფან ცვაიგს სენტ-ბევის, როგორც კრიტიკოსის, დიდ ღირსებად მიაჩნია მისი მგრძნობელობა.

კლასიკური ნიშნით მეცნიერების ერთადერთი და საკმარისი აპარატი შემეცნებაა, გონებაა, მაგრამ კრიტიკაში მარტო გონების, შემეცნების უნარი კი არა, შეგრძნებითი უნარიც მონაწილეობს და თანაც დიდი უფლებით.

ჰეგელი „ესთეტიკაში" წერს, მუსიკის არსის გასაგებად საჭიროა შევეხო მუსიკის კერძო საკითხებს — „...ტექნიკურ განსაზღვრებებს: ტონების თანაფარდობას, ინსტრუმენტების განსაზღვრებებს, კილოს, აკორდებს და ა.შ. მაგრამ ამ სფეროში მე ცოტა რამ გამეგება და ამიტომ წინასწარ ბოდიში უნდა მოვიხადო, თუ შემოვიფარგლები უფრო ზოგადი თვალსაზრისების განზოგადებით და კერძო შენიშვნებით".

რასაკვირველია, ჰეგელის ბოდიში სხვათა უბოდიშობას ბევრად აღემატება ხშირად, მაგრამ იგი მუსიკისმცოდნე მართლაც არ იყო, თუმცა მუსიკის შესახებ, ალბათ, ძნელად თუ რომელიმე გამოკვლევა შეედაროს მის „ესთეტიკაში" მოცემულ მუსიკის ფილოსოფიას. ანდა არც „დოქტორ ფაუსტის" ავტორი — თომას მანია მუსიკის პრაქტიკოსი, მაგრამ მან შექმნა მონუმენტური ფილოსოფიური რომანი მუსიკოსზე, ან შეიძლება ვთქვათ მუსიკალურის შესახებ. მაგრამ აქაც მუსიკის უზოგადესი სტიქიაა მოცემული, როგორც გერმანული სულის ყველაზე ზუსტი ადექვატი და რადგან თომას მანს უნდა შეექმნა რომანი „ყოველივე გერმანულის შესახებ". მან მუსიკა აიღო თემად, სიმბოლურ თემად.

7. როდესაც ესთეტიკასა და კრიტიკას ერთმანეთს ვადარებთ, აქ მიზანი არის მათი განსხვავების და შემდეგ ერთიანობის დანახვა. თვალსაჩინოებისათვის ესთეტიკასა და კრიტიკას შორის შედარების ნაცვლად ხშირად მივმართავთ შედარებას ესთეტიკოსსა და კრიტიკოსს შორის. რასაკვირველია, ასეთნაირად არ დადგება საკითხი ზუსტი მეცნიერების სფეროში, სადაც თვით მათემატიკოსი კი არ არის მეცნიერულად საინტერესო. იქ მთავარია თვით მათემატიკა. აქ კი სუბიექტის მეცნიერებებთან გვაქვს საქმე. და ნახევარი მეცნიერული აპარატისა თვით სუბიექტის განკარგულებაშია. მათემატიკასა და ფიზიკაში, სხვა მეცნიერებებში მეცნიერული აპარატი ობიექტს

ემორჩილება და პიროვნებისაგან მოითხოვს მხოლოდ მისი გონების მობილიზებას, მაგრამ ესთეტიკაში, და კიდევ უფრო მეტად კრიტიკაში, მნიშვნელოვანია თვით მკვლევრის პიროვნებაც.

8. კრიტიკოსი აწმყოს შემფასებელია, მაგრამ სწორედ აქაა დიდი სიფრთხილე საჭირო, რადგან ის, რაც ჩანს ზოგჯერ უეჭველად, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ ჩანს ასე და იმას იქით კი სხვა ამბავია. მთელი ლიტერატურის ისტორია სავსეა ფაქტებით, როცა დაფნის გვირგვინოსანი მწერლები თავიანთ სიცოცხლეს თან წაჰყვებოდნენ ხოლმე. გოეთე იგონებს კარლეილის აზრს ერთი იტალიელი პოეტის შესახებ, ეს პოეტი ქალაქში რომ გამოვიდოდა, მთელი ქალაქი ეგებებოდა მუხლმოდრეკილი, მაშინ, როცა დანტეს კარდაკარ უხდებოდა წანწალი ლუკმა პურისათვის. ამიტომ კრიტიკოს-ლიტერატორის მოწოდება უნდა იყოს, ჩადგეს მართალსა და მოჩვენებითს შორის და იგი განუმარტოს ხალხს. რა თქმა უნდა, ისიც ფაქტია, რომ, სადაც ჩქეფს დიდი ლიტერატურული ცხოვრება, იქ დიდი კრიტიკოსები თუ არა, დიდი კრიტიკოსი მაინც გამოჩნდება ხოლმე. ვინ იცის, რამდენად შეუწყო ხელი რუსულ ლიტერატურაში ავ-კარგიანობის დროულ გარკვევას დიდმა ბელინსკიმ, თავი რომ გავანებოთ თვით მისი დიდი შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობას რუსული ლიტერატურისათვის.

კრიტიკოსი სჯის მის თანამედროვე მწერლებს, რომლებსაც იგი უმეტესად პირადად იცნობს, ან იცნობს საზოგადოებრივი აზრის საშუალებით, მათი ყველაზე უმნიშვნელო ყოფითი თვისებებითაც, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლიათ მოახდინონ კრიტიკოსის შეფასებებზე. მაგალითად, იპოლიტ ტენი თავის გამოკვლევას დიკენსის შესახებ ასე იწყებს: „სამწუხაროდ დიკენსი ჯერ ცოცხალია". რასაკვირველია, დიკენსის სიცოცხლე არ სწყინდა ტენს. ეს იყო ის პირობითობა გამოთქმისა, რომელიც გულისხმობდა სწორედ პიროვნების ავტორიტეტის ხელისშემშლელ გავლენას შეფასებაზე.

კრიტიკოსის პიროვნება ცხადად მოჩანს მის სტრიქონებში: ამიტომაც აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზნეობრივი ფაქტორი, იმის უნარი, რომ დაძლიოს ცოცხალ ურთიერთობათა წარმავლობის ორომტრიალის ცდუნებები, რაც ხელს გვიშლის ცოცხალი მწერლის შემოქმედების ობიექტურად შეფასებაში. კრიტიკოსი ძალზე „ძნელადმისადგომი" პიროვნება უნდა იყოს და აქებდეს საქებარს იწუნებდეს დასაწუნებელს, სხვა შემთხვევაში, ყველას მაქებარს, არ მის მიერ შექებულნი ყაბულდებიან.

ერთი სიტყვით, კრიტიკოსი საზოგადოებრივი ფიგურაა, აწმყო ცხოვრებით ცხოვრობს და ეკისრება ფრიად რთული მისია, იყო ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის, როგორც პირუთნელი მოქალაქე,მაღალი გემოვნებით მომადლებული და ინტელექტით დატვირთული.

რასაკვირველია, არც ესთეტიკოსი უნდა იყოს ცხოვრებას ზურგშექცეული. მაგრამ, ასე თუ ისე, ის მაინც ცხოვრებასთან შედარებით გაშუალებულ კავშირშია.

9. კრიტიკასა და ესთეტიკას, კრიტიკოსსა და ესთეტიკოსს შორის განსხვავებაზე რომ ვლაპარაკობთ, ეს სრულებით არ თიშავს ამ ორ სფეროს ერთმანეთისაგან და მათ მჭიდრო კავშირის შესუსტებაზე არ მიუთითებს.

კრიტიკის ობიექტი არის ამა თუ იმ ხალხის, ერის ლიტერატურა დროის გარკვეულ მონაკვეთში.მაგალითად, ქართული კრიტიკის საგანია ქართული ლიტერატურა, ესთეტიკის საგანი კი არის მშვენიერება, როგორც ერთნაირი კუთვნილება ყველა ხალხისა და ყველა დროის ცნობიერებისათვის. ამდენად,თუ კრიტიკა ამა თუ იმ ხალხის ხელოვნების ფარგლებში თავსდება, ესთეტიკას მსოფლიო საგანთან აქვს საქმე. ე.ი. ქართველი ესთეტიკოსი იკვლევს იმას, რასაც იკვლევდნენ პითაგორი, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, კანტი, გოეთე, შილერი, ჰეგელი.

როგორც მშვენიერება არ არის სინამდვილის ერთი, ცალკე მყოფი ნაწილი, არც მისი შემსწავლელი მეცნიერებაა მარტოდ და განზე მდგომი მეცნიერება. როგორც მშვენიერებაა ჩაწნული სინამდვილის სხვა თვისებებში, ესთეტიკაც სხვა დისციპლინებთანაა გადაჯაჭვული. ესაა, პირველ ყოვლისა, მისი ღვიძლი ნათესავი ფილოსოფიური და შემდეგ კი მეზობელი დისციპლინები. ესთეტიკის აქტიური კავშირი ამა თუ იმ დისციპლინასთან დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი დისციპლინა წარმოადგენდა ეპოქის ფილოსოფიური აზრის ცენტრს. პითაგორის ესთეტიკა მათემატიკასთან და, საერთოდ, მის კოსმოგონიურ მოძღვრებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. როგორც თვით პითაგორი არ არის მხოლოდ ესთეტიკოსი, ან მხოლოდ ფილოსოფოსი, არც მისი ესთეტიკური მოძღვრება შეიძლება განვიხილოთ მისი მთლიანი შემოქმედებისაგან მოწყვეტით. პლატონის ფილოსოფიაში მშვენიერების მოძღვრებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა განცალკევებულად, ეს მოძღვრება ორგანული ნაწილია მისი მეტაფიზიკისა. ასევე ითქმის ესთეტიკის ისტორიის ყოველ შემოქმედზე. კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიაში მათი ესთეტიკური მოძღვრებანი, მათი ფილოსოფიური სამყაროს გუმბათს წარმოადგენენ. ჰეგელის „ესთეტიკის“ გრანდიოზული მნიშვნელობა, ცხადია, შეიცვლებოდა, ეს თეორია მისივე „ლოგიკის“, „სულის ფენომენოლოგიის“, „რელიგიის ფილოსოფიის“, „სამართლის ფილოსოფიის“, „ისტორიის ფილოსოფიის“, „ფილოსოფიის ისტორიის“ საყრდენებს რომ არ ემყარებოდეს.

ესთეტიკა რომ ფილოსოფიური დისციპლინაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში იგულისხმება ყოველი ფილოსოფიური დისციპლინის

თვისებებიც, ე.ი. ესთეტიკოსი ფილოსოფოსია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი პრაქტიკულად ლოგიკოსიცაა, ეთიკოსიცაა და ა.შ.

რაც შეეხება ესთეტიკისა და კრიტიკის კავშირს, ასეთი კავშირი აუცილებლად არსებობს. ესთეტიკოსში ყოველთვისაა კრიტიკოსი, მაგრამ ამგვარ კრიტიკოსობას ზოგჯერ ლოგიკურობასაც ვუწოდებთ. კრიტიკოსობის მომენტი ესთეტიკოსში, პირველ ყოვლისა, მაინც კონკრეტული, მხატვრული მასალისადმი მიმართებებს, თეორიისადმი პრაქტიკის მისადაგების უნარს გულისხმობს. კრიტიკისა და ესთეტიკის კავშირი რომ ჰეშმარიტი სრულყოფილებით გამოელინდეს, ამისათვის ტალანტია საჭირო.

კრიტიკასა და ესთეტიკას შორის ურთიერთშემავსებლობა ხშირად ფასადურია და, ნაცვლად ორგანული კავშირისა, საქმე გვაქვს მექანიკურ კავშირთან. მაგალითად, როდესაც ესთეტიკის ცოდნით, საკუთარი ერუდიციით იხიბლება კრიტიკოსი, მისთვის მთავარია საკუთარი აზრები, განურჩევლად იმისა, რამდენად მოერგება იგი მისი კვლევის ობიექტს. ამ შემთხვევაში, ხშირად, ერუდიტ-დილეტანტი თავისი წინასწარი ქარგით სჯის. მას რომ გამოვაცალოთ მისი საკვლევი ობიექტი, უდღეური ნაწარმოებები და მის ნაცვლად რამენაირად შექსპირის სონეტები შევაპაროთ, კრიტიკოსის მონოლოგიურ აზროვნებაში არსებითი ცვლილება არ მოხდება. იგულისხმება უნიადაგო, უკონტაქტო მიმართება კვლევის ობიექტის წინასწარეე საკუთარ აზრებში გახვევა.

როდესაც ესთეტიკოსზე ვლაპარაკობთ, ერთია ესთეტიკოსი, რომელიც-ჰეშმარიტი ესთეტიკური ნააზრევის ავტორია, შემოქმედია, მეორეა ის, ვინც „მსახურობს" ესთეტიკაში. ესთეტიკოსობა ძალზე ძნელი, იშვიათი საქმეა, ესთეტიკის ისტორიის ცოდნა კი — სრულიად შესაძლებელი რამ. შემთხვევითი არ იყო კანტის მიმართვა სტუდენტებისადმი: „მე მინდა თქვენ გასწავლოთ არა ფილოსოფია, არამედ ფილოსოფოსობაო".

10. ერთია ის გარემოება, როდესაც შემოქმედი ესთეტიკოსი მანამდე არსებულ აზრს მიიღებს ან როგორც თავისი პოზიციის გამაღრმავებელს, ან მის საწინააღმდეგო რეაქციის გამაძლიერებელს. მეორეა ის ვითარება, როდესაც აზრს ჩვენი ცნობიერება გადმოიწერს და მაშინ გაახმოვანებს, როცა საკითხი სახელდობრ ამ აზრს შეეხება. პირველ შემთხვევაში აზრი შთაინთქმება, მიიღება მოაზროვნე კაცის მიერ, როგორც აზროვნების ძალა, ენერგია და გადადის ცნობიერების ღრმა ფენებში, როგორც მოქმედი, პრაქტიკული ძალა. მეორე და უკეთეს შემთხვევაში კი ესაა ერუდიცია, უარეს შემთხვევაში — დილეტანტობა, ანუ ბრძნული აზრების ფოსტალიონობა.

კრიტიკოსისა და ესთეტიკოსის ერთ-ერთი იარაღია—ავტორიტეტთა აზრების მოხმობა. თავისი შეხედულებების ციტატებით გადმო-

ცემა, შეიძლება ითქვას, ჟანრის დონეზე აიყვანა გენიალურმა მიშელ მონტენმა.

ციტატები საკუთარი თქმის მნიშვნელობას იჩენს თუ იგი ჩვენი სათქმელის ღერძზეა აკინძული, მაგრამ თუ კაცი ციტატებს აჰყვა და სხვათა თქმებში გაიბანდა, მაშინ საქმე გვაქვს აზრების უბრალო კოლექციონერთან.

დასავლეთის ფილოსოფოსები ძალიან იშვიათად მიმართავენ ციტატებს. გოეთე წერდა, კაცობრიობა იმდენად ჰკვიანია, ქვეყნად იმდენი ბრძნული აზრი თქმულა, რომ ახალს ვერაფერს ვიტყვიო. უახლესმა პოეტებმა მასწავლეს, მთავარია — ვთქვათ ახლებურადო.

ახლებურად თქმას თავისი დამოკიდებული მნიშვნელობა აქვს ხელოვნებაში, მაგრამ ზუსტ მეცნიერებებში ნიუტონის კანონი ნიუტონის კუთვნილებაა და რამდენად ახლებურადაც არ უნდა ითქვას, ის თქვენი არ იქნება. რასაკვირველია, მათემატიკასაც აქვს უმოკლესი ვარიანტების მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ სცვლის კანონის არსს, და თუ სცვლის, მაშინ სხვა კანონი მიიღება. როგორც ვიცით, შექსპირამდე არსებობდა „ოტელო", „ჰამლეტი", „კორიოლანოსი" და ა.შ. მაგრამ ამ ნაწარმოებებმა დამამკვიდრებელი მნიშვნელობა შექსპირის მეოხებით მოიპოვეს. გოეთემ შთანთქა ადრინდელი „ფაუსტები". გოეთეს „ფაუსტს" ვერაფერს დააკლებს თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი", მაგრამ თომას მანმა მაინც იპოვა ახალი ასპექტი კონგენიალური ნაწარმოებების შესაქმნელად და გვითხრა, ამით ფაუსტის თემა საბოლოოდ ამოიწურაო. ერთი სიტყვით, მხატვრულ ნაწარმოებებს ერთი და იგივე თემა, იდეა,აზრი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ფორმა, იმ აზრით, თუ როგორ ფორმით სიახლეს შესძენს იგი ცნობილ შინაარსს. ამიტომ ჰქვია ხელოვნებას შემოქმედება.

ესთეტიკაც, ფილოსოფიაც ბუნების მეცნიერებათაგან იმით განსხვავდება, რომ იგი, გარკვეული აზრით, არა მხოლოდ მეცნიერებაა, არამედ შემოქმედებაცაა. ამიტომაცაა რომ ესთეტიკოსობა, განსხვავებით ესთეტიკის ისტორიის მცოდნეობისაგან, შემოქმედებაა. მაშასადამე, ესთეტიკაში მხოლოდ განსჯა კი არაა ერთადერთი აპარატი, მასში მონაწილეობს ესთეტიკოსის პიროვნებაც; მართალია, არა ისეთი „ღია", უშუალო შემფასებლის სახით, როგორც კრიტიკაში.

1974 წელი.

პლასტიკა სულისა და სხეულისა

ეპოქები სხვადასხვანაირად უყურებენ ადამიანის სულისა და სხეულის მნიშვნელობას. კაცმა რომ თქვას, სულისა და სხეულის შესახებ ცალ-ცალკე ლაპარაკი ისევე პირობითია, როგორც მხატვრული ნაწარმოების ფორმად და შინაარსად განწევრება. და თუ მაინც

ორი საწყისის შესახებ ვლაპარაკობთ, ეს მსჯელობისათვის აუცილებელი ოპერაციების გასამარტივებლად. ამიტომ იგი ერთი არსების ორმხრივი წარმოდგენაა.

„სხეულის" წარმოდგენას ერთგვარი ზადიც ახლავს საეკლესიო ასკეტური თვალსაზრისის ზეგავლენით. ისტორიულად, ზოგიერთი რელიგიური მოძღვრების მიხედვით სული და სხეული არათუ ცალკეულობებად განიცდებოდა, მტრულ მომენტებადაც მიაჩნდათ. მაგრამ იყო დრო (ბერძნული კლასიკა), როცა სხეულიც ისეთივე ღვთაებრივ მოვლენად მიაჩნდათ, როგორც სული. ძველი ბერძნული სული ქანდაკებრივი, პლასტიკური ხედვისათვის იყო მზად. საინტერესო სურათია: პირველი ადამიანი, ბერძნული მითის მიხედვით, სწორედ ისე იშვა, როგორც ქანდაკება. პრომეთემ თიხა მოზილა და ღმერთთა მსგავსი სახე გამოძერწა. მას სული შთაბერა ათინა პალადამ. ასე იშვა პირველი ადამიანი და ქანდაკების იდეა...

სულ სხვანაირია, არაპლასტიკურია ბიბლიური ადამიანის წარმოშობის სურათი. უფრო სწორად, წარმოქმნის პროცესის სურათი იმთავითვე მოხსნილია. ღმერთმა ადამი მზა სახით მოაელინა სამოთხეში. რაიმე პლასტიკური თვალსაჩინოებისაგან ასევე შორსაა ევას გაჩენაც.

ბიბლიურმა სამყარომ ეს არაპლასტიკური, გნებავთ, ანტიპლასტიკური ხედვა, არსებითად, რენესანსის ეპოქამდე შეინარჩუნა...

პლასტიკე (ბერძნ.) — ნიშნავს ფორმის მიცემას, ძერწვას, გამოსახვას. ხელოვნების პლასტიკურობა ორგვარად უნდა გავიგოთ: ერთია, სახელდობრ, ვიწრო გაგებით პლასტიკური ხელოვნებანი, როგორც სივრცულ-საგნობრივი, ე.ი. არა დროითი, არა პროცესუალური ხელოვნებანი. მეორე მნიშვნელობით პლასტიკურობა არის თვისობრიობა, უწინარეს ყოვლისა ხელოვნების ესთეტიკური ატრიბუტი. არქიტექტურა და გამომსახველობითი ხელოვნება პლასტიკურ ხელოვნებათა ძირითადი სახეებია, მაგრამ ხშირად ლაპარაკობენ ამა თუ იმ ქანდაკების ან ხუროთმოძღვრული ქმნილების განსაკუთრებულ პლასტიკურობაზე. ამ შემთხვევაში პლასტიურობა ხელოვნების რაღაც იშვიათ, ესთეტიკურ ნიშანს გამოხატავს. იგი მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა დინამიურობა, მოქნილობა, გრაციულობა და ა.შ.

საკუთრივ პლასტიკური ხელოვნებანი აღნიშნავს ხელოვნების ისეთ სახეობებს, რომლებიც არსებობენ სივრცეში, აქვთ საგნობრივი ხასიათი, ან ორგანზომილებიანი სივრცით მიღწეულია სამგანზომილებიანი, საგნობრივი სურათის წარმოდგენა:

პლასტიკური ხელოვნებანი იყოფიან გამომსახველობით და არაგამომსახველობით სახეობებად. გამომსახველობით პლასტიკურ ხელოვნებას ფორმის ანალოგია მოეპოვება ბუნებრივ სინამდვილეში. ასეთია ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, ფოტოხელოვნება. არაგამომ-

სახელობითი სახის პლასტიკურ ხელოვნებათა ჯგუფს მიეკუთვნებიან არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული კონსტრუირება. მაგრამ მკაცრი მიჯნის გავლება გამომსახველობით და არაგამომსახველობით პლასტიკურ ხელოვნებათა შორის შეუძლებელია.მაგალითად, არქიტექტურა იყენებს მცენარეულ ფორმებს,ვთქვათ, აკანტის ფორმა ანტაბლემენტზეა, ან კარიატიდა (ქალის ქანდაკება სვეტად გამოყენებული). ეს არის გამომსახველობით-პლასტიკური მომენტი არაგამომსახველობითი ტიპის ხელოვნებაში. არაგამომსახველობითი მომენტებია დეკორატიული საშუალებანი, რაც ვლინდება საგნობრივი სახით ან ფერის საშუალებით.

პლასტიკურობის იშვიათ ნიმუშად ანტიკური პერიპტერი (სვეტებით შემოგარული ტაძარი) ითვლება. აქ პლასტიკურობის პირობას ქმნის ორდერების ადამიანური, ანთროპომორფული საფუძველი. დორიული, იონიური და კორინთული ორდერები სწორედ ადამიანის სხეულის პროპორციებს ეფუძნება. ადამიანის ფეხის ტერფი ერთი მეექვსედია მისი ტანისა — ძირითადად ამ პროპორციას უკავშირდება დორიული ორდერი: თუ სვეტის დიამეტრი არის 1 მეტრი, მაშინ მისი სიმაღლე უნდა იყოს 6 მეტრი. ამიტომ დორიული ორდერი არის ხორციანი, ღონიერი, ძლიერი. იგი უფრო მამაკაცური სიძლიერის გამომხატველია. ქალური სინაზის გამომხატველ ორდერებად ითვლება იონიური და განსაკუთრებით, კორინთული. რაკი ადამიანს ხელებზე (ან ფეხებზე) ათი თითი აქვს, ამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს სვეტის სიმაღლეც თუ მისი დიამეტრი 1 მეტრია, სიმაღლე 10 მეტრი უნდა იყოს. როგორც ეხედავთ, ხუროთმოძღვრული პროპორციების წყაროდ ადამიანის სხეულის პროპორციებია მიჩნეული. მიაჩნდათ, რომ ადამიანის სხეულის პროპორციულობა, ნაწილების მთელთან ზუსტი, რიცხობრივი თანაფარდობანი არ არის შემთხვევითიო. მას კოსმიური სტრუქტურა განსაზღვრავს, ამიტომ ადამიანის სხეულის სტრუქტურა კოსმიურია და არა ქაოსური.

აღმოსავლური არქიტექტურა, ვთქვათ, რომელიმე ძველეგვიპტური ტაძარი, ფანტასტიკურია, რეალურ-ადამიანურს დიდად დაშორებულია. „აღმოსავლური არქიტექტურა გესახებათ არა ადამიანურ შემოქმედებად, არამედ მიუწვდომელ კოსმიურ ძალთა პროდუქტად“. ამიტომ აქ არ გეხედება ადამიანური თანაზომიერება. ადამიანური არსი აქ გათქვეფილია უსაზღვროებაში. „თუ თქვენ აღიმართებით პართენონის საფეხურებზე, არ შთაინთქმებით რაღაც გამოუცნობ,ზეადამიანურ-უხილავ მასაში, არა, თქვენ შეიგრძნობთ საკუთარ სხეულს სრულიად ნორმალურს და თუ გაიელით კოლონებს შორის, ტაძრის კედლის ირგვლივ, ეს გალერეაც თავისი განუწყვეტელი განწვრებადობით და ათელი ტაძარი თქვენთვის აღმოჩნდება არც ისე ძალიან დიდი, არც ისე ძალიან პატარა.ყველგან შეინარჩუნებთ თავს და თქვენი მომცრო ადამიანური სხეულით გაზღმაეთ ღვთაების

მთელ ამ სხეულს, ტაძარს, და მაშასადამე, თვით ღვთაებასაც" (ლოსევი). აი, ეს ადამიანური ფარული დიალოგი, თანაზომიერების განცდა გვიმეღავნებს კლასიკური ბერძნული არქიტექტურის პლასტიკურ ხასიათს. ადამიანის სხეულის პროპორციები თავისი ფორმობრივი პირდაპირობით გადააქვს ქანდაკებას, მაგრამ არქიტექტურული ნაწარმოები ფორმით არ წააგავს ადამიანის სხეულს. არქიტექტურის შინაარსი, მისი კონსტრუქცია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის სხეულის ზომის პრინციპებს. ეს აზრი, ვიტრუვიუსიდან მომდინარე, რენესანსის ეპოქის დიდმა წარმომადგენლებმა აიტაცეს.

რამდენადაც პლასტიკური ნიშნავს სივრცეში საგნისათვის ფორმის მინიჭებას (ძერწვას), ამდენად გამოძერწილი საგანი განსულიერდება აზრით, იდეით, ე.ი. გარკვეული აზრით, სხვა რამედ იქცევა. ჰერმესის ქანდაკება უკვე აღარ არის ქვა, ბრინჯაო — ის არის ჰერმესი. ქანდაკების საოცრებას ქმნის ის, რომ მისი მასალა არის უძრაობის, გაჩერებულობის სიმბოლო. ქვა არის სიმკვრივე, სიმაგრე, ე.ი. რომელიც ყოველგვარ შინაგან მოძრაობას უარყოფს; გაქვავებული, მოძრაობამკვდარი საგანი. და აი, ხელოვნების არც ერთი ჟანრის მიმართ ისე ხშირად არ ლაპარაკობენ მოძრაობის გამოხატვაზე, როგორც ქანდაკების შესახებ. ქანდაკება კი ქვის შვილია.

ქანდაკება გამოხატავს მოძრაობის უამრავ, უმდიდრეს ნიუანსს. მაგრამ ეს არის არა მოძრაობა პირდაპირი გაგებით, არამედ მოძრაობის წარმოდგენა. მოძრაობის წარმოდგენის ხილვა სხვაგვარია ვიზისი ბუნებით, კიდრე თვით მოძრაობის ხილვა.

ქანდაკებაში ნამდვილი პლასტიკურობის მიღწევას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა. უძველესი ქსოანი არის არქაული პერიოდის კერპი, უმეტესწილად ხისაგან დამზადებული. იგი წარმართული ღვთაების გამოხატულებაა და უფრო რელიგიური დანიშნულებისაა, ვიდრე საკუთრივ ხელოვნების პრინციპებით შექმნილი ნაწარმოები.

ქსოანი არის გაშეშებული გამოსახულება, მკვდარი უძრავი სხეული. გვერდზე მიკრული ხელებით. ერთმანეთზე მიტყუპებული ფეხები ადამიანის სხეულის დინამიურობას, მისი მოძრაობის მდიდარ შესაძლებლობას ფრთებს აჭრის, ამარტივებს. ჰეშმარიტი პლასტიკურობა იწყება იმ დროიდან, როცა მითიურმა დედალოსმა და მისმა მოწაფეებმა (დედალიდებმა) ფეხები ერთმანეთს დააშორეს, ხელებმა თავისუფლება მოიპოვა და ქანდაკებამ თავისი ფორმის მისაბაძ საგნად ადამიანის სხეული გაიხადა. ქსოანს სქესი არ გააჩნია. მისთვის უცხოა ადამიანურ-ანატომიური პრინციპები. ქსოანი უფრო მეტ საერთოს პოულობს ძველეგვიპტურ და ძველი აღმოსავლეთის ქანდაკებასთან.

ადამიანის სხეული ამოსავალ პრინციპად იქნა არა მხოლოდ ქანდაკებისათვის. იგი თვით არქიტექტურისთვისაც პლასტიკურობის საფუძველი გახდა. ეს იმიტომ, რომ ადამიანის სხეულის სტრუქტურა

სრულიადაც არ არის ბუნების თვითნებობის პროდუქტი. იგი ჰარმონიის რაღაც იდეალურ პრინციპს გამოხატავს. ძველი ბერძნების აზრით, გეომეტრიულ ფიგურათა შორის იდეალურია წრე და კვადრატი. ვიტრუვიუსის მიხედვით, ადამიანის სხეულის ცენტრი არის ჰიპი. გულაღმა მწოლიარე კაცს თუ ფარგლის ერთ ფეხს ჰიპზე დავაბჯენთ, მაშინ შემოხაზვისას, გაშლილი ხელებისა და ფეხების წვერები წრეს შეეხება. სხეულის ირგვლივ მიიღება წრე. ზუსტად ასევე შეიძლება წარმოიქმნას, აგრეთვე, კვადრატი.

პლასტიკური ხელოვნების მასალა უძრაობა. მასში ხელოვნებას შეაქვს მოძრაობა არა პირდაპირი გაგებით, არამედ მოძრაობის წარმოდგენა. ე.ი. პლასტიკურობის განმსაზღვრელი ნიშანი,ესთეტიკური ღირსება არის უძრავ საგნებში მოძრაობის გამოსახვის ხელოვნება. მაგრამ პლასტიკური ხელოვნების, განსაკუთრებით ქანდაკების ღირსება, მეორე მხრივ, არის რაღაცის გაჩერების შესაძლებლობის წარმოდგენა; შეჩერების, შემაგრების, წარუვალობის, მარადმყამყოფისაკენ ლტოლვა.

მოძრაობის ფაქტს ძალიან პესიმისტურად უცქერდა ლეონარდო და ვინჩი, იგი მიაჩნდა მხოლოდ ყველაფრის წამლეკავ, ყველაფრის წამღებ ძალად, რომელიც არაფერს არ აჩერებს, არაფერს არ ინახავს.

ქანდაკება ხელოვნების ყველა სხვა დარგისაგან გამორჩევით არის იდეალის გაჩერების, შეჩერების გამომხატველი ხელოვნება. ის არის ჭროლვის ულმობლობის წინააღმდეგ მებრძოლი ხელოვნება.

გაჩერებულობა ნიშნავს დროის სამი განზომილებიდან ერთზე შეჩერებას: წარსული და მომავალი კონცენტრირებულია აწმყოში. საიდან მოდის დაწყებული მოძრაობის წინა მოძრაობა, საით მიდის ეს მოძრაობა, ამას ვხედებით პირობითად, დროის ამ გაჩერებულ ნაკვეთში, რომელშიც ვხედავთ საგანს.

არქიტექტურა, ქანდაკება, დეკორატიული რელიეფი გულისხმობს სამ სივრცულ-საგნობრივ განზომილებას. მასში მოძრაობის წარმოდგენაა და არა რეალური მოძრაობა; დროითი ცვლილება კი მოხსნილია, წარმოდგენითია. და აი, არქიტექტურას მაინც უწოდებენ ქვაში აყვერებულ მუსიკას, ქვაში გაყინულ მუსიკას. ეს არის დროითი ხელოვნების თვისების გადატანითი წაკითხვა სივრცულ ხელოვნებაზე. იმას, რაც დროითი ნიშნებით, რიტმით, მუსიკალურ-დროითი ერთეულებით ხორციელდება ექსპრესიულ ხელოვნებაში, პლასტიკურ ხელოვნებაში მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ამოვიკითხავთ. გახვდება, აგრეთვე, გადატანის პირუკუ მნიშვნელობა, როცა მუსიკას, პოეზიასა და ადამიანის ხასიათსაც პლასტიკურს ვუწოდებთ. მუსიკა პირდაპირი მნიშვნელობით, არ შეიძლება იყოს პლასტიკური ისევე, როგორც არაა პლასტიკური პოეზია და ადამიანის ხასიათი. მაგრამ ამ გადატანასაც თავისი ღრმა საფუძველი აქვს. ეს არის არა

მხოლოდ პოეტური ასოციაციის შედეგი, არამედ ხელოვნების უნივერსალურ-ერთიანი ძირის გამომხატველი თვისება. სიტყვა „ხელოვნება“ შემთხვევით კი არა, არამედ სუბსტანციით, ძირით აერთიანებს სრულიად განსხვავებულ სივრცულ-საგნობრივ და დროით საფუძველზე დამყარებულ ჟანრებს.

როდესაც ანტიკური პერიპეტრის კოლონათა წყობას რიტმულად აღიქვამენ, ეს არის სივრცის მუსიკალურად, დროის–ენაზე წაკითხვა. როდესაც მუსიკას პლასტიკურს უწოდებენ.ეს არის დროითი ხელოვნების სივრცულად წაკითხვის ფაქტი.

ჭანდაკებასა და მხატვრობას შორის ერთგვარ გარდამავალ ხიდადაა მიჩნეული რელიეფი (გორელიეფი, ბარელიეფი). აქ უკვე სივრცული სამგანზომილებიანი პრინციპი თანდათან ჭრება,ყოველ შემთხვევაში, საგნობრივი სიმრგვალე, სივრცული გაშლილობა აქ შეზღუდულია.

რელიეფი ხელოვნების უძველეს ჟანრად, თვით ქანდაკებაზე ადრეულ მოვლენად მიაჩნიათ. ძველი ბერძნული ლეგენდის მიხედვით იგი ამგვარად წარმოიშვა: კორინთელმა ქალიშვილმა კედელზე ნახშირით გამოხატა თავისი შეყვარებულის სილუეტი,რისთვისაც მან გამოიყენა მზის შუქზე თანამდევი ჩრდილი. ამ ქალიშვილის მამამ, ბუტადმა თიხით შეაესო მისი ქალიშვილის მიერ შემოვლებული კონტურები. ბარელიეფი არ არის მრგვალ ქანდაკებასავით დამოუკიდებელი ხელოვნება. მაგრამ, მეორეს მხრივ იგი ხასიათდება გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით. ზოგჯერ რელიეფით გადმოიცემა სიუჟეტის მქონე ამბები, რომლებითაც მორთულია არა მხოლოდ ტაძრების კედლები და ფრიზები, არამედ ავეჯი, ჭურჭელი.

პლასტიკური ხაზი გულისხმობს ჰარმონიის გამომხატველ ხაზს. ეს არ არის სწორი ხაზი, ანუ წერტილთა ერთგვაროვანი შეერთება. უმეტესწილად პლასტიკური ხაზი გულისხმობს გველისებრ, ზიგზაგობრივ, ცეცხლის ალისებრ ხაზს. გველისებრი ხაზი ნიშნავს ისეთ კლაკნილ, პროპორციულ ხაზს, როცა მისი მარჯვენა და მარცხენა მხარე თანაბრად ეფარდება შუაზე გავლებულ სწორს.

ემყარებოდა რა არისტოტელესა და სხვათა შეხედულებებს, ინგლისელი მხატვარი, ესთეტიკოსი ჰოგარტი თავის მოძღვრებას აფუძნებდა ცეცხლის ალისებრ ხაზზე. მისი აზრით, ეს არის ყველაზე მოძრავი, ცოცხალი, ჰარმონიული ხაზი. ჰოგარტი არ ეთანხმებოდა პლინიუსის აზრს პროტოგენის ხაზის შესახებ. თქმულების მიხედვით, როდოსელმა მხატვარმა პროტოგენმა დიდად გაითქვა სახელი. ერთხელ მას ეწვია ცნობილი მხატვარი აპელესი, მაგრამ მასპინძელი სახლში არ დაუხვდა. სტუმარმა პროტოგენს დაფაზე გავლებული ხაზი დაუტოვა. როდესაც მეორეგზის წვეულების დროს აპელესმა პროტოგენის საპასუხო ხაზი იხილა, მაშინვე აღიარა მისი სიდიადე. პლინიუსი ფიქრობს, რომ ეს იყო თმასავით წვრილი ხაზი,

ჰოგარტი კი თელის, რომ ეს სწორედ პლასტიკური, გეელისებრი, ცეცხლის ალისებრი ხაზი უნდა ყოფილიყო.

ფარული დიალოგი. მშვენიერ ქანდაკებათა აღქმა, მათი ჩვენს სულში არეკვლა რომ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ჩვენს გემოვნებაზე, ამაზე დავა არასოდეს ატეხილა. საინტერესოა, ახდენს თუ არა მშვენიერი ქანდაკებების ხილვა გავლენას არა მხოლოდ ჩვენს სულიერ შინაგანაწესზე, არამედ თვით ჩვენს სხეულზე; სილამაზეთა ამგვარი ჰვრეტა რაღაცნაირად ხომ არ გადაედება მჭვრეტელს? ხომ არ ხდის ადამიანს უფრო ლამაზს? ეს საკითხი ძველად უფრო ვრცლად განიხილებოდა, ვიდრე დღეს, რადგან იგი არ ექვემდებარება მეცნიერულ არგუმენტაციას. ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობისას ძველი მოაზროვნეები უფრო მითებით, თქმულებებით ლაპარაკობდნენ.

ძალზე ღრმა, ძნელად ასახსნელი ჩანს ძველი ბერძნების ის თქმულებები, რომლებიც გულისხმობდნენ, რომ სილამაზის ცქერა მაცქერალს სილამაზეს მატებსო... თქმულების მიხედვით,ამიტომ სჯიდა კანონი მკაცრად იმ მხატვარს,რომელიც მახინჯი ადამიანის სხეულს, ანდა განგებ დამახინჯებულ სხეულს დახატავდა. თქმულებათა მიხედვით ძველი ბერძნები ორსულობის დროს ცოლებს ავალებდნენ ეცქირათ ზევსის, აპოლონისა თუ ჰერაკლეს ქანდაკებებისათვის. „არისტომენის, არისტოდამის, ალექსანდრე დიდის, სციპიონის, ავგუსტოსის დედებს ორსულობის პერიოდში ესიზმრებოდათ, თითქოს მათ საქმე ჰქონდათ გეელთან. გეელი იყო ღვთაების ემბლემა. მშვენიერი ქანდაკებები და სურათები, რომლებიც გამოხატავდნენ ბახუსს, აპოლონს, მერკურსა და თვით ჰერაკლეს, იშვიათად გეხვდება გეელის გამოსახულების გარეშე. ღირსეული მანდილოსნები დღისით უყურებდნენ ღვთაებათა გამოსახულებებს, ხოლო ღამით, ბუნდოვან სიზმრებში მათ წარმოესახებოდათ გეელი“ (ლესინგი). ამ აზრის სისწორე თუ სიყალბე ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ეს არის თქმულება, ზღაპარი... მაგრამ გვაინტერესებს მისი მითოლოგიური მარცვალი, კერძოდ შემდეგი: ესთეტიკური ქმნილებანი ახდენენ თუ არა რეალურ ფიზიკურ ზემოქმედებას ადამიანზე. სილამაზის გამომხატველი ქანდაკების მჭვრეტელი ადამიანის მხოლოდ თვალი და გული ტკბება? სხეულს სრულიადაც არ ეხება იგი? აი, ეს პრობლემა, ფაქტიურად ჰიპოთეზა, ძირძველია. კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ არავინ გაგეიჯავრდება, ზოგადად თუ ვიტყვით: სილამაზის მაცქერალთ მაინც რაღაცნაირად გადაედებათ ეს სილამაზე. მაგრამ ცხადია, ამგვარი ზეგავლენის მიმღეობის უნარი ნაკლებად აქვს ზრდასრულ ადამიანს. იგი შეიძლება მეტად ჰქონდეთ განვითარებული მოზარდებს, ბერძნების მიხედვით კი ყოველ ადამიანს — დღიდან ჩასახვისა. ქანდაკებებით აღძრული ესთეტიკური სიამოვნება ერთგვარი ბაძვის წყურვილს აღძრავს. ტანვარჯიშით, სპორტით

გატაცებული ჰაბუკი ხარობს, როცა ათლეტიზმის კეთილ შედეგებს ამჩნევს საკუთარ სხეულს, მაგრამ ეს არის გონების მიერ გაშუალებული, გამკლავნებული, სასიკეთო ბაძვა და იგი. ცხადია, კეთილისმყოფელი გაელენა უფროა. მაგრამ ძნელად დასანახი ისაა, ჩვენი სხეული რომ ფარულად ეფარდება, ეტოლება, ეზომება, ფარულად ესიყვარულება ამ მშვენიერებას, თითქოს ჩვენი ცნობიერება კი არა, სხეული ესაუბრება მას. მაგრამ ამგვარი წარმოდგენა სწორედ იმათთვისაა ნიშანდობლივი, ვისი სხეულიც წრთობის მიზანდასახულობით სუნთქავს. ეს ცხადია, ახალგაზრდების პრივილეგიაა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მოხუცის გამოხატვის დროსაც ბერძნული ქანდაკებები (თავი, ტანის კიდურები, პროპორციულობა) საზოგადოდ ახალგაზრდულია, თუმცა მოხუცობის გარეგანი ნიშნები კი ატყვია.

1981 წ.

პლასტიკურობა პოეზიაში

პოეზია თავისთავად არის არასაგნობრივი, იგი საგნობრივი სამყაროს არასაგნობრივი სახეა. აქ ორი უკიდურესი ხასიათის პოეზიაც უპირისპირდება ერთმანეთს, სახელდობრ, პლასტიკური და არაპლასტიკური (მუსიკალური). ძირითადად პლასტიკურია ეპიკური პოეზია. უმეტესწილად არაპლასტიკურია ლირიკული პოეზია.

პლასტიკური პოეზია სურათთა თვალსაჩინოებით, ერთმანეთისაგან იზოლირებული ხატებით, ხატიდან ხატზე გადასვლის თანამიმდევრობით გვისურათებს ამბის მსვლელობას. აქაც შეიძლება ორგვარი პლასტიკურობა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან. ერთია წმინდა საგნობრივ-მოქმედებითი პლასტიკა, თვალსაჩინოება, მეორე — სურათების წარმოდგენა ფერთა საშუალებით. ცნობილია, რომ ჰომეროსი იშვიათად მიმართავს ფერებს, მაგრამ მისი პოეზია უმთავრესად პლასტიკურია, სურათოვანია, სივრცულად წარმოსადგენია. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, ეს არის ფერთა ამოუწყველი სალარო, ეს არის ფერთა საოცარი სიმფონია, ესეც პლასტიკურობის ერთ-ერთი ატრიბუტია.

პოეზიაში, ძირითადად ეპიკურში, პლასტიკურობა გულისხმობს სურათიდან სურათზე მშვიდსა და მონაცვლეობით გადასვლას. მუსიკალური ხასიათის პოეზიაში კი სურათიდან სურათზე გადასვლის საზღვარი ასე თვალსაჩინოდ არ გვეძლევა. აქ სურათსა და სურათს შორის უფრო მოლივლივე, ე.ი. არაპლასტიკური,არა თვალსაჩინოდ მზღვარდებული მონაცვლეობა გვაქვს. აქ უფრო ბგერსმის გრძნობა თუ აზრი. პლასტიკურ პოეზიაში კი ჩვენ უფრო ვხედავთ გრძნობასა თუ აზრს. ამ მხრივ, ჰომერულ პლასტიკურობას ძალიან უახლოვდება ვაჟა-ფშაველას პოეზია. რასაკვირველია, პლასტიკურობა

ყოველთვის არ არის პოეზიის ღირსების განმსაზღვრელი. მითუმეტეს, ახალი, ლირიკული პოეზია უფრო მუსიკალური პოეზიაა. გალაკტიონისათვის, ცხადია, სტიქია არ არის ხატიდან ხატზე მშვიდი გადასვლა. აქ უფრო წარმოდგენათა მოლივლივე, მუსიკალური კავშირები გვაქვს. რაც შეეხება ვაჟას სამყაროს, ეს არის ჰეშმარიტად „პლასტიკურ ხატთა საუნჯე“ (გრ.კიკნაძე).

ძმნა ხასიათის რვალისა. კაცი მაერთებელია ორი სამყაროსი — ზეცისა და მიწისა.ისინი კი უერთმანეთოდ ვერ გვარობენ. მხოლოდ ის კაცია ბუნების გვირგვინი, რომელშიც ორივე საწყისი ეხმატკბილება ერთმანეთს.

ჩვენში იტყვიან: „მეორედ ხომ არ მოვალ ამ ქვეყნადო“. ეს ბრძნული აფორიზმი იმას გულისხმობს, სიკვდილის პირას გვიან იქნება სინანული, არავინ ინებებს გაგვამეორებინოს ცხოვრება. ამიტომაცაა ყველაზე დროული, — სწორედ ახალგაზრდამ მიიჩრდილოს შუბლზე ხელის გულით, შორს გასასვლელ გზებს გაჰხედოს... არაფერია უფრო მთავარი, ვიდრე ის, რომ სამკაულებით აღვავსოთ ჩვენი სული. ბუნებას საყვედური კი არა, მადლობა ეთქმის ძვირფასი ქვების, სამკაულების შექმნისათვის. მაგრამ თვალმარგალიტი, ოქრო-ვერცხლი სულიერ სამკაულებს რომ ვერ შეედრება, თეორიულად არავინ დავობს. ტარიელის დასახმარებლად მეორედ წასული ავთანდილი ტარიელს რომ მოასულიერებს, ყურადღებას მიაპყრობს ნესტანისეულ სამხრეს, რომელიც ტარიელს სიცოცხლედ უღირს. აქ ავთანდილმა საგულისხმო საყვედური ჰკადრა ძმობილს, —სად ოქრომჭედლის მიერ ნადნობი ძვირფასი ნივთი და სად ცოცხალი ასმათიო!

„სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი.
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი,
აღარად გინდა ასმათი, — ნახე მართალი ბრჭობილი!“

როგორ უნდა აღვაგოთ ჩვენი სულიერ-ხორციელი სუბსტანციიდან ტაძარი წმინდა? აი, ყოველი კეთილშობილის სულის საზრუნავი. ჯერ ჩვენ უნდა გავმშვენიერდეთ, მერე სახლ-კარი, ეზო-მიდამო გავიმშვენიეროთ. არიან ადამიანები, რომლებთანაც საუბარი განსაწმენდელია ჩვენი სულისა, მათთან საუბრისას დიად ტაძარში გვგონია თავი.აი, ესაა სიმდიდრე!

ნებით თუ უნებლიეთ ხშირად ვუპირისპირებთ ერთმანეთს ხორციელ და სულიერ ღირებულებებს. გარეგნულ სილამაზეს — პატივი და ღირსება, თუ იგი, თვით ეს სილამაზე, არ უპირისპირდება სულიერ ღირსებებს... აბა, რუსთველის სამყარო გავიხსენოთ, როგორ იხიბლებიან ადამიანები ადამიანის სილამაზით. მთელ პოემას თუ თვალმოელებით გავიხსენებთ აქ თითქოს ვხედავთ გაბრწყინებულ, გაკვირვებულ სახეებს, გაფართოებულ თვალებს ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის, ნესტანის, თინათინის ხილვისაგან... ხალხი ისე

შეჰყურებს ამ გმირებს, როგორც ხელოვნების ქმნილებებს. მაგრამ რა ვუყოთ, ვისაც ტარიელობა და ავთანდილობა ბუნებისაგან ნაფრქვევი ღირსებები არ გაგვაჩნია?! გამოსავალი უველგანაა. სადაც ბუნება ძუნწობს, იქ სულს შეუძლია იმძლავროს. ადამიანს მინიჭებული აქვს ის დიდებული საშუალებანი, რომლითაც მას შეუძლია აღიგოს თავისი თავისაგან წმიდა ტაძარი.

რა შეუხედავი კაცი იყო სოკრატე და როგორ ამშვენებს ისტორიას ამ კაცის სწორედ „პლასტიკური სახე". „სოკრატე როგორც პლასტიკური სახე" — ასეთი ნარკვევი უძღვნა ჰეგელმა ამ დიდებული კაცის მიწიერ-ზეციურ ქველობას... სოკრატე მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო — მოქანდაკის შვილი, თვითონაც მისდევდა ამ ხელოვნებას, მაგრამ უფრო შემოსაელის გამო. სწავლობდა მუსიკას... მაგრამ მისი მოწოდების მთავარი არხი ზეცასთან კავშირისა იყო ფილოსოფოსობა. პლასტიკური ხასიათის განსახიერებლად იმიტომ გვიხატავს მას ჰეგელი, რომ იგი არ იყო მკლავდამჭკნარი მოაზროვნე. სოკრატე მონაწილეობდა პელოპონესის ომში. ერთხელ თავისი მოწაფე-მეგობარი ალკიბიადე იხსნა სიკვდილისაგან, მეორეგზის თავისი საყვარელი მეგობარი დაჭრილი ქსენოფონტე მხარეზე შეისვა და საარაკო სიმამაცით გამოიყვანა მტრის გარემოცვიდან. სამოქალაქო თანამდებობაც არ იყო სოკრატესათვის უცხო, თუმცა თანამდებობას არ გადაჰყოლია იგი. მას შეეძლო მიწიერ-ზეციერ სამყაროთა ცვლა, საცარი გადართვა სხვადასხვა სფეროებში. გადმოცემით, ერთხელ, იგი მთელი დღე-ღამე ერთ ადგილს ჩაშტერებული, უზომოდ კონცენტრირებული იდეის სამყაროში, მზის ამოსვლამ „ჩამოიყვანა" მიწაზე. ერთი სიტყვით, პლასტიკური ხასიათის გმირებს მათ უწოდებენ, რომლებიც იწვიან თავიანთი ქვეყნის სიყვარულის ცეცხლით,ყველაფერს გაცემენ საკუთრების სალაროდან, რათა გარემომცველ წრეს, საზოგადოებას, ცოცხალი სიკეთეც მოაფრქვიონ; გატაცებით, ტალანტის წყალობით კი ქმნიან იმ სიკეთეს, რაც დროის მარწუხებს არ ემორჩილება. „სოკრატე, — წერს ჰეგელი, — ცხოვრობდა თავის თანამოქალაქეთა შორის და ჩვენს წინ დგას, ვითარცა ერთი იმ დიად პლასტიკურ ხასიათთაგანი, რომლებსაც ჩვენ შევეჩვიეთ ვხედავდეთ იმ დიად ეპოქაში, — როგორც ხელოვნების დასრულებულ ქმნილებას... უდიდესი პლასტიკური პიროვნება, სახელმწიფო მოღვაწის სახით, იყო პერიკლე. მას გარს ერტყნენ, ვითარცა ვარსკვლავნი, სოფოკლე, თუკიდიდე, სოკრატე და ა.შ. (ჰეგელი, ესთეტიკა, IV, რუსულად, 1973, მოსკ; გვ.180.).

ორნაირი აზრით შეიძლება ითქვას, — ამ კაცმა თავისი თავი შექმნაო. ერთია, როცა მთელი ჩვენი გარჯა იქითკენაა მიმართული, როგორმე ვჩანდეთ კაი კაცად. ესაა ფასადური ცდა, ორ-სამ ნაბიჯზე გამოსადეგი, შემდეგ კი ადამიანების თვალსა და გულს რა გამოეპარება! უფრო ძნელი გზაა, შიგნიდან ეშანთავდეთ აე გრძნობებს.

სოკრატე თქვიდა, რომ ბუნებიდან საზიზღარი მისწრაფებები მაქვს ბოძებული და მისი დაძლევა ჩემი ფილოსოფიური ამოცანააო. საკუ-ირარ თავთან ომი არის ყველაზე რთული. ვინც ამ ომს გამართავს, ‹გი მეტ ნაკლს ხედავს საკუთარ თავში; ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ‹ისი სამკვიდრო სწორედ პლასტიკურ ხასიათთა გალერეაშია. დიდი კ›ცი თავისი დამარცხებების მიზეზებს თავის თავში ეძებს, სუსტი კ› სხვებს აბრალებს მუდამ.

1981წ.

„შუშანიკის წამების“ მხატვრული სპეციფიკის ინტერპრეტაციისათვის

მხატვრულისა და რელიგიურის მიჯნები

ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან რელიგიური და მხატვრული აზროვნება. ერთიცა და მეორეც სიტყვას, წარმოდგენას ემყარება. ბიბლიური, საღვთისმეტყველო მწერლობა წარმოდგენებით სულდგმულობს. მაგრამ სულ სხვადასხვა შინაარსისაა ამ წარმოდგენათა ფუნქციები. აზროვნების ეს ორი ფორმა წარმოდგენებს ემყარება; ფილოსოფიამ კი შემოისაზღვრა თავისი საუფლო, იგი ცნებითი, არაწარმოდგენითი აზროვნებაა.

რელიგიური წარმოდგენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილს ნამდვილობის რწმენა აქვს. ის, რაც საერო მკითხველისათვის ბიბლიაში არის ფანტასტიკური (დაუჯერებელი რეალობის თვალსაზრისით, ფანტაზიის ნაყოფი), მორწმუნესათვის ის არის სწორედ ნამდვილი. ბიბლია, სასულიერო მწერლობა კი არ თხზავს, არამედ თავისი რწმენით ასახავს ნამდვილს ყოველგვარი შეფერადების, გარეგნული ეფექტების გარეშე. მხატვრული ლიტერატურის სტიქია კი არის თხზვა, გამოგონება. რა თქმა უნდა, ესეც ასახვის ფორმაა, მაგრამ ესაა შემოქმედებითად აგებული მხატვრული სინამდვილე. მაგალითად, მოსე წინასწარმეტყველისადმი მიწერილი კოსმოგონური მითი საერო ლიტერატურის თვალთახედვით აღიქმება როგორც ხელოვნების ფაქტი, როგორც მხატვრული სურათი. ესთეტიკურად იგი საინტერესოა იმ აზრით, რომ ამნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ ქვეყნიერების გაჩენა. მაგრამ მორწმუნისათვის ეს არის არა „შეიძლება წარმოვიდგინო“, არამედ „მხოლოდ ასე უნდა წარმოვიდგინოთ“ და არა სხვაგვარად.

ხელოვნებამ ამ რელიგიურ წარმოდგენას მიმართა როგორც ფანტაზიის ნაყოფს, რომლის ნაირ-ნაირად ტრანსფორმირება შეიძლება. ეს არის უმდიდრესი წყარო ხელოვნების სხვადასხვა სახეობისათვის. რელიგიური წარმოდგენა კი მორწმუნისათვის არის არა ფანტაზიის ნაყოფი, წარმოსახვისეული მონაპოვარი, არამედ ნამდვილად მომხდა-

რი რამ. სასულიერო მწერალი არის არა შემოქმედებითად წარმომსახველი, არამედ მისთვის ეს არის აღმსრულებლობითი, აღმწერლობითი აქტი. ამიტომ მას თავისთავად სრულიადაც არა აქვს საგანგებო ესთეტიკური მიზანდასახულობა. რაოდენ საოცრებად უნდა მოგვეჩვენოს, რელიგიურმა ნააზრევმა, სასულიერო მწერლობამ შეიძინა ესთეტიკური ფუნქცია, ეპოქამ შეხედა მას მხატვრული გაგებითა და თვალთახედვით, ამ ნააზრევში აღმოაჩინა იმგვარი რამ, რაც ესთეტიკურ ქმნილებებს აქვს საერთოდ.

როდესაც რელიგიური და მხატვრული წარმოდგენების განსხვავებაზე ვლაპარაკობთ ნამდვილობის ნიშნით, აქაც სირთულესთან გვაქვს საქმე. ნამდვილობის რწმენის უფლებას ვერ წავართმევთ მხატვრულ წარმოდგენასაც. როდესაც მხატვრული ნაწარმოების მკითხველს ცრემლები მოსდის, მას სწამს წიგნის მონათხრობის რეალობა. მაგრამ იგი სწამს ემოციურ სუბიექტს. რელიგიური ისტორია, ამბავი, სახე სწამს არა ემოციურს, არამედ სულისშიერ სუბიექტს. განრისხებულს ან გახარებულ კაცს, რაოდენ გონიერი, სულიერად გაწონასწორებულიც უნდა იყოს იგი, მაინც სუბიექტურად ეჩვენება მოვლენა. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი არის მისგან დამოუკიდებელი და ამ აზრით ობიექტური რეალობა. მორწმუნის აზრით, ღმერთი ვლინდება მის სულში და არა გრძნობებში. როცა ლაპარაკობენ რელიგიური გრძნობის შესახებ, აქ სულ სხვა შინაარსის გრძნობა იგულისხმება. სახელდობრ, ესაა ხორციელი იმპულსებისაგან გათავისუფლებული, გასულიერებული გრძნობა, რომელსაც უკვე თავისი ნამდვილი შინაარსი აღარ შერჩენია. ესაა სულის სიმშვიდის მიერ შთანთქმული, დაპყრობილი, მოთვინიერებული ემოციები, ე.ი. ემოციები, რომელთაც რაიმე წარმმართველი ძალა აღარ გააჩნიათ.

მაშასადამე, მხატვრული წარმოდგენა და რელიგიური წარმოდგენა ეს არის ემოციური და არაემოციური სამყაროები, შემოქმედებითი და მოქმედებითი ფანტაზიების ნაირგვარობა; რელიგიური აზროვნება სულიერ-ობიექტურს, ღვთაებრივს ასახავს (სასულიერო მწერლობის პოზიციიდან), ხოლო მხატვრული წარმოდგენა სუბიექტისეულად გააზრებულ რეალობად განიხილება. „წარმოდგენა — წერს ჰეგელი — ე.ი. რაღაცა როგორც საგანი ცნობიერებაში, აღნიშნავს, რომ ეს შინაარსი არის ჩემში, რომ ის ჩემია. მე შეიძლება მქონდეს წარმოდგენა გამონაგონ ფანტასტიკურ საგნებზე. ამ შემთხვევაში ამგვარი შინაარსი იქნება ჩემი და მხოლოდ ჩემი, ის არსებობს მხოლოდ წარმოდგენაში. მე ვიცი, რომ ეს შინაარსი სინამდვილეში არ არსებობს. სიზმარშიც მე ვერჩები ცნობიერად, მაქვს რა საგნები, მაგრამ ისინი არ არსებობენ... ღმერთი არის თავის თავში და თავისთვის არსებული საყოველთაობა და არა მხოლოდ არსებული ჩემთვის; ის ჩემს გარეთაა, ჩემგან დამოუკიდებლადაა... ე.ი. ერთდროულად ჩემიცაა და არცაა ჩემი“ (1, 293–94).

მაშასადამე, ხელოვნება თხზავს, ასახავს რა ხილული ქვეყნის მრავალფეროვნებას ფანტაზიის სრული უფლებამოსილებით. სასულიერო მწერალი ისწრაფვის დაექვემდებაროს ნამდვილის ასახვის ლოგიკას, წესს, ღვთის ღვაწლი თუ ნება გადმოსცეს ზედმიწევნით ზუსტად, თავისი სუბიექტური მეობის ჩაურეველად.

როგორც ითქვა, სასწაულები, ჩვეულებრივი წარმოდგენების, ყოფითი რეალობის თვალსაზრისით დაუჯერებელი ამბები მორწმუნისათვის ყველაზე უფრო ნამდვილი სინამდვილეა. მორწმუნეს სწორედ სასწაული სწამს, რადგან სასწაულში გაცხადდება ღვთის ზეობა. სასულიერო მწერლობა, ქმნის რა ერთიან ეკლესიურ თვალსაზრისს, იმუშავებს არა ინდივიდუალურს, არამედ საქრისტიანოს კოლექტიურ ხედვას,. ესაა არა მხოლოდ აზრი, არამედ სინამდვილისადმი მიმართების ყოველისმომცველი სულისკვეთება. იგი მსჭვალავს აზრს, ფიქრს, გრძნობას. ამგვარი ხედვა იქითკენ ისწრაფვის, რომ ფრთები შეაკვეცოს ინდივიდუალურ ადამიანურ თავისებურებებს. ხელოვანის, როგორც შემოქმედის, სტიქია კი ფანტაზიის თავისუფლებაა. შუა საუკუნეების ხელოვანის დევიზი ამიტომ ასე უცნაურად ჟღერს: არაფერი ჩემი ინდივიდუალური არ არის. მაგალითისათვის: ქრისტეს ხატი საეკლესიო მხატვრობამ უნდა შექმნას არა ამა თუ იმ კაცის ფანტაზიის მონაცემებით, არამედ ის საქრისტიანო მრევლის კოლექტიურ ხედვას უნდა გამოხატავდეს. იგი უნდა იყოს ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში ქრისტე და არა ისეთი, როგორადაც იგი ვინმეს წარმოესახება. კანონიკური სიმტკიცე, ცხადია, აბსოლუტურ ერთიანობას ვერ აღწევდა. მაგრამ ხატის შემქმნელნი, ფოტოგრაფის მისიის მაგვარად, ქრისტეს სახის სიზუსტის აღმდგენელთა როლში გამოდიოდნენ. ამიტომ ხატის ავტორთა გარჯაში წაშლილი უნდა ყოფილიყო ოსტატის მეობა, ინდივიდუალობა. ამიტომაც, უმეტესწილად ეკრძალებოდნენ კიდეც ისინი ვინაობის გამხელას.

შუა საუკუნეების ასკეტიზმის პერიოდში საეკლესიო მწერლობა სულის ისეთნაირ პრიმატობას აღიარებს, რომელიც გმობს ხორციელის არსებობის მნიშვნელობას, ვიდრე რენესანსის პერიოდის ნეოპლატონიზმი არ აღადგენს ამ ორ სამყაროს შორის ერთიანობას, მტრობის ნაცვლად სულიერ და ხორციელ სამყაროებს ურთიერთ განმამტკიცებელი ძალით არ შეაერთებს. შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე ხელოვნებას იმიტომაც გაუჭირდა არსებობა, რომ გაუფასურდა ხორციელი ქვეყნის მნიშვნელობა, ურომლისოდაც უსაგნოდ რჩება ხელოვნება. სასულიერო მწერლობის საგანი კი ღვთაებრივ-სულიერ სამყაროს დასტრიალებდა და, თავის მხრივ, იგი გარკვეულ ხანაში ერთგვარ აყვავებასაც განიცდიდა.

რამდენადაც არ უნდა გაემიჯნათ სასულიერო და კაზმული სიტყვის საუფლოები, ბოლომდე მკაფიო გამყოფ ხაზებს აქ მაინც

ვერ ავლებდნენ. სასულიერო მწერლობა, როგორც უკვე ითქვა, დღეს თავისებური მხატვრული ქმნილების ფუნქციას იჩენს. მაგრამ ფუნქციის შეძენა რაღაც ძალდატანებით პროცესად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მასში იმთავითვე იყო მოცემული ადამიანის ბუნების ისეთი სულიერი შრეები, რაც სწორედ მხატვრული თვალითაც ყოფილა დიდმნიშვნელოვანი.

სასულიერო მწერლობის საგანი არის სული, როგორც ღმერთი თავისთავად, და სული, როგორც ადამიანში გამოვლენილი ღვთაებრივი რამ. და რადგან ეს მწერლობა სულიერ პროცესებს ეხება, თითქოს იმთავითვე ფსიქოლოგიურ სამყაროს უნდა გადაგვიშლიდეს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, სასულიერო ლიტერატურა თავისთავად არ არის ფსიქოლოგიური, თანამედროვე გაგებით. აქ სულ სხვაგვარ ფსიქოლოგიურობაზეა ლაპარაკი.

ვიდრე ვიტყოდეთ, თუ რატომ არ არის სასულიერო მწერლობა საერო მწერლობისდაგვარად ფსიქოლოგიური, მანამ ასეთი ფაქტიც გავიხსენოთ: პოეზიის ისეთი ჟანრი, როგორიც არის ეპოსი,ნაკლებად ფსიქოლოგიურია. როცა ლაპარაკობენ, მაგალითად, ჰომეროსის პოემების ანტიფსიქოლოგიურობაზე (ლოსევი), ცხადია აქ აქილევსის რისხვა-გოდებაც არ ავიწყდებათ, მაგრამ ეს მაინც არის გარეგანმოვლენილი განცდები და უშინაგანესი სახით არ არის გაშლილი ადამიანის სულის სიღრმეში მიმდინარე ვნებები. მაგრამ სასულიერო მწერლობა?

ფსიქოლოგიზმი ესთეტიკაში ხელოვნების ისეთ ქმნილებებს გულისხმობს, რომლებიც ემოციების სიმწვავეს, გმირის განცდების შინაგან პლანს გვიჩვენებენ. სასულიერო მწერლობა კი სიმშვიდის ხელოვნებაა, ემოციებზე ამაღლებული მდგომარეობის ასახვაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასულიერო მწერლობა, როგორც სულის მწერლობა, აქცენტს აკეთებს სწორედ სულიერ ობიექტზე, შინაგან სამყაროზე, თუმცა აქ ემოციების ჰიდილი არა გვაქვს. როდესაც ხელოვნების ქმნილებათა ღრმა ფსიქოლოგიურობაზე ლაპარაკობენ, მასში ყოველთვის გულისხმობენ გრძნობათა სიმწვავეს, ვნებათა ღელვას და არა სულს თავისთავად სტიქიაში, ე.ი. სიმშვიდის სტიქიაში ჩვენებას. ამიტომ სულ სხვაგვარია სასულიერო ლიტერატურის ფსიქოლოგიურობის მნიშვნელობა. სასულიერო ლიტერატურა გაცილებით ნაკლებ ემოციურია (კაცმა რომ თქვას, სულაც არ უნდა იყოს იგი ემოციური), ვიდრე ტრაგედია, დრამა, ლირიკა...

მაგრამ ქრისტიანულმა რელიგიამ კანონიკური ქრისტიანული ლიტერატურის ანტიფსიქოლოგიზმისა და მოჩვენებითი რეალიზმის დასაფარავად, მორწმუნეთა ფსიქიკაში შესაღწევად ხელოვნების სხვა ფენომენს — მუსიკას, გალობას მიმართა. გალობა რომ ადამიანის სულში შეღწევის, ჩაღრმავების გზაა, ეს ცნობილი იყო ადრინდელი

ქრისტიანობისათვის და მოგვიანებით კი საგანგებო ყურადღება დაეთმო. პავლე მოციქული ასე არიგებს მორწმუნეთ, რომელთაც გადაუწყვეტიათ ხორციელ ზრახვათა დათრგუნვა და საკუთარი სულის სიღრმეში ჩახედვა: „ეტყოდეთ თავთა თვისთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა უფალსა“ (ეფეს. 5, 19). მოგვიანო ხანის ღვთისმეტყველნი (იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი...) თუ როგორ ააზრიანებდნენ მორწმუნის ფსიქიკაზე მუსიკის (გალობის) ზემოქმედების ძალას წმინდა სიტყვასთან ერთად, ეს კარგად ჩანს ზემოდასახელებული ადგილის კომენტარში, რომელიც ეფრემ მცირეს ასე აქვს გადმოცემული: „ვინა თგან გული და გონება გაბნეულ არიან ზრუნვათა მიერ ხორციელთა, ამისთ შემოკრებულითა გულითა გუაწუევს (მოციქული) ხუმევად (-„ხმარებად“) სიტყუათა გალობისა და ქებისა ღმრთისათა. ძება უკუე არს სიტყუა, ხოლო გალობა კილო საბალობელისა და ამის განვრცნების სიტყუა ქებისა ღმრთისა,რათა მოიმყოვრებასა (-დაყოვნებასა) შინა ჟამისასა კეთილად გულისხმავყოთ ძალა სიტყვისა და სიტკბოებითა მისა თუ არა საწყინო ჩუენდა იქმნეს მიმყოვრება ჟამისა (-390. 66) ე.ი. ღვთისმეტყველნი ირწმუნებიან: საერთოდ, ადამიანის გული (-ფსიქე, ფსიქიკა) და გონება შეპყრობილია „ხორციელი ზრუნვით“ და ამიტომ ღმრთის სიტყვის შესაცნობად არამობილიზებულია, „განბნეულია“. საღმრთო თხრობითი სიტყვის ჴეშმარიტი მნიშვნელობა („ძალი“) რომ განცხადდეს და შეიჭრას ადამიანის სულში,საჭიროა მისი „განვრცობა“ მუსიკის გზით, მისი არა მყისიერი, არამედ დაყოვნებითი („მიმყოვრებითი“) აღქმა, ე.ი. სიტყვას მუსიკა უნდა წაეშველოს, რომ პირველის ნამდვილი არსი გაშინაარსდეს მორწმუნის სულშიო, ამიტომაა, რომ იაკობ ხუცესი შუშანიკს მხოლოდ საღვთო წიგნების უბრალო მკითხველად არ გვიხატავს.ფიზიკური ტკივილებით გატანჯული შუშანიკი მთელს ფსალმუნს მხურვალე გალობით იშინაარსებს და ითავისებს: „ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლთა იგი დღე და ღამე ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობას შესწირვიდა ცრემლით“.

თუ რელიგიური იდეალი ადამიანისა და მწერლობისა არის ღვთაებრივი სიმშვიდე, ხელოვნების სტიქია ენებათაღელვაა, გრძნობათა მაღალი აქტივობაა. ხელოვნებას სწორედ ამ დრამატული სიმწვავის გამო აინტერესებს ადამიანის ხასიათი, როცა იგი სულიერ-მიწიერი საწყისების მწვავე კონფლიქტებს ასახავს. ხოლო სასულიერო მწერლობა გვიჩვენებს, თუ როგორ თრგუნავს სულიერი მიწიერს, უშფოთველობა — მშფოთვარებას. აქ მარადიული იმარჯვებს წარმავალზე.

სულიერი სამყაროს ხატვას სასულიერო მწერლობაში თავისი წესი აქვს. ამ კანონის ყოვლისმომცველი ძალა იმდენად დიდია, რომ

მწერალი აზროვნებს ქრისტიანულ-კოლექტიური აზროვნებით და არა მარტო ინდივიდუალური აზროვნებით. აქ ქრისტიანიზირებულია არა მხოლოდ აზრი, არამედ ფიქრი, გრძნობა. ქვემოთ ვნახავთ,იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ გმირთა მეტყველება რაოდენ გაჟღენთილია ბიბლიური აზრებით. ეს ციტატები მათ საკუთარ აზრს გადმოსცემენ, მაგრამ საყურადღებოა აგრეთვე ის სპეციფიკა, რაც ქრისტიანი ადამიანის ზნეობასა და ფსიქიკაზე მოახდინა. ე.ი. საინტერესოა არა მარტო ის, თუ რისთვის წუხს ქრისტიანი, არამედ ისიც, თუ როგორ წუხს, ტირის, „მხიარულ“ არის. იაკობ ხუცესის ხედვა, მოვლენებისადმი მიმართება იმგვარია, რაიც ᲥᲠᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ გამოხატავს. ამიტომ მისი თხზულებით აღფრთოვანების ჟამს ჩვენ ვგრძნობთ, რომ იაკობ ხუცესი ᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲜᲔ ᲘᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲔᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲡᲘᲮᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ. ამ დონეზე აზროვნებს (თეორიულად) ქართული საეკლესიო მწერლობა. შუშანიკის მიერ გლოვით ნათქვამ სიტყვებს მხოლოდ მოქალაქეობრივ-სოციალური შინაარსი აქვს და არ ეხება სამწერლო აზროვნების თეორიულ სამყაროს: „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“.

ერთი სიტყვით, ბიბლიურმა, საღვთისმეტყველო აზროვნებამ სრულად გამსჭვალა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი და გრძნობა, მოვლენათა აღქმა, მათდამი მიმართება. სასულიერო მწერალი ცხოვრებას უყურებს ქრისტეს მცნების თვალით.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ მაღალმხატვრულ ეფექტს დღეს ყველაზე მეტად ქმნის ლაკონური გადმოცემა სურათისა და ამბისა. ასე მცირე სიტყვა დახარჯოს მწერალმა და ამდენი რამ დაგვანახოს, მოგვასმენინოს, მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ესაა ბიბლიურ, საღვთისმეტყველო მწერლობის (იშვიათი ლაკონიზმის) ტრადიციებზე აღზრდილი მწერალი.

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც ფსიქოლოგიური ხედვის თვალსაზრისითაცაა უაღრესად საინტერესო: ვარსქენისაგან გამოგზავნილმა მაცნემ დედოფალს პიტიახშის მოკითხვა გადასცა. „ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა წინასწარმეტყველმან ჰრქუა...“ ცხადია, შემთხვევით არ ადარებს მწერალი შუშანიკს წინასწარმეტყველს. უკვე წმინდანობისათვის განმზადებული დედოფალი გვიჩვენა მან, როგორც ნათელხილვის ღვთიური მადლით მოსილი. სასულიერო მწერლობაში ჩვენ ვერ შევხვდებით შემთხვევას წმინდანი, სულიერი მოღვაწე ერისკაცის ტყუილმა შეცდომაში შეიყვანოს. წმინდანები უმალ გრძნობენ ღვთაებრივი ნათელხილვის ძალით მრუდსა და მართალს. ე.ი. ეს ეპიზოდი გვიჩვენებს შუშანიკის იშვიათ ფსიქოლოგიურ ალღოს. მაცნესთვის გაცემული პასუხი კი მართლაც

ერთ ნაწარმოებად ღირს: „უკეთუ სულითა მომკვდარ ხართ, მოკითხვა ეგე შენი შენდავე მოიქეცინ". შუშანიკს არავითარი წინასწარი ცნობა არ ჰქონდა ვარსქენის საქციელის შესახებ. ცხადია, იგი გრძნობდა მოსალოდნელ შედეგებს, იცნობდა რა ვარსქენის არამყარ ხასიათს. ამის შემდეგ მწერალმა შუშანიკის ფსიქოლოგიური უნარის მეორე მხარეც გვიჩვენა. სახელდობრ, იგი არა მარტო გრძნობს, ცნობს (ალღოს წყალობით), რა შეიძლება მომხდარიყო, არამედ ავლენს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალას. ვარსქენისგან გამოგზავნილი მაცნე მამაკაცია. მან კარგად იცის, რა უნდა თქვას, რა უნდა დამალოს. ამიტომაც დასჭირდა შუშანიკს ჩასციებოდა მაცნეს: „ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყვად მისა. ხოლო წმინდა შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად"

ამ ეპიზოდში, როგორც მრავალგზის, კარგად ჩანს ფიქრებით ბრძოლა, გულში დადუმებული აზრის ამოკითხვის რელიგიური ძალის მაჩვენებელი ნიუანსები. ამ ნიუანსებს სიტყვები ძნელად მიუდგება ხოლმე. მსახურის ნათქვამი და ამ მოკლე ფრაზაში აქცენტირებული სიტყვა „ჭეშმარიტი" ერთდროულად მრავალ მნიშვნელობას ასრულებს: „ვარსქენ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი". ვხედავთ ნირწამხდარ, მაგრამ სინანულის გამომხატველ მსახურს.

როგორც ვიცით, აგიოგრაფი მწერალი მომხდარი ფაქტის განაგონმოსმენილის პირუთვნელი აღმწერია. რა თქმა უნდა, კალამს თავისი წილი ყოველთვის მოჰყვება: რაღაც ეპიზოდი, ფაქტი მკვეთრად წარმოჩინდება, რაღაც კი მოეფარება სათქმელს. გამონაგონის მომენტი ყოველი ხილული ფაქტის აღწერასაც შეეპარება. მაგრამ პრინციპი აგიოგრაფ-მემატიანისა სხვაგვარია, ვიდრე მხატვრულ გამოგონებაზე დამყარებული ხელოვნებისა. გავიხსენოთ ვარსქენის მიერ სამკაულების მოთხოვნა და დედოფლისაგან მათი დაბრუნების მოკლე ეპიზოდი. ეს ფაქტი, რომლის მოწმე და აღმწერია ხუცესი, არავითარ გაკვირვებას არ იწვევს. მისი ჩაწერა გადმოცემა, ცხადია, ყოველ განათლებულ მღვდელს შეეძლო. მაგრამ ამ ფაქტმა საოცრად განზოგადოებითი მნიშვნელობა შეიძინა. აი, ამ პატარა მონაკვეთში გამოჩნდა ორი მსოფლიო რელიგიის სულისკვეთებათა საპირისპირო ხასიათი. მასში საოცარი სიცხადით გამოჩნდა — მატერიალური გამდიდრება როგორ აღატაკებს ადამიანს სულიერად და მატერიალურ-ყოფით სინამდვილეზე ამაღლება როგორ ამდიდრებს სულს ადამიანისას.

ზოროასტრული რელიგია, რომელსაც ეზიარა ვარსქენი, ხორციელ სიამოვნებათა მთელ რიგ სახეობებს თვითონ აძლევს სანქციას. ზოგიერთი მათგანის გაგონებაც კი არ შეუძლია ქრისტიანობას. ზოროასტრელი პოეტის თქმით

"თუ ბაღონობა ლოშის ყბებშია მოთავსებული,
გადადგე თავი და ყბებიდან გამოისტაცე იგი".

ცეცხლთაყვანისმცემლობა მიწიერ კეთილდღეობისაკენ მოუწოდებს თავის მრევლს. ქრისტიანობა კი მოთმინებისა და სულიერი კეთილდღეობის, სულიერი ზეობის რელიგიაა. შუშანიკის საქციელი, პასუხი ვარსქენისადმი არის პასუხი ქრისტესი: „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა,.... რამეთუ სადაც არს საფასე თქუენი,მუნცა იყოს გული თქუენი“. (მათე, 6,19-21).

ვარსქენმა იაკობს დაავალა,“... ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს; იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მიეედ და მომართე იგი ყოველივე, რაცა არს“. შუშანიკა „განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღვანა და მივართვ პიტიახშსა“. პიტიახშმა თავისი სამკაულები უკლებლივ მიითვალა, გაიხარა და კვალად დასძინა „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.

გარდა იმ პირდაპირი მნიშვნელობისა, რაც ამ ეპიზოდში ამოიკითხება არის კიდევ სხვაგვარი მნიშვნელობაც მასში საყურადღებო. ვარსქენის წვრილმანობა, სულდაცემულობა გასაგებია, მწერალმა ეს ხომ გვიჩვენა და გვიჩვენა. ამ მნიშვნელობას მაინც არ აუქმებს მისი ჩანაფიქრის მეორეგვარი გააზრებაც. ვარსქენს ორჯერ განმეორებული თითქმის ერთნაირი ფრაზით სურს შუშანიკის ქალურ თავმოყვარეობაზე იმოქმედოს. ვარსქენის მოჩვენებითი გულგრილობა შემდეგ უფრო ცხადი გახდება. მაგრამ აქ ჩვენ ერთ მომენტს გვინდა მივაქციოთ ყურადღება.სახელდობრ, ორმაგმნიშვნელოვანი, ზოგჯერ თავსატეხ-გამოსაცნობი ნიუანსებით დატვირთულ ნათქვამებს,როცა გმირის ნათქვამი ასეც შეიძლება გავიგოთ და ისეც. ეს სტილური ნიუანსიც სასულიერო მწერლობისა ბიბლიისათვის უცნობი როდია. „სახარებაში“ თვით ქრისტეს სიტყვებიც ზოგჯერ სფინქსური ორაზროვნების შემცველია,გამოსაცნობია. იგავ-არაკის მომენტი,იგავური სტილი ბიბლიაში შემთხვევითი როდია.ჭეშმარიტება ხელის გულზე არ ძევს, მის წვდომას მარტო გულის უშუალობა კი არა, გონებაც უნდა წაეშველოს. როდესაც ქრისტეს ეკითხება ახალგაზრდა,დაიმკვიდრებს თუ არა მდიდარი კაცი სასუფეველსო, ქრისტემ თითქოს დადებითი პასუხი გასცა, მაგრამ არგუმენტით უარყოფითი შინაარსი გამოხატა: „უადვილეს არს აქლემი განსლვად ხუროელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 19,24).

„შუშანიკის წამებაში“ გვხვდება ამოსაცნობი პასუხები. კერძოდ, გავიხსენოთ შუშანიკის მიერ შენათვალი პასუხი ვარსქენისადმი: კიდევ ერთ ხერხს მიმართა ვარსქენმა, შუშანიკის დაშინება სცადა, — ჩორდს გაგზავნიო. შუშანიკი რასაც ფიქრობდა, როგორც ფიქრობდა, ისეთნაირად გულის პასუხს კი არ შეუთვლის. საგონებელში ჩაგდები სფინქსური პასუხი მიიღო ვარსქენმა. ვინ უწყის, თუ

მუნ კეთილსა რასმე შევემთხვიო და ბოროტსა ამას განვერე". რა სიკეთეს უნდა შეხვდეს შუშანიკი ჩორდს? არავითარ სიკეთეს ის არ ელოდება. მას სიკეთის თავისი გზა უკვე საესებით ნათლადა აქვს წარმოდგენილი. შუშანიკის ამ სიტყვებმა, მართლაც, სიმშვიდე დაუკარგა ვარსქენს, ამგვარი ორაზროვნების, იგავ-არაკისებრ მეტყველებაც ბიბლიური მეტყველების თანამდევი თვისებაა. „შუშანიკის წამება" დრამატული თხზულებაა. დრამატული ნიშნავს შინაგანი კონფლიქტის გამომხატველ ნაწარმოებს. თუ ეპოსი ასახავს ლაშქართა შერკინებებს, სისხლის ღვრას, როგორც ჩვენგან მოშორებულ ობიექტურ რეალობას, დრამა გამოხატავს ჩვენს სულში არეკლილი ბრძოლის პროცესს. ეპოსი გარეგან ძალთა წინააღმდეგობას გვიჩვენებს, დრამა შინაგანს, თავის თავთან წინააღმდეგობას. ეტეოკლესა და პოლინიკეს შორის ბრძოლა იმიტომაა ტრაგედიის მასალა (არისტოტელეს მაგალითი), რომ ისინის ძმები არიან. მტერმა რომ მტერს სიცოცხლე მოუსპოს, არავის გაუკვირდება. ცხოვრების ლოგიკა დარღვეული არაა. როდესაც ძმა ძმის მკერდზე მახვილს აღმართავს, ეს უფრო მძიმე ცოდვაა, ვიდრე თვითმკელელობა. მტრის დამმარცხებელი გამარჯვებით ბრუნდება სახლში. ძმის მკვლელი კი ყველა მკვდარზე უფრო მკვდარია. ძმობა ბუნებით ერთიანობაა. ოჯახი ერთი ინდივიდუალობაა; აი, ამ ინდივიდუალობის შიგნით წარმოქმნილი მტრობა არის უმაღლესი ტრაგედია. ტრაგედია დრამის სახეობაა, როცა კაცს თავისი თავი გახდომია მტრად, ხორციელ რეალობასა და შინაგან მრწამსს შორის მოურიგებლობაა, ერთ-ერთმა მხარემ უნდა დათმოს. ტრაგიკული გმირი ნიშნავს მრწამსისადმი თავისი რეალურ-ყოფითი მდგომარეობის მსხვერპლად შეწირვას.

საკუთარ თავთან ბრძოლა, თავისი ინდივიდუალობის შინაგანი ერთიანობის რღვევა-კონფლიქტი ადამიანის განცდებს ღრმა ფსიქოლოგიურობით წარმოგვიჩენს. ის არა მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რა მოხდა, არამედ უფრო მეტად იმ რეფლექსიას, გმირი როგორ განიცდის, წუხს, შფოთავს...

დაირღვა ქვემო ქართლის პიტიახშის ოჯახის, როგორც „ერთ სულ და ერთ ხორც" არსებობის ფორმა. ის, რაც მოხდა, ისტორიული ფაქტია. მაგრამ ცხოვრების შემთხვევები, ზოგიერთი ფაქტი, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ თავისით მიდის ხელოვნებაში. ცხოვრებისეული ფაქტი იშვიათად, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში თავისთავად შეიცავს იმგვარ კომპონენტებს, რითაც ხელოვნება სუნთქავს. ფაქტი თავისთავად არის ხელოვნების ფაქტი, აღმწერის ზედმეტი აქტიურობის გარეშე. როცა „შუშანიკის წამების" დრამატულობაზე ვლაპარაკობთ, ეს ფაქტი შექმნილი კი არაა, მემატიანის მიერ ფიქსირებული შემთხვევაა, დანახული სულის სამყაროს გადასახედიდან, გადმოცემული იშვიათი ლაკონურობით, ყოველგვარი ზედმეტი ხელოვნებითი ეფექტის მიზანსწრაფულობის გარეშე. შემთხვევითი არ არის მხატ-

ერული ნაწარმოების მრავალპლანიანობაზე. სხვადასხვა ფენაზე რომ ლაპარაკობენ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ამბის პლანს: იმას, რასაც აღწერს მწერალი. ხოლო სხვა ფენაა ის, თუ როგორ აღწერს. ფაქტისადმი დანახვის კუთხის შერჩევა (რა გამოტოვოს, რაზე გაამახვილოს ყურადღება), ენობრივი მხარე (სიტყვის მრავალმნიშვნელობა, ტევადობა, ხილვადობა, ეღერადობა...) აქ ჩვენ სხვა რამ გვაქვს მხედველობაში: რამდენი დასრულებული რომანისა თუ დრამის ბადალი ამბავი გადმოუცია მშრალად მთხრობელ მემატიანეს. ხანდახან ბუნების ქმნილებებში შეეხედებით იმგვარ მშვენიერებას, მაინცდამაინც კაცის ნააზრევსა და ნახელავს რომ ჰგავს. მაგრამ მათი მშვენიერების ავტორი თვითვეა ბუნება. იმასაც დავსძენთ, მას ვერც ერთი გენიოსი ასე ვერ შექმნიდაო., რელიგიურსა და მხატვრულ მიჯნებზე რომ ვლაპარაკობთ. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, ავტორმა შექმნა ფაქტი, თუ ფაქტმა აღაწერინა თავი. ავიოგრაფი მწერალი არის მემატიანე მომხდარი მოვლენისა. „შუშანიკის წამებაში" მოქმედების ამსახველი სურათების დიდი წილი შექმნილ-შეთხზული არაა. ავიოგრაფი მწერლის, რელიგიური ფანტაზიის გარკვეულ უპირატესობაზე, რასაც თეოლოგები ამტკიცებენ, ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეს იყო ისტორიულად მომხდარი ფაქტი, რომელსაც თავისი მხატვრული დრამატული ღირსება არასოდეს მოაკლდება. ეს იყო ფაქტი, რომელიც ისტორიისათვის აღმოჩნდება ტიპიური. საუკუნეები იცვლებოდა და დიდ რწმენით სიმტკიცესა და მოღალატეობას შორის ბრძოლა ცხოვრების შინაარსს შეადგენდა. ამ ფაქტში, ცხოვრების უღრმესი პრობლემა წარმოჩინდა. ამიტომაცაა იგი განზოგადებითი მნიშვნელობისა."ერთ სულ და ერთ ხორც" არსება, ინდივიდუალობა გაიხლიჩა ორი მსოფლიო რელიგიის შინაარსით, ღალატისა და ერთგულების, სიმტკიცისა და სისუსტის პოლარულ მხარეებად. ამიტომაც აღმოჩნდა „შუშანიკის წამება" ეგოდენ დიდი დრამატურგიული პერსპექტივის ნაწარმოები.

ამ დრამატული კონფლიქტის სიღრმე და სივრცე გაკვირვებას იწვევს. ვარსქენის ღალატი რიგითი კაცის ღალატი როდია. ერისთვის, ქვემო ქართლის გამგებლის ღალატი გაცილებით დიდი დიაპაზონისაა. ეს დიდი ძალის დასუსტებაა ქვეყნისა. მაგრამ საპირისპიროდ იზრდება ძალა წმინდანისა. სულიერი ძალა მატლებდახვეულ სხეულში ზეცის სახელით ლაპარაკობს. მისადმი შიში და კრძალვა, სიყვარული და იმედი მატულობს. წმინდანი მორწმუნისათვის ნიშნავს ღვთისაგან გამორჩეულს, ზეცის მადლით მოსილს, რომელსაც ესმის ღვთისა, რომელსაც უსმენს ღმერთი, სულიერ-ხორციელი ბრძოლა აქ იშვიათი ფარდობით წარმოგვიდგება. „ბოროტსა სძლია კეთილმან..." -- ეს აფორიზმი კ. კეკელიძის თქმით, სასულიერო მწერლობის მიმართაც გამოდგება. ოღონდ აქ სულ სხვა შინაარსით.

სულიერი ამარცხებს ხორციელ ბოროტებას. ერთის მხრივ, ქვემო ქართლის პიტიახში, გარშემორტყმული ღაშქრით და ძალმოცემული სპარსეთის იმპერიის ძლიერებით, მეორეს მხრივ, ნაზი არსება, რომელსაც სასტიკი ფიზიკური წამების მიმართ დამცინავი ღიმილი არ შორდება. ამ ბრძოლის განვითარება, გზა ცხოვრებისა და თვით ნაწარმოების ფინალისაკენ, საოცარი ხილვითაა ნაწარმოებში ასახული. ცოფმორეული მბორგავი, ბნელი ხორციელი ძალა როგორ თანდათან სუსტდება, ვერ აღწევს რა საწადელს. ხოლო შუშანიკს მწერალი გვიჩვენებს როგორც ზეცისაკენ მიმავალ ნათელს სულს... ე.ი. მიწაზე მიმდინარე მოქმედების აღმწერი, ფაქტის აღმწერ — მთხრობელი გაკვირვებას არ იწვევს. მაგრამ რელიგიური მოაზროვნეების პოზიციიდან არის ერთი საყურადღებო თვალსაზრისი. ის, რაც შუშანიკის სულში ხდება. მას ვერ მისწვდება მწერლის ფანტაზია. მისი გრძნობა-წარმოსახვა სულის სამყაროთი აღსილ პიროვნებას ძალუძს. იგი ღვთის შთაგონებით, ღვთის გამოცხადებით დაინახება. მისთვის მხატვრული ქსოვა სურათისა საჭირო არაა. ესაა ზეცის, სულის გაცხადება, სულის გარდმოფენა ადამიანის სულში. ამიტომაც ამბობენ, რომ ქრისტიანობა ღვთაებრივს ხედავს ცნობიერებაში და არა ცხოვრებაშიო...

რაც შეეხება ადამიანის სულის სიღრმეში მიმდინარე პროცესების დანახვას, აქ იაკობ ცურტაველს საერო მწერალი ვერ შეედრება, ისე მეგობრობს მას უხილავი ფენომენისათვის ადეკვატური სიტყვა, ძალიან ძნელად დასაჭერი, სულში გაელვებული ნიუანსის დაჭერის მადლი. ანდა გავიხსენოთ მისი მგალობელი ეპითეტები, ხორციელად ხრწნილი, მატლებდახვეული დედოფლის სულიერ სილამაზეს რომ გვიხატავს. აქ ხომ ცურტაველის ქართული, მართლაც, საარაკოა. „... ექვსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა, და წესიერებითა საღმრთოთა ყვაოდა: მარხვითა, მარადის მღვიძარებითა, ზედგომითა, თაყვანისცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთათა მოუწყინებელად. განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა". და მაინც, რამდენიც უნდა ეცადოს ქრისტიანული მოძღვრება სულისა და ხორცის საუფლოების გამიჯვნას, მათი გახლეჩა, მათი გამყოფი ზღვარის პოვნა არც რელიგიურ, არც მხატვრულ ფანტაზიას არ ძალუძს. ასახული მოქმედება, ცხოვრების ფაქტის ერთგვარად პირდაპირი გადატანა თხზულებაში მემატიანის პირუთვნელობით, იმის მიზეზიც ხდება, რომ აქ თავს იჩენს ისეთი მხატვრული მომენტებიც, რომელსაც ეკრძალვის აგიოგრაფია.

ეკლესია სასულიერო ცხოვრების წიაღში კრძალავდა სიცილს. თუმცა ზოგიერთი თეოლოგი მიუდგომებს ქრისტეს მახვილ იუმორზე. ვერ ვიტყვით, „შუშანიკის წამება" თითქოს არღვევდეს აგიოგრაფიული ნაწარმოების ნორმებს, უბრალოდ, მომენტების სახით აქ გაიელვებს იუმორისა და სატირის ნაპერწკალი, მხოლოდ ნაპერწკალი.

თანაგრძნობის, სევდის თანმხლებ ღიმილს იმსახურებს მხდალი დიაკონი, რომელსაც სურს „ღვთის მოშიში", კაცის და ქვეყნის წინაშე კი უშიში შუშანიკის გამხნევება. „მტკიცედ დეგ!" -- უნდოდა ეთქვა დიაკონს. მაგრამ ვარსქენის მრისხანე მზერას რომ წააწყდა, ესღა თქვა: „მტკი...". სხვა შემთხვევაში, უფრო სატირულ-გამკიცხავი კილო იპყრობს ყურადღებას. როდესაც შუშანიკი ვარსქენმა საპყრობილეში მიიყვანა, ბნელ დილეგში მოათავსა, შუშანიკმა თქვა: „მე ამას მხიარული ვარ, რათა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო". პიტიახშის პასუხია: „ჰე, ჰე, განისვენე!" დაცინვის გესლის ნთხევას, დაცინვაში გაწბილებული კაცის გაგულისებას გვიჩვენებს ეს ფრაზა. საპყრობილეში ექვსი წლის ყოფნის შემდეგ პიტიახშმა კიდევ ერთხელ მიუგზავნა მოციქულად ძუძუმტე შუშანიკს, ამჯერად წელგატეხილი კაცის სიტყვებით ევედრება ვარსქენი შუშანიკს: „... ნუ აოხრებ სახლსა მას თქვენსა". შუშანიკმა ექვსი წლის წინათ ნათქვამი სიტყვები შეახსენა პიტიახშს, გესლიანად რომ უთხრა დილეგში ჩამწყვდევის ჟამს: „... ცოცხალი არღარა გამოსვლად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ". შუშანიკმა ამ სიტყვებს მართლა დამცინავი პასუხი გასცა: აწ უკეთუ შემძლებელ ხარ მკვდარსა აღდგინებად, პირველად დედა შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს".

„შუშანიკის წამებას" მაღალმხატვრულ გააზრებას ანიჭებს სიყვარულის ასე რეალისტური დანახვა. სიყვარული, როგორც ქალის და მამაკაცის ტრფობა, იმდენად გაკეთილშობილებულია ქართული პოეტური ხედვით, რომ ეს სიტყვა არ გვემეტება უგვანო კაცისათვის. სიყვარულის ის სახეობა, რომელსაც რომანული ჰქვია, არ არის ოდენ ზნეობრივი მოვლენა. სიყვარული უწინარეს სიცოცხლის ნიშანია და მერე ზნეობისა. ვარსქენს უყვარს თავისი ცოლი. რა ვუყოთ, ვარსქენი რომ ვარსქენია და არც სიყვარულს გამოხატავს შესაბამისი ფორმით. სიყვარულის გამო უნაზესი მეუღლე რომ ქმარს სიცოცხლეს გამოუსალმებია, ეს არის სწორედ ამ გრძნობის საკვირველება და ხელოვნების ერთი უაღრესად საინტერესო თემაც. ჰონთა ბრძოლიდან დაბრუნებული ვარსქენი ეკლესიას მიაკითხავს. მისგან გვემული და შეურაცხყოფილი ცოლი მოიკითხა, ეპისკოპოს აფოცს მიმართა: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?!" ესაა, შეიძლება ითქვას, ფრაზაში ჩატეული, ფრაზაში აღმოთქმული რომანი. მწერალი საოცარი პირდაპირობით გადმოგვცემს ამბავს, არ იფარებს ხელებს არც თვალებზე, არც ყურებზე. ამ მხრივ მართლაც, ყურადსაღებია აგიოგრაფი მწერლის მწერლური ოსტატობა.

როდესაც იაკობ ხუცესის ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ, ამბის, ფაქტის სიუჟეტურ, შინაარსობრივ მხარეზე კი არა, ხილვის, დანახვის და ენობრივ გაწაფულობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ აღზრდის ეტიოდის შესახებ

„სიბრძნე სიცრუისას“ აღზრდის მეთოდს, ხშირად სპარტანულს უწოდებენ ჩვენ კი მიგვაჩნია რომ აღზრდის ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებად ჰგავს სპარტანულს და უახლოვდება აღზრდის იმ წესს, რომელიც ფრიად შექებულია ქსენოფონტეს, ჰეროდოტეს, პლატონის,მონტენის,ჰეგელისა და სხვების მიერ. ვიდრე ამ მეთოდს განვიხილავდეთ, მანამდე ვნახოთ, თუ რამ გამოიწვია სპარტანული აღზრდის ასოციაცია.

უფლისწულ ჯუმბერის პერსონალნალური მასწავლებელი ლეონი ჯუმბერს მრავალ სიძნელეს განაცდევინებს. ლეონმა უფლისწულს ჯერ მერიქიფეობა დააკისრა, „არც დასვა და არც აჭამა“. ფეხზე დგომისაგან ჯუმბერი ისე დაიქანცა,რომ „ქვე დაეცა და შეწუხდა“. სანადიროდ მიმავალმა, ცხენზე ამხედრებულმა ლეონმა უფლისწული წინ წარიმძღვარა, „მთათა და გორათა არბენინა“. ლეონმა ჯუმბერი უმიზეზოდაც გაროზგა. ერთი სიტყვით, მისი მიზანია უფლისწულმა იცოდეს ცხოვრების, შრომის ფასი, ე.ი. პრაქტიკული გამოცდილებებით შეიცნოს სიკეთე.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის მიზანია ჯუმბერისათვის სიკეთის გრძნობის აღზრდა. მიზანია სიკეთე. რაც შეეხება წრთობის საშუალებებს,იგი, მართალია, ფიზიკურსაც მიმართავს, მაგრამ აქ ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობაზე არა გვაქვს ყურადღება გამახვილებული. აქ უფრო ფიზიკურ-შრომითი წრთობა გვაქვს, განსხვავებით ათენური ან სპარტანულისაგან. ცნობილია, თუ რა ზიზღით იყვნენ ათენელები და სპარტანელები შრომისადმი განმსჭვალულნი, რადგან შრომა ძველ საბერძნეთში მონების საქმედ იყო მიჩნეული. ათენელი და სპარტანელი, თავისუფალ ადამიანებად წოდებულნი, იწვრთნებოდნენ გიმნასტურად, რომლის მიზანი იყო ათლეტიზმი. თუმცა არისტოტელეს მიაჩნია,რომ ხშირად ეს ათლეტიზმი ამახინჯებდა სხეულს. ლაკედემონელებს, ე.ი. იგივე სპარტანელებს არ მოსვლიათ ასეთი შეცდომა, მაგრამ მათ უარესი მოუვიდათ. ეს მკაცრი სამხედრო ფიზიკური წრთობა, არისტოტელეს თქმით, პირუტყვულ უშიშროებას ანვითარებდა მათში.

სპარტანულ აღზრდას ჰქონდა თავისი ბრწყინვალე ღირსებები. ეს იყო სიმტკიცე, სამშობლოსათვის, სახელმწიფოსათვის ერთგულება, მაგრამ, როგორც ცნობილია, სპარტანულ აღზრდაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა ზნეობრივ აღზრდას.

მართალია, „სიბრძნე-სიცრუისაში“ ჯუმბერის სხეულებრივ წრთობაზეცაა ლაპარაკი, მაგრამ ესთეტიკური წრთობა აქ მიზანი არაა. ფიზიკური წრთობა შეიძლება იყოს შრომითი ფიზიკური პროცესი, რომლის მიზანია არა თვით ფიზიკური შრომა, როგორც ასეთი,

არამედ ფიზიკურ-შრომითი გზით სიკეთის პრაქტიკული გაგება. ე.ი. ასეთი წვრთნა ეთიკური პრინციპების კუთვნილებაა,რადგან მისი მიზანია ზნეობა. სიკეთე, ფიზიკური წვრთნა, შეიძლება იყოს სპორტული, გიმნასტური წვრთნა, სხვანაირად მას ათლეტიზმსაც უწოდებენ. აქ უკვე ესთეტიკა ბატონობს, რადგან ათლეტიზმის მიზანია სხეულის ფიზიკური ძალის სილამაზე. ათლეტიზმი თუ თვითმიზნურია და არ ხელმძღვანელობს ესთეტიკური პრინციპებით, მაშინ ეს ნიშნავს უხეში ფიზიკური ძალის გამომუშავებას. მხატვრული, გიმნასტური წრთობა, ესთეტიკურად წარმართული ათლეტიზმი დამახასიათებელი იყო ძველი ათენელებისათვის, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, სპარტანული აღზრდა არც ზნეობრიეს განეკუთვნება და არც სპორტულ-ესთეტიკურს, ეს არც შრომითი გზით სიკეთის აღზრდა იყო და არც სილამაზის პრინციპებით სხეულის ათლეტიზმის გამომუშავებას ნიშნავდა. თუმცა ამ უკანასკნელისაგან არც ისე შორს იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სპარტის კანონები დიდი კაცის მიერ, ლიკურგის მიერ იყო შედგენილი, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ათენის სახელმწიფოს კანონებს.—თუკიდიდესთან ათენელები ეუბნებიან სპარტანელებს: „თქვენს კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს არაფერი აქვს საერთო სხვების კანონებთან და ზნე-ჩვეულებებთან. ამასთან, როდესაც გამოჩნდებით საზღვარგარეთ, თქვენ არ იქცევით არც თქვენი კანონებისა და ზნე-ჩვეულებების, და არც ძველ საბერძნეთში მიღებული კანონებისა და ზნე-ჩვეულებების მიხედვით“.[1]

ათენის სახელმწიფო, როგორც ცნობილია, მშვენიერებისათვის არსებობდა, მაშინ როცა სპარტაში აბსტრაქტულ, მკაცრ სათნოებასთან გვაქვს საქმე. პლუტარქედან მოდის ცნობილი ამბავი სპარტანელი ბიჭის ნებისყოფის საარაკო სიმტკიცეზე, რომლსაც მოსასხამის ქვეშ დამალული ჰყავდა მოპარული მელია. მელიამ კბილებითა და ბრჭყალებით გამოფატრა მას მუცელი, მაგრამ ბიჭი მანამდე მტკიცედ იყო, ვიდრე არ მოკვდა.

მართლაც, ხშირ შემთხვევაში მომხიბვლელია სპარტანული სიმტკიცე. ჟან-ჟაკ რუსოს, „ემილში“ სპარტანელი ქალის სიმტკიცის ასეთი მაგალითი მოაქვს. ლაკედემონელმა დედაკაცმა ბრძოლის ველზე ხუთი შვილი გაგზავნა. როდესაც დაბრუნებულ შიკრიკს მან ამბავი ჰკითხა, შიკრიკმა უთხრა — ხუთნივე დაიხოცნენო. გმირი დედა განრისხდა: — უგუნურო მონავ, მე ამას როდი გეკითხები, გეკითხები, როგორაა ბრძოლის საქმეო. როდესაც ამ ქალმა გაიგო, რომ მისი სამშობლო იმარჯვებს, სამადლობელი შესწირა ღმერთებს.

1 ციტირებულია წიგნიდან: Гегель, Философия истории, М-Л,ст.248.

რა საოცარი დამთხვევაა სანათას სიტყვებთან:

„ვგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსი მჭერხედა;
ოუ ამას გაიგონებდი,
არ ეიწირებდი მკვდრებზედა;
იმავ დღეს,შვილო,დედილამ,
ჭრელ ჩავიცომდი კაბასა...“

სპარტაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ქალების აღზრდის საქმეს. მართალია, არისტოტელეს მიაჩნია, რომ ლიკურგმა, სპარტის ლეგენდარულმა კანონმდებელმა, თითქოს უარი თქვა ქალებისათვის აღზრდის კანონების დაწესებაზე, რადგან ეს უნაყოფო საქმედ მიიჩნეოდაო. მაგრამ პლუტარქი არ ეთანხმება არისტოტელეს. მისი აზრით, ქალებიც ისეთივე სიმტკიცის პრინციპით იზრდებოდნენ სპარტაში, როგორც ვაჟები. ქალიშვილს სჯიდნენ იმისათვის, თუ მისი სატრფო შედრკებოდა შიშისაგან. პლუტარქე მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც ყმაწვილი შეხტა შიშისაგან და ხელი წაავლო მის გვერდით მყოფ მეგობარს, სახელმწიფომ დააჯარიმა მისი შეყვარებულიც.

რაც შეეხება სინდისის და კეთილშობილების სპარტანულ გაგებას, ის ამ მხრივ დღეს გაკვირვებასაც იწვევს, მაშინ როცა „სიბრძნე-სიცრუისას“ მორალი უაღრესად თანამედროვეა. სპარტაში, მოხუცები ჩაერეოდნენ ხოლმე ბიჭუნების კინკლაობაში, აქეზებდნენ და აჩხუბებდნენ მათ. სპარტანული აღზრდის ერთ-ერთი საშუალება იყო ქურდობა. ჭაბუკები უკვე თორმეტი წლიდან შეიპარებოდნენ ბოსტნებში, მამაკაცთა სადილებზე და ვაი მას, ვისაც წაასწრებდნენ. საძრახისი იყო არა ქურდობა, არამედ ის მოუქნელობა, რატომ წაგასწრესო (ასეთ შემთხვევაში ქურდს ნაქურდალის მხოლოდ წილი დარჩებოდა, სხვათა შორის, ასეთი კანონი არსებობდა ძველ ეგვიპტეშიც).

ერთი სიტყვით, სპარტანული აღზრდა იყო წმინდა „სამხედრო-ფიზიკური“. აქ არც უფლისწულებზეა ლაპარაკი და საზოგადოდ, არა გვაქვს აღზრდის ერთპიროვნულ-ინდივიდუალურ მეთოდებზე ლაპარაკი. სპარტანელი ბავშვები იზრდებოდნენ კოლექტიურად, ბანაკებში, რაზმებად დაყოფილი. ისე, კი ფიზიკური წვრთნა, რა თქმა უნდა, არც სპარტის და არც ათენის განსაკუთრებული თავისებურება იყო.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“-ში არსად არ გვაქვს ლაპარაკი ჯუმბერის სპორტულ-გიმნასტურ, ან სამხედრო-ფიზიკურ წრთობაზე. ესაა სიბრძნის წრთობა პრაქტიკიდან; რათა უფლისწულმა გამოიმუშაოს სინამდვილის გრძნობის რეალისტური უნარი. პრაქტიკული სიბრძნე, ან პრაქტიკული გონება ფილოსოფიაში ორგვარადაა გაგებული: ერთ შემთხვევაში იგულისხმება — როცა

აზრი გადადის პრაქტიკაში, მეორე შემთხვევაში კი აზრი იქმნება პრაქტიკიდან. ამიტომ საბა ორბელიანის ის ყოფითი პრაქტიკული ილეთები მიზნად ისახავს სიკეთის გრძნობას და ცნობას.ათენში ან სპარტაში გონებრივ აღზრდაში ინტელექტუალური მიზანი იგულისხმებოდა და არა ზნეობრივი, ე.ი. იგულისხმებოდა განათლება ფილოსოფიური, მუსიკალური და ა.შ.ამ სახით ინტელექტუალიზმზე არა გვაქვს ჩვენ საბასთან ლაპარაკი „... გამორკეული არ არის აგრეთვე ისიც, -- წერს არისტოტელე „პოლიტიკის“ VIII წიგნში, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება-ინტელექტუალური უნარის თუ ზნეობრივი თავისებურების განვითარებაზე“! „სიბრძნე-სიცრუისაში“ კი გვაქვს პრაქტიკული სიბრძნის შეძენის უაღრესად საინტერესო სურათი, უაღრესად ანგარიშგასაწევი პედაგოგიური თვალსაზრისი მსოფლიო პედაგოგიური აზროვნების მასშტაბით.

რაც შეეხება პლატონის პედაგოგიურ მოძღვრებას, იგი წარმოადგენს იდეალური სახელმწიფოს და არა რეალური სახელმწიფოს სურათს. პლატონისათვის ადამიანის ღირებულება მის გონიერებაში, იდეებთან თანაზიარობის უნარში მდგომარეობს. ამიტომ მისი მიზანია ფილოსოფიური სიბრძნით აღზრდილი ხელმძღვანელი, გამგებელი სახელმწიფოსი. ქვეყანას ფილოსოფოსი უნდა განაგებდეს, რომელმაც იცის ყოველ მოვლენათა არსებითი მხარე, სათნოებათა ფასი. ფიზიკურ-გიმნასტური წრთობის თვალსაზრისით პლატონი სპარტანულისკენ იხრება, მაგრამ მისი აღზრდის პრინციპი ძირითადად ათენურ აღზრდას ეფუძნებოდა. თუმცა პლატონისეული იდეალური აღზრდის პრინციპები ორივესგან განსხვავდებოდა.

სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის, წვრთნის მეთოდი, თუნდაც ანტიკურ სამყაროში, გაცილებით მეტად შეიძლება დაუკავშიროთ სხვა მოძღვრებებს, ვიდრე სპარტანულს. ვნახოთ, თუ რომელ მეთოდს უახლოვდება, ჩვენის აზრით, სულხან-საბა ორბელიანის მეთოდი.

ქსენოფონტეს მიხედვით, სხვადასხვა სახელმწიფოში შვილებს მშობლები ზრდიან. როცა შვილები წამოიზრდებიან, ეწევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამის შემდეგ თუ ისინი ჩაიდენენ ქურდობას, მძარცველობას კანონის მიხედვით ისჯებიან. მაგრამ უფრო ჰკვიანურად მიაჩნია მას სპარსული აღზრდის პრინციპი.ამ პრინციპის მიხედვით ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ შემდგომში საერთოდ გამოირიცხოს დანაშაულზე ლაპარაკი.

„...სპარსული კანონების მიხედვით სიფრთხილე წინასწარაა საჭირო, რომ შემდეგ საზოგადოებაში აღარ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ მიდრეკილება უწესო და სამარცხვინო საქმეებისადმი. ამ განწყობილებას ისინი ბავშვობიდანვე ქმნიან განსაკუთ-

რებული სახით"[1], ჰეროდოტე სპარსული აღზრდის შესახებ გვიამბობს: „ბავშვებს ხუთიდან ოც წლამდე ასწავლიან სამ რამეს: ცხენოსნობას, მშვილდოსნობას, სამართლიანობას. ხუთ წლამდე მამას ბავშვს არ უჩვენებენ. ბავშვი ქალებთანაა, ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვის მცირეწლოვან ასაკში სიკვდილის შემთხვევაში მამას გული არ დასწყვიტონ"[2]

მ'შელ მონტენი წერს: „ქსენოფონტეს მონათხრობიდან სპარსელების მიერ ბავშვების ბრწყინვალე აღზრდის შესახებ, ჩვენ ვგებულობთ, რომ ისინი ასწავლიდნენ მათ სიკეთეს, მაშინ, როცა სხვა ხალხები ასწავლიდნენ ბავშვებს მეცნიერებას. პლატონი ამბობს, სპარსელი მეფეების უფროსი შვილები იზრდებოდნენ შემდეგნაირად: ახალდაბადებულს აძლევდნენ არა ქალებს მოსავლელად, არამედ იმ საჭურისებს, რომლებიც თავიანთი სიკეთის გამო მეფის ოჯახის კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ. ისინი თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ ბავშვის სხეული ყოფილიფო ლამაზი და ჯანმრთელი. რვა წლისას ასწავლიდნენ ცხენოსნობას და ნადირობას. როდესაც ბიჭს შეუსრულდებოდა თოთხმეტი წელი, მას გადასცემდნენ სამეთვალყურეოდ ოთხ აღმზრდელს: ყველაზე ბრძენს, ყველაზე სამართლიანს, ყველაზე ზომიერსა და ყველაზე წარჩინებულს მთელს ქვეყანაში".[3]

კიდევ ერთი ავტორიტეტიც: „სპარსეთში, — წერს ჰეგელი, — ძალიან ზრუნავდნენ პრინცების, განსაკუთრებით კი ტახტის მემკვიდრის აღზრდაზე. შვიდ წლამდე მეფისწულები ქალებთან რჩებოდნენ და არ ეჩვენებოდნენ მეფეთ. შვიდი წლიდან ისინი იწაფებოდნენ ნადირობაში, ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში და სწავლობდნენ ეთქვათ სიმართლე. არის აგრეთვე მითითება, რომ პრინცს ასწავლიდნენ ზოროასტრის მაგიას. ოთხი უკეთილშობილესი სპარსი ზრდიდა პრინცს „[4]

პედაგოგიკის ისტორიაში არ არსებობს ისეთი პედაგოგიური ხერხი, მეთოდი, რომელსაც მსგავსი მონათესავე მეთოდები არ გააჩნდეთ, სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის მეთოდიც არ არის რაღაც უცნაური, ვერავისთან მისამგვანებელი, მაგრამ იგია უაღრესად ორიგინალურად, მხატვრულად განსახიერებული თვალსაზრისი, რომელსაც დიდი დარბაისლური ჰკუის ბეჭედი აზის.

სულხან-საბა ორბელიანმა აღზრდის უნივერსალურ მნიშვნელო-

---

1 Ксенофонта Философа и полководца славного история о старшем Кире, Санктпетербург, 1759 г. стр. 5.

2 Геродом, История в девяти книгах, Ленинград. 1972 г. стр. 55

3 Мишель Монтень. Опиты,III,М-Л, 1958 г.ст 181

4 Гегель, Философия истории, М-Л, 1953 г. ст. 178.

ბაზე იმდენად გაამახვილა ყურადღება, რომ მას არ დაუსვამს საკითხი აღსაზრდელის ბუნებრივი მონაცემების შესახებ. ამის თაობაზე შემდგომში გვეტყვის აკაკი წერეთელი:

„მაგრამ მარტო ცვრისნი რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა.“

რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანს საკითხის ეს მხარე არ სჭირდებოდა, ეს მისთვის იგულისხმებოდა, თუ აღსაზრდელს, როგორც იტყვიან, სანამყუნე რტო არ გააჩნია, მაშინ ამაოა ყოველი გარჯა. გენიალური აღსაზრდელი და გენიალური აღმზრდელი—ასეთი თანამთხვევის იდეალური ფაქტად ისტორია მიიჩნევს ალექსანდრე მაკედონელისა და არისტოტელეს მოწაფეობა-მასწავლებლობას.

სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის თვალსაზრისი იმდენად ღრმა და ზოგადკაცობრიულია, რომ დღეს ყოველი პროგრესიული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ წმინდა პედაგოგიური მოძღვრებანი თავიანთ აღმოჩენებად თვლიან იმას, რომ ადამიანი ბუნებრივი არსებაა და მას ბუნებრივი გზით წრთობა სჭირდება. შრომითი წვრთნით ვიგრძნობთ ბუნების პულსს, ადამიანის სუფთა გულისძგერას — ასეთია დღეს აღზრდის უმთავრესი პრინციპი.

ხიბლი არაკად თქმისა

იგავარაკული ჟანრი უძველესი და უაღრესად საინტერესო სახეა ხელოვნებისა.

როგორც ზოგ სხვა ენაზე (ვთქვათ, რუსულ, გერმანულ...), ქართულადაც ორი სიტყვა გვაქვს ერთი და იმავე მოვლენის აღმნიშვნელად — იგავი და არაკი.

ჰეგელი ასხვავებს ერთმანეთისაგან იგავისა და არაკის მნიშვნელობას, მაგრამ ესაა არა ენობრივ-სემანტიკური განსხვავება, არამედ ორი ცნების შეპირისპირება: იგავსა და არაკს ჰეგელი ნათესაურ ცნებებად მიიჩნევს და არა სინონიმებად: „ამასთან ერთად არაკი განსხვავდება იგავისაგან იმით, რომ ეძებს შესაბამის შემთხვევებს არა ბუნებისა და ცხოველთა სამყაროში, არამედ ადამიანურ ქცევებსა და მოქმედებაში“.

მიუხედავად ზემოაღნიშნული განსხვავებისა, ენობრივი, ფილოლოგიური პრაქტიკა იგავსა და არაკს, არსებითად, სინონიმურ ცნებებად მიიჩნევს. ასეთი სურათი გვაქვს გერმანულ-რუსულ, რუსულ-ქართულ, დალისა და სხვათა ლექსიკონებში... ყოველ შემთხვევაში, ეს ლექსიკონები იგავსა და არაკს შორის განმასხვავებელ ნიუანსებზე არ ამახვილებენ ყურადღებას, განსაკუთრებით კი ქართულ ლექსიკონებში გვაქვს მათი სრული იდენტიფიკაცია.

უდავოა, რომ იგავარაკული ჟანრი სიმბოლური სახეა ხელოვნე-

ბისა. მაგრამ ამით ჯერ კიდევ ცოტა რამ ითქვა. „სიმბოლური“ იმდენად ელასტიურია, რომ მასში ნაირ-ნაირი შინაარსი მოიაზრება. სიმბოლურ მოვლენად შეიძლება მიეიჩნიოთ, საზოგადოდ, მთელი ხელოვნება — ასეთი თვალსაზრისიც არსებობს ესთეტიკაში: სიმბოლო ნიშნავს მოვლენის საკუთრივი ნიშნით გამოხატვას. თუ ხელოვნებამ მოვლენა თავისივე პირდაპირი ნიშნებით დაგვისურათა, საქმე გვექნება ფოტოგრაფიულ და არა ხელოვნებით ასახვასთან. სიმბოლური თავისთავად გულისხმობს გადატანით ნიშანს. იგავარაკული ჟანრი კი ერთი გამორჩეული და თავისებური სახეა სიმბოლური ხელოვნებისა.

იგავარაკული მეტყველება გულისხმობს ნიშანთა ისეთ გადატანას, როდესაც ფორმა და შინაარსი გამხელილ შეუგუებლობას წარმოგვიდგენს. დათვი, რომ სიტყვებს ვერ წარმოთქვამს, ამ „ვერ-თქმით“ მოცემულია შესაძლებლობა-შეუძლებლობას შორის ფანტაზიის თამაში. ამიტომაც იგავარაკული წარმოსახვა თავის ფუძეშივე ღიმილს ატარებს, ეს რაც შეეხება ფორმას. იგავური მეტყველების მიზანი შინაარსობრივად ყოველთვის გულისხმობს ჰკუის დარიგებას, ბრძნულ შეგონებების ქადაგებას. ამგვარ სიბრძნეს კი გამოხატვის ორიგინალური, იგავარაკული ფორმა ესადაგება. ხიბლი ამგვარი მეტყველებისა-გამოცანის ასპექტი — გამოცნობა, ამოხსნა არის იგავარაკული ჟანრის მხატვრულობის ის ნიშანი, რაც მიმზიდველს, შემაქცევარს ხდის ამბავს.

ბავშვი რომ წყლის ზედაპირზე კენჭის ჩაგდებით წრეებს აჩენს (ჰეგელის მაგალითია), იგი სახეგაბადრული აკვირდება თავის ნამოქმედარს. აქ, ცხადია, რაიმე დასრულებულ, ხელოვნების დონეზე გამოხატულ ფაქტთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ მასში ჩანს ის მისწრაფება, რაც ყოველ ადამიანშია, ვითარცა ნაპერწკალი შემოქმედებისა. აქ ჩანს უფრო შემოქმედებითი, ვიდრე მოქმედებითი თავმოყვარეობა: ბავშვს უხარია, რომ არსებულ სინამდვილეში მან თავისებური სიახლე შეიტანა. ე.ი. ადამიანი მხოლოდ სინამდვილის ქვემდებარე, აღმსრულებელი პერსონაჟი როდია, იგი ავტორიცაა სინამდვილისა. ახლა მეორეგვარი სიხარული გავიხსენოთ: ევრიკა, ევრიკა, სიხარულით რომ წამოიძახა არქიმედემ. ან პითაგორას სიხარული, ხარი რომ დაუკლა ღმერთებს აღმოჩენის გამო. აღმოჩენები მეცნიერული გონების სტიქიაა, სინამდვილის ახლებურად წარმოსახვა კი — ხელოვნების. ახლა ჩვენ მივუახლოვდით იგავარაკული ჟანრის სპეციფიკას. იგი მართალია, ხელოვნებას განეკუთვნება, მაგრამ აქვს რაღაც ისეთი ნიშან-თვისებებიც, რაც ხელოვნებისაგან განსხვავებულ სფეროსაც გვაახლოებს, კერძოდ, ფილოსოფიასთან, დიდაქტიკურ ფილოსოფიასთან.

იგავარაკული ჟანრი ზოგჯერ ქადაგების სახეს იღებს, მოსაწყენი და მდორეც გვეჩვენება, რადგან ყოველი ამბაიი გამიზნულ სიბრძნეს

ექვემდებარება, აკლია ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დინამიკურობა, ემოციურობა, ფსიქოლოგიურობა, მაგრამ სხვაგვარი ანდამატი აქვს იგავს, როცა იგი ამოსაცნობს ხდის სიბრძნეს. სიბრძნეც იმითაა მომხიბვლელი, რომ ადვილად მისაწვდომი არ არის, ყველა ვერ ეზიარება მას, რადგან იგი მოვლენათა ზედაპირზე არ ძევს. ამოცნობა ესთეტიკურ სიამეს ანიჭებს სუბიექტს, რადგან მასში ზეიმობს გონების სისხარტე,მოქნილობა. „გონების ცბიერება", განსხვავებით ნამუსის ცბიერებისაგან, მამშვენებელი პიროვნული თვისება გახლავთ.

იგავთმწერალი ცდილობს ადამიანური ცხოვრების შესახებ არა მხოლოდ საგულისხმო აზრი დაიჭიროს, არამედ — რაც შეიძლება სხარტი, „ეშმაკური", მოხერხებული სურათი შექმნას. ახალი ეპოქის მწერლები ხშირად სატირულ-იუმორისტული ეფექტისაკენ ისწრაფვიან — რაც უფრო სასაცილოდ იქნება სურათი ნაჩვენები, მით უფრო მეტი იქნება მისი მხატვრული ღაზათი.

მაგრამ იგავ-არაკს სხვა ფუნქციაც გააჩნია. ესაა საილუსტრაციო მნიშვნელობა. მკითხველის მოხიბლა ამბის გადმოცემის ოსტატობის მხრივ მიზანს არ წარმოადნენდა რელიგიური მწერლობისათვის. რელიგიური მიზანი ამოძრავებდა და არა ესთეტიკური, მაგრამ დღეს ისტორიამ მას სხვა გვარი თვალითაც შეხედა, სახელდობრ, სახარების არაკებიც მხატვრული ინტერესით აღიქმება. ეს არაკები, როგორც ამბები, ძალიან ღარიბია, მარტივია. გარეგნული ეფექტი არც შეიძლებოდა ჰქონოდათ მიზნად სახარების ავტორებს. აქ არაკებს წმინდა საილუსტრაციო ფუნქცია აკისრია, რაც თვით სახარებაშივეა ახსნილი.

მართალია, იგავ-არაკი ძირითადად მეტყველების ფორმაა, მაგრამ იგავარაკულია თავისი არსით სიმბოლური ხელოვნების მთელი რიგი ნიმუშები, არქიტექტურულ-სკულპტურული ქმნილებანი. ყველაზე სიმბოლური გამოხატულება თვით სიმბოლური ხელოვნებისა არის სფინქსი. სფინქსური ორაზროვნება არის სწორედ იგავარაკული ჟანრის, გამოცანის არსის ყველაზე მკაფიო გამომხატველი;ეგვიპტურ-ბერძნული მისნობა სწორედ სფინქსურ ორაზროვნებას ეყრდნობა... გავიხსენოთ მისნობისაგან „ცდუნებული", კიროსის (სპარსელების) წინააღმდეგ აღმდგარი, მეფე კროისოსის ამბავი: „ყველაფერი მოხდა მისნობის თანახმად, ხოლო კროისოსი ცდება, როცა ჰყვედრის ღმერთს, რადგან ლოქსოესმა უწინასწარმეტყველა მას, რომ, თუ ილაშქრებს სპარსელებზე, იგი დაამხობს დიდ სახელმწიფოს. ამიტომ ის კარგად უნდა დაფიქრებულიყო და სამისნოში კიდევ გაეგზავნა კაცი და შეჰკითხვოდა, ამ ორ სახელმწიფოდან რომელს ეხებოდა ნათქვამი, თავისას თუ კიროსისას. კროისოსმა ვერ გაიგო წინასწარმეტყველება და აღარც იკითხა განმეორებით, ამიტომ თავის თავს დააბრალოს..." (ჰეროდოტე. 11,91)

სფინქსი წარმოადგენს ურჩხულს, რომელიც იძლევა გამოცანას. თვით სფინქსის ფანტასტიკური სურათი თავისთავად წარმოადგენს იგავურ სახეს. მისი წარმოდგენაა თავისთავად გამოცანა. „ქაიროს ახლოსაა ისეთი კოლოსალური სიდიდის სფინქსები, რომელთა მხოლოდ ლომის ბრჭყალები აღწევენ ადამიანის სიდიდეს“ (Гегель, Эстетика, II, 1969, გვ. 71). ეს ცხოველურ-ქალური სინთეზი თავისა და ტანისა, როგორც ითქვა, თავადაა გამოცანა: ასე რომ, იგავი, შესაძლოა, ქვაშიც განსხეულდეს, მაგრამ მისი სტიქია მაინც სიტყვის ხელოვნებაა.

მოვლენისადმი ესთეტიკური მიმართება მიმზიდველობას ნიშნავს და არა მიძალებას. როცა იგავ-არაკის ესთეტიკურ ბუნებას ეხილავთ, აი სწორედ ამ მიმზიდველ ძალთა იდუმალებას უნდა შეეხოთ. გარდა ამისა, იგავარაკული წარმოდგენა, ასახვის ამგვარი ფორმა ძალზე ღრმაშინაარსიანი კუთხით გაიაზრებს სინამდვილეს.

იდუმალების წვდომის წყურვილით მომართულმა ადამიანმა ოდითგანვე იგრძნო, რომ სამყაროს ჰეშმარიტი სახე მხოლოდ გამოფენილი ნიშნებით, ოდენ თვალნათელ სურათად არ არის მოცემული. ამიტომაც ეცადა იგი რაღაც სხვა ნიუანსებით, სიმბოლოებით ამოეხსნა აზრი ქვეყნიერებისა... თუ ბიბლია ამბობს: „პირველითგან იყო სიტყუა“, გოეთეს „ფაუსტი“: „პირველად იყო საქმე“, გაჩნდა ასეთი ინტერპრეტაციაც: „თავდაპირველად იყო არაკი“ (პოლ ვალერი, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო“, №31 VIII, 1979 წ.).

როგორც ითქვა, იგავ-არაკი უძველესი ჟანრია: იცვლებოდა ეპოქები, იგავური გამოხატვისადმი ინტერესი კი არასდროს გამქრალა. თუმცა განსხვავება ძველებურსა და ახალი ეპოქის იგავურ სტილს შორის ხშირადაა შენიშნული. ეზოპეს იგავების ისტორიულ თავისებურებას საინტერესოდ განიხილავს ჰეგელი.

ეზოპე ცხოველურ-ადამიანურ ნიშნებს რომ გამოხატავს, მისთვის უფრო ამ ქმნილებათა შორის საერთო თვისების პოვნის ტენდენციაა დამახასიათებელი, ე.ი. რაც ახასიათებს ცხოველს, იგივე ნიშანი პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება მიეწეროს ადამიანსაც. როცა ეზოპე ლერწმისა და მუხის იგავს გვიხატავს, — თუ რა მოსდის ქარიშხლის დროს მათ, მართალია, აქ წინააღმდეგობასთან შეგუებისა და უკომპრომისობის ურთიერთსაპირისპირო ადამიანური ხასიათები იგულისხმება, მაგრამ სურათი თვალით ნანახის ლოგიკას არ არღვევს. აქ ფანტაზიის თვითნებობა კი არა, რეალურ-ბუნებრივი სურათია წარმოდგენილი. შემდეგი დროის იგავთმწერლები კი უფრო კონტრასტულ სურათებს მიმართავენ. რაც არ არის, მაგალითად, ცხოველისათვის ნიშანდობლივი;სწორედ ის ნიშანი მიეწერება მას.

იგავარაკული ჟანრი, უწინარეს ყოლისა, ცხოვრების სოციალური მოვლენებით და ზოგადეთიკური პრობლემებით ინტერესდება;

ეროვნულ-პატრიოტული განცდები აქ ერთგვარად ჩრდილში ექცევა. ამიტომ არის, რომ იგავარაკებში თითქმის ყველა ხალხის ცხოვრების მანკიერება და იდეალებია გამოხატული. ამის გამოცაა, იგავარაკული ფაბულები და სიუჟეტები ქვეყნიდან ქვეყანაში რომ „ხეტიალობენ“. ზოგიერთი იგავ-არაკი, მეტ-ნაკლები ფორმალური სახესხვაობით, ვლინდება თითქმის ყველა ხალხის დიდაქტიკაში. იგავარაკები ცხოვრების სულიერ ნიშანთა უზოგადესი ფორმულებია და აქ თანდამთხვევა ყოველ ნაბიჯზეა მოსალოდნელი. ამიტომაც ძალიან ხშირად დგებოდა საკითხი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში იგავარაკთა ორიგინალურობისა თუ ნასესხობის შესახებ. ასეთი საკითხი იდგა ეზოპეს, სულხან-საბა ორბელიანის, ლაფონტენის, კრილოვისა და სხვების მიმართ. რაც შეეხება ლექსის ფორმით წარმოდგენილ იგავ-არაკებს, მათი ორიგინალური ღირებულების შესახებ ერთობ მკაცრია ჰეგელის აზრი. მას მიაჩნია, რომ ესაა აღწარმოება პროზაული იგავებისა. პროზაულმა იგავურმა გამონაგონებმა შემოიარეს „...თითქმის ყველა ხალხი და ყველა ეპოქა. თუმცა ყოველი ხალხი, რომელსაც თავის ლიტერატურაში ეგულვის იგავ-არაკები, ამაყობს იმით, რომ მას ჰყავს რამდენიმე პოეტი-მეიგავე, მაგრამ ეს ლექსითი იგავები უმთავრესად მაინც წარმოადგენს აღწარმოებას მითითებული გამონაგონებისა“ (Гегель, Эстетика) ე.ი. პროზაული იგავური გამონაგონებისა.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ორიგინალობის საკითხით თავის დროზე დაინტერესდა ა. ცაგარელი, რომელმაც შეადარა ამ თხზულების იგავები მსოფლიოს თითქმის ყველა იგავარაკულ წყაროს. ცაგარელმა უარყო ლიტერატურული ზეგავლენა უცხოური იგავარაკებისა: თუ ზოგიერთი იგავი ემთხვეოდა უცხოურ იგავებს, ეს, მკვლევარის აზრით, ლიტერატურულ სახესხვაობას არ ნიშნავდა — ისინი ჯერ ხალხში იქნებოდა გავრცელებული და სულხანიც იქიდან აიღებდა, ვინაიდან მისი უშუალო წყარო არის ხალხური წიაღიო. კორნელი კეკელიძის აზრით, „ზოგადად ეს შეხედულება მისაღებია, გარდა უკანასკნელი მისი ნაწილისა, სადაც უარყოფილია ლიტერატურული გავლენა ამ კრებულის შედგენისას. გავლენა ჩანს თხზულების გეგმაში. ის გეგმა და ჭარგა, რომელზედაც გამოყვანილია იგავარაკები, შედგენილია ბალავარის, ანვარი სოჰაილის და თიმსარიანის ან სინდბადის მიბაძვით. გამორიცხული არაა, რომ თვით სახელწოდება კრებულის „სიბრძნე-სიცრუისა“ მოგონილია „ვარლამისა და იოდასაფის“ წიგნის მიხედვით, რომელსაც ქართულად „სიბრძნე ბალავარისა“ ეწოდება. შემდეგ, ასეთი ფრაზები: „თქვა არაკი მეფემან,ვაზირმან, ლეონმან და სხვა. ანარეკლია „ქილილა და დამანას“ ფრაზებისა... რაც შეეხება იგავ-არაკებს არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულიდან ამოღებული არ უნდა იყოს. ისინი ამოღებულია, მართლაც, ხალხის წიაღიდან“

(კ.კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.2, 1941, გვ.431).

როგორც ითქვა, იგავარაკული ჟანრის შესახებ ყველაზე ხშირად დგას ორიგინალურობის საკითხი. მაგრამ ეს არც ერთ მეიგავეს არ აყენებს ჩრდილს. ასამდე ფაუსტის ვარიანტი შეუქმნია ხელოვნებას, ასზე მეტი დონ ჟუანი, მაგრამ ყოველი ხელოვანი მხატვრული ასახვის ორიგინალურ გზას პოულობს. ხელოვნებაში ორიგინალურობის ცნება არც თემატიკის, არც იდეით არ შემოიფარგლება. კაცობრიობის ცხოვრებას, ხელოვნებას საერთო თემა და საერთო ტკივილები ამოძრავებდა მუდამ. შემოქმედებითი გააზრების ახლებური ფორმა არის აზრის, იდეის ორიგინალურობის საფუძველი. რამდენადმე ეს კანონი ფილოსოფიაზეც შეიძლება გავავრცელოთ. მაგალითად, კანტის ესთეტიკური ნააზრევი რომ დაშალეს ესთეტიკის ისტორიკოსებმა, ყველა ძირითადი დებულების პირველსახე წინარე ფილოსოფოსებთან იქნა დაძებნილი. მაშინ დაისვა კითხვა — რა თქვა კანტმა ესთეტიკაში ახალი? პასუხი ასეთი იყო: კანტმა სისტემა შექმნა; ასევე ახლებური,მკვრივი კომპოზიციით, თავისი ხელწერით, თუ შეიძლება ითქვას, ახლებური მხატვრული სისტემა შექმნა სულხან-საბამ „სიბრძნე-სიცრუისას“ სახით.

ხიბლი სულხანისეული ქმნილებისა სწორედ მის მოქნილ, სხარტ, სფინქსურ ორაზროვნებაშია. თვით სათაურშივე მოგვცა მწერალმა მხატვრული გამოცანა. განა შეიძლება ჰაობში ანკარა წყალს დავეწაფოთ? განა შეიძლება ისეთ უკეთურ ადამიანურ თვისებაში, როგორიცაა სიცრუე, რაიმე სიკეთე ვიპოვოთ და თანაც ისეთი, როგორიცაა სიბრძნე? ეს სათაურიც, შეიძლება ითქვას, უსიუჟეტო იგავია.

სულხანისეული „სიბრძნე“ ისეთსავე სიძნელეს გულისხმობს სიბრძნის მისაღებად, როგორსაც რაბლესეული ძვალი, საიდანაც ძაღლმა ტვინი უნდა ამოიღოს.

სწორედ სფინქსური ორაზროვნების შესანიშნავი ნიმუშია პატარა უფლისწულის სედრაქისეული დალოცვა, რომელიც, ერთი შეხედვით ამოუხსნელად, პირდაპირი სახით, შესაძლოა, ჩვენც იმგვარად მოგვეჩვენოს, როგორადაც ის რუქამ გაიგო:

„— მეფეო, ღმერთმან გიცოცხლოს და, ბედნიერმცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერთაგან უკუნისამდე, და მიეცეს ამას გულისხმიერობა ვირისა, ერთგულება ძაღლისა და ძალა ჯინჯველისა“.

ეს ლოცვა (როგორც ჩვეულებრივ მსმენელს, მკითხველს) რუქას წყევლად მოეჩვენება. განმარტების შემდეგ კი იგი მომხიბველი ლოცვა აღმოჩნდება; აი, ფორმა და შინაარსის კონტრასტულობის მხატვრული თამაში, მისი მიმზიდველობის ანდამატი.

„სიბრძნე-სიცრუისა“ ჰკუის მოქნილობის, ჰკუის ვარჯიშისა და პაექრობის მომხიბველ სურათებს გვაძლევს. ყველაფერი ეს მხატვრულად საინტერესო ორაზროვან გამოცანებს ემყარება. გავიხსე-

ნოთ ასეთი ეპიზოდი: მეფე ფინეზს თავისი პირმშო მოენატრა, კარგა ხანია არ მინახავს, „ვითარის სწავლის პატრონია, მაჩვენეო“, — სთხოვა ლეონს. მეფემ ოთხგზის გაუგზავნა სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მაპატიჟებლად უფლისწულს: ხელარგონოსანი, დარბაზთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ვაზირი. ბოლოს მოლარე აწვია, ჯუმბერიც დაჯდა სპილოსა ზედა და მოევიდა. ჩამოხდა სპილოდამ, სარტყელი შემოიხსნა, სპილოსა ზედა დააგდო და ცალის ხელით მიწა აიღო და ცალის ხელით ქვა და მამას მიართვა, თაყვანი სცა და ხელს აკოცა“.

მეფემ სათითაოდ ჰკითხა მიზეზი, რატომ გაუწბილდა მოციქულობა ყველას, გარდა მოლარისა. ჯუმბერმა სხარტად აუხსნა მეფეს ყოველი. მოლარეს კი იმიტომ გამოეყვევი, რომ „მე ვარ შენი საუნჯე, მე შენი განძი, შენი ლარი“.

ასევე საინტერესო გამოცანებს შეიცავს უფლისწულის მიერ ახსნა იმისა, თუ რატომ მოვიდა იგი სპილოთი, სარტყელი რად მიაგდო „ სპილოსა ზედა“ ქვა და მიწა რატომ მიუბოძა მეფეს.

ამგვარი სფინქსური, ორაზროვანი გამოთქმების გამოცნობის მომხიბვლელობა ყოველ ნაბიჯზე გეხვდება თხზულებაში. მაგრამ ამგვარი აზროვნება — როგორც გონებამახვილობის, ჰკუის მოძრაობის ხიბლი — ნაჩვენებია აღზრდის პედაგოგიურ პრაქტიკაში, ე.ი. ადამიანთა მოქმედებაც, აღზრდის გზაც გარკვეულ ორაზროვნებას, თუ შეიძლება ითქვას, ყმაწვილზე შემოქმედების „პოლიტიკას“ საჭიროებს.

სულხან-საბა ორბელიანისეული აღზრდის მეთოდი წარმტაცია, საინტერესოა, შენიღბულია, ე.ი. ის არაა წინასწარცნობილი რეზულტატი, მას ამოცნობა სჭირდება.

ლეონი, ცხადია, აღსაზრდელს არ უმხელს თავის ჩანაფიქრს. მან უსამართლოდ სცემა უფლისწულს.თუ უფლისწულს ეცოდინება, რომ ესაა არა უსამართლო შეურაცხყოფა, არამედ, უბრალოდ, აუცილებელი, სასიკეთო ცემა, დასჯის აქტი, ცხადია, სოციალურ სიმწარეს, მდაბიოსთან გამთანაბრებელ დამამცირებელ სიმწარეს, ვერ განაცდევინებს მას. მაშინ ცემას აზრი აღარ ექნება, დაკარგავს სოციალურ ასპექტზე — როგორც ადამიანურ ურთიერთობის გარკვეულ სახეზე დაფიქრების შინაარსს. ე.ი. პედაგოგიური პროცესი თურმე აღზრდის გარკვეულ პოლიტიკას, არაპირდაპირ, „შენიღბულ“ ხერხებს მოითხოვს. პირდაპირი და მარტივი, შეუნიღბავი ხერხია ქადაგება, როცა აღსაზრდელს პირდაპირ სამოქმედო, ქცევის სწორხაზოვან გეგმას ეძლევთ. ამ ქადაგებასაც თავისი ადგილი აქვს, მაგრამ იგი ნაკლებ საინტერესოა. საინტერესოა, მხატვრულ-სიუჟეტურ ქმნილებასავით წარმტაცია იმ აღმზრდელის გეგმა, რომელიც შეგირდის წვრთნის პროცესის საბოლოო შედეგს ერთგვარ საიდუმლოებად ინახავს. თუ აღსაზრდელს ამ პროგრამის საბოლოო შედეგი ეცოდი-

ნება, აღზრდის პროცესი ისეთივე უინტერესო გახდება, როგორც დეტექტიური, მძაფრი სიუჟეტის მქონე ნაწარმოები, რომლის ფინალიც წინასწარ გვაუწყეს.

ლეონის მიერ ჯუმბერის წვრთნის პროცესი თავიდან ბოლომდე გამოცანაა. აქ, საჭადრაკო ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, მოსალოდნელ, თვალშისაცემ სვლას არ აკეთებენ: ლეონი აღსაზრდელად ხელს ჰკიდებს სოციალური გაგებით არა უბრალო ყრმას, არამედ უფლისწულს. როგორია წინასწარი მოლოდინი? მეფისწულს, მომავალ მეფეს, განსაკუთრებული მორიდებით მოეპყრობა მწვრთნელი. მოხდა პირიქით, განსაკუთრებული მოურიდებლობით ექცევა იგი მას. მთელი ამ პროცესის საბოლოო მიზანი მხოლოდ მწვრთნელს ესმის. ვერ მიხვდა მას მეფე, თუნდაც იმიტომ, რომ ერთადერთი ნანატრი ძე ძნელია წარმოიდგინოს ერთგვარი პედაგოგიური ექსპერიმენტის ობიექტად.

მაშასადამე, წვრთნის პროცესი თავისი მიზანსწრაფულობით არის უაღრესად რეალისტური, ჯანსაღი, ხოლო ფორმის თვალსაზრისით — ორაზროვანი, მხატვრული სამყაროსავით შემაქცევარი, გამოსაცნობი, საინტერესო. ერთი სიტყვით, აღმზრდელი იგავთმწერალივით უნდა იქცეოდეს: უკუღმა ნათქვამ-ნამოქმედარი წაღმა უნდა გავიგოთ და პირიქით. ეშხი სიბრძნის წვდომისა გამოცნობაშია.

„სიბრძნე სიცრუისაში" ასახავის საგანშიევა მოცემული იგავურობა;აღსაზრდელისადმი ასეთი „პოლიტიკა" გატარებულია დავით გურამიშვილის დიდაქტიკაშიც. დავითსაც უყვარს ირიბულად თქმა, პოეტური მიზანდასახულობის შენიღბვა;აი, ამის მაგალითიც.პოეტის სიტყვებით, სიბრძნე თითქოს იმიტომაა სიკეთე, რომ იგია ბედნიერი ცხოვრების, მატერიალური ცხოვრების, მატერიალური კეთილდღეობის საწინდარი: „ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არავის მოექნებისა". აქ მგოსანი კიდეც თავმდაბლობს, კიდეც „დიპლომატობს". იგი თავის თავს უპირისპირებს ბრძენს. ამ დროს ჩინებულად გრძნობს თავისი დიდი სიბრძნის ძალას. აკი თავშივე მოძღვრავს უმაწვილებს;

„ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა". ის აქ თავის თავს გულისხმობს და არა დავით წინასწარმეტყველს;ე.ი. მას მოძღვრება გააჩნია, რომელსაც უნდა უსმინონ, რომელიც უნდა აღასრულონ, სიბრძნეს რომ ეზიარონ. ჰეშმარიტად უფლებამოსილი განცხადებაა ტალანტით, გამოცდილებით აღსავსე, მრავალისმნახველი მგოსნისა.

მაგრამ მატერიალური კეთილდღეობა არ შეიძლება იყოს სიბრძნის საზომ-საწყაო. სხვანაირი თვალსაზრისი წარმოუდგენელია გურამიშვილისათვის, რაც ძალის „დავითიანი" სავსეა ბიბლიური მოტივებით და სახარების" პრინციპებს ეფუძნება. მაგრამ აქ სწორედ დავითისეული აღზრდის ქადაგების ერთგვარი დიპლომატურობა

გჯიბლაეს. იგი არამც და არამც არ აჩვენებდა მოზარდს ჩამოკონკილ, უსახლკარო, მშიერ-მწყურვალ ბრძენს, თუმცაღა ასეთი ცხოვრებისეული წესი და ხვედრი რომ ბრძენთათვის უცხო ხილი არ იყო, ეს დაეითმა ჩინებულად უწყის. ყმაწვილის თვალი და გული ელვარებს, გარეგნულ სილამაზეს ელტვის. მაშასადამე, მგოსანმა, ჭეშმარიტმა ბრძენმა, დიდებულად იცის, როდის რა უნდა უთხრას ადამიანს, ვის როგორ უნდა მიმართოს. ყმაწვილებს ნაადრევად არ უნდა გაუწყოთ მათთვის შეუფერებელი და არასაჭირო სიმართლე.

ისტორიულად, ხშირად უკავშირებენ ერთმანეთს იგავსა და პოლიტიკას. პოლიტიკაშიც სიტყვა, მისი ნიუანსები განუზომლად დიდ პირობითობას იძენენ, იგი ხშირად ირიბულად მიდის სამიზნისაკენ. როგორც დიდია ძალა დიპლომატის სიტყვისა, ასევე დიდია ძალა სიტყვის დიპლომატიისა.

კეთილი მეფე ფინეზი ძრაეალგვარ საქმეთა მცოდნედაა წარმოდგენილი. სამეფო კარს ახვევია როგორც კეთილი, ასევე ეერაგი ვეზირებიც. იცის მეფემ საჭურისის ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი არსი. მაგრამ მეფეს ხშირად ჭკვიანი კაცი ურჩევნია კეთილს.)კართა შენთა ავსა კაცსა ნუ დაადგენ...“ ასე რომ, აქ ნაჩვენებია პორლიტიკურ-დიპლომატიური აზრის უაღრესად დახვეწილი სურათი. დიპლომატია გულისხმობს აზრის გათამაშების, გამოცანის შექმნის მომენტს. აქ დიდი გასაქანი აქვს ორაზროვნად თქმის აუცილებლობას.

ხშირად მიუთითებენ ამა თუ იმ იგავთმწერლის მიერ იგავური ხერხის გამოყენების პოლიტიკურ აუცილებლობაზე – რომ მწერალს არ შეეძლო პირდაპირ გამოეხატა თავისი შეხედულებები ტირანიის პირობებში. ეს აზრი ხშირად გვესმის სულხან-საბა ორბელიანის მიმართაც. ეფიქრობთ, იგი მხოლოდ რამდენადმეა სწორი და აი, რატომ. სულხან-საბა ორბელიანი ისეთი შინაგანი მომადლებით ფლობდა იგავური ხატის ხელოვნებას, რომ იგი, რაც არ უნდა შეუზღუდავი პირობები ქონოდა აზრის პირდაპირი გამოხატვისათვის, მაინც ვერ იტყოდა უარს ამ მხატვრულ ფენომენზე. მხატვრული სიტყვის ხიბლი მის ხვეულებშიც ძევს. ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანის)სიბრძნე სიცრუისას“ ჟანრობრივი სტილური სახე პოლიტიკურმა აუცილებლობამ კი არა, თვით შემოქმედის ტალანტის თავისებურებამ და ხელოვნების არსის სპეციფიკამ განაპირობა.

1979 წ.

ზნეობის წიგნი

ზნეობის თეორიას წიგნი გვასწავლის, ზნეობას – ცხოვრება. ზნეობის წვრთნა გულის წვრთნაა, უგუანობისადმი ზიზღისა და სი-

კეთისადმი სიყვარულის აღმძერელი. სიკეთის შეგრძნობა და ძეცხობა ერთი და იგივე არაა.

მისი შეცნობა ბოროტების დათრგუნვის იარაღად მიაჩნდა სოკრატეს, მაგრამ:

„ეჰ! თეორია, ჩემო მეგობარო, უყვარხელია,
ხილო ოქროს ხე სიცოცხლისა მუდამ მწვანეა“. (გოეთე)

ყველაზე ბრძენი დამრიგებელი ზნეობისა ცხოვრებისეული გამოცდილება, ამ გამოცდილებათა ისტორიაა. ისტორია არის განაჩენი მოვლენებისა. სურათი იმისა, თუ რა მოხდა, გვაძლევს იმის აწონ-დაწონის შესაძლებლობას, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ისტორია არის კომპასი დროისა. ამიტომ ამბობენ, ისტორიას სამი დრო აქვს, წარსული მარტო თავის თავს არ ეკუთვნისო.

წარსულისაგან ჰკუის სწავლა წარსულში დაბრუნებას როდი ნიშნავს. პროფესორი, რომელიც ტაბილად იგონებს სტუდქალაქში გატარებულ მწარე დღეებს, ამაოდ გაირჯება, თუ ასეთივე გზის განმეორებას დაუგეგმავს სრულიად სხვა პირობებში მყოფ პირმშოს. მაგრამ ცდა წარსულისაგან რაღაცის გათვალისწინებისა, ალბათ, ყოველთვის საჭიროა.

ზნეობრივ მოძღვრებათა ისტორიაში ყურადღებას იპყრობს სასახლის აღზრდის ფილოსოფია. ისტორიკოსთა მაგალითები ძირითადად უფლისწულთა აღზრდის ირგვლივ ტრიალებს. გარდა იმისა, რომ ეს აზრები საინტერესოა კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, აღზრდის აქტუალობის მხრივაც მრავალი რამ ეხმიანება სადღეისო საფიქრალს, ასეთია, მაგალითად, პრობლემატური საკითხი: აღზრდა ფუფუნებით თუ აღზრდა როგორც წერთნა.

დღეს სიტყვა სასახლე ისტორიულ-სამუზეუმო ასოციაციას აღძრავს. სასახლე მეფე-მთავრის რეზიდენციას გულისხმობდა. ქვეყნის ან მისი რომელიმე კუთხის გულს ნიშნავდა. ზღაპრული კოშკივით შორს არის სასახლის სითბო ხალხისაგან. მდაბიონი ამ სასახლეში სწორედ ზღაპრების მეშვეობით თუ შეაღწევდნენ.

დღეს ფუფუნებით აღსავსე სახლები ძველ ქოხებზე მეტად გახშირდა. ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნის ბავშვები უკვე სათბურებში იზრდებიან. თითქოს სანეტარო ვითარებაა, მაგრამ აქ დადგა აღზრდის მსოფლიო პრობლემა. ევროპული ცივილიზაციის მომწიფების ჟამს დიდმა მოაზროვნეებმა რომანტიკული თვალით შეხედეს აღზრდის ძველებურ წესებს, ბუნებრივი სუსხით წრთობის ხერხებს. ინგლისელი ფილოსოფოსი, პედაგოგი ჯონ ლოკი (1632-1704) სიცივის ამტანობას სახავდა ფიზიკურ-სულიერი სიმტკიცის უმთავრეს პირობად: „პირველი, რაზეცაც უნდა ვიზრუნოთ,ის არის, რომ ბავშვები არ იცვამდნენ თბილად, არ იფუთნებოდნენ“.

„აღზრდა“ უნაპირო მნიშვნელობის სიტყვაა. ვფიქრობთ,ყველა სხვამ გზა უნდა დაუთმოს უპირველეს პრობლემა ნებისყოფის

აღზრდას. ნათქვამია, ყოველი წრფელი და ჰუჰყიანი იმპულსი გულიდან მოდისო. ადამიანის მოქმედებას მაშინ აქვს აზრი, როცა იგი ჰირველულ სურვილს კი არა, იდეის ნებას ემორჩილება.

„რაც არა გწადდეს, იგი ქმენ,
ნუ სდევ წადილია ნებასა“
(რუსთაველი).

გულის წადილთა ნებიერობა არის ეპოქალური პრობლემა (თუ ტრაგედია არა) აღზრდისა,საერთო საკაცობრიო სატკივარი. მაშასადამე, როგორც ძველად, დღესაც აქტუალურია საკითხი: ფუფუნება თუ წვრთნა? ფუფუნება გულისსწრაფებს ყმაწვილისათვის წინააღმდეგობათა მოხსნას,რომლის გარეშე წრთობა არ არსებობს. უწვრთნელი სული კი ხშირად დაჭაობდება და ხდება სათავე ეგოიზმისა, მცონარეობისა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისა, რაც ზოგჯერ გროტესკულ ზომას აღწევს. მწყემსი, რომელსაც ცხრიდან რვა ბატი დაეკარგა, აგინებდა გამარჯვებულ მეფეს — დიდი ლაშქარი დაკარგაო ბრძოლაში. ასეთი რამ მარტო სასახლის წიაღმა არ იცის. კაცმა რომ თქვას, სასახლეშივე ებრძოდა ერთმანეთს ორი პრინციპი: სასახლის ტიპიური ფუფუნება და იმგვარი აღზრდაც,როგორც იზრდებოდნენ დავით აღმაშენებელი და მემკვიდრენი მისნი. არც ისე უნდა წარმოვიდგინოთ,თითქოს ნებისყოფის სამეფო მხოლოდ ფიზიკურ დაბრკოლებათა გადალახვის გზით შემოიფარგლება. წინააღმდეგობათა დაძლევის ჟინი, ენერგია ინტელექტუალურ, სულიერ სამყაროში უნდა გამოვლინდეს. მაგრამ მამაკაცის სხეული, ბუნებისეული სტანდარტი მუდამ შეგვახსენებს, რომ მას ფიზიკური გარჯაც სჭირდება, ხელშემწყობი იმ საწვაისა, რაც სულიერ შრომას, მეტისმეტად მძიმე პროცესს ეჭირვება...

და მაინც აღზრდაზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, ქართველი კაცი გვერდს ვერ აუქცევს დიდ სულხან-საბას.

ლეონს ჯუმბერის აღსაზრდელად არავითარი წიგნი, კოდექსი არ უჭირავს ხელში. არც ქადაგებებით ცდილობს უფლისწულის აღზრდას. მან უფლისწულს გადაუშალა ზნეობის პირველი წიგნი — ცხოვრება. ცხოვრების მაყურებელი და ნებიერი სტუმარი კი არა, მისი ავკარგის მიმღებ-განმცდელი უნდა იყოო. ეს კი სხვათაშორის თანაგრძნობით მიიღწევა. ცხოვრების უშუალოდ განცდა სიბრძნის, სიკეთის უშრეტი წყაროა. ეს წიგნი კი სხვაგვარად იკითხება — ესაა ხასიათის წარმართვა სიტუაციების შექმნით.

ვაჟკაცური ნებისყოფის წყარო ფიზიკურიდან იწყება, შრომით — ფიზიკური, შრომით — გიმნასტიკური წრთობა მარტო სხეულისათვის არაა აუცილებელი... იგია სულის სიჯანმრთელის წყაროც.

სულხან-საბა ორბელიანი იყო ის ბრძენი,რომელშიც ასე შეერთდა განცდილი და ბრძენთაგან თქმული აზრები,მისმა შემოქმედებითმა გენიამ კი მოგვცა ქართული აღზრდის, სიბრძნის შედევრი.

ზნესრულყოფის ის პრობლემები, რომლებიც სადღეისო ინტერესებით სუნთქავს, ძველთაძველიცაა და არც ძველდება. სულხან-საბა საკაცობრიო იდეალებით ცხოვრობდა და საკაცობრიო ნააზრევსაც შესანიშნავად იცნობდა. აღზრდის სულხანისეული მოძღვრებაც, ისე როგორც ყოველი ბრძენისა, არ იყო უწინაპარო, ვერავისთან მისამსგავსები. ვფიქრობთ, სულხან-საბა ორბელიანის თვალსაზრისი ამ მხრივ ყველაზე მეტად უახლოვდება ძველი სპარსული აღზრდის თვალსაზრისს. უახლოვდება, მაგრამ ის მაინც არ მიეწერება, რის უფლებასაც სემანტიკა არ მოგვცემს. სახელდობრ, იგი ნიშნავს, რომ ორბელიანის თვალსაზრისი არის ქართული, ორიგინალური და არა სპარსული. ცხადია, ვერ ვიტყოდით, სპარსული უახლოვდება სპარსულსო.

გავიხსენოთ კიროსისა და მისი შვილების, დარიოსისა და მისი შვილების აღზრდის რამდენიმე მაგალითი. აქ მთავარი პრობლემა ასეთია: უფლისწულის აღზრდა სასახლის პრინციპებით და უფლისწულის აღზრდა სასახლის საწინააღმდეგო პრინციპებით. კიროსი აღიზარდა სასახლის საწინააღმდეგო პრინციპებით,მისი შვილები კი — სასახლის ფუფუნებით, ძიძათა ალერსით. ამიტომ კიროსის შვილები ცუდი მოქალაქენი აღიზარდნენ. მისმა შვილმა, კამბიზემ, მოკლა ღვიძლი ძმა. დარიოსი არ იყო უფლისწული,არ იზრდებოდა სასახლის ფუფუნებაში, მისი შვილები კი სასახლემ გარყვნა.

კიროსი ბავშვობიდანვე იწვრთნებოდა ცხენოსნობაში, სროლასა და ასპარეზობაში. მისი უმთავრესი სამეცადინო საგანი გახლდათ სამართლისმცოდნეობა, სამართლიანობის მიღწევის ხელოვნების დაუფლება. კიროსი „აღზრდილი იყო სპარსული კანონებით.ეს კანონები, ჩემი აზრით, იწყება საყოველთაო სიკეთეზე ზრუნვით, და არა იმით, რითაც იწყება იგი, უმეტესწილად, სხვა სახელმწიფოებში... ბავშვებს უნერგავენ: არ იქურდონ, არ ძარცვონ, ძალად არვის შეუვარდნენ სახლში, არ სცემონ ვინც ღირსი არ არის, არ იმრუშონ, დამორჩილდენენ უფროსს და ა.შ.

შემდეგ: „ამ სასწავლებელში ყმაწვილები დროს ატარებენ სამართლიანობის შესასწავლად, და ამისათვის ისინი ზუსტად იმგვარადვე ირჯებიან, როგორც ჩვენთან წერა-კითხვის დასაუფლებლად".

მკითხველს,ვფიქრობთ, არ სჭირდება იმის განმარტება, რომ სამართლისმცოდნეობა აქ იგივეა, რაც ზნეობისმცოდნეობა.

„ყმაწვილებს ასწავლიან უბიწოებას. ამისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისინი თვით ხედავენ უფროსების უბიწო ცხოვრებას".

ყმაწვილი კიროს, სპარსული წესებით აღზრდილი, მიდიაში თავის პაპასთან, ასტიაგესთან ატარებდა დროს. დედას უნდოდა სპარსეთში დაბრუნება, თან კიროსის წაყვანა. ყმაწვილი უარზე იდგა.

„— შვილო ჩემო, — ჰკითხა დედამ, აქ როგორ შეისწავლი

სამართალს, როცა შენი მასწავლებლები აქ არ არიან?

ჩემმა მასწავლებელმა მე უკვე შემასწავლა სამართალი, მასწავლა აგრეთვე ვიყო სხვათა განმსჯელ-მოსამართლე" როდესაც ასტიაგესმა მდიდრული სუფრა გაუშალა შვილიშვილს, სპარსთა მომავალმა მეფემ პაპას ჰკითხა: — „ეს ხორცეული კერძები ყველა ჩემია. შემიძლია ჩემი სურვილისამებრ გამოვიყენო? როცა თანხმობა მიიღო, კიროსმა კერძები ჩამოურიგა მსახურთ, ხოლო ასტიაგესის მერიქიფე მშრალზე დატოვა. „ეს მერიქიფე, თურმე უდიერად ექცეოდა ყმაწვილს. კიროსმა პაპას იმიტომ სთხოვა ეს უფლება, რომ მერიქიფე მიმხვდარიყო თავისი ქცევების უგვანობას". საკუთარ თავზე თუ არ იწვნია მსგავსი რამ, ისე ადამიანი ზოგჯერ ვერ ხვდება საკუთარ უსამართლობას, ეს აზრია აქ გატარებული.

ძველი სპარსული აღზრდის თვალსაწიერში, მეფეთა და უფლისწულთა ცხოვრებაში, ვრცელი ადგილი ეთმობა ნადირობას. აქ ნადირობა გაცილებით მეტ ფუნქციას ითავსებს, ვიდრე ნადირობა დღევანდელი წარმოდგენით. ძველ სამყაროში ნადირობა არა მარტო გართობა, ფიზიკური და ნებისყოფის ძალის გამოცდაც არის. აქ საჭიროა გამძლეობა, შიმშილისა და წყურვილის მოთმენა. ნადირობა, გარკვეული აზრით, სკოლაა, გამოცდაა ადამიანის სულიერ-ფიზიკური ძალებისა. სანადიროდ მიმავალ მეფეს თან მიჰყავს 16 — 17 წლის ყმაწვილების გაწაფული ჯგუფი.

ძველ სპარსეთში არა მხოლოდ უფლისწულები, დიდებულთა შვილებიც მეფის სასახლეში იზრდებოდნენ. სპარსელ დიდებულთა შვილები იზრდებიან მეფის კარზე. თითოეულს შეუძლია აქ ისწავლოს კეთილშნეობა, არაფითარი უღირსი რამ არ უნდა ნახონ და გაიგონონ".

ახლა პლატონის „კანონებს" მივყვეთ:

კიროსი კარგი მხედართმთავარი და ქვეყნის მოყვარული კაცი იყო, მაგრამ სრულიად არ ესმოდა სწორი აღზრდის მნიშვნელობა და ვერ გამოიჩინა გონიერება როგორც ოჯახის თავკაცმა თავისი შვილების აღზრდა კიროსმა მიანდო ბაოებს. ისინი კი მათ ზრდიდნენ, ვითარცა შობით ბედნიერთ და ნეტართ, რომელთაც მეტი არაფერი ეპირვებათ. ეს ქალები ყველას აიძულებდნენ წინ არ აღდგომოდნენ ბავშვების სურვილებს, ისეთი სახე მიეღოთ, თითქოს სრულიად ბედნიერები არიან; შეექოთ ყოველი მათი სიტყვა და საქციელი. აი, როგორ ზრდიდნენ ისინი მათ". კიროსმა უზარმაზარი ქონება მოაგროვა შვილებისათვის. „მაგრამ მან არ იცოდა, რომ ისინი, ვისთვისაც უნდა გადაეცა ყოველი, აღზრდას იღებენ არამშობლიურ ყაიდაზე: აკი სპარსელები — მწყემსები, პირმშონი არიან მკაცრი ქვეყნისა. ამიტომ, მათი აღზრდაც მკაცრია. მას შეუძლია გამოაწრთოს ძლიერი და გამძლე ჯაბუკები, რომელთაც ძალუძთ ღია ცის ქვეშ ცხოვრება; საჭიროების შემთხვევაში გასწიონ სამხედრო სამსა-

ხური. კიროს დაავიწყდა, რომ მის შვილებს ქალებისა და საჭურისების მიერ მხოლოდ დამღუპველი აღზრდა ჰქონდათ მიღებული... კიროსის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლება დარჩათ მის შვილებს, ფუფუნებითა და გაუმაძღრობით ზნედაცემულებს, რომელთაგან ერთმა მოჰკლა მეორე...“

დარიოსის შვილებიც კიროსის შვილებისამებრ მეფური ფუფუნებით, სასახლის ყაიდაზე აღიზარდნენ: „ახ, დარიოს, დარიოს, — სრული უფლებით შეიძლებოდა გეთქვათ მისთვის, — როგორ ვერ გაიგე კიროსის უბედურება და ქსერქსზე აღზარდე ისეევე, როგორც კიროსმა კამბისი“ (პლატონი, იქვე).

ზნეობრივი მიზანდასახულობის ცენტრში მოქცევამ არ უნდა გაგვაუფასურებინოს აღზრდის სხვა კომპონენტები, სახელდობრ, იმავე ფიზიკური წვრთნის მნიშვნელობა. ფიზიკურ წრთობას ჯეროვანი ყურადღება ეთმობა „სიბრძნე სიცრუისა“-ში,იგია საყრდენი საშუალება სიკეთის გრძნობის აღზრდისათვის. სხეულებრივი სიკაქეც სიკეთეა, ვითარცა სახელმწიფოსათვის სასარგებლო მეომრული ძალა.

არის ცდა გარკვეული მსგავსება იპოვონ შუა საუკუნეების ასკეტურ მეცადინეობასა და სულხანისეული წვრთნის მეთოდს შორის. ეგონებ, რომ მათ „შუა უზის დიდი მზღვარი“. და აი რატომ: ასკეტური გვემა გულისხმობს საამქვეყნიო, საერო მისწრაფებათა დათრგუნვას. ლეონი კი ჯუმბერს საამქვეყნო სიკეთისათვის წვრთნის, ხორციელი ცხოვრების სწორად, ზნეობრივად წარმართვას ასწავლის. როცა მოძღვარს უფლისწული სანადიროდ მიჰყავს, არბენინებს, დაქანცავს, გააწამებს,ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მას ნადირობა უნდა შეაძულოს (ასკეტებს,ცხადია,ნადირობა ეკრძალებოდათ). არა, ჰს ნადირობასა და ნადირობის ჟამს ხელქვეითთა გასაჭირს უნდა იცნობდეს. როცა უფლისწულს მერიქიფედ სვამს, ჰირეული დავალებებით აწამებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ უნდა ქეიფზე ხელი ააღებინოს მას. მომავალმა მბრძანებელმა ქეიფისას მერიქიფეობის სიმწრის ფასი უნდა იცოდეს. ასკეტები კი შორს არიან ქეიფისა და მერიქიფეობისაგან.

აღზრდაზე მუდამ ბევრს ფიქრობდნენ, ბჭობდნენ. ყველაზე ხშირად კი მაინც მრავალჭირნახულ ადამიანებსა და ისტორიას ეკითხებოდნენ ჭკუას.

წარსულის მაგალითების მოყვანას განმაწყობელი ძალა აქვს. ძველი სიბრძნის გახსენება გვეხმარება სადღეისო პრობლემათა ავკარგის გარჩევაში. ყველა სასიკეთო არგუმენტი უნდა მოვიხმოთ, რათა აღვზარდოთ ნებისყოფითი, ზნეკეთილობით სრულყოფილი ახალგაზრდობა.

1982 წელი.

დავით გურამიშვილი რამდენიმეგზის მოიხსიბს ყურთასმენას მიმპყრობ სიტყვას. ეინ იცის, იქნებ შორეულად ეხმიანებოდა ხმით საუბარი მოძმეებთან; იქნებ ნატერის ანარეკლია ასეთი ინტიმური სიახლოვის გამომხატველი სიტყვა -"ისმინე" „მოდი, მსმენელო, ისმინე, დაჩუმდი, ეიტყვი, სუ რასა", „მო, ყური მიგდე, მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა".

ლამისყანა, ოსოქოლო, მაგდებურგი, მირგოროდი — აი არასრული გეოგრაფიული სახელები, ცრემლით რომ აპკურა პოეტმა. მაინც რა იყო ის ავი კრაზანა, ბედი-მდევარი, დაბრუნების ყოყული გზა რომ მოსჭრა... ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო დიდი სატანჯველი, ეიღრე ყოფა სამშობლოსაგან მოსხლტილი ქართველისა. მაგრამ რა უცნაურია ტალანტიო მოსილი კაცის ხვედრი. ზეგარდმო მადლი ტანჯვასაც გადაადნობს და მას „მშვენიერ უბედურებად" აქცევს. „დავითიანი", დავითის ტანჯვის გზა, სიკეთის, სინათლის, სიბრძნის სიმშვენიერის სამყაროა, რომელიც ფიზიკური დროისა და სივრცის კანონებს აღარ ემორჩილება. დავითს უსმენს ერი... დავითს ესმის ყმაწვილთა ნორჩი გულის ფეთქვა, შესანიშნავად ხედავს მათი ოცნების ფერებს. დავითი იმიტომაა ჭეშმარიტი დიდაქტიკოსი, რომ მოზომილი, გამიზნული აქვს ყოველი სიტყვის ნიუანსი. ჩინებულად გრძნობს რა სიღრმის, რა სიმძიმის ჭეშმარიტება შეიძლება გაუცხადოს ყმაწვილთ. ნორჩებს ყველაფერი არ უნდა ეუთხრათ,- ეს დებულება დავითს საოცარი სიღრმითა და სისადავით აქვს წარმოდგენილი. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება.

„დავითიანში" მდიდარ კაცზე, სიმდიდრეზე, საზოგადოდ ის აზრია გატარებული, რაც „სახარებაზე" აღზრდილი კაცისაგან იყო მოსალოდნელი. თუმცა „სწავლა მოსწავლეთაში", როდესაც პოეტს მიმართვის ორიენტირად სწორედ ნორჩები ყავს წარმოდგენილი, რამდენადმე სხვაგვარი სურათია. აქ სწავლა-სიბრძნის შეძენა ცხოვრების კეთილმოწყობის პირობადაა დასახული, რაც დავითის მრწამსს შინაგანად არ გამოხატავს. საზოგადოდ, პოეტი სულიერ სიწმინდეს, სიბრძნეს და სიმდიდრეს გარკვეული აზრით, ერთმანეთს უპირისპირებს.მდიდარი კაცი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს, „მდიდარი ეგრეთ ძნელ ცხონდეს", ალბათ სახარების სიტყვები ეხმიანებოდა პოეტის ამ სტრიქონს. იესო ეუბნება მოწაფეებს: „...მდიდარი ძნიად შეეიღეს სასუფეველსა ცათასა" რა რეალისტურია, ტკბილმოუბარია პოეტის „სწავლა მოსწავლეთაში" დახატული სურათი. ესაა ლაჟვარდოვანი აღთქმა, ბედნიერი მომავლისაღმი სწრაფვის წამქეზებლურ-წამხალისებელი საშუალებების გამოყენების ჩინეული პედაგოგიური ხერხი. მაგრამ დაყვავებით, ოცნებებრივად დახახული ბედნიერი მომავლის ეს დაპირება დიალექტიურად მუქარასაც შეი-

ცავს. „ბრძენი სიტყვითა დარჩების...გლახა კარის-კარ თხოვნითა,შენა გწადს აწ რომელითა?" სწავლა პირობაა სიბრძნის დაუფლებისა. სიბრძნე შეუდარებელი სიმდიდრეა. ნივთიერი სიმდიდრე მას მეტოქეობას ვერ უწევს. ეს ორგვარი სიმდიდრე მუდამ მტრობდნენ ერთმანეთს. ახლა დავითისეული არგუმენტი ვნახოთ, ცოდნა-სიბრძნე უხილავი განძია, მას ვერც ცხადად, ვერც მალულად ვერვინ წარიტაცებს. აი, ამიტომაცაა იგი არაშემთხვევითი დასაბამისა, მყარი და სანდო. აი, ნამდვილ-ნამდვილობა განძისა! იმ არეულ-დარეულ დროს, გარეშე მტრებს გარდა, შინაური ჭურდ-ბაცაცებიც აუძლურებდნენ ერის სულსა და სხეულს. ამიტომ ცოდნის დიდი უპირატესობის ამგვარი ნიშნის მოსატანად პოეტს, სამწუხაროდ, შორს წასვლა არ სჭირდებოდა:

„ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეწაფების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების,
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების".

დასაბამით ეს აზრი „სახარებიდან" მოდის.პოეტმა მისი რელიგიური მომენტი შეარბილა და ღეთაებრივი სულის ნაცვლად უფრო კონკრეტული ცნება, ცოდნა-სიბრძნე წარმოგვიდგინა... „სახარებაში" ნათქვამია: „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არც მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის და სადა არც მპარავთა დათხრიან და განიპარიან" (მათე, 6, 19-20)

ჩრჩილი რომ დაღრღნის, ჭურდი რომ მოიპარავს, იმ სიმდიდრის იმედით ცხოვრება რომ არ ღირს, პოეტმა ჩინებულად გვიჩვენა, მაგრამ სიმდიდრისადმი აქ საგმობ სიტყვას ერიდება, რადგან ლამაზი გარეგნობისადმი მეოცნებე ნორჩები ჰყავს თვალწინ წარმოდგენილი.

დავით გურამიშვილმა ძველი ბრძენი ბერძნების ფილოსოფიაც იცოდა: ბრძენმა თუ ნივთებს დაუწყო მწყემსვა, განიძარცვება იმისი სული. თალესი, სოკრატე, ეპამინონდი... და სხვა მრავალნი სწორედ ამ მოტივით კანონიერ სიმდიდრეზეც ამბობდნენ უარს. ბუნებას მადლობის მეტი რა ეთქმის, თვალ-მარგალიტის, ოქრო-ვერცხლისა თუ ძვირფასი საგნების შექმნისათვის. მაგრამ ჯერ არ შექმნილა ისეთი ძვირფასი ჭიდი, რომელიც ძვირფას თავს აჯობებდა. დავით გურამიშვილის დიდაქტიკა გაუხუნარია. დავითს უსმენს ერი.

1980 წელი.

ფორმა და შინაარსი პოეზიაში

/ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაგალითზე/

ეპოქა ფილოსოფიის წინაშე სულ უფრო მწვავედ აყენებს მოთხოვნას თავისი აბსტარქტული აზროვნების ძალა კვლევის კონკრეტულ სფეროებში გამოსცადოს.

ნაშრომი კიდევ ერთი ცდაა ფორმისა და შინაარსის პრობლემის გარკვეული კუთხით გაშუქებისა. ამასთან ამ ზოგად პრობლემას ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესწავლასთან კავშირის რაღაც საფუძველი უნდა გააჩნდეს. ეს კავშირი, ვფიქრობთ, ზოგადისა და კონკრეტულის უბრალოდ ნებისმიერ ურთიერთობაში არ გამოიხატება.

ჩვენი საკვლევი საგანი თუმცა კონკრეტულია, მაგრამ ის ცნებები, რომლებიც მასალისადმი მოქმედ საშუალებებად უნდა გამოვიყენოთ ჯერჯერობით ესთეტიკურ ლიტერატურაში საგანგებო ყურადღების საგანი არ გამხადარა. ამიტომ ვიდრე რაღაც თვალსაზრისს ავირჩევდით მასალისადმი დამოკიდებულებისადმი, მანამდე გასასინჯი აღმოჩნდა თვით ამ თვალსაზრისით, ზოგადი თეორიული საყრდენების მდგომარეობა. სამწუხარო ფაქტია, რომ ის, რაც ტრივიალურ ჰეშმარიტებად უნდა ითვლებოდეს, ხშირად პრობლემად რჩება. ჯერჯერობით, ესაა სწორედ პოეტური და თეორიული შინაარსის გაუმიჯნაობა.

ამ შემთხვევაში დაკვირვების ობიექტია ზოგადი საკითხი, სახელდობრ, შინაარსის გამოვლენის ის განსხვავებული საფეხურები, რომლებიც გონების განვითარებას, პროგრესს ასახავს, მაგრამ პოეზია თავისთავად გონების ასეთი აღმავლობის შესაბამისობას არ წარმოადგენს. ე.ი. შინაარსის მაღალი საფეხური არ გულისხმობს პოეზიის მაღალ საფეხურს. ჩვეულებრივ ადამიანური განსჯისათვის დიდი პოეტი დიდია, როგორც მოაზროვნე ფილოსოფოსი და ა.შ. ასეთი სწორხაზოვანი აზრები, რაც ოდნავადაც ვერ დგამს ნაბიჯს წინ მასობრივ-საზოგადოებრივი შეხედულებისაგან, ავტორიტეტულ თვალსაზრისადაა დამკვიდრებული ჩვენს ესთეტიკურ და კრიტიკულ ლიტერატურაში.

ვაჟა-ფშაველა სამაგალითო ნიმუშია გენიალური პოეტისა, რომელსაც არ სჭირდება თეორიული შეიარაღება გენიალური ნაწარმოებების შესაქმნელად. მისი პოეზია შესანიშნავად ადასტურებს იმ აზრს, რომ თეორიული ცნობიერების წრთობა პრეტურ წარმოსახვასთან უკმაყოფილებას წარმოშობს და უარყოფს თვალსაზრისს, როგორც ჩვენში ხშირად ჰგონიათ, რომ ცოდნა, როგორც ასეთი, თითქოს ამდიდრებს ფანტაზიას, წარმოსახვას. ვაჟა-ფშაველა უფრო მდიდარი წარმოსახვის პოეტია, ვიდრე გოეთე, შილერი და ვინც გნებავთ ახალ დიდ მგოსანთაგან, სწორედ იმიტომ, რომ მასთან რეფლექსია გრძნობის წამლეკავ ძალად არ განცდილა.

მსოფლიო პოეზიის ძირითად კლასთა შეპირისპირების მიზანი ზღვარდაუდებ პრეტენზიულობას დაიბრალებდა, რომ, ეს, სახელდობრ ლიტერატურულ ინტერპრეტაციით იყოს ნაცადი. ამის აღნიშვნა იმის აუცილებელმა საჭიროებამ მოითხოვა, რომ ერთი შეხედვით ეგოდენ გრანდიოზულ მოვლენებში სელა თითქოს მსჯელობის გრანდიოზულობას უნდა საჭიროებდეს, მაგრამ აქ თავს იმართლებს

ფილოსოფიის სპეციფიკა. ფილოსოფიის საგანი, გარკვეული აზრით არის მსოფლიოს შესახებ აზრი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მის შესახებ უნივერსალურ ცოდნათა აბსოლუტური წინამძღოლობის უფლებას ჩემულობდეს. ამდენად, მსჯელობის ობიექტის მოცულობა არ განსაზღვრავს მსჯელობის მოცულობას. მარტივად, რომ ვთქვათ, მსოფლიო პოეზიის ზოგადი ფილოსოფიური დახასიათება შეიძლება თავისი სირთულით არ აღემატებოდეს რომელიმე პატარა კუთხის პოეტურ შემოქმედებათა ანალიზს. ამიტომ ვაჟას მსოფლიო პოეზიის განხილვა მხოლოდ ესთეტიკის პოზიციებიდანაა შესაძლებელი, მაგრამ დაუძლეველია, წარმოდგენილი სიძნელის გამო, ლიტერატურული კრიტიკისათვის. კვლავ ვიმეორებთ, რომ ჩვენი განსჯის საგანი, თუმცა გრანდიოზულია დროსა და სივრცეში, მაგრამ სრულებით არა ვფიქრობთ, მოცემულ ნაშრომს რეალურად მეტი პრეტენზიის უფლება ჰქონდეს, ვიდრე რომელიმე სვინაქსარის ფილოლოგიურ ანალიზს ჩვეულებრივ შემთხვევაში.

ფორმა და შინაარსი ყოველ პოეტურ ნაწარმოებში იგივეურნი არიან. ცალკეულ ნაწარმოებში არ შეიძლება ვილაპარაკოთ ფორმისა და შინაარსის ურთიერთშეუსაბამობაზე. რაც შინაარსია ისეთივეა მისი ფორმაც. მაგრამ პოეტურ კლასთა ზოგადად კლასიფიკაციისას ლაპარაკობენ შინაარსის მეტ-ნაკლები საფეხურებით გამოვლენაზე. ე.ი. ფორმისა და შინაარსის ურთიერთშეუსაბამობაზე. ეს ერთის შეხედვით წინააღმდეგობას ჰგავს.

ყოველი კონკრეტული ნაწარმოები თავის თავთან სრულ იგივეობაშია. როგორიცაა ნაწარმოების შინაარსი, ისეთივეა მისი ფორმაც. ერთსა და იმავე ნაწარმოების მიმართ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მასში ფორმა ჩამორჩება შინაარსს, ან პირიქით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ მოდიდან გასული ლიტერატურული კრიტიკის ფრაზებს, როდესაც ლაპარაკობენ ნაწარმოების ბრწყინვალე სტილზე, ტექნიკაზე, ისე რომ მასში მაინც და მაინც დიდ შინაარსს არ ხედავენ. აქ უბრალო შეცდომაა. იდეა, შინაარსი არ ჩანს პირდაპირ და კარაგადაა შენიღბული. ე.ი. ყოველი ნაწარმოები, რომელიც ბრწყინვალეა თავისი ფორმით, ასევე ბრწყინვალე უნდა იყოს შინაარსითაც. ამავე დროს ვამბობთ, მაგალითად, რომ ძველი პოეზია, შეზღუდულია თავისი შინაარსით და ბრწყინავს თავისი ფორმით.

როდესაც ფორმისა და შინაარსის იგივეობაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ ჩვენი ანალიზის ველი ნაწარმოების შიგნითა სამყაროა, თავის თავთან თანაფარდობაა, შინაარსისა და ფორმის ურთიერთანაფარდობაა. ე.ი.ნაწარმოებს ვიხილავთ მისსავე არსებაში, მაგრამ როდესაც ძველი პოეზიის გულუბრყვილო და შეზღუდულ შინაარსზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ მას აქედან, ახალი პოეზიის ნაპირიდან გავყურებთ, სადაც გრეთე, ბაირონი, პუშკინი და სხვანი გვეგულებიან. ე.ი. ფორმისა და შინაარსის ასეთი დაპირის-

პირებანი თანაფარდობითია, მიმართულებითია და ნაწარმოების შინაგან, ფორმა-შინაარსის შეუსაბამობაზე არ ლაპარაკობს.

ბუნებრივია განსჯის მისწრაფება, ფორმა და შინაარსი ცალ-ცალკე იხილოს; ფორმა და შინაარსი, როგორც შინაარსი, თუმცა წინასწარვე ცნობილია, რომ განსჯას ობიექტის ამგვარი განწევრება არ შეუძლია, მაგრამ ამისაკენ მაინც ისწრაფვის. ნაწარმოებს იგი ვერ დაშლის ასეთ მექანიკურ ერთეულებად, მაგრამ მაინც ცდილობს. ეს ცდა იმისგანაცაა გამოწვეული, რომ მსჯელობის პროცესში ძნელია ესთეტიკური ობიექტის განსაკუთრობულობის, განსხვავებულობის განუწყვეტლივ გათვალისწინება. ჩვენ წინასწარვე ვიცით, რომ ნაწარმოებში შინაარსი და ფორმა ცალ-ცალკე არ არსებობს. მაგრამ მსჯელობაში მაინც მათ განცალკევებას ვცდილობთ და ვაღწევთ გარკვეულ პირობითობამდე. ეს სიძნელე ესთეტიკური საგნის სპეციფიკაა. „ასე მაგალითად – წერს აკად. ა. ბოჭორიშვილი დ. ბრინკმანის მიხედვით ესთეტიკური საგანი განსხვავდება, როგორც პრაქტიკის, აღქმის საგნისაგან, ისე შემეცნების საგნისაგან და „ვინაიდან ესთეტიკური საგანი არ არის ნამდვილი საგანი, მისი დაძლევა ფორმად და შინაარსად არ შეიძლება. როგორც ჩანს, სიტყვა „შინაარსის“ ჩვეულებრივი გაგება რელატიურია. ის, რასაც ჩვენ კონკრეტული ნაწარმოების განხილვის დროს შინაარსად მივიჩნევთ, ფაქტიურად არის ფორმა. საზოგადოდ კონკრეტულობა უკვე ფორმას ნიშნავს. პოეზია, ფერწერა, მუსიკა და ა.შ. ცხადია შემთხვევითი მიზეზით არ ერთიანდებიან სიტყვა ხელოვნების ქვეშ. საერთოდ მომენტი, მაგალითად, ბეთხოვენის, ჰომეროსის, ფილიასის შემოქმედებათა შორის, ერთის მხრივ, ნიშნავს სფეროს, რომელიც კონკრეტულ ნაწარმოებათა იქეთ დგას.[1]

შინაარსის ასეთ გაგებას კარგად პასუხობს თვით სიტყვა „შინაარსი“, იგი მართლაც შიგნითა არსია, რომელიც ააწყობს გარე არსს, ანუ გრძნობადს; მასში ფაქტია მისი ნამოღვაწარი შედეგი, მაგრამ იგი არა გეაქვს მოცემული, როგორც ამოწურული თავისთავადობა.

როდესაც ჩვენ რომელიმე ნაწარმოების შინაარსს ვყვებით, ესაა ფაქტიურად არა შინაარსი, არამედ ან სიუჟეტი /ეს უფრო გავრცელებული სახეა შინაარსის მოვალეობის აღსრულებისა/, ან თემა და კონკრეტული იდეა, ამიტომაც არის, რომ ლიტერატურის თეორიას არა აქვს მყარი ცნებები შინაარსისა, იდეისა. ასე მაგალითად, როგორც ამის შესახებ ი. ვინოგრადოვი წერს; „ავიღოთ თუნდაც საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ლიტერატურული ნაწარმოების იდეური შინაარსი. მის შესახებ ლაპარაკობს უველა. არ არის არც ერთი მკვლევარი, რომელიც არ სარგებლობდეს ამ ტერმინით, მაგრამ საქმარისია გადავხედოთ მხოლოდ ჩვენს სასწავლო ლიტერატუ-

1ა.ბოჭორიშვილი, ფენომენალური ესთეტიკა. 1966 წ.გვ.19.

რას, მაშინვე აღმოჩნდება, რომ „იდეური შინაარსი" მაგალითად, გ. ნ. პოსპელოვის გაგებით განსხვავდება გ.ლ.აბრამოვიჩის „იდეური შინაარსის" გაგებისაგან. თუ გ. ნ. პოსპელოვი ახასიათებს იდეას, /იდეურ შინაარსს/, როგორც თემის ერთობლიობას, პრობლემებსა და იდეურ-ემოციურ შეჯამებას, ლ. ი. ტიმოფეევი და გ. ლ. აბრამოვიჩი იდეას ათავსებენ შინაარსის შემადგენლობაში თემასთან ერთად, ხოლო შეპილოვა - თემას პრობლემასთან"[1].

მაშასადამე, ფორმისა და შინაარსის იგივეობა ნიშნავს, რომ მათი ცალკე განწვევრება არის პირობითი და არა რეალური. რასაკვირველია, აუცილებელი საჭიროებაა ნაწარმოების ძირითადი სტრუქტურის გადმოცემისას ეიხელმძღვანელოთ სიტყვა შინაარსით. მაგრამ რასაც ჩვენ შინაარსად ვუყებით, ის არ არის გათავისუფლებული ფორმის მომენტისაგან. როდესაც ჩვენ „ვეფხისტყაოსნის" შინაარსს გადმოვცემთ და მასში ვახსენებთ ტარიელის, ავთანდილის და სხვა პერსონაჟთა ურთიერთობას და მოქმედებას, ჩვენ ამით მხოლოდ ნაწარმოების შინაარსს კი არ გადმოგვცემთ, არამედ მასში უკვე მონაწილეობს ფორმის მომენტიც. ტარიელი, ავთანდილი და ა.შ. ეს უკვე პოეტის მიერ ხორცშესხმული, ფორმაქმნილი პერსონაჟებია. ამდენად შინაარსის ტარდიციული გადმოცემა ნაწარმოების მოქმედებრივ ხერხემალს გადმოსცემს, მაგრამ არა ფორმისაგან განწმენდილად და თავისთავად, ეს შინაარსია მხოლოდ იმის გამო, რომ ითქვა ისეთნაირად, როგორც ამა თუ იმ პოეტმა გვითხრა და ეს შინაარსი ძალას იხვეჭს როგორც შინაარსი მას შემდეგ და იმის გამო, რომ მას გააჩნია ფორმა. „ხელოვნების ჰეშმარიტი ნაწარმოებები მხოლოდ და სწორედ ის ნაწარმოებებია, რომელთა შინაარსი და ფორმა მთლიანად იგივური აღმოჩნდება. „ილიადას" შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მისი შინაარსია ტროას ომი, ანუ, თუ უფრო გარკვევით ეიტყვით, აქილევსის რისხვა. ამით ყველაფერია თქმული, მაგრამ მაინც ძალიან ცოტა რამ, ვინაიდან ის რაც „ილიადას" „ილიადად" აქცევს, ის პოეტური ფორმაა, რომლითაც გამოხატულია მისი შინაარსი. სწორედ ასევე „რომეო და ჯულიეტა"-ს შინაარსია ორი ოჯახის ჩხუბით გამოწვეული ორი მოტრფიალის დაღუპვა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდი გახლავთ შექსპირის უკვდავი ტრაგედია".[2]

ფორმად, შინაარსად ნაწარმოების დაშლა შეუძლებელია. ფორმისა და შინაარსის ასპექტით ნაწრმოების განხილვა ნიშნავს ამ კატეგორიის ერთობლივად მოქმედებაში მოყვანას, როცა ნაწარმოების შინაარსობლივ მხარეზე არის ჩვენი მსჯელობის საწყისი, მაგრამ განსჯა ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს, თუ შინაარსი ფორმით არ იქნა

1 И.И.Виноградов. 'Проблемы содержания и формы литературного произведения, М.1958, стр.4.

2 ჰეგელი, „ლოგიკის მეცნიერება",1962, გვ.294.

წარმოდგენილი. „მართალია, ფორმა-შინაარსის კატეგორიების ასპექტში საგნის გაანალიზება არ ნიშნავს ამ საგნის დაშლას, არც საგნის ელემენტების სრულიად დამოუკიდებლად წარმოდგენას, მათ მოწყვეტას ერთმანეთისაგან, პირიქით ფორმა-შინაარსის კატეგორიების დიალექტიკა ისეთ ანალიზს მოითხოვს, როცა ანალიზით გამოყოფილი ელემენტები ერთი მეორეს ავლენენ, ერთმანეთში გადადიან და, კერძოდ, მთელისა და ნაწილების მთლიანობასაც მიუთითებენ“.[1]

პოეზიის გრძნობადი მასალა

თუ მხატვრობას, მუსიკას, ქანდაკებას სადავო არაფერი აქვთ გრძნობადი მასალის შესახებ, პოეზიის მიმართ პრობლემად იქცა საკითხი, რა არის მისი გრძნობადსაშენი, გარეგანი გარსი /სიტყვა თუ წარმოდგენა/, ჰეგელის აზრით, პოეზიის ასეთი მასალაა წარმოდგენა. უფრო გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, კი – სიტყვა (მაგ. ჰარტმანთან). თუმცა, როგორც ქვემოთ შევეხებით წარმოდგენას არც ჰეგელი სწყვეტს სიტყვას, არც ჰარტმანი გულისხმობს უწარმოდგენო სიტყვას. წარმოდგენათა შორის მუსიკალური კავშირი არის არა ყურის სმენითი შეგრძნების ფაქტი, არამედ შიგნითა სმენის განცდის ობიექტი.

ადამიანის ხუთი გრძნობიდან სმენითმა და მხედველობითმა, განაპირობა ხელოვნების ყველა დარგი. გარდა სინთეტური ხელოვნებისა, ხელოვნების დარგები ან მხედველობითი შეგრძნების ფაქტია, ან სმენითისა. ამ ორ გრძნობას შორის ერთგვარ ხიდს წარმოადგენს პოეზიის გრძნობადი მასალა, რომელიც არის მოხსნილი მხედველობითი შეგრძნებისა და მოხსნილი სმენითი შეგრძნების სინთეზი. ე.ი. ჩვენ პოეტურ სახეს ვხედავთ არა რეალური ხედვით, არამედ შიგნითა ხედვით. ასევე წარმოდგენათა შორის მუსიკალური კავშირი არის არა ყურის სმენითი შეგრძნების ფაქტი, არამედ სმენის განცდის ობიექტი.

თუ არქიტექტურაში გარეგანი, გძნობადი მასალა გადასწონის თავის შინაარსს და იგი მატერიის თავისთავადობის სრულყოფილი მდგომარეობაა, ქანდაკებაში იწყება მძიმე მატერიის განსულიერება და მატერიულობის მძიმე შეგრძნების ესთეტიკურ ჭვრეტაში დაძლევა. რასკვირველია, გრძნობადი მასალა ჭვრეტის შინაარსს გარკვეულ სიღრმეებს აძლევს, მაგრამ იგი განპირობებულია გარკვეული მიმართულებით. ქანდაკების მასალის სამგანზომილებიანი სივრცე წარმოადგენს მატერიისა და იმ მატერიალურის ისეთ ერთიანობას, რომელშიც წმინდა მატერია და წმინდა აზროვნული უკიდურესობათა

1 ნ.ჯავჯავაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის, გვ.80.

სახით, თუ შეიძლება ითქვას, დიალექტიკურ წონასწორობას ყველაზე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს. ჰეგელის ხელოვნების ლოგიკურ-ისტორიულ კლასიფიკაციას გრძნობადი მასალის ეს თავისებურებაც უდევს საფუძვლად. ბერძნული ქანდაკება იდეალის განსახიერებაა იმიტომ, რომ მასში ღეთაებრივი და მიწიერი, შინაგანი და გარეგანი, თავიანთი დამოუკიდებელი, სრულყოფილი მომენტებით ერთიანდებიან. პოეზია ამ კლასიფიკაციით სიმბოლურ ან რომანტიკულ სახეებად განიყოფება. მხატვრობა და მუსიკა, როგორც თვითჩაძირვა ადამიანის შინაგან სამყაროში, ჰეგელმა რომანტიკულ ხელოვნებად მიაჩნია. რამდენად სამართლიანია ეს კლასიფიკაცია, ამის განსაზღვრა ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს, მაგრამ ასეთი კლასიფიკაციის გარკვეული წილი გრძნობად მასალაზე მოდის.

მხატვრობის გრძნობადი მასალა ფერისა და ხაზის სახით ერთგვარ უცნაურ მასალას წარმოადგენს, რამდენადაც ისინი თუმცა მატერიალური შეგრძნების ფაქტს წარმოადგენს, მაგრამ თავისთავად არა აქვთ მატერიალურად მდგრადი მდგომარეობა, რადგან არ წარმოადგენენ სამგანზომილებიან საგნებს. ისაა, ასე ვთქვათ გათხელებული მატერია, რომლის კომბინირება ტილოზე შესაძლებლობას იძლევა სამგანზომილებიანი სივრცის პერსპექტივაში წარმოდგენისათვის. იგია სივრცის ხელოვნება, მაგრამ სივრცეშივე შეზღუდული. ლესინგი მხატვრობისა და პოეზიის გრძნობადი მასალის თვალსაზრისით შეპირისპირებისას წერს, რომ მხატვრობა მოქმედებას მხოლოდ კულმინაციურ წერტილში გვაჩვენებს, პოეზია კი საგნის მიმოქცევას დროში.

მუსიკის გრძნობადი მასალაც ბგერების სახით, აგრეთვე მატერიალური მოვლენაა, მაგრამ დროში წარმოშობილი და დროშივე შეზღუდული, მას არ გააჩნია დროში მდგრადი მდგომარეობა. იგი დროში ჩნდება და დროში ქრება.

დროსა და სივრცის ასეთ უშუალო დამოკიდებულებისაგან თავისუფალია პოეზია. რასაკვირველია, იგი ვერ გვაჩვენებს ისე ცხადად, როგორც მხატვრობა, ვერ გვასმინებს, როგორც მუსიკა. მაგრამ მისი მასალა გაცილებით ელასტიურია, რადგან იგი ამ გრნობებისა და მათ შესაბამის ხელოვნებითს საშუალებებს იერთებს თავის თავში.

თუ პოეზიის გრძნობადი მასალაა სიტყვა, როგორც ასეთი, მაშინ ასეთი სიძნელე იჩენს თავს: სიტყვა არ არის საყოველთაო. ერთი ენის სიტყვა, მეორე ხალხისათვის მიუწვდომელი შეიძლება იყოს და ა.შ. სიტყვა, როგორც კონკრეტული მოვლენა ცვალებადია. უსიტყვოდ, ცხადია პოეზია არ არსებობს, მაგრამ როგორია ეს სიტყვა, ანდა რომელია ეს სიტყვა, რომლითაც იგი ყოველ ადამიანს შეიძლება მისწვდეს. Der mann კაცი ამ სხვადასხვა სიტყვების ხსენებისას ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე შინაარსი, ერთი და იგივე

შედეგი. მაშასადამე, სიტყვას ჰქონია რაღაც შუალობითი ფენა. სიტყვა თარგმნის ფაქტი ხდება, სწორედ ამ ზოგადი ფენის საშუალებით, ეს ზოგადი ფენა საყოველთაობის ნიშანისაა. ესაა წარმოდგენა. წარმოდგენა არის გარშემო ისტორიული პირობებისაგან თავისუფალი გრძნობის საყოველთაო უნარი, სიტყვაც საყოველთაოა, მაგრამ კონკრეტულად არ არის საყოველთაო ნიშნის სიტყვები. გრძნობადი მასალისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ზოგადსაყოველთაობა. ხელოვნების სხვა დარგების გრძნობადი მასალა იმთავითვე ამ ნიშნით ხასიათდება. ასეთი ორფენიანობით წარმოსდგება პოეზიის გრძნობადი მასალა. სიტყვა, როგორც წმინდა გარეგნული ნიშანი, ერთგვარი შუამავალია წარმოდგენის ორბიტაზე გასაყვანად, რის შედეგადაც იგი თავის ფუნქციას ამოსწურავს. ჩვენ გარკვეულ შემთხვევების გარდა აღარ ვგრნობთ სიტყვას, როგორც გარეგან ფაქტს, ჩვენ უკვე მის შიგნით ვიყურებით, სიტყვას, როგორც გარეგნობას. თავისთავადს, განსაკუთრებული ყურადღებით ეჯაჭვება ბავშვი, როცა მარცვლებით სწავლობს კითხვას. ამ შემთხვევაში სიტყვა არის მისი ყურადღების მიზანი. ჩვენი ყურადღების მიზანი კი შიგნით, წარმოდგენაში ძევს. „მაშასადამე, — წერს ჰეგელი, — სული გამოიწვედის თავის შინაარსს ბგერებიდან, როგორც ასეთიდან და ავლენს თავის თავს სიტყვებში. მართალია ისინი, სრულად როდი სტოვებენ ელემენტებს, მაგრამ მდაბლდებიან უაღრესად ბგერითი ურთიერთობის ნიშნებამდე. სულიერი წარმოდგენებით შევსების გამო ბგერა ხდება ზუსტი ტექსტი და სიტყვა თეითმიზნურობიდან კვლავ გადაიქცევა სულიერი გამოხატვის საშუალებად, რომელიც თავისთავად კარგავს დამოუკიდებლობას."[1]

მაშასადამე, პოეზიის გრძნობადი მასალა მოკლებულია ისეთ ცალკეულ გრძნობით ინტენსიურ გამოხატვას, როგორც მხატვრობა ან მუსიკა, მაგრამ აზრის გადმოცემისათვის მას უნივერსალური საშუალებანი გააჩნია. იგი გაცილებით შეუზღუდავია ბუნების ფართო პლანით წარმოდგენაში, შეუზღუდავია დროში. შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ აზრის გათვალსაჩინოებისათვის მოვლენათა მრავალფეროვანი კომბინაციები წარმოგვიდგინოს. თუ მხატვრობა სიუჟეტს გარკვეულ კომპოზიციურ შემოფარგლულობაში გვაძლევს, პოეზია დროსა და სივრცეში გაცილებით დიდი ტევადობის, აზრის სარეალიზაციო მოქმედებებსა და ხილულ მოვლენებს გადმოგვცემს. „ვერავითარი ხელოვნება ვერ გამოთქვამს იმდენ იდეას, რამდენსაც პოეზია". „პოეზია, სახელდობრ, სიტყვაში, გადმოგვცემს მას, რაც არ შეუძლია გადმოგვცეს ფილოსოფიამ უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც". რამდენადაც პოეზიის გრძნობადი მასალა მოკლებულია წმინდა მატერიალურ თვისებას, იგი განტვირთულია საგნობ-

1 Гегель,т.XIV, стр. 160-161.

რიეი სიმძიმისაგან და წარმოადგენს განსულიერებულ მოვლენას, ამდენად იგი უახლოვდება, გამოსახატავ სულიერ შინაარსს. თუ სულიერ შინაარსს, იდეას, როგორც გრძნობისათვის უხილავს, ხელოვნების სხვა დარგებში ვხედავთ მატერიალურ გრძნობად მასალაში, პოეზიაში მას ვხედავთ განსულიერებულ მატერიაში. აქ შინაარსი და მისი გამომხატველი მასალა გვანან- ერთმანეთს. რასაკვირველია, მასში მოხსნილი არ არის გარეგნობა როგორც გრძნობის ფაქტი, როგორც საერთო საშუალება. მაგრამ ამ მასალის ასეთი თავისებურება ამეზობლებს მას სულის გამოხატვის ისეთ ფორმასთან, როგორიც არის ფილოსოფია. თუ ფილოსოფიური შინაარსი, გამოხატვის შესაძლებლობის ფარგლებში, ხელოვნების არც ერთი დარგისათვის არ არის უცხო, პოეზიაში, ფილოსოფიური იდეა არა მხოლოდ ამ ფარგლებში იწყვდის თავს გამოსახატავად, არამედ იგი ვლინდება ისეთი სახითაც, რომელსაც ვეღარ აუდის გრძნობადი მასალა და იშველიებს ფილოსოფიური განსჯის ფორმასაც. ამ შემთხვევაში, გრძნობად მასალაში იგულისხმება წმინდა წარმოდგენები, რადგან გრძნობადი მასალის წარმოდგენისას გარე შრე — სიტყვა, როგორც ასეთი, არის ფილოსოფიური განსჯის რაღაცნაირად აუცილებელი ნაწილიც. სიტყვის მნიშვნელობა ფილოსოფიაში მინიმუმამდე შეიძლება იქნეს დაყვანილი, რადგან იგი ისეთ მოვლენათა კომუნიკაციას კისრულობს, რომელიც გრძნობის გარეშეა. ფილოსოფიური აზრი შეიძლება უდანაკარგოდ იქნეს გადატანილი სხვა ენაზე, ე.ი. შენარჩუნებულ იქნეს ის რაც მასში არის. მიუთითებენ, რომ პოეზიის თარგმნა შეუძლებელია, რადგან თარგმნა ნიშნავს უკვე სხვა ნაწარმოებს და არა ორიგინალს (კროჩე). განსჯის ფორმების ასეთ მეზობლობაში, პოეზიაზე მის გავლენაში იგულისხმება, რომ წარმოდგენები ღარიბდებიან და ზოგჯერ ქრებიან კიდეც. წარმოდგენათა ნაცვლად ეხვდებით მსჯელობებს, თუმცა მსჯელობა გარკვეულ გრძნობად მოქმედ რკალშია და რაღაც მხატვრულ ფუნქციასაც ასრულებს. ცხადია, პოეზიაში ცნებებრივი, აკადემიურ-ფილოსოფიური, განსჯა არა გვაქვს, მაგრამ განსჯის თეორეტიული, ცნებებრივისაგან შეფერილი ნაკადი, ახალ დრამატულ პოეზიაში (მაგ.შილერი, გოეთე ბაირონი და ა.შ.) აშკარაა.

ცნებებრივისა და წარმოდგენების რაღაცნაირი შერევით, არც წმინდა ცნებები გვაქვს და, თავის მხრივ, არც წარმოდგენებს ყოფნის პოეტური სისრულე და გამოკვეთილობა. ხშირად ლაპარაკობენ კიდეც რომ ესა თუ ის პოეტი თეორიულად, აბსტრაქტულად ცნებებრივად აზროვნებსო — „პოეტი არასდროს ლაპარაკობს ცნებებით, თვით მაშინაც კი როცა სარგებლობს „მრავალი ცნებებით" (Ходовое понятие) იგი ცვლის მის მნიშვნელობას, გამოყოფს მასში სახეობით საწყისებს, ხაზს უსვამს მას, რასაც ჩვენ მასში ვერ შევნიშნავდით. ეს არ უშლის, რომ პოეტმა გამოხატოს ის, რაც არ შე-

ეძლოთ ადამიანებს გამოეხატათ ადამიანური, ყოველდღიური ცხოვრების ენაზე".[1]

განსჯის ასეთი შემოკრა პოეზიაში პოეტის სათქმელის იმ ნაწილის ერთგვარ შევსებას წარმოადგენს, რომლის რეალიზება ვერ შეძლო მან სახილველ, კონკრეტულ ხატებში. მაგ. იდეათა მთელი ის არსენალი რომელსაც გოეთე გვაძლევს თავის „ფაუსტში" შეუძლებელია ხატებით იქნეს გადმოცემული, განსჯის ფორმის დაუხმარებლად. ამ იდეათა გრძნობად სარეალიზაციოდ ბუნებრივ მოვლენათა კომბინაციები საკმარისი არ იქნებოდა. ამდენად, რეფლექსის, ასეთი დიდი დაწინაურება წინააღმდეგობაში მოდის გრძნობადი მასალის შესაძლებლობებთან და სათქმელი შინაარსი აღემატება ფორმას, გარეგანს, ამიტომ გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ანსხვავებს ძველ და ახალ პოეზიას ნათლად აისახება გრძნობადი მასალის თვისებებში. როგორც ბაუმგარტენი აღნიშნავს ძველი პოეტის აზროვნება უფრო კონკრეტულია და პოეტური, ვიდრე ახალი პოეტის აბსტრაქტული ჰეშმარიტებანი. „ასე მაგალითად, პორაციუსი იყენებს სიტყვას „ოლიმპიური მტვერი" ნაცვლად „ბრძოლის ველისა", ამბობს „პალმის რტო", ნაცვლად „გამარჯვებულის ჯილდო", ცვლის რა იგი ამგვარად აბსტრაქტულს კონკრეტულით. ცალკეული მაგალითები უფრო პოეტურნი არიან, ვიდრე ზოგადი ჰეშმარიტებანი". ძველი პოეზია თავის ყოველ სათქმელს, თავის შინაარსს, თითქმის ყველაფერს გვაჩვენებს. მაგარმ მისი შინაარსი ჯერ კიდევ დაპირისპირებული და განყენებული არ არის ბუნებისაგან. იგი ცნობიერების ბავშვობის სტადიაა. როდესაც ბავშვს ეკითხებიან რა არის კაცი, ბავშვი პასუხობს, რომ კაცი არის პეტრე, ივანე და ა.შ. ასევე ძველი პოეზიისათვის დამახსიათებელია, კონკრეტული ხატებით აზროვნება. ისიც ასევე გვაჩვენებს ადამიანს, როგორც კერძოს, განსხვავებულს და არა ადამიანს, როგორც ასეთს.

წარმოდგენათა კონკრეტულობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ინდივიდუალური ფორმით ელინდება. ერთსა და იმავე მოვლენას ყველა წარმოვიდგენთ ერთნაირადაც და განსხვავებულადაც. ადამიანს, ჩვენც, იაპონელიც, ინგლისელიც და ა.შ. წარმოვიდგენთ ერთნაირად და განსხვავებულადაც. იაპონელი იაპონელის ნიშნით, ინგლისელი ინგლისელის ნიშნით და ა.შ. გარდა ამისა, წარმოდგენებში სხვაობა არის წარმოდგენის სუბიექტურ, ინდივიდუალურ მომენტში. ყველა ადამიანი ხის ერთნაირ წარმოდგენას ვერ შექმნის. წარმოდგენები ფორმირებული არიან არა მხოლოდ ჩვენი ცნობიერების ობიექტური წესის ნიშნით, არამედ თვით იმ გარემომცველი სინამდვილის თვისებებით, რომელშიც ფორმირდება ჩვენი გრძნობები. ნაწარმოების თარგმნის დროს წარმოდგენას, თავისი კონკრეტული

1 И.Гартман, Эстетика, стр.. 254.

განსხვავებული ნიუანსი გააჩნია, რაც შეიძლება წარმოდგენის ეროვნულ სფეროს განეკუთვნება და სხვათათვის ცხადი და ნაცნობი არ არის იმ ხარისხით, როგორც თავისი ხალხისათვის. ამიტომ რაც უფრო ძველია პოეზია, მით უფრო ინდივიდუალურია წარმოდგენები, მით ეროვნული და განსხვავებულია. ყველაზე უფრო მეტად ამ შემთხვევაში ზარალდება პოეტური ნაწარმოები თარგმნის შემთხვევაში. საამისოდ მოვიტანთ ჩვენ ერთ ვრცელ ამონაწერს წიგნიდან „Душа Японии", იაპონიის ცხოვრებას. კომპეტენტურ. მკვლევართა გამოკვლევებით დიდი ხანია უკვე აღიარებულია, რომ იაპონელ ერს გააჩნია განსხვავებული თავისებურებანი, რომელსაც არაფერი არ გააჩნია საერთო იმასთან, რასაც შეეთვისენ დასავლეთის ხალხები და რაც უეჭველად აისახა მათ ლიტერატურაში. ამიტომ თუ მთარგმნელებს გააჩნიათ სოლიდური ცოდნა იაპონურ ენაში, მაინც არ შეუძლიათ აღიქვან თარგმნისას ყველა მეტაფორა, ციტატა, ახსნა, რომლებიც იაპონელი მწერლის განკარგულებაშია. მაშასადამე თუ ისინი თვითონ კარგად გებულობენ ორიგინალში გამოხატულ იდეას, მათ არ შეუძლიათ გადასცენ იგი მკითხველს მომჭანცველი და ვრცელი შენიშვნის გარეშე. ხშირად იაპონური სიტყვა მოიცავს თავისთავში მნიშვნელობას, რომელიც ან მხოლოდ დაახლოებით შეესაბამება იმ ევროპულ ტერმინს, რომელიც უნდა იქნას თარგმნილი, ანდა უკანასკნელის მიერ გამოხატული ევროპელი მკითხველის გონებაში სრულიად სხვა წარმოდგენას იწვევს საგნის შესახებ, ვიდრე აღნიშნული სიტყვა იწვევს იაპონელებში. ასე მაგალითად: მათთან ალუბლის ყვავილი ითვლება მეფედ, მაშინ როდესაც ჩვენს ყვავილთა დედოფალს — ვარდს ისინი უყურებენ როგორც უბრალო კვირინჩხალს. მეორე მაგალითი „კატაბალახას, რომელიც ინგლისელთათვის უმთავრესად კატებზე ქარაგმაა, იაპონელებში უჭირავს ვარდის კოკორის ადგილი, როგორც საყოველთაოდ აღიარებული მეტაფორა, ქალის ადრეული გაფურჩქვნისა".[1]

პოეტურ ნაწარმოებთა თარგმნის პროცესში დედნისეული ღირსების დაზარალებაში ბრალი მიუძღვის წარმოდგენების იმ კონკრეტულობას, რომლებიც განსხვავებულ ყოფითი გარემოსაგანაა განპირობებული, მისი თავისებურებებითაა გამოწვეული. ბუნებრივია, ამა თუ იმ ხალხთათვის განმასხვავებელი წარმოდგენა, რომელსაც თავისი სიტყვიერი სახელი გააჩნია, სხვა ხალხის სიტყვით ლექსიკონში ხშირად არ მოიპოვებოდეს ან სხვა მნიშვნელობა ქონდეს. მაშასადამე, პოეზიის გრძნობადი მასალა ზოგადის იდეალის გამოხატვის დიდ შესაძლებლობებთან ერთად ასეთ კონკრეტულ წინააღმდეგობასაც შეიცავს.

ძველი პოეზია, როგორც აღინიშნა, მდიდარია პლასტიკური, საგ-

1 Душа Японии, стр. III, 1905 г.

ნობრივი ხატებით. იგი მდიდარია უწინარესად ეროვნული წარმოდგენებით. იგი თავისი ერის წარმოდგენებს გამოხატავს. ამიტომ პოეზია ყველაზე ეროვნულ ხელოვნებადაა მიჩნეული. რასაკვირველია, ასე თუ ისე, სათქმელის შინაარსი, წარმოდგენისადმი მიმართება ყოველ ხალხში არ შეიძლება იმდენად განსხვავებული იყოს, რომ მასში არაფერი იყოს მეორე ხალხისათვის გასაგები, მაგრამ ზოგჯერ და უმეტესად წარმოდგენებით, ხატებით მდიდარი პოეზია მთელ თავის პოეტურ მარილს იმ წარმოდგენებთან ერთად სტოვებს, რაც ამ წარმოდგენის ეროვნულ განსხვავებულობაშია.

„ალუდა ქეთელაური
კარია დაელალიანა,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გ'სიანა...“

ამ სტრიქონებიდან, რაოდენ ბრწყინვალე არ უნდა იყოს მისი სხვა ენაზე თარგმანი, ის სილამაზე, რაც მის გარე ფასადშივეა მოცემული, არასგზით არ შეიძლება გადავიდეს სხვა ენაზე. აქ ქართველისათვის მეტია მოცემული, ვიდრე სხვა ხალხისათვის. ქართველ მკითხველს უკვე წინასწარ გააჩნია თვალში არა უბრალოდ საკრებულო, არამედ როგორც საფიხვნო. საკრებულო ამ შემთხვევაში არის საფიხვნოს თარგმნა ზოგადი წარმოდგენის ენაზე. მაგრამ საკრებულო როგორც საფიხვნო, რომლის თავშიც ჩვენ ალუდა ქეთელაურს წარმოვიდგენთ, არის სწორედ წარმოდგენის ის კონკრეტული და განმასხვავებელი მხარე, რომელზედაც მოდის პოეტური მახვილი. ამ შემთხვევაში პოეტურ ურთიერთობაში ებმება ქართველი მკითხველის წინასწარ არსებული წარმოდგენათა კომპლექსები, სახელდობრ იმ კუთხის, იმ მხარის მეტყველების თავისებურებები, რომელსაც წარმოგვიდგენს პოეტი და, რომელიც რაღაც ხასიათს გამოხატავს. თარგმნის შემთხვევაში დეტალთა თავისთავადი პოეტური ღირებულება დნება, ზოგჯერ ძლიერ გაფერმკრთალებული გადადის, ზოგჯერ სულ იკარგება. ამ შემთხვევაში პოეტური ნაწარმოებისაგან სხვა ენაზე გადადის სიუჟეტის ხაზი, მოქმედებრივი მხარეები. ამაში ცხადია, მთარგმნელი არაა დამნაშავე, ესაა ძველი პოეტური მეტყველების ეროვნული, თავისთავადი განსხვავებული წარმოდგენების მიზეზი. განსხვავებული წარმოდგენები კი ნიშნავს, რომ შესაბამისი დამხვედრი საშუალება სხვა ერის წარმოდგენებსა და შესაბამისად სიტყვათა. სალაროში არ მოიძებნება. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ზარალდება კოლორიტის პოეზია, რომელიც გარკვეულ მახვილს აკეთებს მეტყველებისა და ხატის კოლორიტზე (მეტაფორაზე) იმ აზრით, რომ იგია ხასიათის გახსნის საშუალებაც. ასეთ შემთხვევაში კი ყველაზე მეტად ალბათ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაა გრძნობადი მასალის ბრწყინვალებით შებორკილი.

მოცემულ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა სათქმელის ამბაურ

მნიშვნელობით მიუწვდომლობას, არამედ ამ კონკრეტული აღქმის სრულყოფილ პოეტურ სიმაღლეზე შენარჩუნების სიძნელეს (ვაჟასთან). შინაარსობლივი, ამბავური გულისხმობანი ხშირად ემყარება ეროვნულ აზრებს, მითოლოგიას. მაგალითად, როცა გოეთე „ფაუსტში“ იტყვის, რომ მარგარიტას წითელი თაგვი გამოუვარდა პირიდანო, ეს გერმანული მითოლოგიის მიხედვით, როგორც ცნობილია, ნიშნავს ქალიშვილის მიერ სიწმინდის დაკარგვას /ტრადიციული აზრით/. ასეთივე შინაარსობლივი განკერძოებულობაა, მაგალითად, იაპონურ ლექსში:

„О проникающий в душе ветер...
Это работа маленьких мальчиков в Содзи“...

ჩვენთვის აქედან ცხადი არ არის, რას ამბობს პოეტი, მაგრამ იაპონელებისათვის კი იგი ცხადი ყოფილა. სახელდობრ, იგულისხმება, რომ პატარა ბიჭს მინის ნაცვლად ჩასმული ქაღალდები თითებით დაუხვრეტია. ეს პატარა ბიჭი გარდაცვლილა და „ცივი ქარი ქრის დედის გულში“[1]. ვითარცა ქაღალდის ნასვრეტში.

გოეთე ლექსში „სიმღერა და სინატიფე“ ეხება აღმოსავლეთის დამოკიდებულებას სიტყვისადმი. ი. ბრაგინსკი წერს: „ის (გოეთე — ვ.გ.) შენიშნავს, რომ აღმოსავლური პოეტიკის საფუძველში ძევს განსაკუთრებული მოწიწებითი დამოკიდებულება სიტყვისადმი, მისი გამოყენებისადმი და სიტყვის თავისებური კულტი. ასეთი დამოკიდებულების ტრადიცია მოდის უძველესი დროიდან — რწმენა სიტყვის მაგიური ძალისა (მაგალითად „Матра спакта“ ზემოქმედი“, წმინდა სიტყვა, ავესტაში).[2]

ვერავითარი წარმოდგენა წმინდა შეგრძნების ხარისხით ვერ შეედრება რეალურ მხედველობით შეგრძნებას. მაგრამ წარმოდგენაში საგანი უფრო ცნობიერების კუთვნილება ხდება, ცნობიერების უფლებებში ექცევა და გონების მომწესრიგებელი მოღვაწეობისათვის უფრო მოქნილი და ხელსაყრელია. ამიტომ ამბობენ, რომ პოეზიას ყველაზე დიდი მოქმედების არე გააჩნია სულიერი პერსპექტივების გაშლისათვის. გრძნობადი მასალის ანალიტიკა გვაძლევს აგრეთვე იმის ნათელ სურათს, თუ რა განსხვავებაა ძველი და ახალი პოეტის წარმოსახვას შორის. ძველი პოეტი, რომელიც სინამდვილის გარეგანი სურათით არის გატაცებული, საგანთა სრულყოფილ ხატებს გვაძლევს. იგი წარმოგვიდგენს ხილულ მოვლენათა ფერადოვნებას, რადგანაც წარმოდგენა თავისი ბუნებით არის ერთეული. წარმოდგენაში ეხედავთ ჩვენ გარკვეულ საგანს, მაგრამ წარმოდგენასაც გააჩნია გარკვეული ნიშნის ზოგადობა. როდესაც ვამბობთ სიტყვა

1 И.Брагинский, „Западно-восточный синтез в диване Гете и классическая поэзия на фарси“ М.1953, стр.4.

2 Душа Японии, стр.XXI

„ვარდს“, ჩვენ ამ წარმოდგენისათვის მხოლოდ შესავსები სქემა გაგვაჩნია, რომელსაც ჩვენ შევავსებთ, როგორც წარმოდგენას.

მაგრამ როდესაც გვეუბნებიან „წითელი ვარდი“ წარმოდგენას კიდევ მეტი კონკრეტულობა შეეძინება და ჩვენ, როგორც ამ წარმოდგენის მიმღებთ, წარმოდგენის ასეთი საკუთრივ სურათად ქცევისათვის გარკვეული ორიენტაცია გვეძლევა ე.ი. წარმოდგენა ამა თუ იმ საგნის შესახებ მისი დასახელებით ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ საგნის სრულფასოვანი სურათის წარმოდგენას. საგნის აქტიური, თვალნათლივი ხატის შესაქმნელად წარმოდგენების გარკვეული სიუხვეა საჭირო.

ძველი პოეზია, რომელიც საგანთა გარეგნულ მიმოქცევას, ადამიანური ერთიერთობის თვალხილულ ფაქტებს ემყარება და მითივე იფარგლება, უნებლიეთ ქმნის ასეთი სურათოვნების სიმდიდრეს. ახალ პოეზიას, როგრც სუბიექტივირებულ ხელოვნებას, ყურადღების ცენტრი გადააქვს ადამიანის შინაგან სამყაროზე, სულის ისეთ მოძრაობის ფორმებზე, რომლებიც არ არიან საგნები, როგორც გარეგანი შეგრძნების ობიექტები. ამიტომ ახალ პოეზიაში შემოდის ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მწუხარება“, „სევდა“, „ჰმუნვა“, „შფოთვა“ და ამგვარი უობიექტო წარმოდგენები, რომლებსაც ცხადია, აკლიათ გამოკვეთილი, ხატობრივი სიმკვეთრე, ამიტომ ამბობენ, ახალ პოეზიის გრძნობად მასალაში ბუნებრივი, ობიექტური აბსტრაქტულია და მას ვხედავთ არა იმდენად გრძნობების, არამედ გონების თვალით. შილერის, გოეთეს, ბაირონის, პუშკინის და ა.შ. ლექსებსა და პოემებში განსაკუთრებით დრამატიულ პოეტურ ქმნილებებში ვხვდებით სწორედ ასეთ განსულიერებულ შინაგრძნობას, სადაც ემოციონალური ცენტრი გადატანილია სულის შინაგან მდგომარეობაზე. რასაკვირველია, მისი სიდიადე სხვაგვარია, ვიდრე ძველი პოეზიისა, მაგრამ არსებითი განსხვავება ძველ და ახალ პოეზიას შორის გრძნობადი მასალის მიხედვითაც, გარკვეულ კანონზომიერებას გვიმჟღავნებს. გრძნობადი მასალის ამ შიგნითა ფენებს (ე.წ.წარმოდგენებს) ასეთივე შესაბამის გარსს უქმნის რითმა. ასეთი ხატობრივი სიმდიდრით წარმოდგენილი პოეზია მდიდარი არის აგრეთვე სიტყვის მუსიკალობითაც. აქ მკვეთრი შეგრძნების მომენტად იქცევა სიტყვის გარეგანი ჟღერადობაც. სიტყვა თავისი გარეგანი სახით მოხმობილია, როგორც ესთეტიკური ნაწილი წარმოსახვის შინაგანი ფენებისა. ამიტომ ლაპარაკობენ აღმოსავლური პოეზიის სალექსო სიმდიდრეზე, სიტყვის სიახლესა და დაუღლელობაზე, როგორც გოეთე „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანში“ წერს:

„И где слово вечно ново,
Ибо устным было слово“

სიტყვა აღმოსავლურ პოეზიაში გრძნობადი მასალის აქტიური წევრია თავისი ჟღერადობით და წარმოდგენების თახაბარი უფლე-

ბით წარმოსდგება. სიტყვის ასეთი გარეგანი აქტიობა ამ ინტენსიობით დამახასიათებელი არ არის ახალი, დრამატიული პოეზიისათვის, რადგან აქ უკვე აზრი დომინირებს. სიტყვა აქ ძირითადად წარმოდგენათა ორბიტაზე გამყვანი საშუალებაა, შემდეგ იგი, როგორც გარეგნობა ნაკლებ მონაწილეობს მასში. ფრანგულმა სიმბოლიზმმა სიტყვა საგანგებოდ წამოსწია წინა პლანზე. შეეცადა სიტყვიერი კეთილხმოვნება ერთგვარ მასალად გაეხადათ. მაგრამ სიტყვა აქ კიდევ უფრო მეტად სიმბოლურია და მიღმა სფეროების ფუნქციას ასრულებს. სიტყვა აქ ბუნებრივი განცდით, გრძნობების უშუალო კარნახით არაა წარმოშობილი, როგორც მაგალითად აღმოსავლურ პოეზიაში. აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელია სიტყვის მუსიკალობა, ჟღერადობის მიზნად ქცევა, ესაა გრძნობის მიზანი. ამიტომაა, აღმოსავლური ლექსის რითმები გაცილებით მრავალფეროვანია და მდიდარია. ლექსის ასეთი აღმოსავლური ნიშნის ბრწყინვალე სიტყვით მუსიკობანი ქართულ ლექსშიც აისახა. განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანში", შემდგომში თეიმურაზთან, ბესიკთან და გარკვეულად მე-19 საუკუნის პოეზიაში. „კარვის კალთა ჩახლართული, ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე", ამ სტრიქონების მუსიკალური მომხიბლელობა იმდენად დიდია, რომ მის შიგნით წარმოდგენებზე აღარ ვამახვილებთ ყურადღებას.

პოეზიაში სიტყვის საკუთრივი ფუნქცია ცვლილებას განიცდის იმის მიხედვით, თუ როგორ სამყაროს, როგორ შინაარსს გვიხატავს პოეტი, ამდენად გარკვეულ კანონზომიერებას ეხედავთ იმაში, რომ ძველი პოეზიის სამყარო თავისი გარეგანი სახით გამოხატვის გარეგან საშუალებაზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო სულის შინაგანი ფენების გამოხატვისას ახალ პოეზიაში სიტყვის გარეგანი გარსის მნიშვნელობა სუსტდება.

ამიტომ აღმოსავლურსა და საზოგადოდ ძველ პოეზიაში, როგორც რითმის ხელოვნება, სიტყვათა რიტმული კანონზომირება პოეტური განცდის საგანია. ამიტომაა, რომ სიტყვის ჟღერადობა, რითმების ზომა, სახილველ მოვლენათა მეტაფორული ასოციაციებიხ გარეგნული თვალისმომჭრელი სილამაზისადმი ლტოლვა აქ უფრო მომეტებულად იგრძნობა. საკმაოდ ცნობილი აზრია: „მიჯაჭვულობა ლექსისადმი, და განსაკუთრებით გარითმული ლექსისადმი, შესაძლებელია მხოლოდ იმ ხალხში, რომელიც სრულიად არ განვითარებულა, არ შეუმუშავებია თავისი ლიტერატურა. ის მხოლოდ ლექსში ეძებს პოეზიას და პოეზიაში იგულისხმება თავის გარეგნული ნაკეთობით, ბრწყინვალედ გამომუშავებული ლექსი"[1] ავტორის პოზიცია გასაგებია. იგი შინაარსის პოეზიის უპირატესობას აღიარებს, რომ

1 Очерки литературы древных и новых народов составленое Горусовым, Москва, 1862 г. стр. 2

„დრამა არის ლიტერატურის უკანასკნელი გვირგვინი“[1]

ემოციათა შინაარსი განისაზღვრება იმის მიხედვით, რაგვარ მოვლენებთან გვაქვს საქმე. როცა პოეტური წარმოდგენები მთელი სისრულით მოგვიტანს თვალთან ადამიანის სიცოცხლის სიხარულს და გვაჩვენებს მას, ჩვენშიც ვგრძნობთ სიცოცხლეს, როგორც ასეთს, რაც ჩემში გააღვიძა ნაწარმოებმა და რომლის ასეთნაირად ამოძრავება მე არც შემეძლო და არც შემინიშნავს თითქოს ეს პროცესი მანამდე. ამიტომ ადამიანის სიცოცხლის პლანით გრძნობა შესაბამის გრძნობას აღვიძებს, ხოლო ადამიანის არსების თეორიული გააზრებით წარმოდგენა ინტელექტუალურ გაგებაზე აღმოცენებულ სიამოვნებას მანიჭებს, რომელიც ჩემს სასიცოცხლო სტიქიას ნაკლებ ეხება და თითქოს ჩვენში ზეციური პროცესი შესრულდა, რომელიც ჩვენამდე არ ჩამოვიდა და როგორც მიწიერი, გრძნობადი არსება ვერ ჩაგვაბა გარკვეულ ცოცხალ საურთიერთო წარმოსახვით პროცესში. ამიტომ გრძნობადი მასალა, წარმოდგენები, რომლებიც სინამდვილის გარეგნულ სურათოვნებას გვაძლევს, გვიქმნის ბუნებასთან რეალური მიმართების ანალოგიურ სურათს. ცოცხალ ურთიერთობაში კი საგნები, როცა მათ ინტენსიობით წონასწორობიდან გამოვყავართ, ან გვახარებენ, ან გვაშფოთებენ. ესაა სიცოცხლის ენაზე გასაუბრება მოვლენებთან. ცოცხალ ურთიერთობაში ასეთი გრძნობით მიმართება გონებისაგან თავისუფალია და ნაკლებ დამოკიდებულია მისგან. ასეთ შემთხვევაში, უშუალოდ მოვლენები გონების მიერ ყოველგვარი გაშუალების გარეშე ღებულობენ პასუხს, ჩემგან, როგორც ბუნებისაგან. საგანთა ობიექტივირებული წარმოსახვა, წარმოდგენათა საგნობრივი სისრულე, მოქმედებრიობა და გრძნობების სილაღე დამახასიათებელია ძველი პოეზიისათვის, ე.ი. საგნობრივ მოვლენებთან პოეტური წარმოსახვის ურთიერთობის პროცესში ჩაბმით მე ვმონაწილეობ საგნობრივად. აქილევსის, ტარიელის, ავთანდილის საქმიანობათა ხილვის წარმოდგენით მეც ვიქცევი რაღაცნაირად მათნაირი მოქმედებების თანამონაწილედ. მე ჩემს მკრთალ ფიზიკურ ღანდს ისე დავადევნებ მათ, რომ თვითონ არც კი ვიცი. როცა რაინდები მდინარის პირას ლაღობენ, იქვე ვარ მეც, საიდანღაც ვხედავ ამ მდინარის პირს, რაინდების ჰიდილს. მაგრამ როდესაც მწერალი, როგორც მსაჯული, მხოლოდ სამხილებლად, რაღაც იდეის ღიად რეალიზებისათვის მოუხმობს მოქმედებას, მას არ სცალია ხოლმე მოგვხიბლოს და მოიხიბლოს ისეთი სურათებით, როგორიცაა აქილევსის ფარის აღწერა. მისთვის საგანი, როგორც ბუნებრივი მოვლენა, არ არის განსაკუთრებული ღირებულების მოვლენა. საგნებს აქ იმდენად აქვთ ღირებულება მინიჭებული, რამდენადაც ისინი გარკვეული იდეის პირდაპირ რეალიზაციის საშუალე-

[1] იქვე.

ბას წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ის დრამატული მოქმედება, რომელიც ჩვენს წინაშე სამყაროდ გადაიშლება, ესაა განუწყვეტელი რყევის პროცესი — გრძნობიდან განსჯაზე გადასვლისა და პირიქით. ამდენად დრამატულ შინაარსში არა თუ ჩვენი საკუთარი ლანდის ადევნებით თან დაეყვებით მოქმედებას, გმირებს, არამედ გარკვეულ დისტანციას ვიღებთ და ავტორივით, მსაჯულივით ვუყურებთ წინამდებარე მოვლენებს. ამდენად ის საციცოცხლო სილაღე, ის მიამიტი მოგზაურობა რაინდთა სამყაროში, რომელსაც ეპიური პოემა ახლაც გარკვეული სახეცვლილებით, თუმცა ძალიან მკრთალ ფორმებში, მაგრამ მაინც აგრძნობინებს ადამიანს, დრამატულ პოეზიაში სხვაგვარად წარმოსდგება და აქ უკვე სტროფებიდან სტროფებზე ჩვენი გონება ისეთი უსაგნო ემოციებსაც ეძლევა, როდესაც ასე ვთქვათ, თვალით ვერაფერს ვხედავთ. ემოციების წყაროა ინტელექტუალიზმი. რასაკვირველია, გრძნობადი მასალა თავის თავს არ აუქმებს არც დრამატულ პოეზიაში., არც ლირიკაში, მაგრამ ცვლილებები ხდება თვით გრძნობადი მასალის შიგნით. ერთ შემთხვევაში გარე სამყაროს წარმოდგენები თვით ამ საგნობრიობისაგან არის ნასაზრდოები, მეორე შემთხვევაში საგანთა სახეები განსულიერებულია და ნაშენებია თვით სუბიექტის ცნებებიდან. ობიექტის სურათს უპირისპირდება სუბიექტური სამყარო. ეს კანონზომიერება, როგორც აღინიშნა, ასახვას პოულობს გრძნობად მასალაში, წარმოდგენაში, სიტყვაში, იმის მიხედვით მისი გამოსახვის ობიექტი ადამიანის საკუთრივ სულიერი სამყაროა, თუ გარე სინამდვილე, თუმცა როგორც ჰეგელი წერს; „პოეზიის საკუთრივ საგანს არ წარმოადგენს არც მზე, არც მთები და არც პეიზაჟები. ასევე გამოირიცხება ადამიანის გარეგანი სახე, სისხლი, ნერვები, კუნთები და ა.შ. პოეზიის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს სულიერ ინტერესს".[1] აქ ჰეგელი გულისხმობს ამ ბუნებრივ მოვლენათა გარეგნული სახის ობიექტად ქცევას იმ ხარისხით როგორც ამას განაპირობებენ მხატვრობა, ქანდაკება და ა.შ.

როგორც ავღნიშნეთ, სიტყვის ფუნქცია გარკვეული თავისებურებების მქონეა აღმოსავლურ და დასავლურ პოეზიაში. სიტყვის ფუნქცია იცვლება ავრეთვე პროზასა და პოეზიაში. პოეზია ემყარება არა მხოლოდ წარმოდგენას, როგორც ასეთს, არამედ წარმოდგენათა შორის მუსიკალურ კავშირს. პროზაში ეს სმენითი მომენტის აუცილებლობა საჭირო აღარ არის. პროზაში გრძნობადი მასალის სახით გამოდის მხოლოდ მხედველობითი ხატი, მოხსნილი მხედველობითი შეგრძნება, რომლითაც იგი ენათესავება ხელოვნების სხვა დარგებს. ხატების პლასტიკურობით კი განსაკუთრებით მდიდარია ძველი პოეზია. მაგრამ ხატების იზოლირებული დამოუკიდებელი ინ-

1 Гегель, т.XIV, стр.168.

დივიდუალური სახეებით პოეზია ბელეტრისტიკას მაინც ვერ შეედრება. ბელეტრისტიკა მხოლოდ წარმოდგენას ეყრდნობა. აქ მთავარია ხედვითი დამაჯერებლობა. ყოველ შემთხვევაში ასეთია კლასიკური პროზა, სადაც ყოველი მოქმედი გმირის პორტრეტიზირება და მოქმედებათა ხედვითი სინათლე აუცილებელ კანონზომიერებად მოსჩანს. ასეთია მაგალითად ლეო ტოლსტოის გმირთა უმდიდრესი პორტრეტული გალერეა. ლ.ტოლსტოი გმირის აღნაგობას მხატვრის მიერ შესრულებული თვალნათლობით წარმოგვიდგენს თვალწინ. რასაკვირველია, პროზაშიც არის განსხვავება მოვლენათა გარეგნულ ჩვენებაზე მეტნაკლები ყურადღების მიხედვით, სახელდობრ, სტატიკურ ხატობრივ სიმდიდრეზე აქცენტით და ასე ვთქვათ დინამური პროცესების აღწერით მიღწეულ იქნას გარკვეული ხატი. ასე, მაგალითად, თუ ე.ზოლა გატაცებით მიზნად ისახავს ყოველი დეტალის თვალნათლივ გადმოცემას იმ ზომამდე, რომ იგი ეჯიბრება თითქოს სახვით ხელოვნებას და უყურადღებოდ არ სტოვებს ეთქვათ ბალიშის ფორმას, რომელზედაც ღამით თავი ედო ნანას, რაც შეეხება დოსტოევსკის, იგი მოვლენებს მხედველობის წინაშე დაგვიყენებს არა მხოლოდ უშუალოდ არამედ ირიბი საშუალებებითაც. ასე მაგალითად, ს. ცვაიგი წერს, დოსტოევსკისთან გმირის სუნთქვის სიხშირით, მეტყველებით, ეხედავთ არა მარტო გმირის აღნაგობას, არამედ შესაბამის მოქმედებებსაც, რასაც ის მოცემული საუბრის დროს უნდა ასრულებდეს. მაგრამ ეს რიტმულობა თვით წარმოდგენათა შიგნითა შინაარსია და არა წარმოდგენათა შორის კავშირის გარკვეული წესი. საზოგადოდ პროზა იშვიათად როდი მიმართავს გმირის პორტრეტულ წარმოჩენას მეტყველების საშუალებით.

„კ. ჰამსუნი-წერს ჰარტმანი-ხშირად აიძულებს თავის პერსონაჟებს ილაპარაკონ განურჩეველად სხვადასხვა საგნებზე: მნიშვნელოვანია არა ის, რას ლაპარაკობენ, არამედ ის, როგორ ლაპარაკობენ“.[1]

პოეტურისა და პროზაულის ძირითად ფორმალურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ პროზაში მთელი მოძრაობა, დინამიკა წარმოდგენათა შიგნით თავსდება, ხოლო პოეზიაში წარმოდგენათა შიგნით მოძრაობის დინამიკა წარმოდგენებს შორის გარე კავშირში გადმოდის. ასეთი წუნარი თანმიმდევრობა მთავარი წარმოდგენის ანუ ხატის გამოსაკვეთად ისეთი სრუხვით აღარ წარმოდგება, როგორც პროზაში. ამიტომაც არის, რომ პოეზია გმირის პორტრეტისათვის გვაწვდის არა მრავალ ნიშანს, არამედ გმირის რაიმე მკვეთრ განსაკუთრებულ თვისებას. ამავე დროს ამ წარმოდგენის შთამბეჭდაობა პოეტურ-მუსიკალურ მომენტისაგან არის განპირობებული. მეტყველების ისეთი საგანგებო ფორმა, როგორიც არის სალექსო მეტყველება, სათქმელის მეტ დამამკვიდრებლობას აღწევს ნაკლები

1 Гартман, Эстетика, стр. 256-257.

წარმოდგენებით, სახელდობრ მუსიკალური მომენტის წყალობით. ე.ი. პროზაულ წარმოდგენაში შიგნითვე თავსდება ობიექტური ურთიერთობის მთელი სურათი. აქ მოძრაობა ხატის შიგნით მიმდინარეობს, პოეზიაში კი, ხატი თავის შიგნით მხოლოდ ნაწილობრივ წარმოგვიდგენს მოძრაობას და ნაწილობრივ კი, იგი თავის მხრივ ჩაბმულია მოძრაობით ურთიერთობაში სხვა წარმოდგენებთან. ეს მოძრაობა არის მუსიკალური კავშირი. რაც შეეხება პროზას, იგი ლამის ანატომიურ ნიშნებამდე მივიდეს გმირის სურათის რაც შეიძლება მეტი სინათლის მისაღწევად. თუმცა უახლესმა პროზამ ზოგჯერ მოინდომა თითქოს ერთგვარი გაუქმება გრძნობადი მასალისა, ურთიერთობის თვალსაჩინოებით წარმოდგენისა და არა თუ უარი თქვა გმირის პორტრეტიზირებაზე, არამედ არც კი გვიჩვენა ის მიზეზობრიობა, რითაც გრძნობადი მოელენების მოქმედება უნდა იყოს მოტივირებული. ასეთია მაგალითად კაფკას შემოქმედება.

როგორც ითქვა, პოეზიის გრძნობადი მასალა წარმოადგენს სახვითი და მუსიკალური ხელოვნების გრძნობად საშუალებათა ისეთ სინთეზს, რომელშიც სულიერი შინაარსის უფრო დიდი ტევადობაა შესაძლებელი, მაგრამ ცალკ-ცალკე ორივე მათგანს ჩამორჩება ცალკეულ გრძნობად თვალსაჩინოებით ინტენსიობაში. ე.ი. ვხედავთ არა ისეთი სინათლით, როგორც ქანდაკებას ან მხატვრულ ტილოს, მუსიკალურ რითმაში გამოხატულს, ვგრძნობთ როგორც შინაგან მუსიკალობას, მაგრამ ამ მხრივ იგი ჩამორჩება მუსიკის ხელოვნებას. ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტური ხატი, თითქოს რეალურ ხატს ემსგავსება და თითქოს არსებითი განსხვავება არ უნდა იყოს ასეთი წარმოდგენითი ხატი ვაქციოთ რეალურ ხატად. პოეტური წარმოდგენა ვაქციოთ მაგალითად, თეატრალურ წარმოდგენად. ასეთ შემთხვევაში ერთგვარად იცვლება გრძნობადი მასალა. თეატრი აზრის სიღრმის გარკვეულად მაღალ განსახიერებას გვაძლევს, მაგრამ მას არ შეუძლია შინაარსის ისეთი სიღრმით და უშუალობით გადმოცემა, როგორც პოეტურ ქმნილებას ძალუძს. უფრო სწორედ, თეატრალიზირებული ან ეკრანიზირებული პოეტური ნაწარმოები არსებითად სხვა რიგის ნაწარმოებია, თუ ეს არის პიესა, დრამა, თეატრალური პერსპექტივისათვის განკუთვნილი, რომლის მთელი ხელოვნებითი ხორცშესხმა მის სცენიურ წარმოდგენაში უნდა იყოს. გოეთე შექსპირის შესახებ წერს: „პირველად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შექსპირი მუშაობს ჩვენი თვალებისათვის, მაგრამ ეს ასე არ არის. შექსპირის ნაწარმოები არ არის თვალებისათვის. მე შევეცადე ავხსნა ეს აზრი. დაე, მხედველობა ითვლებოდეს უნათლეს შუამავალ გრძნობად. მაგრამ შინაგანი გრძნობა მაინც უფრო ნათელია, უფრო სწრაფად და ნამდვილად მანამდე დადის სიტყვა, ვინაიდან ის /გრძნობა-ვ.გ./ ჰეშმარიტად ნაყოფიერია მასში. როდესაც ის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ მხედველობით, თავისთავად ჩვენთვის უცხოა და არ

შეუძლია ისე ღრმად იმოქმედოს ჩვენზე. შექსპირიც, რასაკვირველია, გვიწვევს ჩვენ ჩვენი შინაგანი გრძნობისაკენ და აცოცხლებს ჩვენს წარმოსახვაში სახეებს ასე მიიღწევა სრული ზემოქმედება, სრულყოფილი ზემოქმედება, რომელშიც ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს თავს ვუპასუხოთ, ვინაიდან აქ იმალება ილუზიის საწყისი, თითქოს და ყველაფერი ჩვენს თვალებწინაა. მაგრამ, თუ უფრო ზუსტად გავერკვევით შექსპირის ნაწარმოებებში აღმოჩნდება, რომ მათში განსულიერებული სიტყვა გადასწონის გრძნობად მოქმედებას".

„მის პიესაში წარმოიშობა ის, რაც ადვილია წარმოვიდგინოთ. კიდევ მეტი, უფრო ადვილია წარმოსახვა, ვიდრე დანახვა, მამის სული ჰამლეტში, მაკბეტისეული აჩი სულები, მრავალი სასტიკი მოჩვენებებით ძალას იხვეჭენ ჩვენი ფანტაზიის წყალობით, ხოლო მრავალნაირი წვრილი შუალედური სცენები, მხოლოდ მასზეა გათვალისწინებული.

ყველა ეს საგანი კითხვის_დროს ადვილად და ბუნებრივად გაივლიან ჩვენს წინ. მაშინ როდესაც სცენაზე გვეჩვენება დამძიმებულად, არა საჭიროდ და განგვიზიდავს კიდეც".[1]

გოეთეს აზრით, შექსპირის შემოქმედების სრულფასოვანი განცდისათვის ყველაზე კარგია ისეთი კითხვის მოსმენა, როცა დეკლამატორი არ ცდილობს რაიმეს გათავისებურებას და უსმენთ თვალდახუჭული.

ეს ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ერთი და იმავე თემის, ერთი და იმავე მასალის გამოსახატავად ხელოვნების სხვადასხვა დარგები მეტნაკლებ დათმობისა და უპირატესობის უფლებას იხვეჭენ. ვირგილიუსის „ენეადაში" აპოლონის ქურუმი ლაოეთონი, უფლებრივად ქურუმის ტანსაცმელში ჩანს. მოქანდაკეებს კი არ შეეძლოთ გამოსახვის თვალსაზრისით მისი ქურუმის სამოსელით წარმოდგენა. ორივე მართებულ სურათს გვაძლევს ამ შემთხვევაში. ის რაც შინაგანი ხედვისათვის მსუბუქია, ქანდაკებაში, ქურუმის ტანსაცმელის სახით, მძიმე და აღქმის პერსპექტივებისათვის ხელისშემშლელი იქნებოდა.

ფორმისა და შინაარსის ერთიანობის რგოლი — ესაა მხატვრული ნაწარმოები. ფორმისა და შინაარსის ანალიზის დროს განსჯის მისწრაფებაა, როგორმე ნახოს ფორმა და შინაარსი ცალ-ცალკე მიუხედავად იმ წინასწარი განცხადებებისა, რომ ეს შეუძლებელია.

ზოგადსაყოველთაო იდეის დახასიათება მიზნად ისახავდა მსჯელობისათვის გამოსაყენებელ მომენტად მის ქცევას და როგორც აღინიშნა, ესაა შინაარსთა შინაარსი, მაგრამ კონკრეტულ ქმნილებაში შინაარსი, როგორც ასეთი არ გამოიყოფა._ნაწარმოები არ დაიშლება ფორმად და შინაარსად. ამდენად ზოგადსაყოველათო შინაარ-

1 Гете, избр, произв. 1950, стр.714

სი, იდეა არის წყარო ამა თუ იმ შინაარსისა. ასევეა ფორმის ცალკეული მომენტად ქცევისა და დახასიათების დროსაც. გრძნობადი მასალის ანალიზი სწორედ ფორმის მომენტზე საკუთრივ შემოფარგელის ცდაა, მაგრამ პოეზიის გრძნობადი მასალა, წარმოდგენა /სიტყვა/ ფორმის მასალაა. წარმოდგენა ან წარმოდგენათა გარკვეული ერთიანობა ჯერ არ ნიშნავს, რომ იგი ფორმაა. იგი ფორმაა მას შემდეგ, რაც შინაარსის განკარგულებაშია და პირიქით, შინაარსი შინაარსია იმიტომ, რომ გრძნობად განსახიერებას ღებულობს. ფორმისა და შინაარსის ასეთი მსხლტომი თავისებურება წარმოშობს იმ ჩაუქრობელ შეუნელებელ ინტერესს, რაც ყოველ მკვლევარს წარმოეშვება, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემამ გენიოსთა განსჯაში გამოიარა და ვერ დააცხრო ამ პრობლემით გამოწვეული წუხარეილი.

განსჯა შეზღუდულია სასრულოდ გვაჩვენოს პროცესი, თუ როგორ ხდება სიტყვა /წარმოდგენა/ ფორმა და ზოგადსაყოველთაო იდეა როგორ კონკრეტდება ამა თუ იმ შინაარსად, ანუ ფორმის იმ ზედაფენად, რომელსაც ჩვენ კონკრეტული ნაწარმოების ანალიზის დროს შინაარსს ვუწოდებთ. მაგრამ ვიცით მხოლოდ ის, რომ ფორმისა და შინაარსის ეს ერთიანობა ხდება არა ჩვეულებრივი და ნაცნობი წესების გამოყენებით, არამედ ბუნების იდუმალებითაც. იგულისხმება, რომ მატერიალურის, გრძნობადისა და სულიერის ეგოდენ უცნაური შედუღება მხოლოდ განსაკუთრებული აქტების მჭონე უნარს ძალუძს და ამ უნარს, ინტუიციას, პოეტურს უწოდებენ. ინტუიციას, გავრცელებული თვალსაზრისით, განმარტავენ როგორც გამოხატვას. როგორც წინა თავში აღინიშნა, ინტუიციის ცნებით სარგებლობისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ განსაზღვრებით, რომლის მიხედვითაც იგი არის გამოხატვის უნარი, სულის მოღვაწეობის აქტიური უნარი, „ყოველი ჰეშმარიტი ინტუიცია. ან ჰეშმარიტი წარმოდგენა იმავე დროს არის გამოხატვაც. ის, რაც არ ობიექტივირდება რომელიმე გამოხატვაში, წარმოადგენს არა ინტუიციას ან წარმოდგენას, არამედ შეგრძნებას — ბუნებრიობას. სული ინტუიციას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქმედებს — აფორმირებს და გამოხატავს. ვინც გამოყოფს ინტუიციას და გამოხატვას, ეელარასოდეს ვერ შეძლებს მათ შეერთებას.

ინტუიტური მოღვაწეობა მხოლოდ იმდენად ინტუიტურებს რამდენადაც გამოხატავს“.

ბუნებრიეი და ინტელექტუალიზირებული ინტუიცია

ინტელექტუალური ინტუიცია იგივე ბუნებრივი ინტუიციაა, მაგრამ არაწმინდა ბუნებრივი. მას რაღაც სხვა სახე ეძლევა. რაც შეეხება ბუნებრიე ინტუიციას, იგი მიუთითებს ადამიანის გამომხატვე-

ლობის იმ ჭეელ და გულუბრყვილო მდგომარეობაზე, რომლის დროსაც ხელოვანი ძირითადად თავისივე წარმომსახველობით, შინაგან თანდაყოლილ უნარს ემყარება მხოლოდ. მაგრამ არცერთი ხალხური მთქმელი არ შეიძლება მივიჩნიოთ აბსოლუტურობამდე ბუნებრივი ინტუიციის ნიმუშად: იგი ხელმძღვანელობს წინაპარადიციული ხედვის მონაპოვარით, ხერხით როგორ დაინახოს სინამდვილე. მაგრამ მას მაინც არ შეიძლება ინტელექტუალიზირებული ინტუიცია ვუწოდოთ.

როგორც აღინიშნა, ინტუიცია ნიშნავს მიხვედრისა და გამოხატვის თანდაყოლილ ბუნებრივ ნიჭს, მაგრამ ბუნებრივ ინტუიციის ქვეშ ვგულისხმობთ წიგნიერებამდელ, უშუალო გამოხატვის უნარს: თუ რის ხილვა ძალუძს ადამიანს ამ ეტაპზე, უწინარეს რა ხვდება თვალში.

ადამიანს და მით უფრო ხელოვანს სჭირდება რაღაც ხერხი, თქმის ფორმა; რამდენადაც უკვე გამომხატველობითი ძალა აწუხებს პოეტს, მას მაინც სჭირდება გაბედვა და ამას ის იღებს წინაპართა ხედვის სახით. ხალხური მთქმელი ასეთ საკუთარ მოთხოვნილებას პოულობს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. იგი არაა წმინდად დაურდნობა უბრალო გრძნობის მოზღვავებაზე. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ინტუიციის ასეთი პატრიარქალური სამყაროც, რაოდენ ბუნებრივი და წმინდად საკუთარი უნარის აღიარებად არ უნდა მივიჩნიოთ, მასაც აქვს გარეგანი ზემოქმედი საყრდენები, რითაც ის სარგებლობს სხვათა ხედვის ათვისების სახით. უფრო ზუსტად არ არსებობს აბსოლუტურად ბუნებრივი და მხოლოდ საკუთარი თავიდან მომდინარე ინტუიცია. მაგრამ ის მაინც მეტად თავისთავადია, უფრო ორიგინალურია და საკუთარია, ვიდრე ინტელექტუალიზირებული ინტუიცია. იგია ადამიანის ბუნებრივი ჰკუის პერსპექტივების სურათი. რა შეუძლია მას თავისი საკუთარი, ბუნებრივი სამყაროდან ხელოვნურობის გარეშე დაინახოს. ე.ი. ბუნებრივი ინტუიცია ნიშნავს სინამდვილის ისეთ წარმოსახვას რომელშიც სხვათაგან, გარედან ნასწავლობა მინიმუმამდეა, რომელშიაც არ იგრძნობა წინასწარშემუშავებული მიზანი, რეფლექსია როგორ წარმოსახოს. ბუნებრივი ინტუიცია ხელმძღვანელობს უშუალოდ იმით, რაც მას ეძლევა. იგი გულწრფელია თავისი წარმოსახული სინამდვილისადმი. მას იზიდავს უწინარესად მის მიერვე ობიექტივირებული სამყარო. წარმოსახვა თვითმიზანი არაა. ახალი პოეტის ინტუიცია კი ყოველნაირად ცდილობს და ეძებს ხერხებს როგორ დაინახოს მოელენა ე.ი. მისი ყურადღება მიპყრობილია არა მხოლოდ წარმოსახვის საგანზე, არამედ წარმოსახვის პროცესზე.

გულუბრყვილო ინტუიციის მოღვაწეობის სფერო ემერსონის აზრით, ეს არის მხატვრული სამყარო. სადაც ადამიანებს ცხენები წყალზე მიჰყავთ, როდესაც ფერმერები სთესენ, მჭედელი დგას

გრდემლთან... პოეტი ჩერდება ამ სურათთან და შთამბეჭდავად გადმოქვცემს მათ. ახარებს ჩვენს თვალებს... იტალიური ხელოვნებით დიდი აღტაცების მიუხედავად ემერსონი უპირატესობას ანიჭებს „მიწის მწვანე ხალიჩას და ცის ლურჯ თაღს“.[1]

ბაურგანტენის მიხედვით ნატიფი ხელოვნება, მათ შორის პოეზია, რომელიც დაბალ აღქმას განეკუთვნება მით უფრო სრულყოფილია, რაც მეტად ბაძავს ბუნებას და არ იტაცებს უკვე შექმნილი სახეები, როგორც სულიერი კომპლექსები, რომლებიც ბუნების მიბაძვისაგან განსხვავებით ჰეტეროკოსმიურია. ბუნებრივი ინტუიცია სწორედ ბუნების სამყაროდან საზრდოობს, მასზე არის მიჯაჭვული და მისი კარნახით ქმნის პოეზიას.

მაშასადამე, ბუნებრივი ინტუიცია თავის თავს არ უყურებს. იგია გამოხატვის პროცესი უშუალოდ გამოხატვისათვის, როცა იგი თავისი პროცესის შეგრძნებისაგან, რეფლექსიისაგან თავისუფალია. ამიტომაა იგი საგანს მინდობილი. იგი გრძნობს არა თავის თავს, არამედ მას, რასაც უყურებს.

ინტელექტუალიზირებული ინტუიცია ნიშნავს უკვე შემეცნებითს მობილიზებას, შემეცნებითი ინტერესის მომძლავრებას. შემეცნება კი არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდეს წინა მონაპოვარს, აქ კი ნაწილობრივ იგი აზრის მეცნიერული აღმავლობის მომენტს წარმოადგენს. როგორც შემდგომი მეცნიერული აზროვნება მაღლა დგას წინამორბედებზე, ისე შინაარსი, ანუ აზრის შემეცნებითი ცალმხრიობა მეცნიერული ნიშნით შეიძლება განვითარებადი სახით წარმოვიდგინოთ. ამ აზრით შინაარსი შეიძლება ითქვას უფრო მაღალ საფეხურზეა კაფკასთან, ვიდრე გოეთესთან.

ინტელექტი გარკვეული აზრით ნიშნავს ცოდნას. ცოდნა არაა ინდივიდუალური მოვლენა, იგი კაცობრიობის გონების მონაპოვარია. ამდენად, მთელი კაცობრიული გონების მიერ მოპოვებული დაგროვილი ცოდნის ასე თუ ისე ჩაბმა ინტუიციაში ნიშნავს წარმოსახვის ინდივიდუალურობის აღრევას გარეგან ენერგიასთან. ესაა არა ბუნებრივი ხედვის პერსპექტივების გამოვლენა, არამედ ბუნებრივის შეერთება ხელოვნურთან. მაშასადამე, ინტელექტუალიზირებულ ინტუიციას იმდენივე აქვს თავისი, რამდენიც სხვისა. ჩვენ ვამბობთ, რომ ბუნებრივი ინტუიცია ტრადიციული ხელოვნებისაგან საზრდოობს თავისი ინდივიდუალობის წაქეზებისას პირველი მომართვისათვის. თანაც ეს ისეთი ხელოვნებაა, რომელიც წარმოსახვისათვის სითამამის მინიჭების მეტს ვერაფერს იძლევა. უშუალოდ ადამიანის გაგების საკითხში ახალი ინტუიციის ნიშანია სწორედ ინტერესთა

1 Гилберт и Кун, История эстетики. стр.431-432

უნივერსალიზმი. ამდენად, ყოველივე ამის გამო ირღვევა ინტუიციის მიერ გამოსახვის ობიექტთან ბუნებრივი მიმართულება ანუ ირღვევა გარეგანისა და შინაგანის ჰარმონია.

ფორმისა და შინაარსის პოეზია

აღნიშნული სათაური გარკვეული პირობითობის შემცველია. ფორმის პოეზიაში ვგულისხმობთ ძველ პოეზიას თავისი მიამიტი შინაარსით, თავისი პოეტური სილაღითა და გულწრფელობით; აქ, სინამდვილე წარმოდგენილია ოცნებრივი წარმოსახვის ფერებში. შინაარსის პოეზიაში კი გვაქვს მაღალი საფეხური თვითცნობიერებისა, სინამდვილესა და იდეალს შორის წინააღმდეგობა, რომლისთვისაც ადამიანის ბუნება, სინამდვილე, ისე არ არის აწყობილი, როგორც უნდა იყოს. ახალი პოეზიის შინაარსი — ესაა რეფლექსიაქმნილი შინაარსი — შემეცნებითი, თეორეტიული ნიშნით წარმოდგენილი შინაარსი. რამდენადაც ღრმაა იგი იდეურად, იმდენად ღარიბდება მისი გრძნობითი, წარმომსახველობითი სამყარო.

„ძველისა" და „ახლის" მიხედვით პოეზიის ასეთი კლასიფიკაცია არის არა დროითი, ისტორიული, არამედ ლოგიკურ ისტორიული კლასიფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის არ ემთხვევა ისტორიულ კლასიფიკაციას დროში. ასე მაგალითად, აღმოსავლური პოეზიას, ვიდრე ამერიკული და ევროპული კულტურის შემოტანამდე, მე—19 საუკუნემდე, ძველ პოეზიას აკუთვნებენ, მაშინ როდესაც ძველ ბერძნებთან უკვე ახალი პოეზიის დასაწყისი გვაქვს.

„ძველი" და „ახალი" პოეზიის ასეთი ლოგიკურ—ისტორიული კლასიფიკაცია კიდევ ერთი ასპექტით შეიძლება დაკონკრეტდეს. „ძველი" და „ახალი" პოეზიის ყველაზე ტიპიურ დაპირისპირებულ კლასებს ნათლად განასახიერებენ აღმოსავლური და დასავლური პოეზია. მათი დაპირისპირება და ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნებით დიფერენცირება არ იძლევა პრიმიტიული დასკვნის საბაბს, რომ ვილაპარაკოთ რომელიმე მათგანის საერთოდ უპირატესობაზე.

რასაკვირველია, ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ ძველი პოეზია მხოლოდ აღმოსავლეთის კუთვნილებაა. ძველ პოეზიას განეკუთვნება ჰომეროსის ეპიკური ქმნილებები, ევროპის ხალხთა ეპოსი და ხალხური შემოქმედება. მაგრამ, საქმე ის არ არის, რომ ევროპის ლიტერატურა ცივილიზაციასთან ერთად, ახალ განათლებასთან ერთად წარმოიშვება. ამას ჩვენ ხაზგასმით ავღნიშნავთ იმიტომ, რომ მაღალი პოეტური კულტურისათვის სავალდებულო არ არის საზოგადოებრივი კულტურის მაღალი დონე. პირიქით,გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა ხელოვნების ზოგიერთი დარგი, პირველ რიგში პოეზია, მთელი თავისი

სრულყოფილებით, ჰყვავის საზოგადოებრივ განვითარების მხოლოდ დაბალ დონეზე.

ევროპული პოეზია პირდაპირ მემკვიდრეობს რა ცივილიზაციის მონაპოვარით, იგი მის ერთგვარ გაგრძელებასაც წარმოადგენს.

ამდენად ევროპული პოეზია, მისი ლიტერატურის ისტორია, საზოგადოდ თავისი პირველივე წარმომადგენლებით ახალი შინაარსით წარმოსდგება. ახალი, ცივილიზებული ადამიანის სულისკვეთებას გამოხატავს. იგი გამოდის სამყაროს აღქმის არა მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემებიდან, არამედ მის წინ არის უკვე წინაპართა წიგნიერი ხედვა. გარდა ამ წიგნიური ხელოვნებისა ევროპული პოეზიის ხალხური ტიპის ქმნილება, რომლებიც თითქოს მართლაც და მხოლოდ გულუბრყვილო ინტუიციას ემყარებიან, მაინც ცივილიზაციის შუქით არის განათებული. მასში წარმოდგენილია მებრძოლი სულისკვეთება, ბუნებასთან ჰიდილი და ადამიანის სულის ჟღერადობა.

ჰომეროსის პოემები, შუასაუკუნეებრივი ევროპული ეპიკური თქმულებები, თავიანთი ფორმებით ძველი პოეზიის სამყაროა, ოღონდ მათ შინაარსში უკვე, როგორც აღნიშნავენ, რომანტიკული საწყისებია წარმოდგენილი. მასში მოცემულია ადამიანის იდეალთან დაპირისპირება, რომ ადამიანი ვერ იქცეა იდეალის ღვთაებრივ ნიმუშად. ძველი ევროპული პოეზია თავისი შინაარსით უფრო ახლოს არის იდეის მაღალ საფეხურთან , ვიდრე აღმოსავლური პოეზიის ქმნილებანი ევროპეიზირების ხანამდე. აღმოსავლურ პოეზიაში ჩვენ ვგულისხმობთ ტიპიურ აღმოსავლეთს. რაც შეეხება წინა აზიის ხმელთაშუა ზღვის აუზში შემავალ ახლო აღმოსავლეთს, მის კულტურას, ევროპული კულტურის წრედში განიხილავენ.

ცხადია, დიდი ინტერესის საგანი სავალდებულო არ არის დიდი შინაარსის საგანიც იყოს. აღმოსავლური კულტურით აღტაცება დასავლეთის მოაზროვნეთა შორის ყოველთვის გულისხმობს ეგზოტიკას, სწრაფვას პატრიარქალურ სამყაროსაკენ, ბავშვური შინაარსის სამყაროსაკენ. ის, რაც გეხიბლავს, როგორც აღინიშნა, არ ნიშნავს, რომ მისი მიზეზი ყოველთვის ინტელექტუალური იყოს. ამასთან, ყოველი რიგითი მკითხველისათვისაც სრულიად ცხადი, თვალნათლივია განსხვავება, რაც ამ ორი კონტინენტის პოეტურ კულტურას შორის არსებობს. ამ განსხვავების უარყოფა არ შეიძლება. ისიც არ საჭიროებს დიდ დამარწმუნებელ არგუმენტებს, რომ ევროპული პოეზია გონების აქტიურობის პოეზიაა, ვიდრე აღმოსავლური პოეზია.

აღმოსავლური, ეპიკური ქმნილებანი და თვით დრამატიული ფორმით წარმოდგენილი ნაწარმოებებიც თავისი შინაარსით ზღაპრულია და ეფუძნება წარმოსახვის თამაშს. აღმოსავლურ პოეზიაში, ჰეგელის მიხედვით, სული მოსინჯვის სტადიაში მოღვაწეობს, აქ სა-

1 Гегель.соч.т.XIV. стр. 296

ხილველი, გრძნობადი აღმატება იდეას. გონებრივს. ევროპულ პოეზიაში კი პირიქით — შინაარსი ჩაგრავს ფორმას.

რატომღაც ჩვენს ესთეტიკურ და კრიტიკულ ლიტერატურაში გაბატონდა მსჯელობის პრინციპი, რომ პოეტური და ფილოსოფიური გენია ერთი და იგივეა; პოეტური გენიის საზომია მისი ფილოსოფიურობა, შინაარსის გამოვლენის თეორიული სიღრმე, რომ გენიალური პოეტი იმავდროულად ნიშნავს ფილოსოფიურ მოაზროვნეს, რომელიც შემოქმედებაში ჰეშმარიტების შემეცნების პრინციპით ხელმძღვანელობს. ასეთი ინტელექტუალიზმი პოეზიის ღირსებადაა მიჩნეული.

კლასიკური ესთეტიკა კი, როგორც აღინიშნა, სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვაძლევს. სახელდობრ, პოეტური და ფილოსოფიური ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. თუმცა ფილოსოფიურობა შინაარსის მაღალი დონის მაჩვენებელია პოეზიაში, მაგრამ იგი არა თუ საზომია პოეტურობისა, არამედ პოეტურის დაკნინების მომასწავლებელია. ასე რომ არ იყოს, მაგალითად, გოეთე, როგორც ლირიკოსი, უნდა ბრწყინავდეს ფილოსოფიური ლირიკის ისეთი ნაწარმოებებით, როგორიცაა „მცენარეთა მეტამორფოზი", „ცხოველთა მეტამორფოზი", „სულის შესახებ", „ღმერთის შესახებ" და ა.შ. მაგრამ იგი ერთ უნიჭიერეს ლირიკოსთაგანადაა მიჩნეული იმ ლექსებით, რომლებითაც "...მას შეეძლო თავის ლირიკულ ნაწრმოებთათვის მასალა ეპოვნა სინამდვილის ყველაზე უმნიშვნელო ფაქტებში".[1] აქ იგულისხმება პოეტური ქმნილებები, რომლებშიც მან მოახერხა იას და ვარდს თავის ენაზე გამოსაუბრებოდა. უშრეტი წყარო აღმოჩნდა გულუბრყვილობის ენა.

როგორც აღინიშნა, პოეზია მართლაც იერთებს თავის არსებაში ფილოსოფიურს.. მთელი ახალი, ევროპული პოეზია სწორედ შემეცნებითი შინაარსითაა მომართული. მაგრამ ეს, თვით ამ პოეზიის წარმომადგენელთა აღიარებითაც, არ არის პოეზიის იდეალი. ამიტომ უხრის ქედს აზრის მძლეთამძლე მფლობელი გოეთე გულუბრყვილო ხილვის ბავშვურობას ლექსში „ჰაფიზს", რომელსაც ის ასეთი სტრიქონით იწყებს." „ჰაფიზ, შენს გვერდით დგომას შენთან გათანაბრებას, რომელი გაბედავს". ცნობილი ესთეტიკოსი ჯამბატისტ ვიკო /1668-1744/ ასკვნის, რომ ჰომეროსთან არავითარი ფილოსოფია არა გვაქვს და სწორედ ამიტომაა იგი შეუდარებელი პოეტი "...ფილოსოფია — წერს იგი — ანგრევს წარმოსახვის მომხიბვლელობას, ხოლო მეორე /პოეზია — ვ.გ./ აძლიერებს მას... ამიტომ, არც ერთ ეპოქას, არც ერთ ტომს არ წარმოუშვია ტიტანი, რომელიც იქნებოდა თანაბარი სიძლიერის პოეტი და ფილოსოფოსი"[1]

1 Вико, основания новой науки об общей природе нации, перевод, А.А.Губера. Л. 1940, стр. 357.

ცხადია, იდეის შემეცნების დონით, შინაარსის სიღრმის ფილოსოფიური ხარისხით ჰომეროსი გოეთესთან, როგორც ბავშვი ისე გამოიყურება, მაგრამ „ფაუსტი" ასევე ვერ შეეღრება „ილიადას" და „ოდისეას" პოეტურობით. მაშასადამე ნაწარმოების ფილოსოფიური სიღრმე უნდა განირჩეს პოეტური გენიალობისაგან.

აღსანიშნავია, რომ თითქოს ყოველი დიდი მოაზროვნე აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას უპირატესობას ანიჭებს ძველ პოეზიას, რომელიც არ წაულეკავს ფილოსოფიას.

ზოგადად, „ძველ" პოეზიად იგულისხმება სიმბოლიკური /აღმოსავლური/ და კლასიკური /ბერძნულ-ევროპული/ ეპოსი. სიმბოლიკურის ქვეშ გულისხმობენ პოეზიას, რომელშიც სულის საწყისი საფეხურია გამოვლენილი. მისი ყველაზე ტიპიური ნიმუშია იგავ-არაკული, დიდაქტიკური სიბრძნის შემცველი პოეზია (განსაკუთრებით კი ძველებრაული პოეზია).

„ძველ" პოეზიად გულისხმობენ ძირითადად აღმოსავლეთის პოეზიას. მოცემულ შემთხვევაში, ეს კლასიფიკაცია მშრალი და სქემატური ჩანს, მაგრამ მის თეორეტიკოსებს საამისოდ საინტერესო არგუმენტები გააჩნიათ. ადარებს რა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას, საზოგადოდ, ჰეგელი დასძენს: „ასეთივე მდგომარეობაა, როცა ჩვენ ვადარებთ ინდურ პოეზიას ევროპულს, ვიხილავთ რა მას, როგორც მხოლოდ ფანტაზიის თამაშს. ის მართალია, უმაღლესი ხარისხით ბრწყინვალეა, ისევე მდიდარი და დამუშავებული, როგორც ყველა ხალხის პოეზია, მაგრამ პოეზიაში მნიშვნელოვანია შინაარსი და ჩვენი დამოკიდებულება მისდამი უნდა იყოს სერიოზული. თვით ჰომეროსის პოეზიაც ჩვენთვის არასერიოზულია და ამდენად ასეთი სახის პოეზია ჩვენში არ შეიძლება წარმოიქმნას. აღმოსავლური პოეზიის სფეროში გენიოსების მხრივ ნაკლებობა არაა. აღმოსავლეთის ხალხებში გვხვდება ისეთივე გენიოსები, როგორც ჩვენში, ფორმა არის აგრეთვე ძალიან განვითარებული, მაგრამ შინაარსი რჩება გარკვეულ ხარისხამდე შეზღუდული და არ შეუძლიათ გამოხატონ ჩვენი შინაარსი. ეს ზოგადი შენიშვნაა ამ პარალელებისადმი, რამდენადაც აღმოსავლური პოეზიის ქმნილებათა ფორმა გვხიბლავს და გვაიძულებს დავაყენოთ ისინი ჩვენი პოეზიის თანაბრად და მასზე უფრო მაღლაც კი".

ბერძნულ-კლასიკური ეპოსი თუმცა ძველ პოეზიას განეკუთვნება, მაგრამ მასში არის ახალი პოეზიის საწყისი, რამდენადაც მასში გვაქვს უკვე შინაარსის გარკვეულად მაღალი საფეხური. მაგალითად, განსხვავებით აღმოსავლელი პოეტებისგან, ჰომეროსი ადამიანის შინაგან სამყაროსთან ახლოს მიდის. მისი გმირები არ არიან უცოდველნი და ზესრულყოფილნი. საქებარი გმირი ოდისევსიც კი ისეთი არა ეთიკური, მაგრამ სრულიად დამაჯერებელი თვისებებითაცაა შემკობილი, რომ ვერცერთი აღმოსაკლეთის პოეტი ამდენ ტკივილს

ვერ მიაყენებდა თავის ფანტაზიას. აქილევსმა, აგამემნონმა, მენელაიმ, ოდისევსმა, პროტესლაიმ და სხვებმა იცოდნენ ღმერთების წინასწარი გადაწყვეტილება, რომ ვინც პირველი დაადგამდა ტროას მიწაზე ფეხს, უნდა დაღუპულიყო. არც ერთს არ უნდოდა პირველი გადამხტარიყო გემიდან; ყველა ერთმანეთს ელოდა. ბოლოს ოდისევსმა ნაპიზე ისროლა თავისი უზარმაზარი ფარი და გემიდან პირდაპირ ამ ფარზე დახტა, ისე რომ მიწას არ შეხებია. ამით მოტყუუდა გმირობისათვის ანთებული გმირი პროტესლაი და მას იქვე მოუსწრაფეს სიცოცხლე.

უნდა გავიხსენოთ ოდისევსის ინტრიგა, რაც მან პირადი ანგარიშის გამო პალამედს მოუწყო და ბერძნებს სიკვდილით დაასჯევინა უდანაშაულო კაცი. აღმოსელეთის პოეტისათვის არის უსაზღვრო კეთილი და ძლიერი გმირი და მის საპირისპიროდ ბოროტი ძალა -- დევები, ეშმაკები, ქაჯები, ან მხოლოდ ბოროტი ადამიანი. ერთი და იგივე ადამიანი არ შეიძლება იყოს კეთილისა და ბოროტების დიფერენცირებული არსება. თითქოს გაიმეტა კალიდასამ „შაკუნტალაში“ მეფე დუშიანტი ადამიანური მანკიერების საჩვენებლად, რომელიც ამ გმირმა გამოაელინა შაკუნტალასთან, თავის სასახლეში შეხვედრისას. იგი ადრე ეფიცებოდა მას, ბნდებოდა მისი სიყვარულით, მაგრამ შემდგომ სრულიად უარყო იგი. ვერ მოითმინა პოეტმა, რომ ცხოვრების აზრი ასეთ ცვალებადობასა და წარმავლობის პესიმიზმით განეზოგადებინა და ბოლოს ისინი ბედნიერნი ხდებიან. ჩვენ აქ „შაკუნტალას“ იმიტომ ვახსენებთ, რომ იგი, აღმოსაელეთის უბრწყინვალესი ქმნილებაა, რომელსაც გოეთემ ადამიანური გენიის ერთ-ერთი უდიდესი გამოვლენა უწოდა და შილერი კი ნატრობდა მის გერმანულ სცენაზე ხილვას. ეს ნაწარმოები პირობითად იწოდეობოდა დრამად. იგი არაა დრამატული ამ სიტყვის ევროპული მნიშვნელობით, იგია, პოეტური დრამა. აღმოსაელური დრამა, რომელიც ჰეშმარიტების თანმხვედრი გზით არ მიდის. იგი ზღაპრის შინაარსით წარმოდგენილი პოეტური ზმანების ოცნებებრიეი ხილვის უბრწყინვეველესი ნაწარმოებია. ნამდვილი გაგებით აღმოსავლეთმა დრამა არ იცის.

აღმოსაელური პოეზიის ერთ-ერთი ნიშნად ჰეგელს მიაჩნია ადამიანის ფიზიკური სახის გაზვიადება. აღმოსავლური ეპოსის გმირები თუმცა ადამიანებად არიან წარმოდგენილნი, ისინი ურჩხულებს ამარცხებენ, მაგრამ ამის გამო თვითვე არიან დევები, ოღონდ სიკეთით შემკობილი გმირები, რომელბიც პოეტს არ სცილდებიან და პოეტს ურჩევნია თვითვე მოკვდეს, ვიდრე ისინი გაიმეტოს. მათ ხვდებათ უდიდესი წინააღმდეგობანი არა სულიერი ხასიათისა, არამედ ფიზიკური დაბრკოლების აზრით. ეს არის გარეგან-ფიზიკურ ძალთა ჰიდილის დიდებული სანახაობა; ესაა ფანტაზიის ლაღი, მოუთოკავი, ოცნებობრიეი დინება, ასეთია გილგამეშის ბრძოლა ურ-

ჩხულთან, ამირანის შებმა დევებთან და სხვა. ადამიანის ამგვარი წარმოდგენა ნიშნავს მითიურ წარმოსახვას. მითიურობა კი მთელს აღმოსაელურ ეპოსში ბატონობს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოსახვის მთელი შინაარსი თვით ბუნების, გარეგანის, სხეულებრივის ჩვენებაში მდებარეობს. ამდენად აქ დაძაბვა არ სჭირდება გონებას. ამიტომაა, რომ იგი ბავშვის ცნობიერების, წარმოსახვის სილაღისათვის, ფანტაზიის თამაშისათვის ხელსაყრელ მასალას წარმოადგენს. ამის გამოა, რომ მასში ღრმა იდეებზე ლაპარაკი მოსარიდებელია. აქ წარმოსასახავი მასალა მოტივირებულია არა სულიერის, აზროვნულის საჩვენებლად, იდეის განსასახოვნებლად, არამედ თვით სანახაობითის, გრძნობადის, გარეგანის მომხიბვლელობისათვის. სხვა ვითარებაა ჰომეროსის გმირებთან: აქილევსს ვერ უშველა მდინარე სტიქსის უკვდავების წყალში განბანამ და მოკვდაეობისათვის ქუსლი დარჩა რომანტიკულად დაუფარავი. ის ფეხმარდია, თითქოს სასწაულმოქმედია, მაგრამ იგი შეზღუდულია ადამიანური პოტენციის საზღრებში. ოდისევსი ციკლოპს ამარცხებს არა აღმოსავლელ გმირთა მსგავსად — ფიზიკური ძალის წინააღმდეგ ფიზიკური ძალა, არამედ იმ ეშმაკობით, რითაც ხაზი ესმება ადამიანის ფიზიკურ უმწეობას ბუნების გრანდიოზულ მოვლენებთან. ასეთივე რომანტიკული ფოთოლი დაეცა ბეჭზე „ნიბელუნგების“ გმირს ზიგფრიდს. იგი უძლიერესია, მაგრამ არა უძლეველი. შუასაუკუნეობრივი სარაინდო პოემებიც, სწორედ რომანტიკულ შინაარსს შეიცავენ. მაგალითად, როლანდის შესახებ პოემებში, ბოიარდოსი იქნება თუ არიოსტოსი, ავტორთა რომანტიკულ ირონიას ვერ ასცდნენ მისი გმირები, პოეტი თავის გმირებს გვერდიდან უყურებს.

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი არიოსტოს „მძვინვარე როლანდიდან“, როდესაც ორი რაინდი ერთმანეთს ებრძვიან ანჟელიკასთვის. ანჟელიკა დროს იხელთებს და გარბის. რაინდები თუმცა გრძნობენ დადევნების საჭიროებას, მაგრამ რაინდული მორალის თანახმად ბრძოლას ვერც ერთი ვერ სტოვებს. ბოლოს ფერრაუ სთავაზობს მეორეს — როლანდს, დაედევნონ ბრძოლის მიზეზს. ერთ მათგანს არ ჰყავს ცხენი. ჩაალაგებენ იარაღს, შესხდებიან ერთ ცხენზე და დაედევნებიან ანჟელიკას. არიოსტო შენიშნავს, რომ მათ დაიეწყეს ერთმანეთის მტრობა და იქვე ირონიულად დასძენს — თუ კი ასეთი რამ შესაძლებელიაო.

ძველი აღმოსავლური პოეზია, იდეალს მიწაზე პოულობს. რომანტიკულისათვის (ევროპელისათვის კი ეს არაა იდეალი, ვერც ერთი გმირი ვერ გასცდება თავის ადამიანურ შეზღუდულობას, მოკვდაეობას. არც ერთი გმირობა არ არის სასწაულებრივი. მისთვის ადამიანები არ არიან გაყოფილი ორად. როცა ერთნი მხოლოდ სი-

კეთეს წარმოადგენენ, მეორენი ბოროტებას. ამასთან მისთვის მთავარია ადამიანი გაიგოს, მის ბუნებას შეხედოს და დაინახოს ისე, როგორიცაა იგი სინამდვილეში.

ძველი პოეტისათვის ფანტაზიის ნიშნეული შეუფერხებლობა ბუნებრივად იწვევდა მისი გრძნობადგამოხატვის ფორმების სიუხვეს. ამიტომაა ძველი აღმოსაელური პოეზია დათრთვილული მეტაფორებითა და მახვილ-გონივრული შედარებებით. აქ თავს იჩენს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფორმისა და შინაარსის უთანაბრობა ბრწყინვალე სალექსო კულტურისა და ყველა იმ ნიშნების სასარგებლოდ, რაც ფორმას გულისხმობს. რომანტიკული პოეზია რაკი ერთხელ შემეცნებით ჰვრეტის გზას დაადგა, იქამდე განავითარა თავისი ეს ტენდენცია, რომ ლამის ჰეშმარიტების შემეცნების მეცნიერულ მეთოდებს და პირველ რიგში ფილოსოფიას გაეკიბრა. აქაც თავის მხრივ თავი იჩინა ფორმისა და შინაარსის ურთიერთშეუსაბამობამ, ამჯერად შინაარსის, გონების სასარგებლოდ, მაგრამ, რრგორც ფიქრობენ ხოლმე, ამან უფრო მეტად დააზარალა პოეზია ვიდრე პირველმა შეუსაბამობამ. ეს აზრი უკიდურესობამდე მისული სახით, ემერსონმა ასეთნაირად გამოხატა გოეთეს შემოქმედების მაგალითზე: „მას არ შეეძლო დამორჩილებოდა ზნეობრივი გრძნობის სრულუფლებიანობას. პოეზიაში არის შეუდარებლად ფაქიზი სიმები, ვიდრე ის, რასაც ის შეეხო, არიან მწერლები მასზე ნაკლები მონაცემებით, მაგრამ უფრო სუფთა და გულზე მომხვედრნი. გოეთე არსადროს არ შეიძლება იყოს ძვირფასი კაცობრიობისათვის. ის არაა თაყვანისმცემელი წმინდა ჰეშმარიტებისა, მაგრამ აფასებდა ჰეშმარიტებას მხოლოდ თავისი განათლებულობისათვის. მის მიერ არჩეული მიზანი სხვათაშორის დაბლა დგას, ვიდრე ჰეშმარიტების ფლობა. და ეს კაცი სტოიკურად თვითდაჯერებული და თვითუარმყოფი არ შეიძლება მოატყუოთ, შეაცდინოთ, აიძულოთ ათრთოლდეს. მას ჰქონდა ერთნაირი გამომცდელობა ყველას მიმართ: „რა შეიძლება მე თქვენგან ვისწავლო?“ და ყველაფერი, წოდება, პრივილეგია, ჯანმრთელობა ფასდებოდა მის მიერ მხოლოდ ამ მიმართულებით.

ის არის ცივილიზაციის ტიპი, მოყვარული ყოველი ხელოვნებისა, მეცნიერებისა, მოვლენებისა. ის მხატვრულია, მაგრამ არ არის მხატვარი. გამსჭვალულია სპირიტუალიზმით, მაგრამ არ არის სპირიტუალისტი. სამყაროში არ არის საგანი, რომლის გაგების უფლება მას არ ჰქონდეს. სამყაროს გენიის არსენალში არ არის ისეთი იარაღი, რომელიც მას ხელში არ აეღო“.[1]

ამ აზრით ემერსონი უარყოფს გოეთეს მიერ მის წარმატებათა ამხსნელი სიტყვების აზრს:

1 Эмерсон, Нравственная философия, 1868, стр.199.

„Дитя, я очень умно поступила;
О том, как мне думать, подумать забыла".

გოეთეს შემოქმედების კაცობრიული ხვედრი წონის განსაზღვრა, ემირსონის საყურადღებო ჰეშმარიტების შემცველი აზრის მიხედვით, კაცობრიობამ არ აღიარა. მაგრამ იმის უარყოფა კი სწორი არ იქნებოდა, რომ პოეტურობისათვის საჭირო გულუბრყვილობა მისმა უდიდესმა ინტელექტმა გააფერმკრთალა და იგი საკმაოდაც ფიქრობს, თუ როგორ იფიქროს. გულის პოეტური სიმები, მართლაც შთანთქმულია უსაზღვრო ინტელექტში. ამ ტიტანური ინტელექტუალური ინტუიციითა იგი ძვირფასი კაცობრიობისათვის. მისი „ფაუსტი" გვიხსნის და ჯვასწავლის სამყაროს საიდუმლოებებს. გოეთესგან განსხვავებით, ვაჟა-ფშაველას პოეტურ ქმნილებათა გაგებისათვის ინტელექტის ეს კატეგორიები არაა საჭირო, მაგრამ ვაჟა ზნეობრივ გრძნობათა უფრო მეტ დამამკვიდრებლობას აღწევს თავისი ბუნებრიობით, გულამდე მოტანისა და გრძნობითი ემოციების გამოწვევით, ვიდრე გოეთე. ვაჟა შინაარსის, იდეის გამოვლენის სიძლიერით, ისევე როგორც ჰომეროსი, ბავშვია გოეთესთან შედარებით. ეს არ ნიშნავს, რომ ვაჟას პოეზიას რაიმე აკლდეს პოეტური შინაარსის აზრით. ვაჟა ბუნების ხილვისაგან გამომდინარე შინაარსს, მის დიალექტიკას გძრნობს და არ მიმართავს დიალექტიკას. ვითარცა მეთოდს. როგორც აკად. გ.ჯიბლაძე შენიშნავს: „ვაჟამ ბრწყინვალედ გაიგო მთელი ცოცხალი ბუნების დიალექტიკა, თუმცა მას არ გაუვლია სპეციალური ფილოსოფიური სკოლა, რასაც ასე აყვედრიდნენ ფილოსოფიურად განსწავლული თეორეტიკოსები".

მაშასადამე, პოეზიის იდეალს რომანტიკული, ანუ შინაარსის პოეზია არ გამოხატავს. იგი პოეტური ფუნქციის საზღვრებიდან უნებლიედ გადის და ძველ საბერძნეთში წარმოშობილი დავა მაღალ პოეტსა და ფილოსოფოსს შორის ჰეშმარიტების გაგებაზე ახალ და მაღალ საფეხურს ანვითარებს. აქ პოეზია სარგებლობს არა მხოლოდ ფილოსოფიურ მონაპოვართა პოეტური ციტირებით, არამედ ფილოსოფიური აზრები მოქმედი აზრები არიან. შილერის პოეზიაში ვხედავთ კანტის აზრებს. ფაუსტის აღზევება ცოდნის პერსპექტივების საზღვრულობაზე კანტის ფილოსოფიითაც საზრდოობს. ფილოსოფოსობა პოეზიაში არ ნიშნავს მშრალად, აფორისტულად დამოწმებულ ნააზრევს, არამედ ამ აზრებს შეესაბამება ნაწარმოების მთელი მოქმედი შინაარსი.

მაშასადამე, პოეტური მიმართება ნიშნავს მთელ მოვლენას გადავაფაროთ ის თვისება, რაც მასში სიკეთის, სილამაზის ნაპერწკალს შეიცავს და წარმავალი მოვლენები მარადიულივით წარმოვიდგინოთ, რომანტიკულის დრამატულის შინაარსი აღმოაჩენს წინააღმედგობას „უნდა იყოს"-სა და „არის" შორის, ხოლო პოეტური გულუბრყვილობისათვის იდეალური /„უნდა იყოს"/ და „არის" გახლეჩილი არაა.

ამიტომ აღინიშნა, აღმოსავლური პოეზიის უბრწყინველესი პოეტურობა, სადაც ადამიანი ღვთაებრივ სრულყოფადაა წარმოდგენილი. ახალი, რომანტიკული პოეზიისათვის მთავარია ჰეშმარიტება, განურჩევლად იმისა, სასურველ პასუხს გვაძლევს იგი თუ არა. ამდენად, ესაა გონების, შინაარსის მაღალი დონე. თავისი შინაარსით რომანტიკული პოეზია ჰეშმარიტების ინტერპრეტატორი, შინაარსთან უფრო ახლოს არის. პოეტური შინაარსი კი ნიშნავს სინამდვილის სასურველობის ნიშნით წარმოსახვას, როგორც ეს ძველი პოეზიისათვისაა დამახასიათებელი.

ძველი პოეტის გულუბრყვილო ფანტაზიას გააჩნია არაჩეულებრივი თავისუფლება და შეუზღუდველობა, სითამამე გრძნობად სინამდვილის ხატების მრავალფეროვანი კომბინირებისა. ძველი პოეზია — ესაა თვილხილული სამყარო. მზისა და ბუნების ნაირფეროვნებით. ძველმა პოეტებმა შექმნეს ღმერთთა და კაცთა მეფის იუპიტერის სახე, რომელიც ისეთი სინათლითა და შთაგონებით წარმოადგინეს, რომ თვითვე იწამეს მისი ღვთაებრივი არსებობა.[1]

ძველი პოეტი ეყრდნობა ბუნებრივ ინტუიციას, ხოლო ახალი პოეტის ინტუიციას სხვა საშუალებებიც ემატება. გარდა თანდაყოლილი ბუნებრივი ხილვის უნარისა, მისი ინტუიცია იერთებს თავის თავში ხელოვნურ საშუალებებსაც, რომელსაც ცოდნა, განათლება ჰქვია, ახალი პოეტი უწინარეს ადამიანის შინაგნი სამყაროთი ინტერესდება. იგი სწვდება ადამიანის ბუნების იმ შრეებს, რომლის დანახვა, სახელდობრ გონების ასეთი აღჭურვილობის შედეგადაა შესაძლებელი. მართალია, გულუბრყვილო პოეტის მიერ წარმოდგენილი ადამიანიც წარმოგვიდგენს ადამიანის სულიერ შინაარსს, მაგრამ ეს ამ შინაარსის გარკვეული საფეხურია, რომლის იქით ის ვერ მიდის. ის საზრდოობს იმ იდეით, რაც ბუნებრივი დაკვირვებებით შეიძლება იქნას მიღწეული. მაგრამ ადამიანის გაგება, მისი მთლიანობისა და სულიერი შინაარსით წარმოდგენა საგანგებო თემატიკაა ახალი პოეტისათვის და იშველიებს ადამიანის შესახებ არსებულ მეცნიერულ ცოდნასაც. ამიტომ მის მიერ შექმნილ სახეთა იქით დგას პოეტი, ინტელექტუალური საფუძველით.

ზოგჯერ ჰგონიათ, რომ აფორიზმები, დიდაქტიკური მსჯელობანი არის ფილოსოფია. სიბრძნესა და ფილოსოფოსობას ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან, ზოგჯერ პოეტს ფილოსოფოსობას აბრალებენ იმის გამოც, რომ მან ფილოსოფოსი ახსენა.

აფორისტულ-დიდაქტიკური აზრები ესაა პრაქტიკული სიბრძნე. პრაქტიკული სიბრძნე კი არა თუ თან ხვდება თეორიულს, ე.ი. ფილოსოფიურს, არამედ, პირიქით, უპირისპირდება კიდეც მას.

---

1 Вико, Основания новой науки об общей природе наиции. 1940 г. стр. 134-135.

აღმოსავლურ ფილოსოფიას ფაქტიურად, პირობითად უწოდებენ ფილოსოფიას. იგი არ ნიშნავს ფილოსოფიის იმ შინაარსს, რომელსაც ჩვენ თეორეტიულ და ჰკუისმასწავლებელ აზროვნულ მემკვიდრეობად ვღებულობთ. მას ახასიათებენ, როგორც რელიგიურ ფილოსოფიას, სადაც რწმენა და აზრი დაპირისპირებული არაა. ესაა ფილოსოფია, რომელმაც არ იცის შინაგანი დაპირისპირება. ესაა პრაქტიკული სიბრძნის მქადაგებელი ფილოსოფია, დამზადებული და თავშესკვნილი შეგონებანი, მშრალი დასკვნები. ესაა აფორისტული ფორმის სიბრძნე. ამიტომ აღმოსავლური პოეზიის შინაარსიც ასეთივე მდგომარეობაშია. აზრი აქ თავის სტიქიაში კი არ ვითარდება, არამედ გრძნობადი სინამდვილის, პრაქტიკული სინამდვილის შემოფარგლულ მოვლენებითაა ნაკარნახევი.

ჰეგელი, ფილოსოფიის ისტორიაში აღმოსავლურ ფილოსოფიას, მისივე განცხადებით იმიტომ იხილავს, რომ ახსნას, „რატომ არ გადმოეცემთ მას ჩვენ უფრო ვრცლად და რა მდგომარეობაში იმყოფება იგი აზრთან, ჭეშმარიტ ფილოსოფიასთან“.[1]

ჰეგელი აღმოსავლურ ფილოსოფიაზე მსჯელობისას, მისივე თქმით, მხოლოდ ჩინურითა და ინდური ფილოსოფიის მიმოხილვით იფარგლება. „ჩინელები, ისევე როგორც ინდოელები — წერს ჰეგელი, სარგებლობდნენ ძალზე კულტურული ხალხის სახელით, მაგრამ ეს დიდება, მსგავსად ინდურ უსაზღვრო რიცხვებისა, ძალზე შემცირდა მას შემდეგ, რაც უკეთ გაეცანით მათ. ეს ხალხები, როგორც მიაჩნდათ, ფლობდნენ ძალზე მაღალ კულტურას რელიგიის, მეცნიერების, სახელმწიფოებრივი მართვის, სახელმწიფოებრივი წყობის, პოეზიის, ტექნიკური ხელოვნების, ვაჭრობისა და სხვა დარგებში. მაგრამ თუ ჩვენ შევუპირისპირებთ ერთმანეთს ჩინეთის სამართლებრივ ინსტიტუტებსა და სახელმწიფო წყობას ევროპიელთა სამართლებრივ დაწესებულებებსა და სახელმწიფო წყობას, მაშინ ასეთი შედარება შეიძლება გავატაროთ მხოლოდ ფორმალური მხრით, რადგან მათი შინაარსი ძლიერ განირჩევა ერთმანეთისაგან. ჩვენ მაშინვე ვგრძნობთ, რომ რამდენადაც თანმიმდევრულად არ უნდა იყვნენ ისინი დამუშავებულნი ფორმალური მხრით, არ შეიძლება მათ ჩვენში ექნეს ადგილი; ჩვენ მას ვერ შევიწყნარებდით, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ თავისთავად არა სამართალს, არამედ სამართლის ჩახშობას“.[2]

აღმოსავლური დიდაქტიზმისათვის, როგორც აღინიშნა, დამახასიათებელია პრაქტიკული მოქმედებისათვის საჭირო ნორმატივებით ჰკუის სწავლება. სახელდობრ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი, ბედნიერად რომ იცხოვროს. ამიტომ აღმოსავლური დაკვირვებანი

1 Гегель, соч. т.IX, 1932 г. стр. 108.

2 იქვე, გვ. 110.

მიზეზებს კი არ იკვლევს, მოვლენის ძირებისაკენ კი არ მიდის, არამედ ცხოვრებისეულ მოცემულობათა ზედაპირზევე გამოაქვს განაჩენი. იგი ვერ ახდენს აბსტრაქციას შემეცნების აზრით. მისთვის მთავარია არა აზრი, როგორც ასეთი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა თქმულისა. ამიტომ ამ სიბრძნისათვის ძალა და სიკეთე დაპირისპირებული არაა. ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთისათვის უდიდესი თეორიული ავტორიტეტია მეფე. ეს რასაკვირველია მთლად უცხო არც დასავლეთისათვისაა. მაგრამ აღმოსავლურია წარმოდგენა, რომელიც ხოტბას ასხამს მეფეს, რომელიც უკვე ნიშნავს ბრძენს და კეთილს. საკმარისია ასეთი სოციალური ტიტული, რომ იგი ზნეობრივი ნიშნითაც იქნას შემკული. ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთში მთელი რიგი კრებულები მეფეთა სიბრძნეებადაა ცნობილი. მაგალითად. სასანიდური პერიოდის ირანელებისათვის ჩვეულებად იქცა წარმოდგენა არა მხოლოდ ჰკუის მასწაკლებელ ხელმწიფეზე, არამედ მინისტრსა და მეფისნაცვალზე. უეჭველადაა მიჩნეული, რომ ანალოგიური წარმოდგენები ექნებოდათ ძველ ჩინელებსაც და საზოგადოდ აღმოსავლეთის ხალხებს. მეფეთა და მეფის მოხელეთა ასეთი კულტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ აქ მოვლენა და არსება გაყოფილი არაა. რომ აქ იდეის ფილოსოფიურ დეფინიციასთან არ შეიძლება გვქონდეს საქმე. თუნდაც ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელია აგრეთვე წარმოდგენა ჰკუის დამრიგებელი მამისა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ესაა პრაქტიკული სიბრძნის და არა ფილოსოფიის სამყარო. ჰკუა მართლაც გამოცდილებისა და ასაკობრივი მდგომარეობის ერთგვარი პრივილეგიაა. დასავლეთისათვის, რასაკვირველია, პატივისცემის საგანია მამის შეგონებანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი აღმატებულება ჰკუის მიხედვით აღემატებოდეს შვილის აზრს. როგორც ინტელექტუალურ, თეორიულ მომენტს. აღმოსავლეთში თეორიული და პრაქტიკული უნარი ცნობიერებისა დაპირისპირებული არაა. ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთში სიბრძნისადმი სიყვარულით გატაცება დიდია. ამით აიხსნება ფირდოუსის „შაჰნამეს" სასანიდურ ნაწილში მეფეთა და მინისტრთა ბრძნული სიტყვებისათვის მომეტებული ადგილის დათმობა. აღმოსავლეთში. როგორც აღინიშნა, დიდი პოპულარობით სარგებლობს „რჩევათა წიგნი", აფორიზმების წიგნი, „მამათა შეგონებანი", განსაკუთრებით სპარსულ ლიტერატურაში. ეს დიდაქტიზმი არის მოქმედების ნორმატული განსაზღვრებანი, პრაქტიკული რჩევა და ჰკუის სწავლება. ეს უსიუჟეტო დიდაქტიკური ნაწარმოებები, თუმცა არ წარმოგვიდგენენ პოეტურ ხატებს, მაგრამ პოეტურია თავისი გულუბრყვილო დამრიგებლობით, კერძოდ, კონკრეტული შეგონების აბსოლუტიზაციის პრეტენზიით.

ეს დიდაქტიზმი სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ იქაც ნაგრძნობია მიწიერი ცხოვრების სიმძიმე და ერთის შეხედვით ქრისტია-

ნული დასავლეთისნაირ რეაგირებას ახდენს აქ გონება. სახელდობრ, სპარსულ ლიტერატურაში ცნობილი შეხედულება „დაჰგმეთ მიწიერი სიამენი“, მოუწოდებს ადამიანს ამქვეყნიურ სიამოვნებაზე ხელის აღებას და უკეთესს სამოთხეში ჰპირდება. მაგრამ აზრის რეფლექსია აქ რელიგიურ სკეპტიციზმს არ გასცილებია და ღვთაებრივს იგი ვერ ხედავს ცნობიერებითს თავისთავადობაში. აქ ღმერთი არის გარეშე არსება. ეს სენტიმენტალობა აზრის საკუთრივი სინათლით კი არაა გამოწვეული, არამედ წმინდა რელიგიურ სტიქიაში რჩება. ეს სკეპსისი ზოგადსაყოველთაო იდეის წვალებაა და ვერ გამოხატავს საყოველთაოს და იგი რჩება, კონკრეტულ რელიგიურ სფეროში.

ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთმა არ იცის ტრაგედია. აღმოსავლეთმა იცის უაღრესად დიდ ტანჯვა-წამებათა ამსახველი ნაწარმოებები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ტრაგედია, ეს არაა ცხოვრების აზრის გამსინჯველი ზნეობრივი იდეის რეაქცია. იგი მხოლოდ ტანჯვაა, ბუნებრივი და არა სულიერი მნიშვნელობით. სულიერი ტანჯვა ნიშნავს ცხოვრების ცოდნაზე აღმოცენებულ, სულიერ ტანჯვას. აღმოსავლური ტანჯვა არ არის გათვითცნობიერებული ტანჯვა სულისა, აქაა გარეგან და არა შინაგან ძალთა ჰიდილის დრამა. რასაკვირველია, აღმოსავლურ პოეზიაში იშვიათად როდი გავიგონებთ წუთისოფლისადმი გამოთქმულ სამდურავს, სევდას, ცხოვრებისაგან გამოწვეულს, მაგრამ ეს მოტივები დამოუკიდებელ შინაარსად არ იქცევა. იგი არ არის შემტევი სული, თანმიმდევარი და შეუპოვარი. „თუ აღმოსავლეთის ადამიანი იტანჯება და უბედურია, ამას ის ღებულობს, როგორც ბედის უცვლელ განაჩენს — წერს ჰეგელი და ამასთან იგი რჩება შინაგანად დარწმუნებული, არ განიცდის რა დაქვემდებარებულობის გრძნობას, სენტიმენტალობისა და ბუზღუნა მელანქოლიის გარეშე. ჰაფიზის ლექსებში ჩვენ ვპოულობთ საკმაო ჩივილსა და ბჭობას შეყვარებულზე, მიკიტანზე... მაგრამ თვით სევდაშიც იგი რჩება ისეთივე უზრუნველი, როგორც ბედნიერებაში.

ასე მაგალითად, იგი ერთგან ამბობს: „Из благодарности за то, что тебя освещает присутствие друга, скорбно сожги тотчас же свечу, и наслаждайся“. სანთელი გვასწავლის სიცილს, ტირილს და ის იცინის მხიარული ბრწყინვით ალის ლაპლაპზე, თუმცა თვით დნება ცხარე ცრემლებში; იწვის რა იგი მიმოაბნევს თავის ირგვილივ მხიარულ ბრწყინვას. ასეთსავე ხასიათს ატარებს საზოგადოდ მთელი ეს პოეზია“.[1]

სწორედ სიცოცხლის, უზრუნველობისა და ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობა იყო იმ მიმზიდველობის მიზეზი, რაც გოეთეს თავის „აღმოსავლეთ-ლასავლეთის დივანში“ აღმოსავლური პოეტის სტიქიაში აყენებს. „... და მოხუცებულობაშიც — წერს ჰეგელი — აღმო-

1 Гегель, т.XII, стр.378

საელეთის სუნთქვით გამსჭვალული, ეძლეოდა რა სისხლის პოეტურ დუღილს, უსაზღვრო სიამით საესე, იგი მიბრუნდა იმ ემოციონალურ თავისუფლებისაკენ, რომელიც თვით პოლემიკაშიც არ კარგავდა სასწაულებრივ უდარდელობას.

ლექსები, რომლებიც შეადგენენ მის „აღმოსავლეთ-დასავლეთის დივანს", არ წარმოადგენდნენ თავისთავად არც თამაშებრივ, არც უმნიშვნელო უსაქმურობებს, არამედ წარმოიქმნენ თავისუფლებისაგან, რომელიც მთლიანად ეძლევა გრძნობას". /გოეთე/

დრამატულად ცხოვრების წარმოსახვა რომანტიკული შინაარსისაა. დრამა გვაჩვენებს უკმარობას არა მხოლოდ ცხოვრების შემთხვევითი მოვლენებისა, შემთხვევითი ამბებისა, ესა თუ ის განსაკუთრებული ამბავი გამოხატავს არა მხოლოდ თავის თავს, არამედ ცხოვრების ბუნებას. აღმოსავლურ პოეზიაში შინაარსი თავის სიუჟეტზე დაიყვანება ფაქტიურად, თავის გრძნობად კონკრეტულ სახილველობით ამოიწურება, შაშინ როცა პუშკინის პოეზია გვპასუხობს უშუალოდ, ეინც სულიერი ცხოვრებითა ცხოვრობს. სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს საზოგადოება, ცივილიზებულ საფეხურზე და ესაა სწორედ ახალი ადამიანის, ახალი შინაარსი. „დრამატული ჟანრიც არ გეხედება ძველ არაბულ პოეზიაში, რასაც აგრეთვე გააჩნია თავისი მიზეზები".[1] დრამატული ჟანრი არც ახალ არაბულ პოეზიაში გეაქეს და საზოგადოდ აღმოსავლეთმა არ იცის დრამა, ამ სიტყვის სიზუსტემდე მნიშვნელობით, და როცა ამ სიტყვას აღმოსავლეთის ზოგ ნაწარმოებებისადმი იყენებენ, იგულისხმება მხოლოდ მისი ფორმალური ნიშანი. შინაარსობლივად დრამატული ჟანრი /კომედია თუ ტრაგედია/, როგორც ასეთი ძველმა აღმოსავლეთმა არ იცის. თუ ტრაგიკულს გავიგებთ როგორც ტანჯვა-წამების ასახვას და ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რათა ნაწარმოებს ტრაგედია ეწოდოს, მაშინ ბევრ რაიმეს შეიძლება ეუწოდოთ ეს სახელი. მაგრამ მაშინვე დავრწმუნდებით, რომ ტრაგედიად უნდა მივიჩნიოთ ისეთი რამ, რაც არ არის ტრაგედია. ტრაგედია, კომედია, საზოგადოდ დრამატული ჟანრი ესაა სულიერი და პრაქტიკული პრინციპების მორიგების ცდა, რომელიც კონფლიქტით მთავრდება.

იაპონურ ლიტერატურის ედოსურ პერიოდში /XVII-XIX საუკ./ ფრიად გავრცელებული თემატიკაა სამურაების გმირობა. გმირობის წოდებას ჩვენ ვერიდებით, თორემ იაპონურ ლიტერატურაში სამურაების თვითგვემა ისეა იდეალიზირებული და მომხიბელელი, რომ იგი მათთვის მიბაძვის წყაროდ იქცა. მაგალითად, ასე ყოფილა წარმოდგენილი ეს პროცესი ნაწარმოებში „შესრულებული დაპირება" /იუკი ნო აკებინო/. სამურაების ეთიკური კოდექსი ასეთია: თავი

1 Хашa-аль-фахури, История арабской литературы, т. I, стр. 33-34.

მოიკლან ყველაზე უფრო მძიმე ტანჯვით, სახელდობრ, „ხარა კირით“, ანუ შუცლის გამოფატვრით, არც სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მორალური კოდექსი კრძალავდა თვითმკელელობას. პირიქით, ცხოვრებიდან, სიცოცხლიდან ვაჟკაცურ წასვლად ითვლებოდა თვითგვემა. „ხარა კირის“, ანუ „სეპუკუს“ ან კიდევ „ჯაპუკუს“ პროცესი სასტიკია და რომელშიც ჩვენთვის არაფერია ადამიანური და სათანამგრძნობელი. სამურაი თანაგრძნობას არ იწვევს, რადგან არც ითხოვს და არც სჭირდება. მისთვის სიკვდილი არ არის საშინელება. პირიქით, იგი ერთგვარი სიამოვნების წყაროა. მისთვის სიკვდილის განცდის ფსიქიკური სიმძიმე აქ მთლიანად შეცვლილია, არც გმირობა არ არის ეს პროცესი. პირიქით, იგი შიშისათვის გვერდის ავლაა და არა პირისპირ შებმა. სიკვდილი გმირობაა დრამატული გმირის მიხედვით იმიტომ, რომ იგი უკანასკნელი გამოსავალია, რომ მისთვის სიცოცხლე ნაგრძნობია, როგორც უძვირფასესი და უდიდესი და აი სიცოცხლის ასეთი თვითშეგრძნებით გამსქვალული მიდის იგი თვითმკელელობაზე. ასკეტი ბერები დასივებულ სხეულზე, რომ ჩამოვარდნილ მატლს ისევ დაისვამდნენ და ტკბებოდნენ, ასეთი თვითგვემა ჩვენში არავითარ თანაგრძნობას არ იწვევს. პირიქით, ვემხრობით მის ასეთ გადაწყვეტილებას, რაკი სიცოცხლე არ უგრძვნია, როგორც ადამიანი უნდა ჰგრძნობდეს. მაშინ შეცდომა მოსვლია სიცოცხლეს, რომ ასე უგუნურ არსებად ქცეულა. დრამატული პოეზია სიკვდილს გვაჩვენებს სიცოცხლის უდიდესი ძალის წარმოსაჩენად. ამიტომ ედოსური პერიოდის გმირი არის ჩვენთვის არა გმირი, არამედ უგუნური არსება. ეს არაა ახალი ადამიანის ბუნების პასუხისგამცემი შინაარსი. იგი საინტერესოა, როგორც ეგზოტიკური ფაქტი. იგი ძველია, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს დაბადების შემდეგ იანგარიშება მისი პერიოდი, XVII-XVIII საუკუნე. ფილოკტეტის გმირობა კი ჩვენთვის ნაცნობია, ჩვენებურია, ადამიანურია, საყოველთაოა და ყოველთვის ახალი. არაფერს ახალს, დრამატულს არ გვეუბნება აგრეთვე იაპონური ლიტერატურის კლასიკური პერიოდი, რომელიც ქალების მიერაა შექმნილი და წარმოდგენილია ორი უმთავრესი ნაწარმოებით „„ჰენძი-მონოგოიტარი და მაკურა-ნო-სოსი“. იაპონური პოეზიის შინაარსი ჩვენს სულს არ სწვდება. ჩვენი განცდის წყარო არაა საინტერესო დაკვირვებისა და სიახლის მაძიებელი გონებისათვის. იაპონური ლიტერატურის სპეციალისტები, ადარებენ რა მას ევროპულ ლიტერატურას: „იაპონური პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანი ევროპული პოეზიისაგან მდგომარეობს იმაში, რომ „მასში არ არის დიდი პოემები, არ არის თუნდაც შორეული მსგავსება ეპოსთან, არ არის არაფერი „ილიადის“ ნაირი ან „ღვთაებრივი კომედიის“, ანდა თუნდაც, „ნიბელუნგების სიმღერისა“ და ა. შ. იაპონური მოთხრობითი პოემები მოკლეა, და ისინიც ძალიან ცოტაა. „დიდაქტიკურ-ფი-

ლოსოფიური, პოლიტიკური და სატირული პოეზია აგრეთვე გამორიცხულია". რაც შეეხება დრამატულ პოეზიას, ის გამოჩნდა არა უადრეს XIV საუკუნისა, რომლებსაც მათ ენაზე ეწოდება" ნო-როდ, ლირიკული დრამა. ლირიკულ დრამებში აქ იგულისხმება მოკლე ზომის ლექსები, რომელებსაც ტანკა ეწოდება. აი, მაგალითად, რაში გამოიხატება დრამა.

„Хотя и без хозяйки мой дом
Останется тогда, _
Ты у края кровли, слива,
Весной цветы не забывай".

აი ასეთი ლირიკული რკალითაა შემოფარგლული დრამატულის მომენტი. დრამატულის საკუთრივ საგანგებო პოეტურ ჟანრად ძნელია ლირიკა მივიჩნიოთ და იგი გავუტოლოთ შინაარსის გამოხატვის ისეთი დიდი პერსპექტივის ჟანრებს, როგორიცაა ტრაგედია, ან კომედია. აღმოსავლეთის პოეტი გვეტყვის, მაგალითად, რომ ეს საწუთრო არის უბედურების ან ბედნიერების სამყოფელი. მაგრამ ეს ნაადრევი განზოგადება გარკვეულ გუნებაზე მყოფი კაცის შთაბეჭდილებაა, რომელიც მეორე წუთში იცვლება. ამასთან, ესაა ლამაზი და მოსწრებული აზრების მდიდარი სალარო, მაგრამ ეს არაა ჰეშმარიტება ფილოსოფიური გაგებით. აღმოსავლური დიდაქტიზმი ჰეშმარიტების გაგების შესაბამისი ფორმა რომ არ არის, ამიტომაც ეწოდება ამ პოეზიას სიმბოლიკური. დიდაქტიკური აზრები, აფორისტული სიბრძნის სიუხვე აღმოსაელურ პოეზიაში ნიშნავს, რომ პოეტს არა აქვს განცდილი შიში ჰეშმარიტების სიღრმის, სინამდვილის უსასრულობისა, და ამიტომაცაა, რომ იგი უეჭველობითი დასკვნებით გველაპარაკება. ეს დიდაქტიზმი ნიშნავს ჰეშმარიტების უსასრულობის სასრულობად წარმოდგენას და მაძიებლობის ნაცვლად აზრის დამზადებული და უმოძრაო ფორმებით გადმოცემას. ამგვარი სიბრძნე ჩამოჰგავს ფილოსოფიურს, მაგრამ ძირეულად განსხვავდება მისგან. ფილოსოფიის სტიქიაა აზრიდან აზრზე გადასვლის განუწყვეტელი პროცესი და საბოლოოდ იდეისაკენ შეუჩერებელი სწრაფვა. დიდაქტიზმი კი მშრალ აზრთა ერთმანეთის გვერდით წყნარად ყოფნაა. ამიტომ, ბუნებრივი პოეტური ინტუიცია არ მისდევს სამყაროს საიდუმლოებათა მიზეზობრივ ახსნას და მოცემულით კმაყოფილდება. რომანტიკული პოეტი, რომელიც ყველაფერში შინაარსს ეძებს, მისდევს სწორედ ასეთ აუხსნელ კითხვებს, მას სურს მოვლენათა შინაგანი მიზეზობრიობის ახსნა აქციოს სახედ. მაგრამ ასეთი ამხსნელობაა სწორედ იმის მიზეზი, რომ მასში ფანტაზიის თამაში მაძიებელი ლოგიკურობითაა შებოჭილი. ესაა ზოგადი ნიშნები მთელი დრამატიული პოეზიისა და არა ყოველ ცალკეულ პოეტზე თავმოსახვევი აზრი.

მაშასადამე, გულუბრყვილო პოეზიის სამყარო ესაა ამქვეყნიური

არსებობის ნათელი ოპტიმიზმი, ამქვეყნიური ცხოვრებისა და არსებობის აზრის განმამტკიცებელი, მაშინ, როდესაც რომანტიკული პოეზია ისწრაფვის გრძნობადი სინამდვილის ნაკლოვანება იდეალთან შეაფარდოს და თითქოს შეავსოს იდეალის გამოხატვით. ამიტომაა ცოცხალი სინამდვილისადმი მისი მიმართებისას თავს იჩენს პესიმიზმი. გულუბრყვილო ოპტიმიზმი და რომანტიკული პესიმიზმი სინამდვილის ასეთ ინტერპრეტაციაში მდგომარეობს.

როგორც აღინიშნა, გულუბრყვილო პოეტი წარმოსახვის ფაქტსაა მინდობილი. მისადმი მრმართებითაა დაპყრობილი. ახალი პოეტი კი გვაჩვენებს არა მხოლოდ წარმოსახვის საგანს, არამედ როგორია საგნისა და სუბიექტის მიმართება, ე. ი. პოეტი გვაჩვენებს, როგორ ხედავს იგი ამ საგანს. სწორედ ამ კანონზომიერებით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი პოეტური სამყარო ესაა ობიექტივირებული სამყარო. არა მხოლოდ ძველი ეპოსია ობიექტივირებული, არამედ ლირიკაც. ამიტომაა ახალ პოეზიაში დრამა ცვლის ძველ ეპიკურ ჟანრს. ძველ პლასტიკურ, ობიექტივირებულ ლირიკას ცვლის ახალი სუბიექტივირებული ლირიკა. ამიტომ უწოდებენ დრამას პოეზიის უკანასკნელ გვირგვინს. ახალმა პოეზიამ ადამიანის სულის სამყაროში გადაინაცვლა. თუ ძველი პოეტი თვითვე ეკუთვნის თავის მიერ წარმოსახულ სინამდვილეს, ახალ პოეტს თვითვე ეკუთვნის მთელი სამყარო. „ახალმა პოეტებმა მასწავლეს ნაწარმოებში უწინარესად მწერლის მოძებნა".[1]

პოეტურის ძირითადი ნიშანი, როგორც არაერთგზის აღინიშნა, არის გულუბრყვილობა, პროზაულისათვის კი მოვლენათა მოჩვენებითობის განჭხრეკა, ნაცვლად შელამაზებისა. პროზაული აშიშვლებს მოვლენათა ფერადოვნებას და გარეგან მორთულობას და ისწრაფვის გვაჩვენოს მოვლენის ფორმასა და შინაარსში არსებული წინააღმდეგობა. რეალური სინამდვილის მოვლენათა სილამაზეს იგი ჩრდილის მხარეს შეახვედრებს და ამ მამხილებლობაშია მისი ესთეტიკურობა. მაშასადამე, რომანტიკული პოეზიის შინაარსი თავისი დასაბამით არის პროზაული. რაც შეეხება მრავალი ქვეყნის პროზას, სადაც ეს ადამიანის ბუნების მამხილებლობა მწერლის სტიქია არ არის, საქმე გვაქვს პოეტურ პროზასთან. პოეტური პროზის ცნება გაცილებით ფართოა, ვიდრე აზრს დებენ მასში.

ნამდვილი პოეტურის იდეური შინაარსი საზრდოობს სინამდვილიდან, ე. ი. იმ იდეით, რასაც პოეტს გარეგანი სინამდვილე აწვდის, ხოლო რომანტიკული პოეტი სინამდვილის კანონშესაბამისობას კითხულობს რეფლექსიაქმნილი, ფილოსოფიური იდეით.

გულუბრყვილო პოეზიის შინაარსი განსაზღვრულია იდეის გა-

1 Шиллер, собр. соч. т. IV. Наивная и сентиментальная поэзия, 1902 г. стр. 377.

მოვლინების იმ დონით, რასაც ბუნება უშუალოდ კარნახობს პოეტს. როგორც შილერი ამბობს: „ყველა პოეტი ბუნებაა, ან ესწრაფვის ბუნებას". ძველი პოეტი თვითვეა ბუნება, ხოლო ახალი ისწრაფვის პირველყოფილი საწყისის აღდგენისაკენ.

როგორც აღინიშნა, სინამდვილის სურათებიდან გულუბრყვილო პოეტი მოვლენათა ისეთ საინტერესო მდგომარეობას ირჩევს, რომლებშიც მოჩანს გონებისათვის პასუხის მიმცემი კანონზომიერება. აქ თვით ხილულად ნაგრძნობ მოვლენათა ერთიანობიდან გამოუყოფლადაა ნაგრძნობი კანონზომიერება, კანონშესაბამისობა, ე. ი. კანონზომიერება, რაღაც წესი გამომდინარეობს, გრძნობიდან, გარეგნობიდან, წარმოსახვიდან. ამგვარად ნაგრძნობი ამბავი, მოვლენათა სტრუქტურა იძლევა რაღაც იდეას, აზროვნულს, ანუ ამ აზრის შესატყვისს. ასე, რომ, აქ იდეა, თუ შეიძლება ითქვას, გარედან მოდის. ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ გარეგანმა სინამდვილემ კანონზომიერების სახით გულუბრყვილო პოეტის ინტუიციას თითქოს მისთვის უცხო რამ მოახვია თავს. ინტუიციას იმიტომ ძალუძს აზროვნულისა და გრძნობადის ერთბაშობაში გრძნობა, რომ თვითვეა აწყობილი ის, ისევე, როგორც გარეგანი სინამდვილის კანონზომიერება, ამიტომ სწვდება იგი იდეას სინამდვილეში რეფლექსის გარეშე, ე. ი. ისე, რომ არ იცის რატომ და რისთვის. ესაა სწორედ პოეზიის იდეალი.

რომანტიკული იდეა კი დაშორებულია ბუნებას და მისთვის წინასწარვე არსებობს იდეა, აზრი გრძნობადი მოვლენისაგან ერთგვარად ცალკე. მოსწყდა რა იდეა გრძნობადს და იქცა გონების ერთგვარ დამოუკიდებელ ფაქტად, იგი კვლავ ეშვება ხილულ სინამდვილეში თავის თავის გრძნობად სარეალიზაციოდ. იდეა თავის თვითგანსხვისებას ისევ საჭიროებს, რათა იგი მიტანილი იქნას ადამიანის თვალსა და გულთან.

ძველი პოეზია, როგორც ვნახეთ, თუმცა ვერ შეედრება ახალს იდეის გამოვლენის სიღრმით, მაგრამ ასეთივე უფლებამოსილი უპირატესობით წარსდგება იგი ახლის წინაშე, როგორც ბუნების გულწრფელი გამოხატულება.

აქამდე ჩვენ ერთმანეთს ვუპირისპირებდით შინაარსით მართლაც სხვადასხვა საფეხურისა და სიბრტყეების პოეტურ კულტურას. ერთი ძველს განეკუთვნება, მეორე ახალს, მაგრამ ამ დაპირისპირების სიმწვავე მოიხსნება ბერძნულ კლასიკურ ეპოსში. ესაა კაცობრიული კულტურის ოქროს მიჯნა, ახალი კულტურის, ახალი სამყაროს დიადი ბავშვობის ხანა. ბერძნული ხიდი, კლასიკური შუალედი პოეზიისა, ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს საგანგებო მიზნით, რომ იგი, აქეთ, ვაჟა-ფშაველასაკენ წამოვიყვანოთ და ლიტერატურული კრიტიკის აღტაცებებს, ვაჟას მიმართ ჰომერულ ასოციაციებს, მცი-

რეოდენი საბუთები შევძინოთ და ვეძიოთ მასში მყარი კანონზომიერება.

მანამდე კიდევ დაგვჭირდება მცირეოდენი ექსკურსი აღმოსავლეთ-დასავლეთის პოეზიაში. ახალი და ძველი სამყაროს კლასიკური ბერძნული ხიდი, ერთგვარად მემკვიდრეობს ეგვიპტური კულტურიდან.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ტიპიური აღმოსავლეთის პოეზიისათვის დამახასიათებელი არაა მებრძოლი სული. ეგვიპტური კულტურა, რომელსაც ისე როგორც მახლობელი, წინა აზიის კულტურას, ევროპული ცივილიზაციის წრედში განიხილავენ. ჩვენ ამ საკითხს მივუბრუნდით იმიტომ, რომ მინიშნება გავაკეთოთ აღმოსავლეთში დასავლური მომენტის არსებობაზე. იგი უახლოვდება დასავლეთს არა მხოლოდ ტერიტორიულად, არამედ სულიერადაც. ეგვიპტური ქანდაკებების ის სიმბოლიკური ჩაფლულობა, ქვაში დამძიმებულობა, რომელსაც ხელოვნების წინარე რწმენას უწოდებს ჰეგელი, ბერძნული კულტურის საფეხურია. ეს სიმბოლიკური ცალმხრიობა, როგორც რომანტიკული, დაძლეულია ბერძნულ კლასიკურ ხელოვნებაში.

ეს კანონზომიერება მოსჩანს ძველ ეგვიპტურ პოეზიაშიც. აქ სული ბრძოლის სულისკვეთების ტენდენციას ავლენს. აქ სულის სიმკაცრის შეუპოვრობის ნიშნები გვაქვს, იაპონურთან მსგავსებითაც, მაგრამ განსხვავებითაც. აქ აღარა გვაქვს ბედის უცვლელი განაჩენის წინაშე მორჩილება. მხოლოდ მოგვიანო ეტაპზე გადადის იგი იგავურ დიდაქტიზმზე, ეგვიპტურ პოეზიაში დრამატულის ნაპერწკალი ღვივის, რომელიც ცხადია, ისევ სამხრეთულ, აღმოსავლურ ფერფლში რჩება, მაგრამ მისი მომხიბვლელობა ამ მომენტის შერწყმითაა გამოწვეული. ძველ-ეგვიპტური პოეზიისათვის დამახასიათებელი საყვარელი სალექსო ხერხი, რეფრენი, წმინდა აღმოსავლურისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სულის თანმიმდევარ გრადაციას ქმნის:

„Это войско вернулось благополучно,
Разворитив страну бедуинов
Это войско вернулось благополучно,
Снеся за крепости.
Это войско вернулось благополучно,
Срубив за смоковницы и виноград
Это войско вернулось благополучно"...

აქ იგრძნობა დრამატული ჟანრის ჩანასახი. ეპიკური სურათის გრანდიოზულობის, ჰეროიკის სურათების ჩვენება ისტორიულ მოვლენებთან სიახლოვით.

ქართული ეროვნული სულის დახასიათების ცდა ჰეგელის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრინციპით.

საუკეთესო შემთხვევაში ასეთი სათაურის ქვეშ უნდა ველოდეთ საინტერესო და მომხიბვლელ შინაარსს. ამჯერად საკითხი ცხადია, ასეთი ღირსებებით ვერ წარმოსდგება მრავალი მიზეზით. ერთ-ერთი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ საკითხი ასეთი პირდაპირობით ჩვენს სინამდვილეში ჯერჯერობით არ დასმულა. ეროვნული სულის შესწავლა ძირითადად გულისხმობს საგნის ორ მხარეს.[1] ამა თუ იმ ხალხის ბუნებრივი ნიჭის პოტენციურ შესაძლებლობებს.[2] ფიქსირებული კულტურის ადგილს კაცობრიულ კულტურაში. ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას ამათგან პირველი აინტერესებს.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია სწავლობს სულისა და სხეულის კავშირს. როგორ ერთიანობაშია ადამიანის სულიერი შინაარსი მის გარეგნობასთან და პირიქით, ადამიანის ფიზიკური აღნაგობა როგორ იძლევა წინასწარ გარანტიას მასში სულიერი შინაარსის პერსპექტივების თვალსაზრისით. ფილოსოფიური ანთროპოლოგია ეროვნული სულის შესწავლის დროს ძირითად მიზნად ისახავს ახსნას, ამა თუ იმ ხალხის სულიერი შინაარსი რამდენად არის განპირობებული ბუნებრივი, ფიზიკურ მხარის თავისებურებებით. ფილოსოფიური ანთროპოლოგია ხშირ შემთხვევაში იძლეოდა რეაქციულ დასკვნის საფუძველს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ამა თუ იმ ხალხის ბუნებრივი ნიჭიერების უპირატესობის აღიარება, თითქოს იმის უფლებას იძლეოდა, რომ უპირატესი რასობრივი ნიშნებით აღჭურვილ ხალხს შეეძლოთ დაეჩაგრათ ინტელექტუალური მონაცემებით უფრო დაბალ საფეხურზე მდგარი ხალხები.

ჩვენ არ გამოვედევნებით ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კლასიფიკაციას.

იმის უარყოფა ცხადია არ შეიძლება, რომ ქვეყნად ყოველ ხალხს ერთნაირ დონეზე არ გამოუვლენია ზოგადკაცობრიული შინაარსი. დასაყრდენი მოცემულ შემთხვევაში, ქართული ეროვნული სულის ანალიზის დროს, საგანგებო ყურადღება ჰეგელის ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე. განპირობებულია იმით, რომ ესაა მისი მთელი ფილოსოფიური სისტემის პრინციპიდან გამომდინარე აზრი და არა თავისთავად ანთროპოლოგიური ინტერესით დაწერილი გამოკვლევა. ამდენად, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ანთროპოლოგია, როგორც ასეთი. ანთროპოლოგია ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ როგორც ფილოსოფიური აპარატი, რომლის მიხედვითაც შეიძლება

1 Ш. Ф. Овсянников, Философия Гегеля, Москва, 1959 г, стр. 627.

2 Гегель, соч. т. III, 1956, стр. 323.

ეროვნული სულის რამდენადმე ხელშესახები დახასიათება.

რას შეიძლება ველოდოთ საზოგადოდ ფილოსოფიური ანთროპოლოგიისაგან?

ფილოსოფია ანთროპოლოგიასთან მიმართებაში სრულიად თავისებური სფეროს მკვლევარი ხდება. იგი იცვლის თავის საგანს თვისობრივად. ე. ი. თუ ფილოსოფია, ჩვეულებრივად, ზოგადს, იდეას იკვლევს, ახლა იგი მიმართავს კერძოს, განსხვავებულს, ცვალებადს. ალბათ, ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ისეთი დიდი მოაზროვნეც, როგორიც ჰეგელია ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში ადგილ-ადგილ გულუბრყვილოც შეიძლება მოგვეჩვენოს. ამდენად, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიური ანთროპოლოგია ადამიანს იხილავს, როგორც ინდივიდს, როგორც ბუნების ქმნილებას, ან სრულებით არ უწევს სოციალურ მხარეს ანგარიშს, ან მინიმუმამდე დაჰყავს მისი მნიშვნელობა. გეოგრაფიულ გარემოს გარკვეული როლი ენიჭება ადამიანის ანთროპოლოგიურ, ფსიქიკურ, სოციალურ ფორმირებაში, მაგრამ ადამიანის სულიერი შინაარსის ძირითადი განმსაზღვრელი არის სოციალური გარემო.

„ხალხის განსაზღვრული სული, რამდენადაც ის არის რაღაც ნამდვილი, და მისი თავისუფლება არსებობს როგორც ბუნება, შეიცავს ამ ბუნებრივი მხრიდან გეოგრაფიული და კლიმატური განსაზღვრულობის მომენტს. ის არსებობს დროში და თავისი შინაარსის მიხედვით ფლობს თავის არსებაში განსაკუთრებულ პრინციპს და უნდა გაიაროს ამ პირობებით განსაზღვრული განვითარება თავისი ცნობიერებისა და თავისი სინამდვილისა. მას აქვს ისტორია თავის თავის სფეროში, რამდენადაც ის არის შემოფარგლული, მისი დამოუკიდებლობა არის რაღაც დაქვემდებარებული. ის შედის მსოფლიო ისტორიაში და ეს მოვლენა წარმოადგენს ცალკეულ ხალხთა სულების დიალექტიკას — მსოფლიო სამსჯავროს“ /ჰეგელი/.

იდეალისტური, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიერ ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭება, ადამიანის, როგორც ანთროპოსისადმი, ცხადია არ უნდა გახდეს იმის საბაბი, რომ საკითხის კვლევის ეს სფერო იდეალისტური ფილოსოფიის მონოპოლიური საკუთრება გახდეს. ჰეგელის ფენომენოლოგიიდან შეიძლება გარკვეული რაციონალური მარცვლის ამოღება კრიტიკული თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ ჰეგელის ფენომენოლოგიურ-ანთროპოლოგიურ იმანენტურ კრიტიკას.

ჰეგელის სისტემა სულის ფენომენოლოგიისა, რომელიც მთელი მისი სისტემის ბირთვია, ერთგვარად ცისა და მიწის შეხვედრის ანთროპოლოგიურ რგოლს ემყარება. რომ დედამიწაზე სულის დიფერენცირება დამოკიდებულია დედამიწის თავისებურებაზე, ძირითადად კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოსაგან. „თავის თავში და თავისთვის არსებული ჰეშმარიტება“, გონება ყველგან ერთნაირი შე-

საძლებლობით არ ელინდება დედამიწაზე.

როგორც ცნობილია, თვითცნობიერების გამოვლენის უმაღლესი და უძლიერესი მეთოდი არის დიალექტიკა. ჰეშმარიტების საბოლოო და თავისთავადი ბუნებისკენ მისწრაფება გონების პრინციპით ხელმძღვანელობს, თუ იგი შინაგანი დიალექტიკური წინააღმდეგობის პროცესში მოძრაობს. მაშასადამე, გონება დაჯილდოებულია ჰეშმარიტებისაკენ მიმავალი ყველაზე ხელსაყრელი გზით. ამის ფიქსაციას წარმოადგენს ევროპული ფილოსოფია და საზოგადოდ კულტურა. ძველი დაბალი კულტურის ერები, რომლებიც მსოფლიო სულის გაუცნობიერებელ გამომხატველად არიან ცნობილი, სწორედ უდიალექტიკო აზროვნებას გვაძლევს. ცნობიერების ასეთი მოღვაწეობა ქმნის თავისებურ კულტურას, რომელიც მოკლებულია თვითჩაღრმავების საშუალებას აღმოაჩინოს თავისი ცნობიერების ნაგებობაში საყოველთაო გონის ზოგადი წესი. ამით განასხვავებენ დასავლურ შემტევ სულს აღმოსავლურისაგან ე. ი. დასავლური კულტურის პროგრესი დიალექტიკის, დიალექტიკურობის თავისებურებაშია. ახლა ჩვენთვის საინტერესოა, საიდან იქმნება დიალექტიკურის ასეთი ბუნებრივი საფუძველი. დიალექტიკა, როგორც აზროვნების წესი, ნიშნავს შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც ცნობიერებას პროგრესის გზაზე დააყენებს. ეს ისეთი წინააღმდეგობაა, რომელიც ნიშნავს ბრძოლას პროგრესისათვის ჰეშმარიტების ნათელი პრინციპისაკენ მისწრაფებაში. შეიძლება თუ არა ცოცხალ ბუნებაშიც ვიპოვოთ ამ შინაგანი წინააღმდეგობის გარეგნული საფუძველი, რომელიც ბუნებრივ სტიქიათა ისეთ ჯიდილს გამოხატავს, რაც სიცოცხლის განვითარებისათვის ხელშემშლელი კი არ არის, არამედ პირიქით ხელს უწყობს ყოველ ცოცხალ არსებას განვითარებისა და სრულყოფილი გამოვლენისათვის. ასეთ მხარეებად ფილოსოფიური ანთროპოლოგია. მათ შორის ჰეგელი, მიიჩნევს ევროპულ ნაწილს, რომელიც ანთროპოლოგიური ნიშნით რამდენადმე არ ემთხვევა გეოგრაფიულ კონტინენტალურ კლასიფიკაციას. ასე მაგალითად, წინა აზიის ქრისტიანული ხალხები, ჩრდილო აფრიკაც ევროპული კულტურის ხალხებად მიაჩნია მას.

ცნობილია ჰეგელის მიერ კავკასიური რასის დახასიათება. „მხოლოდ კავკასიურ რასაში სული მოდის თავის თავთან აბსოლუტურ ერთიანობაში მხოლოდ აქ ებმება სული ბუნებრივი არსებობის პირობებთან სრულ წინააღმდეგობაში, აღწევს თავის თავს აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, მოსწყდება მუდმივ მერყეობას იქეთ და აქეთ, ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ, აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და მით უფრო ანხორციელებს მსოფლიო ისტორიას. მონღოლები, როგორც უკვე იყო მოხსენებული, განირჩევიან თავიანთი ხასიათის მიხედვით შემტევი მოღვაწეობით, რომელიც მიისწრაფვის გარეგანი გამოვლენისაკენ მსგავსად წყალდიდო-

ბისა, რომელიც თუმცა ისევე სწრაფად მიდის, როგორც მოდის, მოქმედებს მხოლოდ დამანგრეველად, მაგრამ არაფერს არ ქმნის და არ მოაქვს არავითარი პროგრესი მსოფლიო ისტორიაში. პროგრესი ხორციელდება მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით".[1]

კავკასიური რასა ნიშნავს თეთრკანიან ევროპულ რასას. რომელსაც მიეკუთვნებიან აგრეთვე წინააზიელი ხალხებიც. ამ რასობრივი ნიშნების ყველაზე სრულფასოვან გამოვლინებად ჰეგელს მიაჩნია იტალიელების, ქართველებისა და ჩერქეზების ფიზიონომია. „კავკასიურ რასას დასახელებული კუთხე (თავის ქალისა — ვ. გ.) აქვს სწორი, ან თითქმის სწორი. ეს განსაკუთრებით სამართლიანია იტალიელების, ჩერქეზების და ქართველების ფიზიონომიის მიმართ".2

ძალიან დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული მოტანილი ადგილის ყოველი წინადადების ინტერპრეტაცია... მაგალითად: რას გულისხმობს ის, როცა წერს, რომ სული; ებმება სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან.

ვიდრე შევეცდებოდეთ ამ წინადადებათა მიღმა მდებარე ნაგულისხმევ შინაარსს უშუალო სახელი დავარქვათ, საჭიროა საკმაოდ შორეული ექსკურსია.

ვიდრე დედამიწის უშუალო გეოგრაფიული კლიმატური გარემოს მნიშვნელობას შევეხებით ადამიანის სულიერი განვითარების შესახებ, მანამდე საჭიროა მიმოხილვა ადამიანის კოსმიურ, სიდერიულ, ტელერიულ ცხოვრებაზე. ეს ნიშნავს კოსმიურ მოვლენათა ზეგავლენას ადამიანზე. ჰეგელი კრიტიკულად არჩევს ამ მომენტს და აღნიშნავს, რომ კოსმიური მოვლენები უშუალოდ და წარმმართველი ზემოქმედებისანი არ არიან იმ ხარისხით, როგორც სახელდობრ, გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები. თუმცა იგი არ უარყოფს ცხოველურ ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ფაქტს. მანამდე აღნიშნავდნენ, რომ მზისა და ვარსკვლავთა სისტემაში მომხდარ ცვლილებებთან გარკვეულ კავშირშია ადამიანის სხეულებრივი მდგომარეობის ცვლილებანი.

ჰეგელი ამ შემთხვევაში უარყოფს ტელერიულ ძალთა უშუალო ზემოქმედებას, წარმართველობას, პირველადობას სულის სამყაროზე. „... იმის გამო, რომ სულის თავისუფლება თავის თავს უფრო ღრმად აღწევს, ქრება აგრეთვე ეს მცირეოდენი და უმნიშვნელო ზემოქმედება, რომელიც ფუძნდება ბუნებასთან სასიცოცხლო ურთიერთობაში. პირიქით, ცხოველი, ისე როგორც მცენარე, რჩებიან ამ ურთიერთობის მფლობელობაში. ამიტომაა, რომ ცხოველები გრძნობენ მეტეოროლოგიურ ცვლილებებს. ადამიანიც თავის ჭრილობით გრძნობს ასეთ ცვლილებებს, რადგან ჭრილობა ადამიანის ცხოველუ-

1 Гегель, т. III, 1956, стр. 73.

2 Гегель, т. III, М. 1956, стр. 76.

რი საწყისის გამოფხიზლება და გააქტივებაა, მაგრამ ცხოველის უპირატესობა ამ შემთხვევაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასტროფიზიკური ცვლილებები წმინდა ფიზიკურ ცვლილებებს იწვევენ ორგანიზმში, მაგრამ სულის თვითჩაღრმავება ადამიანში იწვევს ადამიანის სხეულის ბუნებისაგან ერთგვარ დაშორებას. ამიტომ ასტროფიზიკური მოვლენები ცვლილებას ასახავენ არა სულის სამყაროზე, არამედ ფიზიკურ სამყაროზე.

სულისათვის ბუნების საყოველთაო ცხოვრება „ამიტომ გველინება სრულიად დაქვემდებარებულ მომენტად, კოსმიური და ტელურიული ძალები ხდება მისი ხელქვეითი და შეუძლიათ გამოიწვიონ მხოლოდ განწყობის უმნიშვნელო ცვლილება".[1]

მართალია, ჰეგელის აზრით, სულის თავისთავად სამყაროზე ტელურიული ძალები, ტელურიული მოქმედებანი გავლენას არ ახდენენ, მაგრამ სულის გამოვლენის პროცესზე, ადამიანზე, როგორც ბუნებრივი სულის მფლობელზე, არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს, რადგან კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო კოსმიური მთელის ნაწილია. დედამიწის გეოგრაფიულ-კლიმატური გარემოს განსხვავებულობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ კუთხეს ქმნის დედამიწის სხვადასხვა ნაწილები მზის ირგვლივ, თავისივე ღერძის ირგვლივ. მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვა, წელიწადის დროში შეხვედრის კუთხის ცვლილებები დედამიწის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირად აისახება. ამ მხრივ მართლაც იქმნება რაღაც კრიტერიუმი სიცოცხლის განვითარების მეტნაკლებ პერსპექტივებზე დედამიწის სხვადასხვა ნაწილში.

აზიის კონტინენტი დიდი დაბლობებისა და მთების ერთმანეთში განუკოლველი გვერდიგვერდ ყოფნაა. ამიტომ უწოდებს მას ჰეგელი „გაუშუალებელ წინააღმდეგობას". აფრიკის მასიური მთები კონტინენტს გზას უღობავს ზღვასთან ურთიერთობისათვის. ზღვისა და მთის კლიმატის გაშუალება მთებისა და დაბლობების ერთმანეთში გარდამავლობასთან შერწყმულია ევროპაში. ესაა სწორედ იდეალური პირობა, სიცოცხლის განვითარებისათვის. ჰეგელს უპირს ზღვისა და მთის კლიმატის გაშუალების ცნობილი თეორიის მომარჯვება, როდესაც ინდოეთს ახსენებს. აქ ჰეგელის მიხედვით პირობა იყო მაღალი კულტურის განვითარებისათვის, რადგან ხმელეთს ოკეანე აკრავს, მაგრამ მისი აზრით, ინდოელებმა უძველესი დროიდანვე თავიანთი რელიგიური ცრუმორწმუნეობით აუკრძალეს თავის თავს ნაოსნობა და ამით ძალად წაართვეს თავიანთ თავს ამ შესანიშნავი პირობის გამოყენების საშუალება. აქ უკვე ეს პრინციპი მოიკოჭლებს. რადგან გეოგრაფიულ-კლიმატური გარემო პირველადი ზემოქმედებით უნდა წარმომდგარიყო და ასეთ ანთროპოლოგიურ,

1 Гегель, соч. т. III, стр. 65-66.

ფსიქიკურ წყობაში თვითშემფერხებელი სტიქიონები არ უნდა ჩასახლებულიყო ე. ი. არ უნდა გასჩენოდათ ეს ცრუმორწმუნეობა.

რასაკვირველია, შორს წაგვიყვანს ჰეგელის მიხედვით ცალკეული ქვეყნების გეოგრაფიული ანალიზი. ევროპული სულის ეოგრაფიულ-ბუნებრივ წყაროდ ჰეგელს მიაჩნია ამ კონტინენტის ჩრდილოურ-სამხრეთული გარდამავალი ზონის პოლარული კავშირის ერთიანობა, რომელიც იძლევა იმის მინიშნებას, რომ ეს არის ჩრდილოურისა და სამხრეთულის ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უწყობს სიცოცხლის განვითარებას და განსხვავებას ცალმხრივი წინაღმდეგობების შემცველი ბუნებისაგან, სადაც ან ჩრდილოური ჩაგრავს სამხრეთულს ან პირიქით. ამიტომ ხმელთაშუა ზღვის აუზი, ზომიერი სარტყლის ზონად წოდებული, ბუნების მოვლენათა ჰარმონიას გულისხმობს, ჰეგელი აქ არ იძლევა დაწვრილებით გეოგრაფიულ-კლიმატურ ანალიზს, რამდენადაც ფილოსოფიური ანთროპოლოგიით იფარგლება, როგორც თვითონ წერს. გეოგრაფიული გარემოს შესაბამისობიდან გამოჰყავს მას რასების ფიზიოლოგიური კლასიფიკაცია. მართალია, კავკასიური რასის ანალიზის დროს იგი სწორედ ფიზიოლოგიურ კლასიფიკაციით ხელმძღვანელობს. მაგრამ ამ კვალიფიკაციის ძირში ის სწორედ გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოს გულისხმობს, რომლითაც კავკასია ჯილდოვდება.

ყოველი შთაბეჭდილება, რომელიც გამოთქმულია დიდ მოაზროვნეთა ნაწერებში კავკასიის ხილვით, გამოკვეთილად ჩანს ის გრძნობა, რომ ეს არის ბუნების პოლარულ კავშირთა ისეთი შეზავება, რომელიც გულისხმობს სწორედ ჩრდილოურისა და სამხრეთულის იდეალურ წონასწორობას.

გეოგრაფიულ ფაქტორს უწევს ანგარიშს აგრეთვე ვინკელმანიც, როდესაც იგი წერს: „აკი დღესაც არსებობს მთელი ხალხები, რომლებთანაც სილამაზე სრულიად არ ითვლება უპირატესობად. რადგანაც ყველა ლამაზია. მოგზაურები ერთსულოვნად ამბობენ ამას ქართველების შესახებ".[1] ახლა უშუალოდ მივადექით იმ საკითხს, თუ როგორ გადადის ბუნების თავისებურებანი ადამიანში. ამ რხევას ჰეგელი სულის „იქეთ და აქეთ" მერყეობას უწოდებს. თუ აზიის ბუნება გაუშუალებელ წინააღმდეგობას შეიცავს, რომელიც თუმცა სულს გამოჰყოფს ბუნებისაგან, მაგრამ შემდგომ ისევ იძირება ბუნებრიობაში, აქ ისეთი წინააღმდეგობა გვაქვს, რომელიც სულს ჰეშმარიტებისაკენ, თავისუფლებისაკენ მიაქანებს და აღარ უბრუნდება ისევ ბუნებრიობას, და მოძრაობს თანახმად სულისა. საქართველოს ბუნება წარმოადგენს დედამიწის ისეთ პუნქტს, რომელშიც მთელი დედამიწის კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებებია კონ-

1 Винкельман, Избранные произведения и письма 1935 г. стр. 91.

ცენტრირებული. რასაკვირველია, ადვილია ამის შემჩნევა, ცხოველთა და მცენარეთა იმ სრულყოფილი და უმდიდრესი კოლექციების მაგალითზე, რომელიც შესაძლოა კავკასიაში თავისი სრულყოფილი სახით წარმოსდგეს.

ქართველ კაცს არც ზამთარი ეუცხოვება ჩრდილოეთში, არც მზის მცხუნვარება სამხრეთში. ამასთან ესაა ზღვისა და მთის კლიმატის შეხვედრის ყველაზე ხელსაყრელი კუთხე. ბუნება სრულყოფილია იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმოგვიდგენს იგი მრავალფეროვნებას. სწორედ მთელი დედამიწის ბუნების ყოველ ნიშანთა ასეთი შემცველობა, მართლაც და, ქართველი ადამიანის ფსიქიკაში წინასწარვე უნდა ამზადებდეს ნიადაგს იმისათვის, რათა ამ ბუნებაში ფორმირებულმა ადამიანმა თავისივე საკუთარი ბუნების სალაროდან იგრძნოს პლანეტის ყოველი კუთხის ნიშანდობლივი თავისებურებანი. ამდენად ესაა სიცოცხლის, გრძნობის უმდიდრესი სამყარო.

ახლა შევეცადოთ უფრო ახლოს მივიდეთ იმ აზრთან, თუ რას ნიშნავს თქმა იმისა, რომ კავკასიურ რასაში სული გამოეყოფა და უპირისპირდება ბუნებას. ბუნების ისეთი უნივერსალობა, ყოველისმომცველობა რომლითაც კავკასია ჯილდოვდება, ქმნის შინაგან წინააღმდეგობას თავისთავში, წინააღმდეგობას, რომელიც არის დადებითი წინაღმდეგობა, როდესაც მოვლენათა მიერ ურთიერთ მოხსნა ფსიქიკას აიძულებს ამ შეჯერებიდან ისეთი დასკვნები მიიღოს, რომელსაც გარკვეული აქვს გზა ჰეშმარიტებისაკენ. ასეთი მაგალითი, შემთხვევით ფაქტად არ ჩანს მინდიას ტრაგედია, რომელიც ხალხურმა ცნობიერებამ წარმოშვა თავდაპირველი სახით. ბუნების ფერთა, მოვლენათა ისეთმა სისრულემ, სიმდიდრემ, რომელიც დამახასიათებელია ამ კუთხისათვის, შთაბეჭდილებათა ისეთი შეჯახება გამოიწვია, რომ აიძულა ადამიანი ეძიოს ამ სიმრავლეში რაღაც ერთიანი, სულიერი საწყისი. წარმოიშობა ისეთი სიბრძნის მოთხოვნილება, რომელიც ბუნების სწრაფ წარმავალ მოვლენების ძირში ძევს. ესაა მისწრაფება ბუნების სიმრავლის ასეთი დიდი სიხშირით მიმოქცევაში პოვნილი იქნას ერთიანი და ზოგადი საწყისი.

ამდენად აქ ბუნება იმდენად სრულყოფილად, სიმრავლით უჩვენებს ადამიანს თავისი გადასვლის კანონზომიერებას, რომ ცნობიერება ძალდაუტანებლად მწიფდება ერთიანი კანონზომიერების პოვნისათვის. ბუნების ასეთი დიდი სიმდიდრე ადამიანში თავს იჩენს, როგორც დიდი გრძნობითი ენერგია, შთაბეჭდილებათა სიუხვე. შთაბეჭდილებათა შინაგანი სიმდიდრე, თავის თავში წარმოშობილი წინააღმდეგობით გონებას ამოქმედებს, სული მოდის წინააღმდეგობაში ბუნებასთან. გრძნობათა ასეთი დიალექტიკური ბუნება, თავისთავად ჰიდილის შედეგად სამყაროს აზრის მაძიებლობისაკენ ბიძგი, ნიშნავს, რომ ბუნება წინააღმდეგობაში მოდის თავისთავთან, რადგან ჰეშმარიტების, ზოგადის ძიების მოთხოვნა წარმოიშვა. ეს უკანას-

კნელი კი არ არის ბუნება. გონება ეს უკვე წინააღმდეგობაა ბუნებისა, რომელიც წარმოიშვება არა გარედშემოტანილი იდეების გამო, არამედ აქ თვითონ ბუნებას აპყავს ადამიანი ასეთ ინტერესებამდე. ამას უნდა გულისხმობდეს, ჩვენის აზრით, ჰეგელი სულის ბუნებრივ პირობებთან წინააღმდეგობაში. ქართული ეროვნული სულის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრინციპით დახასიათებისას ჩვენ ვცდილობთ ქართული ეროვნული სულის ბუნებრივი მონაცემების დახასიათებას. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უაღრესად მსხლტომ ფაქტთან, რომელიც ყოველთვის შეუნელებელ ინტერესს აღძრავს, მაგრამ ადამიანის სულიერი მოღვაწეობის მთლიან სურათს ეს ვერ გვიქმნის. ამასთან ფილოსოფიური ანთროპოლოგია ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც იყენებს თავს.

ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ აქ ფილოსოფიის საგანი რამდენადმე იცვლის ფორმას. ესაა არა მდგრადი ფაქტი, ერთიანი კანონზომიერება, არამედ სიმრავლე, ცვალებადობა. მიუხედავად ამისა ფილოსოფიაში ანთროპოლოგია მაინც იძლევა ერთგვარ დამარწმუნებელ მაჩვენებლებს, ხალხის ბუნებრივი ნიჭის განსაზღვრისათვის. ფილოსოფიური ანთროპოლოგია თავის თავად სრული დასკვნების საშუალებას არ იძლევა. ნიჭიერების ანთროპოლოგიური საწყისი, რასაკვირველია, ჯერ არ ლაპარაკობს მის გამოვლენილ რეალიზებულ ნიჭზე. ეს ისეთივე წინასწარმეტყველებაა, როგორც ბავშვის ნიჭის პერსპექტივაში განჭვრეტა, თავისი ინდივიდუალური მონაცემებით, მაგრამ ჯერ არაფერი ვიცით იმ სოციალურ გარემოზე, რომელზედაც არის დამოკიდებული ამ უნარის გამოვლენა. ეროვნული სულის შესწავლის მასალა არ შემოიფარგლება მარტოოდენ ლიტერატურის სფეროთი, თუმცა ლიტერატურა მაინც იძლევა ნათელ სურათს ერის კულტურულ შემოქმედებაზე. ამ შემთხვევაში ძირითადი პრობლემა ასეთია: შესძლო თუ არა ქართულმა ეროვნულმა სულმა სრულყოფილი გამოვლენა წარსულის კულტურულ მემკვიდრეობაში, თუ იგი მომავლის პერსპექტივების წინაშე დგას. აქ ლაპარაკია არა ეროვნული სულის თვითამომწურავ და თვითდამამთავრებელ განვითარებაზე, არამედ იმის შესახებ, ერმა აჩვენა თუ არა სულიერი მოღვაწეობის მაქსიმალური შესაძლებლობანი. ეს მაქსიმუმი არ ნიშნავს, რომ შემდეგ განვითარება არა გვქონდეს. ე. ი. ეროვნული სულის შინაარსმა მიიღო თუ არა შესაბამისი ფორმა; გამოვლინდა თუ არა ეროვნული შინაარსი, თუ მისი მოსინჯვის პირველ საფეხურებზე გაჩერდა. ის ბრწინვალე ანთროპოლოგიური ნიადაგი, რომელიც ქართველი ადამიანის შესახებ აღინიშნება, ჩამორჩება თუ აწონასწორებს გამოვლენილ კულტურას. ჩვენი პოზიცია წინასწარვე ასეთნაირად გვაქვს განსაზღვრული: ქართულ ეროვნულ სულს თვითგამოვლენის ასეთი მაქსიმუმი არ განუხორციელებია. თუ ანთროპოლოგიური არგუმენტით ბუნებრივი ნიჭიერე-

ბით, ქართველი ადამიანის მონაცემები აძლევს სხვადასხვა მოაზროვნეთ იმის საბაბს, რომ ეს ხალხი დგას მსოფლიო კულტურის წამყვან ერთა შორის, ჩვენ ვერ მივიჩნევთ, რომ ჩვენი კულტურა თავისი ისტორიული გამოვლენილი სახით, ცივილიზებულ ხალხებს შორის ასეთნაირადვე იროცხებოდეს, როგორც ბუნებრივი ნიჭის მიხედვით. მარტივად რომ კთქვათ, ჩვენი კულტურული პოტენცია გამოვლენილი სახით ვერ შეედრება ევროპულ კულტურას. კიდევ ერთი მარტივი მაგალითი: როგორც აღნიშნავდით ევროპელი თუ დიდი რუსი მოაზროვნეები ადიდებდნენ ჩვენს ბუნებრივ მონაცემებს, მაგრამ ვერ შევხვდებით ვერც ერთ ევროპულ ქრესტომატიას, რომელშიც ქართული ლიტერატურის ქმნილებანი მათსავე უფლებამოსილებით იყოს აღიარებული. ჯერჯერობით ჩვენ ვსწავლობთ გოეთეს, ბალზაკის, პუშკინის, ტოლსტოის და ა. შ. კულტურას, მაგრამ ისინი ჩვენ კულტურულ მონაპოვარს ასეთივე მასწავლებლად არ მიიჩნევენ. ე. ი. ჩვენ არ შეგვიქმნია მასწავლებელი შინაარსის კულტურა. ამას ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ ხშირად ჩვენი წარსული კულტურის მსოფლიო რეზონანსი პგონიათ ჩვენი ბრწყინვალე პოეტური ძეგლების მრავალ ენებზე თარგმნის ფაქტი. უკვე XIX საუკუნეში ევროპულ ენებზე თარგმნილია აღმოსავლეთის ხალხთა ისეთი ძეგლები, რომლებზედაც ამბობენ სწორედ თვით ევროპელნი, რომ ესაა გენიალური, უბრწყინვალესი პოეზია, თავისი მარტივი, მიამიტი, ბავშვური შინაარსით. ლიტერატურა ითარგმნება სხვადასხვა ხალხის შესწავლის მიზნითაც და ეგზოტიკური ინტერესითაც. ამა თუ იმ ხალხის გულუბრყვილო ეპოსის გაცნობა, ჩვენ გვისრულებს ამ ქვეყანაში მოგზაურობის მაგივრობას. ამასთან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კულტურას, რომელიც ახალი შინაარსის, მაღალი სულიერი შინაარსის მატარებელია, არ აგვიანდება მსოფლიო ასპარეზზე გასვლისათვის, უკეთუ იგი მიწის წიაღში ყველასაგან დაფარული არაა. ჩვენი მსჯელობის ეს პუბლიცისტური წიაღსვლა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეს მარტივი ჰეშმარიტება ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურას, ჩვენს კულტურული წარსულის მკვლევართ იშვიათად თუ აქვთ ნაგულისხმევი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დოქსოგრაფობას, თვითმეხოტბეობას ეროვნული კულტურისათვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია, რომ ეროვნული კულტურის ძეგლებისადმი ხოტბითი მიმართება ისეთივე ზერელობაა, როგორც ეროვნული, საკუთარი კულტურის ღირსებათა ძაგება. განსჯა კი მოითხოვს მოვლენებს თავისი საკუთარი სახელები ეწოდებოდეს. როდესაც ჩვენ ვამბობთ და ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ჩვენი, მსოფლიო კულტურის ახლებური შინაარსით, ევროპულ-რუსული კულტურის შესაძლებლობებით, ჩვენს წარსულ კულტურასაც არ განვიხილავთო, ამით ჩვენ „პატრიოტული" კრიტიკის სამსხვერპლოზე ვდებთ თავს, რომლებიც გაიძახიან, რომ ჩვენ უდიდესი ხალხი ვართ,

იმით, რაც შევქმენითო. „...ჩვენი ერი — წერდა ი. ნაკაშიძე, ვაჟას შემოქმედებას ჰგავს ყოელისფრითა, მასავით ბავშვია, მართლა ცოცხალი და მგრძნობიარე, მაგრამ ჯერჯერობით უძლურ-უსუსური, ნამდვილ-კაცობრიული შემოქმედების უცოდინარი. ამ ბავშვს მხოლოდ ევროპული სკოლა ასწავლის ცხოვრების ვითარებას...“[1]

ამ სტრიქონების ავტორს კარგად ესმის, რომ ვაჟა-ფშაველა გენიალური პოეტია, რომ იგი ჰომეროსისნაირი პოეტია. მაგრამ მას ისიც კარგად ესმის, რომ ბავშვურობა, გონების უძლურ-უსუსურობა პოეტურ გენიალობას არ უპირისპირდება. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ შეუწყნარებელია იმის მამტკიცებელი მსჯელობა, როცა ეს ცნებები დაპირისპირებული არიან. ფაქტიურ ვითარებას ეწინააღმდეგება მსჯელობა, რომლის მიხედვითაც დიდი გონება, იდეის ღრმა გამოხატვა აუცილებელი ნიშანია გენიალური პოეტისათვის.

თითქმის არ მოიპოვება მეორე ერის ლიტერატურის ისტორია, რომელიც თავისთავში ითავსებდეს ისეთი კონტრასტული შინაარსის ნაკადებს, როგორც ქართული ლიტერატურა. ერთის მხრივ სასულიერო ლიტერატურა, რომლის საგანია სულიერი გმირი, მეორეს მხრივ საერო ლიტერატურა — ხორციელი გმირით. თუმცა ამ ნაკადს ფორმის სახით მრავალი რამ აქვთ საერთო, როგორც აკად. კ. კეკელიძე ნათელყოფს, მაგრამ თავისი შინაარსით პრინციპულად დაპირისპირებული მოვლენებია. თუ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გმირი თავისთავში ებრძვის „ეშმაკს“, სულიერ ჰიდილს შინაგანი პლანით გადმოგვცემს, საერო ლიტერატურაში ეს „ეშმაკი“ გამოცალკევებულ ინდივიდუმად არის წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში გვაქვს დრამატული ჰიდილი სუბიექტისა თავისთავთან, მეორე შემთხვევაში ამ შინაგანობას გარეგანი ცელის. ამასთან ერთად საერო ლიტერატურა ჩვენს სინამდვილეში სხვაგვარი სახისაა ვიდრე ევროპულში. ეს ნაკადები იძლევა აღმოსავლური და დასავლური სულის სრულ სურათს. საერთო ლიტერატურა თუმცა აღმოსავლურ-რელიგიური შინაარსისაგან განტვირთულია, მაგრამ იგი ქართულ ნიადაგზე ათვისებული აღმოსავლური ლიტერატურაა თავისი ბუნებით; ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა დაკავშირებულია ბიზანტიურ-ასირიულ და საზოგადოდ ევროპულ კულტურასთან არა მხოლოდ საეკლესიო საურთიერთო ფორმით, არამედ თავისი შინაარსით. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ინდივიდში ეძებს ზოგადს, მის განცალკევებულ მე-ში ზოგადადამიანურ მე-ს. მართალია, თავის რელიგიურ ფორმით იგი შეზღუდულია, მაგრამ სულის ასეთი თვითჩაღრმავება არის სწორედ ევროპული თვითცნობიერების სულის თავისებურება. თუ წმინდანი ებრძვის თავისთავში მიწიერს, ამქვეყნიურს, მიისწრაფვის ზეცისაკენ,

1 ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, 1955 წ. ი. ბოცვაძის რედაქციით, გვ. 135.

წმინდა ცნობიერებისაკენ. საერო ლიტერატურა ამქვეყნიურ ცხოვრების ინტერესებით იფარგლება. ნაცვლად სულის ფილოსოფიური განვითარებისა სიბრძნეს გეაძლევს, რომელიც ხელსაყრელია ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვაყენებთ უპირატესობის საკითხს, მაგრამ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შინაარსი — ესაა ქართველი ადამიანის ბუნების არსენალში სულის დასაელური, ევროპული მიმართებით გაღვივება. საერო ლიტერატურა კი აღმოსაელური სულის ნაკადის გამოხატულებაა, რამდენადაც პოეზია ამქვეყნიური ცხოვრების ოპტიმისტურ საყრდენებს უნდა გეაძლევდეს. ამდენად, როგორც არაერთხელ აღინიშნა, იგი თავისი პოეტურობის უპირატესობით წარმოსდგება, ხოლო ჰაგიოგრაფიული შინაარსი ცდილობს ჭეშმარიტების წვდომას, ცვალებადში, წარმავალში ერთიანის, მდგრადის, ზოგადის პოენას. ამით ემთხვევა ეს შინაარსი დრამატულს, ფილოსოფიურს, პროზაულს, საზოგადოდ რაც ცივილიზებული კულტურის ძირითადი ნიშანია. საერო ლიტერატურა, როგორც ჰაგიოგრაფიული, ჩვენში არ რჩება იმპორტული კულტურის სტადიაში; ქართული ეროვნული სული პლანეტის უდიდეს კონტინენტთა კულტურას ესიტყვება, რადგან, როგორც აღენიშნეთ, თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით ანთროპოლოგიურ-ფსიქიკური წყობით ამ ორივე ნაკადთა მრღებას საკუთარი ნიადაგი გააჩნდა. ასეთი დაპირისპირებული შინაარსის ლიტერატურული ნაკადები შეუძლებელი იყო წარმოშობილიყო ან ევროპასა ან აზიაში. ეს სწორედ იმ ქვეყანაში იყო შესაძლებელი, სადაც ეს ორი კონტინენტი გეოგრაფიულ მიჯნას ქმნის და ასახულია ადამიანის ბუნებაში.

ევროპის ყოველი ქვეყნის ლიტერატურის ისტორია ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური კულტურის ერთგვარ გაგრძელებასავით წარმოსდგება. სამწერლო კულტურის საგარეო მიმღეობის პირველ სტადიაში, როგორც ცნობილია, ლიტერატურა მაშინვე ვერ გამოხატავს თავის ეროვნულ სულს, ამისათვის საჭიროა სამწერლო ხელოვნების თავისთავად გამომხატველობითი ინტერესების თვითმიზნურობის, გარკვეული აზრით დაძლევა. ამიტომაც ჩვენი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ბიზანტიურისაგან თავის თავის დამოუკიდებელ განვითარებას კი კლასიკურ ხანაში აღწევს, რაც რამდენადმე სტილის ქართულ ინდივიდუალიზებაში გამოიხატა. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ეროვნული ინტერესების გამომხატველი გახდა განსაკუთრებით მე-8 საუკუნის მე-2 ნახევრიდან. რაც განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით. ამიერიდან სასულიერო ლიტერატურის მიზანი აღარ იფარგლება სარწმუნოებრივ რელიგიური ინტერესებით. ახლა ლიტერატურა ხდება ხალხის ეროვნული ინტერესების გამომხატველი. ამდენად ლიტერატურა ეროვნული სულის გამოხატვისაკენ მიემართება. „ამ ხანაში დამუშავებული ლიტერატურული ძეგლები წერს აკად. კ. კეკელიძე —

იმდენად არიან გამსჭვალული ეროვნული სულით და ხასიათით, რომ შემდეგი დროის XI-XII საუკუნეთა მწერლები მათ აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტექნიკურ ტერმინს ქართული. მაგალითად ქართული სახარება, ქართული დავითნი, ქართული კანონი და სხვ. ეს ხანა გრძელდება მერვე საუკუნის ნახევრიდან მეათე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე, ე. ი. შეიცავს თითქმის 1/2 საუკუნეს. აღნიშნულ ხანაში მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ".[1]

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა თუმცა ეწინააღმდეგებოდა ელინურ კულტურას, მაგრამ მის სწავლაზე არ ამბობდა უარს. ამდენად იგი ფართო ასპარეზს ქმნიდა ჰეშმარიტების მაძიებელი შინაარსის გასაღვივებლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოქცეული იყო რელიგიურ ჩარჩოებში. თავისთავად ქრისტიანული რელიგია, თუმცა სანქციას აძლევდა სოციალურ უსამართლობას, მაგრამ იგი ყველაზე მძლავრი იარაღი იყო აღმოსავლურ მაპმადიანურ ხალხებში გათქვეფისაგან გადარჩენისათვის. ამდენად სასულიერო ლიტერატურა არა მხოლოდ თავის სამწერლო კულტურულ ერთიანობას ამყარებს ევროპასთან, არამედ ქართულ ეროვნულ სულს აღვივებს ევროპული მიმართულებით. ამდენად გასაგებია ის წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშვა სასულიერო და საერო ლიტერატურას შორის. სასულიერო ლიტერატურას არა სწყამს ამქვეყნიური მომხიბვლელობა. ცვალებად-წარმავალ მოვლენებში იგი არ ხედავს უმაღლეს სუბსტანციას, ამდენად იგი თავისი შინაარსით თანხვედრაშია ევროპულ ქრისტიანულ ფილოსოფიასთან. საერო ლიტერატურა ადამიანურ ურთიერთობის მთელ მომხიბვლელობას, რწმენას ცოცხალ სინამდვილეში პოულობს. მისთვის იდეალი ამ ქვეყნად არის, ხოლო სასულიერო ლიტერატურისათვის იდეალი ამ ქვეყნად არ არის. მართალია, „იმ ქვეყანაში" ქრისტიანული რელიგია გულისხმობს საიქიოს, მაგრამ ესაა ფორმალური განსხვავება, შინაარსით იგი თანხვდება ახალ ცივილიზებულ რომანტიკულ ხელოვნებას, რომელიც განხეთქილებას პოულობს ამ ქვეყნიურ რეალობასა და „უნდა იყოს"-ის, ანუ იდეალის სამყაროს შორის. სასულიერო ლიტერატურის წარმომადგენლები ამიტომ იყო, რომ პოეზიას ჩვენში „სპარსთა ზღაპრობად, არაკობად და გოგო-ბიჭობად"[2] თვლიდნენ.

მე-8 საუკუნიდან მე-10 საუკუნის 80-იან წლებამდე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა თავის მონოპოლიურ უფლებებს ინარჩუნებდა. 80-იანი წლებიდან კი იგი საერო ლიტერატურის პარალელურად ვითარდება და საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში თა-

1 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1960, გვ. 51.

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, ტ. 2, 1952წ.

ვის კლასიკურ პერიოდს ქმნის, ესაა ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნისა, ევროპასთან საგანმანათლებლო კულტურის, ურთიერთობის ბრწყინვალე ხანა. ამ დროისათვის ჩვენში იფურჩქნება საერო ლიტერატურა და სასულიერო ლიტერატურას თავის გაბატონებულ უფლებებში ეცილება. ამან წარმოშვა ფრიად გავრცელებული შეხედულება აღმოსავლური, ქართული რენესანსის შესახებ.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა ეკლესიამ და კულტურამ ცხოვრების წარმართველ უფლებებს მიაღწია ევროპაში. ხელოვნებაში ქრისტიანობამ თავისი უკიდურესი ტენდენცია განავითარა. მინიმუმამდე დაიყვანა ადამიანის ხორციელი არსებობის მნიშვნელობა, ხელოვნებას წაართვა სულიერის გარეგანთან ჰარმონირების მისწრაფების უფლებები. ამან გამოფიტა და დააკნინა ხელოვნება. ეს მარწუხები ეპოქამ მოხსნა ქრისტიანული სულის და ანტიკური წარმართულ კულტურის ახლებური სინთეზის გზით.

ქრისტიანულ ასკეტიზმს დაუპირისპირდა იგი ადამიანის სულიერი და ხორციელი მთლიანობის აღიარებით... ამდენად რენესანსი დიდ ევროპულ კულტურას მხსნელად მოევლინა. რენესანსი დაუპირისპირდა ქრისტიანულ რელიგიის მკაცრ ტენდენციებს, რომელიც თავის უკიდურეს ფორმებს ანვითარებდა. ეკლესია აქ აუტოდაფეს, ინკვიზიციას მიმართავს. ესაა რელიგიური ფანატიზმით ადამიანის გონების ჯანსაღი პერსპექტივების შეფერხების ხანა, რითაც ეკლესიამ ქრისტიანული რელიგიის საკუთრივ პრინციპებსაც უღალატა. ამდენად რენესანსი როგორც მხსნელი, ისე მოევლინა კაცობრიულ კულტურას, ესაა რენესანსის ჰეშმარიტი აზრი და ღირსება.

ახლა ვნახოთ, რა აღადგინა საერო ლიტერატურამ ქართულ სინამდვილეში, იყო თუ არა ეკლესიისაგან, ქრისტიანული ასკეტიზმის ასეთი უკიდურესობიდან დახსნის აუცილებელი საჭიროება ჩვენში.

ქართული მწერლობის პირველ პერიოდში ეკლესიამ ჩვენში მართლაც მოიპოვა ერთგვარი გაბატონებული უფლებები, მაგრამ ეს გაბატონებული უფლება ჩვენს ეროვნულ სოციალურ სინამდვილეს არა თუ ევროპის სინამდვილისნაირად უარყოფითი სახით მოევლინა, არამედ იგი იყო ამ დროისათვის უაღრესად პროგრესული მოვლენა. „მორალური ავტორიტეტი ეკლესიისა, რომელიც მან მოიპოვა ამ პერიოდში, როდესაც იბერიაში მოისპო მეფობა და მასთან ეროვნული ხელისუფლება, ქვეყანა მრავალ პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებად დაიყო. ამ შემთხვევაში ეროვნული მთლიანობის სიმბოლოდ და მატარებლად გამოდიოდა ეკლესია, რომელიც სპარსთა და არაბთა ბატონობისას ქრისტიანობის დროშის ქვეშ, ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებას ჭადაგებდა /იოანე საბანიძე, გიორგი მერჩულე და სხვანი/“.[1]

1 კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან როდესაც ჰაგიოგრაფიულმა ლიტერატურამ, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, თავის დაცემის „კლასიკურ ხანას" მიაღწია, შეწყდა ქართული ეროვნული სულის ქრისტიანული დასავლური მიმართებით დინება. საგარეო პოლიტიკურმა ურთიერთობამ საქართველო მოსწყვიტა ევროპულ კულტურას, საგანმანათლებლო ურთიერთობას. ჩვენი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის დაცემით ფაქტიურად დაეცა ქრისტიანული ევროპული მიმართულება ეროვნული სულისა. ქრისტიანულმა ლიტერატურამ ვერ მოასწრო თავისი რელიგიური ჩარჩოების დაძლევა. ქრისტიანულმა შინაარსმა ვერ მიიღო ჩვენში აზროვნების მოღვაწეობის ფართო გასაქანი და დარჩა მხოლოდ სარწმუნოებად. მსგავსად ევროპის ხალხებისა, იგი ვერ იქცა კულტურის ყოვლისმომცველ შინაარსად.

ჰაგიოგრაფიული ძეგლები არ ავლენენ ჩვენში რელიგიურ სიმკაცრეს, ასკეტიზმის კულტს, ამდენად ჩვენში ქრისტიანული კულტურა არც ქართული ეროვნული სულის გაფურჩქვნას მოსწრებია და არც უარყოფითი ფორმები წარმოუშვია. ამდენად, ჩვენს სინამდვილეში რენესანსის საკითხის დასმა მცდარია. ის პროგრესული შინაარსი, რომელიც ქრისტიანული კულტურის განვითარებით, თავისი რელიგიურობის თვითდაძლევით და არა გარეგანი დაძლევით იყო, მოსალოდნელი ჩვენში არ გაღვივებულა და ამდენად არაფრის აღორძინებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, აღმოსაელურმა ნაკადმა, რომელმაც ეს ქრისტიანული სული დაჩრდილა თავისი შინაარსის მიმართულებით და აღმოსაელეთისაკენ აიღო გეზი, განაპირობა ჩვენი პოეტური კულტურის შესანიშნავი ფორმა, მაგრამ შინაარსის დასავლური პროგრესის გზისგან აცდენა.

მართალია, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა თავისი განვითარებით თანდათან უახლოვდება კონკრეტულ ეროვნულ შინაარსს, მაგრამ იგი მაინც ვერ ხდება ქართული ეროვნული სულის ყოველმხრივი გამომხატველი. რადგან მის ძირითად სტიქიად სარწმუნოებრივი მიზანდასახულობა რჩება. ამდენად, ქართული ეროვნული სულის ქრისტიანული ნაკადი ჰაგიოგრაფიულ სფეროს ვერ გასცდა. იგი მხოლოდ წმინდანთა ცხოვრების აღწერით იფარგლება. ამდენად, ეს არის ეროვნული სულის გამოხატვის ცდა, რომელიც ქართველი ადამიანის ბუნებას გარკვეულ ჩარჩოდან ხედავს. ეს არ არის მთლიანი ადამიანის მთლიანი სურათი. ქრისტიანულ ლიტერატურას აქედან ჭონდა პერსპექტივები გასცდენოდა ჰაგიოგრაფიულ ჟანრს და არ დაკმაყოფილებულიყო, სახელდობრ წმინდანთა განსაკუთრებულობით. იგი ცხოვრების გამოსახვის დრამატულ ჟანრამდე ვერ აღწევს. მასში არის დრამატულის საწყისი, ამიტომაც არის, რომ დრა-

---

ძვ. მწერ. თბ. 1960, გვ. 47.

მატული ჟანრები, როგორიც არის ტრაგედია, კომედია, ჩვენში არ განვითარებულა XIX საუკუნემდე. რაც შეეხება საერო ლიტერატურას მას თითქმის არ გააჩნია დრამატული სულისკვეთება, რადგან იგი არა თუ აშიშვლებს ცხოვრების, ადამიანის ბუნებას, არამედ აფერადებს და ალამაზებს მას. ორივე ნაკადი ვერ გადადუღდა ერთმანეთში და ქართული ეროვნული სულის ერთგვარად მექანიკურ ნაკადებს ქმნიან. სასულიერო ლიტერატურაში გვაქვს ასეთი პრინციპი „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია“, ასეთივე პრინციპი არის საერო ლიტერატურაში. ერთ შემთხვევაში სული იმარჯვებს ხორციელზე, ამ ქვეყნიერზე. ის, რაც სასულიერო ლიტერატურაში არის ეშმაკი, ბოროტი, საერო ლიტერატურაში შესაძლოა არის კეთილი, ხოლო ბოროტის ქვეშ საერო ლიტერატურა გულისხმობს იმ შემთხვევით წინააღმდეგობებს, რომელიც ცხოვრების პრაქტიკული კეთილდღეობისათვის ხელის შემშლელია. ამდენად, საერო ლიტერატურის ბოროტი ძალა, ეს არის სრული შემთხვევითობა, მექანიკური წინააღმდეგობა. საერო ლიტერატურის ზოგადი შინაარსი ბოროტისა და კეთილის შინაგან და გარეგან, ხილულ და უხილავ ძალებს შორის ჭიდილს კი არ იძლევა, არამედ ხსნის ასეთ დრამატულ წინააღმდეგობას და ნაცვლად დიალექტიკური წინააღმდეგობისა, გვაძლევს დაბრკოლებათა გადალახვის სათავგადასავლო შინაარსს, რაც მომხიბლელია გრძნობადი და არა სულიერი ჰვრეტისათვის. ამიტომაც არის, რომ საერო ლიტერატურის ძირითადი ჟანრია ეპიკური პოემა და არა დრამატული. ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ეპიკური პოემის ეპიზოდური ინტიმური სევდა, დრამატულის შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ ასეთი ინტიმური სენტიმენტალობანი არ ნიშნავს დრამატულს, თუ ეს სევდა გამოწვეული არ არის ცხოვრების ბუნების და უსამართლობის გადასინჯვით. იგი საკითხს არასოდეს არ აყენებს ყოფნა არ ყოფნის აზრით, რადგან ეპიკური პოემის თვალსაზრისით ბოროტებაა არა ცხოვრება, როგორც ასეთი, არამედ მისი რაღაც კონკრეტული ვითარება, რომლის დაძლევაში გმირთან ერთად პოეტი გამოხატავს თვალსაზრისს, რომ ცხოვრება არის სიკეთე და ბოროტება, მისი ხელისშემშლელი შემთხვევითობანი. მაგრამ დრამატული სული გულისხმობს, რომ ადამიანური ურთიერთობის მანკიერი მხარე — ეს შემთხვევითობა კი არ არის, არამედ ცხოვრების ბუნების შედეგია. ამიტომ, მაგალითად, ჰამლეტი თავისი დედის მიერ ჩადენილი ბოროტებით კაცობრიულ ბოროტებას ებრძვის — ადამიანური ცხოვრების ლოგიკურად გამოელენილ მანკიერებას ებრძვის. მისთვის ბოროტება კონკრეტული შემთხვევითი ფაქტი კი არ არის, არამედ ამ ფაქტით განზოგადდება მთელი ჩვენი არსებობის აზრი. ამიტომაც არის რომ ეპიკური პოემისათვის დამახასიათებელია შინაარსის განსაკუთრებულობა და არა ჩვენი შინაარსის ყოლისმომცველობა.

ქართული საერო ლიტერატურისათვის, ისე როგორც მთელი აღმოსავლური ლიტერატურისათვის, დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ გმირის ქცევა-მოქმედების სტიმული არის არა სულიერი პრინციპი, როგორც რეალურ. ყოფას დაპირისპირებული იდეა, ჰეშმარიტების აღმოჩენაზე აგებული აღზევება, არამედ პირადი მიმართების მოტივები. ამ რიგის ნაწარმოებთა გმირებისათვის მწუხარებისა ან სიხარულის მიზეზი იფარგლება თავიანთი პირადი მდგომარეობით. ისინი ან სამეფო ტახტს კარგავენ, ან სატრფოს. ბოლოს კი, როგორც წესი, ისე როგორც ზღაპარში, ისინი სძლევენ ამ დაბრკოლებებს და იბრუნებენ სატრფოს ან სამეფო ტახტს, ანუ პირად მდგომარეობას.

დრამატული გმირისათვის დამახასიათებელია, რომ იგი პირად კეთილდღეობაზე იღებს ხელს, თუ ეს მის სულიერ პრინციპს ეწინააღმდეგება. ესაა დრამატულის ფილოსოფიური ბუნება. ამდენად, საერო ლიტერატურა არის არა ქვეყნიური ცხოვრების შინაგანი არსებითი წინააღმდეგობის გამოხატვა, არამედ წინააღმდეგობის მოხსნა და ცხოვრების სილამაზედ, სიკეთედ წარმოდგენა. ისე როგორც სასულიერო ლიტერატურა იძლევა სულიერი პრინციპების ცალმხრივ გაზვიადებულ კულტს ამქვეყნიურის თავისთავადი დამოუკიდებლობის გაუფასურებამდე — საერო ლიტერატურა კი პირიქით, ამქვეყნიურს განადიდებს.

ამდენად შინაარსის -მხრივ, თუმცა უპირატესობა სასულიერო ლიტერატურის მხარეზეა, ფორმის მხრივ საერო ლიტერატურა წარმოსდგება უპირატესობის ნიშნით. ლიტერატურა ეს არის ურეფლექსო შინაარსის გამოხატვა და სწორედ, ეს მიაჩნიათ მის პოეტურ ღირსებად. ამიტომაცაა, რომ აღმოსაელური პოეზიის და ქართული საერო პოეზიის ნაწარმოებთა ფინალი ძირითადად ამქვეყნიური ცხოვრების ხოტბა-ზეიმით, სიმხიარულით, კმაყოფილებით მთავრდება.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა საქართველო მოსწყდა ევროპულ კულტურულ ურთიერთობას, თუმცა სარწმუნოება ქრისტიანული შემოგვრჩა, იგი კულტურის შინაარსის წამყვან უფლებებს კარგავს.

საგარეო პოლიტიკურმა ურთიერთობამ ქვეყნის სოციალურ წყობას თავისი კვალი დააჩნია. თითქმის სრულიად გაითიშა სარწმუნოება და ლიტერატურა. აღმოსაელური ტონი ჩვენს პოეზიაში მე-19 საუკუნეშიც ნათელი ფაქტია. მხოლოდ ნ. ბარათაშვილთან ვხვდებით სულის დასავლურ აქტიურ მისწრაფებას. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში კი ეხედაუთ ქართული ეროვნული სულის არაჩვეულებრივი სიმდიდრით გამოხატვას. შესაძლოა ეს ერთის მხრივ განპირობებული იყო იმ გარემოებ.ი, რომ მთამ მეტად შეინახა ეროვნული თვითმყოფადობა. აქ ქართული ეროვნული სული რამდენადაც შეიძლება თავისი შინაგანი პრინციპით საზრდოობს, ნაკლულია მასზე გარეგა-

ნი გავლენები. ამდენად ვაჟა-ფშაველას შემოქმედება აღმოსავლური სტილის გაბატონებულ ფონზე უჩვეულო თავისებურებით წარმოსდგა. არავის ისე ქართულად არ წარმოუსახავს ქართველი ადამიანის პოტენციალური შესაძლებლობანი, როგორც ვაჟა-ფშაველამ. მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ვხედავთ იმ საკუთრივ სულის უბრწყინვალეს პერსპექტივებს, რომელიც ეპიკურ-დრამატულ სახით გამოიხატა.

თუ „ვეფხისტყაოსნის" გმირთა მოქმედების სტიმული მთელი აზრი მდგომარეობს ინდივიდუალურ მოტივებში, ვაჟა-ფშაველასთან ამოსავალია სულიერი პრინციპების, გარკვეული ზოგადის გამომხატველი ნორმების და სუბიექტის ინდივიდუალურ განცალკევებულობის ჰიდილი.

ტარიელის მიზანსწრაფვა განპირობებულია ნესტანისადმი სამიჯნურო ურთიერთობით. მისი არსება განისაზღვრება მისი პირადი კეთილდღეობით. იგი მოვლენებს რეაგირებს ინდივიდუალური მე-ს ერთეულობაში განკერძოებით. ალუდა ქეთელაური კი თავის პირად მისწრაფებებს ამოწმებს გონების პრინციპებთან. მისი ტრაგედიის საბაბია არა რაღაც კერძო კონკრეტული პირადი მოტივი, არამედ ჰეშმარიტების შინაგანი ხმა: იგი თემს უპირისპირდება არა იმიტომ, რომ მას რაღაც წაართვას, რომ თემის ინტერესები ინდივიდუალურ ინტერესებს დაუპირისპირდა, არამედ ცოცხალ კონკრეტულ სინამდვილეს უპირისპირდება თავისთავად არა ცოცხალი საბუთით, უხილავი მიზეზით. მან მუცალს მკლავი არ მოსჭრა იმიტომ, რომ თავის ინდივიდუალურ მე-ს გამოეყო და კონკრეტულ ადამიანთან მტრულ დაპირისპირებას შეხედა ზოგადი „მე"-ს თვალით. მან მტერი დაინახა არა მხოლოდ კერძო მოპირისპირის პოზიციიდან, რომლის ბუნებრივი მისწრაფებაა მოწინააღმდეგის უბრალოდ განადგურება, არამედ მოწინააღმდეგეშიც აღმოაჩინა რაღაც ისეთი, რომელიც თავის'ში ეგულება. ამით მე-ს განცალკევებულობა დასძლია და გონების საბუთით არღვევს იგი თემის კონკრეტულ წესს. არღვევს განსჯის შინაგანი ხმის კარნახით. რაკი მან თავის თავში ერთხელ ჰეშმარიტების მომხიბვლელობა აღმოაჩინა თანდათან ღვივდება ეს რეფლექსი და მას თავის საკუთრივ პირად მდგომარეობას სწირავს.

ასეთივე საზოგადოებრივი ნორმისა და პიროვნების მიერ აღმოჩენილი ჰეშმარიტების დაპირისპირებას გვაძლევს „სტუმარ-მასპინძელიც". ეს არის იმის ნათელი სურათი, თუ რაოდენ ძლიერია ინდივიდუალური „მე"-ს ბუნებრივი მისწრაფებისა და მისი საწინააღმდეგო მომენტის შინაგანი ჰიდილი. ეს არის სწორედ ვაჟას შემოქმედების დრამატული ბუნება. დრამატული, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ნიშნავს სინამდვილისადმი კერძო ინტერესების გარეშე სულის შინაგანი პრინციპით დაპირისპირებას. ეს არის დრამატულის დედააზრი. სწორედ დრამატულის ქვეშ, ჩვენს ლიტერატურაში, გუ-

ლისხმობენ ერთი სიბრტყის მოვლენათა ჰიდილს. ადამიანურ ურთიერთობაში წარმოშობილ კონფლიქტს, რომელიც ცოცხალი ურთიერთობის მიზეზებით წარმოიშობა. ამჯერად ჩვენ ვეხებით ეროვნული სულის ზოგად კაცობრიულ პერსპექტივებს, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მაღალ დონეზე ვაჟა-ფშაველამ წარმოგვიდგინა. იშვიათად შეიძლება მოიძებნოს მეორე პოეტი, რომელმაც ეგოდენ პატრიარქალურ სამოსში ცივილიზებული სულის მაღალი საფეხური გვიჩვენა. ამ მხრივ იგი ჰომეროსს გარდა შეიძლება რამდენადმე შევადაროთ ოსიანს, რომლის შესახებაც გაკვირვებას გამოთქვამენ, როგორ შესძლო გაუნათლებელმა ადამიანმა ასეთი ცივილიზებული სულის წარმოსახვაო.[1] ვაჟა-ფშაველას შემოქმედება სრულიად განსხვავებულია და ორიგინალური იმიტომ, რომ იგი ყველაზე ნაკლებ არის დავალებული ხედვის ლიტერატურული ტრადიციებისაგან. განათლებულობა ლიტერატურული გამოსახვის გარეშე საშუალებები მასთან არ დომინირებს, იგი უშუალოდ საკუთრივი ბუნებრივი ნიჭის გამოხატვის ძალას გვიჩვენებს. ესაა შემოქმედება წმინდა ეროვნული საკუთრივი ძალისა, გარეგანი საშუალებების მოშველიებისაგან თავისუფალი. ამიტომ იგი ყველაზე ნათელი სურათია იმის გასათვალისწინებლად, სანამდე შეუძლია განვითარდეს ქართული ეროვნული სულის თვითცნობიერება.

რასაკვირველია, უსაფუძვლო არ არის ის ასოციაციები, რომლებითაც ვაჟა-ფშაველას, გოეთეს, „ფაუსტთან" აკავშირებენ.

ცივილიზებული ლიტერატურის ერთ-ერთი საყვარელი თემა არის გენიალური პიროვნება, თუ როგორ აშენებს ხელოვანი იმ უცნაურ სამყაროს, რომელიც ბუნებრივი სამყაროს ერთგვარი პარალელია, საგანგებო გამოხატვის მასალაა იმ ინტერესით, რომ ახსნილი იქნას ის იდუმალებანი, თუ რა განსაკუთრებული ნიშნები გააჩნია გენიალური ადამიანის ინტუიციას, ისეთი სამყაროს პოეზია-ლიტერატურას, რომლითაც ვაჟა-ფშაველას ხილული სამყარო წარმოსდგება. ამ მხრივ მსგავს ინტერესს ვერსად გვაძლევს. ე. ი. ის, რის გაშუქებასაც, ახსნასაც თეორეტიული მიმართება სჭირდება, ვაჟა-ფშაველასთან მოხერხდა რეფლექსია-თეორეტიზაციის გარეშე.

„გველისმჭამელში" ინტერესთა წიგნიერება არა გვაქვს, არავითარი კვალი არ ჩანს წიგნიერი თეორიული შეიარაღებით საკითხთან საგანგებო შემეცნებითი მისვლისა. ამ მხრივ გაოცებას იწვევს ის უშუალო ბუნებრივი თვითამაღლება თავისთავში, რითაც თვით ბუნებრივმა სულმა მოისურვა შეეხედა თავისი მოქმედებისათვის. ცივილიზებული ტიპის ხელოვნება გულისხმობს, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ პოეტის ხედვის საგანია არა მარტო საგანი, როგორც ასეთი, არამედ როგორ ვხედავთ საგანს, თუ როგორ ვხედავთ

1 Оссіан, Сын Фингалов, 1818 г, предисловие, стр. 1.

ჩვენს დანახულს. ამიტომ უწოდებენ მას სუბიექტივირებულ ხელოვნებას. რასაკვირველია, არავის ეკვი არ ეპარება ვაჟა-ფშაველას განათლებულობაში, მაგრამ მისი შემოქმედებითი პრაქტიკა თავისუფალია წიგნიერებისაგან. ცხადია, განათლებულობამ, გააღვიძა მასში ბუნების ნაპერწკალი, მაგრამ ეს განათლებულობა იქამდე არ მისულა, რომ წიგნიერებიდან შეექმნა ინტერესთა სფერო, როგორც ეს ცივილიზებული ტიპის ხელოვნების მეტ-ნაკლები ნიშანია. ამიტომაა ვაჟას შემოქმედება თვითმყოფადი და ორიგინალობის სრულყოფილი ნიმუში. ამდენად, ბუნების შინაგანი ხმით ბუნებრივი მაძიებლობა იქამდე მიდის, რომ თავისთავში ამწიფებს რეფლექსიას ე. ი. ბუნება უპირისპირდება თავისთავს. რეფლექსია, ანუ განსჯა ბუნებრივის გრძნობადობის საპირისპირო სამყაროა, ე. ი. სულის ეგოდენ თავისთავადი ზეაღსვლა იშვიათი მოვლენაა და ამართლებს იმ სიტყვების აზრს, რომ სული წინააღმდეგობაში მოდის, ბუნებრივ პირობებთან. ელაპარაკობთ რა იმის შესახებ, რომ ვაჟა გამოდის ბუნების ხმის კარნახიდან, — ამით ჩვენ აღნიშნულ სტატიას ვუპირისპირებთ ცივილიზებულ ხელოვნებას. ამის დასადასტურებლად ისიც გამოდგება, რომ თავისთავად სიბრძნის ასეთი წყურვილი, ასეთი განსაკუთრებული თავისებურებანი, ხალხურმა ცნობიერებამ მიაწოდა ვაჟას. „ხოგაის მინდიას" თქმულება აღნიშნული სიბრძნის ძიებით გვიჩვენებს ფილოსოფიურ სიბრძნეს. სახელდობრ სიბრძნე, რომელსაც აინტერესებს არა პრაქტიკული სინამდვილის გამოყენების საკითხები, არამედ საგანთა და მოვლენათა იდუმალება. სწორედ ასეთი შემეცნებითი სიღრმე ერთგვარად მოსწყდა ცნობიერების მოქმედების პრაქტიკულ არეალს და იგი ანვითარებს თვითცნობიერების მისწრაფებას. ეროვნული სული ბუნებრივ, ხილულ წარმოდგენათა სფეროს გასცდა და ჰეშმარიტების პრინციპები წყურვილად იქცა. ვაჟა-ფშაველამ მინდიას სახით გენიალური პიროვნება მოგვცა, არა მხოლოდ, როგორც ამქვეყნიური სიბრძნის მაძიებელი, არამედ გენიალური ადამიანისათვის დამახასიათებელი გამოვლინებებით. სახელდობრ, ესაა უაღრესად დიდი სულიერი კონცენტრირების ტიპი, რომელიც გარემოსთან ისეთივე ჰირველულ თვისებებსაც ავლენს, როგორც ეს დამახასიათებელია გენიალური ადამიანებისათვის. ცხადია, ამაში არ იგულისხმება პათოლოგიური ახირებულობანი. მინდიას ცოლისა და ოჯახისადმი დამოკიდებულებაში ვაჟამ გვაჩვენა სულიერი და მიწიერი სამყაროს დაპირისპირება, მინდიას ჩაძირულობა თავისთავში, რომელიც ელინდება ცოლთან გამოხატულ უთანხმოებაში.

„ის დღე გაშავდეს, რა დღესაც
შენ მე დაგისვი ცოლადა!
სრულ შენგან გავხდი, წყეულო,
უგერგილოდ და ურიგოდა.
რა ვარ? განა-ღა კაცი ვარ,

ლირსი, ცის ქვეშე ცოდოდე?!
ამაღლე ცოვნის, რაც ვიცოდე,
ნეტავ წამალი ვიცოდე!..
ფუჭია ჩემი საცოცხლე.
დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია,
თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდია.
შეილებიც ჭირად გამხდა,
შამაკვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცხედა
ეხლა დღედაღამ ვჭირია".

ვაჟა-ფშაველამ ისე უბრალო, მარტივი, თვალხილული მოვლენებით გვითხრა ეს აზრი, რომ ამ მხრივაც გაოცებას იწვევს მისი ინტუიციის ძალა, რადგან აღნიშნული ნიშნის გამოთქმა მწერლებსა და პოეტებს ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ წიაღსვლების გარეშე ძნელად თუ მოუხერხებიათ. აქ მოცემულია სულიერი და მიწიერი სამყაროს წინააღმდეგობა, ზეციურ სიბრძნეს ნაზიარევ მინდიას ტრაგედიად ექცა მიწიერ სამყაროში დარჩენა.

მინდიამ, სწორედ, დიდ სულიერ კონცენტრირებაზე აგებული უნარი პრაქტიციზმში დაკარგა. აქ ეშმაკის სახით ვლინდება პრაქტიკული, ცოცხალი სინამდვილე, ვერა გრძნობს მის სიდიადესა და მომხიბვლელობას და ყოველ ღირსებათა საზომად ის პრაქტიკული მოქმედების ნორმები მიაჩნია, რომელიც იდეალური ქვეყნის იდეალურ მოქალაქეს მატერიალურ საურთიერთო ენას სთავაზობს. მინდია, როგორც ცოცხალი ადამიანი, არც ცოცხალი სინამდვილისადმია გულგრილი, და მიჯაჭვულია მასთან. ამის გამო თმობს ერთხანს სულიერ პრინციპებს, მაგრამ მასში იმდენად დიდია სულიერი ძალა, რომ კვლავ თავისკენ უხმობს მას და ათმობინებს წუთისოფლის მაცდურ სიამეს.

განსჯის პრინციპებისა და რეალური სინამდვილის დრამატულ ურთიერთობას გვიხატავს ვაჟა „ალუდა ქეთელაურსა" და „სტუმარ-მასპინძელში". არისტოტელი ტრაგიკოსებს მიუთითებდა ტრაგედიის მასალად აეღოთ შინაგანი წინააღმდეგობების კოლიზია. მაგ. ტრაგედიაა ეტეოკლესა და პოლინიკეს ბრძოლა, რადგან ისინი ძმები არიან. საგარეო ომები მხოლოდ ეპიურ, დიდი მოვლენების გარე პლანს წარმოადგენს. ტრაგედიის ძირითადი ნიშანია სულიერი მდგომარეობისა და სოციალური მდგომარეობის დაპირისპირება. ამიტომაა იგი უველაზე ფილოსოფიური ჟანრი. ჩვენ დაჩვეული ვართ ცივილიზებული სულის შინაარსი ცივილიზებული ცხოვრების შემოქმედებიდან ამოვიკითხოთ. ვაჟა-ფშაველას სამყარო ესაა ეპიური პოეზიის ობიექტივირებული სამყარო ისეთი სისრულით, ხილვის ისეთი სინათლითა და სახეთა გამოკვეთილობით, ცხოვრების ყოფითი სინამდვილის

ისეთი ფართო და ნათელი ფორმით წარმოდგენა, რომელიც ჰომეროსის შემდეგ იშვიათია, რომელიმე პოეზიისათვის. დრამატული გულისხმობს გმირის სუბიექტივირებული სამყაროს გადმოშლას. დრამატული პოეზია ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობაა იმ აზრით, რომ მასში გმირის სულიერი განცდები იდეის პრინციპებით რეალურ პრინციპებთან დაპირისპირებულია და რომელშიც ობიექტური ნაკადი ნიშნავს სიუჟეტის მოქმედებრივ ქარგას. ახალ ტიპიურ დრამატულ პოეზიაში ობიექტურობა ანუ სახილველობა თითქმის სიუჟეტამდე დადის და ნაცვლად სინამდვილის კონკრეტულ ხატებში დასურათებისა, გმირთა მონოლოგები ფილოსოფიურ აზრებად არის წარმოდგენილი. რასაკვირველია, ამ აზრებს თავიანთი მომხიბვლელობა გააჩნიათ. ეპიკური თვალთახედვა ნიშნავს, სინამდვილის წარმოდგენას; ესაა ობიექტივირებული სამყარო, სადაც ნაცვლად სუბიექტისა ძირითადია ობიექტური სამყარო. ამდენად, ეპიკური პოეზია, ერთგვარ კონტრასტს ქმნის დრამატულთან შედარებით. რამდენადაც ეპოსი ცხოვრობს გარე ფენებით, ურთიერთქმედების გარეგან ფაქტებს გვაძლევს, დრამატული საპირისპიროდ, გმირის შინაგან სამყაროში ინაცვლებს და ხედვის ცენტრის ასეთი შინაგან ფენებში გადანაცვლება ბუნებრივად იწვევს გარეგანი ფენების გათხელებას. დრამატული საწყისი ეპიკურ პოეზიაში დამახასიათებელია მხოლოდ ბერძნული და ევროპული ეპოსისათვის. აღმოსავლეთმა, როგორც აღინიშნა, სულიერი პრინციპების, გრძნობად სამყაროსთან დაპირისპირება არ იცის და შემტევი სულის სახით არ წარმოგვიდგენს გმირის შინაგან სამყაროს.

თუ ქართულმა სასულიერო ლიტერატურამ სულის ღვთაებრივ შინაარსს გამარჯვება მოაპოვებინა აშკარა ტენდენციით, ხოლო საერო ლიტერატურამ მიწიერ სამყაროს ზეიმი გადმოგვიშალა, ამით ადამიანის სულიერი და ხორციელი სამყარო, მათ თავიანთ მხრივ გათიშეს და ერთიანობაში წარმოგვიდგინეს ეს ორივე მომენტი, სულიერი და ხორციელი სამყარო. ასეთი დაპირისპირების ერთიანობა ქართულმა სულმა იდეალური შერწყმით ვაჟა-ფშაველას კალმით წარმოგვიდგინა. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთის მხრივ, ვაჟას ეპიკურ-დრამატულ პოეზიაზე, მეორეს მხრივ, როგორც ეროვნული სულის, უველაზე სანდო, ნათელმხილველობაზე, ამ ორ პუნქტს შორის შემთხვევითი კავშირი არ არსებობს.

ეპოსის ობიექტივირებული სამყარო ნიშნავს მოვლენების ნათლად ჩვენებას, ადამიანური ყოფითი ურთიერთობის ნათლად და ბუნებრივად უმდიდრეს ჩვენებას. ძველი ბერძნების ყოფა-ცხოვრებას ვერავითარი მეცნიერებანი ისე ვერ აგვიწერენ, როგორც „ილიადა“ და „ოდისეა“. ეპოსის ასეთი ობიექტივირებული ხედვა ტენდენციური მიზნის გარეშე, უნებლიეთ გადმოიღებს და წარმოსახავს თავის ეროვნულ ყოფით სამყაროს, ამდენად ეპოსი, როგორც ძველი პოე-

ზიის ძირითადი ჟანრი გაცილებით უკეთ გვაჩვენებს ეროვნულ სულს, ვიდრე დრამატული პოეზია. როდესაც ჩვენ ვიხილავდით დრამატულ ნაკადს ვაჟას შემოქმედებაში, ამით ვცდილობდით გვეჩვენებინა ქართული ეროვნული სული. მაგრამ როდესაც ეპიურ ნაკადს ვიხილავთ ამით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეროვნული სულის გამოვლენილ მხარეზე. რასაკვირველია, ეს ეპიური და დრამატული ურთიერთმოწყვეტილი ცნებები როდია, მაგრამ დრამატული ნაკადით ჩვენ წარმოვიდგენთ პერსპექტივაში. თუ როგორი სახე შეიძლება მიიღოს ქართული ეროვნული სულის ცივილიზებულ მოღვაწეობაში ეპოსისაგან დაშორებულმა, სახელდობრ, დრამატულმა უნარმა. დრამატული ჟანრი მომავალს შეკუთრებს, ეპოსი კი წარსულს განეკუთვნება. ასეთი დრამატული შინაარსით ეპიკური სურათი, ყოველმხრივ გვაძლევს ქართულ ეროვნულ სურათს.

ამდენად, ძველი ანუ ეპიკური პოეზია ყველაზე სრულყოფილად გამოხატავს ერის ცხოვრების სურათს. იგი ყველაზე სრულყოფილი ისტორია არის ხალხისა. ეს არის სფერო, სადაც ჩანს ეროვნული სულის სხვათაგან განმასხვავებელი მომენტი. როდესაც დრამატულ მომენტზე ვლაპარაკობდით, აქ ქართველი ადამიანი გასცდება სახელდობრ ქართულ, სხვათაგან განმასხვავებელ ნიშანთა წრეს და გვიქმნის ასოციაციებს „ფაუსტთან", თუ სხვა ზოგადკაცობრიულ პრობლემებთან. ე. ი. ჰეშმარიტი დრამატული ეროვნულში ზოგადკაცობრიულს ხედავს; ეპიკური კი სახელდობრ ეროვნულს. ქართული ეპოსი თავისი შინაარსით ქართული ცხოვრების სურათია. რასაკვირველია, ცხოვრება ყველგან ჰგავს ერთმანეთს და სხვადასხვა ხალხები, მისი ძირითადი ნიშნები თან ხედებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს ზოგადკაცობრიულს იმ აზრით, რისკენაც დრამატული მიისწრაფვის. ვაჟასთან დრამატული, რამდენადაც მოწყვეტილი არ არის ეპიკურს, ეს დაპირისპირებანი, ნათლად არაა წარმოდგენილი, მაგრამ დრამატული პოეზია განვითარების მაღალ საფეხურზე ერთგვარად ზოგადკაცობრიულ პოზიციას იკავებს ეროვნულისადმი. ცხადია, იგი ეროვნულისაგან არ თავისუფლდება, მაგრამ ეროვნულს პიროზად, მასალად მიიჩნევს და არა ხედვის საკუთრივ მიზნად. ხოლო ეპიკური პოეზია თავისი ხალხის განსაკუთრებული ნიშნების ამსახველობით წარმოსდგება. ეპიკური პოეზია თავისი ეროვნული სულის გარე გამოვლენილ მოქმედებას დასტრიალებს ე. ი. ეროვნული სულის თვალსაჩინო სურათს გვაძლევს პატრიარქალური ძველი ურეფლექსო პოეზია. დრამატული, ახალი ჟანრის პოეზია, ესაა ადამიანის სულის შინაგანი სამყაროს პოეზია და ამდენად იგი ადამიანის ბუნების საყოველთაო შრეებს იხდის გამოსახვის საგნად, ამიტომ ზოგადკაცობრიულის პოეზიაში საინტერესოა ადამიანი, როგორც ასეთი, ხოლო ეპიკურ პოეზიაში ადამიანი, მაგალითად როგორც ქართველი. ე. ი. ეპიკური პოეზია მხოლოდ ძველ პატრიარქალურ სამ-

ყაროში წარმოიშვება, დრამატული კი ცივილიზაციის გამოხატულებაა. ეპიკურ-დრამატული ჟანრი ნიშნავს ძველ პატრიარქალურ სამყაროში სულისა განსჯის პრინციპების მომწიფებას, როდესაც ცივილიზებული სული ერთგვარ მიჯნას ქმნის ძველ სამყაროსთან.

ახლა შეიძლება საკითხის ასეთი პირდაპირობით დასმა, არის თუ არა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ცივილიზაციის ტიპის ხელოვნება? ეს საკითხი ცხადია ახალი არ არის ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ იმ უკიდურესად შეზღუდული თვალსაზრისის კრიტიკით, რომლის მიხედვითაც ვაჟა-ფშაველა პრიმიტივი, განუვითარებელი, ჩამორჩენილი ადამიანი იყო, დაუპირისპირდა მეორე თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ლამის არის ვაჟა-ფშაველა გამომშრალ პროფესორად წარმოადგინონ. რასაკვირველია, ამ თვალსაზრისებიდან არც ერთი არ მიგვაჩნია სწორად. ვაჟა ფშაველა გაცილებით მაღალ სიერცეს ეკუთვნის.

სამყაროს ვაჟასეული წარმოსახვა

გარემომცველი სამყაროსადმი პოეტურ მიმართებაში კარგად მოჩანს პოეტური აღქმისა და ფილოსოფიური გაგების საზღვრები, სახელდობრ, როგორ განიცდის პოეტი სამყაროს მთლიანობას. ამ შემთხვევაში აუცილებელი არაა მაინც და მაინც სამყაროს ასტრონომიულ პლანს ეგულისხმობდეთ. კიდევ მეტიც: სამყაროს პოეტური ინტერპრეტაცია შეიძლება დავაბრალოთ ისეთ პოეტსაც, რომელსაც სამყაროს გარეგანი ხედი ინტერესის საგანგებო საგნად არ გაუხდია. ამასთან ციურ მოვლენათადმი ესთეტიკური მიმართება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამყაროს პოეტური ინტერპრეტაციის საკითხის დასმას. ეს ერთგვარად თავს მოხვეულ საკითხსა ჰგავს, მაგრამ მისი საჭიროება აღნიშნული ასპექტით ვფიქრობთ აუცილებელია.

რასაკვირველია, ადამიანის ცნობიერებას არ შეუძლია გვერდი აუაროს სამყაროს, სასრულო-უსასრულობის ბუნებრივ განცდას. ბუნების ასეთი ერთბაში სურათი, რომელიც ჩვენში აღქმის უნარის პერსპექტივებს ამოწურავს ბუნებრივად გვაყენებს იმ მისწრაფებების წინაშე, რომ გავაღწიოთ აღქმის ფარგლებს. განვიხილოთ ცის გუმბათი და მივსდიოთ „ცად უსასრულობას“ სასრულობის ამაო მოლოდინით. აი, სწორედ აქ იყოფა სამყაროს პოეტური და ფილოსოფიური ინტერპრეტაციის გზები. პოეტისათვის გამოსახვის მასალაა სამყაროს მოცემული ნაკეთი. მაგრამ თუ გონების ინტერესმა გადასძალა და, სახელდობრ ამოცნობისა და მოცემულის მიღმა სულის საგანგებო მისწრაფებამ იჩინა თავი, პოეტი იწყებს ფილოსოფოსობას.

შინაარსის პოეზია ასეთ ერთობაში თვალხილული სურათის წინაშე ფილოსოფოსობისაგან თავს ვერ იკავებს. აქ აუცილებლად

იჩენს თავს პოეტში შემეცნების წყურვილი. სხვა შემთხვევაში, ბუნების ცალკეული მოვლენების მიმართ, ემოციები შეიძლება მართლაც წარმოსასვის გულწრფელობით იქნას შენარჩუნებული და არ იყოს ინტელექტით დამძიმებული, მაგრამ აქ ისეთი მიჯნა გვაქვს, სადაც პოეტი მთელ თავის შინაარსობლივ სტიქიას აველენს. ვაჟას პოეზია არ კმაყოფილდება სამყაროს ასტრონომიული ხედვის სურათით და სრულიად ახალ და უცვეთ მეტაფორული სამოსით წარმოგვიდგენს მას. სამყაროს ასეთი განწყობილება ერთგვარი უვერტიურასავით წინ უძღვის მოქმედებას. მაგ. „ბახტრიონში“ სამყაროს ასეთი წინასწარი განწყობილება მიმართულებას აძლევს ჩვენს ემოციებს და მიგვანიშნებს, თუ რის მოწმე უნდა გახდეს ბუნება.

„ცვარსველ დაქრალან ვარსკვლავნი,
პირი ცისკრის მოვარდა,
მთანი თავსხმიანი,
ფიქრს მისცემიან მწარესა“.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჟამ ციურ მნათობებს თითქოს წაართვა ის შორეულობა, სიცივე, განკერძოებულობა და ადამიანთან ისე ახლოს მოიყვანა, ისე შეადუღა ადამიანისეული და ბუნებისეული წარმოდგენები, რომ მსგავსი ანთროპომორფიული სურათების პოვნა ძალზე ძნელია.

„დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდენ ცაზედა,
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვინათოს თავზედა...
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემოქმედის გორის ფხაზედა“

ვაჟამ სიცოცხლის მოქმედება მისცა ვარსკვლავებს და მთვარეს. ვარსკვლავები აყვავდნენ. ყვავილის, ბუნების მშვენიერი საგნის თვისებით დახატა ვარსკვლავების გამოჩენა, ე. ი. თქვა სხვანაირად და არა იმნაირად, როგორც ბუნებაში ეს პროცესი სრულდება. „დასხდენ“, თითქოს ფრინველთა გუნდებია ეს უშორესი, უდიადესი სხეულები სამყაროსა. მთვარეს ჯერ იქნებ არ გაუღვიძნია და თვალებს იფშვნეტს. სინათლესთან ერთად მთვარე „გამარჯვებას“ ეტყვის ბუნების ამ ჰარმონიას. „გამარჯვება“ ადამიანური სითბოს ნიშანია. თითქოს ბუნების ყველა ნაწილი მეგობრობს ერთმანეთში, ერთმანეთის სიყვარულში, „გამარჯვების“ სურვილით არიან შემჭიდროებულნი. ვაჟამ იგრძნო და წარმოსახა ბუნების მშვენიერება, აამტეყველა იგი ადამიანის გრძნობების ენაზე.

„ხეცი მთას ამორებს, მთა — ხევსა,
წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეს,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღსრდილთა მკვიდარეს

და მე ხომ ყველას მოსა ვარ,
პირხე ოფლგადამდინარედ!“

ახლა გავარჩიოთ ვაჟა-ფშაველას აღნიშნული ლექსიდან შემდეგი ადგილი:

„ბუნება მბრძანებელია,
იგიც მოსაა თავისა,
ხოგაერ სიკეთეს ახვეჭაეს,
ხოგაერ მქნელია ავისა,
საცა პირიშეს ახარებს,
იქაც მოხრელია ხეავისა“

და ფრიდრიხ შილერის ლექსი, რომელიც მან დაწერა კანტის „ცის ბუნებრივი ისტორიის“ გავლენით და რომელშიაც პირდაპირ აისახა კანტის კოსმოგონიური იდეა. ლექსი წარმოადგენს დრამატიული პოემის „დონ-კარლოსის“ ნაწყვეტს, მაგრამ იგი პოემის მთელი კონსტრუქციისაგან დამოუკიდებლად ინარჩუნებს სრულყოფილებას, როგორც თეორეტიული დასრულებული ასახვა.

Оглянитесь
В его природе дивной!
На свободе основана она _
И как богата она от этого!
Чтоб не нарушить
Прекрасного явления свободы,
Он волю дал дружине страшных зол,
Свирепствовать в пределах Мироздания _
Его же художника, не видно скромно
Он прячется за вечные законы,
Их видит вольнодумец, не Его
К чему же Бог! он говорит, довлеет
Мир сам себе. И никогда еще
Его не прославляли так молитвы,
Как поношение вольнодумца.

/перевод Полилова/

ორი მნიშვნელობით გვჭირდება აღნიშნულ ლექსთა პარალელური განხილვა. ა/. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სამყაროს წარმოსახვასთან; ბ/. შუალობითი და უშუალო წარმოსახვის საკითხის გასარკვევად.

კანტმა „ცის ბუნებრივი ისტორიის“ შესავალში ნატურალისტებისა და თავისუფალ მოაზროვნეთა მიმართ გამოთქვა თავისი კოსმოგონიური შეხედულება სამყაროს წარმოშობის შესახებ. კანტის აზრით, სამყაროს პირველადი მიზეზი ღმერთია. უაზრო ქაოსისაგან აზრიანი არსებობის წარმოქმნა შეუძლებელია. ქაოსის პირველადი მდგომარეობა არ იძლევა საფუძველს მოწესრიგებული სამყაროს

შექმნის ახსნისათვის. იგი ღმერთმა მოაწესრიგა თანახმად წესებისა და კანონებისა. მან, ღმერთმა, ბუნების ძალებში ჩასდო საიდუმლო ხელოვნება, რომ დამოუკიდებლად განვითარდეს ქაოსური მდგომარეობიდან კოსმოსის სახით.[1]

სამყაროს დამოუკიდებელი, თავისუფალი და კანონზომიერი განვითარება გვიჩვენებს, რომ მასზე არ ბატონობს არც დესპოტის ხელი, არც შემთხვევის ბრმა ძალა.

სამყაროს განვითარებაა საფუძველი შექმნილის შესაცნობად. ასეთია უმოკლესი შინაარსი კანტის კოსმოგონური სისტემისა სამყაროს წარმოშობის შესახებ.

ვინც არ იცის მოტანილი ანოტაცია კანტის კოსმოგონიისა სამყაროს წარმოქმნის შესახებ, მისთვის შეიძლება ბუნდოვანი დარჩეს შილერის ზემოთ მოტანილი ლექსის აზრი. პოეტი გაოცებას გამოთქვამს ბუნების საოცრების გამო. ბუნება თავისუფლებაზეა დამყარებული და რა მდიდარია ის ამის გამო! ბუნება, როგორც თავისუფლების მშვენიერი მოვლენა, რომ არ დაინგრეს, ღმერთმა ბოროტ სულთა საშინელ ლაშქარს უფლება მისცა, იმძინვაროს მხოლოდ სამყაროს ფარგლებში. შემოქმედი თვითონ არა სჩანს, იგი მარადიულ კანონებშია უჩინარყოფილი. მას მხოლოდ თავისუფალი მოაზროვნე ხედავს. ღმერთმა დამოუკიდებლობა მისცა სამყაროს, თავისთვის იყოსო. ამიტომ ღმერთი ლოცვებს ისე არ უდიდებია, როგორც თავისუფალი მოაზროვნის ძაგებას.

შილერმა სამყაროს შესახებ არსებული იდეა წარმოსახა. იდეა არ შეიძლება უსაგნოდ. მხოლოდ ამდენად არის წარმოსახულსა და სამყაროს შორის შუალობითი კავშირი. შილერმა, როგორც ვნახეთ, იდეა გალექსა, გააპოეტურა, სახეებით წარმოსახა, მეცნიერული აზრის მონაპოვარი აითვისა, რომელზედაც ჩამოჰკიდა მძიმებიევით თავისი აზრები. აზრი არის აზრთა მიზეზი. ამით იმას კი არ ვამბობთ, თითქოს იდეა სინამდვილისაგან მოწყვეტილი ასახვა, მშრალი აზრების გადამღერება იყოს. იდეას სწორედ სინამდვილით აქვს აზრი. ისე იდეაც არ გვექნებოდა. მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს გაშუალებული დამოკიდებულება სამყაროსა და შილერს შორის.

როგორც ვნახეთ, შილერმა ამ ლექსში განასახოვანა იდეა სამყაროს შესახებ. მაგრამ, როგორც პოეტი, სამყაროს მშვენიერების დახატვას აქ არც ცდილა და ბუნებას უწოდა მშვენიერი მოვლენა, დაახასიათა ბუნება.

ვაჟა ბუნებას, როგორც მშვენიერებას, ხატავს და კი არ ახასიათებს მშვენიერიაო. ვაჟას დახატულში, წარმოსახულში, ბუნებაც წარმოსდგება თავისი მშვენიერებით და მისი პოეტური ქმნილებაც.

1 К. Фишер, История новой философии, т. IV, с. Петербург, 1901 г, стр.178-180.

შილერი მთლიანი სამყაროს შესახებ მსჯელობს და პოეტობს. ვაჟა სამყაროს ნაკვთს იჭერს მშვენიერების განცდით. იგი სამყაროს არსების შემეცნების გაგებას არ ცდილობს. მაშინ იგი მხოლოდ გაოცებული დადგებოდა ბუნების პირისპირ. შილერი კი მსოფლიოს შესახებ ათვისებულ აზრს, თავის გრძნობით შეფერილ შემეცნებაში გადაადნობს. ამ ლექსში უფრო აზრის მშვენიერებაა. აქ გვხიბლავს თავისუფლებისადმი სიყვარული, სამყაროს თავისუფლად დანახვის წყურვილი. გრძნობის ეს მომენტი თან დასდევს ამ აზრებს და ამით იმიჯნება განსჯის მეცნიერული ჩარჩოებიდან, ე. ი. აქ აზრზე აღმოცენებული ემოცია გვაქვს, ვაჟამ თავის ლექსში სამყაროს მშვენიერება დაგვიხატა. ბუნების კონკრეტულ მოვლენაში მან გრძნობის ენაზე გვიჩვენა ბუნება, მბრძანებელი თავის თავისა, თავისუფალი ბუნება დესპოტისაგან. იგი შინაგანი აუცილებლობით ვითარდება. იგი ლაღია, რადგან ძლიერია, თავის შექმნილს მხოლოდ თვითონვე სპობს და ამდენად ბუნება ჰკვიანურადაა მოწყობილი. ვაჟამ მასში შენიშნა კანონზომიერება, მაგრამ არ ცდილობს უპასუხოს კითხვაზე, რატომ? ე. ი. არ ცდილობს ახსნას თეორიულად, თუ რატომ ერთნაირად ახარებს ბუნება პირიმზესა და მთხრელ ზვავს. ასეთი ძიება უკვე მეცნიერული აზრის მონაპოვრის წარმოსახვამ გამოიწვია შილერთან;

ჩვენ ზევით ნახსენები გვქონდა გამოთქმა — „„უშუალო“ და „შუალობითი“ წარმოსახვა. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ უშუალო ის ასახვაა, რომელშიაც საგნის ნიშანთვისებათა წარმოდგენებია ასახული თუორიული აზრის შეტანის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველასთან შევნიშნეთ პოეტი დიდი დაკვირვების უნარით, რომელსაც ძალუძს მოვლენათა კავშირების შენიშვნა და ამ კავშირის განზოგადება, მაგრამ პოეტი არ მისდევს ფილოსოფოსის ფუნქციას და არ სვამს კითხვას რატომ არსებობს ბუნების ეს კანონზომიერება, რომელსაც ის ასახავს, პოეტს ეს არც სჭირდება, მას თავისი ფუნქცია აქვს. უფრო ზუსტად, ხატვითაა გატაცებული, მრცემულის მშვენივრად წარმოსახვაშია ჩაფლული, ფართო ანთროპომორფული ასოციაციებითაა შემოქმედების ფანტაზია გადაწონილი. შილერი არ კმაყოფილდება მოცემულით იმიტომ, რომ მასში წარმომსახავს ერწყმის მაძიებელი, მიზეზთა გონების წყურვილის მოკვლა არის მისთვის უწინარესად მშვენიერი, ვინემ ხატვა. ცოდნას, მოვლენათა სიღრმეში მიჰყავს და ამ ლტოლვას აპოეტურებს, ე. ი. ვაჟა-ფშაველა არ სვამს კითხვას: რატომ აქვს ბუნებას კანონები, უფრო ზუსტად რა არის მიზეზი შექმნისა? მისთვის საკმარისია, რომ მან ეს იცის ისე, როგორც მოცემულია, შილერი კი მოვლენებით არ კმაყოფილდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შილერის ლექსში პირდაპირ შეიძლება ვიცნოთ კანტის კოსმოგონური აზრი. აზრი აზრს იწვევს. ცხოველი ინტერესი მიისწრაფვის. მისწრაფება-

შია ემოცია. ეს ემოცია აქ პოეზიაა.

მისწრაფებათა უსაზღვროებაში უსათუოდ პოულობს ადამიანი თავის პასუხს, რაც აღელვებს, აღაფრთოვანებს და ტკბობას განაცდევინებს; თუნდაც სახის სპეციფიკა დავიწროებულად იყოს წარმოდგენილი, კონკრეტულს საძიებელს შემთხვევაში ცხადად იგრძნობა აბსტრაქტული ცნებებით აზროვნება. იგი სრულიად სხვა ეფექტს იქონიებს კანტის ფილოსოფიის მცოდნესა და ჩვეულებრივ მკითხველზე.

მტკიცება არ უნდა იმას, რომ აქ ცნებების მოჯარბებულობაა. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ ცნებებია გალექსილი. მაგრამ ამ ფილოსოფიურ ცნებათა წარმოსახვა ნაკლებ ცხოველადაა. ერთი სიტყვით, აზრის, მსჯელობის მიზანი ამძიმებს ლექსს. ამ სიტყვებში ვერ იგრძნობთ, სახელდობრ, ბუნების მშვენიერებას. თვითონ კი მართალია გვეუბნება, გვარწმუნებს, რომ ბუნება, როგორც თავისუფლების გამოვლინება, მშვენიერიაო. ვაჟას ლექსის ძალა ბუნების უშუალო განცდის ცხოველმყოფელობაშია. შემთხვევით არ ვუპირისპირებთ ერთმანეთს შილერისა და ვაჟას პოეტურ კლასს. ჩვენ მათ შორის შევეცადეთ ძირეული განმასხვავებელი ნიშნის პოვნას, რითაც განსხვავდება საზოგადოდ ერთმანეთისაგან ახალი და ძველი, დრამატულ-ეპიკური პოეზია.

ვაჟა-ფშაველას გენიამ წარმოშვა ასოციაცია ისეთ გენიალურ ნაწარმოებთან, როგორიცაა — გოეთეს „ფაუსტი“. ცხადია, ეს ასოციაცია უსაფუძვლო არაა და მრავალი საერთო ნიშანიც იქნა დაძებნილი.

ფაუსტურის ძირეული ნიშანია ადამიანის შემეცნებითი პერსპექტივების შემოფარგლულობით გამოწვეული უკმაყოფილება, შემეცნების უკმარობაზე აღმოცენებული სულის ამბოხება. კანტმა, სწორედ იმიტომ გამიჯნა თავისუფლებისა და აუცილებლობის სამყარო ერთმანეთისაგან, რომ აუცილებლობის, მიზეზობრიობის, ბუნების სამყარო არის მეცნიერების სფერო, რომელსაც ის შეისწავლის, მაგრამ ვერ აღწევს მის აბსოლუტურ წვდომას. ცნობიერებას არ გააჩნია სათანადო ინსტრუმენტი, სათანადო საშუალება, უსასრულოს შესახებ სასრული ფორმით აზრი გადმოსცეს. ფაუსტის ამბოხებაც, მისი მაგია, მას შემდეგ იწყება, რაც მან მოსინჯა ცოდნის უმაღლესი საშუალებანი, მეცნიერული სფეროები, რომლებშიც მას თუმცა უკეთ მსჯელობა ასწავლეს, მაგრამ თავისი შემეცნების საგანმა თავი არ დააპყრობინა. რასაკვირველია ფაუსტური პარადიგმა უწინარესად შემეცნების წყურვილს გულისხმობს, მაგრამ მას ფაუსტური ჰქვია არა მხოლოდ შემეცნების წყურვილისა გამო. მინდია გულწრფელად მინდობია იდუმალების ამოკითხვას და მასზე საკმაოდ დიდ იმედს ამყარებს. ფაუსტი თუმცა ექიმია, მაგრამ ბიოლოგიას, მედიცინას მისი აზრით, შეუძლია ბუნებრივის შეფერხებანი შეაკეთოს და დაეხ-

მაროს ორგანიზმს მასში ბუნებრივი პროცესი თავის თავს დაუბრუნდეს. მაგრამ ეს მეცნიერება უძლურია და არასოდეს შეუძლია ცვლილება შეიტანოს ბიოლოგიურ ორგანიზმში მოქმედი წესის შესაცვლელად. ამიტომ მისთვის ძალიან პატარაა მეცნიერება. ის ხელოვნური ადამიანია, ჰომუნკულუსის სახით, რომელიც კოლბიდან ჭყივის და სურს ნამდვილი ადამიანის სრულფასოვნებამდე ამაღლდეს, სწორედ იმის დაცინვაა, რომ ბუნებრივი წესის შეცვლა აქ ლაბორატორიული ანუ გონებრივი წესით უმწეოა. მთავარი ისაა, რომ ფაუსტურის წარმოდგენა უეჭველად უნდა გულისხმობდეს ახალ ადამიანს, რომელსაც უფლება აქვს გადასინჯოს ცოდნის ისეთი მაღალი სფერო, როგორიცაა მეცნიერება. ფაუსტური ნიშნავს სწორედ ისეთ ახალ ადამიანს, რომელსაც განცდილი აქვს აზროვნების ანალიტიკური ძალა. ამასთან გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: ლიტერატურული კრიტიკა, რაღაცნაირად უჩვეულო ნდობით ეპყრობა, სვ. სალარიძის მოგონებებს ვაჟა-ფშაველას შესახებ.[1] სანდოა თუ არა ეს მოგონებანი: მე ვფიქრობ, რომ იგი არ გამოდგება ლიტერატურული მასალის პირველხარისხოვან არგუმენტად. მიეუთითეთ და ახლაც აღვნიშნავთ, რომ რაიმე წიგნის წაკითხვა, წიგნიდან მიღებული დიდი შთაბეჭდილება, იმ შემთხვევაში ერთვის ხელოვანის შემოქმედებით სამყაროს, თუ იგი მისსავე ცხოვრების საერთო სიბრტყეზეა. ვაჟა-ფშაველა, ცხადია, წიგნიერი კაცი იყო; მის შემოქმედების ძარღვიან თავისთავადობას გეზს ვერ უცვლის ვერც გოეთეს „მცენარეთა მეტამორფოზა“ და ვერც ფიხტეს ფილოსოფია. ვაჟა ფშაველას შემოქმედება ამდაგვარ აზრთა სიბრტყეზე არ დგას და საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ მინდიასა და ფაუსტის შორის განსხვავება. ფაუსტისათვის აზრი არსებობის შინაარსია. აზრი აქ იგულისხმება არა რეალისტური გაგებით, არამედ ფილოსოფიური წარმოდგენით. „ფაუსტურ პარადიგმებში“ ჩნდება მისწრაფება სამყაროს, როგორც მთლიანობის კომპლექსის შეცნობისადმი. ჰეშმარიტების ძიების სფერო ღრმავდება და მოვლენებიდან არსისაკენ მიდის!“.[2]

ნუთუ გოეთეს საბუნებისმეტყველო გამოკვლევებსა და ვაჟა-ფშაველას პოეტურ შთაბეჭდილებებს შორის პრინციპული განსხვავების დანახვა ძნელია? ეს განსხვავება კი სწორედ იმას ემყარება, რომ გოეთე მართლაცდა მოვლენებიდან არსისკენ მიდის; ვაჟას სტიქია არ არის ჰეშმარიტების, როგორც ასეთის, ძიება. გოეთესათვის, კი, ესაა ყველაფერი. ამიტომ გოეთე ფილოსოფოსია, რომელსაც ბუნებამ უცნაურად შეუთავსა პოეტური ტალანტიც. ვაჟა-ფშაველა,

1 იხ. სვ. სალარიძის მოგონებანი, წიგნში ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ცხოვრების მატიანე, 1961.

2 მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, II, 1961, გვ. 70.

თუ პოეზიის იდეალის უმკაცრესი ნიშნით ამოვალთ, უფრო გულწრფელი პოეტია სწორედ იმიტომ, რომ იგი სწორედ მოვლენათა სფეროში ტრიალებს და ადამიანის გრძნობის ფილოსოფიური რეფლექსის თეორიული წამლეკავი ძალა არ განუცდია.

ამდენად, ვაჟა-ფშაველას პოეზია ახალ ევროპულ პოეზიისაგან განსხვავებული სიბრტყის მოვლენაა. იგი დიდია და ორიგინალური იმიტომ, რომ ბავშვის თვალით წარმოსახა სინამდვილე. და თვისივე წარმოსახვის წყობით გვიჩენა ქართული ეროვნული სულის დიადი პერსპექტივები. მინდიასა და ფაუსტის ინტერესები ბავშვისა და სწავლულის შემეცნებით ინტერესთა თანაფარდობაა, მაგრამ ამ ბავშვის ცნობისმოყვარეობაში მოსჩანს პერსპექტიული ფაუსტი. იგი ფაუსტის მასალაა, და როცა ამ ხალხს ცხოვრების ისეთი საურთიერთო ფორმა ექნება, რომელსაც ნამდვილი აზრით ჰქვია ურბანისტულ ცივილიზებული ურთიერთობა, მაშინ აქაც გამოჩნდება ცოდნისაგან დაღლილი ფაუსტის სული, ჰომეროსებური ვაჟას სამყაროში.

შექსპირი, გოეთე, შილერი, ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი და ასე შემდეგ, შინაარსის თვითცნობიერების მაღალი საფეხურის წარმომადგენლები არიან, რომელთა მისწრაფება ჰეშმარიტების წყურვილითაა გამსჭვალული. ამ პოეტურ კლასთან ვაჟა-ფშაველას საერთო არაფერი აქვს, თუ კი მაინც და მაინც მსოფლიო არენაზე მისი ადგილის დანახვის სურვილი გვაქვს, თუ ვაჟა-ფშაველას პოეზიას, რომელიმე პოეტურ კლასთან საერთო ნათესაური ძირი გააჩნია, ესაა ყოველი დროის პოეტთა მეფე, ჰომეროსი. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ჰომეროსის პოეზიასთან ნათესაობა მრავალგზისაა შენიშნული ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. მაგრამ ყოველთვის საქმე გვაქვს თუმცა სანდო შთაბეჭდილებებთან, მაგრამ საკითხს კვლევის სახე საამისოდ არ მიუღია. საყურადღებო და გასათვალისწინებელია ის მოსაზრებანი, რაც თავის დროზე, ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალით ეგოდენ ჯანსაღად იყო შემჩნეული. მაგ: ი. ნაკაშიძე 1896 წელს, სტატიაში „ვაჟა-ფშაველას პოეზია" (კრიტიკული ცდა), წერდა: „ვაჟას პოეზიაში აქა-იქ ჰომეროსის სტრიქონებსაც შევხვდებით და გული აგითამაშდებათ ხოლმე სანეტარო განცვიფრებული".[1]

ი. ნაკაშიძეს სხვა რამის თქმა სურს, ვიდრე ის დასკვნა, რასაც ის აკეთებს: „ტირტეიმ და ფშაურმა პოეზიამ თავისი დრო მოჭამა. იმათში გამოხატულმა სულის ძლიერებამ ჩვენს ცხოვრებაში ჰერი უნდა იცვალოს, უნდა გადადუღდეს, განათლებულ ინტელიგენტურ ძალად უნდა შეიქნეს!"[2]

---

1 ვაჟა-ფშაველა ქართ. სალიტ. კრიტიკაში, 1955 წ, იხ. ბოცვაძის რედაქც. გვ. 119.

2 ი ქ ვ ე.

რასაკვირველია. პოეზიის სიძველე არ ნიშნავს იმას, რომ მან თავისი დრო მოჭამა. თუმცა იგი დღევანდელ გრძნობებს, დღევანდელ ადამიანს თავისი ცხოვრებისნაირი პირდაპირობით ვერ პასუხობს უშუალოდ, მაგრამ მისი პასუხი, კაცობრიობას თავისი ბავშვობის სურათს აწვდის. ამდენად აქ უბრალოდ გამოთქმის სისუსტესთან გვაქვს საქმე, ისე კი წერილის ავტორს კარგად ესმის, რომ ეს პოეზია მარადუკვდავია და ჰომეროსთან ვაჟას ნათესაობა მას საკმაო სიღრმითაც აქვს ნაგრძნობი. 1915 წელს ვაჟას გარდაცვალებასთან დაკავშირებით იგივე ავტორი წერდა: „ვაჟა ხალხის სულში ჩასახული ძლიერი სტრიქონის პოეტია, და ამ გარემოებაში უნდა ვეძიოთ იმ ძალის საიდუმლო, რომელიც მის პოეზიიდან გადმოსჩქეფს“-ო.[1]

კიტა აბაშიძეს კარგად ესმის ელინური ზომიერების ცნება. ახასიათებს რა ვაჟას პოეზიას ის წერს: „... ამ სტრიქონების დიადობა სწორედ ის არის, რომ ელინური სიბრძნითა და ზომიერებით არის გამოთქმული და იმგვარ გრძნობას უღვიძებს, რომელიც სამსალას კი არ გასმევს და სიცოცხლეს კი არ გიშხამავს, გულს სასიამოვნო მომხიბვლელი კაეშნით გიესებს თითქოს ბუნების დაუსაბამობა ძლევამოსილი ნუგეში იყოს და ამ ჯავრის გამაქარვებელი“.[2]

სწორედ ვაჟას პოეზიის ჰომერისებურობას გულისხმობს გ. ქიქოძის სტრიქონები: „ვაჟას ეპოსის მსოფლმხედველობა, წინა ქრისტიანულ წარმართულ აზროვნებასთან არის დაკავშირებული“.[3]

თუმცა ლიტერატურული ფაქტის კონსტანტირების იქით ვერ მიდის, მაგრამ მაინც მოხდენილადაა მიგნებული დასახელებულ პოეტთა ნათესაობა ტ. ტაბიძის სტრიქონებში: „ვაჟამ დაკარგა თავისი ფესვები და ხალხის ფესვებში გაიბნა; მან დაკარგა თავისი ხმა, რომ ხალხის ხმით ამღერებულიყო. სხვა მწერლობაში და ლიტერატურის ისტორიაში ასეთი მწერლები იბადებიან მწერლობის დაწყებისთანავე. ეს არის ხალხის კოსმოგონია. მისი მითებით და თქმულებებით უშუალოდ შთაგონებული პოეტები როგორც ჰომეროსია და ვირგილიუსი. მათ სწამდათ ყველაფერი, რაც ჩვენ დღეს ლეგენდებად გვეჩვენება. თუ ეს პირველი რწმენა არ ყოფილიყო, ისინი ასე უშუალოდ ვერც იმღერებენ, მაგრამ მაშინ ისინი არ იყვნენ ჩვენი სკაპისისით დატვირთულნი, ვაჟა-ფშაველამ კი გაიარა თანამედროვე პოეზიის შხამიანი გზა; მან იცოდა მე-19 საუკუნის ყველა საწამლავი, მაგრამ მასში მაინც სძლია უშუალო პოეტურმა ინტუიციამ და გადნა ხალხში, გაიხსნა მის გულში, რომ შემდეგ ამდგარიყო გამარჯვე-

---

1 ი გ ი ვ ე წიგნი, გვ. 143.
2 იგივე წიგნი, გვ. 384.
3 გ. ქიქოძე, თხზ. ტ. 3, გვ. 361.

ბული სიყვარულის ძლევამოსილი სიმღერით".[1]

როგორც ვხედავთ ასეთი სანდო შთაბეჭდილებანი იმაზე მოწმობენ, რომ საკითხის დასმის სრული საფუძველი არსებობს. მაგრამ ის, რაც მოტანილ ლიტერატურულ ფრაზებშია მოცემული, ცხადია, ძალიან ცოტა რამეს ამბობს. შეიძლება ამ შთაბეჭდილებათა ღრმა ფესვებისათვის თქმის მყარი მტკიცების ფორმა არ ეკალებოდეს ლიტერატურულ კრიტიკას, მაგრამ ეს მიგნებანიც ხშირ შემთხვევაში ფეხზე ძლივს დგანან, რადგან ვერ არის სათქმელისა და ნათქვამის შესატყვისობა მიღწეული.

ცხადია, საკითხი საკმაოდ რთულია და მისი დაძლევა მომავლის საქმეა. ჩვენ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ასპექტით ვიფარგლებით.

ასოციაციის ასეთი მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია. სხვადასხვა მიზეზთა ერთობაშობა და ერთიანობა იძლევა სწორედ ასეთ ნათესაობას. ნათესაობა, ლიტერატურული გაელენისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ ბუნებამ შექმნა მათთეის რაღაც საერთო ძირი და არაფერი არ არის შეცვლილი ვაჟასთან იმის გამო, რომ ის ჰომეროსს იცნობს. უკეთეს შემთხვევაში ვაჟას ჰომეროსის შემოქმედების ცოდნით თავისი წარმოსახვის სიდიადის დასტური ეძლეოდა. ის, რაც მის მიერ არის თქმული, მისი ბუნებრივი ხმის ნაყოფია.

ჰომეროსი და ვაჟა ძველი პოეტებია, რომელთა შემოქმედებიდან ახალი ადამიანისათვის შემხვედრი და ნაცნობი შინაარსი მოდის.

ჰომეროსისეული სამყაროს სოციალური სტრუქტურაც არც ერთ ეპიურ სამყაროს ისე არ თანხვდება, როგორც ვაჟას შემოქმედებას. ჰომეროსის სამყაროს სოციალური წყობა, გამართულად მოერგება ვაჟას შემოქმედებას. ბერძნულ ბასილევსებს მთის ხევისბერისაგან ძალიან ცოტა რამ განასხვავებს. ტროას დასალაშქრად მიმავალი სარდლები, ოდისევსის, აქილევსისა და სხვების სახით და აგამემნონის მთავარსარდლობით, შეგვახსენებს, ბერი ლუხუმისა და ზეზვას შეხვედრას და თათრების წინააღმდეგ თუშ-ფშავ-ხევსურთა გაერთიანებულ ლაშქრობას. ამ მწერალთა შორის მსგავსების პოვნა მის დამამსგავსებელზეც არის დამოკიდებული. ერთია, იმ საერთო მოშენტთა წყება, რომელიც უშუალოდ წარმოსდგება იმ პკითხველთა წინაშე, ვისთვისაც მხოლოდ ესთეტიკური განცდის საგნებია ეს შემოქმედებანი. ასოციაციის რკალი განიერდება ამ მწერლობისადმი ცოდნით მიმართებაში. ე. ი. ვინც არა მარტო მხატვრულ ფაქტს აღიქვამს, არამედ იკვლევს თვითონ ამ ფაქტის ისტორიულ გარემოსა და მიზეზებს. ამდენად შეიძლება არა მარტო უშუალოდ შემოქმედებათა სიბრტყეზე პოვნა მსგავსისა, არამედ იმისაც, რაც ამ სიბრტყეებს იქეთაა. ამ მიმართების მკითხველთ, კვლევით მიმართებით

1 ტ. ტაბიძე, წერილები, ნარკვევები, 1957 წ; გვ. 30.

პროცესში აღეძვრებათ ასოციაციის ისეთი სახეობანი, როგორიცაა ვაჟას პიროვნების ელინურობა. ცოდნა იმ ფაქტისა, რომ ჰომეროსი დიალექტზე ჰქმნის თავის ნაწარმოებებს და მძლავრად ატყვია დიალექტური კოლორიტის კვალი, აგრეთვე შეგვახსენებს ვაჟასეულ ფშაურ დიალექტს. ერთი ასეთი მოტივთაგანია, აგრეთვე, ჰომეროსისა და ვაჟას ხალხურთან მიმართება: ვაჟა ფშაველას უძველესი ქართული თქმულებანი და საგმირო სიმღერები ასაზრდოებდნენ. აგრეთვე სიწმინდე და ბუნებრიობა ახასიათებთ ვაჟას გმირებს. ისინი ბუნების ნამდვილი შვილები არიან. თვით ვაჟაც განსახიერებაა ჯანსაღი სულისა. მან ბერძენ ტრაგიკოსებივით მძაფრად გამოხატა ტრაგიკული კოლოზიები, ადამიანისა და სამყაროს მთლიანობის აღდგენისაკენ ლტოლვის იდეა.

მოტანილი ადგილი იმდენადაა საყურადღებო, რომ ავტორს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნაკადის, ვაჟასნაირი უგვრძნია ჰომეროსთან. ეს საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მხოლოდ ჰომეროსს ადარებს ვაჟასთან არსებულ ამ ფაქტს და არა სხვა რომელიმე მწერალს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხური შემოქმედებით მრავალი მწერალია დავალებული. საყურადღებოა, რომ ჰომეროსთან და ვაჟასთან ეს ფაქტი ყველაზე უფრო მკვეთრადაა, ვიდრე სხვა რომელიმე მწერალთან.

დიდი ბრძოლა გადაიტანეს ჰომეროსმა და ვაჟამ იმის შესახებ, რომ გარკვეულიყო მათი შემოქმედებანი გალუბრყვილო ხალხურია თუ წიგნური. ასე მაგალითად, ერთი ავტორის აზრით: „ჩვენთვის გაურკვეველია საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ჰომეროსის პოეზია გულუბრყვილო, როგორც ამას წინათ ფიქრობდნენ ევროპაში, თუ იგი ცივილიზაციის ნაყოფია, როგორც ამას ფიქრობს უმრავლესობა ახლანდელი მეცნიერებისა.“ ის არის, რა თქმა უნდა ერთიც და მეორეც.

უცხოელი მეცნიერი ბეტე აყენებს საკითხს – ჰომეროსის ეპოსი ხალხურია თუ წიგნური და ამტკიცებს, რომ ეს ეპოსი წიგნურია, ყოველ შემთხვევაში ჰომეროსს მიაკუთვნებენ გულუბრყვილოსა და წიგნურს, ამაზე მსჯელობა იმდენად უკავშირდება ვაჟას, რამდენადაც მის შემოქმედებაში იგრძნობა მძლავრი ხალხური ნაკადი. მით უმეტეს, რომ ამგვარი ეკვის საგანი ვაჟა-ფშაველაც იყო ერთ დროს. ახლა კი უეჭველადაა მიჩნეული, რომ ვაჟას შემოქმედება ცივილიზებული სულის ნაყოფია.

საქმე ისაა და ეს საკითხიც მხოლოდ იმ მხრივაა საყურადღებო, რომ ორგანულ ხალხურ შემოქმედებასთან ორგანული კავშირი აუცილებლობით იყო გამოწვეული. ბუნებისაგან უშუალოდ ამოსვლა აუცილებლობით განაპირობებდა წარმომსახველის წინაშე ხალხური ხედვის ათვისების საჭიროებას.

ხალხური ცნობიერება უშუალო წარმოსახვის ნიმუშია, რომელიც

არ შორდება საგნებსა და მოვლენებს; მართალია პრიმიტიულად, მაგრამ უფრო უშუალოდ, უფრო გულწრფელად აღიქვამს იგი ყოველივეს, ცხადია, ბუნებიდან ამოსულ ხელოვანთა შემოქმედება ბუნების კარნახით იქმნებოდა. მათ შემოქმედებას იმპულსს აძლევდა თვით ბუნება, უწიგნურ ბუნებრივ განსჯაში გარდასახული პოეზიის სახით. ეს არის მართლაც გარკვეული ეტაპი, რომლისგანაც იწყებდნენ ჰომეროსი და ვაჟა თავიანთი სამყაროს წარმოსახვას. სახეთა კონკრეტულ ყოფით ფონს, ამავე სინამდვილის შესახებ არსებული მარტივი ხელოვნება ეთანაბრებოდა. ვაჟას „გველის მჭამელი", „ალუდა ქეთელაური", „ბახტრიონი" თუ სხვა, იმ წახნაგებზე გაიშალა, რაც ხალხურმა ფანტაზიამ წარმოშვა. ეს მზა მასალა სიუჟეტის პირველ კონტურებს ეძლეოდა, უმეტესად კი პლასტიკურ ელემენტებად თავსდებოდნენ ვაჟას შინაგან ხედვის ფარზე.

აღნიშნავენ: სტილის ისტორია საზოგადოების ისტორიაა. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ სტილის შესახებ მსჯელობა იმ საზოგადოებრივ გარემოსაც გულისხმობს, რომლის შედეგია ეს სტილიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სტილს გარემო აფორმირებს. სტილს გამოსასახავი საგანიც განსაზღვრავს. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ იმ სტილთა საერთო ნიშან-თვისებათა შესახებ, რომელიც მსგავს ბუნება-საზოგადოებრივს ნიადაგზეა აღმოცენებული.

ვაჟას მცოდნენი, ამ ორ მწერალს აკავშირებენ როგორც საგმირო ეპოსის წარმომადგენელებს /მაგალითად, ლევან ასათიანი, ი. ნაკაშიძე, ტ. ტაბიძე, ს. დანელია, ს. ჩიქოვანი და სხვ/. ეპოსის ერთი ნიშანია ზოგადის პრიმიტი კერძოულზე, ინდივიდუალურზე, ან კოლექტივის უპირატესობა პიროვნებაზე. ეპიკური ნაწარმოები გვიხატავს ამა თუ იმ კოლექტივის ცხოვრებას, რომელიც თავის კანონებს უქვემდებარებს პიროვნულ ცხოვრებას. ცალკეულ, პიროვნულ ცხოვრებას კი აზრი მხოლოდ ამ კოლექტივთან მიმართებით აქვს. კოლექტივის პრიმატობა კი უწინარესად იმ საზოგადოებისათვის არის ნიშანდობლივი, რომელშიც პიროვნული ცხოვრება უხდებოდათ ჰომეროსსა და ვაჟას. ეს თვისება თან სდევს ჰომეროსის შემოქმედებას. ვაჟას შემოქმედების მიმართ კი, იგი დიდი კვლევის ობიექტი გახდა, თემისა და პიროვნების საკითხის სახით. ალუდა და ჯოყოლა, მსხვერპლი არიან კოლექტივის ნებისა. კოლექტივის პრიმატობა კი ცხადია, არ ნიშნავს, რომ ეს ნაწარმოებები უარს ამბობენ პირადი ცხოვრების გამოსახვაზე.

როგორც ცნობილია, ეპოსი პირველყოფილ ველურობასა და ცივილიზაციას შორის პოულობს თავის ადგილს. როგორც ამბობენ, ასეთი გმირული ეპოსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანის ველურობის უძველეს დროში, როდესაც ადამიანი მთლიანად იყო დამორჩილებული ბუნების ძალებს. ამდენად არავითარი წარმოდგენაც არ ჰქონდათ გმირობაზე.

გმირული ეპოსი, ცხადია, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ დონეს გულისხმობს, როდესაც გამოიკვეთა წარმოდგენა გმირობის შესახებ. ეპოსის ჭეშმარიტი ადგილი, როგორც ამბობენ არის ჭეშმარიტი პატრიარქატი, როდესაც ადამიანი იმდენად ითვისებს ბუნების ძალებს, რომ შეუძლია მასთან გმირული ბრძოლა და გმირულად მათი დამორჩილება. ჰომეროსისებური, ეპიკური სტილის მიმოხილვას, სწორედ ამ საზოგადოებრივი ატმოსფეროს შუქზე ახდენენ. ჰომეროსმა ასახა თემურ-გვაროვნული ფორმაციის რღვევა და მასში კერძო საკუთრების ჩასახვა.

ეპოსის ერთ-ერთ ნიშნად მისი ობიექტური ხასიათია მიჩნეული. ეპოსში ობიექტივირებულია არ მხოლოდ ბუნება, არამედ გრძნობები, და მოქმედებებიც. გრძნობები აქ გასხვისებულია და თვით ავტორი არ ერევა მოვლენათა მდინარებაში.

არჩევენ ემოციებს, რომლებიც საგნების, ობიექტების ფარგლებში თავსდება და ემოციებს, რომლებიც საგნებთან მკრთალ მიმართებაშია და ჩვენ გვეუფლებიან ისე, რომ მოვლენათა ობიექტური მდინარების წარმოდგენა სუსტდება.

ეპიურ ხელოვნებაში კი არ გეხვდება უეცარი აწევ-დაწევა. ემოციები აქ საგნებს განეკუთვნება. ემოციები ობიექტთა კუთვნილებაა და ჩვენი განცდა ამ საგანთა თანამდევარია, ჩვენი ემოციები საგნებშია გადატანილი. ესაა ეპოსის თვისება. როდესაც ლექსი გრძნობათა შრეების მთრთოლვარე ხილვითაა დატვირთული და სულის, შინაგანი განცდების სფეროს ეხება, ემოცია სუბიექტის რკალშია მოქცეული და ეს ლირიკულის თვისებაა. ცხადია, როგორც ლირიკა არ არის უსაგნო ხილვა, არც ეპოსია სუბიექტისეული გრძნობების ჩვენებისაგან თავისუფალი. მხოლოდ ამ თვისებათა გამოკვეთილი ინტენსიობა იქცევა თვისებრიობად. ჰომეროსი და ვაჟა საგანში კითხულობენ და აქსოვენ ემოციურს, თითონ კი თავს იკავებენ, იშვიათად თუ ავლენენ თავიანთ პიროვნულობას. ეპოსი, ცხადია, თავისუფალი არ არის ემოციონალურ სუბიექტური მიმართებისაგან. ამ თვალსაზრისით, ჰომეროსთან მოჰყავთ აქილევსის ფარის აღწერა, ესაა პოეტის ჩარევა, ცოცხალი ადამიანის აღტაცების დაპირისპირება იმ მწუხარებასთან, რომლის გამო აქილევსი მოსთქვამს სიკვდილსა და სიძულვილზე. დიდი გულმოდგინეობითაა აქილევსის ფარი მოხატული, რომელზედაც ამოკვეთილია ასტრალური სამყარო. ვაჟა ჰომეროსს მოგვაგონებს, როდესაც ქმნის ასეთ სტრიქონებს:

„წაცდა მჭრელი ფრანგული,
უბრჭყვინავს ბუსით ვადამდე,
ხმალს სცემს ნაქები ბაზალა,
მინინული აქვს ხატამდე".

იარაღისადმი ესთეტიკური მიმართება მოტანილ მაგალითებში ჰომერულ იერს აძლევს პლასტიკურ ხატს. ეს მშვენიერება ვაჟამ

საგნებს მიანიჭა დამოუკიდებლად. ანდა ასეთი მაგალითი:

„სისხლიანი აქვს ხმლის ვადა,
ეკრეკ ხარკვისა ქარიცა
უქმად არ უქარებია
ჭრელად ნაქარგი ფარიცა".

თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ შეიძლება მკრთალი ასოციაცია აღიძვრას „ჭრელად ნაქარგი ფარის" აქილევსის ნაქარგ ფართან. ეს შემთხვევითი შეხვედრაა, მით უმეტეს, რომ აქ მხოლოდ დახასიათებული გვაქვს როგორც ჭრელი და ნაქარგი, ჰომეროსთან კი ფარის სიჭრელეს და ნაქარგობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

როგორც აღნიშნული იყო, ჰომეროსის სამყარო ღია ბუნებაა, გულგადაშლილი თავის ციური სხეულებით და საგნობრივი მშვენიერებით. ამიტომ შედარებებსა და მეტაფორებს აქ სწორედ ისეთი საგნების სინთეზი ქმნის, რომლებიც გამორჩეულნი არიან ან თავისი სიდიდით, ან ფერთა სიმკვეთრით. შედარებებისა და მეტაფორების წყაროა მზე, ცეცხლი, ქაფი, მბრწყინავი საგნები და ა. შ. ჰერას თავსაკრავი შედარებულია მზესთან. რესას შესანიშნავი ცხენებიც მზესთანაა შედარებული. მზე და სინათლე ჰომეროსთან ეს რაღაც უნივერსალური კრიტერიუმია სიცოცხლისა და მშვენიერებისა.

„ხშირია მკვეთრი კონტრასტული ბუნების შედარებები: ჰექტორი შედარებულია გორაკების ტყის ხანძართან. მისი თვალები აგრეთვე მრისხანე ცეცხლით ანათებენ. პირიდან ბოლქვად ქაფი გადმოსდის, თავზე კი ირხევა საშინელი, ბრწყინავი ჩაჩანი. თვით კი ჰექტორი ფრინავს ბრძოლაში, როგორც ქარიშხალი".[1]

როგორც ვხედავთ, ჰომეროსის შედარებებში, როგორც ვაჟასთან კოსმიურ სხეულებთან ერთად მკვეთრი საგნობრივი თვისებანი სჭარბობენ. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ჰომეროსთან ხშირია უხეში, ტლანქი შედარებებიც. ვაჟას პოემებშიც გვხვდება ბუნების სიუხეშის ჩვენება, მაგრამ ეს აქაც ესთეტიკურ ფარგლებშია დაძლეული. ცნობილია, მოელენათა ვაჟასეული ასოციაციები. ასეთია შედარებებით ამოქსოვილი ვაჟას მომხიბვლელი სტრიქონები:

„ჭკვიდამ არია სტუმარი
იმის ნისლივით თმამაო,
წარმოდგა ქალი ფეხზედა,
თითქოს იელვა ცამაო,
ჰაერში ანიკრიალა
იმის ზარივით ხმამაო".

როდესაც არისტოტელი მეტაფორის ღირსებას ახასიათებს, მას სამაგალითოდ ჰომეროსის შემოქმედება აქვს წარმოდგენილი.

„უდიდესი საქმეა მეტაფორების ოსტატურად გამოყენება, ვინაი-

1 ესარგებლობთ ლოსევის მონოგრაფიით. (Лосев, Гомер, 1960).

დან მხოლოდ ეს არ შეიძლება იქნას აგდმოღებული და იგი არის ბუნებრივი ნიჭის ნიშანი. კარგი მეტაფორის შექმნა იგივეა, რაც მსგავსების ხილვა.[1]

ძნელია პრინციპული სხვაობის მონახვა ჰომერულ და ვაჟასეულ მეტაფორათა შორის. როგორც ჰომეროსთან, ისე ვაჟასთან გაადამიანებულ თვისებებშია ამოძრავებული ბუნების მოვლენები. მაგ.

„Вестница утра. Заря, на Олимп восходила, Зевсу царю, и другим небожителям свой возвещая"...[2]

ბუნების ფართო მკვეთრი გაცოცხლებაა ვაჟას ასეთ მეტაფორულ ქსოვილში:

„ცა'ხე იარე მოვარეო,
შხეო აბრძანდი-დაბრძანდი!
მიეგებო, იშიშვლეო გულ-მკერდი,
ხან მოიხვიეო ნაბადი".

ან კიდევ:

„დღემ დაიხურა პირ-ბადე
მიეგებია დახუჭეს თვალები".

სხვა შემთხვევაში:

„უცინის მთა-ბარს ბუნება,
ღამის ნაქარგი კვნესითა
მთა'ხე შაჯარდა ნისლები
გ'სა-გ'ხა ცრემლების თესვითა".

მრავალი მეცნიერული ნაშრომი მოუნდა ჰომეროსის პლასტიკურობის. საბოლოოთა გაშუქებას. ყველასათვის ცნობილია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების „პლასტიკური ხატოვანება". პლასტიკური თვალსაჩინოების მომენტისაგან თავისუფალი საზოგადოდ არაა მეტყველება. პლასტიკურობა განსაკუთრებით ჰომეროსისა და ვაჟას კუთვნილებაა იმიტომ, რომ საგანთა ასეთი გათვალსაჩინოებული ხატები, რომლებსაც ეგოდენ ემოციონალური ცხოველმყოფელობა მოსდევს, შეიძლება ითქვას, არავისთან ისეთ სიმაღლეზე არ გეხვდება, როგორც ჰომეროსსა და ვაჟასთან. ეს თვისებაც ყველაზე მეტად მათი კუთვნილებაა.

ჰომეროსის პლასტიკურობას ნათელს ფენს ამ შემოქმედების გამომსახველობით ხელოვნებასთან ნათესაობა. ამიტომაც არის, რომ მისი შესწავლისათვის შემოვიდა ისეთი ცნებები და ტერმინები, რომლებიც მხოლოდ მხატერობის ან ქანდაკების კუთვნილებას შეადგენდა.

ჰომეროსის შემოქმედების წყალობით ამოიცნეს მრავალი, არქეო-

1 არისტოტელი, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას ქართული თარგმანი, 1944 წ. გვ. 49.

2 ილიადა, გნედიჩის თარგმანი (რუს.).

ლოგიურ წიაღში მიძინებული საგნები ძველი საბერძნეთისა, როგორც შეუდარებელი გადმომწერი საგნებისა, იგი მეცნიერებისათვის სახელმძღვანელოა.

ჰომეროსის შემოქმედება პლასტიკური ხილვის ხანგრძლივი ევოლუციის გამოხატულებაა დაწყებული ადამიანის აზროვნებისა და აღქმის სამგანზომილებიანი სივრცის გამოსახვის უმეცრებიდან, დამთავრებული გამოხატვის პლასტიკურობითა და სკულპტურულობით.

პლასტიკურობის ნიშანია ობიექტის ნიშანთვისებათა ისეთი წარმოჩენა, რომელიც მკითხველის წარმოდგენაში ამ საგნის სრულ სახეს იძლევა, ჰომეროსთან და ვაჟასთან იმდენად გამოკვეთილი, ზღვარდებული ობიექტები გვაქვს, რომ ისინი თვალსაჩინოების მაღალ ხარისხს აღწევენ. ეს შენიშნულია ორივე მათგანის შესახებ არსებულ გამოკვლევებში.

ლიტერატურული პლასტიკურობა ფიზიკურ საგანთა სახის შექმნით არ იფარგლება. იგი მოქმედების, დინამიკურობის ობიექტივაციასაც მოიცავს.

შენიშნულია, რომ ჰომეროსს ათეულობით შემთხვევა აქვს აღწერილი, რომელიც დაჭრის პროცესის ან ადამიანის მოკვლის უშუალო სურათს გვიდგენს თვალწინ. პატროკლე სჭრის ერთ ტროელს, პირდაპირ კბილებში უტარებს მახვილს. აქ მოცემულია სურათი, თუ ამ ჭრილობის შემდეგ, როგორ ეგება ის პატროკლეს მახვილზე. ეს არის როგორც ამბობენ, წმინდა სხეულებრივი სახე. პლასტიკური სურათი. „ილიადაში“ წარმოდგენილია აგრეთვე სურათი, თუ როგორ გადმოაგდებს ენას დაჭრილი, რომელიც ეცემა და კბილებით ეჭიდება ცივ სპილენძს. ასეთივე დასრულებული პლასტიკური სურათია აგრეთვე, როდესაც დიომედი ამარცხებს დილინს, რომელსაც კისერში გადაჭრის. მოჭრილი თავი კი განაგრძობს ბაგეების მოძრაობას. მსგავსი სურათები ვაჟასთანაც გეხვდება. ნამდვილ ჰომერულ. პლასტიკურ სურათს წარმოგვიდგენს ქიჩირის მიერ დემურის განგმირვა:

„და ხმალმა ქიჩირისამა
დემურის თავ'ზე იცლება.
თავი გაგორდა მიწ'ა'ზე
'ხანჯად ტკბების ღებია,
ხმალსა ტანიც კი ნაეჭრა
დაგორებულსა კეფია;
სისხლი ნაჰკისდის დემურსა
ტან'ზე ჭიაყრად, ჩქერია,
ბალახს პლეებს ცოლის მძებნელი
გულ'ზე ხელების კრეფათა.
ცხენი კი გაფრთხა, გაიქცა
პატრონის წყლ'ულის მნახაკი,
გულის ვაების და დარდის

ჭისკინის გამოშახავი"...

("სისხლის ძიება")

ეს არის მოძრაობითი პროცესის სხეულებრივი თვალსაჩინოება, რომელიც შეუდარებლობის შთაბეჭდილებასა ქმნის. პომეროსისა და ვაჟას პლასტიკა გამოირჩევა არა მხოლოდ საგანთა გამოკვეთილობით, არამედ საგანთა მიმოქცევაში, მოძრაობაში ჩვენებით. ეს აძლევს მას პლასტიკურ, დინამიურ მომხიბვლელობას.

ეპოსის ობიექტურობის გაგებისათვის საჭიროა მიმოხილვა ანტიფსიქოლოგიზმისა. რამდენადაც ეპოსში აქცენტი ან ობიექტურზე ან კოლექტიურზეა გადატანილი, ამდენად მკრთალია ადამიანის სულიერი განცდების გადმოცემა. აქ ფსიქიური, ობიექტური ფაქტების მეშვეობითაა მოწოდებული. ვნებათა ხილვა მოწოდებულია ფიზიკურის გამოხატვით. აქ არ გვაქვს „მე"-ს განცდები, მისი გაღრმავება და განვითარება. აქ გრძნობა გასხვისებულია და საგნობრიობაშია მოცემული. განცდა მხოლოდ ეპოსისათვის დამახასიათებელი ერთი უცვლელი ამაღლებული განწყობით რეაგირებდა. ეპოსის ეს თვისება ანტიფსიქოლოგიზმის სახელითაა ცნობილი. ამ ასპექტით განვიხილოთ ერთი მაგალითი:

„ვაჰმე, შენ, ძმაო ალხაზ?აჟ,
ვის დამქცევია თავხედა"!
ერთი ხელითა ხელს იპრობს,
მეორეს იულებს თმახედა

მორბის შმაგივით ხოველში
და მიქვითინებს მწარედა".

/„სისხლის ძიება"/

აქ გმირის განცდას თვით გმირი პასუხობს, იმ აზრით, რომ ამ გრძნობის ჩვენზე თავსმოხვევა, გაშლა და გაღრმავება ეპოსისათვის არ არის ნიშანდობლივი. ერთი სიტყვით, ეს განცდები თავისიე აფექტებით იმავე რკალში რეაგირებდა, სადაც ის წარმოიშვება და მკითხველი მას მოშორებით, ეპიური, ამაღლებული დაჭიმულობით. მაგრამ რელიეფურად აღიქვამს, როგორც მოქმედებათა პროცესს. ამგვარ მაგალითად განიხილავენ პენელოპეს განცდასაც:

ოდისევსის ცოლი, პენელოპე დიდი ხანი ელოდა მეუღლეს. ახლა, როცა საქმროები მოსვენებას არ აძლევენ, შეწუხებული პენელოპე საკუჭნაოში შედის, თითის წვერებზე აიწევა და ოდისევსის მძიმე მახვილს ქარქაშიდან აიღებს, მუხლზე დაიდებს და დაჰქვითინებს. ეს მაგალითი სიყვარულის წმინდა ეპიკური გამოხატვაა, რადგან ეს გრძნობა გარეგნულ მოქმედებაში წავიკითხეთ. განცდათა ასეთი ანტიფსიქოლოგიური გამოხატვა თანამედროვე ხელოვნების თვისებასაც წარმოადგენს. მაგალითად, როდესაც ბიჭმა თევზაობიდან დაბრუნებული ხელებდასისხლიანებული მწოლარე მოხუცი სანტიაგო

ნახა, იგი ატირდა. ჰემინგუეი არ გეიყვება იმ ფსიქიურ მოვლენებზე, რაც ამ ბიჭში წარმოიქმნა. ამ მოვლენების პასუხია ატირება. ტირილი კი თუ რის შედეგია მოცემულ შემთხვევაში, მკითხველისათვის, ასე ვთქვათ, ქვეტექსტით ნათელია. ასეთივე ეპიკურ სახედაა მიჩნეული აქილევსის შფუხარება, როცა იგი პატროკლეს სიკვდილის გამო თავზე ცხელ ნაცარს იყრის, თმა-წვერს იგლეჯს. ეს ეპიკურის თვისებაა, მაგრამ კატეგორიული თქმა იმისა, რომ ეპოსში გამორიცხულია ადამიანის სულიერი განცდების გადმოცემა, სწორი არ უნდა იყოს. ასე მაგალითად: ჰომეროსის მონოგრაფიის ავტორი ლოსევი წერს: 'Можно с уверенностью сказать, что у Гомера, собственно говоря, нет почти никакого изображения внутренних переживаний человека, что об этих переживаниях мы только догадываемся по внешней ситуации излагаемых у него событий".[1]

„სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსთან, საკუთრივ, თითქმის არა გვაქვს ადამიანის შინაგანი განცდები, რომ ამ განცდების შესახებ ჩვენ მხოლოდ მოცემული მოვლენების გარეგნული სიტუაციების მიხედვით ვხვდებით". ავტორს მოაქვს ასეთი მაგალითი. პარისს უყვარს ელენე, ამის გამო, ამის შესახებ არაფერია ცნობილი.

ჰომეროსის გმირები ძლიერებისა და სილამაზის კულტს იძლევიან. ჰომეროსი, ადამიანს, მიუხედავად მისი ძლიერების, მიწიერი შინაარსით წარმოგვიდგენს, ადამიანური, ზნეობრივი ჩრდილებით. ამ გარემოებას ვიკო იმით ხსნის, რომ მისი გმირები ახლახან არიან წარმოშობილნი გოლიათებისაგან: „გმირები, გიგანტებისაგან არც თუ ისე დიდი ხნის წინათ წარმოშობის შედეგად, იყვნენ უმაღლესი ხარისხით უხეში და ველურები უაღრესად სუსტი გონიერებით, შეუზღუდავი ფანტაზიით, მძვინვარე ვნებებით: ყოველივე ამის გამო ისინი იყვნენ უკულტურონი, უმწიფარნი, მკაცრნი. ველური, დიდგული, მომთხოვნი და ჯიუტნი თავიანთ საქმეში. ამავე რეფლექსიის ნაკლოვანებისა გამო ისინი იყვნენ უეშმაკო, სულგრძელი და კეთილშობილნი, როგორადაც აგვიწერს ჰომეროსი აქილევსს, საბერძნეთის გმირთაგან უდიდესს".[2]

ეპოსის ამგვარი განსაზღვრება მაინც სასტიკი ჩანს, მით უმეტეს ჰომეროსთან. ლირიზმის არსებობა ეპოსში უსათუოდ შეინიშნება და განსაკუთრებით ეპიკურ-დრამატულ პოეზიაში. გავიხსენოთ ასეთი ეპიზოდი.

როდესაც აპოლონის ჭურუმმა ქრიზემ, აპოლონის წყალობით, მოახერხა თავისი ქალიშვილის ქრიზეიდას დაბრუნება, რომელიც

---

1 Лосев, Гомер, 1960, стр. 145.

2 Вико, დასახ. წიგნი, გვ. 307.

აგამემნონის ტყვე იყო, ამ უკანასკნელმა /აგამემნონმა/ ხარკის განაწილების დროს ნადავლად რგებული ბრიზეიდა მოითხოვა აქილევსისაგან. როგორც სარდალმა, მან ეს შესძლო კიდეც. აქილევსი ზღვის პირად მიდის, თავის დედას უხმობს და თან გულაჩვილებული ტირის. მოსთქვამს თავის უბედურებაზე; პერსონაჟის განცდების მოყოლით ეს ეპიზოდი ერთი უშესანიშნავესი ლირიკული ეპიზოდია ამ ნაწარმოებში.

ეპოსის ღირსებაა, მისი მონუმენტურობა. „მონუმენტუმ" ქანდაკებას ნიშნავს. ეპოსის მონუმენტურობა იმ სიმშვიდესა და ამაღლებულობას გულისხმობს, სადაც ყოველი წვრილმანი სიდიადითაა გადმოცემული. ჰომეროსი და ვაჟა, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში შენიშნულნი არიან, როგორც საგმირო ეპოსის წარმომადგენელნი. „როდესაც ლაპარაკობენ ჰომეროსის გმირების მონუმენტულობაზე, მხედველობაშია მათი არა მაღალი მორალი, მათი კეთილსინდისიერება, მორცხვობა და სხვ. ქრისტიანული კეთილქმედებანი, არამედ მათი ლამაზი აგებულება, გოლიათური ძალ-ღონე და სულიერი სიმტკიცე. ჰომერული მონუმენტალობა ეს დიდება და ძალაა დიდი ადამიანისა, მთლიანად მიწიერი და მიწიერებისადმი ერთგული".[1]

რამდენადმე მსგავსებაა ვაჟასეული გმირის მონუმენტურობასთან, მაგრამ აქ ფიზიკური სიძლიერე და სილამაზე ეთიკური ნიშნითაა ღირებული. ამა თუ იმ მწერალთა შორის მსგავსების შემჩნევა მკითხველს უადვილებდა კომპოზიციურ-სიუჟეტური რეალიების საშუალებით. მკვლევარნიც ადვილად ართმევენ თავს პარალელების ამგვარ გადმოცემას, რადგან სიუჟეტური თანამთხვევის შენიშვნა მარტივია.

1. დიდი ნგრევა მოჰყვა ილიონის აღებას. არ იქნა და ვერ აიღეს. აქაველებმა გაანადგურეს თავიანთი ბანაკი, ჩასხდნენ ხომალდებში და დასტოვეს უზარმაზარი, ხისაგან დამზადებული ცხენი. ტროელების სიხარულს საზღვარი არა აქვს. ზეიმით შეიყვანეს ხის ცხენი ქალაქში. ღამით, როდესაც ზეიმისაგან მოქანცულ ტროელებს ტკბილად ეძინათ, ცხენიდან მხედარნი გამოსხდნენ, უკან მობრუნებულ აქაველთ ციხის კარები გაუღეს და... დაეცა მრავალმგადახდილი ილიონი. აქაველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა, აგამემნონის მეთაურობით და მირმიდონელი აქილევსის თანამონაწილეობით გაიმარჯვა.

2. დიდი ხანია თათრები სხედან ციხე ბახტრიონს. თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარი ერთიანდება ზეზვა გაფრინდაულისა და ბერი ლუხუმის მეთაურობით. ძნელია ციხის პირდაპირ აღება. მათაც ხერხს მიმართეს. კვირიამ ლელა თურქმანთ მეთაურს წარუდგინა

1 Лосев, Гомер, стр. 162.

როგორც ძღვენი, თვითონ კი, მოძმეთ ციხის კარები გაუღო. შიგნიდან დაეცა ბახტრიონიც.

ამბავთა შემხვედრი ხაზები შეიძლება მათი შემოქმედების მსგავსებას კიდევ უფრო ნათელს ხდიდეს.

არისტოტელი ჰომეროსის მაგალითზე აყალიბებდა რა ეპოსის კონცეფციას, იგი საგმირო ეპოსის შესახებ მიუთითებდა, რომ მან უნდა აღწეროს არა მთელი ბრძოლის ისტორია, არამედ რომელიმე ეპიზოდში გააცოცხლოს ამ ისტორიული პროცესის მთლიანი სახე".[1]

ჰომეროსი – წერს არისტოტელი „ამ მხრივაც ღვთაებრივ მგოსნად მოჩანს სხვებს შორის. მან ტროას ომი თავიდან კი არ დაიწყო, არამედ აიღო ბრძოლის მეათე წელი, რომ გაეცოცხლებია ამ ომის მთლიანი მექანიზმი, ამისათვის ჩაურთო გემების სია, რომელმაც მთელი ეს ისტორია გააცოცხლა. „ბახტრიონის" კომპოზიციაც პირდაპირ პასუხობს ამ პრეტენზიას. კეირიას და სანათას ეპიური დიალოგი აცოცხლებს, ამ ბრძოლის წინარე ისტორიას და მის შედეგს. კომპოზიციური მომენტების მსგავსება სხვა ეპიზოდებშიაც შეიძლება ვიპოვნოთ, რითაც საგმირო ეპოსის უბადლო ანტიკური სახეები ცოცხლდება.

შეიძლება ვიპოვნოთ ღრეობისა და ყოფაცხოვრებითი ცერემონიების ანტიკური სცენების უაღრესად საინტერესო თანხვედრებიც ვაჟას სამყაროსთან, რასაც გარემო აპირობებდა და არა შემოქმედებითი გავლენა. ბუნებისადმი მსგავსი მიმართება, მსგავს პოეტურ სურათებს წარმოშობს.

შთაგრძნობა

საკმაო საფუძველი მოსჩანს შთაგრძნობის თეორიასა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას შორის, რაღაც კავშირზე რომ ვილაპარაკოთ, შთაგრძნობა ნიშნავს ადამიანის მიერ სუბიექტურ გრძნობათა პროეცირებას, გადატანას უსულო მოვლენებში. შთაგრძნობის ფაქტისათვის საზღვრის შემოვლება ძალზე ძნელია. სადაც ადამიანია – იქ შთაგრძნობაცა გვაქვს. ადამიანი, უსულო საგანთა და მოვლენათა შინაარსს მას შემდეგ ამოიკითხავს, როცა გრძნობები საგანში თავის „მე"-ს აამოძრავებენ, როცა მოვლენები თავისი „მე"-ს ენაზე განიცდება.

შთაგრძნობის ფაქტად ზოგადად შეიძლება მივიჩნიოთ მთელი ხელოვნება, რომელიც შთაგრძნობის ფაქტის გამოხატეაა. შთაგრძნობას ახდენს ხელოვნება ქვაში, ბგერებში, ხაზში და ა. შ. მაგრამ შთაგრძნობის საგანგებო და საკუთრივ სფეროდ მაინც ბუნები-

1 არისტოტელი, პოეტიკა, ქართ, გამოცემა, ს. დანელიას თარგმანი, 1944, გვ. 49.

სა და ადამიანის ურთიერთობის კუთხეა მიჩნეული. ეს ნიშნავს იმ კავშირის ხილვის მოთხოვნილებას, რაც შინაგანს, სულიერსა და გარეგანს აკავშირებს ერთმანეთთან. ხელოვნება, თუმცა შესაძლოა განხილული იქნას შთაგრძნობის ფაქტად, მაგრამ იგი იმდენად მრავალმნიშვნელოვანია, რომ შედარებით ნაკლებ მიღებულია ამ სფეროზე შთაგრძნობის ასპექტით ლაპარაკი.

გაადამიანურების ყველაზე საინტერესო ფენომენი ესაა შთაგრძნობა ბუნების მოვლენებში. უსულო საგნებში საკუთრივი შინაარსის ამოკითხვა ნიშნავს, ჯერ შეიტანოს ადამიანმა მასში ასეთი შინაარსი და შემდეგ გამოხატოს იგი.

შთაგრძნობის ფაქტსა და შთაგრძნობის თეორიას ჩვენ შემთხვევით არ განვასხვავებთ. ეს განსხვავება ისედაც ცხადია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში შთაგრძნობის თეორიულ პრინციპს ჩვენ მოქმედ ცნებად ვიყენებთ და მიზანს არ წარმოადგენს, შთაგრძნობის თეორიის განხილვა. ჩვენ გვაინტერესებს შთაგრძნობის ფაქტი, როგორც ასეთი.

მოცემულ შემთხვევაში საკითხი გვაინტერესებს გარკვეულ ასპექტით: შთაგრძნობა რეალურ მიმართებაში ჯერ არ ნიშნავს სრულფასოვან ესთეტიკურ მოვლენას. თავისთავად შთაგრძნობა ფსიქოლოგიური მოვლენაა და მას სწორედ ფსიქოლოგია სწავლობს. შთაგრძნობა ესთეტიკური ფაქტი ხდება მხოლოდ ხელოვნების წყალობით, ან მოვლენათადმი ხელოვნებითი მიმართების წყალობით. თავისთავად შთაგრძნობაში ასევე ძევს ესთეტიკური საწყისი, რადგან იგი ფანტაზიით მიემართება მოვლენებისადმი, რასაკვირველია, ფსიქოლოგიური ასპექტით შეიძლება ესთეტიკური შთაგრძნობის შესწავლაც, მაგრამ აქ უკვე იგი არაა საკუთრივ ფსიქოლოგიისათვის შემოფარგლული საგანი.

ე. ი. შთაგრძნობა, როგორც ასეთი, ხელოვნებამ გახადა ესთეტიკურ ფაქტად; განსჯის საგანგებო მასალად კი შთაგრძნობის თეორიამ.

შთაგრძნობის ფაქტი, რასაკვირველია, შთაგრძნობის თეორიამდეც არ დარჩენილა შეუნიშნავი. თუ ტერმინს არ მივიღებთ მხედველობაში, შთაგრძნობის შესახებ საკმაო მინიშნებებს ვპოულობთ ჯერ კიდევ არისტოტელთან. შილერი კი პირდაპირ იძლევა იმ ახსნას, რის ირგელივაც ტრიალებს შთაგრძნობის თეორია და პრინციპულად განსხვავებული არც უთქვამს რა. „გულუბრყვილო და სენტიმენტალურ პოეზიაში იგი წერს: „და მართლაც, რა ასეთი მიმზიდველობაა ცარიელ ყვავილში, ნაკადულში. ხავსით მოკიდებულ ქვაში, ფრინველთა ჟღურტულში, ფუტკართა ბზუილსა და მის მსგავსებაში? ვინ მიანიჭა მათ ჩვენი ასეთი სიყვარული? ნათელი ხდება, რომ საგნები კი არ გვიყვარს ჩვენ მათში, არამედ იდეა, რასაც ისინი წარმოადგენენ. ჩვენ მათში გვიყვარს მშვიდობიანი ცხოვრება, წუნარი მოქმე-

დება ჩვენგანვე, უოფიერება გარდაუვალი კანონებით, შინაგანი აუცილებლობა, მარადიული თანხმობა".[1]

ამჯერად შემოვიფარგლებით შთაგრძნობის თეორიის ლიპსისეული ინტერპრეტაციით, რათა უკეთ მოვიმარჯვოთ შთაგრძნობის ფაქტისაკენ მიმავალი ცნება. ლიპსს ჩვენ ესთეტიკურ ლიტერატურაში ვიცნობთ, როგორც სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენელს, რომელსაც სუბსტანცია ცნობიერებაზე, „მე"-ზე, ტრანსცენდენტალურ სუბიექტზე დაჰყავს. ე. ი. ძირითადად გნოსეოლოგიურ-ფსიქოლოგიური პლანით. მოცემულ შემთხვევაში კი ჩვენ გვაინტერესებს, სახელდობრ, ესთეტიკის შინაგან სტიქიაში. ლიპსი შთაგრძნობას განმარტავს ისევე, როგორც ჩვენ საზოგადოდ ვიცნობთ შთაგრძნობას: „შთაგრძნობა საერთოდ - წერს იგი, არის ის, რომ მე ვგრძნობ „მე"-ს მაგრამ მე შემიძლია „მე"-ს გრძნობა ათასგვარ არსებაში. მე ვგრძნობ „მე"-ს საერთოდ, ყოველ გრძნობაში".[2]

ლიპსს არც ობიექტის თვითღირებულება ავიწყდება: „ესთეტიკური ღირებულება მხოლოდ ჩემი თვითშეგრძნება კი არ არის, არამედ ისაა, საგანი, ყოველთვის ღირებულება ჩემგან განსხვავებულ ობიექტისა".[3]

და შემდეგ: „სწორედ ის, რაც ჩემში ფასობს, ვაფასებ, მე აგრეთვე მსგავს არსებაშიც, თუ მე მას ეპოულობ სხვაში, ძვირფასია ჩემთვის ყველაფერი, რასაც უცხო ინდივიდუუმი წარმოადგენს, ეს ნიშნავს ყოველივე პოზიტიურს მისი არსებიდან". აქ ლიპსი პირველ პირში გულისხმობს არა ემპირიულ მე-ს, არამედ ტრანსცენდენტალურ მე-ს და როცა ამბობს, რომ „ის რაც ჩემში ფასობს", ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გულისხმობდეს, რაც სუბიექტს აწყობს ემპირიული მნიშვნელობით. ამიტომ ჩემში ძვირფასი, ნიშნავს ძვირფასს საყოველთაო აღიარების ნიშნით და არა იმას, რაც მხოლოდ ჩემთვისაა ძვირფასი.

ადამიანის ემოციებს ობიექტი სჭირდება, უობიექტოდ არ მიიღწევა განცდა. ადამიანში არის სიხარულის მოთხოვნილება და მისწრაფება, მაგრამ ამისათვის გარეგანმა ფაქტმა უნდა აამოქმედოს შინაგანი. „მე არ შემიძლია სიხარული მოვისმინო. ეს იგრძნობა, ან განიცდება ჩემში. სიხარული „ძეს" გრძნობადში, რომელსაც მე ვხედავ, ანდა „ვეხები" გრძნობადს, როგორც ვესტს, რომელიც არის სიხარული „გარეთ". ეს არ შეიძლება სხვანაირად იწოდებოდეს, თუ არა ასე: მე ვგრძნობ „მე"-ს ამ ვესტში, ანდა მე ვარ მასში შთაგრძნობილი".[4]

---

1 Шиллер, т. IV, 1902, стр. 369.

2 Lipps, Asthetische Betrachtung und bildende Kunst, II, s. 1.

3 Lipps, Asthetik, I Bd. s. 101.

4 Lipps, II, s. 2.

ლიპსი შთაგრძნობის პროცესს წარმოგვიდგენს არა როგორც სუბიექტის მიერ საგანზე თვითნებურ თავსმოხვევას, არამედ გვიჩვენებს მას საგნის სტრუქტურასა და ადამიანურის საერთო თანხვედრით კანონზომიერებაში. ასე მაგალითად: „ყვავილები ხრიან თავს მზის მხურვალების ქვეშ. და სწორდებიან ისევ თავისუფლად ჩვენს მსგავსად, როცა გამაგრილებელი წვიმა მოდის. ღრუბლების ან ნაკადულის წინსწრაფვა, რასაკვირველია, ისეთია როგორც ჩვენი, მაგრამ ესაა მოძრაობა, რომელიც თვით მათგანვე წარმოშობილად ჩანს. ასეთი მოძრაობა ჩვენთვის გასაგებია მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჩვენთან ვპოულობთ, როგორც მისწრაფებას, სურვილს, მოკლედ, როგორც აქტიურობას"... „ხე შლის ტოტებს, როგორც ჩვენ მკლავებს".[1]

შთაგრძნობისათვის სუბიექტის მიმწერი გრძნობებისათვის შემხვედრი ნიშნები მდიდრდება ცხოველებთან. არც ეს გამორჩენია ლიპსს.

ლიპსის თეორიის დახასიათება და შინაარსის გადმოცემა შორს წაგვიყვანს. იგი ცდილობს შთაგრძნობა მხოლოდ სუბიექტის აქტიობაზე არ დაიყვანოს და ბუნებასთან ადამიანის ემოციურ კავშირებს მეტი საფუძველი მოუნახოს თვით ბუნებასა აზროვნულ მოვლენებში.

შთაგრძნობა და ესთეტიკური ღირებულება.

ამ საკითხით ჩვენ შევეცდებით იმავდროულად შთაგრძნობის, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტის გამიჯვნას ესთეტიკურისაგან, ე. ი. როგორც აღვნიშნეთ, შთაგრძნობა სინამდვილესა და ხელოვნებაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

სიტყვა ღირებულება ჩვენს მსჯელობაში ნახელმძღვანელებია იმ ცნებითი შინაარსით, რაც შემდეგ სტრიქონებშია გამოხატული: „ღირებულება არის ის, რაც ამა თუ იმ ინტერესს პასუხობს ასე თუ ისე და რაიმე სახით. იმისგან დამოკიდებულებით თუ როგორ პასუხობს, გვექნება დადებითი ან უარყოფითი ღირებულებები. იმისგან დამოკიდებულებით თუ რა ინტერესს და რა სახით პასუხობს, გვექნება მატერიალური და სულიერი ღირებულებები. ყოველი მათგანი გარკვეულ სახეებს შეიცავს. მაგალითად, სულიერი ღირებულებებია ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური, პოლიტიკური, გნოსეოლოგიური".[2]

---

1 Lipps, I, s. 163.

2 იხ. ვ. ქვაჩახიას სადოქტორო დისერტაცია, საზოგად. ცნობიერების ფორმათა ურთიერთკავშირი და ესთეტიკური ღირებულების პრობლემა, 1964, გვ. 100.

სულიერი ღირებულების ისეთი სფერო, როგორიცაა ესთეტიკური ღირებულება, ინტერესთა ისეთ განსაკუთრებულ, მაღალ საგანს განეკუთვნება, რომელიც მას მიჰნავს მატერიალური ღირებულების ნიშნისაგან. ეს უწინარესად გამოიხატება იმაში, რომ სუბიექტი მაღლდება კერძო ანგარებით მისწრაფებებზე და მოვლენებში ეძებს რაღაც სხვანაირ, იდეალური ნიშნის პასუხს.

ესთეტიკურად ღირებულია ყოველი ესთეტიკური მოვლენა. ე. ი. ესთეტიკური ღირებულება, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ესთეტიკურ ფენომენს. ამიტომაცაა, რომ ესთეტიკური ღირებულება ხშირად ცვლის ტერმინს მშვენიერება და ესთეტიკის საგნის ახლებური ინტერპრეტაციაც ჩნდება. „ესთეტიკის საგანი, – წერს გაიგერი, არის ესთეტიკური ღირებულება“.

ესთეტიკური ღირებულება ნიშნავს გრძნობადისა /გარეგანის/ და სულიერის, იდეალის, როგორც შინაგანის ურთიერთშესატყვისობას. როცა იდეალი, ადამიანის სულიერი შინაარსი გარეგანი გრძნობებისათვის მისაწვდომი მოვლენებითაა გამოხატული, ეს ნიშნავს ესთეტიკურ ფენომენს. ე. ი. თუ ჩვენ საქმე გვაქვს მშვენიერ მოვლენასთან ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ესთეტიკურ ღირებულებასთან. ე. ი. ესთეტიკური ღირებულება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მშვენიერებას.

ჩვენში გავრცელებულია აზრი, რომ რეალური სინამდვილის დადებითი ემოციების დიდი წილი, სწორედ ესთეტიკურ განცდას მიეკუთვნება. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გრძნობად სინამდვილის მშვენიერებანი არ წარმოადგენს ესთეტიკურად სასრულო ფენომენს, რომ ესთეტიკურის სიზუსტემდე განსაზღვრებას მივყავართ ხელოვნებამდე. მშვენიერება, ნამდვილი აზრით, გვაქვს ხელოვნებაში.

რეალური მიმართება, რეალური ემოციები ნიშნავს გრძნობათა გასაგნობრივებას. ესაა შეგრძნებითი მიმართება ობიექტისადმი. წარმოსახვითი მიმართება კი მოხსნილი საგნობრივი მიმართებაა. იგი თუმცა გრძნობადია, მაგრამ გრძნობების ელასტიური ფორმების, წარმოდგენების მიმართებაა. როდესაც მე უშუალოდ, თვალით, სმენით ან შეხებით მიმართებას ვამყარებ საგანთან, ამ შემთხვევაში ჩემი გრძნობადობა სავსეა თავის შესაძლებლობებში. როდესაც გრძნობის გარეგანი გარსი საგანთან მიმართებაშია, ჩემი გრძნობადი მიმართების აქტიურობა იწვევს ჩემი შინაგანი სულიერი მიმართების გაპასიურებას. მე დაკავებული ვარ ცნობიერების გარე არხის სისავსეობით. როცა ჩემს გრძნობას ესწრება საგანი, საგანი როგორც მძიმე მატერია იჯაჭვავს, იქვემდებარებს მას. მარტივად რომ ვთქვათ,

---

ა. ბოჭორიშვილი, ფენომენოლოგიური ესთეტიკა, 1966, გვ. 6. აქეთკენაა აგრეთვე მსჯელობის კურსი ე. ქვაჩახიას სადოქტორო დისერტაციაშიც.

როცა გრძნობა სავსეა, გონება ცარიელია. ლაპარაკია გრძნობის არა მხოლოდ მაღალ რეგისტრებზე; საგნისადმი გონების მუშაობა ყოველთვის სუსტია თუ ჩვენ გულწრფელად ვეკუთვნით რეალური საგნის უშუალოდ გრძნობას. ამიტომ უშუალო გრძნობითი მიმართება ღარიბია გონებრივი თანამონაწილეობისაგან. საგნობრივად ვპასუხობთ, რადგან სხეულებრივთან სხეულებრივია ჩვენი მიმართება. ფიზიკურს ფიზიკურად აღვიქვამთ, ხოლო სულიერს სულიერად. რასაკვირველია, ფიზიკური აღქმა არ ნიშნავს ამ გამოთქმის გაგებას მყოფი მნიშვნელობით. ლაპარაკია უბრალოდ გრძნობად, გარე პლანზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ჩვენ პეიზაჟის ხილვისას სიამოვნებით ამოვისუნთქავთ, ეს ჯერ კიდევ არაა ესთეტიკური ემოციები, ესთეტიკური სიამოვნება. ესაა პროცესი, რომელშიც ჰარმონიული არაა ფიზიკური და სულიერი. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიცდით ფიზიკურ სიამოვნებას და აზრის ენაზე შეიძლება აღვნიშნოთ, დავახასიათოთ ჩვენი გრძნობადი ემოციები, თუმცა სიამოვნებას ჰგავს და თითქოს უახლოვდება ესთეტიკურ სიამოვნებას, მაგრამ იგი ფსიქიკურ და ფიზიკურ დასვენებაზე აღმოცენებული კმაყოფილებაა ძირითადად.

ჰორიზონტის ხილვა შეათამაშებს ჩემს სულში არსებულ შენახულ მისწრაფებას უსაზღვროებისაკენ. ჩემი აღქმის პერსპექტივების ფრთების გაშლით მე თითქოს ვღებულობ სრულ პასუხს, მაგრამ მომხიბვლელ მთათა აღქმა ყველაზე სასიამოვნოა, როცა აღქმის პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. ესაა დროის ძალიან მცირე მონაკვეთი. სულის სტიქიაა მის მისწრაფებათა ამოძრავება, ქმედებაში მოსვლა და ბუნების ხილვისას ჩვენ სწორედ ასეთნაირად ვართ მიმართულნი, მაგრამ ამ ნიშნით სრულფასოვან პასუხს ვერ ვპოულობთ. როგორც კი აღქმის სტატიკური ობიექტები ამოიწურება, შემდეგ ჩვენში სულიერი მისწრაფება უკან იხევს. თერგი, თუ საზოგადოდ ბუნების დინამიური მოვლენები, სულის შესიტყვებისათვის თითქოს მცირეოდენ ნაბიჯსა დგამს, რათა სულიერ მღელვარებას შეესატყვისებოდეს, ჩვენ გვსურს რაღაცნაირად ბუნების ეს შესანიშნავი ობიექტები სულთან შევათანაბროთ, მაგრამ იქვე ცივდებიან. ამიტომ ადამიანის სული უსიამოვნების მომენტსაც გრძნობს ბუნების პეიზაჟთან ასეთი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობით. მაგრამ სამაგიეროდ სიამოვნების სიმწვავე, გრძნობად ნიშნით, იზრდება რამდენადაც იგი ჩვენს სხეულებრივ მდგომარეობაზე მოქმედებს, სხეულებრივი სიამოვნება უფრო მწვავეა და მკვეთრი გრძნობისათვის, მაგრამ გონებისათვის იგი უშუალო სახით ღარიბია. ყვავილი, ვარდი, ბულბული, შვლის ნუკრი და ა. შ., თითქოს თავისი სიმსუბუქითა და მატერიალური სიტლანქისაგან განტვირთულნი, ისინი თითქოს სულის ნიშანს ატარებენ თავისაში, მაგრამ ეს მხოლოდ მინიშნებაა სულისა და არა მისი სრულყოფილი ხორცშესხმა. ესაა შე-

პასუხება თავისი ერთბაშად სიმარტივით, მაგრამ სულის ღრმა ფორმებისათვის მძიმეა და მარტივი ბუნება.

სუბიექტის თვისებაა იყოს შემოქმედი, თავისუფალი, დაუპირისპიროს ბუნების კანონზომიერებას თავისი შემოქმედება. ამდენად შეუძლებელია ლექსი ბუნების შეგრძნებების პროცესში დაიწეროს. ე. ი. ბუნების განცდის პროცესში, როცა ამ განცდების დახასიათებას ვიძლევით, შესანიშნავადაა ეს მომენტი ნაგრძნობიცა და გაანალიზებულიც გოეთეს „ვილჰელმ მეისტერის განსწავლის წლები"; ქალაქელ ნაცნობთა რიცხვიდან ვიღაც ახალგაზრდა კაცი წიგნით ხელში შევიდა ტყეში. ჩამოჯდა მათთან და დაიწყო ლამაზი მდებარეობის წიგნიერი ხოტბა. მან ყურადღება გაამახვილა ნაკადულის ჩუხჩუხზე, რტოთა რხევაზე, სინათლისა და ჩრდილის თამაშზე, ფრინველთა გალობაზე. ფილინამ გუგულზე დაიწყო სიმღერა, ჩანს მოსული არ მოეწონა, ისიც მალე შეიცვალა.

— ოღონდ კი ნუ გამაგონებ ლაპარაკს ბუნებასა და მის მოვლენებზე! - წამოიძახა ფილინამ, როგორც კი ის წავიდა. - არაფერია იმაზე აუტანელი, ვიდრე წინასწარ ანგარიშის ჩაბარება სიამოვნებებში, რომლითაც სარგებლობ. როცა კარგი ამინდია, მიდიხარ სასეირნოდ, ისევე როგორც ცეკვავ, როცა მუსიკას დაუკრავენ. მაგრამ ვის ჰირდება, თუნდაც ერთი წუთით მუსიკასა ან კარგ ამინდზე ამ დროს ჩაფიქრება?"

თუ ბუნების თანდასწრებით გონება არ პასიურდება, მაშინ საგნები პასიურდება ჩვენი ემოციებისათვის. მაშინ ჩვენ ვწუვეტთ განცდას. რაც შეეხება ფერმწერს, რომელიც ბუნებიდან იწერს, რეალური მიმართების ემოციებს ისიც აუქმებს.

მაშასადამე ბუნებისგან მიღებული, უშუალო ემოციები თუმცა განიყოფებიან უარყოფით და დადებით ემოციებად, მაგრამ ისინი ჯერ არც ერთი არ ნიშნავს ესთეტიკურს. ე. ი. ბუნების თავისთავად ღირებულება განუზომელია, მაგრამ ესთეტიკური ღირებულება მას ობიექტურად არ გააჩნია. იგი აკვანია ყოველი ღირებულებისა და მათ შორის ესთეტიკურისაც, მაგრამ რეალურად ქუჩის ხილვაზე აღმოცენებული სიამოვნება სხვა სიბრტყისაა, ვიდრე ვაჟა-ფშაველას „ქუჩი"-ს განცდა.

რამდენადაც ჩვენ ვამბობთ, რომ შთაგრძნობა ესაა სხვაში ნაგრძნობი „მე", ამდენად შთაგრძნობის არე მოიცავს ადამიანსაც ე. ი. შთაგრძნობის ენაზე შეიძლება მე წავიკითხო ადამიანიც. მაგრამ ესაა შთაგრძნობის უველაზე სუსტი სფერო, როცა „მე"-ს თვითგანსხვისებას ვახდენთ სხვა ადამიანში. შთაგრძნობა ნამდვილად თვალსაჩინო ფაქტია უსულო საგნებში.

როდესაც მე ადამიანში შემაქვს ჩემივე შინაარსი, ჩემი გრძნობების გარკვეულ ფორმად წარმოვიდგენ მას, ეს ნიშნავს, რომ მასში ჩავკლათ სუბიექტი, როგორც ასეთი. მაგრამ ჩვენ ამის ფსიქოლოგი-

ურ უფლებას ვკარგავთ ხოლმე, რადგან ის ჩვენსავე სიბრტყეზე დგას და თვითვე თავისი სუბიექტისეული ნიშნებით გვიპირისპირდება. უპირისპირდება ჩვენს თავს მომხვევ ტენდენციას და თავისიეე ნიშნებით აქეთ გვაესებს ჩვენ. ამასთან ადამიანში ყველაფრის ამოკითხვა შეიძლება. იგი მდიდარია თავისი მონაცემებით. იგი ბუნებას თავის თავში მომენტად შეიცავს. იგია ყველაზე დინამიური და კონცენტრირებული სახე ბუნებისა, ამიტომ ბუნებრივია, რომ სულის მაღალი მისწრაფებანი მხოლოდ ადამიანში პოულობს ისევ განსახიერებას. მართალია, მწერლის ასე ეთქვათ, სუბიექტის დაშლა თავის მოქმედ გმირებად შთაგრძნობასა ჰგავს, მაგრამ იგი ადამიანის ბუნებრივი მონაცემებითაა განპირობებული. მწერლის წარმოსახვა ნასაზრდოებია ადამიანის გარეგანი ნიშნით, წარმოდგენებით, თუ როგორები არიან ისინი თავისთავად.

ძველ პოეზიაში ბუნების მოვლენების ხილვა სხვა საფუძველზე დგას. ვიდრე ახალში. ძველი პოეტის შთაბეჭდილებათა ფენები სწორედაც ბუნების მოვლენათა მოძხიბელელი საგნობრიობითაა ნასაზრდოები. მისთვის ბუნების სახე არის აუცილებელი და პირველი მასალა. მისი წარმოდგენები სხვა არა არის რა. რასაკვირველია, მზის, მთვარის, კოსმოსის, ვარდ-ყვავილთა სილამაზე მათში იმთავითვე მწვაევდაა განცდილი, მაგრამ ისინი არ არიან მონატრებისა და ტრფიალის ისეთი საგანი, როგორადაც ახალ პოეზიაში. რასაკვირველია, აღმოსავლური კულტი ვარდის ყვავილების, ბულბულისა, არაა ბუნების მოვლენების წყურვილით გამოწვეული, ამიტომ რომანტიკული წყურვილი ხანდახან მეტი სიმწვავითაც გარეგნულდება პოეზიაში. თავისთავად ის ფაქტი, რომ ახალი პოეზია, ახალი პოეტი უკვე ბუნების ხოტბაში არა თუ ჩამორჩება, არამედ უსწრებს ძველს, რომელიც თვითონ ბუნებაა, ნიშნავს, რომ რაღაც გარკვეული კანონზომიერება გვაქვს.

ბუნების ნამდვილ გრძნობასთან გვაქვს საქმე ორივე შემთხვევაში. რომანტიკული ტრფიალი ბუნებისადმი გამოწვეულია ხელოვნური ცხოვრების მომჭანცველობისაგან თავის დასაღწევად. ბუნების წიაღი აქ არის დაპირისპირება, რომელიც ერთთავად ხოტბის საგანი ხდება. ამიტომ რომანტიკოსი ბუნებას მთლიანად აღებულ ზნეობისა და სიკეთის იდეალად, მყუდროებად მიიჩნევს. იგი ბუნების სიმარტივეში ეძებს სიწმინდეს, სიკეთეს. ე. ი. ლაპარაკია იმაზე. რომ ქალაქში, დიასახლისის დედაშვილური ალერსი თავისი ქოთნის ყვავილებისადმი ჯერ არ ნიშნავს, რომ მას მეტად უყვარს ბუნება, ვიდრე ყვავილებში გაზრდილ ადამიანს, რომელიც ასეთი საგანგებო ყურადღების საგნად არ აქცევს ყვავილებს. პატრიარქალური სიმარტივე. მარტივი ადამიანი კი მოვლენებს გრძნობს, მაგრამ გამოხატვის არც ისეთი მდიდარი გონებრივი აპარატი გააჩნია. „გრძნობა, რომელზედაც აქ ლაპარაკია, არ არის გრძნობა, რომელიც გააჩნდათ ძველებს.

ეს უფრო ის გრძნობაა, რომელსაც ჩვენ ჩვენში ვამჩნევთ ძველებისადმი დამოკიდებულებაში. ისინი გრძნობდნენ ბუნებრივად; ჩვენ ვგრძნობთ ბუნებრივს. უეჭველია, სრულიად სხვა გრძნობა ავსებდა ჰომეროსის გულს, როდესაც ის თავის ღვთაებრივ მეღორეს ოდისევსისათვის მასპინძლობას გააწევინებს, ვიდრე ის გრძნობა, რომელიც ახალგაზრდა ვერტერს დაუფლებოდა მოსაწყენ სტუმრობიდან საღამოობით დაბრუნებულს, როცა ის ამ სიმღერას კითხულობდა. ჩვენი გრძნობა, ბუნებისადმი დამოკიდებულების მიხედვით, არის ლაშქრობა ავადმყოფ გრძნობაზე, ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულების მიხედვით".[1]

მაშასადამე, ერთია ბუნების ნაკლოვანებაზე აღმოცენებული ბუნების სიყვარული და მეორეა მისი სიჭარბე, როცა ბუნების სილამაზე ერთგვარად აუცილებელ მოვლენადაა ნაგულისხმევი და არა სანატრელად, ამიტომაა, რომ ბუნების წიაღში გაზრდილი ადამიანი, განსაკუთრებით მაშინ გრძნობს თავისი ბუნებისადმი სიყვარულსა და მიჯაჭვულობას, როცა მას აშორებენ. ამიტომ, ბუნებრივია, შთაგრძნობა სხვადასხვაგვარია ძველსა და ახალ პოეზიაში. ძირითადად ბუნება ძველ პოეზიაში წარმოსდგება ყველგან და ყველაფერში, მაგრამ იგი არაა ხაზგასმული ბუნება როგორც საგანგებო საგანი, აქ თვით ბუნების თვალითაა ბუნება დანახული. არც ბუნების განმხილველ-შემფასებელი ჰიმნების ისეთი სიჭარბე გვაქვს, როგორც ახალში. ახალი პოეზია უფრო ხელოვნურ, ფაქიზ ტენდენციას იკავებს, უფრო მიაწერს ბუნებას და სილამაზის აზრს, და აშორებს მას პროზაულ მხარეს, თავის თვითმყოფად უხეშ მხარესაც. ბუნებას იგი ლაქვარდოვან ფერებში სახავს.

ძალიან ძნელია მყარი კანონზომიერებით იქნას გამიჯნული ბუნების ძველებური და ახლებური განცდა. ამასთან საინტერესოა, აგრეთვე, ბუნების აღმოსავლური და დასავლური განცდის დაპირისპირება. აღმოსავლური სული, რომელიც ბუნების სულს გამოხატავს და მთლიანად ეფლობა მასში, ბუნებისადმი უშუალო დამოკიდებულებაშია. თუ ელინებზე ამბობენ, რომ მათ ბუნების განცდა არა აქვთ, აღმოსავლეთში შაკუნტალა მცენარეებს ეალერსება, როგორც საკუთარ დებს. არაბი პოეტი კაისი სიყვარულით აღწერს ვირისა და აქლემის თვალებს. მაგრამ აღმოსავლეთს, გარდა იგავური ფორმისა, არ მოუცია ბუნების მოვლენების პროზაულ პერსონაჟებად ქცევის ნაწარმოები. ასეთი რამ, ბუნების მოვლენების გაშინაარსება და წარმოსახვის სიბრტყეზე მისი დიდხანს შენარჩუნება დასავლეთისათვის ბუნებისადმი სულის დაპირისპირების სამყაროშია შესაძლებელი. მართალია, ანდერსენი ახერხებს აცეკვოს ყვავილები, ალაპარაკოს, აცინოს და შეამკოს ადამიანური ნიშანთვისებებით, მაგრამ

1 შილერი, დასახ. შრომა, გვ. 377.

იგი გონების დახვეწით, ადამიანის ახლებური შთაგრძნობის, ინტელექტუალიზირებული შთაგრძნობის პასუხია. ამიტომ ბუნების მოვლენებისადმი იმ თვითღირებულების მინიჭება რაც უშუალო აღმოსაელური პოეტური განცდებისათვისაა დამახასიათებელი, აქ არ შეიძლება გვქონდეს. ბუნების ამ აღმოსაელურ-დასაელური განცდის საკვირველი სინთეზი, შეუდარებელი სიმაღლით, თავისებურებით მხოლოდ ვაჟასთან გვხვდება.

ძველ პოეზიაში შთაგრძნობა გვაქვს ობიექტივირებული სახით. ძველი პოეტი გვაჩვენებს უწინარეს ადამიანის გარეგნობისა და ბუნების მოვლენის სინთეზირებას, როცა ისინი ერთმანეთს ასურათებენ. წარმოდგენა ბუნებასთან საერთო ნიშნის მქონე ადამიანისა, თავისთავად გულისხმობს გარკვეულ სულიერ შინაარსს. ადამიანის მოძრაობასა ან აღნაგობას შორის მსგავსების საერთო ფუძის პოვნა, ეს კავშირის ხილვაა; იგი ნამდვილი პოეტური ინტუიციის მიერ პოვნილი რაღაც კავშირია, რასაც არისტოტელი მეტაფორას უწოდებს:

„ღვლეს ჩავიდა მწუხარი,
ვარდი, ვარდის ფერითი ნაბანი".

/ვაჟა/

თვალსახილველია აქ ადამიანურიცა და ბუნებრივიც.

ძველი ადამიანის ერთ ერთ ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს სიმკაცრე, შეუბრალებლობა, უხეშობა; თავისი მრწამსის განხორციელებისადმი სწრაფვაში სიმტკიცე და შეუვალობა. რასაკვირველია, სრულიად სხვაა მისი მიმართება ბუნების საგნებისადმი, ვიდრე ჩვენი. ძველი ადამიანი საგნებს უყურებს, როგორც ბუნების მასალას, რომელიც მის განკარგულებაშია. არავითარ ხელის თრთოლვას არ განიცდის იგი შვლის ნუკრისა, თუ მწყერის მოკვლისას. ცნობილია, რომ ცივილიზებულ კაცს უჭირს ქათმის დაკვლა. ეს ფაქტი ერთის შეხედვით გვეუბნება, რომ აქ ცივილიზებული ადამიანის პოზიცია უფრო ზნეობრივია და კეთილშობილი. ეჭვი არ არის რომ, ეს გულჩვილობისა და სიფაქიზის მომასწავებელია, მაგრამ შეიძლება სრულიადაც არ ნიშნავდეს სიკეთეს. როდესაც ცხოველის დაკვლაზე კაცს გული მისდის, ეს ნიშნავს, რომ იგი თავის „მე"-ს, თავისთავს განიცდის მასში. სიკვდილს განიცდის საგანში თავისი „მე"-თი. ამიტომ ასეთი გულჩვილობა თვითშენახვის მისწრაფებაა. „უკვე ყველა გრძნობს საკუთარ თავზე ცულის პირს, მე რომ თავსა მკვეთავენ" /მარგარიტას სიტყვები „ფაუსტიდან"/. ყოველივე ეს მიუთითებს ადამიანის თავის თავში ჩაღრმავებაზე. ძველი ადამიანი სამყაროს ეკუთვნის, ასე ხედავს და გრძნობს იგი თავის თავს. ახალისათვის კი სამყარო საინტერესოა, როგორც მისი მოპასუხე. ძველი ადამიანი მოქმედებს პრინციპით, – როგორ ვპასუხობ მე სინამდვილეს, ახალი ადამიანი კი ესწრაფვის, სინამდვილე თავის მოპასუხედ გაიხადოს.

ამდენად ახალი ადამიანის შთაგრძნობა ბუნების თავისაკენ ლტოლვაში ხასიათდება. კიდევ მეტი, ცივილიზებული ადამიანი ერთგვარად ადამიანისაგან არ განასხვავებს ცხოველისადმი და მცენარისადმი სიფაქიზეს. „სულდგმულთა რიგებს ჩემს წინაშე გამოატარებ და შენვე მაცნობ და მანახებ ჩემს ნამდვილ ძმებსა და მდუმარე ბუჩქში, ჰაერში და მდინარე-წყლებში“. /გოეთე „ფაუსტი“/. მე ვცოცხლობ ადამიანებში. მე ვცოცხლობ ჩემს არსების გარეთაც. შეუძლებელია ისეთი ეგოისტის წარმოდგენა, რომელსაც განუსაზღვრელად მეტ საშინელებად არ წარმოუდგებოდეს მასთან ერთად კაცობრიობის, გარემომცველი ბუნების მოსპობა. რადგან ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ქვეცნობიერი გრძნობებით სიცოცხლეს იმ ბუნებისა და საზოგადოების გარემოცვაში, რაც ჩვენი ცხოვრების ასეთი თუ ისეთი მემატიანე იყო. ჩვენს „მე“-ს ინახავს არა მხოლოდ ადამიანთა ჩემი გარემოცვა, არამედ ბუნება, რომელთანაც მე შეზრდილი ვარ, რომელიც ჩემი გრძნობების მემატიანე და მაფორმირებელია. თუ შინაარსისაგან ცარიელი არაა ის სიტყვა, რომ ადამიანი მიკროსმოსია, მაშინ მართლაც ჩემში არის სამყაროს მიკროსურათი. ჩემს სამყაროსთან მჭიდრო ერთიანობის საზღვრებს ვაფართოვებ მე უსულო საგნებითაც. მე ვცოცხლობ ყვავილებსა და მთებში. სამყარო ჩემთვის ყვავილებსა და ყოველ მის ნაკვეთში თავის გულგრილი დამოუკიდებლობის სიცივისაგან ღღვება და ჩემთან საერთო ენას პოულობს.

რამდენადაც შთაგრძნობა გულისხმობს სიცოცხლის გრძნობას მოვლენებში, იგი თითქოს უნდა იფარგლებოდეს ცოცხალი ბუნებით. რამდენადაც იგი თავს ახვევს ცოცხალ მოვლენებს ადამიანური სიცოცხლის გამოხატვის ფორმებს, ამდენად უსიცოცხლო და გრანდიოზული მოვლენები სიყვარულისა და, ასე ვთქვათ, საალერსო გრძნობების გამოსახატავად ნაკლებ ხელსაყრელნი არიან.

ბუნების გრანდიოზული მოვლენები ადამიანი სუბიექტის შინაარსიდან ძალის ატრიბუტების ასოციაციის წყაროა. ამაღლებულ განცდასთან გვაქვს საქმე, როცა მოვლენები ჩვენი აღქმის პერსპექტივებს ამოსწურავს – თვალუწვდენი ზღვა, ცადაწვდილი მთები და უდაბნოს უნაპირო სივრცე ჩვენი მხედველობითი აღქმის სისრულეს ნიშნავს, საგანთა მათემატიკური აღმატებულებაა ჩემზე, მე ერთგვარ შიშსა მგვრის და თითქოს პირველად ხელს მკრავს თავისი სიშორითა და გულციობით. ისინი შეუბრალებელნი ჩანან; თითქოს არ სურთ მიგრძნონ მე. ამიტომ მოვლენები მეტაფორებში სინთეზირდებიან ძალისა და მრისხანების განსასახიერებლად.

კლდეთა სიცივე, მყინვარის გრანდიოზულობა მე მიჩენს გრძნობებს, რომლებსაც ვაფორმებ სიტყვებად „გულციობა“, „მიუკარებლობა“ და ა. შ. ამ აბსტრაქტულ თვისებებს პოეტი თავის შესაბამის კონკრეტულ ფორმებს უძებნის.

ადამიანისა და ბუნების ნათესაური კავშირი, საერთო ძირი, სითბო, თითქოს წყდება არაორგანულ მოვლენებთან. მთებისა და სიპი კლდეების ხილვას უკვე გამოცნობის ინტერესი აქვს და არა სიყვარულზე აღმოცენებული შინაგანი მიზიდულობა.

სიცოცხლის ეს გრადაცია ჰეგელთან ამგვარად გვაქვს წარმოდგენილი. მეტალის ნაჭერი, არაორგანული ბუნება სრულიად თავისუფალია სულიერის ნიშნისაგან. მცენარეები თითქოს შეეცადნენ იდეის გამოხატვას, მაგრამ მათი ფესვები ძალიან ღრმად წავიდნენ მიწაში. ფრინველთა სტვენა-გალობა თითქოს სულიერის გამოხატვას მიგვანიშნებს, მაგრამ მათი კანი ქერცლითაა და ქერტლითაა დაფარული. მხოლოდ ადამიანის ვარდისფერ კანს ძალუძს განჰოლოს აბსოლუტური იდეის სინათლე.[1]

შთაგრძნობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

როცა პროფესორი ს. დანელია წერს, რომ ვაჟას ნაწერები ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა იმ ნაწერებს მოგვაგონებს, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათო, ეტყობა ამ აზრში უფრო ღრმად ჰეშმარიტებაა ნაგულისხმევი, ვიდრე ეს თვით სტრიქონებმა მოგვიტანეს. ბუნების სურათების გადმოხატვა პოეტისაგან იშვიათი ფაქტი როდია, მაგრამ ვაჟა-ფშაველას მოთხრობების სათაურები რომ ჩამოვთვალოთ, ენახავთ, რომ არ დაუტოვებია ბუნების ასე თუ ისე მეტ-ნაკლები წარმომადგენელი. ამიტომ ეს რაოდენობრივი სიუხვეც, ეს ამომწურავობა ერთგვარ სისტემასა ჰგავს, უფრო სწორედ ბუნების ფილოსოფიის პარალელს.

შთაგრძნობა ვაჟას შემოქმედების პრაქტიკაა. შთაგრძნობილია მთელი ბუნება ვაჟასთან. შთაგრძნობის ფაქტია ვაჟას შემოქმედება, მაგრამ თვით შთაგრძნობა, როგორც ასეთი, საგანგებო თემად ვაჟამ გაიხადა თავის „გველის მჭამელში".

სიფაქიზე შეიძლება მცენარეთა და ცხოველთა მიმართაც გამოვლინდეს. გიორგი მცირე გიორგი ათონელის შესახებ წერს, რომ „ხოლო ღვთის მსგავსი მოწყალება ესე არს, რათა კაცი არა ხოლო ზიართა ბუნებისა თავისითა სწყალობდეს, არამედ, რათ პირუტყვთაცა ზედა მისწუდეს მოწყალებითა ვითარცა ესე წმინდა და საკირველი მამა ჩუენი, რომელმან იგი მის შორის ღუთივ ბრწყინვალედ გამოაჩინა".[2]

მინდიამ გააფართოვა მოყვასის ცნება და იგი ადამიანიდან ბუნებაში გადაიტანა. ასეთი შთაგონების ფაქტი შემთხვევით არ მოუწო-

1 Гегель, т. XII, стр. 150.

2 ათონის იერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901 გვ. 303.

დებია ვაჟასთვის ხალხურ თქმულებას „ხოგაის მინდიას“ შესახებ. აქ საყურადღებო მინდიას სიბრძნის შინაარსი კი არაა, არამედ ის გატაცება და საკვირველი სიჭარბე სიკეთისა და სიყვარულისა, რომელიც ბუნების უსულო მოვლენებს გადასწვდა. უკვე აღინიშნა, რომ თუმცა ძველ პოეზიაში ბუნება ლაპარაკობს და მას არ უპირისპირდება ადამიანი, ხოლო ახალ პოეზიაში პოეტი უფრო მეტად უსვამს ხაზს ბუნებისადმი სიყვარულს, ვიდრე ძველი. ეს უმეტესწილად იმით აიხსნებოდა, რომ ის მობრუნებითი ტრფიალი ბუნებისადმი ადამიანში ბუნების „შიმშილით“ ბუნებასთან დაშორებით იყო გამოწვეული. ვაჟა განსხვავებით ყოველი პოეტისაგან ბუნებრივადაც და ბუნებრივსაც გრძნობს. ე. ი. მინდიამ ბუნებისადმი სიყვარული ამოიკითხა იმის წყალობით, რომ ბუნების საგნები მასავით ცოცხალი არსებებია, ისინიც ისევე უნდა ასახავდნენ გარეშე ზემოქმედებებს, როგორც ადამიანი. აქედან, მინდიამ ტოლი უფლებით დააჯილდოვა ბუნება და წაშალა ადამიანის მჩაგვრელი როლი ბუნებისადმი. ადამიანის ადამიანზე ჩაგვრის უსამართლობა ყველასათვის ცხადი მოვლენაა, მაგრამ როგორ აისახება ეს სტიქია ბუნებისადმი დამოკიდებულებაში ეს არა სჩანს და ეს აღმოაჩინა მინდიამ. ესაა ადამიანის სიკეთის იდეის ზესრულყოფა. ადამიანი, რომელიც სიკეთის განმსახიერებელ, სიმართლის ხმის შემსრულებელ ადამიანს მტრობს, მოსპობას იმსახურებს თვით სიკეთის ერთგულებით. ბოროტი ადამიანი უნდა მოკვდეს, კეთილი ყვავილი კი არა.

ვაჟას პოეტური პროზა

აღნიშვნა იმისა, რომ ვაჟამ პოეზიისათვის ერთგვარად უჩვეულო მასალა, უსულო მოვლენები გაიხადა გამოსახვის საგნად, ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება მისი შეოქმედების ორიგინალობის შესახებ. ამგვარი მოვლენა პროზისათვის მაინც არ წარმოადგენს განსაკუთრებულ იშვიათობას. როდესაც წარმოდგენები საზრდოობენ ბუნების მოვლენებით, თითქოსდა უცნაური მიზეზით, განცდის საგანია არა თვით ჰვრეტის ობიექტი, არამედ ის, რაც მასში ლაპარაკობს ადამიანის სახით. ვაჟამ კი ბუნების საგანი არა მარტო ფანტაზიის მჭვრეტელობის მასალად აქცია, არამედ იგი გაგვითანაბრა, როგორც პერსონაჟი და ზნეობრივი ერთეული.

მრავალი მწერლის შემოქმედებითი მისწრაფება, უსულო საგანთა თვალით დაგვანახონ ადამიანური ცხოვრება, ერთის შეხედვით, თითქოს ვაჟას პროზის ორიგინალობას უნდა უწევდეს მეტოქეობას. ასეთია მაგალითად, ლევ ტოლსტოის „Холстомер“-ი, სადაც ამლაყი ლაფშას ენით მწერალი გადმოგვიშლის ღრმა სოციალურ პრობლე-

მებს.[1] აღსანიშნავია, რომ აქაც თავს იჩენს ტოლსტოისეული სიმდიდრე წარმოდგენებისა. ტოლსტოის ყურადღების გარეშე არ დარჩენია არავითარი წვრილმანი, რასაც კი დაკვირვებისათვის ღირებულება გააჩნია ამ ცნობიერებას მოკლებული არსების თვალნათლივი სისრულით წარმოდგენისათვის. მაგრამ საგანი მაინც ვერ იქცევა განცდის ცენტრად. ის, უწინარესად, დაკვირვებისათვის საინტერესო მასალას წარმოგვიდგენს. მას რაღაც მეტი მიეწერება, ვიდრე შეუძლია აიტანოს და საკუთარი საწყისი ნიშნებით შეითვისოს.

უსულო საგნები შეიძლება წაკითხული იქნას ზნეობრივი ნიშნების ენაზე, მაგრამ ისინი ვეღარ უძლებენ ინტელექტუალიზაციას რადგან აზრის, როგორც ბუნების საპირისპირო თვისებისათვის შემხვედრი საწყისი მათ არ გააჩნიათ. ისინი აზრის, როგორც ასეთის საწინააღმდეგო ბუნებისანი არიან. ინტელექტუალური ინტერესების პასუხის დაკისრების შემთხვევაში ისინი რჩებიან, როგორც ინსტრუმენტები და დაკვირვების მასალა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გონებრივი მიმართებით ვჭვრეტთ საგანს, რომელსაც პასიურ თანამგზავრობას უწევს გრძნობის მომენტი. მაგრამ, როცა უსულო საგანი ესთეტიკური ობიექტია, როგორც ვაჟასთან, მაშინ ჩვენი ემოციები მთლიანად საგანს ეკუთვნის და ფართო ასპარეზი აქვს გულს. ამლაყი ლაფშა კი თავისთვის რჩება, როცა მისგან ასეთი, ინტელექტუალიზირებული შინაარსი მოდის: „ადამიანები ესწრაფვიან ცხოვრებაში, მოგვითხრობს იგი, არა იმას, რომ აკეთონ ის, რასაც ისინი საუკეთესოდ მიიჩნევენ, არამედ რაც შეიძლება ბევრ საგანს უწოდონ თავიანთი საკუთრების სახელი. მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ესაა ჩვენი არსებითი განმასხვავებელი ადამიანებისაგან. ამიტომ, თუ არაფერს ვიტყვით, სხვა ჩვენს უპირატესობაზე ადამიანების წინაშე, ჩვენ თუნდაც ამ ერთი მიზეზითაც, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ცოცხალ არსებათა საფეხურზე უფრო მაღლა ვდგევართ, ვიდრე ადამიანები: ადამიანების მოღვაწეობა, ყოველ შემთხვევაში იმათი, რომლებთანაც მე დამოკიდებულებაში ვყოფილვარ, ნახელმძღვანელებია სიტყვებით, ჩვენი კი საქმით“.

„ადამიანებს ჩემზე ეგონათ, რომ მე არც ღმერთს ვეკუთვნოდი, არც თავის თავს, როგორც ეს ნიშანდობლივია ყოველი ცოცხალისათვის".

ვაჟა-ფშაველას პროზამ გადასინჯა ადამიანის გაბატონებული უფლება ბუნებაზე. მან სიცოცხლის აზრის ფაქტიური განსახიერების წინაშე დაგვაყენა და გვიჩვენა, რომ სიცოცხლე ისეთივე უფლებით ვლინდება ცნობიერებას მოკლებულ მოვლენებში, როგორც ადამიანში. ამდენად გემართებს სიფაქიზე სიცოცხლისადმი საზოგადოდ,

1 შეადარეთ გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ; 1957, გვ. 226-227.

რადგან შეგნებული გვაქვს სიცოცხლის ღირებულება. სიცოცხლე. როგორც ბუნების კანონი, მხოლოდ ბუნებასვე შეუძლია უფლებამოსილებით გააუქმოს საგნებში და ახალ-ახალი რგოლებით გააგრძელოს სიცოცხლის მარადიულმა ჯაჭვედმა თავისი გზა.

ბუნების ცოცხალ არსებათ ჰყავთ ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც სიკეთის აზრის პირდაპირ პასუხს განასახიერებენ და რომლებიც სიცოცხლის აზრის წინაშე უფრო პირნათელი არიან, ვიდრე თვით ადამიანი. ვაჟამ ეს გვიჩვენა „შვლის ნუკრის ნაამბობით“. საყოველთაოდ მისაწვდომია ის ფაქტი, რომ ვაჟამ გაგვიადამიანურა უსულო ბუნება. რომ მან რაღაც განსაკუთრებულად საერთო ენა გამონახა ბუნებასთან. ამ ფაქტმა ერთგვარი სიძნელეც შექმნა გაგების თვალსაზრისით. შეინიშნება მორიდების ტენდენცია ჩვენი ემოციების შინაარსი, ვთქვათ, სახელდობრ შვლის ნუკრის წარმოდგენას ეკუთვნოდეს; ნაწარმოების მთელი ღირსება ვეძიოთ იმაში, რომ ადამიანურ, დედაშვილურ გრძნობებს გვიხატავს ვაჟა-ფშაველა. საქმე ისაა, რომ ჩვენში აღძრული ის წმინდა გრძნობები, რის ღირსადაც ჩვეულებრივ შემთხვევაში ადამიანს თუ გაეხდიდით, სახელდობრ, ბუნების ამ ქმნილებისაა. იგია ესთეტიკური ფაქტი და არა ილუზია. ვაჟამ შვლის ნუკრი ჩვენს თანაბარ სიბრტყეზე დააყენა და წარმოგვიდგინა იგი როგორც სრულუფლებიანი პერსონაჟი. რაც შეეხება იმას, რომ შვლის ნუკრის წარმოდგენა იწვევს სიცოცხლის იერარქიულ კიბეზე ადამიანთან შედარებით დაბეჩავებულ მდგომარეობის გრძნობას, რადგან მას სატკივარის თავისსავე არსებიდან გატანა არ შეუძლია, მოცემულ შემთხვევაში, ეს მომენტი კიდევ მეტი თანაგრძნობის ესთეტიკური პირობაა. მაგრამ ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს წარმოსახვის საგნისადმი გულწრფელობა. წარმოსახვა, თუ შეიძლება ითქვას, თავს დასტრიალებს შვლის ნუკრის ბედს. მთელი გარემოც სწორედ საგნის მდგომარეობის დასურათებისათვისაა მოხმობილი. საგნისადმი ასეთი გულწრფელობისა, რწმენისა გამო არის ვაჟას პროზა საზოგადოდ ობიექტივირებული ლირიკა. ამდენად აქ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების საილუსტრაციოდ არაა მოხმობილი ბუნების საგნები. ისინი გვიზიდავენ საკუთარი ცხოვრებით. რასაკვირველია, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მსგავსი მომენტის დაპირით ვაჟა ჩვენსავე ცხოვრებასაც გვაჩვენებს. ამ შემთხვევაში ვაჟას პროზა იჩემებს ორიგინალურ თვისებებს, რომ მან ფაქიზი, ზნეობრივი სიყვარულის ახალი ობიექტები გაგვიჩინა ბუნების უსულო მოვლენების სახით. ამიტომ შვლის ნუკრს ეკუთვნის ის სიტყვები, რომელსაც ის მოგვითხრობს, მაგალითად დედის დაღუპვის შესახებ: „საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში. დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გა-

მოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხელებზე. ვაჰმე, სულ ცხადლივ ეხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?!.. ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს. დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ვეღარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!“

როგორც ვხედავთ, ვაჟამ ერთგვარად დანაშაულის ფორმით გვიჩვენა ადამიანის საქციელი ბუნების ქმნილებისადმი, რომელიც სიცოცხლეს, როგორც სიკეთის განსახიერებას, ართმევს მას, რის წართმევის უფლება ღვერთს გააჩნია. მაგრამ თვით ბუნების კანონზომიერებაშიც გვიჩვენა ვაჟამ ულმობლობა თავის შობილთა მიმართ. რაკი ბუნებამ სიცოცხლე ჩაასახლა საგნებში და მათ მიანიჭა სიცოცხლით ტკბობის ძალა, გულგრილად ვერცერთი არსება ვერ შეხვდება სიცოცხლესთან სავალდებულო განშორების კანონს. ეს საყოველთაო უბედურება ერთს ბედს ქვეშ გვაყენებს ადამიანებსა და მცენარეებსაც. ამ კანონზომიერების გრძნობით ვაჟამ ბუნებასთან ნათესაობის გრძნობები გამოგვიფხიზლა, რაც მან ყველაზე ნათლად „ხმელი წიფლით“ გვითხრა: „საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბეერით მაღლა ასცილებოდა და თავისის დიდრონის ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს. მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზედ ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას. ეხლა კი სულთმაბრძოლს დაჰფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიმზადული. ტანზე რამდენსამე ადგილს საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს“.

ბუნების მრავალფეროვან სამყაროში ვაჟამ გარკვეული ადგილი მიუჩინა იმ ქმნილებებს, რომლებიც თითქოს და მხოლოდ სილამაზისა და სიტურფის საგანგებო განმსაზიერებლად არიან შექმნილნი. ესაა, ასე ვთქვათ, ესთეტიკური კუთხე ბუნებისა. ასეთებია ვაჟასეული ია, ქუჩი, ბულბული და ა. შ.

„უღრანს ტყეში მოსული ვარ, – გვიამბობს ია, მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს, გულხავსიანს კლდესა. სუნნელებას მივაფრქვევ არემარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამჰალს ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უპირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ“. /„ია“/.

ასეთივე მიამიტი და უფაქიზესი ხილვით გადმოგვიშალა ვაჟამ ქუჩისა და პირიმზეს ტრფიალი. ქუჩი, კლდის შვილი, ობოლი, შორიდან შესტრფის გარშემო მოვლენებს და ყველას ხვედრს იზია-

რებს. ყველაფერს ფაქიზი თვალით უყურებს და ჩვენ გვიბრუნებს გულუბრყვილობის ყველაზე წმინდა მდგომარეობას.

ვაჟამ მძლავრი ფანტაზიით კლდეთა გულშიაც ჩაიხედა და ყველაფერი სიყვარულისა და ერთიანობის გრძნობით გაათბო. პროზისათვის კლდის წარმოდგენები ღარიბია, რათა იგი ფანტაზიის დიდ სიბრტყეზე ამოძრავდეს, მაგრამ ვაჟამ მოგვცა სურათი ყოველგვარი შთაბეჭდილებისა, რაც კი შეიძლება ბუნების ამ მოვლენის ხილვამ გაუჩინოს ადამიანს. „ხანდახან კლდე ოხრავს, ალბათ, დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა; – გვიამბობს ქუჩი, – იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჰქრა-ქუხოლით თავზე დაგვეცემა ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც ტირის. მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავის დახოცილ შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალწინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიდამ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია ერთი-ერთმანეთზედ, კლდის ძუძუთაგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი“. /„ქუჩი“/.

წარმოსახვის შეუპოვრობის ნიმუშს წარმოადგენს ვაჟას „მთანი მაღალნი“. ვაჟა თითქოს ვერ იტანს ბუნების მოვლენათა გასაიდუმლოებულ თავისთავადობას და ყველაფერს ხილვად, სინათლედ წარმოგვიდგენს. „იდგნენ და ელოდენ, უსაზღვროა მთების მოლოდინი. უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში. წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულმკერდში. გარეთ სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა შტერობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა: ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის“. /„მთანი მაღალნი“/.

ვაჟამ ბუნებისადმი სიყვარულით ზოგიერთ დაბალღირებულ მოვლენათა „მორჯულება“ და ამაღლება სცადა. ასეთია, მაგალითად, მისი მოთხრობები „მგელი“, „სვავი“ და ა. შ. ვაჟამ მგელს თავისი მგლურობა აჩვენა და შეგვაბრალა კიდეც, ბუნების უსულო მოვლენებში ვაჟას არ ეგულვება ისეთი წარმომადგენელი, რომელთადმი თანაგრძნობა არ შეიძლებოდეს. მხოლოდ ბოროტების საგანგებო ქმნილებას, გველს ვერ უპოვნია ასეთი მოსარჯულებელი თვისება და გვითხრა, რომ მისი მხოლოდ სიძულვილი შეიძლება. ვაჟამ ეს გვიჩვენა მოთხრობაში „გველი“. თუმცა ბერ ლუხუმს რომ ჭრილობებს ულოკავს გველი, ბოროტებაც კი სთმობსო დიდი სიკეთის წინაშე.

ვაჟას პროზის იდეური სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ მან სიცოცხლის ხილვადი პროცესი სიკეთის ენაზე წაგვკითხა. ცოცხალი არსების სიცოცხლისადმი დამოკიდებულება ყოველ ზნეობრივ მოვლენათა საზომად წარმოგვიდგინა. ხელს ვუწყობთ თუ ვუშლით სიცოცხლის სიხარულს მოვლენებში ესაა ზნეობრივი კანონზომიერე-

ბის სათავე სიკეთისა და ბოროტების სასრგებლოდ გადაწონილი. ვაჟა სწორედ ამ კანონზომიერების სათავეში ტრიალებს და მისი მოთხრობების სიდიადე სწორედ ამ ეთიკური აზრის გამოუბურკავ და შეუმჩნეველ გამოხატვაში მდგომარეობს, რაც სიტყვიერი ხელოვნების იდეალს წარმოადგენდა ყოველ დროში.

ვაჟას მოთხრობების უმეტესობა იმ საგნის სახელით სათაურდება, რომელიც წარმოადგენს თვით ესთეტიკურ პერსონაჟს. თითქმის არ დარჩენილა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ასე თუ ისე, საყურადღებო წარმომადგენელი, რომელიც ვაჟას წარმოსახვის საგანი არ გამხდარიყოს. თითქმის ყოველ მათგანში, წარმოსახვის ფენები ამოუწურავი შესაძლებლობით დასტრიალებენ თავს ცენტრალურ საგანს და მას ყოველმხრივი სისრულით წარმოგვიდგენს. მაგ. ხმელ წიფელს გვაჩვენებს ვაჟა „უღრანს ტყეში“, „ერთი კლდის თავზედ“, შემდეგ მას ცვლის სხვა საგნებიდან შემოხედვის კუთხე, რომ „ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან“, რომ მის „ახლო რამდენიმე ეკლოს ფეხია მოსული“, რომ მის ფესვებში „რამდენიმე ძირტკბილა მოდის, ზამთარ“ ზაფხულ მწვანე, დატკბილულფოთლებიანი და ა. შ.

ლოკალურ მიმართებას ცვლის საგნისადმი ხედვის კუთხე დროსთან ფარდობაში. როგორი იყო ხმელი წიფელი, როცა იგი „ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავისის დიდრონის ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს“.

შემდეგ საგანს ვხედავთ ფრინველთა მეფის გამოჩენით. ვხედავთ ხმელ წიფელს ქარში, წელიწადის სხვადასხვა დროს, მონადირის გამოჩენასთან დაკავშირებით, მის ფუღუროში დაბუდებული ვეფხისა და მისი ლეკვების მიზეზით. შეიძლება ითქვას, ვაჟამ თითქმის ბუნების ყველა ნაირფეროვანი შესაძლებლობა გადმოშალა და მიიყვანა ბუნებიდან საგანთან ყველაფერი, რის მიყვანაც კი შეიძლებოდა. წარმოსახვის ეს სიახლე და უშრეტი დინება აღრმავებს საერთო იდეას, საერთო შინაარსს, ხმელ წიფელსა და სიცოცხლეს შორის ჰიდილის პროცესს, რომელიც განვლილი სიცოცხლის ფასს ამოწმებს და ახალი სიცოცხლითვე აშინაარსებს მას.

ანთროპომორფული წარმოსახვა ვაჟა-ფშაველას „ქუჩის“ მიხედვით

„ანთროპოს“ ადამიანს ნიშნავს, ხოლო „მორფე“ – სახეს, ფორმას. აქედანაა წარმოებული ტერმინი ანთროპომორფიზმი. ანთროპომორფიზმი არის მეცნიერულ აზროვნებამდელი რელიგიური წარმოდგენა, თითქოს ცხოველებს, მცენარეებს და არაცოცხალი ბუნების მოვლენებს გააჩნიათ ადამიანური თვისებები, – აზრი, გრძნობა, ნებისყოფა

და ა. შ. ეს რელიგიური წარმოდგენაა. ცხადია, ამ ტერმინის ჩვენს სხვა შინაარსით მოვიხმართ. ანთროპომორფული წარმოსახვა გულისხმობს გარდა ადამიანისა, ბუნების მოვლენების ადამიანური გრძნობა-განცდების, ურთიერობის გამომთქმელი ფორმით გადმოცემას. ამდენად ეს შეხედულება ბუნებისადმი გაცნობიერებული მიმართებაა, რომლისთვისაც პიროვნული ხილვის მადლია საჭირო. მოვლენები გარეგნული მნიშვნელობით ემთხვევიან, როგორც ბუნების გაადამიანურება ის მხატვრული ფაქტი. პირველ შემთხვევაში გაადამიანურებული წარმოდგენა და რწმენა გვაქვს, მეორე შემთხვევაში გაადამიანურება წარმოსახვაში, ამიტომ ამ ცნებებს პრინციპული შინაარსობლივი განსხვავება გააჩნიათ, რის აღსანიშნავად სასურველი და აუცილებელიცაა ტერმინთა გამიჯვნა. ამ ნიშნით ანთროპომორფიზმი იგივე შთაგრძნობაა. ამ შემთხვევაში ტერმინილოგიური სიახლე მხოლოდ იმის ანგარიშგაწევაა, რომ იგი კარგა ხანს ტრიალებდა ვაჟას შესახებ არსებულ ლიტერატურაში უმეტესწილად სალანძღავი მნიშვნელობით.

ანთროპომორფულის გაგება რამდენადმე ემთხვევა აგრეთვე გაპიროვნებისა და მეტაფორის ცნებებს. ოღონდ ლიტერატურის თეორიაში ისინი ჯერ-ჯერობით შედარებით ემპირიულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რამდენადაც კმაყოფილდებიან სიტყვაში გამოხატულ გარეგნულ მსგავსებათა თვალსაჩინოებით. მეტაფორის არსებული გაგება თვით მეტაფორის რაობის შესახებ გვაძლევს წარმოდგენას, მაგრამ იგი ვერ არის თვით ამსახველი ცნება. ამიტომ ანთროპომორფულს, როგორც ესთეტიკურ ცნებას, ეკისრება ამსახველის ფუნქცია.

ვაჟასთან ანთროპომორფული სახის დახასიათებისათვის დავიწყოთ ასეთი მარტივი მსჯელობით და განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი.

„ ... მთვარე კი ჯერ არსადა ჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა,
ჯერ თუ არ გაულეიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა,
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა“.

მკლავზე ძილი, გამარჯვების თქმა ადამიანური მოქმედების ნიუანსებია. თუ მთვარის ამოსვლის პროცესი შესაბამისი ადექვატებით იქნებოდა წარმოდგენილი, რაღა ფუნქცია ეკისრება ხელოვნებას. მეტაფორული მეტყველება სიტყვიერი ხელოვნების უცილობელი ნიშანია. მაგრამ ვაჟასთან თავისებურებას ქმნის ამ თვისების უმაღლეს ხარისხამდე აყვანა. ვერაინ ისეთი მეტაფორული ქსოვილის მოცემა ვერ შეძლო, როგორც ვაჟამ. პოეტური გამონათქვამის პირდაპირი შინაარსობლივი გაგება არ შეიძლება. ეს თავისებურება იმ სიმაღლეზე აიყვანა ვაჟამ, რომ ლიტერატურისმცოდნეობამ ერთ დროს

მას თვალი ვერ გაუსწორა და მისცა საბაბი სხვადასხვა ცუდი იზმებით მისი გააზრებისათვის. ამიტომაც არის, რომ ვაჟა წოდებულ იქნა ანიმისტად, ანთროპომორფისტად, პილოძოისტად და ა. შ... ვიმეორებთ, ამიტომაც აქვს ამ თავისებურებას გაგების ღირებულება და ინტერესი.

კლდის წვერზე განმარტოებით ამოსულა მთის ბალახი – ჭუჩი.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც პოეტის გულს მოხვდა, ეს არის სიმარტოვის ნიშანი, ჭუჩის ობლობა.

საერთოდ ცნობილია გამოთქმა: „მინდორში ობლად ერთი ხე ამოსულიყო“. ობლობა, როგორც ასეთი, ადამიანური მოვლენაა, მაგრამ ადამიანი ობლობის ენაზე თარგმნის რაიმე ყურადღების ცენტრში მყოფ, განმარტოებულ საგანსაც. ასეთი მდგომარეობისადმი ჩვენში აღიძვრის თანაგრძნობა.

ობლობა არის განმარტოებულობა თავისი გვარეობისაგან, რაც თავისთავად ხშირია პოეზიაში, „ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო“. ობლობისადმი სიბრალულის გრძნობა ინდივიდუალურიდან მომდინარეობს. ე. ი. სხვის ობლობაზე მე გული იმიტომ მეტკინება, რომ ობლის მდგომარეობაში ჩემს თავს წარმოვიდგენ. ეს ცხადად გათვალსაჩინოებული წარმოდგენა არ არის. მე შეიძლება არ დავიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორი ვიქნებოდი მე ობლის მდგომარეობაში, მაგრამ ეს პროცესი ქვეშეცნეულად უსათუოდ ხდება ადამიანის გრძნობად სამყაროში. თანაგრძნობა ჩვენი ინდივიდუალური გრძნობიდან მომდინარეობს, რაც ახსნა არისტოტელემ თავის „პოეტიკაში“ ტრაგიკულის შესახებ, რომლის მიხედვით ტრაგიკულს განვიცდით იმიტომ, რომ ჩვენში აღიძვრის შიში ტრაგიკულის პიროვნებაში ჩემი თავის წარმოდგენისა.

ჩვენთვის ზემოთქმულიდან საინტერესოა ის, რომ ობლობის წარმოდგენა ადამიანური გრძნობაა, რომელსაც თან ახლავს სიბრალული; თანაგრძნობა თან მოჰყვება ადამიანისა და მცენარის ობლობის მდგომარეობის წარმოდგენას. თანაგრძნობა მოიცავს სიმპატიას ჭუჩის სიყვარულს. აი, პირველი შთაბეჭდილება, რომლითაც სინამდვილეში არსებული ბუნების ნაზი, ფაქიზი ქმნილება ვაჟას გულში იხვეჭს სიმპატიას და საიდანაც იწყება წარმოსახული „ჭუჩი“. ეს არის ამ ნაწარმოების შექმნის პირველი სტადია, როცა წარმოსასახავი საგანი რაღაცით პასუხობს მის გრძნობას, ინტერესს.

ჭუჩმა მოიპოვა რა ხელოვანის გულში ყურადღება, იგი პოეტის წარმოსახვის წყალობით სულ უფრო და უფრო საყვარელი ხდება. ამ პროცესს, როდესაც წარმოსასახავ საგანს შეერევა წარმომსახველის სიმპატია, ესთეტიკაში სუბპრეციას უწოდებენ.

„ჭუჩი“ ლირიკული, პოეტური მოთხრობაა, რასაც იგი აღწევს არა ჟანრობრივი მზღვარმოშლით, არამედ თავისი ამაღლებული, გაფაქიზებული პოეტური ხილვით. ნაწარმოების მთავარი გმირი ჭუჩი

მოგვითხრობს თავისი განცდების შესახებ ბუნების ირგელივ მიმომდინარე მოვლენების პასუხად. რატომ მიმართავს ვაჟა ამ ხერხს, რომ თავისი გმირი ალაპარაკოს პირველი პირით და ისიც ისეთი გმირი, რომლისთვისაც ნიშანდობლივი არ არის არა თუ მეტყველება, არამედ სულიერი მდგომარეობა.

ცხოვრებაში, როცა ადამიანი გულწრფელად გადმოგვცემს თავის განცდებს, იგი უფრო შეტ ეფექტს იწვევს ჩვენში, ვიდრე ეს ადამიანი რომ წარმოგვიდგინოს მასზე უკეთესმა მთხრობელმაც კი. პირველი ჩვენთან უშუალოა. როცა მის შესახებ ვინმე მჭერმეტყველებს და ცდილობს წარმოდგენით მიაღწიოს მესამე პირის გრძნობის გადმოშლას, რასაც ის თავისი უნარის წყალობით აღწევს, ჩვენთან იგი გაშუალებულია. ეს უფრო ეპიკურის თვისებაა ვიდრე ლირიკულის.

ქუჩის ინტერესები გარემომცველ ბუნებასთან ერთიანობაშია და ისიც ისე, როგორც ადამიანის მხატვრული სახე იკვეთება სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ხასიათდება სხვებისადმი მიმართებაში. ქუჩი გვიხასიათებს ბუნების მოვლენებს, რის მოწმეც თვითონ არის. პირველად ის აგვიწერს თავის გულგრილ მშობელს, რომლის მკერდზედაც ამოსულა. კლდე მკვდარი ბუნების ნაწილია და ვერ გამოავლენს სიცოცხლით გამოწვეულ ცვლილებებს. იგი უძრავია და ადამიანისათვის უგრძნობი, იმ აზრით, რომ არ გააჩნია ისეთი თვისებები, რომლებისადმი ადამიანი გრძნობიერ, ნათესაურ დამოკიდებულებას იჩენდეს. იგი მხოლოდ თავისი გრანდიოზულობით, სივრცეში განფენილი ფორმით თუ იპყრობს ადამიანის ყურადღებას.

როდესაც ქუჩი ახასიათებს ლოდებს, ამით თითქოს ყურადღების ცენტრი გადაგვაქვს თავისი პირით დახასიათებულ ბუნებაზე და თვალთაგან შეიძლება დაგვეკარგოს, უკანა ადგილზე იქნეს მიყენებული მთავარი გმირი, მაგრამ ვაჟა მხოლოდ იმდენად შორდება უშუალოდ ამ მცენარიდან ამოსვლის ძირითად ხაზს, რამდენადაც სურს შეინარჩუნოს მისი ხასიათი. ქუჩის პირით წარმოდგენილი ბუნების მოვლენებში, რის მოწმეც თვითონ არის, იმავდროულად ახასიათებს თვით ქუჩს. ვაჟა ამას ახერხებს არაჩვეულებრივი კომპოზიციური მთლიანობით.

ქუჩი გვიამბობს, რომ „კლდეები თვალდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რაღაცას ფიქრობენ, უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბათ, დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა. იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჰქრა-ქუხილით თავზე დაგვეცემა ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის, მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ“.

საზოგადოდ ხშირია მთებისადმი დუმილისა და მისადმი ამგვარი მოდალობების მიწერა. მდუმარების რაღაც ობიექტური ნიშანი წინასწარ განსაზღვრავს სუბიექტური წარმოდგენის შინაარსს, – როცა მდუმარეს მივიჩნევთ ან მეოცნებედ, ან მწუხარედ და ა. შ. ვაჟას გარდა ქართულ ლიტერატურაში მრავალი მაგალითი გვაქვს: „ჩაფიქრებულა მთაწმინდა" /აკაკი/, „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ" /გრ. ორბელიანი/, ეს გრძნობა ასახულია ილიას „ელეგიაში" და სხვ.

დუმილი სიწყნარეა, უმოძრაობაა. მცირე, განსაკუთრებით ადამიანის ხელით დამზადებული მკვრივი საგნები არ იმსახურებენ დუმილის ეპითეტს.

მთები ჩვენში აღძრავენ სივრცეში განფენილი გიგანტების ასოციაციურ შთაბეჭდილებას – ამდენად, ისინი ჩვენში იწვევენ სიდიადის გრძნობას. ამ გიგანტების სიდიადის აღმატებულებას ვგრძნობთ ჩვენს ძალასთან შედარებით.

მართლაცდა, რამდენად დიადი გრძნობის მომგვრელია ცადაწვდილი მწვერვალები, რომლის კალთებზეც წერტილივით თუ გამოვჩნდებით და მაინც ხმაურით ვიკლებთ მთელ ქვეყანას. გიგანტების დაგრიალება წარმოსადგენია და წარმოგვიდგენია მათი გოლიათური გრიალი, მიუხედავად იმისა, რომ მთები ოდნავადაც არ იძლევიან მოძრაობის მიმანიშნებელ საბაბს, გარდა ზვავის შემთხვევისა. ვუყურებთ სუნთქვაშეკრულ გოლიათებს და ასე გვგონია, რომ ისინი გოლიათურ საქმეებს უნდა ასრულებდნენ, როგორც დიადნი. ეს მომენტი პირუკუ მაგალითშიც ჩანს, როცა ადამიანური ფენომენია ბუნებრივით გასიმბოლოებული. მაგ. „მჭახარე ბაირონი" და ა. შ., სადაც სიდიადის გრძნობის გამოსახატავად ბუნების მოვლენაა გამოყენებული.

რაკი მთის დუმილი შესამჩნევი და ხაზგასმული შეგრძნებაა, როგორც აღვნიშნეთ, ამის შესახებ ფანტაზია ობიექტურ ნიშანს სუბიექტურად იმორჩილებს და დუმილის სინონიმებში აფორმებს. როცა მთის ლოდის დახრიალება მოგვისმენია, დუმილთან თანაფარდობაში ანთროპომორფულად მას ამოოხვრას ვუწოდებთ.

კლდიდან ხშირად წყალი მოჟონავს. თუ კლდის დუმილი მოწყენილის სინონიმით ხასიათდება, სუბიექტი მას შესაფერის აბსტრაქციას უკეთებს და წყალს ცრემლებად სახავს. ვაჟა გრძნობათა დიდებული ლაკონური კომპოზიციით გვაძლევს ბუნების სახეს. იგი უშუალოა ბუნებასთან. აქ წარმოსახვის პროცესს წარმართავს ბუნების შთაბეჭდილებათა, ფერთა და სახეთა ინტუიციური მოწესრიგების გრძნობა და არა შემოტანილი იდეები, იდეები თვით ამ სინამდვილეში წაკითხული.

პოლარული მიმართებაა კლდის ლოდების მკერდიდან ანაგლეჯად მიჩნევის შინაგან სინთეზში. სად მკვდარი ლოდი სად სიცოცხლის გალავანი მკერდი. „აგერ, დაბლიდამ როგორ გულსაკლავად შე-

მოსცქერიან თავის მშობლებს, თითქოს ეხვეწებიან რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდეც რომ შეეძლოთ ამის ნატვრა", მოგვითხრობს ქუჩი.

ჩვენ სინანულს გვგვრის არა მარტო შეჩვეული ადამიანის, არამედ, შეჩვეული ნივთის დაკარგვაც, რაგინდ სარგებლიანობას მოკლებულიც იყოს ეს უკანასკნელი. ერთიანობისადმი იდეალში გრძნობის მიდრეკილება შესამჩნევი გრძნობაა, როდესაც ხეს ტოტს შევაჭრით, ჩავუფიქრდებით მოკვეთილი შტოს არსებას წინანდელთან შედარებით; რაღაც დაშორებით გამოწვეული სინანულის გრძნობა აღგვეძვრება, ცხადია არა ადამიანურის მსგავს შემთხვევაში განცდილი გრძნობის ინტენსიობით, არამედ მკრთალი შინაგანი ასოციაციით წარმოდგენაში, ქვეცნობიერად აღიძვრება მკლავის მოკვეთისნაირი გრძნობა. ვიმეორებთ, ეს არ არის მკვეთრი განცდა, იგი გრძნობათა სიღრმეშია და მისი ზევით ამოტანა ხელოვანის წყალობაა.

ვაჟამ ადამიანში გამომუშავებული ერთიანობის ბუნებრივი გრძნობა ბუნებრივად, დამაჯერებლად და ძლიერად შეიტანა უსიცოცხლო კლდის ლოდებში.

„კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია ერთი-ერთმანეთზედ, კლდის ძუძუთაგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

აგერ, დაბლიდამ როგორ გულსაკლავად შემოსცქერიან თავის მშობლებს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდეც რომ შეეძლოთ ამის ნატვრა, მაგრამ არ შეუძლიათ. მეც იმათ დავსცქერი თავზე და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ვასხურებ. იმათთვის ეს მეტად სასიამოვნოა".

ქუჩი მეგობარს ეძებს. ყვავილებია მისი მეგობრები. ყველა ისინი კი პირიმზეს შესტრფიან, ბუნებაშიც, მცენარეთა სამყაროშიც არსებობს აღმატებულობა, ასე ვთქვათ, იერარქიული საფეხური სილამაზისა, მშვენიერებისა. მთაში პირველი, როგორც აღვნიშნეთ, პირიმზეა. „ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!"

პირიმზე ყვავილთა დედოფალია. ყვავილებიც მეტ-ნაკლები სილამაზით ხასიათდებიან, ისე როგორც ადამიანები.

„პირიმზე მზეს შესცქერის, იმას ეტრფის. პირიმზე მზის მოტრფიალეა. აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს. როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, იწყებს სატრფოს განშორებას. პირიმზეს ტირილი მეც ამატირებს".

ყვავილთა შორის პირიმზეს განსაკუთრებული ადგილი განისაზღვრება მისი შინაარსით, რომელიც მასში ვაჟას შეაქვს. გარდა იმისა, რომ იგი ლამაზია, როგორც ყვავილი, მას გააჩნია სიცოცხლის გამოხატვის ინსტიქტი. იგი სიცოცხლის გამოვლინების მიმართ სათა-

ნადო რეაგირებას ახდენს, როდესაც მზის სხივების კარნახით მოქმედებს. ამ მხრივ იგი საოცარი მცენარეცაა. მზის ჩასვლა-ამოსვლა გარკვეულ ცვლილებას იწვევს ადამიანისა და ცხოველის განწყობაზე; მაგრამ მცენარეებში ეს იშვიათი და ძნელად შესამჩნევი ფაქტია, იმ აზრით, რომ მცენარეს არ გააჩნია მისით განპირობებული მოძრაობის უნარი, როგორც ცხოველთა სამყაროს. ფაქტი, რომ ეს ყვავილი დაჰყვება მზეს, ანთროპომორფული წარმოსახვის ენაზე ასე ითარგმნება: პირიმზე შეყვარებულია მზეზე. მზის სიძლიერის, მზის, როგორც სიცოცხლის წყაროს, ინსტინქტური შეგრძნება ცხოველებშიცაა.

როცა ვაჟა გვიხატავს ქუჩისა და პირიმზეს ტირილს, ჩვენ წარმოგვიდგება ტირილის ყველაზე უფრო წმინდა. ნამი, ფაქიზი გამოელენა მსგავსი უწმინდეს და უნაზეს ქალწულთა ცრემლების ღერით რომ განგვიცდია, ან წარმოგვიდგენია. ეუყურებთ და ვაკვირდებით ყვავილებს. თავი ერთმანეთისაკენ რომ მიუბრუნებიათ და თითქმის ერთმანეთს შეჰყურებენო. რა წმინდათ და ფაქიზად უნდა წარმოვიდგინოთ ყვავილთა ურთიერთუწყინარი სიყვარული.

ქუჩი დანაღვლიანებულია და დაეკვებული, რომ პირიმზე მას არ უყურებს. ამას იმით ხსნის, რომ იგი სისხლითა და ბურტყლითაა გასვრილი, რომელიც „ბებერი" არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელ ყეფას, ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს დიდრონს სისხლის მოყვარულ თვალებს და მერე გასწევს სადაელოდ; ყველა ფრინველი გზას უთმობს. დაჯდება ჩემს ზემოდამ ერთს ამოჩემებულ ლოდზედ, სწიწკნის, სისხლი ჩამოსდისთ და მე დამდის. საიდამ მოვერიდები? სისხლით წითლად ვილესები. მერე მზე დამხედავს და ახმობს ჩემს ტანზე ამ სისხლს, იკურთხოს წვიმის გამჩენი! ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირიმზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა დამიძახებდა: ქუჩო! კლდის შვილო, გამარჯობა შენიო."

ფორმისა და შინაარსის მიხედვით პოეზიის ფილოსოფიური ისტორია ნიშნავს, რომ პოეზია თავისებურად ვითარდება და იმდენად თავისებურად, რომ სიტყვა „ვითარდება" ვერ ამბობს თავის სათქმელს. პოეზია თავის ყვავილობას კაცობრიული ცნობიერების ბავშურ საფეხურზე აღწევს. პოეტური ხედვა გულისხმობს სამყაროს სიყვარულით წარმოსახვას.

პოეზიის აღმოსავლურ-დასავლური, ასე ვთქვათ კონტინენტალური კლასიფიკაცია, ლოგიკურ ისტორიული კლასიფიკაციაცაა, რამდენადაც აღმოსაელური ძველი პოეზიის სამყაროა, დასავლური კი ახალი შინაარსით წარმოგვიდგენს ადამიანის რომანტიკულ ბუნებას.

პოეზიის ფილოსოფიური ისტორია, ანუ ლოგიკურ ისტორიული კლასიფიკაცია ნიშნავს ისტორიას ქრონოლოგიისაგან გათავისუფლებული ნიშნით. რადგან ძველ პოეზიაზე ელაპარაკობთ აღმოსავლე-

თის XIX საუკუნის ძეგლების მიხედვითაც, მაშინ როდესაც ომეროსი ძველ სამყაროს ახალი სულით აშინარსიანებს.

როგორც ამბობენ „...ვერ დაეასახელებთ ისეთ ნაწარმოებს, რომელსაც ცნობიერად თუ არაცნობიერად სიკეთის იდეა არ ედოს საფუძვლად და რაიმე სათნოების აღზრდას არ ემსახურებოდეს."[1] რიგი ხელოვნების ქმნილებები ნიმუშია, იდეალია სათნოებისა. სათნოების იდეა ასეთ თვითდასტურებასა და რეალიზებას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც პოულობს.

XIX საუკუნეში, როდესაც ევროპა თავისავე კულტურას სიბერის სტადიაში ხედავს, პოეზიას მოევლინა ბავშური სასიცოცხლო ენერგიით სავსე გენიოსი, რომელმაც ქართული ეროვნული სულის დიდი პოტენციალური პერსპექტივა გადმოგვიშალა. ძველი და ახალი სამყაროს ეს დიდებული „აპოლონური არმონია" ომეროსიეით წარმოგვიდგინა ვაჟა-ფშაველამ და თავისი სახით, კლასიკურ ეპოსს ერთი ტიტანი შესძინა.

1966-1968 წ.წ.

ზეობა სულისა

მსოფლიო პოეზიამ, ალბათ, არ იცის ბუნების ისეთი განსულიერების, გააზრიანების მაგალითი, როგორსაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იძლევა. სიცოცხლე ვაჟამ აზრიან პროცესად წარმოგვიდგინა: სიცოცხლეს, თავისთავად, აზრი აქვს და აზრიც სიცოცხლითაა ნასულდგმულევი. სიცოცხლის მნიშვნელობის, ღირებულების არე ისე გააფართოვა პოეტმა, რომ ბუნების იმ ქმნილებებსაც თანაგრძნობა მოუპოვა, რომელთა თანალმობა ადამიანური წარმოდგენების სფეროს სცილდება. ვაჟამ გარკვეული აზრით გადალახა სიკეთე-ბოროტების სამანი და ადამიანების სრულიად ახალი შინაარსის სულიერი ნათესაები გვაპოვნინა. ეს კი მან შეძლო იმ საოცარი მხატვრულ-ფსიქოლოგიური აღმოჩენით, რომ ცოცხალ ქმნილებათ ყველა ერთი საერთო დედა – სიცოცხლე.

ერთ ბედ ქვეშ ყოფნის განცდა ჭეშმარიტი თანაგრძნობის ის ხიდი, რომელიც სიცოცხლის ნაშიერთა შორის იდება.

ვაჟამ არა ოდენ ცოცხალთა გულის ფეთქვა გვაგრძნობინა – სალ კლდეებსაც გული ჩაუდგა, სული შთაბერა და საოცარი ძალით განგვაცდევინა ქვეყნიერების აზრიანობა. ქვეყანა შინაარსიან მთლიანობად წარმოგვისახა და ამით გვაგრძნობინა ჩვენი არსებობის არაშემთხვევითობა, ფუძემაგრობა. სალი კლდეებიც კი სულის დიადი ლოგიკის გარკვეულ გამომხატველებად დაგვიხატა ვაჟამ. იქ, სადაც ბიოლოგიური სიცოცხლის ფეთქვა არ ისმის, მან სულის სიცოცხლე დაინახა და ეს ჩვენც ამოგვაკითხა. სიცოცხლის ეს ორსახოვნება –

1 გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბილისი, 1965 წ.

სულიერი და მატერიალური. ვაჟას შემოქმედების არსებითი ნიშანია:

„უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავაცოცხლე ლოდები კლდისა
და, როგორც მეკე, გავათამაშე
მწირი ბალახი, ის ქუხა მთისა.
მაღლი მყვანია მარკვენახელა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!"

ამ სტრიქონების ავტორმა ერთგვარად გადააბიჯა საკაცობრიო ფიქრსა და აზრში გამჯდარ სოციალურ პრივილეგიებს სიცოცხლისას. ჩვეულებრივ ხომ სიცოცხლის სიმაღლეს ადამიანურ არე'ში ვაფასებთ. მხოლოდ შთაგრძნობის (მე-ს გრძნობების გადატანა უსულო საგნებზე) აქტის ენაზე თუ ვახერხებთ, თანაეუგრძნოთ ბუნების სხვა ქმნილებებს. ეს შთაგრძნობა კი ვერ თავისუფლდება ეგოიზმისაგან. შველის ნუკრის ტრაგედიაში იქნებ ჩემი ტრაგედია მებრალება? ვაჟამ ერთგვარად მოგვსხლიტა ამ ეგოცენტრისტულ განცდას, თავი დაგვავიწყდა, ბუნების ქმნილებათა ხვედრის თავდავიწყებულ თანაგრძნობელებად გვაქცია:

„ია სჩქეფდა, კვდებოდა,
მიწასვე ებარებოდა,
გალმა კი ყვავილია გუნდი
სამოთხეს ედარებოდა" —

სიცოცხლის ასეთნაირად წარმოსახული ტრაგიკული ზეიმი არაფრით ნაკლების სულისა არ არის, ვიდრე ზარი ადამის მოდგმის სიკვდილთან შეხვედრისა. ვაჟას პოეზიას ის სევდა ამშვენებს, ცოცხალ ქმნილებათა მწარე ხვედრს რომ თან სდევს.

ვაჟას შემოქმედებაში ორგვარ სიცოცხლესთან გამოთხოვების აზრები ენაცვლება ერთმანეთს: სიკვდილი ხორცისა და სიკვდილი სულისა. ცხადია, ვაჟა სიცოცხლის მოტრფიალე მგოსანია, ცხადია, მას ისევე სძაგს ფიზიკური სიკვდილი, როგორც ჰომეროსის გმირებს. მაგრამ სულიერი და ხორციელი ცხოვრება ყოველთვის ჰარმონიულ ერთიანობაში არაა, იგი ვაჟასთანაც ხშირად კონფლიქტურ ურთიერთობაშია ნაჩვენები. ვაჟა თუ ჰომეროსის გმირებივით ეტრფის სიცოცხლეს, იგივე ვაჟა ძველი საბერძნეთისავე მოაზროვნეებივით (სოკრატე, პლატონი...) სულის უკვდავების საყრდენს ეძიებს. მის პოეზიაში ხორციელი ზეობის საპირისპიროდ ხშირად დაიგრგვინებდა ხორციელებაზე სულის გამარჯვების მრისხანე ხმა:

„ხორცო, დანელდი, დაშჯულებდი,
სულო, იხარე, ალაღობდე.
ღმერთმა დაგკარგოს, თუ ამას
სიტკვას შრისათვის ვაშბობდე!"

ვაჟას მთელ შემოქმედებაში, მეტადრე ლირიკაში, იშვიათი რიგია სულიერი და ხორციელი სამყაროს ასე კონფლიქტური წარ-

მოდგენა: „სული გასუქდეს, ბევრით სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია“.

ორიოდ სიტყვა ვაჟასეული ჰუმანიზმის თავისებურებაზე უნდა ითქვას. თვით ტერმინი „ჰუმანიზმი“ კარგა ხანია პირზე აკერია ევროპულ აზროვნებას; მასში იმდენნაირ აზრს დებენ, რომ ლამის საკუთარი სპეციფიკური შინაარსი დაუკარგონ.

ჰუმანიზმი, იდეა კაცთმოყვარეობისა, არათუ უნაპიროდ მოიცავს თავის თავში ყოველგვარ სიყვარულს, არამედ გარკვეულად იმიჯნება კიდეც მისი საუფლო. ჰუმანიზმის არსს თუ ძირში ჩავყვებით, გავიხსენებთ მის ნამდვილ მნიშვნელობას, ვნახავთ, რომ იგი არ გულისხმობს სიყვარულს მაინცდამაინც სატრფოსადმი, შვილისადმი, ცოლისადმი, მშობლებისადმი და ზოგჯერ არც მეგობრისადმი. არა, სწორედ ამგვარ სიყვარულზე ამაღლების ფორმაა ჰუმანისტური სიყვარული. მისი არსი სწორედ იქედან მოდის, რომ ამაღლდეს კუთვნილებით ნაცვალსახელების („ჩემი“, „ჩემნი“...) მიერ შემოფარგლულ ეგოცენტრისტულ სიყვარულზე. ჰუმანიზმი და რაინდობა ერთი ისტორიული ხის ტოტებია. სიყვარულის გათავისუფლება კერძოობითობისაგან იმას ნიშნავს, რომ კაცმა თავისი აზრი და ფიქრი იდეას ანაცვალოს. ცხადია, ეს არ უარყოფს კერძოობით სიყვარულს, არამედ გულისხმობს მას, როგორც ემპირიულ გამოვლენას სიყვარულის იდეისას.

ვაჟამ სიყვარულს კარი ფართოდ გაუღო და იგი იქაც გვაპოვნინა, სადაც ყოფითი, მიწიერი წარმოდგენით, მტერი უნდა გვეგულებოდეს. ვაჟამ რჯულის სამანებიც, გარკვეული აზრით, გადალახა, ქრისტესა და ალლაჰის მიმდევართ სულიერი ძმობა აპოვნინა. ვაჟამ სიყვარულის საზღვრები მოშალა, სიყვარული უნაპირო ფენომენად გაგვიცხადა; სიყვარული არც გეოგრაფიულად, არც პოლიტიკურად არ მთავრდება სადმე. იგი იქ მთავრდება, სადაც უკაცურობას დაუბუდებია, თვით ჩვენშიც, ახლომახლოს თუ შორიახლოს...

ბუნების უშუალო შვილებს, როგორც ამას ხშირად ძველი პოეზიაც გვიდასტურებს, თითქოს აკლიათ დახვეწილობა, სიფაქიზე; ამ გრძნობის ნაკლებობაზე მიუთითებს ზოგიერთი ფილოსოფოსი ჰომეროსის გმირებთან დაკავშირებით (ვიკო). განსაკუთრებით საგულისხმოა ის მიმართულება, რაიც რაინდების ქალისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება. როგორ სურათს გვიხატავს ამ თვალსაზრისით ვაჟა? სამყარო, რომელშიც ჯოყოლას ვხედავთ, მკითხველის მიერ იმგვარად აღიქმება, რომ აქ ქალის სულიერ სუვერენულ-ცივილიზებული ყოფისათვის დამახასიათებელ უფლებებზე ზედმეტი უნდა იყოს ფიქრი; ამ უფლებებისადმი ქმრის დამოკიდებულება ერთობ სასტიკად გვესახება. ეს ის სამყაროა, სადაც ქმარი ცოლის სიზმარ-ხილვებსაც კი მკაცრად მბრძანებლობს...ჯოყოლას მამაკაცურ მზერას არაფერი გამოეპარება. იგი ცოლის ნამტირალევ ხმაში ტირილის დაფარულ მიზეზსაც იგრძნობს. გონებაფხიზელი რაინდის „ჴკვას არ

სჯერა ნათქვამი"; აღაზაც გრძნობს ცოდვის სამანებს. აღსარება-მონანიების რა სილამაზეა წარწყმედის საზღვარს ფიქრით მიახლოებული აღაზას სიტყვებში: „იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო..."

ევროპულმა სამყარომ ქალისადმი რაინდული დამოკიდებულების, ეტიკეტის მთელი სისტემა შექმნა, რასაც ხშირად ისე სწავლობდნენ, რომ ბუნებით ვერ მიეახლებიან. ჯოყოლას სულიერი სიმაღლე კი ციდან მოდის, იგი ფიქრობს და იქცევა, როგორც კარნახობს თავისი ბუნება. თავისი ბუნების ნაკარნახევი შინაარსი კი იმდენად მაღალია და დახვეწილი, რომ იგი შეშურდებოდა კულტურის ენაზე გამეცადინებულ მოაზროვნეებს.

აღაზასადმი მიმართული სიტყვები არის პასუხი არა ქმრისა, არამედ კაცისა, რომელსაც ძალუძს თავის კერძო არსებობას უკან დააბევინოს, ამაღლდეს ყოფით რეალობაზე:

„იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა".

როგორც მუსიკალური, პლასტიკური, ნიჭი არის წყალობა ბუნებისა, ასეთივე ხასიათ-ტალანტებად გვევლინებიან ვაჟასეული გმირები. ისინი ხასიათით არიან ტალანტები!

ვაჟას გმირები პირადი კეთილდღეობის მაძიებლები არ არიან. მათ, ვითარცა რჩეულთ, სხვაგვარად ესმით ბედნიერების აზრი. ისინი პირად კეთილდღეობას იდეისთვის სწირავენ სწორედ სულის ამ ზეობაშია მათი და მათი შემოქმედის უკვდავებაც!

1980 წელი.

ვაჟა-ფშაველა ეპოქის თვალით

კლასიკოსი ხელოვანი ყოველ ეპოქას თავის ენაზე ესაუბრება. ეს დიალოგი პირობითად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთი მხრივ, ცვალებადი ეპოქები, მეორე მხრივ, ისტორიის კუთვნილება, ხელოვნების უცვალებლად მყარი, დასრულებული და უძრავი ფენომენი. თუმცა არა, ეს არის ორ ცოცხალ მხარეთა შორის დიალოგი.

ვაჟა-ფშაველა ჩვენს ქვეყნიერებას მხოლოდ 54 წლით ესტუმრა, თავის სულიერ სიცოცხლეს კი დღესაც აგრძელებს. მისი შემოქმედება ნაირ-ნაირი სპექტრით აჩენს თავის ხასიათს. თვით ამ შემოქმედების არსშივე არის მოცემული სხვადასხვა ეპოქისათვის მოპასუხე დაუსრულებლობა, ნაირფეროვნება. ჰომეროსისა თუ ვაჟას გმირების ფარი და ხმალი სხვაგვარად განიცდებოდა გარდასულ საუკუნეებში მკითხველთა ცნობიერებაში; სხვაგვარად აღიქმება იგი იმის

სულში, ვინც ატომის ყუმბარის არსებობა იცის, ერთია რას ეხედავთ, მეორე რისი წარმომსახველი თვალებით. და აი, ახლა, უაღრესად მნიშვნელოვანი გვგონია დაფიქრება იმის შესახებ, რა დავკარგეთ, რა გვწყურია და რას ვპოულობთ მის სამუქფოდ ვაჟას სამყაროში. ერთი სიტყვით, ჩვენი სურვილია, გავიგოთ, რას ფიქრობს ვაჟას ნაფიქრალი ჩვენზე და რა სულით შევყურებთ მის უკვდავ სამეუფოს.

სათქმელს ცოტა შორიდან უნდა მოვუაროთ: როდესაც ეროვნულ გენიას ვესაუბრებით, ამ ცით მოელენილ ადამიანებს თაყვანისცემით, სიყვარულით, საკულტო გზნებით მივმართავთ, ხანდახან თითქოს გვავიწყდება სხვათა კერპები. პოეზია ხომ ერთი ხალხის განსაკუთრებულობა არაა. ისე არ უნდა ვიფიქროთ, „მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“. ამ შეგონებით მხოლოდ ამ სტრიქონებისავე ავტორს ვაფრთხილებ და სხვას არავის.

პირველ ყოვლისა, ვაჟა-ფშაველა, როგორც ბუნების მგოსანი. ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა კვალად ჩვენც შეუდარებელი გვგონია მთელს მსოფლიო პოეზიაში (ბუნების თემა უმხიშვნელოვანესია ლიტერატურაში, მისი აგრერიგად დაჩემება ან ერთობ მკრეხელობაა, ან ტრაგედია, რამეთუ ასე კავკასიონს მოფარებული რჩება იგი დღემდე). ნათქვამია: ნათარგმნი პოეტური ნაწარმოები უკვე სხვა არისო. თვით პოეტურ ქმნილებათა ჟანრებსა თუ გვაერებს შორისაც არის სხვაობა. ახალი საუკუნეების ევროპული პოეზია არც ისე დიდად ზარალდება. ჰომეროსის თემატიკა, მთელი მითოლოგიური სამყარო ყველა ქვეყნის მშობლიურ მითოლოგიად იქცა და ელინთა მგოსანთ-მგოსანი მსოფლიო პოეტთა მეფედ დარჩა. ვაჟა-ფშაველას თემატიკა, სულიერი სიმაღლეები, ცხადია არ იფარგლება მხოლოდ ეროვნული ინტერესებით. ძნელია. ალბათ, ვიპოვოთ მეორე შემოქმედება შინაარსით ისე ზოგადკაცობრიული და ფორმით ასე კონკრეტული, თავისი ერის სულსა და სხეულს მიჯაჭვული. ბუნების ცნების სუბსტანცია მრავალფეროვნებაა. მრავალფეროვნების სიტყვიერი გამოსახვა ნიუანსებით, მრავალი კომპონენტითაა დატვირთული. სიტყვა ერთდროულად მრავალ ნიშანს გულისხმობს. თარგმანის დროს კი სხვა ენაზე უმთავრესად გადადის ერთი. ვაჟას შემოქმედება რომ XIX საუკუნის ევროპას სცოდნოდა, იგი, ალბათ, საკვირველ მგოსნად იქნებოდა აღიარებული. არადა XIX საუკუნის გერმანული კლასიკური ესთეტიკა რა დაწვრილებით, რა მდიდრულად იცნობდა აღმოსავლეთის პოეზიას!

ბუნების მგოსანი, ცხადია, არ გულისხმობს მარტოოდენ პეიზაჟურ გამომხატველს ბუნებისას. ვაჟა ბუნების მგოსანია ადამიანთა ურთიერთობის დასურათხატებისას, რამეთუ ბუნებრიობა იპყრობს აქ ყურადღებას.

ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ესთეტიკოსების და საზოგადოდ ყველა ინტელექტუალური მკითხველის წინაშე ვაჟას სამყაროსთან თანაზიარობისას მეტ-ნაკლები სიცხადით თავს იჩენს ბუნების ბედზე დაფიქრების აუცილებლობა.

დღეს, როცა მსოფლიო ლიტერატურის მასალა ასე თუ ისე ხელმისაწვდომია ინფორმაციული თვალსაზრისით, შეიძლება იმის თქმა, რომ არავის ვაჟასავით არ წარმოუსახავს ბუნების ტრაგედია. ძველი ფილოსოფიური ლიტერატურა ხშირად ახასიათებდა ბუნებას, როგორც ცოცხალ ინდივიდუალობას, მას მთლიან სიცოცხლედ, ადამიანისმაგვარ არსებად წარმოადგენდა. რაც შეეხება ბუნების ტრაგედიას, იგი შეიძლება რელიგიურ ლიტერატურაში ვიპოვოთ, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში ბუნების ქმნილებათა ტკივილების გადმოცემა არავის ისე ღრმად, დრამატულად არ მოუცია, როგორც ეს ვაჟა-ფშაველამ შეძლო. რახან რელიგიური ლიტერატურა ვახსენეთ, უფრო დავაკონკრეტოთ: აპოკალიფსი ბუნებისა და მის ქმნილებათა შესახებ მწარე წინასწარმეტყველების სურათებს გვიხატავს. მაგრამ ეს, მისი რწმენით, ღვთით მოვლენილი განაჩენია და მადლი უნდა შესწიროთო უფალს. თუმცა აპოკალიფსური ხვედრი ბუნებისა არ ნიშნავს მის მთლიან განადგურებას, განუკითხაობას, როგორც ამას პანიკურად ქადაგებს დასავლეთის ე.წ. „აპოკალიფსური ხელოვნება“. აპოკალიფსური წინასწარმეტყველებისაგან განსხვავებით, ვაჟა ბუნების ლირიკული მგრძნობელ-თანამგრძნობელი, რეალისტი ხელოვანია.

ვაჟა-ფშაველამ ბუნების ქმნილებათა უმდიდრესი მხატვრული გალერეა შექმნა, გვიჩვენა ადამიანისა და ბუნების კავშირის ისეთი შრეები, რასაც სასწაულებრივ თუ მისწვდებოდა ადამიანის ფანტაზია. და მაინც, ვაჟა ბუნების მგოსანია არა ვითარცა წალკოტის მეხოტბე. მან ლიტერატურაში პირველმა გვიჩვენა ასე სისრულით ბუნების ტრაგედია და მასზე აღმოცენებული ლამაზი სევდა. სულ სხვა შინაარსი ჰქონდა რომანტიკოსთა დანამულ თვალებს. ისინი ადამიანის ხვედრზე წუხდნენ და ბუნებას სულის დასავანებლად მოუხმობდნენ. სწრაფმავალია და მრავალი შემთხვევითობის ბეწვზე კიდია სიცოცხლე შველის ნუკრისა, ქუჩის თუ ხმელი წიფლისა. ეგოდენ ბუნებრიობით აღსავსე მგოსანია ვაჟა, ლამის წარმართად მონათლეს იგი. როგორც კი სულიერ-ხორციელს შორის პრიმატობის საკითხს მიადგება, იგი უყოყმანოდ სულის ზეობის მგოსანია და მერე — ბუნებისა. ვაჟა შესტრფის ბუნებას, მასში მოცემულ დიად წესრიგს, კოსმიურ სიბრძნეს. ვაჟა საოცარ ლტოლვას გვივლენს ბუნებისაკენ, თუმცა რომანტიკოსების დარად მის მიმართ არავის უთქვამს — „უკან ბუნებისაკენ!“ ვაჟას ბუნებაში დასაბრუნებელი არაფერი სჭირდება. აკი რომანტიკოსები იმას ჰგოდებდნენ — ადამიანი შორდება ბუნებას, ბუნებრიობასო. აქ საკითხი სოციალურ სიბრტყეზე

იდგა. ვაჟასთან კი ამ განშორების სევდას უფრო ღრმა ფესვები აქვს.

ბუნებას, ბუნებრიობას, ხორციელი სილამაზის კულტს იმთავითვე დაუპირისპირდა ქრისტიანული კულტურა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს ხორციელების კულტი. მაგრამ სინამდვილეში ყოველი ბუნებითი სილამაზე მაღალ სულიერ, მორალურ პრინციპებს არის დაქვემდებარებული და უფრო მეტ აზრს მის შინაარსში ხედავს. აი, ვაჟა-ფშაველა არის ის ხელოვანი, რომელშიც ერთდროულად დრამატულად შეირწყა ძველი სამყაროს ბუნებითი სილამაზე და ახალი, სულის მაძიებელი ხელოვნების სულისკვეთება. ქრისტიანული სულისკვეთების ხელოვანი ვაჟა გრძნობდა ხორციელების წარმავლობის სევდას, ბუნებასთან სულის დაშორების შინაგან სევდას. ბუნებაში იშვა და იღვაწა ვაჟამ და მაინც ბუნება ენატრებოდა, რამეთუ მასში მარადიულობას ელტვოდა და ვერ პოულობდა.

და მაინც, ისმის კითხვა: როგორია ვაჟასეული ბუნებისა და თანამედროვე ბუნების ხვედრი. დღეს, როგორც არასდროს, ყოველგვარი ლიტერატურული სამოსის გარეშე დადგა რეალური ბუნების ბედის საკითხი. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ადამიანის კაცობრიობის ხვედრის პრობლემა.

რომანტიკოსთა შემოქმედებაში პირველი სიგნალები გაისმა ცივილიზაციის ბუნებისადმი მტრობაზე. ამბობდნენ: ბუნება ერთ დროს შურს იძიებს ადამიანზეო. დადგა ჟამი ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთანგარიშის სწორებისა. მოგვიტევონ ასეთი პუბლიცისტური წიაღსვლა: შავმა ზღვამ, რაც ქვეშა წავართვით, მანამ არ მოისვენა, ვიდრე ვალი არ დაიბრუნა. წვალეკვით ემუქრებოდა ნაპირებს. ახლა ვეზიდებით უკან, რაც წამოვიღეთ და მანც დამშვიდებულმა დაგვითმო წართმეული ნაპირები. ბუნების ამგვარ მოვლენებს მითოსი თავის სიმბოლიკაში ახვევდა და დეტალურად წარმოგვიდგენდა პოსეიდონის გუნება-განწყობილებას. ბუნების ხვედრის ნეომითოლოგიური წაკითხვის ცდებიც იგრძნობა დღევანდელ ხელოვნებაში

ბუნების დაცვისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო მეტ ჭრილობას იღებს ბუნება. ალექსანდრე ჭავჭავაძე არარომანტიკულად ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც კავკასიონის სალ კლდეებს გაარღვევდა ტექნიკა. დღეს მთებს ველებად ვაქცევთ, დაბლობს — ზღვა-ტბებად, ბუნების საქმეში ჩარევის წყრომას კი მოგვიანებით ვიგებთ ხოლმე. მაინც რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ვაჟას ნატიფ პოეტურ ფანტაზიასთან? იქნებ ვინმე ელოდება იმ დასკვნას, რომ ვაჟას ნაწარმოებთა წაკითხვით, მისი გავლენით ბუნებას რაიმე ეშველებაო, არა, ეს არ არის ვაჟას შემოქმედების საქმე. ვაჟას სამყარო ადამიანს შველის, შვების მომტანია, ადამიანის ბუნებასთან ურთი-

ერთობით გამოწვეულ სულის დასავანებელ განწყობას ქმნის. ვაჟა-ფშაველა არა მარტო ქართველს, მთელ ცივილიზებულ სამყაროს, ეპოქას სჭირდება.

ზოგჯერ ეპოქა ისეთ მოვლენებს მიაპყრობს მზერას, რომლის მხატვრული სახება წარსულ ხელოვნებაშია ხორცშესხმული. ამიტომ, ამ ინტერესთა გააქტიურების შესაბამისად, რომელიმე კლასიკოსი — თითქოს თანამედროვე ხელოვანის მაგივრობას ასრულებს — ისე ზედმიწევნით სწვდება აწმყოს გრძნობებსა და ფიქრებს, ვაჟას ჰუმანისტურ თვალსაწიერში მრავალი საკითხი არათუ აწმყოს, მომავლის ორიენტირად გვესახება.

სტუმარმასპინძლობა და მისი ლიტერატურული განსახიერებაც არ არის ოდენ ქართული მოვლენა. ამ საკითხს ნაირ-ნაირი ასპექტებით სწავლობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, არსებობს აზრი: სტუმართმოყვარეობა უპირატესად მცირერიცხოვანი ხალხის თვისება და მისი ფსიქოლოგიაა და იგი ისტორიულად ფორმირებულია დამპყრობლისადმი შიშისა და მისი გულისწყრომის დაცხრომის ცდაზე. ამ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ სხვაგვარ ახსნასაც არანაკლები უფლება მოეპოვება. მით უმეტეს, ამა თუ იმ ადათ-წესს ერთი კი არა, მრავალი პირობა ქმნის.

ბიბლიური აფორმიზმი — „სტუმარი ღვთისაა"-ო — უბრალოდ პირის დამამშვენებელი გამოთქმა როდია. იგი ხსნის ამ ადათის წარმოშობის იდეურ წყაროს.

თუ სტუმარ-მასპინძლის მშვენიერსა და ამაღლებულ ადათს ეგოდენი მდაბალი მოტივები უდევს საფუძვლად, გულსატკენია. მაგრამ ჰეშმარიტებაზე ძალდატანების უფლებაც არავის აქვს.

ცნობილია, რომ მცირერიცხოვანი ხალხების ცხოვრება ხასიათდებოდა შიდაშლილობებითა და ინტრიგებით (დოსტოევსკი). აქ ისტორიის ფილოსოფიის, ისტორიის ფსიქოლოგიის ერთი უაღრესად საინტერესო პრობლემა იჩენს თავს. მცირერიცხოვანი ხალხების ცხოვრება მრავალრიცხოვანი მტრისაგან თავის დაცვის ან პროცესში, ან მოლოდინში მიედინებოდა.

საქართველოს ისტორიული ცხოვრება საოცარი ძნელბედობის სურათს ქმნის. თვალი რომ გადავაელოთ ჩვენი ხალხის ისტორიულ-გეოგრაფიულ მოძრაობას საუკუნეების მანძილზე, სრულიად ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: რამ გააძლებინა მას, ასე მცირერიცხოვანს, მრავალრიცხოვანი ურდოებით გარშემორტყმულს? და თუ კიდევ ამას ძმათა შორის სისხლის ღვრა ემატებოდა?! ეს უკანასკნელი გაცილებით მწარე ტრაგედიაა. ისარი უფრო მისაღებია მტრისაგან, ვიდრე ძმისგან. აი, ეს უბედურებანი ისტორიული შურისა არც ახლა აღმოფხვრილა ჩვენი ფსიქოლოგიიდან. მაგრამ ყოველივე ეს მოვლენის ერთი მხარეა. ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რის გა-

მო ვერ უნდა გაგეძლო, მაგრამ ჩვენ გავძელით! და თუ კონკრეტული კულტუროლოგიური პრობლემების კვლევის დროს საჭიროა დიალექტიკის მეთოდი, აქ იგი აუცილებელზე აუცილებელია.ძლიერი სიძულვილისა და შურის, სიმდაბლის საპირისპიროდ ჩვენი რჯულის საძირკველი სიყვარული და დანდობა გახლდათ. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაა“, — ასე უბრალოდ ნათქვამ-ნამღერი აფორიზმი ფორმულაა ბოროტებასთან ბრძოლაში სიკეთის ძლევამოსილებისა. ჩვენი ხალხი გაუსაძლისს გამძლეობის ამ თვისებებმა გამოატარა. და არა მარტო ჩვენი ხალხი! მცირერიცხოვან ხალხებს აქვთ შინაგანი შემკვრივების, ჰირისუფლობის, ურთიერთატანის დიდი ძალა. გვიჭირს ნიჭიერი კაცის ატანა; დაუმცხრალია ჩვენი ფანტაზია მისი გაშაებისა, მაგრამ ნახეთ, რა სითბოს ავლენს ქართველი კაცი ჰირში ჩავარდნილი თუნდაც საშუალო პიროვნებისადმი. ერთი სიტყვით, ეს ფსიქოლოგია ისეთი დინამიური ობიექტია კვლევისა, რომ ცალმხრივობა გაგულისებულ ან აღფრთოვანებულ მსუბუქ დასკვნებს გაგვაკეთებინებს. ჩვენი ეროვნული რჯულის შავი მდევარი, შური და მტრობა, მაინც უკან იხევს საარაკო სიყვარულის, დანდობის რაინდული სულისა და წესის წინაშე.

ვაჟა-ფშაველამდე ძმის მკვლელის სტუმრობის ფაქტი ხალხურ პოეზიაში არის ფიქსირებული. ეს ფაქტი არ არის გამონაგონი ან ლიტერატურული გზით მიღებული; იგი ლიტერატურულ ექსპორტად უფრო გამოდგება.

სტუმარი მასპინძლისათვის (ძველისძველი დროიდან) ნიშნავდა ღვთისაგან გამოგზავნილ კაცს. სტუმარი ყველა შემთხვევაში პატივსაცემია, „თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“: სტუმრის ვინაობას მასპინძელი არ არკვევს. სტუმარი ზვიადაური მასპინძელ ჯოყოლასათვის მაშინაც ხელშეუხები და თაეგვნწირული დაცვის საგანია, როცა იგი ძმის მკვლელი აღმოჩნდება. მაშასადამე, აქ რაღაც უფრო ღრმაა, ისეთი რამ, რითაც კაცი კაცს აღემატება. ეს არის შიში ღვთისადმი და არამც და არამც კაცისადმი (გავიხსენოთ — ღვთის მოშიშ შუშანიკს არავითარი შიში არა აქვს ძლევამოსილი სპარსეთის იმპერიისა). ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით, ღვთისაგან გამოგზავნილი კაცი უნდა დაიცვას მასპინძელმა და ეს რელიგიური კანონი ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი ძველ ადათებს. თუმცა სტუმარმასპინძლობის ეს რელიგიური კოდექსი მარტო ებრაულ-ქრისტიანულ სამყაროს როდი ახასიათებს. იგი ასევე საღვთო წესს გამოხატავდა მუსულმანური თუ სხვა ხალხებისათვის. და თუ მთელი მკაფიობით ამ წესმა თავისი განსაკუთრებული გამოხატვა შეიძინა მცირერიცხოვან ხალხებში, ამას მრავალი მიზეზი აქვს. მცირერიცხოვან ხალხებში ძლიერი გახლდათ გამძლეობისათვის საჭირო შემამჭიდროებელი წესი და რიგი (სულაც არა გვგონია, მრავალრიცხოვანი ხალხებიც მაინცა და მაინც ნაკლებ პასუხისმგებლობას

გრძნობდნენ სტუმარმასპინძლობის წესის მიმართ).

ახლა შეიძლება მკითხველს კითხვა გაუჩნდეს — რა ნიშნით იპყრობს ეს პრობლემა ეპოქის თვალსა და გულს. ვერ გეტყვით, რა საკაცობრიო აქტუალობა შეიძლება ჰქონდეს მას, მაგრამ ჩვენი ეპოქის საქართველოსთვის იგი უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ. ტრადიციებზე, ადათ-წესებზე დღეს ჩვენში ყველაზე მეტად ბჭობენ ესეც ერთი ნიშანია ამ საკითხის ცხადი არსებობისა.

ეპოქის ინტერესებით ვაჟას სამყაროში მრავალი მოტივი იტაცებს თვალს. ამას ჩვენ საეურნალო პანორამულ-მიმოხილვით წერილში და, საზოგადოდ, ყველა შესაძლებლობის მობილიზების შემთხვევაშიც კი ვერ შეეძლებდით. ამჯერად საკითხის დასმის ნიშნით ვცადეთ მკითხველის ფიქრის საგნად გაგვეხადა იგი.

და ბოლოს, გვინდა დაეუბრუნდეთ თვით ვაჟას პოეტური ხელწერის თაობაზე ცნობისწადილის აღმძვრელ ერთ საკითხს.

ხელოვანთა შემოქმედების შეცნობის წადილი იმის წვდომის წყურვილსაც შეიცავს — ვინ ვის გაუსწრო ცისკენ სწრაფვაში. ეს ვნება თითქმის ერთნაირად აწვალებს ბავშვსა თუ გენიოსს: ფალავნებივით ერთმანეთს შეატოლოს, თუ შეაჯიბროს თავისი და სხვათა გენიოსები. ეს აზრი რომ ჩვენი ორიგინალობა არ ეგონოთ, ასეთი ფაქტი მინდა გავიხსენო:

— ვინ შეიძლება ლეე ტოლსტოის გაეუტოლოთ მთელს ევროპაში? — იკითხა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა და თვითვე უპასუხა:

— არავინ!

თუკი რომელიმე ხელოვნის მიმართ აღიძვრის სურვილი, გავიგოთ, რამდენად მიეიდა იგი კაცობრიობის ინტერესებთან და ხომ არ არის იგი დაშორებული თავისი ღირესეული ადგილისაგან, — ეს, ალბათ, ვაჟას მიმართ უნდა ითქვას.

რასაკვირველია, ყოველი ჰეშმარიტი ხელოვანი გულისხმობს განუმეორებლობას. მაგრამ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ალბათ, ორიგინალურობის კიდევ უფრო თავისებური გამოვლენაა. ვაჟას, როგორც ამბობენ, არც წინამორბედი ჰყოლია და ვერც მის დევგმირულ ნაფეხურს მიჰყვა ვინმე.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ხელოვანს ევროპა ბებერი ცივილიზაციის პირმშოდ თელიდა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფაქტი შლის დროის განცდას: ერთი მხრივ, იგი ჰომეროსისა და, მეორე მხრივ, მომავალი საუკუნეების მგოსანია, რომელსაც საუკუნეთა ანაბეჭდები არ აჩნევია.

შემთხვევითი არ იყო, ვაჟას შემოქმედების შესწავლისას მისი ავტორის განათლებულობის საკითხი რომ დაისვა. საკითხმა უხეირო ფორმა მიიღო და მალე დაამთავრა თავისი არსებობა. მაგრამ თუ მას სხვა მხრიდან შევხედავთ, ვგონებ, იგი ვაჟას საზიანოდ კი არა, მისი გენიალობის ერთ უბადლო ნიშნად მიეიჩნიოთ. განათლება

არის საშუალება, მიესწრდეთ ჭეშმარიტებას სხვათა მიერ მოპოვებული ცოდნის მეოხებით. განათლება სულიერი კოლექტივიზმის გარკვეული ფორმაა. ხშირად დასმულა კითხვა: რამდენადაა ამა თუ იმ ხელოვნის თვალთახედვა სხვათა ნაგრძნობ-ნააზრევთაგან ნაშენები, სადაა ზღვარი მეობრივისა. გოეთეს შემოქმედებაში გადამდნარია მთელი კულტურის ისტორიის ნამზერ-ნაგრძნობი. კაცობრიობას ეს სიდიადე უფრო აცვიფრებს. ვაჟა-ფშაველას წაკითხული ჰქონდა ყველა ის წიგნი, რაც განათლებულობის უმაღლეს დონეს გულისხმობს. მაგრამ პირველი წიგნი მისთვის, როგორც არა ერთი სხვა მგოსნისათვის, გახლდათ ბუნება, ბუნება არა როგორც მეცნიერული შეცნობის საგანი, არამედ ბუნება ბუნებისაველ ენით წაკითხული.

რელიგიამ იგრძნო განათლების სასრულობა და, ცხადია, იგი მის კულტს არ მიიღებდა. გავიხსენოთ „სახარების" ერთი ეპიზოდი, როდესაც 12 წლის იესო სინაგოგაში მწიგნობართ განაცვიფრებს. კითხვაზე — საიდან იცის მან ყოველი,მას ხომ წიგნები არ წაუკითხავს, იესომ ზეგარდმო წყაროზე მიუთითა. მეცნიერები ხაზგასმით იმიტომ აღნიშნავდნენ ქრისტეს არაგანათლებულობას (ძველი აღთქმის წიგნების ცოდნის გარდა), რომ ამით მისი განდიდება სურდათ. ღმერთს არ სჭირდებოდა ჭეშმარიტების წვდომისათვის ადამიანთა ცოდნის კიბეზე ასვლა; ღმერთს ჭეშმარიტება თავისთავად თავის თავში აქვსო. ვაჟა-ფშაველას მიმართ ეს ფაქტი გარკვეული ანალოგიისათვის მოვიხმეთ (ცხადია, რელიგიური მხარის გამორიცხვით). ვაჟას ბუნებითი მადლი იმდენად თავისთავადია, რომ წაკითხული წიგნები მისი შემოქმედების ყაიდას ვერ ცვლის; სხვათა გავლენის ანაბეჭდებს აქ ვერ იპოვით. მერე რა, რომ ჰომეროსი ჰქონდა წაკითხული და ჰომეროსსაც გარკვეული თვისებებით ამსგავსებენ. არსებობს ნარკვევის ცდაც — „ჰომერისებური ვაჟას შემოქმედებაში". შემოქმედებითი გაელენის თვალსაზრისით ჰომეროსმა იმდენივე გავლენა მოახდინა ვაჟას აზროვნების ნირზე, რამდენიც ვაჟამ — ჰომეროსზე (აქ, ცხადია, არავითარი შეტოლების საკითხი არ დგას).

ვაჟა-ფშაველას ანკარა სამყარო საოცრად ასვენებს სულს, ამაღლებს ჩვენს გრძნობას, აზრს ადამიანის არსებობის მისიაზე.

1986წ.

ვაჟა

ხელოვანთა შემოქმედების შეცნობის წადილი იმის წვდომის წყურვილსაც შეიცავს – ვინ ვის გაუსწრო ცისკენ სწრაფვაში. ვაჟა-ფშაველას პოეზიისადმი ძალუმად აღიძერის ასეთი სურვილი. მაგრამ მანამდე მისი პოეტური გვარი, ყაიდა უნდა მოვიაზროთ, ე.ი. ფალა-

ვანთა არენა უნდა გავარკვიოთ ეის შევაჯიბროთ იგი.

ყოველი ხელოვანი, ცხადია, თავისთავად გულისხმობს განუმეორებლობას. მაგრამ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თვითმყოფადობა, ალბათ, ორიგინალურობის კიდევ უფრო თავისებური გამოვლენაა. ვაჟას, როგორც ამბობენ, არც წინამორბედი ჰყოლია და ვერც მის დეევგმირულ ნაფეხურს მიჰყვა ვინმე. სრულიად ბუნებრივია აგრეთვე, მსოფლიო პოეზიაშიც ვეძიოთ მისი მსგავსების გამოვლენა. დღეს „მსოფლიო პოეზია“, მასში ინფორმაციული ჩახედულობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და ამიტომ მას ნუ მიეიჩნევთ გამაბრუებელ გამოთქმად.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მსოფლიო პოეზიის პარნასზე წარმოდგენა, მისი შედარება-შეთანაბრების წადილი, ცხადია, ყველა ჩვენგანს, სწვავს. მაგრამ არის ერთი უიღბლობაც: პოეზია ხელოვნების ყველა სხვა ჟანრისაგან (მათ შორის პროზისაგან) განსხვავებით, ყველაზე მეტად მიჯაჭვულია ეროვნულ სულსა და სხეულს. მით უმეტეს ვაჟას სამყარო. აქ ნიაღიც კი ქართულად ქრის.

1861 წელს, 26(14) იელისს, ფშავის ერთ მშვენიერ სოფელ ჩარგალში დაიბადა ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა). დღეს ეს სოფელი, ის ქოხი, რომელშიც მუზათგამრიგემ უხვად დაიბერტყა კალთა, სხვაგვარი თვალით, სხვაგვარი წარმოდგენებითა და ფიქრებით აღიქმება. აქ ბუნება არაჩვეულებრივად მდიდარი და მომხიბვლელია, მაგრამ მას ყველა, ვაჟას სამყაროს ნაზიარევი მკითხველი, თითქოს ორმაგი ექსპოზიციით აღიქვამს, ხედავს და ისმენს ვაჟას სტრიქონებში გამოელით.

ალბათ, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მსოფლიო მგოსანთა ამგვარი შერკინების თემაც: — ბუნების ასახვა პოეზიაში. „მჯობის მჯობნი არ დაილევაო“. სად არ ეძიეს ვაჟასებრი ბუნების მგოსნები — ძველინდურსა თუ სკანდინავურ ეპოსში. ვაჟა-ფშაველას სამყაროს ჰომერულსაც უწოდებენ და არცთუ ღარიბი პარელელებით. მაგრამ ჰომეროსი, ძველი ბერძენი პოეტები, როგორც ამბობენ, არ ასახავდნენ ბუნებას, რადგან ისინი, შილერის თქმით, „თვითვე იყუნენ ბუნებაო“.

ვაჟა-ფშაველა ძველი ელინივით ბუნებაში დაიბადა, ცხოვრობდა, ხნავდა, თესავდა... თითქოს ბუნება არ უნდა მონატრებოდა. ახალმა მწერლობამ (ევროპულმა) იმიტომ იწყო პეიზაჟის ხატვა, რომ კაცობრიობამ იგრძნო ბუნებასთან ნელი-ნელ გამოთხოვება. ეს არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკის გამო დაპირისპირებას. ბუნებას იმთავითვე დაუპირისპირდა ქრისტიანული ხელოვნება, კულტურა თავისი ხასიათით. როდესაც ვაჟას პოეტურ სამყაროში, გნებავთ ბიოგრაფიულ სამყაროში, ელინური ყოფის ხორციელ ასოციაციებს აღვიქვამთ, ეს ერთი მხარეა მოვლენისა. ვაჟა როგორც კი სულიერ-ხორციელის პრიმატობის საკითხს მიადგება, იგი სულის ზე-

ობის მგოსანია. მისი პოეზიის სულიერ სიღრმეს სწორედ ისიც უდევს საფუძვლად, რომ ესაა კაცობრიობის ისტორიის უძველესი დანაშრევებიდან გზა ახალი სამყაროსაკენ. ბუნებისადმი შეუდარებელი ტრფობა ასეთი იდუმალი გამოთხოვების საკაცობრიო სევდასაც ფარავს. თუმცა ეს არ არის ინდივიდუალურ-პოეტური განცდის ის სევდა, რომელიც რომანტიკოსებს მოგვაგონებდა. თუ რომანტიკოსებმა ბუნება მოიხმეს თავიანთი სევდის მოპასუხედ, რომელსაც ისინი ბოლომდე ვერცა ჰგუობენ, ვაჟამ ჩვენ გვაჭცია ბუნების თანამგრძნობელად, იგი წაგვაკითხა თავისი დიადი თავისთავადობით. შელის ნუკრის ტრაგედიას მხოლოდ იმიტომ კი არ განვიცდით, რომ მან ადამიანური ურთიერთობის მსგავსი სურათები გაგვახსენა. ვაჟამ უჩვეულოდ ღრმად ჩაგვაფიქრა, რომ შელის ნუკრი ბუნების ქმნილებაა და იგი თავისთავად იწვევს იმ ფაქიზ ცრემლებს, ბავშვებს რომ ყელზე ენასკვებათ.

ვაჟას პროზის სათაურები რომ გავიხსენოთ, ბუნების ამგვარი მხატვრული ენციკლოპედია ლიტერატურამ არ იცის. თუმცა, ვიმეორებთ, ვაჟა როგორც ბუნების მგოსანი, დიდია არა როგორც წვალკოტის მხატვარი, მისი პოეზიის არსში მოცემულია ბუნების მშვენიერებისა და სულის ის დრამა, რომელიც ამ პოეზიას აძლევს ისეთ სიღრმეს, რომლის იქით წასვლა პოეტურ ფანტაზიას არ ძალუძს. თუმცა სულიერი სიღრმის ამოცნობისათვის განათლებულმა კაცობრიობამ თავისი სტანდარტები შეიმუშავა. ეს სტანდარტები, ცხადია, თავის ჰკუაზე ვერ მოაქცევს ყველა ორიგინალურ მოვლენას, ერთ დროს ვაჟას პოეზიის განსწავლულობის საკითხიც დაისვა და პრიმიტიულობის შესახებ პრიმიტიული მოსაზრებანიც გამოითქვა. ვაჟა-ფშაველასეული ხედვის განათლებულობაზე შეშინებულ ან გამწყრალ პასუხს მაინც მშვიდი პასუხი აჯობებს. განათლებულობა გულისხმობს ჰეშმარიტების წვდომას, გამოხატვას, ადამიანთა მიერ მოკვლეულ აზრთა თუ სახეთა შეთვისება-შთანთქმის საშუალებით; სხვათა გონებრივ ნაღვაწთა იმ კიბის საფეხურებად დაწყობას, რომლითაც გვინდა მივსწვდეთ ჰეშმარიტებას.

განათლებას ქმნის ადამიანი და ეს არის სულიერი კოლექტივიზმის ფორმა. ასეთ შემთხვევაში დგება საკმაოდ ღრმა პრობლემა. რამდენადაა ხელოვანის თუ მოაზროვნის თვალთახედვა სხვათა ელემენტებისაგან ნაშენები, და სადაა ზღვარი ორიგინალურ — მეობრივისა. გოეთეს თვალთახედვაში გადაღებულია მთელი ევროპის ნამზერ-ნაგრძნობი და შეცნობილი. კაცობრიობას ეს სიდიადე უფრო ანცვიფრებს. ვაჟა — ფშაველას წაკითხული ჰქონდა ყველა ეს წიგნი, რაც განათლებულობის უმაღლეს დონეს გულისხმობს. მაგრამ პირველი წიგნი მისთვის, როგორც არცერთი სხვა მგოსნისათვის, არის ბუნება. ვაჟა თავისი ნიჭის იდუმალი გზების ძიებას არ აბუნდოვნებს;ძალუმადაც იცის თავისი პოეტური ზეშთაგონების წყაროს

მადლი. ვაჟა საოცარი სილამაზით, ბავშვური გულწრფელობით, და ი შვიათი სიღრმის ხილვით გვიხატავს თავისი შემოქმედების სურათს ლექსში „ჩემი ანგელოზები“.

„ჩემს ანგელოზებს ვენაცვალე,
იმათ ფრთებს, იმათ სახესა!
სხვებს ისე არა სწყალობენ,
მე კი თვალზე მიახესა:
მოვლენ და მომისხდებიან,
მომეყრებიან დარდებსა,
არ მაწყლობენ სხვებისთვის
საუკეთესო ამბებსა“.

ვაჟა თავის ბიოგრაფიულ ჩანაწერებში რეალურად გვიხატავს თავის საეალალო ყოფას. მაგრამ როცა თავისი მისია გაახსენდება, მაშინვე თავისი ხვედრის მლოცველია, თავისი ტანჯვის მადლობელია. ტანჯვის მიღება ძნელად თუ ვინმეს შეუძლია. ჩვეულებრივ გაურბიან მას. ცხადია არც ლუკა რაზიკაშვილისთვისაა უსიამოვნო მოვლენა სასიამოვნო. მაგრამ პოეტმა კარგად იცის, რომ ტკივილის გარეშე არაფერი ჩნდება, ზეცის წყალობაც ბევრ წამებას ითხოვს სულის სამუქფოდ: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული, როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა“.

საიდან აქვთ ბუნების პირმშოთ ეგოდენი სიღრმის ფიქრი და ქცევა? ევროპული მწერლობა ამ სიღრმის მქონე პერსონაჟს „დოქტორ მაგისტერ“—ის მანტიით შემოსავს, რათა ვირწმუნოთ ღრმა აზრის წარმომავლობა. ვაჟა ი შვიათ სიტუაციებს ქმნის, თითქოს თვით ცხოვრება-ბუნება სთავაზობს ისეთ ვითარებებს, ადამიანის ბუნების ყველაზე ღრმა შრეებს რომ შეეხება.

ვერც ერთ ლიტერატურულ-ისტორიული წყაროს ვერ იგრძნობთ მის სარაინდო პოემებში. მაგრამ არავის ქართულ პოეზიაში ისე ღრმად არ აუსახავს რაინდული ხასიათი, როგორც ეს ვაჟამ გვიჩვენა. როსტევანმა მოსვენება დაკარგა ვიღაც უცნობის მოყმის ბედზე დარდით. ავთანდილმა კარსმომდგარი პირადი ბედნიერება გვერდზე გადასდო უცხო დიდებულის საძიებლად და საშველად. რაინდული მორალი კიდევ უფრო მკაფიოდ ჩნდება მეტოქისადმი, მტრისადმი დამოკიდებულებაში, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში რაინდებმა ერთმანეთს უნდა წაართვან სიცოცხლე. ამ პროცესში ადამიანი უნდა გვიჩვენებდეს სიძულვილისა და გაბოროტების მაქსიმუმს. ვაჟას გმირები კი თავის პირად ვნებებზე მაღლდებიან,იხიბლებიან მტრის ღირსებებით. ალუდას ჩაფიქრება-ჩაღრმავება საუკუნეებით ძვალრბილში გამჯდარი უკრიტიკოდ მიღებული მორალისა და ფსოქოლოგიის ასეთი გადასინჯვა ხდება სულიერი პრინციპის აღმოჩენით, რომელიც გაცილებით ღრმაა, ვიდრე თვალწინ მიმდინარე მოქმედი წესები. ასეთი პეშმარიტების მიგნებისათვის, ადამიანს, ტრადიციული

წარმოდგენით ღრმად განსწავლულობა სჭირდება. ალუდა კი თავის ნაგრძნობ-ნაფიქრს მიჰყვება. ასეთი სულიერი თვითმაღლება-თვითგანათლება არის ამ გმირთა ვაჟკაცურ-ინტელიგენტური სულის მაჩვენებელი.

ვინ არის ის ადამიანი, განსაკუთრებულ უნარს, სამყაროს გულის ფეთქვას რომ გრძნობს? როგორია ამგვარი ადამიანის განსაკუთრებულობა წუთისოფელში? მინდია არის გენიალური ადამიანი, ციური მადლით მოსილი. მინდია კაბინეტში — ფაუსტია. მინდია არის სხვათათვის სიკეთის მთესველი, სხვათათვის ბედნიერების მიმნიჭებელი, პირადი ბედნიერების დამთმობი. ყოველივე გმირულის, მაღალის ბუნებითი ხარკი არის ტანჯვა, პირადულზე ამაღლება. ვაჟა-ფშაველამ გენიალურად იცის გენიოსის ბუნება, რამეთუ პირველწყარო ფშაველი გენიოსისა არის ყველაზე ღრმა აზრით სავსე წიგნი — ბუნება.

1986 წელი.

ქართული ფილოსოფიური სკოლა

„პოეზია ჰყვავის ყველა ქვეყანაში“ — დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის ეს სიტყვები სადაოდ არავის გაუხდია. მაგრამ ვერავინ იტყოდა: ფილოსოფია ჰყვავის ყველა ქვეყანაშიო. ფილოსოფია თეორიული აზროვნების მაღალი კულტურაა. თუ ბრწყინვალე პოეზია შეუძლია ჰქონდეთ არცთუ მაღალგანვითარებულ ხალხებს, ფილოსოფიისთვის მრავალმხრივ უნდა შემზადდეს ნიადაგი. იგი მხოლოდ მოწიფული კულტურის შედეგია.

როცა ეროვნული კულტურის ისტორიას შეეხება საკითხი, აქ, ბუნებრივია, თავს იჩენს სიძველისადმი პატივის გრძნობა. რაც უფრო ძველია, შორეულია ფესვები კულტურისა, მით უფრო მეტი სიამაყე ეუფლება ადამიანს, რამეთუ ძირძველობა, ფესვგადგმულობა საუკუნეებში ფუძემაგრობას გვაგრძნობინებს, — არც გუშინ მოვსულვართ, არც ხვალ წავალთ ისტორიიდანო.

ქართველ კაცს დიახაც აქვს სიამაყის საფუძველი — ათასხუთასი წლის ფილოსოფიის ავტორს.

ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილი ქართული კულტურა, კიდეებშემომწვარ წიგნივით რომ შემოგვრჩა, ბევრ საიდუმლოებას ტოვებს ამოსახსნელად. ბევრი რამ კი — უნდა შეეურიგდეთ ამ აზრს — მარადიული საიდუმლოების არქივს ჩაბარდა.

ქართული ფილოსოფიური სკოლის სათავეებზე რომ ვმსჯელობთ, ყოველთვის გვეძალება სურვილი — გვჭონდეს ზუსტი თარიღები, მკაფიოდ ხელშესახები ფაქტები: როდის შეიქმნა პირველი ქართული ფილოსოფიური თხზულება, ვინ იყო პირველი ქართველი ფილოსო-

ფოსი და ა.შ. ალბათ, უნდა შევურიგდეთ იმ აზრსაც, რომ ამგვარ კითხვებზე ხშირად ჰიპოთეზური პასუხები მოგვეპოვება.

ფილოსოფიური აზრის სათავეებზე როცა ვმსჯელობთ, აქ კიდევ ერთი სადავო გარემოება იჩენს თავს, სახელდობრ, რას ვუწოდებთ ჩვენ ფილოსოფიურ აზრს. ამ შემთხვევაში ფართოდება ხოლმე ფილოსოფიის ცნება და პროფესიული ფილოსოფიური ტრაქტატების გარდა მასში მოვიაზრებთ ღრმა სიბრძნეს, ეროვნული ცნობიერების სხვა სფეროებში არეკლილ სიბრძნეს. ამიტომ მას ვეძებთ მითოლოგიაში, ფოლკლორულ ხელოვნებაში, მხატერულ ლიტერატურაში, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს უწინარეს, თუ როდის იქცა ფილოსოფია ცოდნის დამოუკიდებელ დარგად.

ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების საზღვრების შემოფარგლა ყოველთვის ჭირდა. ზოგჯერ იგი ლიტერატურული ფორმითაა გადმოცემული. ამიტომ ესთეტიკის ისტორიკოსები ხშირად ფართოდ აღებენ ხოლმე ესთეტიკის საუფლოს კარებს. ზოგჯერ ეს ნაძალადევადაც ხდება, ფილოსოფიის მაგივრობა გავაწევინოთ იმას, რაც ჩამოჰგავს ფილოსოფიას. ამგვარი გასაჭირი ქართულ ფილოსოფიას არ დასდგომია. ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ მდიდარი ფილოსოფიური მემკვიდრეობა მივიღეთ წინაპართაგან, რასაც სიყვარული, დღენიადაგ ზრუნვა, შესწავლა და განვითარება სჭირდება.

ისევე როგორც ხელოვნების, დამწერლობის ისტორიკოსებს, ფილოსოფიის ისტორიკოსებსაც ორგვარი საბუთები მოეპოვებათ ფილოსოფიის თავწყაროს თაობაზე. ერთია ცნობები იმის შესახებ, რაც არსებობდა, მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულა. არ შეიძლება აგრეთვე ანგარიში არ გაეუწიოთ ლოგიკური აუცილებლობის ცნობილ კანონს: „შუშანიკის წამება" არ შეიძლება იყოს პირველი თხზულება, რადგან ეს არამც და არამც არ შეიძლება იყოს „ფეხის ადგმის" პერიოდის ლიტერატურა. ამ ვარაუდს ჭეშმარიტებად აქცევს თუნდაც ელემენტარულ დონეზე ჩატარებული ფილოსოფიური, ესთეტიკური, ფსიქოლოგიური თუ ლინგვისტური ანალიზი. ეს ცხადია, არანაკლები მნიშვნელობის საბუთია, ვიდრე ნივთიერი საბუთი. მეორეა თვით ის ხელშესახები ფაქტიური მასალა, ფილოსოფიური აზრი, რომელზედაც ფუძნდება ფილოსოფიის ისტორია.

რა ვუყოთ ბერძნულ წყაროებში დაცულ იმ ცნობებს, რომ ჩვ.წ.IV საუკუნის კოლხეთში არსებობდა აკადემია, უმაღლესი რიტორიკული სკოლა. IV საუკუნის ბერძენი რიტორის, თემისტეს ცნობილი წერილი გავიხსენოთ,ვინმე ახალგაზრდისადმი მიწერილი: „მე თვითონ უძვირფასესო ახალგაზრდავ, რიტორიკული ღირებულებანი მოვიპოვე ისეთ ადგილას, რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებ ცნობილია, ვიდრე ჩვენი სამშობლო; არა წყნარსა და ელინურს ადგილას, არამედ პონტოს ნაპირზედ, ფაზისის მახლობლად, სადაც თესალიიდან წასული გემი არგოსი მოადგა,რაც პოეტებში გაკვირვე-

ბას იწვევდა და ზეცამაც აიტაცა, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამორძალთა საქმენი და თემისკვირი...ისინი, გამოწრთობილნი რიტორიკულს ოსტატობაში, ბერძნებზეც კი იმარჯვებდნენ. რამდენად მართალია, რასაც მე ვლაპარაკობ, ნათელი გახდება შენთვის, თუ გეტყვი, რომ მე იქ (ე.ი.კოლხეთში) წავედი არა საკუთარი მისწრაფებით, არამედ მამის რჩევით, რომელიც უველაზე უფრო კეთილმოსურნე იყო ჩემთვის და საღად მოაზროვნე, როგორც ფილოსოფოსი. იქნებ შენ ისიც უსაყვედურო მას, რომ მან თავისი ცნობილი ფილოსოფიური განათლებაც იქვე მიიღო".კოლხეთის აკადემიას უკავშირებენ აგრეთვე ქართველი ფილოსოფოს-რიტორის ბაკურის მოღვაწეობას.მთელ ევროპულ, შუა საუკუნეების ფილოსოფიაზე გაელენა მოახდინა არეოპაგიტულმა წიგნებმა. ესაა ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულებათა კრებული,რომელიც ოთხი ტრაქტატისაგან შედგება: „საღმრთო სახელთათვის", „ზეციური იერარქიისათვის", „საეკლესიო იერარქიისათვის", „მისტიკური თეოლოგიისათვის" და ათი ეპისტოლე.

ქართულ ენაზე იგი თარგმნა ეფრემ მცირემ. არეოპაგიტულმა თხზულებებმა დიდი გაელენა იქონია აგრეთვე მთელ ქართულ ფილოსოფიურ და მხატვრულ აზროვნებაზე. იგი შეიქმნა V საუკუნის II ნახევარში, ცნობილი გახდა VI საუკუნის დასაწყისში. ავტორმა თავისი ვინაობა დამალა, რაც იშვიათი როდი იყო შუა საუკუნეების მწერლობასა და ხელოვნებაშიც. მორწმუნე ავტორები თავიანთ შემოქმედებას ღვთის საქმის აღმსრულებლად თელიდნენ. „არაფერი ჩემში არ არის შემოქმედებითი" — ასეთი იყო ამ ეპოქის ფრესკისა თუ საგალობლის ავტორის დეევიზი. თავისი ავტორობის პირადულ გამხელაში ისინი ხორციელ პატიეს ხედავდნენ და ეს ანონიმი ავტორები ასე მოკრძალებით ეფერებოდნენ კაცთა თვალს,რამეთუ ნაღვაწს, მათი რწმენით,ხედავდა ღმერთი. არეოპაგიტიკის ავტორმა კიდევ უფრო გაამარტივა საქმე კვალის დასაფარავად.თავისი თხზულება I საუკუნის ავტორს დიონისე არეოპაგელს მიაწერა. მაგრამ მეცნიერთა ფხიზელ თვალს ძნელად თუ რამე გამოეპარება. დღეს დამტკიცებულია, საკამათო აღარ არის საკითხი, რომ არეოპაგიტული წიგნები I საუკუნეში კი არა, V ს-ის II ნახევარში შეიქმნა. ერთხანს აკად.შალვა ნუცუბიძისა და ბელგიელი ქართბეველოლოგის ერნესტ ჰონიგმანის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიკვლეული აღმოჩენა ჩვენში ჰიპოთეზად მიაჩნდათ. მაგრამ დროთ ამ თვალსაზრისს დაუჭირა მხარი. ამას არა მხოლოდ ქართველი მეცნიერები აღიარებენ, ეს თვალსაზრისი გაიზიარა ისეთმა დიდმა მეცნიერმა, როგორიცაა ა.ფ.ლოსევი.

კოლხეთის აკადემია ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეა, მისი განშტოებაა. ამ დროს აღმოსაველეთ საქართველოში (იბერიაში) უკ-

ვე ფეხს იკიდებს ქრისტიანობა (337 წელს იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა მირიან მეფემ).

ქრისტიანობამ ჩვენი კულტურისა და აზროვნების ყოველი სფერო გამსჭვალა. მან ფილოსოფიაც დაიმორჩილა და თავისი გზით წაიყვანა. ფილოსოფიას, როგორც ქრისტიანული რწმენის მსახურს, საეკლესიო წესებით გააზრებულს, ჰქვია სქოლასტიკური ფილოსოფია.

ქართული კულტურის მშენებლობა გრიგოლ ხანთძელი (759–861) ფილოსოფიურად ღრმად განსწავლული პიროვნება გახლდათ და არა მარტო განსწავლული, კრიტიკულად მომართული. გიორგი მერჩულე სიამაყით გვაუწყებს, რომ გრიგოლმა „საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“, სიფრთხილით გვაუწყებს: „სიბრძნეი იგი ამა სოფლისა ფილოსოფოსთა ისწავა კეთილად.. და რომელ პოვის სიტყუა კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“. როგორც ცნობილია, „სიბრძნე იგი ამა სოფლისა“ პაულე მოციქულის სიტყვებია და წარმართულ ფილოსოფიას გულისხმობს.

განსაკუთრებით ეითარდება სქოლასტიკური ფილოსოფია XI–XII საუკუნის საქართველოში, კულტურის ისტორიის ამ საფეხურზე სიტყვა სქოლასტიკამ არ უნდა მოგვგვაროს ის გრძნობა, რა აზრითაც იგი მოგვიანო საუკუნეში მოიაზრებოდა. სქოლასტიკამ, ცხადია, ფილოსოფიას თავისი თვითმყოფადობა, დამოუკიდებელ მსოფლმხედველობად არსებობის უფლება წაართვა, იგი თეოლოგიის მსახურად აქცია, მაგრამ მას თავისი დიდი განსწავლულობით, მწიგნობრული სიკეთე მოჰქონდა.

სქოლასტიკოსთა შესახებ ამბობს ჰეგელი, რომ მათ აიძულეს ღმერთი, ზეცაში ფილოსოფიური არგუმენტები მოესმინაო. ეს მწიგნობარ-მოაზროვნენი ეწეოდნენ მთარგმნელობით მუშაობას და ქართულ აზროვნებას იმდროინდელი მსოფლიოს კულტურული ცხოვრების უახლეს მიღწევებთან აკავშირებდნენ. მათი წყალობით ქართული კულტურა მოწინავე მსოფლიოს მიერ უკვე განელილი ნაბიჯების მემკვიდრედ კი არ გვევლინებოდა, არამედ იგი ცდილობდა პროგრესული მსოფლიოს ერთდროული მაჯისცემით.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა ეფრემ მცირე, რომლის თარგმნილ და ორიგინალურ ნაშრომთა რიცხვი ასამდე აღწევს. თარგმანთა შორის აღსანიშნავია არეოპაგიტული წიგნები და იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“. თარგმანებს ეფრემი ურთავს კომენტარებს, რომლებიც ხშირად საგულისხმო გამოკვლევებს უდრის. ეფრემის თხზულებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორიგინალური თხზულება „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“. როგორც ცნობილია, ანტიოქიისა და შავი მთის ბერძნებმა საცილობლად გახადეს ქართული ეკ-

ლესიის დამოუკიდებლობა. ეფრემმა ბერძნულ წყაროებზე დამყარებით გააბათილა ამგვარი შეხედულებები. ეს გამოკვლევა ეფრემმა დაწერა შავი მთის ქართველ მოღვაწეთა შეკვეთით.

ქართული კულტურის განვითარებას მრავალმხრივი კვალი დააჩნია ეფრემ მცირის მოწაფემ არსენ იყალთოელმა. იგი იყო ფილოსოფოსი, რიტორი („სიტყვის მპაექრი"), იურისტი, ღვთისმეტყველი, მთარგმნელი, პოეტი... მას განადიდებდნენ, ვითარცა „ყოელად განთქმულს, საღმრთოთა წიგნთა თარგმანსა და საქართველოთა ეკლესიათა მნათობს". იგი იყო მოძღვარ-მრჩეველი დიდი დავით აღმაშენებლისა.

ბიზანტიაში მანგანის სახელოვანი აკადემიის დასრულების შემდეგ არსენი შავმთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. ბრძენი მოძღვარი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ტალანტით მოსილი მოწაფის შემოქმედებითი და მთარგმნელობითი უნარის გამო. იგი მას შეუძლებლის შემძლებლად თვლიდა.

არსენ იყალთოელმა ერთ კრებულში „დოგმატიკონში", გააერთიანა ბიზანტიელ ფილოსოფოს-თეოლოგთა თხზულებანი, მათ შორის დოგმატიკურ-პოლემიკური ეპისტოლენი, სტატიები, ტრაქტატები, მრავალი უაეტორო თხზულებაც. არსენმა თარგმნა აგრეთვე „დიდი სჯულისკანონი", გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი". თარგმანებს არსენ იყალთოელი ურთავდა სქოლიოკომენტარებს, რაც ცხადყოფს მის დიდ განსწავლულობას. ფილოსოფიაში იგი ითვლება სქოლასტიკური არისტოტელიზმის მიმდევრად.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში მწვერვალად იოანე პეტრიწი ითვლება. მისი ნამდვილი გვარი იყო ჰიმჰიმელი. პეტრიწონის მონასტერში (მაკედონია, ახლანდელი ბულგარეთი) გაწეული ღვაწლის ნიშნად მას პეტრიწი შეერქვა.

„იოანე ფილოსოფოსი", ანუ იოანე პეტრიწი მეთორმეტე საუკუნის გამოჩენილი ფილოფოფოსი და თეოლოგია. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი სამეცნიერო-თეორიული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში. პეტრიწი ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის წიაღში აღზრდილი კაცი იყო. მან ჩინებულად იცოდა მთელი კლასიკური წარსული დასავლეთისა. როგორც ვიცით, წმინდა საეკლესიო სტილის მოღვაწეები ხშირად თავიანთ ვინაობასთან ერთად თავიანთ ეროვნულობასაც უარყოფდნენ. მაგალითად, ცნობილი ნეოპლატონიკოსი პლოტინი (III-ს), წარმოშობით ეგვიპტელი ბერძენი, სამარცხვინოდ თვლიდა თავისი ვინაობის გამხელას, თავისი ხორციელი არსებობის ისტორიის განცხადებას. იოანე პეტრიწი კი სადღეისო აქტუალობის დონეზე წყვეტდა ადამიანის მოღვაწეობის ეროვნულ მისიას.

იოანე პეტრიწი სწავლობდა კონსტანტინოპოლის განთქმულ

უნივერსიტეტში, სადაც ფილოსოფიის სწავლების საქმეს ცნობილი ფილოსოფოსი იოანე იტალი ხელმძღვანელობდა, რომლის ღირსეული მოწაფე გამხდარა ჩვენი სასიქადულო ფილოსოფოსი.

იოანე პეტრიწს საკმაოდ ძნელი და მწარე გზა გაუვლია ცხოვრებისა. 1083 წელს იმპერატორმა ალექსი კომნენმა გაასამართლებინა იოანე იტალი. ამ დროიდან მოძღვრის ერთგული, თანამოაზრე იოანე ქართველი (პეტრიწი) სტოვებს კონსტანტინოპოლს და პეტრიწონს მიდის. აქ მან დაახლოებით 30 წელს იმოღვაწა. შემდეგ იგი გელათის აკადემიაში მოღვაწეობს.

პეტრიწის ფილოსოფიური, მეცნიერული, ლიტერატურული მემკვიდრეობიდან საკმაოდ მრავალმა ძეგლმა მოაღწია. დაკარგულია მის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკა. მას მიაწერენ მრავალი იამბიკოს ავტორობას. გელათის მონასტერში მოღვაწეობის დროს იგი თარგმნის არისტოტელეს, პროკლე დიადოხოსის, ნემესიოს ემესელის თხზულებებს. პროკლეს თხზულებას „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ ახლავს ვრცელი ბოლოსიტყვაობა, რომელსაც დამოუკიდებელი კონცეფციის მქონე, ორიგინალური მნიშვნელობის ფილოსოფიურ თხზულებად მიიჩნევენ.

იოანე პეტრიწის მტკიცებით, ფილოსოფიური აზროვნებისათვის ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებული ენაა აუცილებელი („მესხეთი მდაბიონთაგან“). იგი მეცნიერული ენის, ცნებათა ენის შექმნის აუცილებლობაზე ლაპარაკობს და ქმნის კიდევაც ასეთ ხელოვნურ, თეორეტიზებულ ენას.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებებში, რომლებიც ერთგვარად ცივი სქოლასტიკის განყენებულ სამყაროდ წარმოგვიდგება, საოცრად ჩანს თავისი პიროვნული „მე“, უაღრესად მგრძნობიარე, კეთილშობილური გულით. ეს მისი ფილოსოფიის ეროვნული ხასიათის მაჩვენებელიცაა. შეწუხებულია ეს დიდი მოაზროვნე კაცი არამარტო ბერძენთა, არამედ თანამემამულეთა შურით. ამ უძნელესი სენის მიზეზად იგი უმეცრებას თვლის. — ჩემთვის რომ ხელი არ შეეშალათო,“... ვფიცავ სურვილსა... ენასაც დავამშვენებდი და ვიფილოსოფოსობდი („მეარისტოტელურა“), ვიარისტოტელებდიო. მაგრამ დიდი პეტრიწი მაინც ვერ გატეხა სიპატარავემ კაცთა სულისამ, ამ მძვინვარე სენმა, შურმა და საუკუნეებს უნათებს სიბრძნე დიდებული „იოანე ფილოსოფოსისა“.

ქართული კულტურის ვერც ერთი დარგის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის სიბრძნის ყოველმხრივმფრქვეველ რუსთაველს. არავითარი ამოსაცნობი ოპერაციები არაა საჭირო, იქ მოვიხილოთ ფილოსოფოსები, რელიგიური თუ ასტროლოგიური მოძღვრებანი ძველი სამყაროისა. მაგრამ რუსთაველს პროფესიულ-ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად ჩვენ მაინც არ განვიხილავთ, იმ მარტივი

მოსაზრებით, რომ იგი, ერთი ქართველი ფილოსოფოსის თქმით, „თვით ფილოსოფიაზეც შუტიოო".

XIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან ხანგრძლივი ძნელბედობის ჟამი დაუდგა საქართველოს.ვიღას ეცალა პოეტობა-ფილოსოფოსობისთვის...

კვლავაც გამოიღვიძა და მარადის იფხიზლებს შემოქმედი სული ჩვენი ხალხისა. სულხან-საბა ორბელიანის (XVII–XVIIIს.ს.) ფილოსოფოსად მიჩნევას მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა თუ შეუშლის ხელს. ეს პარადოქსი განმარტებას საჭიროებს: რახან დიდია სულხან-საბა როგორც მწერალი, რადგან პირველ რიგში იგია მწერალი, იქნებ მეორე რიგის ტალანტი ნაკლები მნიშვნელობით წარმოჩინდებაო. მაგრამ აქ სხვა გარემოება იჩენს თავს. „სიბრძნე სიცრუისა" არის წიგნი სიბრძნით აღსავსე. მაგრამ სიბრძნე და ფილოსოფია მაინც სხვადასხვა ფენომენია. რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, იგი, შალვა ნუცუბიძის თქმით, „...სიტყვების უბრალო განმარტებას არ წარმოადგენს და იმ დროისათვის მისაწვდომი ენციკლოპედიის ელემენტებს შეიცავს, განსაკუთრებით მეცნიერულ-ფილოსოფიურ ცნებათა ახსნა-განმარტების დროს".

XVIII საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ანტონ ბაგრატიონი. იგი მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ, რომელმაც სათავე დაუდო რუსულ-ქართულ ფილოსოფიურ ურთიერთობასაც.

ანტონის მთავარი ფილოსოფიური თხზულებაა „სპეკალი". ეს სიტყვა ძვირფას თვლებს ნიშნავს და ამგვარ განძეულობად მიართვა ფილოსოფოსმა ანტონ ბაგრატიონმა თავის სახელოვან ბიძაშვილს მეფე ერეკლე II-ს.

„სპეკალი" სამი ნაწილისაგან შედგება („სამნაწილობითი ფილოსოფია"): „კატიღორია", „ადგილნი დიალექტიკისანი" და „სულისათვის". ანტონი სქოლასტიკოსია და „ამიტომ მისი არისტოტელე სქოლასტიზირებული არისტოტელე იყო" (შ.ნუცუბიძე). ანტონის ფილოსოფიურ წყაროთა შორის (ანტიკური, ევროპული, რუსული, სომხური) პირველი მაინც იოანე პეტრიწია. ანტონის რწმენით, საქართველო ფილოსოფიის ქვეყნად პეტრიწმა აქცია:

„შენ ფილოსოფოსი საქმენი მისასმინანი,
შენ სქოლიკებრნი, სიტყვით სპეკალ მინანი,
შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი,
მოაქარსულენ, ქარიღი ჰქმენ ათინაიი".

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ისეთ სალიტერატურო-ფილოსოფიური ხასიათის ძეგლს, როგორიცაა „ქალმასობა", ანუ „ხუმარ-სწავლა". ესაა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი. ყურადღებას იპყრობს მისი ჟანრობრივი თავისებურება: მოგზაურულ-სახუმარო კილო, თუმცა ეს არაა იუმორით გადატვირ-

თული თხზულება. ამ მხრივ მას ადარებენ ერაზმ როტერდამელის თხზულებას „ქება სისულელისა“. ფილოსოფიური ბაასის დასაწყისშივე თხზულებაში მოცემულია ფილოსოფიის საგულისხმო განმარტება. მდივნის კითხვაზე — „რა არს ფილოსოფია?“ იოანე უპასუხებს: „ფილოსოფია არს მცნობელობა ბუნებისა და თვისებისა, დამფუძნებელი მცნობელობათა ზედა. გამოცდილებათა და განზრახულობათა ჩვენთა“.

სოლომონ დოდაშვილმა სულ 31 წელი იცოცხლა (1805-1836) და გააკეთა იმდენი, რამდენსაც ნიჭიერი ფილოსოფოსი, ალბათ, 31 წლის შრომით თუ მიაღწევდა, იგი იყო თვითმხილველი პეტერბურგში დეკაბრისტების აჯანყებისა. პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფია-იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ს.დოდაშვილი თბილისში ბრუნდება. 5 წლის მანძილზე საოცრად ბევრი რამ გააკეთა, როგორც ფილოსოფოსმა, ჟურნალისტმა, საზოგადო მოღვაწემ. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მეამბოხე სულის ფილოსოფოსი ვიატკაში გადაასახლეს, სადაც დაასრულა სიცოცხლე.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური შრომები „ლოგიკა“,„ლოგიკის მეთოდოლოგია“ და„რიტორიკა“ არა მხოლოდ აზროვნების ისტორიის ფაქტის თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ მრავალი საკითხის დასმით თანამედროვე მეცნიერების დონეს უსწორებს თვალს...

XIX საუკუნის ქართული მწერლობა, საზოგადოებრივი აზროვნება არა მხოლოდ ორიგინალური ფილოსოფიური ინტერესებით იპყრობს ყურადღებას. ესაა ევროპული და რუსული ფილოსოფიური აზრის ღრმა ცოდნით აღბეჭდილი კულტურა.დიდია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა კვალი ნათელი.

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თვალსაჩინო მოაზროვნის, ერუდიტის, არჩილ ჯორჯაძის თხზულებებმა.

ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა კვლავ გაშალა ფრთები XX საუკუნეში: შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე (1888-1969), დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე (1886-1950); სერგო იოსების ძე დანელია (1888-1970), მოსე ივანეს ძე გოგიბერიძე (1897-1947) კონსტანტინე (კიტა) რომანის ძე მეგრელაძე (1900-1943),საველე ბენედიქტეს ძე წერეთელი (1907-1966) — აი, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ახალი პანთეონი.

ამ სულმნათმა მამულიშვილებმა მძლავრი თეორიული აზროვნება დაამკვიდრეს, სიბრძნისა და ერის სიყვარული განამტკიცეს, და ერთი ღირსეული სკოლათაგანი შექმნეს, რაც კი არსებობს დღევანდელ მსოფლიოში. ფილოსოფია არ არის ეროვნული შინაარსის დისციპლინა. ყოველი აზრი, ნათელი მიგნება მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიასა და თანამედროვეობას უნდა უსწორდეს. მაგრამ, მიუ-

ხედავად ამისა, ფილოსოფიას დიახაც უნდა ჰქონდეს ეროვნული ფორმა-ხასიათი.

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის პატრიარქი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, რენესანსის თეორიის და ქართული ფილოსოფიის ისტორიის შემქმნელი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელი, მსოფლიო კულტურის არენაზე მისი გზის მკვალავი და კიდევ მრავალი სიკეთის მთესველი შალვა ნუცუბიძე გერმანიაში მოღვაწეობის დროს ბერლინში ორ მონოგრაფიას აქვეყნებს. იგი უსმენდა და იცნობდა მეოცე საუკუნის უველაზე თვალსაჩინო ფილოსოფოსებს ევროპისას. და აი, ეს კაცი 30-იან წლებში რიხიანად აცხადებდა! „დროა ქართულმა აზროვნებამ თავი ანებოსს ევროპოცენტრიზმის მონობასაო“. ეს აფორიზმი ყოველი ქართველი ფილოსოფოსისა თუ ხელოვანის ცნობიერებაში კიდევ უფრო ხშირად იწყებს ნათებას, რაც იმას შეგვახსენებს, დავძლიოთ ბაძვით კომპლექსები, მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ საკუთარ ღირსებებს.

დღეს ქართული ფილოსოფიური სკოლა, რაც საუკუნეების მხრებზე დგას ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფილოსოფიის კვლევის საქმეში ფილოსოფიის ისტორიის, კულტურის ფილოსოფიის, ლოგიკის, ესთეტიკის, ეთიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ქართული ფილოსოფიის ისტორიისა და სხვა მიმართულებით

ყოველთვის, როცა, საზოგადოდ, სკოლის შესახებაა ლაპარაკი, არამარტო მასწავლებელ-მოსწავლეები გვაინტერესებს. გვაინტერესებს ის წმინდა ალაგნი, სადაც სიბრძნის მაღალ ხელოვნებას ეუფლებოდნენ ეროვნული სულის თეორეტიკოსები. უველა ქრისტიანული მონასტერი, სადაც კი თეოლოგია არსებობდა, მეტ-ნაკლები უფლებით არათუ იწყნარებდა, არამედ თანამშრომლობდა „ამა სოფლის“ ფილოსოფოსობასთან. ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ათონის იერიის მონასტრის (საბერძნეთში, ჭალკედონის ნახევარკუნძულზე), შავი მთის (ანტიოქიის მახლობლად), პეტრიწონისა (ბულგარეთში) და სხვა საზღვარგარეთული კერები, სადაც ნაყოფიერად ვითარდებოდა ქართული ფილოსოფიური აზრი. დღევანდელი წარმოდგენა, რაც თან ახლავს სიტყვა „აკადემიას“, ერთგვარად ხელს გვიშლის სრულად გავაცოცხლოთ თვალწინ კოლხეთის, გელათის, იყალთოს... აკადემიების გარდასული სიცოცხლე. მაგრამ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ხვედრი-წონა, დღევანდელობის გადასახედიდან, შესაშურად ხდის ბევრ რამეს.

დღეს ფილოსოფოსთა სამჭედლოა ჩვენი უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, რომელსაც, ალბათ, დაამშვენებდა — იწოდებოდეს პეტრიწის სახელობის ინსტიტუტად.

ზოგიერთი ძირითადი ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის შესახებ

(აკაკი წერეთლის ერთი ლექსის მაგალითზე)[1]

ფორმისა და შინაარსის პრობლემა ძველისძველია, ოღონდ მოძველებული არ არის და ალბათ არც არასოდეს მოძველდება. ეს საკითხი სკოლისთვისაც საჭირბოროტოა, რაღა თქმა უნდა, ლიტერატურისმცოდნეობით მეთოდიკური ასპექტით და არა ფილოსოფიურით. რამდენად მარჯვედ მოახერხებს პედაგოგი ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების რთული საკითხის მოსწავლეებისათვის ცოცხალ რეალობად და არა მკვდარ სქემად წარმოდგენას, ამაზე ცალკეული მხატვრული ნაწარმოების მართობულად აღთქმაც დიდად არის დამოკიდებული და, საერთოდ, ესთეტიკური გრძნობის აღზრდაც. ასე რომ, თემა ფრიად აქტუალურია... ფორმისა და შინაარსის პრობლემასთან დაკავშირებით ტრადიციულად კითხვა აღიძერის ხოლმე: არსებობენ კი მხატვრულ ნაწარმოებში ფორმა და შინაარსი როგორც ცალკეულობანი? ამ კითხვის პასუხი თითქმის აღარ იწვევს დავას: რეალურად მხატვრულ ქმნილებაში ასეთი ცალკეულობანი არ არსებობენ, მაგრამ განხილვისა და ანალიზის პროცესში მათი დამოუკიდებლობა-ავტონომიურობის აღიარება. შესაძლებელი კი არა, აუცილებელიც არის. ანალოგიისათვის — ცოცხალ ადამიანში სული და სხეული ცალ-ცალკე არ არსებობს, მაგრამ თეორიული ან მხატვრული გააზრება დიახაც განასხვავებს იმას, თუ რომელ მხარეზე — სულიერსა თუ ხორციელზე — მახვილდება ყურადღება.

ფორმისა და შინაარსის მომენტებად განწევრება ორგვარია — მექანიკური და დიალექტიკური. აი, მექანიკური განწევრებაა, ნაწარმოებს რომ უსულო ფიტულად აქცევს. არისტოტელე ამბობს: ხელი ნამდვილი აზრით მანამ არის ხელი, ვიდრე იგი სხეულის სრულუფლებიანი წევრია. მოკვეთილი ხელი ნახელარია, ნამდვილი ხელი აღარ არის, მაგრამ ხელზე გარკვეული წარმოდგენის უფლებას, ცხადია, ისიც გვიტოვებს. გაპიროვნების ტროპულ მომენტს რომ განვიხილავთ, ვთქვათ, ვაჟას შემოქმედების მიხედვით, ეს ერთი, რაღაც მოკვეთილ-იზოლირებული ნაკვთი კი არ უნდა იყოს, არამედ — იმგვარი ატრიბუტი ვაჟას შემოქმედებისა, იმგვარი პრიალი, რომელშიც მთელი ვაჟასებურობა გამოჩნდება. მაშინ იქნება იგი დიალექტიკური ნაწილი მთელისა. ამგვარი განწევრება, ანალიზი არის ის აუცილებელი გზა, ურომლისოდაც ამაო იქნებოდა ხელოვნების ყოველი დარგის შესაბამისი მცოდნეობა...

---

1 ავტორის მსჯელობა ამოკრებილია თხზულების მხატვრული ანალიზის სწავლების საკითხებზე ალმანახ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1980,№1) გაშლილი დისკუსიის მასალებიდან (რედ).

ამ თვალსაზრისით, ბოლო დროს ცოტა კრიტიკული პათოსი მოგვეძალა სახელმძღვანელოებსაც გადაეწვდით, მეთოდიკურ ლიტერატურასაც და არცთუ უსაფუძვლოდ. და მაინც, ყველას და უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს შევახსენებ, რომ კრიტიკა და სხვათა ნაკლის დანახვა ადვილია, „მაგრამ საქმე რომ მოგვთხოვონ, საქმე...“ რას შევთავაზებდით ჩვენს მკითხველს პოზიტიურს? ამოცანაა კონსტრუქციული კრიტიკა, საქმით დაძლევა ნაკლოვანებებისა. კრიტიკაც, ცხადია საქმის ნაწილია, მით უმეტეს ისეთი, როგორსაც დღეს ვისმენთ, ხარვეზების დაძლევისაკენ რომაა მიმართული. მაგრამ სანამ ამ „საქმეზე“ გადავიდოდეთ, ერთი ასეთი კითხვა მაქვს — რომელი ჟანრის ნაწარმოების ანალიზი გვიძნელდება სკოლაში ყველაზე მეტად? (ცხადია ლირიკისა).

მართლაც, ხომ არ მოგვაგონებს ეს პროცესი რაღაც იმგვარ რამეს — ბროლის უსათუთეს ქმნილებას ეფერებოდეთ რკინის ხელებით? როგორც ვიცით, ლექსის ანალიზზე ლამის უარის თქმა ძალზე ხშირია ლიტერატურისმცოდნეობის ისტორიაში. მაგრამ უარი მაინც ვერ ითქვა. „განთიადის“ ანალიზით აკაკის ამ ქმნილებას კი არ შევმატებთ რაიმეს, ჩვენსავე ცნობიერებას, ჩვენსავე აზრებს გავამდიდრებთ ამ ლექსის შესახებ საცოდნელის ცოდნით. ფილოსოფიურ-ლიტერატურისმცოდნეობითი ანალიზისაგან არ უნდა ველოდეთ იმას, რომ ჩვენს თვალწინ გადაიშლება ლირიკული ქმნილების აბსოლუტური საიდუმლოება; „განთიადის“ ანალიზისას თავი მასწავლებლად უნდა წარმოგვეჩვენებინა და ისე ვცდილიყავით მისი მხატვრული არსის გახსნას. გულახდილად რომ გითხრათ, თავი აკაკი წერეთლადაც რომ წარმოვიდგინოთ, ძალიან ძნელი იქნება ანალიზის „კლანჭებისაგან“ დამსხლტომი ამ ლექსის არსების ისე წვდომა, როგორც მოსწავლეთა სულს ესადაგება. ფონს ვერც იმის რწმენა გაგვიყუანს — წაიკითხოს მოსწავლემ „განთიადი“ და ყველაფერს თვითონ გაიგებსო. მე ვფიქრობ, ყველა ჩვენგანს აღმოაჩნდება გარკვეული პედაგოგიური საიდუმლოება, რომელსაც ჩვენ ერთმანეთსაც ვერ ვაჩვენებთ, — სახელდობრ, როგორ ხერხს მივმართავთ, საკლასო ოთახში რომ შევალთ; თანაც, განა ერთი ან ორი საინტერესო ვარიანტით ამოიწურება ამ ლექსის ანალიზის შესაძლებლობა? აი, შტამპი თუ გვინდა ავაცილოთ მოსწავლეებს, მათ ერთი ავტორიტეტული აზრი კი არ უნდა ჰქონდეთ გზის მკვლევად, — სხვადასხვანაირი. ეს იმას ნიშნავს მათ თვითონ უნდა აირჩიონ, იფიქრონ და იაზროვნონ. ჩვენ რომ ვამბობთ — დავუტოვოთ მოსწავლეს საფიქრალიაო, ეს როდი ნიშნავს, მოსწავლე მხოლოდ საკუთარი თავის ამარა დავტოვოთ. ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი გაავარჯიშებს მოსწავლის თეორიულ უნარს. ვერაფერი ორიგინალობა იქნება მოსწავლეებს ვუთხრათ — მე „განთიადს“ წაგიკითხავთ და თქვენ უჩემოდაც მიხვდებით ყველაფერსო. მოვახერხებთ მოსწავლის ცნობიერებაში ჩვენეული ანალი-

ზის დამკვიდრებას, „განთიადის“ ესთეტიკური ანალიზის დროს, ვფიქრობ, ორ მომენტზე უნდა შეეჩეროთ ყურადღება: ერთია ლირიკული წინაპირობანი, მეორე-- ლექსის საკუთრივ შინაგანი სამყარო. „განთიადი“ გრძნობათა ეროვნულ სიმებს ეხება. მთაწმინდის წარმოდგენა, დიმიტრი ყიფიანი... ჩვენთვის საფიცარია ეს სახელები. არის რაღაც თილისმური ამ წმინდა მთის წარმოდგენაში... მორწმუნენი, რელიგიური მოაზროვნენი ირჩევდნენ ალაგს, საიდანაც მათი რწმენით, ღმერთს უკეთ ესმოდა ვედრება კაცისა. მამადავითიც საუკუნეების განმავლობაში ეროვნული რწმენის მთას წარმოადგენდა. მეექვსე საუკუნეში ასურეთიდან მოსულმა მამა დავითმა აქედანაც აღაპყრობინა ქართველობას ზეცად თვალები. შემდეგ კი, ქართული პოეტური სულის სამეუფოდ გახდა მთა, რომელიც ათონის წმინდა მთის სეხნიად იქცა. ახლა შეუძლებელია ქართველმა არაპოეტური თვალით მოიხილოს იგი. მთაწმინდამ მუზათა საუფლოს — ქართული პარნასის როლიც იტვირთა: ქართული ლირიკული მუზის დიდ მოციქულებს ამ მთამ შედევრები დაატოვებინა თავის კალთებზე („შემოღამება მთაწმინდაზე“, „განთიადი“, „მთაწმინდის მთვარე“). აკაკის მუზა მუდამ თავს დასტრიალებდა მსხვერპლთშეწირვის იდეას. მას, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავი ესახებოდა ერის სამსხვერპლოზე მისატან ზვარაკად. და აი, ამ გრძნობას ბიძგი მისცა ისეთმა შთამაგონებელმა ფაქტმა, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივი აღსასრული. ვინ იცის, რამდენ ქართველს გაუწირავს სიცოცხლე დედაენისათვის, მაგრამ იშვიათია რაინდული და ინტელიგენტური თავგანწირვის ისეთი მკაფიო მაგალითი, როგორიც ქართველობას 72 წლის დიმიტრი ყიფიანმა უჩვენა. ჯერჯერობით ჩემი ლაპარაკი „განთიადის“ შორიახლო ტრიალია, ამ ლექსის აღმოთქმის წინაპირობათა შესახებ მინიშნებაა. „განთიადის“ ბადალ ქმნილებაზე შეიძლება ითქვას, რომ ესაა წამიერყოფა ქვეყნიერების რიტმისა, ქვეყნიერების გულის ფეთქვისა. ნუ შეგეშინებს მაღალ-მაღალი ასტრონომიული შინაარსის სიტყვები. ისინი ასტრონომიულად არიან დიდნი, პოეზიისათვის კი სხვაგვარია მოვლენათა განზომილება. პოეზიისთვის „კოსმოსის გული“ არ ნიშნავს უფრო დიდს, ვიდრე გული კაცისა. ამ ლექსში მართლაც მთაწმინდაზეა მიტანილი ქვეყნიერება. აი, ამ წერტილიდან ჩანს „ქვეყანა... უთვალავი ფერითა“. ესე იგი, ესაა იშვიათი ლირიკული წამი, წვეთი სამყაროსეული ჰარმონიისა, წამიერი განცდა კოსმოსური უსასრულობისა. რა სიახლოვითაა ნაგრძნობი აქ ყოველივე, სიშორის დაძლევის რა ლირიკული სასწაულია: „მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს თავდადებულის საფლავსა“. სივრცის რეალური წარმოდგენები სულ სხვაგვარად შეიფერა რა ინტიმური სითბოა, მართლაც კოსმოსური ჰარმონიის როგორი საზეიმო წამია დაჭერილი „განთიადის“ ციურ ხილვებში: „წინ მომეგებნენ ღიმილით შენი მზე, შენი მთვარეო, გუნდი

და გუნდი ვარსკვლავი, მოკაშკაშე-მოელვარეო". სამშობლოს მოეფერო, სამშობლოს გულში ჩაეკრა, როგორც დედას, სამშობლო გულში ჩაიხუტო, როგორც შვილი აი, ინტიმურობის ამ მაგნიტურ ძალაში, ამ სითბოსა და სიყვარულშია წარმოდგენილი სურათი: „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო". არის რაღაც საერთო ნაგრძნობი ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის ხილვებში... მთაწმინდა ზეცის იდუმალების, ზეციური ხმებისთვის ყურთმიგდების სურვილს აღძრავს. ასეთი ენებები მოსძალებია რომანტიკოსს: „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი..." ამ წმინდა ადგილს უნდა შთაეგონებინა პოეტისათვის, მოეხილა სინაზე და იდუმალება ქვეყნიერებისა: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წუნარი!" საოცრადაა ნაგრძნობი მთაწმინდის მდუმარება ჩვენი ლირიკოსების განცდაში. ესაა უაღრესად მუსიკალური მდგომარეობა. ესაა კოსმიური მუსიკა, უბრალო მოკვდავთა ყურთასმენისთვის მიუწედომელი: „მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა..." რა საოცარი ჩაფიქრების, დუმილის ხმა გვესმის, ბგერებისაგან განტვირთული: „დადუმებულა მთაწმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა..." მთაწმინდის მდუმარების ეჭოს მტკვრის დუდუნი აძლევს ბანს. და ბოლოს ეს საოცარი „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ..." ამნაირი სტრიქონები ათქმევინებენ კაცს, რომ პოეზია უთარგმნელიაო. სიტყვებს კი ვთარგმნით, მაგრამ რა მოვუხერხოთ ვედრების იმ წმინდა ჭართულ ინტონაციას, იმ ეროვნულ სულს, რომელიც ამ სტრიქონში ტრიალებს? „მთაწმინდა გულში იხუტებს შვილიშვილო სამარეს, მამადავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს". ამ პოეტური სურათის ავტორს ცრემლმორეული მზერა დიმიტრი ყიფიანის ხატებისათვის ჰქონდა მიპყრობილი. ჩვენთვის „განთიადის" სამყარო არასგზით არ აღიქმება აკაკის ღანდის გარეშე: თითქოს გვესმის კიდეც სულმნათი მთაწმინდელების შესიტყვება:

„აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეგვურ ძილითა,
აქ შწუხარე სასაფლაოს, ვარდითა და გვირილითა,
ევსება ვარსკვლავების კრთომება მხიარული..."

ამ ლექსზე საუბარი ალბათ, იმას გვაფიქრებინებს — მხატვრული ანალიზი არა მარტო სკოლის მასწავლებელთათვის ყოფილა ძნელად დასაძლევი პრობლემა. მაგრამ, ცხადია, სიძნელემ არც სპეციალისტს და არც მასწავლებელს მხატვრული ფორმის ანალიზზე ხელი არ უნდა ააღებინოს. თავის დაზღვევის მიზნით არ მოგახსენებთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას — ჩვენი მსჯელობის და ბჭობის შემდეგ ფორმისა და შინაარსის მიმართების პრობლემას და, საერთოდ, მხატვრული ანალიზის გადაუჭრელ საკითხებს ერთბაშად შუქი მოეფინება და საბოლოოდ გადაიჭრებაო — ამის იმედი არც ჩვენ და არც საქმეში ჩახედულ მკითხველს არ უნდა გვქონდა.

პირველივე სტრიქონები წარმტაც სურათ-გამოცანას გვთავაზობს. შორს, ძალზე შორს გაგვახედა პოეტმა:

„მიის მზერვალსე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოსჩანს;
თვალით ისარი, შენარჩუნორცხი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.“

სურათი-გამოცანა თანდათან კონკრეტულ სახეს იღებს. „ის ფაცხაა, მღვიმის პირად მიწნული და მიგრეხილი.“ ფაცხა ასე საოცნებო ნეტარებით, ალბათ, არვის აუვსია... ადამიანები დრტვინვენ ოქროსა თუ სპილოს ძვლის, ბროლისა თუ თვალ-მარგალიტისათვის... ბედნიერი გახადონ ცხოვრება. მწერლობა კი ადამიანური ლტოლვის ამგვარ ამაოებას გვიჩვენებს. სრა-სასახლეები თვალს იტაცებენ ტკბილი ცხოვრების ფერადოვნებით. ამ ტრადიციულ მრავალსაუკუნოვან წარმოდგენებს ჩვენმა პოეტმა სულ სხვა მხრიდან მოუარა; გვიჩვენა არა სიდუხჭირისა ან ასკეტური გამძლეობის ქოხი, არამედ საამქვეყნო ცხოვრების ნეტარება. ამ ეპიზოდში, ამ სურათში ხორციელი და სულიერი ცხოვრება კი არა, თვით საამქვეყნო ცხოვრების ნაირსახეობებია შეპირისპირებული. ლაღი ცხოვრებით არის გაბრწყინებული ბათუს საოცნებო ფაცხა...

„და იმასთან ყველა ტკბუის,
რაც-კი ცხე-დარბა'ხია“...

ეს დაპირისპირება სრულიადაც არ არის შემთხვევითი, აი, რომანტიკა, ციცილიზებულ-ოპოზიციური წარმოდგენა ბედნიერებისა, რამდენადმე რუსოიზმის მსგავსი — „უკან ბუნებისაკენ!“ რთულ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი ბათუ არაფერს საჭიროებს, რაც მას არ გააჩნია; აი, მთელი მისი აელა-დიდება:

„კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი, მისებრ დანაბადი?“

საზოგადოდ, აკაკის სულისკვეთება შორსაა რომანტიზმისაგან, მაგრამ ცხოვრების ამ სურათის რომანტიკაზეა ლაპარაკი. თითქოს შეუვარებული ცოლ-ქმრის ბედნიერება უნდა განმარტოვდეს, დაცული იქნას საზოგადოების ავი თვალისაგან. პოეტმა აქ დაგვიხატა სამოთხისებრი იდილია. ეს არის უჩრდილო სინათლე, ბედნიერება, რომელსაც ადამიანური ხვედრი ტანჯვა-ვნებებისა თითქოს სულაც არ ეხება. როცა ადამიანის საამქვეყნო ყოფას ცამდე აიყვანენ, მაშინვე ჩნდება მღრნელი კითხვა: ნუთუ უსასრულოა მოკვდავის ბედნიერება? ამგვარი კითხვით დაასრულა პოეტმა „გამზრდელის“ პირველ კარში დახატული სურათი. ადამისა და ევას უდრტვინველობას

რაღაც ელოდება, როგორც კი სამოთხეში გველი გამოჩნდება:

„მაგრამ ხანგრძლივ ეს ხოცვა
გაახარებს ვისმე განა?
თაკლში ურევს მწარე ნაღველს...
მერისას მისი გამცინა!"

დიდ ბედნიერებას მხოლოდ დიდი რამ აქცევს უბედურებად. პოეტმა სულმოუთქმელი ცნობის ჟინი აღგვიძრა, ჯერ წყურვილს გვიმატებს. აკაკი ამბის როგორც აჩქარების, ასევე დაყოვნების დიდოსტატია. პასუხს შორიდან მოუვლის, ცეცხლს კიდევ მეტად აგზნებს... მზენათელ დღეს ბათუს ქოხისაკენ მიმავალს ჰმართებს:

„ძარღვში თვალი, მკერდს გული;
ანუ ქვაცდის რაში ცხენი,
მიაშს გაზრდილ-გამოწერისილი..."
ის გზასე კუნაპერ ღამეს ვილაც მიაპობს:
„ამ დროს ხილმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეო, ვილაც მგზავრი
სტუმრად მოსდგა აეზახის კარს!."

მხოლოდ იშვიათ ამბავს შეუძლია ამ დროს აქ კაცის მოყვანა. პოეტმა პასუხი დაახანა. კვლავ ახალი რგოლი საინტერესო ჯაჭვისა. ვით ზღაპრის მზეთუნახავი, ზია-ხანუმ საგმირო გამოცდას სთავაზობს საფარ-ბეგს.

ცხენის მოპარვა თუმცა რაღაც საჩოთიროს მოიცავს, როგორც ქურდობა, მაგრამ მას სხვაგვარი ტრადიციისმიერი სავაჟკაცო წარმოდგენაც უკავშირდება. ავთანდილისებრ თავდადებული ბათუ

„ლურჯ ბეყდაურს მოაგელვებს
მეყაბრისთვის მეყაბარი."

ბათუს ქოხში ჩადენილ ცოდვას ერთი ამოსუნთქვა მოჰყვა: გავიგეთ პოეტის წინასწარმეტყველური შეგონების აზრი. „მაგრამ ხანგრძლივ..." ახლა სხვაგვარი ცნობისმოყვარეობა ჩნდება: რას იზამს ბათუ? ეს საყოველთაოდ აუცილებელი კითხვაა, რომელზედაც მკითხველს თავისი რაღაცნაირი სავარაუდო პასუხებიც მოეპოვება. ახლა უკვე აკაკისეული ამბის ცხოველმყოფლობა გმირთა გარეგნული მოქმედებებიდან გმირთა სულიერ სამყაროში გადაინაცვლებს.

ბათუს საქციელი საფარ-ბეგისადმი არ არის ტიპიური. ასე მხოლოდ გმირი მოიქცევა. ჯოყოლა სტუმარ-ძმის მკვლელს იცავს. ვინ ასწონის, რომელი ცოდვა უფრო მძიმეა, მაგრამ ბათუს ჯერ სიმწრის აფექტი არ განელებია, აქ შორეული მძიმე ჭრილობის გახსენება კი არა, ახლანდელი ტრაგედია დუღს. ბათუს საარაკო ხასიათი დაგვაჯერა პოეტმა. თავისთავად ძალიან ძნელი დასაჯერებელია, ამ დროს რომ კაცი ასე მოიქცეს. დამარწმუნებელობის საბუთად ქართული სტუმარ-მასპინძლობის საუკუნეთა ნაქედი წესი მოიხმო...

რა მაცდურია აკაკისეული სისადავე. ესაა სიღრმისა და არა ზედაპირის სიცხადე. საფარ-ბეგს დღესაც შეცდომაში შევყავართ, მის ხასიათში სწორხაზობრივად ვგულისხმობთ ბევრ რამეს, თუ აკაკის გამოცანას კარგად ჩავუკვირდებით, აქ უფრო რთულადაა საქმე. საფარ-ბეგს, ჩვეულებრივ, ქოქოლას ვაყრით, თითქოს არ ვცდილობთ მიზეზთა ძებნას. ამიტომაც მას ვსახავთ იმთავითვე ბოროტებისათვის გაჩენილ პიროვნებად. აკაკიმ უძირო სიღრმის ხასიათი დაგვიხატა და მარად გადაწყვეტის ცდას არ შეწყვეტს შეცნობის უნარით აღჭურვილი არსება...

საფარ-ბეგი ძუძუმტეა, თან შეზრდილია უწმინდესი კაცისა; აღზრდილია სიბრძნით, სიკეთით საესე ჰაჯი-უსუბისა. განა ორივე მათგანისათვის ყოველად წარმოუდგენელი არ არის საფარ-ბეგის ცოდვა? ან კი შემდეგ რატომ არ ხუნძლავს მას ბრალდებებით პოეტი, წარსულის გახსენებით, მისი ბოროტების არაშემთხვევითობის საჩვენებლად? ცხადია, მის საქციელს „შენდობა არ უხერხდება," მაგრამ აქ უფრო რთული ვითარება გვაქვს, ვიდრე მაშინ, მწერალი რომ ბოროტებას ჩაადენინებს ბოროტებისათვის საგანგებოდ ქმნილს. აქ სხვა რამ გვითხრა პოეტმა. სიკეთისა არ იყოს, მრავალფეროვანია ველენა ბოროტებისა. არის რიგი სახეობა ბოროტებისა, რომლისაგანაც არავინაა დაზღვეული. საფარ-ბეგის ბოროტება, ღალატი მის უნებისყოფობაზეა დაფუძნებული. აქ არ არის არავითარი მიზანი ბოროტებისა. იქნებ ეს ისეთივე უბედურებაა, როგორც ავადმყოფობა, რომელნიც ნებას არ სთხოვს სიცოცხლის პირმშოს. საფარ-ბეგს აღსარების გრძნობა არ დაუკარგავს, იცის თავისი დანაშაულის ხვედრი, სიკვდილი მიაჩნია სინდისის გამართლების გზად. იგი მორალურმა გრძნობამ გახადა უბედურ არსებად. ბათუს ქოხისაკენ მიმავალ ძუძუმტეს არავითარი ღალატი არ ედო გულში:

„შემაცდინა თავის ქმამაცმა
და დაბრუნა ცოდვის ხელი!...

„ღალატი იქაა, სადაც რამდენადმე მაინც შეგნებული, წინასწარ განზრახული მოქმედებაა" (გრ.კიკნაძე); რა სახისაა ფსიქოლოგიურად, მორალურად, სამართლებრივად საფარ-ბეგის ცოდვა? – ეს კითხვები სიღრმის საოცარ პერსპექტივას გვიჩვენებს. ასეთი კითხვაც შეიძლება დაისვას: საერთოდ, რამდენად შეუძლია ადამიანს მბრძანებლობდეს იგი თავის ვნებებზე? ვგულისხმობთ კი ყველა შესაძლებელ, ჩვენგან დამოკიდებულ სიტუაციებს ჩვენი ვნებების გამოსაცდელად წარმოქმნილს?... გავიხსენოთ, რომ ასეთი ნებისყოფა შემოაკლდათ ნებისყოფისთვის გაჩენილ ადამიანებს, ნაწრთობ ასკეტებს, საეკლესიო მორალით, ეთქვათ ილიასეული მწირი არანაკლებ ცოდვილია, ვიდრე საფარ-ბეგი; რელიგიური მოძღვრებით, ჯერ სული უნდა ეკუთვნოდეს ღმერთს... წარწყმედა ფიქრისა მეტია სხეულებრივ ცოდვაზე. სამართალი ფიქრებისათვის ვერაფერს მიუსჯის ადა-

მიანს, მისთვის ყველაფერი, არსებითად, ელენილი მოქმედებით განიზომება. მაგრამ აქ სამართლისა და ეთიკის საზღვარზე აკაკიმ დიდი პრობლემა წაგეიკითხა. ესაა პრობლემა ასკეტიზმისა სულ სხვაგვარ სიბრტყეზე გაშლილი.

აკაკის თხრობის ანდამატი მრავალფეროვან ხერხებს, ნაირ-ნაირ სიტუაციებს აკავშირებს ერთმანეთთან. ხასიათიც ამბავივით გაიშლება, დინამიურია... ჰაჯი-უსუბის საქციელი არც ერთი, ძველი თუ ახალი, მოძღვრებით არ არის სამართლიანი. აქაც იშვიათი გზა აირჩია პოეტმა: განაჩენი მოძღვრისა არ არის სწორი, მაგრამ იგია ყოველგვარ სისწორეზე უფრო ლამაზი.

12 დეკემბერი, 1980 წ.

დიდოსტატები

„საკმაოდ უცნაური იყო ჩვენი ურთიერთობა, ყოველი ჩემი წიგნის გამოსვლისას იგი დამირეკავდა და მომილოცავდა. მარწმუნებდა — სხვანიც რომ არ იყვნენ, ამ საუკუნეს მე და შენც ვეყოფოდითო...“

კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე.

რიცხვების მაგიას არ მივმართავ, მაგრამ უცილობლად აქვს თილისმური ხიბლი თარიღის თარიღთან გასაუბრებას. 1010 წელი დიდი ნიშანსვეტია ქართული კულტურის ისტორიაში — საძირკველი ჩაეყარა სვეტიცხოველსა (1010-1029) და ნიკორწმინდას (1010-1014)... ასევე კბილანი სიტყვის ამ ორმა დიდოსტატმა უნატიფესი ძეგლი აუგო საპრეთლის ორ დიდოსტატს... ერთმა ეპიკური მზერით გვიჩვენა ქართული სულის ქვაში ხორცშესხმისა და გაუკვდავების პროცესი. მეორემ საუკუნეთა ქარცეცხლგამოვლილი, რეალური ნიკორწმინდიდან თითქოს გამოიხმო ეს სული და სულ სხვა — ლირიკული ნიკორწმინდად აქცია. ასე ინება მუზათა გამრიგემ...

სწორედ იმ წელს (1947), როცა „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ დაიწერა, იშვა „პიმნი ქართულ ანბანს“. პოეტს თითქოს ქართული სულის სუბსტანციურ ნიშნად ჩუქურთმა ეხატება:

„შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი,
ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი...
მარადისი სიახლე გაქვს ორბის,
ხვეულები გრეხილების ორფის“.

სხვა ნიუანსებიც აქვს ამ ლექსთა შემსგავსებას. „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ („ქებათა ქება ნიკორწმინდას“) და:

„შენ სიმები მოგაქვს ჩემი ქნარის“ („პიმნი ქართულ ანბანს“).

უფრო ადრე კი კონსტანტინე გამსახურდიამ უგალობა ქართულ

ანბანს თავისი „მთვარის მოტაცების“ ლირიულ ინტერმეცცოში: „ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ. გაოცებული შევცსქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიკურ ჰიეროგლიფებს. შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხომეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი. ანი ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს... ბანი ყელმოღერებულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს არა ჰგავს? განი ლაგვინებს და ჯურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ). ღ, ყ, ლ, დ, წათებს, წერაქვებსა და ჩაქუჩებს. ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია: ენის, სანის, ხარის, ნარის, ვინის, ფარის, წილის, ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელშუბებს მაგონებს...

და ამ დ-ს, ჭ-ს, ჯ-ს პაწია მარყუჟები ვაზისადმი სიყვარულის ანარეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაესი მონადირე ტომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის, ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს.

განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“.

გალაკტიონის ჩუქურთმა კი მუსიკალური ჩუქურთმაა. თავისთავად ჩუქურთმა დროის დახანების ხელოვნებაცაა. გალაკტიონის ფანტაზიამ უჩვეულო ტემპით ააჩქარა საკრეთელი:

„ჩუეულთა დიადება
ცხედავ — რა უხვია,
დროთ მას დიადება
კრძალვით შეუხვია.
ნელა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა
გ'ხნება — ნიკორწმინდა“.

უმოძრაობისა და მარადჟამყოფის სიმბოლოს — ქვადქცეულ მშვენიერებას — მარად მედინი მუსიკალური რიტმის ენაზე წარმოგვისახავს პოეტი. ამიტომაც ხილვის მთელი პროცესი ასე გვესახება — როგორ ილტვის ზევით, „მაღლა ნიკორწმინდა“. პოეტის მუზაც ამქვეყნიურ მშვენიერ ქმნილებებს ცისკენ ეზიდება. მიწაზე დაფუძნებული თითქოს ვერ ეტევა მიწაზე: „და ცით დაამშვენა დიდი ნიკორწმინდა“. გალაკტიონის მუზა საგნებს სიმძიმეს ართმევს.

სიმშვიდეს უკარგავს. აქ ლამაზი სრბოლაა სულისა. გალაკტიონი ცის მგოსანია, და ზეცაში იმასაც ხედავს, რაც სხვათათვის თვალმიუწვდენელია:

„(ჯა ისეა მოწმენდილი, (ჯა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი".

(„გურიის მთები")

გალაკტიონის მუზა სმენამიუწვდომელ ხმიანობასაც მოგვასმენინებს, „სადაც იდუმალ მარადიულზე ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი" („ცად აზიდულა, ვით მარმარილო")...

რუსთაველმა ვრცლად დაგვიხატა ზეცის პეიზაჟი („ავთანდილის ლოცა შვიდთა მნათობთადმი"). გალაკტიონის პოეზიაც ცის დიდი საგალობელია, მაგრამ აქ იშვიათად ენახავთ მშვიდ, ეპიკურ ზეცას. აქ ცა ელვარებს და დედამიწის ქმნილებებში ისე გაიელის, რომ ზოგჯერ ურანოს-გეას გათიშულად ვერც წარმოიდგენ.

გალაკტიონი საოცრად ჰვრეტს სივრცეს:

„დაეხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი" —

აქ თითქოს ამობრუნებულია პოეტის მზერა. იგი საგნებს ისე კი არ ხედავს, როგორც მათ თვალი აირეკლავს. იგი სულის თვალებით სჭვრეტს სივრცეს და მოიხილავს ცის დასალიერს. მისი ნიკორწმინდა არ გახლავთ ხუროთმოძღვრული ქმნილების სიტყვიერი ასლი. ჩუქურთმებით ანთებული სული უარს ამბობს ამ მშვენიერი ქმნილების აღწერაზე და ქმნის მეორე ძეგლს. ამიტომაც ნუ გეიკვირს გალაკტიონისა და ხელოვნებათმცოდნეთა რადიკალურად განსხვავებული აღქმა ნიკორწმინდის გუმბათის ყელისა: „შენობის გარეგნობა რამდენადმე მძიმეა,ელეგანტურობას მოკლებული, განსაკუთრებით გუმბათის ყელის მასიურობის გამო, მაგრამ ორნამენტაციის სიუხვე, უშრეტი მრავალფეროვნება, შესრულების ძალიან მაღალი ხარისხი (უმეტესი ნაწილისა), დიდად საინტერესო სკულპტურული დეკორი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს" (ვ.ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, 1974, გვ.145).

ახლა გალაკტიონის სიტყვებით წარმოვისახოთ ნიკორწმინდის გუმბათის ყელი:

„შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
საიხიად აღერილი
გშვენის, ნიკორწმინდა".

როგორც ჩანს, გალაკტიონს მოსწონს ყელშეღერების ხატი: „უე-

ლი გაქვს გედივით მაღალი და სწორი! ოჰ, თქვენს თმებს შეჰფერის დაფნა და ამბორი!" („შიშველი").

გალაკტიონი ქვას ააღელვებს, ქვეყნიერებას გადაადნობს ლამაზ ლანდებად,რამეთუ წამიერების ელვარების მხატვარია... ფერი ფერს ეფერება, სივრცე ლიღლივებს,ხან თრთოლით,ხან სრბოლით სულს იქით, „ბედს იქით" მიაპყრობინებს დემონურ მზერას. ასე წარმოგვესახება ცისკენ ალანდული „დიდი ნიკორწმინდა"; შეიძრა უძრავი და ასაფრენად აიწვართა „ძეგლი ნიკორწმინდა":

„მსურა ქარიანლია
სიერცის დაუნჯებით,
თვალი ცარიელია
ფრიალით ფიასკუნჯებით:
ფრიები, ფრიები გინდა,
კიდეც ფრიები გკინდა,
გინდა დაეუფლო
სიფრცეს, ნიკორწმინდა!"

გალაკტიონმა მოგვასმენინა კიდეც „სვეტი ნიკორწმინდა". უტკბილესი.სულის დამავანებელი სიტყვა მოსტაცა მუზას; ამ ერთი სიტყვით წარმოვიდგინეთ (ხატად და სმენით) იმაზე მეტი, რასაც ხშირად ვერ აღწევს ლაშქარი სტრიქონებისა: „შენ, ფრთამოღუღუნეს..." ასე ანგელოსს, ბავშვს ეფერებიან. აი· ჩუქურთმა როცა საჭრეთელი ჩანგად გადიქცევა...

კონსტანტინე გამსახურდიას ეპიკური მზერა კი ვრცელ ისტორიულ პანორამას ჰვრეტს.

კონსტანტინემ არამარტო ქართული კულტურის პლასტები, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ფესვებიც გვიჩვენა, გვიჩვენა, როგორ დაკრისტალდა ეს ყოველივე დიდი ხუროთმოძღვრის სულში. ხუროთმოძღვრულ შემოქმედებაში მთელი ერის სულიერ-მატერიალური ფასეულობა იღებს მონაწილეობას. და არამარტო თავისი ერისა! სვეტიცხოვლის შემქმნელი ხალხი მხოლოდ სახელმწიფოდ ქცეული ერი შეიძლება იყოს, რომელსაც მრავალი კულტურულ-სამეურნეო დაწესებულება აქვს, ჰყავს კირით-ხურო. აქვს საინჟინრო ცოდნა-პრაქტიკა,ჰყავს მეფე მაღალ ღირებულებათა მცოდნე... კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ასეთი მსოფლიო მასშტაბით გაშალა ხედვის არე. გვიჩვენა ინდივიდუალური ტალანტის ეროვნული სულიდან ამოზრდილობა: „ხომ უცილოდ დიდია რუსთველი და თანაბარსკალავედი მისი, მაგრამ არა ნაკლებად საამაყოა ჩვენთვის ბოლნისის, ჯვარის, სვეტიცხოველის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვასა და გელათის დიდოსტატები. მე ეწუხდი, რომ ასეთი შედევრების ხუროთმოძღვრებს დავიწყების ჩრდილი მოჰფენოდათ სახეზე. ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას".

ლირიკის სტიქია გრძნობაა, პროზისა — „აზრები და აზრები“ (პუშკინი). ცხადია, აქ პრიმიტობა იგულისხმება და არა ურთიერთგამორიცხვა. „დიდოსტატის მარჯვენა“ სავსეა აზრებით, ხშირად პირდაპირი სახით მოცემული შეუნიღბავი ცოდნით. მთავარი იდეა — ერთგვარი ღერძი რომანისა — ბევრის მნახველ-მგრძნობელი ავტორის მაღალ კულტურაზე მეტყველებს. ხელმწიფე და ხელოვანი, სახელმწიფო და ხელოვნება ეს დრამატული წყვილები თავისთავად ლამაზი თემაა ხელოვნებისა. ტრადიციულად ამ აზრს, „დიდოსტატის მარჯვენას“ მიხედვით, ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელო ასე გამოკვეთს „ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში“. თუმცა ტირანიცაა და ტირანიაც! აქ უფრო იტალიური რენესანსის ეპოქის სტილი იგრძნობა. ეპოქა, რომელიც ხელოვანისაგან მისი ტალანტის ნაყოფს მოითხოვს, თავად ხელოვანს კი ისე მოისვრის, როგორც ჩენჩოს... ტირანულ სახელმწიფოში არსაკიძეს მკლავი მოჰკვეთეს, ტირანულ სახელმწიფოში ხელოვანს ტყვიას ესვრიან, საპყრობილეში ათავსებენ, მაგრამ ისტორიამ უარესი, მზაკვრული ფორმაც იცის ტირანიისა: სახელდობრ, ხელოვანად შემართულ კაცს ნიჩსა და ნირს რომ შეუცვლის, ხორციელი პატივითა და განცხრომით რომ ალაღებს, ფუფუნებით აყეყეჩებს; მაგალითები უამრავია რომის იმპერიისა თუ დასაწყისი ევროპის ქვეყნების კულტურის ისტორიიდან!

„დიდოსტატის მარჯვენა“ სავსეა პოეზიით, ეპიკური სურათებითა და დრამატული განცდების მშვენიერი ლირიზმით. აქ მიღწეულია მონუმენტური მთლიანობა ეროვნულ-ინდივიდუალური ტალანტის შერწყმისა. სვეტიცხოველი თავადაა გამოხატული, როგორც ჩუქურთმა ქართული სულისა.

„ხუცორძულას წყალი მისცამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჯირეს, მკლავი მომიჭრეს,
რაკომ კარგი აგიგიაო“.

ასე უბრალოდ,ასე სადად ნათქვამ სიტყვებში რანაირად გაცხადდა ტრაგიკული არსი ტალანტისა, ასე ქართულად როგორ გამოიხატა დაუძლეველი, სატანური თანამდევარი ნიჭისა შური? მსოფლიო ხელოვნების ისტორია გვიჩვენებს იმ ადამიანთა ხვედრს, რომელთაც წილად ერგოთ — პირადი ტრაგედია მშვენიერებად გადაეღოთ. ბედნიერნი არიან ისინი... 1926 წელს საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობას ესწრებოდნენ კონსტანტინე და გალაკტიონი. ბატონი კონსტანტინე უკომპრომისო გახლდათ. მწერალთა ყრილობამ აირჩია გამგეობა... მათ შორის არც კონსტანტინეს გვარი იკითხება, არც გალაკტიონისა... მაგრამ მუზის მოციქულთა ცხოვრება სხვა სამყაროს ეკუთვნის... სვეტიცხოველისა და ნიკორწმინდის დიდოსტატთა მეხოტბეებს, სიცოცხლეშიც ქართული პოეზიისა და

ქართული პროზის მეფეებად აღიარებულებს, დღეს ორივეს „სძინავს მეფურ ძილით“.

1982 წელი.

ხასიათები

ხშირად პირზე გვაკერია გამოთქმები: მთის ხასიათი, კლდისებრი სიმტკიცე და გაუტეხლობა... მაგრამ მათში ნაგულისხმები ცნების ლოგიკური ანალიზი,რაიმეს მტკიცება-უარყოფა მეცნიერების კანონებს ნაკლებად ემორჩილება. როგორ ჰგავს მთის კაცის სული, ხასიათი მთას, ძნელი ასახსნელია,თუმცა ამას შესანიშნავად გრძნობენ და გვიხატავენ ხელოვანნი.

მთის ეგზოტიკა არა მარტო ჩვენს ლიტერატურაში იპყრობს ყურადღებას... ახალი მწერლობა ევროპისა მთის ყოფაში თვალგაფაციცებით ეძებდა შემოქმედებითს იმპულსს.

ალექსანდრე ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ ჩვენს ლიტერატურას ახალი სივრცე, ახალი სამყარო შესძინეს — ქრისტიანულ კულტურას ნაზიარევი მთა. მაგრამ იგი არ არის მხოლოდ წარსულის გაქვავებული სული — სამუზეუმო ექსპონანტად ქცეული. მის ისტორიულ-სულიერ დანაშრევებში რაიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური მოელენის „ჩაწერა“ წინას წაშლის ხარჯზე არ ხდება. არსად ასე გუშინდელივით არ ჩანს უძველესი საუკუნეები,როგორც მთის ხალხის ყოფასა და ფსიქოლოგიაში.

ალ. ყაზბეგის სამყაროს გმირთა ხასიათები განსაზღვრულია, ერთი მხრივ, კლდისებრ შეუვალი კანონებით, მეორე მხრივ, იმ იშვიათი მგრძნობიარობით, ტემპერამენტით, რაც სიცოცხლით სისავსეობის ძალუმ გამოვლინებას წარმოადგენს. რაც შეეხება ქცევის ნორმებს, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს, მათი თავისებურება ისაა, რომ პირველქმნილი სისავსით ითავსებენ სამართლებრივ, რელიგიურ, ზნეობრივ ასპექტებს: კანონი, უპირველეს ყოვლისა, გულის და არა გონების არხით შეაღწევს ადამიანის არსებაში.ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მოვალეობის გარეგანი ფორმა. სხვათა წინაშე ვალმოსახდელი რამ კი არ არის. არამედ — შინაგანი მრწამსით აღსასრულებელი აუცილებლობა, ამიტომაც ყაზბეგის გმირები, როცა თავს იმართლებენ, ვიღაცას რაიმეს უმტკიცებენ, მოწმედ ადამიანებს იშვიათად მოიშველიებენ.ისინი ღმისასა და სამებას იმოწმებენ, ხოლო ფიცის გამტეხისათვის საოცარი ძალის ფორმულა მოეძევებათ — „დედამც შეერთოს ცოლად!“

მთის კანონი შეუვალია. მან არი იცის ღმობიერება, გამონაკლისები და უკან დახევა. რაოდენ უხერხული, საჩოთირო სიტუაციაც უნდა შეიქნას, არც ერთი გმირი და არც თვით ყაზბეგი არ განსჯის

ხოლმე კანონის კანონიერებას. ელგუჯასა და სვიმონის სასამართლო გავიხსენოთ: მესისხლეობის კანონი აქ აშკარად ფორმალურად ელინდება, გადაწყვეტილებაც შესაბამისია, ამას სვიმონიც გრძნობს, — მაგრამ იმის განხილვისაგან თავს იკავებს, სწორია თუ სცოდავს კანონი. მთამ იცის, თუ კანონი ხშირ-ხშირ ცვლილებას დაეჩვია, რამდენი მოხერხებული კაციცაა, იმდენი კოდექსი გაჩნდება; აქ კანონი ციდან მოვლენილად აღიქმება, მამა-პაპით მოდის და მთიელის ძვალ-რბილშია გამჯდარი. აი, ამგვარი სიმტკიცის მატარებელი სული ეჯახება ჩანჩქერივით მოჩუხჩუხე სისხლს კანონებსა და გრძნობებს შორის დრამატული კონფლიქტი არის ყაზბეგის გმირთა ხასიათების სიმძაფრის წყარო.

„საიდან სადაო...“ შეიძლება იფიქროს კაცმა. მაგრამ ლიტერატურის სამყაროში ფრთამალ ასოციაციებს რა გამოლევს; ყაზბეგის კითხვისას მე გოეთესეული „ვერთერული ვნებანი“ მახსენდება, ოღონდ იმდენად არა ანალოგიურობის, რამდენადაც კონტრასტულობის საფუძველზე.

სიყვარულის ბუნება, მისი მითოლოგიურ-ფილოსოფიური აზრი განსაზღვრულია იმ ნიშნით, რომ იგი წყვილის თვისებაა. მის საუფლოს ორნი ავსებენ, მესამე აქ ზედმეტია. მესამის ჩანაცვლება თუ შეიძლება მოხდეს, თორემ შეთავსება — არასოდეს. საცა მესამის შეთავსებაა, იქ სიყვარულის მაგივრად სხვა რამე გვაქვს. და მაინც, შეიძლება თუ არა, კაცი ეტრფოდეს იმ ქალს, ვისი ტრფობის უფლება საზოგადოებრივად ტაბუქმნილია და ამ ანომალიას უზნეობა, ბოროტება არ ერქვას?

ძმადნაფიცის ცოლისადმი ტრფობა, — ამაზე უფრო დიდი მკრეხელობა რა უნდა იყოს, მით უმეტეს ქართველი,მთიელი კაცისათვის! მაგრამ, ალბათ, მხატვრული ლიტერატურაც საჭირო აღარ იქნებოდა, ყოფითი რეალობის შესახებ ყოფითი მსჯელობისაგან განსხვავებული სიბრტყე რომ არ არსებობდეს. მხოლოდ ლიტერატურის, მწერლობის ენასა და ლოგიკას შეუძლია გვარწმუნებინოს, რომ სიყვარულით გონთბადასული მათია, ძმადნაფიცის მოსაკლავად კარისაკენ დაძრული, შინაგანად მაინც უცოდველია — კარს მიღმა მას რომ განსაცდელში მყოფი ელგუჯა დაენახა, გეჯერა მისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებდა.

ონისეს და მათიას ვერთერიზმის მიზეზი უსაზღვრო გრძნობიერებაა და არა — სულის, ნამუსის, ფიცის თავისთავადი სისუსტე. მწერალმა სიყვარულის საუფლო თითქოს ზნეობრივი განსაზღვრულობის ტრადიციული წარმოდგენებიდან გაიტანა. უსინდისობას სჩადის კაცი — უსინდისო მაინც არ არის, ფიცს ღალატობს — მოღალატე არ არის. მხატვრული ლიტერატურა ამგვარ ადამიანურ მოვლენებში უფრო მეტს ხედავს, ხედავს იმას, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავის მზერით ვერ დავინახავთ. ამიტომაცაა მწერალი არანაკ-

ლები საოცრების აღმომჩენი, ვიდრე ის, ვინც ატომი გახლიჩა. ალ. ყაზბეგის სულისმიერი სიღრმე აქ აშკარაა, მწერალი უკან არ იხევს სირთულეების წინაშე: უზნეობას მხოლოდ უზნეო ადამიანები არ სჩადიან. ადამიანის ღირსება, ძირი ერთია, არავინაა ზნეობრივი მარცხისაგან თავისუფალი.

რუსთაველის შემდეგ ასეთი გრძნობათსიქარბე, სიყვარულისაგან დაბნედილობა არავის დაუსატავს ქართულ მწერლობაში. ყაზბეგის პერსონაჟს როგორც კი შეეხება კუპიდონის ისარი, მისი სულის, მისი ფიქრის არც ერთი ნაფლეთი სხვა სამყაროს აღარ ეკუთვნის იქ მხოლოდ სიყვარული ზეობს:

ვერთერიც იმ ზომამდე შეუპყრია ამ გრძნობას, რომ „სოფლით გალმა გაბიჯებაში" ხედავს. გამოსავალს თვითმკვლელობა თითქოს უმაღლესი საბუთია გრძნობის უსაზღვროებისა. მაგრამ ვერთერის ტრფობა მელანჭოლიურ-არისტოკრატიულია. მთის სანგვინიკები ვერთერივით სატრფიალო ეპისტოლეებით ვერ შეანელებენ ტრფობის ცეცხლს. მიუხედავად გრძნობის უკიდურესობისა. ვერთერს მაინც არასოდეს სტოვებს რეფლექსიის უნარი. მთის ვერთერები კი მთვრალებივით ბარბაცებენ, ენა ებმით, აზრი ეფანტებათ; მათში ბუნება, ცეცხლოვანი სისხლი დუღს.

მიუხედავად ამისა, ალ.ყაზბეგის გმირები ერთ ყალიბში როდი არიან ჩამოსხმული; ამასთანავე, თითოეული მათგანის ხატვისას ყაზბეგი პერსონაჟთა ხასიათის კონტრასტულობასაც წარმოაჩენს. ჩანჩქერივით დაუღეგარი გმირების ფონზე ქანდაკისებრი სიმშვიდითა და სიდიადით წარმოგვიდგება დიდებული სახეები ხევისბერისა და სვიმონ ჩოფიკაშვილისა.

ალ. ყაზბეგს დიდი კაცის ხატვა დიახაც შეუძლია, რამეთუ იცის, შინაგანად გრძნობს, როდის არის კაცი მართლა დიადი, რანაირად ძაღლდება მისი სული ყოველდღიურობაზე.

ხევისბერი არის სასულიერო-საერო წინამძღოლი თავისი ხალხისა. იგი შეიძლება შევადაროთ ძველბერძნულ ბასილევსს, ან უფრო მეტის მსგავსებით – ძველი აღთქმის იმ მეფეწინასწარმეტყველებს, რომელნიც ღმერთსა და ხალხს შორის მოციქულობენ. გოჩაც ერთგვარად ითავსებს „საამქვეყნო-საიმქვეყნო" მეუფეობას, ოღონდ ეს დაყოფა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ერთი გარდაცვლილთა სულთა სამეფეოს ნიშნავდეს, მეორე — კაცთა რეალურ ქვეყანას; „საიმქვეყნო" უწინარესად ცოცხალ ადამიანთა სულიერ სამყაროს, მათს ზნეობრივ ცხოვრებას აღნიშნავს. — ერთადერთ „საგზალს" იმქვეყნად წასაღებსა და გამოსადეგს.

მიუხედავად იმისა, რომ ხევისბერის რელიგიურ პიროვნებას ასე ჩაღრმავებით გვიხატავს მწერალი, ამით იგი არ შორდება ხასიათის ხალხურობას. რა ხდის მას ხალხის საფიცარ, ზნეობრივად დიდ პიროვნებად? ეს არის მოძღვარი თავისი ხალხისა, რომელსაც თავის

საუფლოში ყველაზე მეტი, ყველაზე დიდი მოვალეობა აკისრია! უფლება? უფლება კი პირადი უფლება - ყველაზე ნაკლები! ის, რაც ეპატიება სხვის შვილს, არ ეპატიება მის შვილს. ასეთია გოჩას მრწამსი. ამას პქვია დიდი კაცი! დიდი კაცი ერს უფრო არწმუნებს, ვიდრე უმტკიცებს. დარწმუნების ერთადერთი, შეუვალი არგუმენტია პირადული მსხვერპლი.ამიტომაც სხვადასხვაგვარი აღმოჩნდება სასჯელი ერთი და იმავე დანაშაულისა: გუგუა ფიჩიტაურს თემიდან გაძევება. ონისეს — მამისაგან მახვილი მკერდში; ასეთია თემის თავკაცის განაჩენი.

ხევისბერი მთის კაცია, რომელსაც მამობრივი სითბო ერთადერთი ძისადმი ძალიან ღრმად აქვს გულში შენახული. იგი კლდის ხასიათია. გოჩა ვულკანურად შეიძლება მხოლოდ დაინგრეს. მის ყოველ გამოჩენას თითქოს კავკასიონის ფონზე, ზეციური ღრუბლების თანხლებით ეხედავთ, ვხედავთ, როგორ დააბიჯებს მთას ზეცის კაცი. უფრო რბილია სეიმონ ჩოფიკაშვილის ხასიათი. აქ იმდენივეა მთისა, რამდენიც ბარისა. სეიმონი არ არის რელიგიური პირი, კულტის მსახური, იგი ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეა. აქ უკვე მწერალი ამ ზნემაღალ ხასიათს გვიჩვენებს პიროვნების თავის ხალხთან და თავის სინდისთან დამოკიდებულებაში.

სეიმონი ფრიად განზოგადებული სახეა ჩვენი ისტორიული მოღვაწეებისა. სეიმონი გაკვეთილია, რომელსაც უძველესი დროიდან სწავლობდნენ, — როგორ შეიძლება იყდე ერის სამტრო სკამზე და შეძლო შენს ხალხს ემსახურო. სეიმონს ბევრი, ძალიან ბევრი პროტოტიპი ჰყავს საქართველოს ისტორიაში.აქ ორი გზა ისახებოდა ამგვარ სიტუაციაში მყოფ მოღვაწეთა წინაშე: ერთნი, რომლებიც თვალის ჩაკვრით ატყუებდნენ თავიანთ მოძმეებს, — გული მიძგერს ერისთვის, მაგრამ ჯერ საშველი არააო, სინამდვილეში კი თავიანთ საეარძელს ელოლიავებოდნენ. მეორენი კი სეიმონობდნენ. არაიან ავიწყდებოდათ ამგვარ მამულიშვილებს. ვინ თვალთმაქცობდა, ვინ ნამდვილობდა, უმეტესწილად ამას მათი ცხოვრების ფინალი გვიჩვენებდა; დრო კი ყოველთვის ადრე თუ გვიან გამოაელენდა, ერი და ისტორია — მსჯავრს დასდებდა.

სეიმონი მწერლის საყვარელი გმირია. სიყვარული ხშირად უშლის ხელს მწერალს ჩრდილი მოუქნოს დიდ კაცს. ალ.ყაზბეგი ამგვარ ცდუნებას არ აპყოლია. „არიან ისეთნი კაცნიც, მაკიაველ, რომელთაც მე დიდად ვაფასებ და თანაც ვკიცხავ" (გოეთე).

გავიხსენოთ ეპიზოდი: აჯანყების სამზადისში მთიელთა თავკაცები, რიგითი. მაგრამ ზნესრული ქართველები სეიმონს, ხევის მმართველს, დიდი თანამდებობის პირს, შემოუთელიან, ეახლოს მათ. „...მე დღეს მთაში პირველ კაცად ვითვლებოდე და უნდა იმათ ვეახლო?" გაიკვირვა სეიმონმა. სეიმონის გულისძგერა წმინდაა, მაგრამ მწერალმა შესანიშნავი შტრიხით გვიჩვენა,რომ თვით ასეთ

ჰკვიან კაცსაც უჭირს ხოლმე ხორციელი პატივისაგან გათავისუფლება. სვიმონმა თუმცა იცის, რომ თავისი ხალხის სამტრო პოსტი უკავია,მაგრამ ცოდნა ერთია ამ პოსტის კარიერისტული განცდისაგან იგი იმ წუთას ვერ გათავისუფლდა.რაოდენ რეალისტური ხასიათია. „დღეს თქვენ უფროსად მე ვარ დაყენებული"... უცხადებს სვიმონი იმ ხალხს, ვისთანაც იგი გამოცხადდა, ვითარცა რიგითი მოქალაქე, მაგრამ მაინც წამოჰყვა თანამდევი ქედმაღლობა თანამდებობის პირისა.

— „უფროსად? -- ამაყად წარმოსთქვა აბდიამ. — შენ ცხო ხალხისაგან ხარ დაყენებული უფროსად და ჩვენც კი ჩვენი ხალხისაგანა ვართ ამორჩეულნი... შენი ქომაგნი სტუმრად არიან მოსულნი, დღეს თუ ხვალ უნდა წავიდნენ და ჩვენ კი მემკვიდრენი ვართ..."

სვიმონი სავსე გულით მაღლდება ხორციელ პატივზე: „თემის გადაწყვეტილებას აკი მეც დავმორჩილდი და მოვედი".

მწერალმა იშვიათი სოციალური ხედვით, ფსიქოლოგიური სიმართლით დაგვიხატა სვიმონ ჩოფიკაშვილის — პოლიტიკური მოღვაწის, პატრიოტის სახე. პოლიტიკოსის პატრიოტობა არ ნიშნავს ოდენ გამბედაობასა და თავგანწირვის უნარს. სხვაა, როცა მხოლოდ შენი თავი გაბარია, და სხვაა, როცა მოძმეთა ბედი გიპყრია ხელთ. უგნური სიმამაცე ლიდერისა შეიძლება საბედისწერო გახდეს ხალხისათვის,ზედმეტი სიფრთხილე კი ლაჩრობად იქცეს.

ყველაზე მეტად სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ მომადლებული ჰარმონიის გრძნობა — გონებისა და გულის ერთიანობა რომ ჰქვია, და რითაც ასე უხვად არის ბუნებისგან დაჯილდოებული სვიმონ ჩოფიკაშვილი.

მძიმე დრო შეხვდა სვიმონს. მთის ხალხს, ბუნების ლაღ შვილებს, ქედზე მძიმე უღელი დაადგა თვითმპყრობელობამ. გაუჭირდა ხალხს უგულო ნაჩალნიკების ატანა, ეგზეკუციებთან შეგუება, უცხო წესისა და კანონების მორჩილება. „განა ყოველ ხალხს არ სურს, რომ მას თანამემამულენი განაგებდნენ მშობლიური ადათ წესების მიხედვით, და არა უცხოელები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ გამდიდრდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე. ყველაფერს უცხო საზომით უდგებიან და ხალხზე ისე მბრძანებლობენ, რომ მის მიმართ არავითარი სიბრალული და თანაგრძნობა არ გააჩნიათ?" (გოეთე, „ეგმონტი"). და მართლაც, რა ძალიან ჰგავს „ეგმონტში" აღწერილი ნიდერლანდების თავისუფლებისათვის ბრძოლა ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ „ელგუჯას" სამყაროს...

სვიმონი მთლად ბუტაფორიულად არ მჯდარა ხევის მმართველობის პოსტზე: ყველაფერი გააკეთა თემისათვის, რაც მის პირობებში მყოფს შეეძლო, რამეთუ ფესვიანი კაცი გახლდათ. ამიტომაც თან მიაქვს მას მთის ხალხის ბროლივით წმინდა ცრემლი.

ალ. ყაზბეგზე უფრო კალამგაწაფული ოსტატები დამაშვრალან ხოლმე ხასიათების ძიებაში. ხასიათის „ნამდვილობის" მიღწევა დიდ სირთულესთან გახლდათ დაკავშირებული. ეტყობა, რიტმსა და მეტაფორას სხვაგვარი მუზა აძლევს მგოსანს, ხოლო „კაი ყმათა" ხასიათების დანახვა სხვაგვარ ფაქტორებს ემყარება. ყაზბეგის გმირთა ხასიათი არის არა ღირსებათა ნაერთი, არამედ ერთიანი, დაუშლელი აზრიანი „მეობა". ალექსანდრე ყაზბეგის ნათელხილვა თავის თანამედროვეთა ხასიათში საუკუნეთა ძირისძირებს ჰვრეტს, რასაც ეგზოტიკურ-რომანტიკული ინტერესებით მთაში თუნდაც წლობით ჩასახლებული მწერალი ვერა და ვერ მისწვდება. ის იმ სისხლშია, რომელიც შემოქმედების პროცესში სხვაგვარად ადუღდება მთის კაცის გულსა და ტეინში.

1981 წელი.

გრამატიკა და ცოცხალი სიტყვა

ამ ბოლო დროს პედაგოგიკის პრობლემებზე საკმაოდ გახშირდა ცოცხალი, მიმზიდველი დისკუსიები. უმეტესად მათი წამომწყებია ლიტერატურული წრეები.

არ იქნებოდა ურიგო, მოკლედ გავიხსენოთ საკავშირო პრესის ფურცლებზე გამართული რამდენიმე დისკუსია, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს ჩვენს თემასთან.

საინტერესო იყო გაზეთ „იზვესტიის" (16. X. 1974) დისკუსია თემაზე: „საუბარი საშუალო ქულის შესახებ", რომელიც გამოიწვია მასწავლებელ ი.ლიზოგუბოვას მიერ „იზვესტიაში" გამოქვეყნებულმა სტატიამ „საშუალო ბალის მინუსები". დისკუსიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად სწორია მისაღებ გამოცდებზე ატესტატის ნიშნების გათვალისწინების არსებული წესი. გატარებულია ის აზრი, რომ მისაღები გამოცდები ძალზე ბევრ საფიქრალს აჩენს, საჭიროა უფრო სრულყოფილი იქნას ნიჭის აღმომჩენი მომენტები გამოცდისა. ხაზგასმულია, რომ ასეთი საკითხების განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ფართო საზოგადოებრიობამ.

1973 წლის 28 ნოემბერს „ლიტერატურნაია გაზეტა" აქვეყნებს ე.ვინოკუროვის სტატიას „სუფთა წერა თუ დიდი ლიტერატურა?" სტატია წარმოადგენს გამოხმაურებას ი.ფონიაკოის წერილზე „დაბრძანდი, მაშენკა, ხუთიანს გიწერთ!" („ლიტერატურნაია გაზეტა", №43, 1973წ).

ე. ვინოკუროვის სტატია ძალზე თამამად ილაშქრებს გრამატიკული სტანდარტების წინააღმდეგ. გრამატიკული ტრაფარეტებით მომართული თავები დაუზოგავად მიუშვებენ მაკრატელს ენის თამამ, ძარღვიან ხვეულებს და ძალას უკარგავენ სიტყვის შთამბეჭდაობასო. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა კურიოზებთან გვექნე-

ბოდა საქმე. ესენინის, პლატონოვისა და სხვათა ენას რომ გრამატიკული სტანდარტებით მივუდგეთ. გრამატიკასა და მხატვრულ სიტყვას შორის „კონფლიქტი" უძველესი დროიდან მოდის. თითქმის იშვიათია მხატვრული სიტყვის ოსტატი, რომელსაც გრამატიკისადმი სიმპათიური სიტყვა ეთქვა. ხშირად კი მწერლები აშკარად ამბოხებულან გრამატიკისადმი, მაგრამ მწერლების პოზიცია მოსწავლეთა პოზიციად, მოსწავლეებისათვის ნორმად ყოველთვის როდი გამოდგება. გერმანიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორმა სასწავლო წლის დაწყების დღეს ასე მიმართა თავის სტუდენტებს: ასი წლის წინათ ამ უნივერსიტეტში სწავლობდა დიდი გოეთე. მაგრამ გოეთე არ იყო კარგი სტუდენტი. თქვენ იგი ნიმუშად არ გამოგადგებათ.

რა თქმა უნდა, მწერლისა და მოსწავლის პრეტენზიები ერთგვარი არ შეიძლება იყოს, მაგრამ მათი გაუთვალისწინებლობა კი უხეში შეცდომა იქნებოდა. პირველი სიტყვა მწერლებს ეკუთვნით, რადგან სიტყვის სამჭედლო მათ ხელშია. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ გრამატიკის მნიშვნელობა უარეყოთ. ამოცანაა — ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინოს.

ზედმეტად მიგვაჩნია ვინმესთან ვრცლად იმის შეხსენება, თუ რაოდენ ძვირფასია ადამიანისათვის მშობლიური ენა და ლიტერატურა. ამის შესახებ არაერთი შესანიშნავი ლექსი, ჰიმნი შექმნილა ჩვენს ლიტერატურაში. როგორც ვიცით, ენას სხვა ღირებულებებიც გააჩნია. სახელდობრ, ენისადმი მიმართება არის სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტიც.

როგორც ვიცით, ქართულ წერასა და ზეპირში აბიტურიენტის გამოცდის ბედს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ენის ცოდნის გრამატიკული ნორმები.

წერითი ნამუშევრების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართლ წერას, კერძოდ, სასვენი ნიშნების ხმარებას. ხშირად გაიგონებთ, რომ 3—4 შეცდომაზე აკლდება 1, უფრო მეტ შეცდომაზე 2 ნიშანი და ა.შ. თითოეული ნიშანი ხშირად წყვეტს აბიტურიენტის ჩარიცხვის ბედს და, ვინ იცის, ეგების მთელი მისი მომავალი ცხოვრების ბედს. ვინ იცის, ერთი ან ორი წერტილ-მძიმე რამდენჯერ ცხარე ცრემლის ფასად დასჯდომია ახალგაზრდას. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცნობთ ისეთ გამომცდელებს, რომლებიც უფრო ღრმად, კეთილსინდისიერად ეკიდებიან საქმეს და გვერდს უვლიან ტრაფარეტებს. მაგრამ გვერდის აცლა არ უნდა იყოს საჭირო ჰეშმარიტებასთან სიახლოვისათვის.

ყოველი საგამოცდო საგანი გულისხმობს, რომ მას ნათლად უნდა ჰქონდეს შემუშავებული ისეთი კრიტერიუმები, რომელიც გამოავლენს ჰეშმარიტ ინტელექტუალურ ღირსებებს. ქართული ენის ფლობა, მისი გრძნობა და ცოდნა ზედმიწევნით ფაქიზ შეფასებას მოითხოვს გამსწორებელთაგან.

ხშირია შემთხვევა, როცა ახალგაზრდას გასაჩივრების კომისიაში ეუბნებიან, რომ მას ნიშანი დააკლდა ამდენი და ამდენი შეცდომის გამო: აქ წერტილი უნდოდა, იქ მძიმეო და ა.შ. ხშირად, რატომღაც, პუნქტუაციურ პრეტენზიებს მომეტებულად უყენებენ აბიტურიენტებს, თითქოს აქ მეტი ობიექტურობის, სიზუსტის სურათი იქმნებოდეს. რასაკვირველია, პუნქტუაცია წერითი ნამუშევრის კულტურაა და მასზე ზრუნვა ყველას მოეთხოვება. ახლა ვნახოთ, რამდენად მყარი, ობიექტური კრიტერიუმები გაგვაჩნია ამ მხრივ, როცა მას აბიტურიენტებისაგან მოვითხოვთ.

დარწმუნებებს მტკიცებები სჭობს. ჩავატარეთ ერთი ასეთი სოციოლოგიური ექსპერიმენტი: ალ.ყაზბეგის „მამის მკვლელიდან" შევარჩიეთ საშუალო სირთულის ტექსტი. ეს ტექსტი ამოვბეჭდეთ მანქანაზე სასვენი ნიშნების გარეშე. წინადადებათა ფორმა დაცულია წიგნის მიხედვით (იხ. ალ. ყაზბეგი, თხზ. ტ.I 1948 გვ.241). მხოლოდ ერთი წინადადება შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო არა ავტორისეულად, თუ ის ინტონაციურად არ იქნებოდა გამქღავნებული. ამიტომ მას წინასწარვე დაეუსვით სასვენი ნიშანი. ეს წინადადება ასე იწყება:

„ — ძლიეს! — წარმოსთქვა უფროსმა..."

სასვენი ნიშნების გარეშე ეს წინადადება მეორენაირად ასე შეიძლება წაგვეკითხა: „ძლიეს წარმოსთქვა უფროსმა..." დანარჩენ წინადადებებში ასეთი ორაზროვნება მოსალოდნელი არ იყო. სასვენი ნიშნების დასმის მიზნით ტექსტი აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაეურიგეთ ქართული ენის სამ სპეციალისტს, ჩვენის რწმენით, კარგ სპეციალისტებს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებს, დოცენტებს. თუ მეოთხე ვარიანტად მივიჩნევთ წიგნის პუნქტუაციას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასწორებულ ვარიანტებს შორის არათუ დამთხვევა არ მომხდარა, არამედ მნიშვნელოვანი სხვაობა აღმოჩნდა. მაგალითად, სანიმუშოდ მოვიტანთ ორ ვარიანტს:

— მაშ, არ იცი, არა? — ცემით ეუბნებოდა უფროსი.

— ვიცი, უპასუხა მოხუცმა, თითქოს შეწუხებამ წარმოათქმევინა უნებურად.

— ძლიეს! წარმოსთქვა უფროსმა და ღიმილით დაუმატა: თითქოს არ გინდოდა თქმა?

— ძალა აღმართსა ხნავს: მეტი რა დღე მჭონდა, არ მეთქვა!

არ იცოდი, რომ ეგრე იქნებოდა, აბა, მიამბე ყველაფერი დაწვრილებით. მთიულმა ჩაიცინა და უპასუხა:

— გიამბო? რაისთვის გიამბო? ყველაფერი ვიცი, მაგრამ არ გიამბობ,ლომისის მადლმა!

— რაო! — მიუახლოვდა გაოცებული აფიცერი.

— მე ყველაფერი ვიცოდი; ვიცოდი, რომ იაგო უნდა გაქცეუ-

ლიყო. ვიცოდი, ვინც იმის ამხანაგები იყვნენ. ყველაფერი ვიცოდი, ყველაფერი, მაგრამ შენ კი არ გეტყვი.

— მოგკლავ! ჩამოგახრჩობ! — მივარდა უფროსი.

— რაც უნდა მიყო, ლომისის მადლმა, არ გეტყვი.

— მაშ,არ მეტყვი?

— არა!

აფიცერმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა კიდევ:

— გირჩევ მითხრა, თუ თავი გებრალება.

— სიკვდილისა თქვენ გეშინიათ, დიაცები თქვენა ხართ! მე რაი მათქმევინებს! არ ვიტყვი, აგრემც შემეწევა პირიმზე!

II ვარიანტი.

— მაშ, არ იცი, არა, — ცემით ეუბნებოდა უფროსი.

— ვიცი, — უპასუხა მოხუცმა. თითქოს შეწუხებამ წარმოართქმევინა უნებურად.

— ძლივს! — წარმოთქვა უფროსმა და ღიმილით დაუმატა; — თითქოს არ გინდოდა თქმა!

— ძალა აღმართსა ხნავს, მეტი რა დღე მჭონდა, რომ არ მეთქვა.

— არ იცოდი, რომ ეგრე იქნებოდა? აბა, მიამბე ყველაფერი დაწვრილებით!

მთიულმა.ჩაიცინა და უპასუხა:

— გიამბო? რაისთვის გიამბო? ყველაფერი ვიცი, მაგრამ არ გიამბობ, ლომისის მადლმა!

— რაო?! — მიუახლოვდა გაოცებული აფიცერი.

მე ყველაფერი ვიცოდი; ვიცოდი, რომ იაგო უნდა გაქცეულიყო. ვიცოდი, ვინც იმის ამხანაგები იყვნენ, ყველაფერი ვიცოდი, ყველაფერი, მაგრამ შენ კი არ გეტყვი.

— მოგკლავ, ჩამოგახრჩობ, — მივარდა უფროსი.

— რაც უნდა მიყო,ლომისის მადლმა, არ გეტყვი.

— მაშ არ მეტყვი?

— არა!

აფიცერმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა კიდევ.

— გირჩევ, მითხრა, თუ თავი გებრალება!

— სიკვდილისა თქვენ გეშინიათ, დიაცები თქვენა ხართ. მე რაი მათქმევინებს, არ ვიტყვი, აგრემც შემეწევა პირიმზე.

ამ ორ ვარიანტს შორის სასვენი ნიშნების სხვაობა შეადგენს 16-ს.

როგორც ეხედათ, სასვენი ნიშნების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის დამოკიდებული ინტონაციაზე. ე.ი. სასვენი ნიშნები მხოლოდ წმინდა ენობრივ კანონებში ვერ ეტევა და დამოუკიდებელია სხვა, სახელდობრ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. ამის გამო ჩვენ ცხადია, ვერაფის დავდებთ ბრალს. მაგრამ

ფაქტია, რომ სასვენი ნიშნების ხმარების მყარი წესები არ გაგვაჩნია და აქ ზედმეტია ლაპარაკი ობიექტურ სიზუსტეზე. ეს არც იმას ნიშნავს, თითქოს სასვენი ნიშნების ხმარებას საერთოდ წესი არა აქვსო. არა, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იგი ენის ცოდნის, ენის გრძნობის ობიექტურ კრიტერიუმად არ გამოდგება.

ახლა შეიძლება გვითხრან, მაშინ რა ვქნათ, რას მოითხოვთო.

უნდა მივიჩნიოთ, რომ სასვენი ნიშნების დასმა აბიტურიენტის ნაწერში ობიექტური შეფასების ნიშანი არაა. ამის აღიარება არის აუცილებელი. არც აქედან უნდა გადავეყარდეთ უკიდურესობაში. აქაც შეიძლება წამოგვიყენონ ასეთი წინადადება. ვთქვათ,ნაწერში საერთოდ არ არის დასმული სასვენი ნიშანი, მაშინ როგორ მოიქცეს გამსწორებელი? ასეთ შემთხვევაში ნაწერი აზრობრივად იქნება ბუნდოვანი. წინადადება სად მთავრდება და სად იწყება,ამას ადამიანი ზეპირმეტყველებაში ბუნების კარნახით გრძნობს. წერით ნამუშევრებში ამას მოითხოვს აზრის გამოხატვის საჭიროება. ამიტომ მას ნიშანი დააკლდება არა იმიტომ, თუ რამდენჯერ არ არის დასმული სასვენი ნიშანი, არა, მას ეძლევა სხვანაირი კვალიფიკაცია:

— რომ ნაწერი არის უაზრობა, აბდაუბდა, წერით ნამუშევარში შეცდომა უნდა ერქვას იმას კი არა, სწორად დასვა თუ არა წერტილი ან მძიმე, არამედ სწორად გამოხატა თუ არა აზრი. მაგალითად, დავუბრუნდეთ ზემოთ მოტანილ ტექსტიდან ერთ ადგილს. ერთსა და იმავე ვითარებაში ერთმა გამსწორებელმა დასვა წერტილი, მეორემ მძიმე. ჩვენის აზრით,არავითარი შეცდომა არ არის არც ერთ,არც მეორე შემთხვევაში.

— ვიცი, — უპასუხა მოხუცმა. თითქოს შეწუხებამ წარმოათქმევინა უნებურად".

ასეთი და მსგავსი სხვადასხვაობანი მრავლად გვხვდება ენაში. წერითი ნამუშევრის მთავარი ღირებულება ისაა, თუ როგორ აზროვნებს ახალგაზრდა და რამდენად იმორჩილებს იგი აზრებს. ეს ძალზე ფაქიზი საქმეა და მისი ნააზრევის კიდურებს კი არა,სულსა და გულს უნდა ჩავყურებდეთ. გამსწორებელი თავს უნდა გრძნობდეს არა როგორც რაღაცის აღმრიცხველი, დამთვლელი, არამედ როგორც ჟიურის წევრი, რომელიც ისევე აფასებს ნაშრომს, როგორც, ვთქვათ, მუსიკოსი მუსიკალურ ნაწარმოებს, აანალიზებს რა თავის შთაბეჭდილებებს. იგი უნდა გრძნობდეს, რომ მასზე სუბიექტურად ბევრი რამ არის დამოკიდებული და ამიტომაა ეს ნდობის სფერო; მას ბევრი რამ შეუძლია გადაწყვიტოს და ამიტომ საუკეთესო შემთხვევაში ეს იქნება, ჰეგელის ღონიერი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „სუბიექტური ობიექტურობა". გამსწორებელი უნდა გრძნობდეს, რომ მას დიდი უფლებები აქვს ადამიანის სულიერი შეფასებისათვის და ამიტომ დიდი მოვალეობა აკისრია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა მკითხველის ყურადღება

შევაჩეროთ გრამატიკის სწავლების ზოგიერთ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით.

გრამატიკის საერთო ენათმეცნიერულ მნიშვნელობას და, სახელდობრ, ქართული ენის გრამატიკის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი კულტურისათვის ჩვენ არ უარვყოფთ.ცხადია, რომ ქართული ენის გრამატიკული დამცველები კულტურის დამცველები არიან.

დიდი ბოდიშის მოხდით გვინდა შევეხოთ გრამატიკის ადგილს აღზრდის საქმეში და მასთან დაკავშირებით გვამოძრავებს სურვილი, რომ კიდევ უფრო უკეთ გვეგულებოდეს საქმე ამ მნიშვნელოვან სფეროში.

სადაოდ მიგვაჩნია აზრი, თითქოს გრამატიკის ცოდნა აუცილებელი პირობა იყოს, რომ კაცი მშობლიურ ენაზე სწორად მეტყველებდეს, მშობლიურ და არამშობლიურ ენას განასხვავებენ როგორც გრძნობების ენას და შესასწავლელ ენას. მშობლიური ენა გრძნობების ენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ადამიანი ითვისებს თავისი ბუნებრივი გრამატიკულობით, ანუ გრამატიკის შესწავლის გარეშე. ადამიანი მშობლიური ენიდან მხოლოდ სიტყვებს კი არა, სიტყვათა შორის მრავალფეროვან ნიუანსებს ითვისებს.

ადამიანი შეისწავლის არამშობლიურ ენას. გრამატიკის ცოდნის გარეშე ახერხებს ქართველი კაცი, თქვას: „მზემ დამწვა“ და არა „მზეს დამწვა“. როცა ბავშვი ამბობს: „ხის უკან დავიმალე“ — სრულებით არ არის სავალდებულო იცოდეს, რომ ზმნა პირველ პირში უნდა დაისვას; რომ ზმნის წინ გააჩნია პირველი პირის სუბიექტური ნიშანი „ვ“, არის ერთპირიანი ენებითი... და ა.შ.

გრამატიკის კონსულტაციების აუცილებლობა თავს იჩენს,როცა არამშობლიურ ენას ესწავლობთ. თუმცა არც აქ შეიძლება მისი მნიშვნელობის გაზვიადება. მაგალითად, რამდენ ქართველს შევხვედებით, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს რუსული ენის გრამატიკაზე, მაგრამ პრაქტიკულად შეთვისებული აქვს ამ ენის გრამატიკულობა, მან იცის პრაქტიკული და არათეორიული გრამატიკა.

ხდება პირიქითაც: ენათმეცნიერებს ყველა იმ ენაზე როდი შეუძლიათ ლაპარაკი, რომელთა გრამატიკა ჩინებულად იციან.

რაც შეეხება ნასწავლ ენას, იგი უფრო უშეცდომობით ხასიათდება, ვიდრე მშობლიური ენა. მაგრამ ნასწავლი ენა გულისხმობს გაცილებით მეტ სიმშრალეს, სტანდარტულობას, მოუქნელობას. ათენში გადასახლებულ ძველ ფილოსოფოსს ათენელმა ეკარმა ქალმა უთხრა:

— თქვენ უცხოელი ბრძანდებით.

— რატომ? — ჰკითხა ფილოსოფოსმა.

— თქვენ ლაპარაკობთ ძალზე სწორად, თქვენ არა გაქვთ ის მოჩვენებითი არასისწორე, ის მოქნილობა და გამოთქმები,ურომლისოდაც ცოცხალი სამეტყველო ენა არ შეიძლება არსებობდეს, მაგ-

რამ რომელზედაც სდუმან თქვენი გრამატიკოსნი და რიტორნი.

იქნება ვთქვათ, გრამატიკა განათლებული მეტყველებისთვისაა აუცილებელი .და ნაკლებად ესაქმება უბრალო მეტყველების პრაქტიკაო. აქაც სიძნელე იჩენს თავს. მეტყველების კულტურის უმაღლეს დონეს განასახიერებს მწერალი და ფილოსოფოსი (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით). გრამატიკასთან მწერლის მორიგება საკმაოდ ძნელი საქმეა. როგორც ცნობილია, ენა მდიდრდება არა მხოლოდ ახალი სიტყვებით, არამედ ახალი შესატყვისებებით, ნიუანსებით და ამაში მდგომარეობს ენის განვითარებადობის კანონი. გრამატიკას კი ენის განვითარების ფუნქცია არ აკისრია, მას ევალება მეთვალყურეობა დადგენილი ნორმების დაცვაზე.

ცხადია, შემთხვევითი არ არის, მაგალითად, რომ გერმანული ენის განმავითარებლად ითვლებიან არა გრამატიკოსები, არამედ ლუთერი, გოეთე, შილერი, კანტი, ჰეგელი, და ა.შ. ასევე რუსული ენის განმავითარებლები არიან მისი მწერლები, მოაზროვნენი.

გრამატიკისათვის წესის დარღვევა ერთნაირად ფასობს არღვევს მას პუშკინი თუ რიგითი მოუბარი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გრამატიკის შემბოჭაობაზე ხშირად ლაპარაკობენ მწერლები. მაგალითად, პუშკინის დელიკატური მადლიერება გრამატიკისადმი ცოტათი ირონიულია, როცა წერს: „აი, უკვე 10 წელია ებეკდავ. კრიტიკოსებმა ჩემს ლექსებში შენიშნეს 5 გრამატიკული შეცდომა (და მართებულადაც)...

მე ყოველთვის ვიყავი მათდამი მადლიერი და ვასწორებდი შენიშნულ ადგილს. პროზით ვწერ გაცილებით უფრო არასწორად, ხოლო ლაპარაკობ გაცილებით უფრო ცუდად". ცხადია, პუშკინის შეცდომები ის შეცდომებია, ურომლისოდაც მის ენას, ალბათ, თავისი მარილიც აღარ ექნებოდა.

ამგვარი აზრები ენის მხატვრული განვითარებისა და გრამატიკასთან კონფლიქტის შესახებ არც ქართული კრიტიკისათვის იყო უცხო. ამ მხრივ საინტერესოა ულოლიკოს კამათი დ.ყიფიანთან (იხ. ჯ.ჯუმბურიძე. ქართული კრიტიკის ისტორია, 1974წ. გვ.340-341).

ყოველივე ზემოთქმულით ჩვენ ნორმებს კი არ ვეწინააღმდეგებით. ნორმები ტრაფარეტის ისეთ ფორმებად არ უნდა გვექცეს, რომ უმთავრესი ღირებულება ვერ შევნიშნოთ ახალგაზრდას. როდესაც გრამატიკულ წესს კითხულობს ყმაწვილი, მას აინტერესებს მიზეზი, ახსნა თვით ამ კანონისა. ავიღოთ ასეთი განმარტება გრამატიკის სახელმძღვანელოდან:„გორდება" (ქვა) მიგვითითებს,რომ ზმნით აღნიშნული მოქ^ედება არ გამომდინარეობს სუბიექტური პირისაგან, არამედ იგი თვითონ განიცდის ამ მოქმედებას; თუ ვისგან ან რისგან გამომდინარეობს მოქმედება, ეს ზმნის ფორმით არა ჩანს. გორავს გვიჩენებს, რომ მოქმედება გამომდინარეობს სუბიექტური

პირისაგან,მაგრამ მას არა აქვს სამოქმედო პირდაპირი – ობიექტური პირის სახით.

არავინ დაობს იმაზე, რომ „გორდება" არის ენებითი, ხოლო „გორავს" საშუალო გვარის ზმნა. მაგრამ ამ ახსნის მიხედვით მათ შორის განსხვავება გვექნებოდა მაშინ, ამ ორთაგან ერთი ქცა რომ იყოს რაღაც ჯადოსნური, ან მოტორიანი ქცა, რომელიც თვითონ ანიჭებს თავის თავს მოქმედებას.

გრამატიკასა და ლოგიკას შორის ზღვარია იმიტომ, რომ ლოგიკა აზროვნების ზოგად კანონებს ირკვევს და იძლევა ზოგადობით ცნებებს.ჩვენს გრამატიკაში კი განმარტება იწყება ზოგადით და თითქოს ყოველი მათგანი ნახევრდება გამონაკლისებით და ამდენად სიტყვა გამონაკლისი აქ აღარაა ფაქტიურად გამონაკლისი,მას იმდენივე უფლება გააჩნია, რამდენიც ზოგადობის მომენტს.მაგალითად, ზმნებს მოეპოვებათ სამი სახის ქცევა, მაგრამ შეიძლება არც ჰქონდეს, რადგან არიან უქცეო ზმნებიც. ქცევიან ზმნებს მოეპოვებათ ქცევის ნიშნები, მაგრამ შეიძლება არც ჰქონდეს ქცევის ნიშანი და ჰქონდეს ქცევის გაგება. ასე რომ, გამონაკლისი ნიშნავს, მაგალითად, თუ ათასიდან ერთი მაგალითი არ ემორჩილება წესს და, თუ ათასიდან 200 გამონაკლისი გვაქვს, ეს რაღა გამონაკლისია.

გრამატიკას, როგორც ენათმეცნიერების ნაწილს, და მისსავე კვლევის ობიექტს, რომ უდიდესი ფილოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია, ამაში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ მისი იმ სახით სწავლება სკოლაში, როგორიც ის დღეს ისწავლება, ვფიქრობთ გადასინჯვას მოითხოვს. უმაღლესი სასწავლებლების მისაღებ გამოცდებზე, სადაც ახალგაზრდის ნიჭი უნდა გამოვლინდეს, გრამატიკის მომეტებული გამოყენება, ვფიქრობთ, მძიმე აშკარად ხელის შემშლელია: გრამატიკის მომეტებული დოზა, არც ფილოლოგიის ფაკულტეტის იმ სტუდენტებისათვისაა მარგებელი, რომლებიც ლიტერატურის ხაზით სპეციალდებიან. ბოლოს და ბოლოს, აღარავის ახსოვს, გარდა ვიწრო სპეციალისტებისა, როგორია ძველ ქართულში სტატიკური და დინამიკური ვნებითების განსხვავება და ჰომეროსი კი რჩება წაუკითხავი.

რასაკვირველია, ყოველივე ამით ჩვენ გრამატიკის საჭიროებას როდი უარვყოფთ. ოღონდ დაზუსტებას საჭიროებს მისი პრაქტიკული ფუნქცია. და მოხმარების არე. სპეციალისტ-ფილოლოგთა გარდა, მათთვის, ვისთვისაც გრამატიკა საჭიროა პრაქტიკული მიზნით, მართლწერის, მართლმეტყველების თვალსაზრისით, გრამატიკა უნდა დაკონკრეტდეს მხოლოდ იმ ელემენტარული ფორმით, რაც საქმესთან უშუალო კავშირშია და რასაც გონება მიიღებს და შეინახავს. ნებისმიერ, ჩინებულ მოქართულე მწერალს (რომელიც გრამატიკის სპეციალობით არ მუშაობს), ჩვენ რომ ვკითხოთ ზმნის უღლების ტიპების, კონვერსიის, ინვერსიის და სხვათა შესახებ, ვნახავთ, რომ

ისინი ამ მხრივ თავს ვერ გამოიჩენენ, თუმცა თვით იძლევიან მეტყველების ნიმუშს.

1975წ.

სიტყვა ზეპირი

ფიქრობენ ძველი პოეზიის კლასიკურ ქვეყნებში (ინდოეთი, სპარსეთი, საბერძნეთი...) პოეტურმა სიტყვამ იმიტომ გაშალა ფრთები,რომ სიტყვა ცოცხალ სამსახურს უწევდა მუზას. სპარსული პოეზიის მისამართით ამბობს გოეთე: „...სადაც სიტყვა მუდამ ახალია, რადგან იქ სიტყვა ზეპირით იყო". საზოგადოდ, ყოველი ქვეყნის ორიგინალური პოეზიის დასაბამი ზეპირია, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო განსაკუთრებული ხასიათის ტრადიციები გვაქვს მხედველობაში.

რუსთაველი მოშაირეებს შაირობის პროცესში გეისურათხატებს. ამავე დროს საგულისხმოა, რომ პოემაში იგი ხშირად მიმართავს გმირთა ურთიერთობის ეპისტოლარულ ფორმას. პროლოგშივე თავისი შემოქმედებითი პროცესიც კი ამგვარად დაგვანახა პოეტმა: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული"... „დავჯე, რუსთველმან გაელექსე..." მაგრამ შაირობასთან დაკავშირებით ერთხელაც არაა ნახსენები დამწერლობის მიმანიშნებელი სიტყვა. ამკარაა, მას თვალწინ უდგას ეს დიდებული სასმენ-სანახაობა ლექსთა შერკინებისა. რამდენადაც თვალი გასწვდება რუსთველოლოგიურ ოკეანეს, ეს მომენტი უყურადღებოდაა დატოვებული. მას აქვს საინტერესო მხარე.

რუსთველი თეორიული თვალსაზრისის ჩამოყალიბების დროსაც სახიერად აზროვნებს.მკითხველს არ უძნელდება სურათოვნად წარმოიდგინოს ამგვარი სტრიქონის შინაარსი:

„რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსთან ლევა".

„მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,

რა ველარ მიეხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსთან ძვირობა".

ეს სტრიქონები დ.გურამიშვილის ნათქვამსაც გაგვახსენებს:

„ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა...

ბევრჯერ ისე იმწვიტინის, კოტეით ძირს დასცემს ქუდსა".

დღესაც ისე ცხარობენ მოშაირენი, როგორც ძველად.

„მოკაფიაების რეგლამენტი წამებით განისაზღვრება. უპასუხებთ რამდენიმე წამში — კარგია, — ვერა? — ფარ-ხმალი უნდა დაყაროთ" (ალ.ჭინჭარაული, „მთას ვიყავ", 1980, გვ.20).

შემთხვევითი არც ისაა, რომ რუსთველი შაირობის პროცესს ასპარეზობათა სახეობებს ადარებს:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,

მიბერვიალსა მიყვანი, მარილად ცვლა, მარკვლად ქცევა...“
„ხელმარჯვედ სკვლის ნიგანის, ისპარის დიდი გამოცობა...“
„ჯაისგაც მშვილდი ბელთით ცისკუთელია მისანდირეა“.

აი, ეპოქის ასპარეზობა-სანახაობათა ლამის სრული ნუსხა. მოსასმენ ვითარებათა წარმროდგენებს გვიქმნის თითქმის ყოველი ფრაზა, შაირობის შესახებ თქმული: „ლექსთა გრძელება თქმა და ხევა“. „განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი, მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი“.

ჩვენი მიზანი სრულიადაც არ არის მკითხაობა იმის შესახებ, თვით რუსთველი მონაწილეობდა თუ არა ამგვარ ასპარეზობებში ან როგორი მოშაირე იქნებოდა იგი. რუსთველის ღონიერი ლექსი, ასე სასწაულებრივ რომ მბრძანებლობს სიტყვებს, არის არა ოდენ შოთას გენიის ნაბოძვარი. იგია წყალობა ქართული ლექსისა. ქართული ლექსის ფოლადი ზეპირ პოეტურ ასპარეზობებში იწრთობოდა. ამით სრულიადაც არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ დამწერლობით პოეზიას.არა. ეს იმას გულისხმობს, რომ ეტრატზე გადატანილი ქართული პოეტური სიტყვა არ იყო ეტრატივით ფერმკრთალი; სიტყვა ზეპირი იყო ჩვენი მაცოცხლებელი ქართული ლექსისა.

რაოდენ დახვეწილიც უნდა იყოს პოეტური ხელოვნების სახიერი მხარე, პოეზიის სტიქია. ჰეგელის თქმით, უპირველესად ლექსია და პროზით გადმოცემული პოეტური ქმნილებანი პოეზიას ვერ ასულდგმულებს.

ლექსით მეტყველება, რიტმულ-რითმული მეტყველება უძველესია, პროზაზე უადრესია. რითმული მეტყველება მუსიკალური მეტყველების მოდიფიკაციაა. იგია სხვანაირი მუსიკა. თავის მხრივ მუსიკალურ-რითმული სტრუქტურა რიცხობრივ კანონზომიერებას, რიცხვთა პროპორციას ემყარება, ეს კი სამყაროს, კოსმოსის სტრუქტურას გამოხატავს. ძველი ჩინური, ინდური მითოლოგიით, შემდეგ პითაგორელების მოძღვრებით, სამყაროს სტრუქტურა მუსიკალურია. ასევე კოსმოსურ-მუსიკალურ სტრუქტურას ხედავდა ძველი მითოლოგია სიცოცხლის არსში. გულისცემა, სისხლის მიმოქცევა რიტმულია.ესაა კოსმოსურ-მუსიკალური წესი სიცოცხლისა. აი, ამგვარი რიტმი უდევს საფუძვლად ლექსსაც. ლექსი კოსმოსის, მუსიკის ბუნებას გამოხატავს. პოეტი მუსიკოსი (რაფსოდი, აედი; მოკაფიაევე, მოშაირე...) არის აი ამ კოსმოსური ხმის რწმუნებული.

გამოთქმა — „ცოცხალი სიტყვა — ვიწრო მნიშვნელობით ზეპირით ქმნილ სიტყვას გულისხმობს. მას შემდეგ, რაც გონი მომძლავრდა პოეზიაში, ადამიანის ზეპირმეტყველება ვერ გასწვდებოდა გონის პერსპექტივებს. საჭირო იყო კალმით გამოყვანილი სიტყვაც. სიტყვიერი კულტურა ერთი არხით, პოეზიით ვერ წარიმართებოდა. სიტყვას ეფუძნებოდა ფილოსოფია და აზროვნების ფილოსოფიური ნაკადები,მაგრამ ზეპირი და დამწერლობითი პოეზიის იდეალური

სასაზღვრო ზოლი სწორედ იქაა, სადაც კალმის ქვეშ სიტყვები ისმის, სიტყვის ორმაგი ბუნება შენარჩუნებულია,როცა „ენა — მუსიკობდეს“.

ახლაც გრძელდება დავა ჰომეროსის პოეზია ზეპირით იშვა თუ კალმითაო. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში, პანათენური დღესასწაულების დროს, პისისტრატეს კომისიას ჩაუწერია ჰომეროსის პოემები... ფენომენალური იყო ზეპირ-პოეტური მეხსიერება ძველი ბერძნებისა. მნემოსინე (ურანოსისა და გეას ასული, ტიტანიდა, მეხსიერების სიმბოლო) აქ ზეპირი პოეზიის ენაზე ჰყვაოდა (ეს, ცხადია, არ ნიშნავს, თითქოს ძველ ბერძნებს ამ დროისათვის მაღალგანვითარებული დამწერლობითი პოეზია არ ჰქონდეთ). მეცნიერთა ფიქრით, ძველმა აედებმა,რაფსოდებმა ზეპირად იცოდნენ ორასი ათასიდან ოთხას ათასამდე ლექსი. ცივილიზაციის პირობებში ფანტასტიკური ციფრია! მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ მათი მეხსიერება არ იყო ავსებული ტელეფონების, ავტომანქანების, ქუჩების, ნომრების ცოდნით. ძველი მოშაირე, რაფსოდი, აედი, მოკაფიავე ლექსით ჩხუბობდა, ლექსით ტიროდა და იცინოდა...

ზეპირ პოეტურ სტიქიაში ცნობიერების მუდმივმყოფობა უმდიდრეს ნიუანსებს აპოვნინებდა პოეტს. საოცარი სისწრაფე, მოქნილობა ახასიათებს ძველი პოეტის ცნობიერებას. სიტყვის ეს ჰარმონია სარითმო ერთეული, ზომა, პირობა ლექსისა, არავითარ გარეგნულ კავშირში არ არის სიტყვის აზრით (ნოეტურ). მნიშვნელობასთან. ამიტომ პოეტი, როცა ძალა გამოელევა, ან რითმას ღალატობს, ან აზრს. ანდა იმდენი ნახვეწ-ნატანჯი სიტყვაა ნაჯახირევი, სული შეგიწუხდებათ. „ვეფხისტყაოსანში“ ისეთი წესით, რიგით, ზომითაა გამწკრივებული სიტყვები, ვით მნათობები ცაზე. ეს იმიტომ, რომ ამ დროს ქართული ენა გაფურჩქნის პერიოდშია.

ენის ფილოსოფიაში ცნობილია, რომ ქვეყნის განვითარება და ენის განვითარება სხვადასხვა ლოგიკას ემყარება. ამიტომაც შემთხვევითი არ არის დასავლეთის ფილოსოფოსთა მიერ ენის წარსული ყვავილობის რომანტიკული გამოტირება. „იმ ენათა შესწავლა, რომელთაც შეინარჩუნეს თავდაპირველი ბუნება, და რომელთა შესწავლა ახალ დროს დაიწყო, გვიჩვენებს, რომ ეს ენები ფლობენ უაღრესად დეტალურად განვითარებულ გრამატიკას და გამოხატავენ იმ განსხვავებებს, რაც წაშლილია უფრო განვითარებულ ხალხთა ენებში. უფრო მეტად განვითარებული ხალხების ენას აქვს, როგორც ჩანს, ნაკლებად სრულყოფილი გრამატიკა, და იმავე ენას ხალხის ნაკლები კულტურულობის დროს აქვს უფრო სრულყოფილი გრამატიკა, ვიდრე დიდი განათლებულობის პირობებში. შეად. თხზულება ბ-ნ ფ.ფონჰუმბოლდტისა ორმაგი რიცხვის შესახებ, I, 10, 11 (ჰეგელი ესთეტიკა, IV, რუსულად, გვ.216).

ეს დიდი პრობლემაა. რომლის ერთი ნატეხი გვეაინტერესებს მხოლოდ. დიდი ქართული ლექსი, შოთას უღონიერესი ლექსი, ასე სასწაულებრივად რომ მბრძანებლობს სიტყვას, საიდან რა გზებით მოდის...

ზეპირად წარმოთქმული პოეტური სიტყვა გაცილებით უფრო დამმუხტველი თვისებებისაა, დიდია მისი იმპულსური ენერგია. ისე, როგორც იონს ეუბნება სოკრატე (პლატონის „იონი"), როცა ჰომეროსს ისმენ, „სული შენი აცეკვდებაო". ზეპირი სიტყვის მაგნეტიზმის ახსნა ძნელია. მაგრამ სიტყვა რომ ამ დროს უფრო ცოცხალია (ვერ ვიტყვით უფრო ღრმა ან ბრძნულიო), ამის წვდომა არ არის ძნელი. ეს ეხება არათუ თხზვის პროცესს, არამედ რაფსოდსაც. სხვისი პოეზიის დეკლამატორსაც. ბაგეთაგან მოწყვეტილი სიტყვა სხვადასხვაგვარად ეღერს იმ კაცისაგან, რომელსაც თვალი ჰერისაკენ უაზროდ მიუპყრია, რამეთუ აზრი იგი ლექსის სამყაროს ეკუთვნის. დეკლამატორის ხმა გარკვეული ინტერპრეტაცია, მუსიკალური ინტერპრეტაციაა ლექსისა.რაც შეეხება შაირობას, კაფიაობის ცოცხალ პროცესს,ეს კიდევ საოცრების განცხადებაა, როგორ სასწაულით იბადება ლექსი. თითქოს თვალით ეძებ, ხილულად წარმოისახო — საიდან მოფრინდა სიტყვა, გამორჩეული, აზრსა და სამუსიკო ზომაზე ურთიერთმორგებული.

გაშაირების, კაფიაობის პროცესი გონებას პოლემისტურს ხდის, რადგან იგი მეტოქეთა ჰიდილია. გამარჯვებისათვის ბრძოლა სატირულ-იუმორისტულ ეფექტსაც აძლიერებს. აბა გავიხსენოთ, რამენაირად, ტონის მიხედვით წარმოვიდგინოთ პოეტის სახე, როცა იგი მოშაირეთა სამ კატეგორიას ახასიათებს. თითქოს ცხადლივ ვხედავთ რუსთაველის ირონიულ ღიმილს... ასეთი ღიმილი თან ახლდა ლექსთა ასპარეზობას.

ჩვენი ეროვნული ხასიათის უბერებლობის მაჩვენებელი ისიცაა, რომ ცივილიზაციის განვითარების დღევანდელ დონეზე, როცა მრავალმა ხალხმა მუზეუმს ჩააბარა წარსულის ჩანგი, კვლავ სიცოცხლით სავსედ ეღერს ქართული ზეპირი ლექსი. მადლობა არ დაეშადლება ამ საშური საქმის თავკაცებს, რომელთაც ერს მოჰფინეს ხალხური ენამზეობის მარგალიტები.

1982წ.

ტარიელ ჯანტურია 50 წლისაა

ფიქრობენ, იმდენი საოცრება რაც ამ საუკუნეში მოხდა, არ ახსოვს კაცობრიობასო, მაგრამ საოცრების საოცრებად დანახვა საოცრად ძნელია. ყველაზე უკეთ პოეტური ნიჭია მისი მგრძნობელ-მცნობელი...

ნახევარი საუკუნე შეუსრულდა ტარიელ ჭანტურიას, სწორედ ამ პერიოდში ცხოვრებამ ისეთი სახეცვლილება განიცადა, რომ ცივილიზაციის მატერიალური საოცრებანი ძვირად დაუჯდა სულს, ეს პრობლემა დღეს ყველას აღელვებს.

პოეტმა სეირნობა დაკარგა. განგებ არ მინდა ვთქვა — სეირნობის უფლება ან საშუალება დაკარგა-მეთქი. უფლება და საშუალება მთავარზე სეირნობისაც არსებობს. „წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად"... ამგვარი „ფიქრთ გასართველად" გასეირნება არც ფუფუნება გახლდათ და არც შემთხვევითობა. სეირნობა პოეტური არსებობის სუბსტანციური ნიშანია. პოეტის თავის თაეთან განმარტოება ბუნების თანამონაწილეობით, არ არის მარტო რომანტიზმის თავისებურება. იმ ნატიფ ხილვებს, ფიქრებს, სამყაროს იდუმალი გულისცემა რომ არის ნაგრძნობი, დიდი მყუდროება სჭირდება. როგორც საიდუმლოება ითხოვს დუმილს, სამყაროს პოეტური შეგრძნება, მისი იდუმალი ხმის წვდომა მთვარესთან დიალოგს საჭიროებს. იგი თავისუფლად უნდა ანდობდეს ფიქრებს ზექეეყანას, საყვარელ ქუჩაზე, ქალაქსა თუ ქალაქგარეთ კი მისი ამქეეყნიური ხორციელი რწმუნებული უნდა დადიდეს...

ინდუსტრიული ქალაქის საოცრება მართლაც საოცრად არის ასახული ტარიელ ჭანტურიას პოეზიაში. ამისათვის მას დასაელური ხედვის პოზა არ სჭირდება. მართალია, ინდუსტრიული ქალაქი იმას ნიშნავს, რომ გარკეეული აზრით სულერთია — თბილისი თუ ნიუ-იორკი: მაგრამ ტარიელის პოეზიაში თბილისის რკინა-ბეტონში აზვავება და მანქანების საოცარი მოზღვავება, თავბრუდამხვევი რიტმი იმ ქართულ გენთან არის შეპირისპირებული, რომელიც თავისი ბუნებით მეტისმეტად უცხო უნდა იყოს შესაგუებლად ამგვარი სინამდვილისადმი, — „და ისე მაფრთხობს ჩემი ქალაქი როგორც სოფლელ ბიჭს გადასასვლელი".

ტარიელის საოცარი ლექსი „მანქანა" ანუ უარყოფა თემისა: „ცხენი" სწორედ ბუნებისა და მანქანის სევდიან ჰიდილს გვიხატავს. სიღრმე და თავისთავადობა ამ ლექსისა ერთობ მნიშვნელოვანია. „მანქანა!" ბევრჯერ სიკვდილს დაგხსნა ამ დაძახილმა! მაგრამ „მთავრეო" ვინ დაგიძახებს"... რა ფიქრს გაგატანს ეს ქუჩა, მთელი ფიქრები თავდაცვის ყურადღებად უნდა აქციო. ქუჩაზე გადასვლა დიდ სიყოჩაღეს მოითხოვს, თითქმის იმგვარი სურათით, როგორც ტარიელი იტყვის: „როცა დროდადრო ცხელ ასფალტზე გადარბის მელა". ეს ლექსი ლამის შეაშინებს კაცს. თავისი მანქანების თავბრუდამხვევი კორიანტელით და უეცარი გადასვლით:

„ჩიტს გაეცვიძა მანქანის ხმაზე,
ციცქნა კურტუმო ციცქნა ნისკარტით გამოიქექა,
ციცქნა ფოთლიდან წუხანდელი დალია ნამი".

ეს უკვე მონატრებული სიყვარულია. რომელშიც ბუნებასთან გამოთხოვების, უფრო სწორად ვერ გამოთხოვების სევდაა დამარხული.

ამ ლექსში და სხვა მრავალშიც, ცხადია, არის სევდა მძიმე მატერიის გამო, ასე ტლანქად რომ ჩადგა პოეტის გრძნობასა და ბუნებას შორის. ტარიელ ჭანტურიას ხედვის თავისთავადობა მომხიბველელია. აქ არა გვაქვს იმპორტული მოდერნიზმის არავითარი მოდელი და აი, რატომ: სხვაგვარია ევროპული პოეტის ფსიქოლოგია ამგვარი სურათის მიმართ — თითქმის ყოველთვის უიმედო. ტარიელი კი გრძნობს ქართველი კაცის ბუნებას: რაგინდ რკინა-ბეტონის ყალიბში მოაქციოს ინდუსტრიამ ჩვენი ცხოვრება, პოეტის გრძნობა, სიყვარული კვლავ იმ მარადიული ყალიბით ეფინება დედის, მამის, შვილის, დის, ძმის, ახლობლის, მოძმის, ნაცნობის, უცნობის, ოღონდ ადამიანის, თავისი ციხე-კოშკებისა და ისტორიის სახებას, როგორც ეს ქართველი ხალხის გამჩენმა ბუნებამ დაანათლა ერის სულს მარადიულ საგზლად...

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: ერთმა თბილისელმა კაცმა მერვე სართულის ვერანდიდან გაშენებული მსხმოიარე ვაზი მაჩვენა. სერიოზული რთველისთვის ემზადებოდა. გაეხარდა ჩემი გაკვირვება. მე კი ახლაც მაკვირვებს ეს საკვირველება: ქართველი კაცი ქართველობას რომ არ მოიშლის. აი, რაღაც ამგვარად მესახება ჭანტურიასეული ოპტიმიზმი.

გხიბლავს მის ლექსებში აბსტრაქტული საქართველოს კი არა, ცალ-ცალკე ქართველების, ადამიანების სიყვარული იუმორით, იმედით აღსავსე, გამამხნევებელი ძალის მომცემი სურათები: მირბის ბიჭი, „მიიმღერის და შინ მიაქვს კიდეშემოქმული პური!" მაგრამ ტარიელი მაინც უფრო თავის სტიქიაშია „პილპილმოყრილი მადლით". როცა ღრუბლის მცირე ნაფლეთიც გამოჩნდება ჩვენივე სულის ზეცაზე, ჩვენი თანამედროვის წარმატებას რომ გამოგვიგზავნის. თუნდაც რად ღირს ერთი, მშვენიერი სათაურის გახსენებაც: „ქართველისა ქართველითა დამთრგუნველი". პოეტის უშურნებელი გული სულ სიყვარულის გამეფებაზე ოცნებობს: რომ „შეიძლებოდეს სიყვარულის ტრანსპლანტაცია"... მისი მწარე ირონიაც სიყვარულზეა დაფუძნებული. მან არ იცის პირადი მტრობა. მას მხოლოდ რუსთაველის მტერი შეიძლება სძულდეს. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ის თაობა, რომელიც დღეს ჩვენს მწერლობას სათავეში უდგას, ათქმევინებს პოეტს:

„ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე ძმაკაცებს ჩემსას,
მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს ბიჭები ჩემი!
ვერ ვიტყვი თითქოს არ ვუყვარდე საშობლოს ჩემსას,
მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს საშობლო ჩემი".

იგი ამყოლი ხმით არ მღერის. საოცარი დაკვირვებით არის აღ-

საესე მისი პოეზია ახლანდელი ყოფისადმი და და ეს განსაზღვრავს მის ორიგინალურ სტილურ მეობას.

ხშირად ლაპარაკობენ ტარიელისეულ ექსპერიმენტებზე, სიტყვა „ექსპერიმენტი" მეცნიერებაში პირდაპირ მხსნელი სიტყვაა. თუ ცდამ გაამართლა, მას ან თეორია, ან კანონი დაერქმევა. თუ არა და ამ „ექსპერიმენტს" ისე მოიშველიებენ, თითქოს კარგიც კია, რომ არ გაამართლაო. ექსპერიმენტ-ლექსპერიმენტიც არ არსებობს უმარცხოდ. მარცხისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტარიელის ამ ნაკადის ლექსები კამათის უფლებას არ გვართმევს. თუმცა, ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: მისი „ექსპერიმენტული" ლექსების მიმართ მაინც სხვაგვარი მიმართებაა საჭირო. აქ უფრო იმის მინიშნებაა, თვითონ იფიქრეო.

ახალ სინამდვილეს ძველი პეიზაჟით ვერ წარმოადგენ, მას ახალი ენა, ახალი სტილი ესადაგება.

„მაგრამ ვინ მოვატყუო
ძველი პეიზაჟით,
როცა ბავშვის ოცნებაც
მოთხერილია საჟით".

ჰანტურიას შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს პოეტიკური აზრის გამომხატველი ლექსები, ანუ ლექსი ლექსის შესახებ. პოეზიის ენა, რითმა, მუსიკა სიტყვისა ტარიელისათვის უცვლელია. ურითმო ლექსი სხვა ორიგინალობას გვიქმნის, მაგრამ ხშირად, პოეტის აზრით, იგი შაირის უძალობის საფარველია. ხდება პირიქითაც „ფოთში ჩაგიყვანს რითმა „ფოთიშა"...

იგი საქართველოს იმ კუთხეში დაიბადა და გაიზარდა, სადაც სიტყვა სავსეა თამაშით. ერთს გეტყვიან და მეორე უნდა იგულისხმო. ტარიელის ლექსებში ისე გაკვესავს ეს პოლიფონია იუმორისა, ირონიისა, „ვითა აბედი კვესითა". ხანდახან რიტმის რაში უნდა შეაჩერო, სფინქსის ნათქვამივით უნდა გამოიცნო — რა თქვა და რა იგულისხმებაო.

ტარიელი ინტელექტის პოეტია: „ჩემთვის ინტერესმოკლებულია, რაც კი ინტელექტს მოკლებულია". ინტელექტი, აზრის, გონების ერთ დროს გრძნობის წამლეკავ ნიშნად მიიჩნიეს, მაგრამ ტარიელის პოეზიაში მდორე აფორისტული აზრები კი არა, აზრის მოულოდნელი მიხრა-მოხრანი გვხიბლავს — რომ არ ელოდები, და იქითკენ შეატრიალებს სათქმელს. ეს სიკისკასე, სიმკვირცხლე გონებისა, მდიდარი იუმორი აზრის სიღრმეს საამო ფორმა ანიჭებს. ეს კაცი იმავდროულად ბრწყინვალე ესეისტია. მისი წიგნი „ყულაბა საესე ოცნებით" პოეტური-პოლემისტური ხელოვნების ფილიგრანულ ტექნიკას გვთავაზობს. ამ წიგნთან დაკავშირებით ტარიელს ერთმა მწერალმა კითხა: ყველას სცნობ თუ არა კამათის ღირსადო. ტარიელი: მიგიხვდი, ჩემო მოხევე... მეტოქე „ბდღვნად" უნდა ღირდეს"... მოკამათეს

არც უნდა უპასუხო, თუ მხოლოდ შენ შეგეხება პირადული ნიშნით. მაგრამ როცა საქმე ეხება შენზე და ჩემზე მეტს, ცხრა თვალი გჭირდება საქმისათვის...

მზეგრძელობა და სიყვარული ძვირფას ტარიელს.

1982 წ.

ვაჟკაცსა გული რკინისა...

რა პირობებში უკეთ იწონება კაცი? წარსულს თუ გადავხედავთ, ისტორია ამ კითხვაზე ერთი შეხედვით უცნაურ პასუხს გვაძლევს. ადამიანი ყველაზე უკეთ ომში იწრთობოდა. მაგრამ დღეს მხედართა ხმალდახმალ შერკინება, სიკვდილისათვის თვალებში ცქერა მხოლოდ რომანტიკულ წარმოდგენებს იწვევს. ისტორიის ბორბალს უკუღმა ვერავინ დააბრუნებს. ან კი ომი (თუნდაც რომანტიზებულად წარმოსადგენი) როგორ შეიძლება ინატროს კაცმა! სიცივე, სუსხი მეომრისათვის წრთობის ისეთივე პირობა იყო, როგორიც ცეცხლი — ფოლადისათვის.

ჩვენ ვიფუთნებით, არ გვინდა სიცივე. შუა იანვარში ზოგჯერ ისეთივე ხვითქი გადაგვდის, წუნეთის ნიავი მოგვევნატრება.

ცხოვრებას თავისი ლოგიკა აქვს...

შრომა, ომი და სპორტი ერთად იშვა. სულიერი სიმდიდრის შემდეგ ფიზიკურ ძალა-ენერგიას ვერა საუნჯე ვერ შეედრება. მას კიდევ მეტი მისია ჰქონდა ისტორიულად.

თითქმის ყოველი ხალხის ეპოსი, თქმულებები ლეგენდურ სამოსში ხვევს ეროვნულ ფალავანთა სიჩაუქეს. ასეთია ჩვენი ეპოსი. „ერთზე ათი მოდიოდა“ — ეს პოეტურ-ეპიკური აღმაფრენის ფრაზაც ყოველთვის არ ჩნდება. ცივილიზაციისაგან მეტისმეტად გარეალისტირებული კაცი მას ირონიულადაც შეხედავს. ცხადია, ეს მომენტი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საჰიდაო-საფალავანო შერკინების მაგვარ სანახაობად: თითქოს დგას ქართველი გოლიათი, რომელიც ჯუჯებივით ისვრის აქეთ-იქით მტრის გოლიათებს. მაგრამ ამ ფრაზის მიღმა არის პოეტური პირობითობა დიდი ისტორიული სიმართლით... საქართველოს ისტორულ-გეოგრაფიული რუკა დროდადრო ცვლილებებს განიცდიდა, თუმცა არა უსაშველოს. არც რიცხვმრავალი მტერი ვყოფილვართ ოდესმე. ამ რიცხვისა მტრის ლაშქარი მოდიოდა ჩვენზე. ამდენი ზოგჯერ სპორტსმენი ჰყავთ მოზრდილ სახელმწიფოებს. წამით ისიც გავიხსენოთ, ვის ვიგერიებდით, — გველეშაპებს, იმპერიებს, რომლებმაც ჩვენზე ბევრგზის რიცხვმრავალი ხალხები ჩასანსლეს. ეს რკალი, წრედ ქცეული, ისტორიული ფაქტია. ალბათ, იყო რაღაც თილისმური ძალა, გაუსაძლისი, რომ გამოგვატარა. „ერთზე ათი...“ „ორი ათასი ქართველი ხუმრობა ხომ არ გგონია“— ამ-

გვარი გამოთქმები, დღეს მიამიტ თქმებად რომ გვეჩვენება, ერთგვარად თავის თავში შეყვარებული ერის, ბავშვის ნათქვამივით მართალია. ამ ძალის პირობას სწორედ ხმალივით ნაწრთობი ვაჟკაცობა ქმნიდა. არარიცხვმრაველი ერისთვის, თვისებრივი სიმაგრე იყო ეთადერთი გარანტია თვითშენახვისა და წინსვლისა.

დღეს ჩვენი ახალგაზრდობა შესაშურ გულმოდგინებას იჩენს ისტორიული წარსულისადმი, თვალისჩინივით გასაფრთხილებელი ისტორიული ძეგლებისადმი. უფრო რთული გარკვეული პატრიოტობა აწმყო სოციალურ სინამდვილეში, სახელდობრ, ვიბრძოლოთ, რათა ჩვენს გეერდით არ ხდებოდეს დიდი ეროვნული საშინელება, — ახალგაზრდა რომ თავს ისნეულებს. ახალგაზრდობის სიჯანსაღე ერის სიჯანსაღეა. ეს ჰეშმარიტად ეროვნული პრობლემაა.

ომის ხსენებისას თანამედროვე ადამიანის თვალთახედვა ვერ განთავისუფლდება მხატვრობისა თუ კინოს გავლენისაგან. ძველებური ომი ვაჟკაცობის ყველა კომპონენტს მოიხმობდა. ტყვიის გამოგონებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მკლავმაგრობა-მუხლმაგრობის ფუნქცია. თუმცა კაჟიანი თოფი, დამბაჩა ჯერ კიდევ მდიდარ ასპარეზს უტოვებდა ფიზიკურ ძალას, მაგრამ, თუ მთელი შენობა ან ქალაქი თავზე გექცევა, რაღა დროს ფიზიკური ძლიერების კულტია.

ფიქრობენ: სპორტული ასპარეზობა ომის, ბრძოლის რაღაცნაირი ასახვაა. ზოგი მას ომის პაროდიასაც უწოდებს. სპორტული ბრძოლა უსისხლო ბრძოლაა. აქ სისხლის ნაცვლად ოფლი იღვრება მხოლოდ. თუმცა დღეს პროფესიონალთა ასპარეზობები ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებად იქცეს.

ხელოვნება, მწერლობა ომის სურათების ასახვისას ხშირად მიმართავს სპორტულ ასპარეზობათა სურათების ჩვენებასაც. აკაკის „ბაში-აჩუკი" გავიხსენოთ: 1659 წელი. ქართველ-სპარსელთა ბრძოლის ჩახმახზე ყოფნის წინა პერიოდი, ალვანის ველზე გამართული ჭიდაობა, ყაბახი... ჭიდაობას კი აქ ბადალი არ მოეპოვება. ფალავნები ერთმანეთს ერკინებიან ვინ უფრო ძლიერია, — ქართველი თუ სპარსელი? ეს კითხვა გულისხმობდა, ვინ უფრო ძლიერია — საქართველო თუ სპარსეთი?

ნებისყოფის წრთობის ორი წყარო: ყველა ძლიერი პიროვნება, ქვეყნის ამშენებელი თუ დამაქცევარი, უწინარეს ყოვლისა, ძლიერი ნებისყოფისა იყო. ძნელი სათქმელია, რა უფრო მნიშვნელოვანია — სიმკვრივე კუნთებისა თუ ძალა ფსიქიკისა. რასაკვირველია, სასურველია ორივე ერთად. ზეცისა და მიწის პირშო ორივე სამყაროსაგან იღებს ძალას. ვისაც ზეციური მადლი სცხია, ფიზიკური წრთობა ზედმეტი არც მისთვისაა, ვისაც ეს სულიერი ძალა აკლია — მისთვის ხომ წამალია.

შრომა და თამაში. ფიზიკური შრომა და თამაში, ერთი შეხედვით, კაცს ერთგვაროვანი მოვლენები ეგონება. ორივე სახეობა, ფი-

ზიკური ენერგიის ბრუნვას (ხარჯვა-აღდგენას) გულისხმობს. მათ შორის წმინდა ფიზიკური მსგავსება და წმინდა ფსიქიკური განსხვავებაა.

მთელი მეცნიერებანი შეიქმნა იმის გულისათვის, რომ შრომის პროცესში შეეტანათ შემამსუბუქებელი ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური საშუალებები. მაგრამ თავისთავად შრომა მძიმე პროცესია, რაიც ცხადად განსხვავდება გართობა თამაშისაგან. შრომა კუმშავს, ძაბავს ადამიანის სულიერ ძალებს, ადამიანისათვის აუცილებელი ხდება ამ ძაბვის მოშვება გართობის, თამაშის გზით.

თამაშის პროცესი თამაშის დროსაა სასიამოვნო, შრომისა კი — მისი დამთავრების შემდეგ. ესაა უაღრესად განსხვავებული მოვლენები. ფიზიკური შრომისგან ქანცგაცლილი ჰაბუკი ბურთის ხმას რომ გაიგონებს, ისე გადაეცლება ღობეს, თითქოს სხეული გამოიცვალაო. ადამიანის ფიზიკურ-ფსიქიკური ენერგიის ხარჯვის პროცესი მექანიკური არაა. საგულისხმოა, რომ ფსიქიკური გადაღლისაგან გათავისუფლების ყველაზე კარგი საშუალებაა მისი გადაცვლა, ალბათ, ყველასათვის ადვილად წარმოსადგენი შემთხვევა მაგონდება: ეტრატისფერი თბილისელი ლექტორი მშობლიურ სოფელში ჩადის. პაპანაქება სიცხეში ჰამაკში ჩაწოლას ურჩევენ ახლობლები. დილიდანვე ოროყიანი თოხი „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ გავიარე, რაა მამული?!“ დიდი ხნით ფიზიკურ შრომას გადაჩვეული კაცი სწრაფად იღლება, შემდეგ თითქოს ნათხოვარი ხელებით მუშაობს. „პირზედ ოფლჩამომდინარე“ დაღლილი კაცი გრძნობს, რომ გოროხზე წამოჯდომა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ფაფუკ სავარძელში ჩაფუმფულება. ამ პაპანაქებაში ის გრძნობს გრილ ნიავს, რაც უცნობია მისთვის, ვისაც დასვენება უმოძრაობა ჰგონია. ის გრძნობს, რა გემრიელი ყოფილა წყალი... და თუ საღამოს პატარა სოფლურ ჭეიფსაც დააყოლებ, რა ამოწურავს ქარველი კაცის იმედიან ცქერას მშობელი მიწისა და ზეცისაკენ. ღმერთმა დაგვიფაროს რეცეპტებისგან, დიდაქტიკისგან, მაგრამ შრომა ნებისყოფის პირველი წამალი გვგონია დღეს.

შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მგონია, რომ ამ წამალს რიგიან პროპაგანდას ვერ ვუწევთ. პირიქით, იმგვარად ვქადაგებთ, ახალგაზრდა კაცს შეიძლება შრომა შევაძულოთ. ყმაწვილებს ხშირად ჰგონიათ, რომ თუ იშრომეს, მათს არისტოკრატიულობას ჩრდილი მიადგება, გავიხსენოთ: ლევ ტოლსტოი ფრიად მომხიბვლელი ყოფითაც ცხოვრობდა. არ აკლდა ევროპელ თუ რუსეთის წარჩინებულ ბანოვანთა ყურადღება, თავი რომ გავანებოთ მისი განიის სიცოცხლეშივე აღიარების დიდ სიხარულს, აი ეს არისტოკრატი, გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი,ზოგჯერ მთელი დღე სდევდა გუთანს. ამგვარი მაგალითები ბევრი სახელოვანი არისტოკრატის ცხოვრებიდან შეიძლება მოვიტანოთ (არისტოკრატულობას, ცხადია,

ჩვენ ვიყენებთ არა სოციალური შინაარსით, არამედ როგორც კულტურულ-ისტორიულ ნიშან თვისებად).

სპორტული ასაკის გასრულების შემდეგ, ფიქრობენ, სპორტულ ვარჯიშებს ბევრად სჯობია ფიზიკური შრომაო. შრომა ჯანმრთელობის პირობაა. თუმცა ერთი აშკარა ნაკლი ყოველთვის სდევს ამგვარ სამკურნალო შრომაზე მსჯელობას. თუ კაცი იმისათვის თიბავს, ბარავს, თოხნის, შეშას ჩრის, რომ ნაოფლარი მას მატერიალურად სჭირდება ესაა ნამდვილი შრომა.. მაგრამ თუ კაცი თოხის თითო მოქნევის შემდეგ მალი-მალ ღიპზე იცქირება, ქამარი რამდენად დამოკლდაო, ესაა არანამდვილი შრომა.

ფილოსოფოსები ფიქრობენ: ენერგიის სწორედ ათვისება-წარმართვის შემთხვევაში თვით საშუალო პოტენციის ადამიანის შესაძლებლობებიც კი ქვეყანას შეძრავდაო. ტალანტი-მწვრთნელის ხელში საშუალო მონაცემებიც კი გარკვეულ დონედ ქცეულა. ეს, რა თქმა უნდა, ადამიანში არსებული პოტენციის აღმოჩენაა და არა გაჩენა.

ფიზიკური აღზრდის კულტურა, ცხადია, რადიოს ნაკარნახევი ვარჯიშებით არ იფარგლება. იგი კომპლექსური მოვლენაა. ადამიანი მრავალმხრივი და ერთიანი არსებაა. წრთობის მრავალი სახეობა მთლიანობის, ერთიანობის ცენტრში უნდა იკრიბებოდეს. ალბათ, თვით პროფესიონალი სპორტსმენებისათვის არ იქნება ურიგო, ვთქვათ, ზაფხულში ისეთი სამუშაოების შესრულება, როგორიცაა თიბვა, ხერხვა, თოხნა... პროფესიონალური სპორტული წვრთნის პროცესი ალბათ არ უნდა იყოს დაზღვეული მოყირჭებისაგან. შრომის გზით ენერგიის გადართვა, შესაძლოა, ისევ სპორტული წვრთნის ხალისს მატებდეს. ზოგჯერ ენერგიის ხარჯვა, შესაძლოა, ენერგიის კარგვას ნიშნავდეს, სასარგებლო უკუგების გარეშე.

ერთი საზიარო კითხვა ფიზიოლოგებისა და ფილოსოფოსების მიმართ ასეთია: შეიძლება თუ არა სპორტული დატვირთვის პარალელურად სპორტსმენმა ასეთივე ტალანტით გაიბრწყინოს ინტელექტუალური შრომის სფეროშიც? ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგების საქმეში ვერ ჩავერევით, არც ფილოსოფიის გადასახედიდანაა კითხვა ადვილად პასუხგასაცემი.

პროფესიონალი ყოველ საქმეში იმას ნიშნავს, რომ პიროვნება მთლიანად ჰყავს შეპყრობილი პროფესიას. მთელი ყურადღება კონცენტრირებულია ერთი საქმის ფოკუსში. კონცენტრირების უნარი კი იმას ნიშნავს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ეკუთვნოდეს ყველა დანარჩენ სფეროს. ამიტომ, ვთქვათ, ფეხბურთელი „მაღალი ძაბვის“ სეზონში, ალბათ, შედარებით პასიურად ინარჩუნებს ინტელექტუალურ დონეს. ფილოსოფოსთა ცხოვრება ამ მხრივ სასიამოვნო მაგალითებს აწვდის როგორც სპორტსმენებს, ისე ფილოსოფოსებსაც... ყველა დროის ერთი უდიდესი ფილოსოფოსთაგანი — პლატონი იყო ტანმოვარჯიშე, მოჭიდავე, ცხენოსანი (მოჯირითე). ჰიდაობაში გამარ-

ჯვებისათვის მან ჯილდო მიიღო ოლიმპიურსა და, ვარაუდობენ, პითიურ შეჯიბრებებშიცო. ფილოსოფოსები ომსა და სორტში — ალბათ ცალკე ესეის საგანი უნდა გახდეს.

შრომა და სპორტი ჩვენში მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სპორტული ასპარეზობა, სპორტული თამაში, მარტო სპორტსმენების თამაში არაა. ფეხბურთის მატჩის პროცესში მხოლოდ კაცი როდი თამაშობს. არც სტადიონზე მყოფი 80 ათასი თბილისელი მაყურებლით შემოეფარგლაე ოდენობას. მატჩის გულშემატკივარნიც თამაშობენ, თამაშობენ ფსიქიკურად... ჩვენთვის ფეხბურთი ფეხბურთზე მეტია. ესაა სიმბოლური აზროვნება, ეროვნული აზროვნება.ვინ შეაფასებს იმ აღმაფრენის ძალას, რაც გასული წლის 13 მაისის სიხარულმა შეგვძინა? ამ ფაქტმა ქართველ ხელოვანს თუ მეცნიერს საჭირო თვითდაჯერებით აგრძნობინა, არც ჩვენ ვართ სხვაზე ნაკლებიო.

აკადემიკოსს შალვა ნუცუბიძეს ორი მონოგრაფია ჰქონდა გერმანიაში გამოქვეყნებული იქ მოღვაწეობის დროს. ოცდაათიან წლებში ბატონმა შალვამ რიხიანად განაცხადა, — დროა ქართულმა აზროვნებამ თავი ანებოს ევროპოცენტრიზმის მონობასო. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გაგვახსენდა იმ დღეს, როცა ევროპის თასი მოიგეს ქართველმა ფეხბურთელებმა და მათმა გულშემატკივრებმა. ეს სიხარული, როგორც ითქვა, სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებშიც შეიჭრა, ვითარცა მასტიმულირებელი ძალა.

როდესაც მწვრთნელს ეკითხებიან, თქვენს წარმატებებს რა განაპირობებსო, მას იმდენივე სიმართლის თქმა შეუძლია, რამდენისაც პოეტს — როგორ მოუვიდა მუზა, რამ დააწერინა ლექსი, ასე რომ, ნახევარი მისი ინტუიციისა იმ ნახევარსფეროს ეკუთვნის, საითაც ნაფიცი ფილოსოფოსნიც დამშვრალან. ძველად გიმნაზიებში მოწაფეებს ლექსების თხზვას ასწავლიდნენ. გალაკტიონობისა კი რა მოგახსენოთ! თერთმეტი ქართველის „ერთ სულ, ერთ ხორც“ არსებად ქმნა, ერთი მიზნისათვის დამუხტვა და ნახევარ სამყაროსთან შერკინება იმგვარ ნიჭს მოითხოვს, რასაც ვერ შეიძენ, ვერ ისწავლი, რასაც ზეგარდმო მადლი სცხია. ჩვენ შევნატრით ვარსკვლავ-ფეხბურთელის გამოჩენას, კიდევ უფრო სანატრელია ვარსკვლავ-მწვრთნელები! დალოცვილი ანდრო ჟორდანიას შემდეგ ბედმა გაგვიღიმა, როცა „დინამოს“ მოეელინა ბრძენი თაეკაცი, ნოდარ ახალკაცი. არ ვაჭარბებ! ძველ აღმოსავლეთსა და საქართველოში მწვრთნელ-აღმზრდელი ბრძენს ნიშნავდა. თბილისის დინამოელთა მოქალაქეობრივი დახვეწილობა — ვაჟკაცურობა და თავაზიანობა, მეტოქის პატივისცემა და კეთილგონიერება გაგვახსენებს რუსთაველის სიტყვებს: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს...“

ერთმა პროფესორმა ნახევრად ხუმრობით მთელი სიმართლე მითხრა: ჩვენი „დინამოს“ ტაქტიკასა და სტრატეგიას რომ ვუყურებ,

მე მგონი, ნოდარ ასალკაცი ომებსაც კარგად მოიგებდაო. სადაც ვარსკვლავ-მწვრთნელია, იქ ვარსკვლავ-ფეხბურთელებიც იკაშკაშებენ.

1982 წ.

მზე მშვიდობისა

მშვიდობა ისეთივე დიალექტიკური მეწყვილეა ომის ცნებისა, როგორც სინათლე სიბნელისა, ჯანმრთელობა ავადმყოფობისა... მსოფლიო ისტორიას ვერანაირი ფანტაზიით ვერ წარმოვიდგენთ ომების გარეშე. მსოფლიო ისტორიამ არ იცის მხოლოდ გამარჯვებული ხალხი; ვისაც მახვილით დაუპყრია სხვა ხალხი და წარუტაცია მისთვის თავისუფლება, თავადაც უწენევია მარცხის სიმწარე. ამიტომაცაა, რომ თვით აღზევებული ქვეყნების ისტორია არ იეიწყებს დამპყრობელთა უღელქვეშ გმინვის სურათებს, და პირუკუ, დაჩაგრულები მუდამ იგონებენ გარდასული დიდების დღეებს, მშვიდობის დამრღვევი ხალხების ისტორიაში ხშირია მშვიდობის წყურვილის მქონე გამოთქმები: „მშვიდობა შენდა" — „ძველი აღქმიდან" არამარტო ძველი ებრაელების, არამედ სხვა ხალხთა მისალმების ფორმულად იქცა.

ჩვენ მშვიდობის ქართული წყურვილის თავისებურება გვაინტერესებს. საკვირველ სურათს წარმოაჩენს ჩვენი ისტორია: თითქმის უწყვეტი ჯაჭვი ომიანობა-ძალმომრეობისა, შფოთისა, ნგრევისა და — ჟამითი ჟამად ჩამომდგარი ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდები, როდესაც ერს სულის მოთქმის, შენებისა და შემოქმედების საშუალება ეძლეოდა. ხანდახან შეიძლება დაგვაეჭვოს კიდეც ჩვენი მატიანეების ჩვენებებმა: ხომ არ ვტრაბახობთ, ღამით ტყეში მიმავალი ბიჭივით დაბოხებული ხმით ხომ არ ვმღერით სხვათა დასაფრთხობად, მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად? ზოგჯერ ღიმილსაც გვგვრის საფალავნო-საისტორიო მონათხრობი — ერთზე ათი მოდიოდაო... რა თქმა უნდა, პრიმიტიული იქნება მტერნთან შერკინების ეს სტატისტიკა საჭიდაო სურათების მაგვარად წარმოვიდგინოთ, მაგრამ გაუძლისის გაძლების ისტორიულ მიზეზებს თუ ღრმად მოვჭხრეკთ, ზემოთ ნახსენები ისტორიული მონათხრობი ბელეტრისტიკად აღარ მოგვეჩვენება.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ანალიზი ალბათ გვეტყვის, რომ ჩვენი ლიტერატურის თემა ჩვენივე ხალხის ცხოვრების ისტორიაა, თუმცა ზოგჯერ, თითქოსდა გულის გადასაყოლებლად, სხვა თემებისათვისაც ვიცლიდით: „ქილილასა და დამანას" ვთარგმნიდით ან „ვარდბულბულიანს" ვწერდით; მართლაცდა ხომ არ შეიძლება ლიტერატურა მხოლოდ ისტორიის ოქმის შემდგენელი იყოს!

რა ადგილი უკავია ჩვენს ისტორიაში ომსა და მშვიდობას, როგორ აისახა ეს თემა ქართულ ლიტერატურაში, რანაირად წარმოჩნდა ამასთან დაკავშირებით ქართველი კაცის, უფრო მეტიც, მთელი ჩვენი კულტურის ხასიათი? ამ კითხვას სრულად და ამომწურავად, ცხადია, ვერ ვუპასუხებთ, მაგრამ ზოგიერთ ტენდენციაზე კი გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ: ალბათ, მაინც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არსებითი ტენდენცია ჩვენს ლიტერატურაში მოვლენათა პოეტიზირება გახლავთ. ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა. ჩემი მიზანი იყო, შემექმნა პოეტური რომანიო. ჩვენი პროზა ისტორიულად არ კარგავს მოვლენათა პოეტურად ასახვის ტრადიციას. ისტორიოგრაფიაც ავლენს ამ ტენდენციას და ამას თავისი ფსიქოლოგიური ახსნა-გამართლება მოეძებნება. ამიტომ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი სკეპტიკურად კი არის განწყობილი, იქნებ თავს ვიტყუებთ და ჩვენს მებრძოლ სულსა და ძლიერებაზე გადაჭარბებულ წარმოდგენას ვიქმნითო. არადა, ამ მხრივ ქართული ისტორიული წყაროები, პირიქით, ზომიერებას და თავშეკავებას გვიღენენ: არის ქვეყნები, რომელთა ჟამთააღმწერელნი დაპყრობილი ქვეყნის მიწაზე დატრიალებულ უბედურებას აღგვიწერენ დიდი შინაგანი აღფრთოვანებით; როგორ დაამხეს, როგორ მოსპეს, როგორ აღგაევეს პირისაგან მიწისა ხალხი, რომელიც არავის ერჩოდა. ჩვენ არ გვქონია ამგვარი არც ისტორია და არც ხასიათი. და როცა ჩვენი ხალხიც აფართოებს თავის საზღვრებს, გვირგვინოსანი დავითი, აღმაშენებლად სახელდებული, საოცარ ბოდიშს იხდის (მსგავს ფაქტს ვერც ერთი მეფის, იმპერატორის ცხოვრებაში ვერ ვიხსენებთ): „ბოროტად გარდავხედ საზღვართა, შევჰრთე სახლი სახლსა, აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივჰხვეშე ნაწილი მათიდა ვიღეწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო საზღვართა, რომელ დაამტკიცნეს მამათა შენთა სამკვიდრებელსა მას შენსა ქვეყანასა მას ზედა,რომელსაც დაგამკვიდროს შენ უფალმან ღმერთმან შენმან“ („გალობანი სინანულისანი“, 19, 14).

ამ ისტორიული ბოდიშის ავტორის დიდსულოვნებაზე მხოლოდ ჩვენი მატიანეები როდი მოგვითხრობენ; მას ამკობდნენ სომეხი მათე ედესელი, ვარდან დიდი, მაჰმადიანი მწერალი ალ-ლაინი და სხვანი.

ახლა ვნახოთ, როგორ აღწერენ უცხოელი მემატიანენი საქართველოს აოხრება-განადგურების სურათებს:

„სულთანმა ყოველი სოფელი თუ ციხე თბილისის მიდამოებში, რომლებიც ეშმაკის მიმდევრებით იყო სავსე, ერთიანად მოსთხარა და მის ამალას უსაზღვრო და უზომო ნადაელი ერგო. თბილისის ეკლესიები, რომელთა აშენებაზე ძველთაგან ძვირფასი საუნჯე იყო დახარჯული, დააქცია, მათ ადგილზე კი ისლამის სამლოცველოები დააარსა“ (ჯუვეინი, ცნობები საქართველოს შესახებ, 1974, გვ.32).

ჯალალედინის მეორე ისტორიკოსი ან-ნასაიი ხარობს ნამარჯვე-

ბით, რომ თბილისი „...დაპყრობილ იქნა და მაშინ ხმლები სრული უფლებით მბრძანებლობდნენ მის მცხოვრებთ, ხოლო მეომართ ხმლებმა მოიტაცეს მათი აელადიდება".

ამ აელადიდებას „...ვერ ჩამოთვლიდა თითები ყველაზე გაწაფული მცოდნესი, ხოლო რეესტრების სვეტებში მათი ჩამოთვლისაგან სივიწროვე შეიქმნებოდა" (იქვე, გვ.168). იძარცვებოდა ქვეყანა, ნადგურდებოდა ან მიიტაცებოდა ჩვენი კულტურის საშენად ნაგროვები ნაოფლარი: „265 წლის მანძილზე (1235-1500)... სულ მინიმალური ანგარიშით საქართველომ დაკარგა მრავალი ასი მილიონი ოქრო (ფულად) ხარკის სახით და ათჯერ მეტი ძალადობა-ძარცვის შედეგად" (ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ.238); დამპყრობელთა წინააღმდეგ ომი და ბრძოლა ასაზრდოებდა ჩვენს ლიტერატურაში პატრიოტულ თემატიკას. ამ თემის დომინანტობა ჩვენს დამშვიდებულ ისტორიულ ცხოვრებაზე როდი მეტყველებს, იგი „სისხლის წვიმების" ეპოქათა თემაა. კანტი-კუნტად გამორეული უფრო დალხინებული ეპოქების პოეზია მეტწილად ისტორიულ ეპიკურ ინტერესს იჩენდა ომებისა და სათავგადასავლო ბრძოლების მიმართ, ამიტომაც ინგლისსა თუ გერმანიაში სკოლებში არ აწერინებენ თემებს: პატრიოტიზმი შექსპირის, ბაირონის, გოეთეს... შემოქმედებაში. საქართველოს ისტორიის ბედნიერების ხანა გავიხსენოთ და ჩვენი პოეზიის გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი". აქ რაგინდა რა სიღრმისა თუ სივრცის იდეასა და სიბრძნეს ამოვიკითხავთ. მათ შორის მოქმედ სასკოლო სახელმძღვანელოში ცალკე თავად არის გამოყოფილი „პატრიოტიზმი". ცხადია, თავისთავად, იგულისხმება,რომ ყოველი კეთილშობილი გმირი პატრიოტიც იქნება, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" ამ საკითხის თემატურად ჩვენების აუცილებლობა, ჩვენი აზრით, არ ჩანს. არგუმენტად, ცხადია, არ გამოდგება ის რომ ავთანდილი მოძღვრავს ვასალს; „მე დამახვედრეთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი": ანდა: ნესტანი არიგებს ტარიელს, გონს მოდი, „წადი ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა". ისტორიამ არ იცის მეფე ან ფეოდალი, რომელსაც სურდეს — სამეფო ან სამფლობელო „დაულეწონ", მაგრამ მათგან ყველა როდი ჩაითვლება პატრიოტად. ზოგ მეფეს საკუთარი თავისთვის უყვარს სამეფო, მეფე დიმიტრიმ კი ნებით დაუდო თავი ჯალათის ცულს თავისი სამწყსოს გადასარჩენად.

დიდი ისტორიული ბედნიერება კულტურის ყვავილობისა შეწყდა XIII — XV საუკუნეებში. მშვიდობა — ბედნიერება, ომმა — უბედურებამ შეცვალა: „საფრთხე იდგა ქართველობის მოშლისა ისევე, როგორც მოიშალა სომხობა სომხეთში (და სიცოცხლისუნარინმა სომეხმა ხალხმა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გადაიტანა ეროვნული არსებობის კერები) ალბანელობა შა-შირვანში თუ რანში... საფრთხე იდგა ქართველობის ადგილზე თათრულ-ველური ურდოების შემოს-

ვლისა, აღმოსავლურ-ბარბაროსული ფეოდალური ურთიერთობების შემოსვლისა ქართული განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ადგილას მსგავსად ყიზილბაშური ირანისა, ოსმალური მცირე აზიისა, თათრულ თურქმანულ შაქი-შირვან-ერევნისა...

საფრთხე დაუდგა ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციას. ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის შეფერხება, რეაქცია, უკანდახევა... ეს იყო ველურთა დიდი გადმოსახლება (არაველურს არც შეუძლია გადმოსახლება), ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის წალეკვა. X-XI საუკუნეებში გამოსული სელჩუკები მოინელეს ახლო აღმოსავლეთის კულტურულმა ხალხებმა (სპარსელებმა, არაბებმა, სომხებმა, სირიელებმა, ქართველებმა, ბიზანტიელებმა)... მაგრამ „ველურთა“ ამ წინამორბედებს (ავანგარდს) თან მოჰყვნენ მონღოლ-თათრები, თურქმან-ყიზილბაშები და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაცია დაეცა, „გაველურდა“,კუნძულებივით ბოგინობდნენ ამ ველურთა ზღვაში ძველი ცივილიზაციის ნაშთები... და საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლეთის ცა უძრავი რჩება ბარბაროსული ფეოდალიზმის საფეხურზე... (ნ.ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.240).

ბევრი ხალხი გაუჩინარდა ამ ქარბორბალაში. არსებობის შენარჩუნების პრობლემა ხშირად დაგვდგომია. თუ რომელიმე ხალხს სწყუროდა და ენატრებოდა მშვიდობა, ეს, პირველ ყოვლისა, ჩვენზე ითქმის მაგრამ არც ომს ვუფრთხოდით; არავინ გვაუენებდა ჩვენს მამულში და ამიტომაც იძულებულნი ვიყავით „ხმლით ვჭეროდა“ იგი.

ნახევარი საუკუნის წინ კვლავ დაირღვა დიდი მშვიდობა. მეორე მსოფლიო ომმა მილიონები შეიწირა. ქართველობამ გმირობის ისტორიული გენი სრულად გამოაჩინა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პატარა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო ბოროტების დასათრგუნად.

ჩვენს მწერლობაში კუთვნილი ადგილი დაიჭირა სამამულო ომის თემამ; ეს თემა მრავალწახნაგოვანია. ეს პატრიოტიზმი იმავდროულად ინტერნაციონალისტურიც არის. ინტერნაციონალური გრძნობები კი, მადლობა ღმერთს, ისტორიულად მოგვდგამს. ამიტომაც გვიყვარს ყველა ხალხი და არც ჩვენ გვაკლია სიყვარული ქვეყნის კიდით კიდემდე.

მეორე მსოფლიო ომმა ხალხებსა და ცივილიზაციებს სხვადასხვა ფსიქოლოგია დაუტოვა; ევროპის ლიტერატურას ძალუმი კრიზისი დაუდგა, მას მოეძალა სასოწარკვეთის, გაუცხოების, აბსურდის განწყობილება. მაგრამ ეს აპოკალიფსური ერჟოლა და კვნესა-გოდება ისტორიულად არ გახლავთ ქართული სულიერი წყობის გამომქვლენი. განსაცდელის წინ ზოგი დაგლახდება და ზოგიც ღირსეულად შეხვდება სიკვდილს. დღეს კაცობრიობას მართლაც დაემუქრა თვითგანადგურების საფრთხე, საუბედუროდ, მართლაც არსებობს საფუძვე-

ლი ამგვარ მდგომარეობამდე მისული ადამიანური ყოფის საზრისში დაეჭვებისა. და მაინც — ადამიანს გადაარჩენს მშვენიერება, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება მწერლობა გახლავთ. სწორედ მწერალმა უნდა გვიპოვოს ხსნის ისეთი არგუმენტი, რასაც მკითხველი ვერ იპოვნიდა; მან უნდა დაგვარწმუნოს, რომ კაცობრიობის ბედი არ შეიძლება იყოს მოირების ჰირვეულებაზე მინდობილი შემთხვევითობის ძაფით ნაქსოვი; ნათქვამია, რწმენა მთებსა ძრავსაო; მასვე შეეძლება ამოიყუანოს სანუკვარი მნათი — მზე მშვიდობისა.

1985 წელი.

ხვალ მეორე მეცადინეობაა

მუსიკალურ შაბათობებს ტრადიცია ეყრება

ინტერვიუ უნივერსიტეტის პრორექტორთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, პროფესორ ვახტანგ გოგუაძესთან.

— რას იტყვით ღონისძიების პირველ დღეზე და რატომ აირჩიეთ საკუთრივ შაბათი. ამ დღეს, ნაშუადღევს ხომ უნივერსიტეტში სიცარიელეა, ყველას სადღაც პირად საქმეზე, ჭირსა თუ ლხინში მიეჩქარება.

— ვისაც მართლა უყვარს კლასიკური მუსიკა და არა პირის დასამშვენებლად, ბევრ რამეს გვერდზე გადადებს. მით უმეტეს, აქ სრულიადაც არ არის საჭირო შემთხვევითი ხალხი. გვინდა ასეთი სახეგაბრწყინებული და მაღალი კულტურის სტუდენტები და თანამშრომლები, როგორიც ამ დღეს გახლდათ და რის გამოც, კონცერტ-მეცადინეობის შემდეგ კმაყოფილება გამოხატა ბატონმა ჯანსუღმა. ყოველ შემთხვევაში, ვერ დამისახელებთ 16 ნოემბერს თბილისში რაიმე ესთეტიკურ-კულტურულ ღონისძიებას, რომელიც თავისი სიღრმით თუ სივრცით, დონითა თუ სიამოვნებით შეედრებოდა ჯანსუღ კახიძის მიერ ახსნილსა და მისი დირიჟორობით შესრულებულ ბეთჰოვენის მე-7 სიმფონიას. რა უნდა მოისმინო და ნახო უკეთესი!

— ვინ შეიძლება ამ კლუბის წევრი გახდეს?

— ყველა, განურჩევლად სქესისა თუ ეროვნებისა, ვინც უნივერსიტეტში სწავლობს, ასწავლის და მუშაობს. პირველი ორიენტირი, ცხადია, სტუდენტები არიან. ასევე წრფელი სურვილი გამოთქვეს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა.

— თქვენი აზრით, ვისთვის, მუსიკასთან ნაზიარევი როგორი კაცისათვის, არ არის ეს ღონისძიება აუცილებელი.

— ჩემს გვერდით ისხდნენ მუსიკის მასწავლებლები. მათი აღფრთოვანების მიხედვით ვერ ვიტყვი, რომ მათთვის ზედმეტად ჩავთვალო ეს ლექცია-კონცერტი. ამაზე ისიც მეტყველებს,რომ ითხოვეს, მომავალ მეცადინეობას ჩემი შვილი (სხვა ინსტიტუტის სტუდენტი) თუ შეიძლება დავასწროო.

კლუბის შექმნას რა მიზანი აქვს, ჯერ-ჯერობით ხომ დასწრება თავისუფალია.

კლუბის წევრობა მომავლის გარკვეულ ღინისძიებებს ითვალისწინებს. მათ შორის, გარკვეულ პრივილეგიებსაც, რაც ბატონმა ჯანსუღმა აღუთქვა მსმენელს ზოგიერთ შეკითხვასთან დაკავშირებით; კერძოდ, აღიარებული გასტროლიორების კონცერტზე დასწრების შესაძლებლობა, ბილეთების შოვნაში რომ არ გვაჯობოს მეჯღანუაშვილმა.

— და მაინც როგორ მოეწონა მაესტროს დარბაზი?

დარბაზი-მსმენელი ძალიან, დარბაზი-აკუსტიკა — პირიქით. კაცის კეთილშობილებას, რომ საზღვარი არა აქვს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, აკუსტიკის ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც დაიწყო ზრუნვა.

ის, რომ ბატონმა ჯანსუღმა საჩუქრად დიდი დრო და ენერგია მიუძღვნა უნივერსიტეტს — პასუხად ჩვენგან დიდ მადლიერებას მოითხოვს, მისი მამულიშვილობის კიდევ ერთი ნიუანსის საქვეყნოდ გამჟღავნებაა.

29 ნოემბერი, 1985 წელი.

ჰანთეონი

მაბალითი პიროვნებისა
პროფესორ გრიგოლ კიკნაძის დაბადების
70-ე წლისთავის გამო

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ მისი ნააზრევისადმი ინტერესის ზრდა თითქმის არასდროს ყოფილა შემთხვევითი; ცოცხალი პიროვნება კი, როგორც ამბობენ, ხშირად ხელს უშლის მისი შემოქმედების ობიექტურ შეფასებას — ის ან მეტი გვეჩვენება, ან ნაკლები.

ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა გრიგოლ კიკნაძე, მაგრამ მისი სულიერი სიცოცხლე კვლავ გრძელდება და რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება ამ მოღვაწის პიროვნული მნიშვნელობა.

გრიგოლ კიკნაძემ ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია ცალ-ცალკე დარგებად კი არა, ერთიან პროცესად წარმოგვიდგინა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ლიტერატურათმცოდნეობა ნამდვილ, ფუნდამენტურ მეცნიერებად მივიჩნიოთ. მან მოგვცა შესანიშნავი ნიმუში იმისა, რომ ლიტერატურის შესახებ მეცნიერება სწორედ ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობაში კვლევაა. საამისოდ ყველაფერი ხელს უწყობდა მკვლევარს: როგორც საკვლევი მასალის შესანიშნავი ცოდნა, ისე სინთეზურ-ანალიზური ანუ ფილოსოფიური უნარი.

როდესაც ასეთ მეცნიერზე ვმსჯელობთ, როგორიც გრიგოლ კიკნაძეა, ბუნებრივად თავს იჩენს მოთხოვნილება: ღირსებათა საზომად გამოვიყენოთ არა მხოლოდ საშინაო, ეროვნული მასშტაბები, არამედ ლიტერატურის მეცნიერების თანამედროვე დონე. ასეთ შემთხვევაში ყველასათვის ცხადია, რომ ერთნაირად მიუტევებელია როგორც მკვეხარობა, ისე ზედმეტი მოკრძალებაც. დღეს ჩვენს მეცნიერთა შორის მომწიფებულია აზრი, რომ პროფესორ კიკნაძის გამოკვლევათა შესაფასებლად სწორედ ასეთი ფართო მასშტაბებიც გამოვიყენოთ. გრიგოლ კიკნაძის გამოკვლევები, სრული უფლებით შეიძლება ითქვას, არ ჩამოუვარდება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაჩინო ნიმუშებს. მომწიფდა აზრი, რომ მეცნიერულმა მემკვიდრეობამ, ერთ მხრივ, თავის თეორიული, განმაზოგადებელი ღირსებით, მეორე მხრივ, აღბეჭდილმა ქართული კულტურის ღრმა ანალიზით, უფრო ფართო ასპარეზი მოიპოვოს. ამას გვაფიქრებინებს მონოგრაფია „...ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ, რომლის მსგავსი ხშირად არ ჩნდება ლიტერატურათმცოდნეობის ჰორიზონტზე" (აკად. კ. კეკელიძე). გრიგოლ კიკნაძის „მეტყველების სტილის საკითხების" შესახებ აკად. ალ. ფრანგიშვილი წერს: „როდესაც ამ წიგნს ეცნობი, სავსებით გასაგები ხდება იმ განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულობის საფუძველი, რასაც იჩენდა დ.

უზნაძე გრ. კიკნაძისადმი ამ უკანასკნელის ცხოვრების მძიმე პერიოდში."

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს: „იდისა და მრავალმხრივ ცოდნას ძლიერი სინთეზური ნიჭი ერთვ[illegible] ამას ნათლად გრძნობს მკითხველი, როცა ეცნობა გრიგოლ კიკნაძის ვრცელ მონოგრაფებს: „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის" (I გამ., 1953., 439 გვ., II გამოც., 1972, 451 გვ.) „მეტყველების სტილის საკითხები" (1957 წ. გვ. 372 ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე. გვ. 329-366). ასეთი გამოკვლევები დაამშვენებდა ლიტერატურისმცოდნეობას რაგინდარა ენაზე".

გრიგოლ კიკნაძის მეცნიერული ინტერესი უმთავრესად შეინც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას უკავშირდება. მისმა შრომებმა ვაჟას შემოქმედების კვლევა უფრო მკაცრი მოთხოვნების წინაშე დააყენა. ჰეშმარიტად რომ დიდია მისი ღვაწლი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თეორიულად გააზრების საქმეში. ამ მხრივ მან აამაღლა მეცნიერულ-საზოგადოებრივი აზროვნების დონე და გააღრმავა ინტერესი დიდი პოეტისადმი, დასახა გზები — როგორ უნდა შეხედოს ამ დიად სამყაროს ჭართველმა თუ უცხოელმა მკითხველმა.

რაოდენ სიმბოლურია ის ფაქტი, რომ დიდმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ ჩვენი საფიცარი ტაძრის — უნივერსიტეტის [illegible]ბათის ქვეშ დალია სული, ხოლო გავიდა დრო, და 1962 წელს ამ ტაძარში გრიგოლ კიკნაძის ინიციატივით ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დაარსდა. მისივე ხელმძღვანელობით ვაჟას კაბინეტმა ბევრი სიკეთე შესძინა ჩვენს მეცნიერულ-კულტურულ საქმეს. „10 წლის მანძილზე ეს კაბინეტი გადაიქცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევის ცენტრად. ერთი დიდი კვლევითი ინსტიტუტი ვერ გააკეთებდა იმას, რასაც ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა ამ ხნის განმავლობაში მიაღწია". — ასე შეაფასა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვაჟას კაბინეტის მუშაობა.

გრიგოლ კიკნაძე ფართო დიაპაზონის ლიტერატორი იყო. იგი არათუ ჩინებულად იცნობდა რუსულ ლიტერატურას, არამედ მისმა რამდენიმე გამოკვლევამ რუსული მწერლობის საკითხებზე სამეცნიერო საზოგადოების სათანადო ყურადღება მიიქცია. მათ შორის აღსანიშნავია 1960 წელს ლ. ტოლსტოისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება ჟ. ტულაში, 1971 წლის ივნისში თბილისში პუშკინის დღეებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება: „ბუნების გრძნობა ა.ს. პუშკინის ლირიკაში".

გრიგოლ კიკნაძე, ხელოვნების, პოეზიის არა მხოლოდ მკლევარი იყო. იგი თავადაც აძლევდა სტიმულს ხელოვანთ, ვთქვათ იმგვარად როგორც ეს ანა კალანდაძეს წარმოედგინა: „...მე თქვენი სულის სიღრმეებს სადაც მინდა კვლავ დავუბრუნდე, სიღრმეებს, დიოდა და ჩქეფდა დიდი სიყვარულის ცხოველი და უშრეტი წყარო, ღვიოდა

მოყვასისადმი ის დიდი სიყვარული, რომელიც კრებდა თქვენ ირგელივ უამრავ მეგობარსა და პატივისმცემელს. დიახ, თქვენ ამ კურთხეული მადლით იყავით ცხებული — თქვენ ხომ უმთავრესად მხოლოდ სხვათათვის არსებობდით, სხვათა ტანჯვათა და სიხარულში გამზიარებლად...“

ნათელ იდეას, მრწამსსა და ქცევებს შორის სრული კავშირის მიღწევას იშვიათ თვისებად, პლასტიკურ ხასიათად მიიჩნევდნენ ფილოსოფოსები. ერთ ასეთი ხასიათის კლასიკურ განსახიერებლად ძველად სოკრატე მიაჩნდათ. გრიგოლ კიკნაძის სოკრატული ხასიათი სიკვდილთან ქედუდრეკ შეხვედრაშიც გამოვლინდა. თავისი ცხოვრებითა და სიკვდილით მან დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი უბედურება ადამიანისათვის შერცხვენაა და არა სიკვდილი. თავად ის ხორციელად მიდიოდა ამა ქვეყნიდან იმ ფარული სიამაყის გრძნობით, რომ მის მიერ განელილი გზა ნათლით არის მოსილი. უმძიმესი ტკივილები უტეხმა სულმა დაჯაბნა, იმ კაცურმა უფლებამოსილმა სიამაყემ, რომელიც მისსავე სიტყვებს გვახსენებს: „თუ ყველა იმას გააკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია, მას საყვედური არ ეთქმის“.

ოქტომბერი 1979 წ.

...„რომ სიმღერით ვკვდები“
ნოდარ დუმბაძის ხსოვნას

მშვენიერი სიკვდილი მშვენიერ სიცოცხლესა სჯობსო. ნოდარ დუმბაძის სიკვდილთან შეხვედრამ დაგვანახა „სიკვდილისა სიკვდილითა“ დამარცხება“, დაგვარწმუნა — საქვეყნო სიკეთის ქმნა და მოფენა ამგვარ უტეხსა და ნატიფ სულს შეუძლია.

ერთმა ინგლისელმა კრიტიკოსმა დიკენსის შესახებ გამოკვლევა ასეთი ფრაზით დაიწყო: — სამწუხაროდ, ჯერ დიკენსი ცოცხალიაო. ავტორის სიცოცხლე მართლაც უშლის ხელს შემოქმედის შეფასებას — იგი ან მეტი ეჩვენებათ, ან ნაკლები. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება რომ მომავლის შემოქმედებაა, ნოდარ დუმბაძის პიროვნებას რომ კიდევ მეტი ნათელი მოეფინება, — მისი გარდაცვალებიდან მცირე პერიოდშიც გამოჩნდა.

ბევრი ტრაქტატი შექმნილა — ვინ როგორ ხედებოდა სიკვდილს: აიაქსი, ფილოკტეტი, სოკრატე, კატონი, კანტი, ჰეგელი... არაფერს ვამბობ რელიგიურ პირებზე. თითქმის არსად შევხვედრივარ ფაქტს — გალაკტიონის სიტყვები პირდაპირ აღესრულებინოს — „...რომ სიმღერით ვკვდები!“.

თეორიულად ყველანი ვამბობთ, იუმორი ზეგარდმო ნიჭიაო. საქმე საქმეზე რომ მიდგება, იგი გარკვეულად გვიშლის ხელს, ჯეროვნად შევაფასოთ იუმორში ამოქსოვილი სიბრძნე და სიღრმე აზრისა.

იუმორით გადმოიცემა რა გინდა რა სიღრმის ფილოსოფიური აზრი. მარგარიტა ეუბნება მმართველს: ეგმონტი თავის ხუმრობაში უფრო სერიოზულია, ვიდრე ჩვენ ჩვენს სასაცილო სერიოზულობაშიო (გოეთეს „ეგმონტი“).

უზარმაზარი რომანები დამშვრალან — ნაკეთები ხასიათებით. ლიტერატურაში დიდი იღბალია იმ ხასიათის პოვნა, შენს ახლოს რომ ყოფილა თითქოს და საუკუნეების შემდეგაც ახლობლად რჩება. ნოდარ დუმბაძემ საოცნებო ხასიათები ჩვეულებრივობაში იპოვნა, ბებიას პოეტურ სახეს მე მგონი ბადალი არა ჰყავს. მან იპოვნა იმგვარი ურთიერთობა ადამიანებისა, თეორეტიკოსები რომ ოცნებით ეძებდნენ. ასე გამოდევნილი ეგოიზმი, ასე ლამაზად გადალახული „ჩემია“, „მე მეკუთვნის“ — იშვიათია ლიტერატურაში.

ნოდარ დუმბაძემ — არა ნასესხები გრძნობით, არა ნათხოვარი თვალებით, თავისი წრფელი ქართული გულით შეხედა სინათლეს და ამ გულში სითბო იპოვნეს უშორეულესმა ხალხებმაც.

თხუთმეტი წლის წინათ უნივერსიტეტის ეზოში შევხვდი. ბაღში გავისეირნეთ. პეტრე მელიქიშვილის ძეგლის ხელმარცხნივ გრძელ სკამთან შეჩერდა და მითხრა.

— აი, ეს იყო ჩემი კაბინეტი. ნიკო კეცხოველმა ერთხელ ნადიას (მდივანს) უთხრა, წადი, ნოდარი მომიძებნეო (ხმით დააჯავრა ბატონ ნიკოს). სად არ მეძება ნადიამ თურმე, გაწბილებული დაბრუნდა რექტორთან.

— ბატონო ნიკო, მთლად გადავაბრუნე ყველა კაბინეტი და ვერსად ვნახეო. ნიკომ ჰკითხა ნადიას, ნოდარის კაბინეტში თუ იყავიო. რექტორმა დაბნეულ ქალს ხელი მოჰკიდა, ფანჯარასთან მიიყვანა და ამ მერხისაკენ გამოიშვირა ხელი: — აი, ნოდარის კაბინეტიო.

ნოდარს დღეს უნივერსიტეტში ბევრი კაბინეტი აქვს, მეტი ექნება. მას მუდამ პირზე ეწერა უნივერსიტეტი და როცა სიტყვა „უნივერსიტეტს“ ახსენებდა, ყოველთვის იგრძნობდი მის მოწიწებას. სწორედ ბაღში სეირნობისას მის გმირებზე ჩამოვუგდე ლაპარაკი და დავსძინე — იქნებ ჩემი კუთხურ-წარმომავლობის გამო არ ვიყო სწორი მსაჯული, ასე შინაურებად რომ მიმაჩნია ისინი — მეთქი. შემომხედა და მითხრა:

— ბიჭო, მაინც და მაინც არ გაეხარ იაპონელს. ამას წინათ ერთმა იაპონელმა მწერალმა მომწერა: — შენი ზურიკელა იაპონელი ბიჭი მგონიაო.

ნოდარისეული პირადი იუმორი ერთი უმდიდრესია ჩვენში. ხუმრობის ცდუნებას არ აყვებოდა. ძალას არ ატანდა თავს. ბევრი ხუმრობის შესახებ, რომელიც მისთვის შეუხსენებიათ, უთქვამს, აღარ მახსოვსო. ბევრი შექმნილა მასთან დაკავშირებული მეგობრუ-

ლი შარჟი ხუმრობები, ჯერ არ მინახავს მათში, დელიკატურობას მოკლებული.

ნოდარ დუმბაძემ იმდენი ტკივილი იგემა, თითოეულ მათგანს შეეძლო გაენადგურებინა ჯანმრთელი კაცი. მაგრამ მას ჰქონდა სულის ჯანმრთელობა, ნამდვილი მწერლის ხვედრი ტანჯვა-ტკივილი და ბედნიერება. ნოდარ დუმბაძე ბედნიერია თავისი ფრთამავალი ტალანტის წყალობით.

ნოდარის სამწერლო კურთხევა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში მოხდა. მისი ინტელექტუალური ხედვა უნივერსიტეტში დაიტვირთა. მას უყვარდა ჩვენი გაზეთი, ჩვენი და თაობათა სიყვარული არ მოაკლდება სიყვარულის უშრეტ მფენელ მგოსანს.

28 სექტემბერი 1984 წ.

ცას მიბჯენილი მზერით

ყოველ გონიერს აჯადოვებდა ბატონი შალვა ოქროპირი. ეს იყო მეტაფიზიკის ფიზიკურად ხილვის, პლასტიკის უნიკალური განსახიერება. ზევით ასწევდა მზერას — რაღაცნაირი ღიმილის გამომეტყველება, მაგრამ არა საკუთრივ ღიმილის შინაარსისა. ემზადებოდა ცისკენ სალაშქროდ. იგი არ იყო ციური ჰეშმარიტების ასკეტური შუამავალი, ღვთის სახელით მრევლს რომ ამშვიდებს. იგი ქვევიდან ზევით მიემართებოდა როგორც ტიტანი, მაგრამ არა საუფლოს შესამუსრად, არამედ უზენაესთან საზიარებლად. იგი ამირანის ჯიშისა იყო, სულის მიწიერი ბორკილების მსხვრევის ხმა ისმოდა მის მძლავრსა და მღერად ხმაში. სული ჩაჰედილია მძიმე მატერიაში, ამ მძიმე ხვეულებიდან მის გამოსათავისუფლებლად ტიტანური ძალა და პრომეთეული ჰკუაა საჭირო. ამიტომაც მისი სიტყვა არ იყო გაბმული და უცვლელი ტონალობისა. ხან უეცრად შეჩერდებოდა მეხთატეხა და უზარმაზარი აუდიტორია სუნთქვაშეკრული ისმენდა ცის კაცის ჩურჩულს, თითქოს უფსკრულის პირას უნდა გაატაროსო თავისი სამწყსო.

იგი სულით, ხორცით ქრისტიანი იყო. მაგრამ იყო მასში იმგვარიც, ძველ ელენებს რომ ამკობდა. იყო მასში ერეტიკულიც. ალბათ ამიტომაც ხდიდა იგი ქრისტიანული მისტიკის, ერეტიკული მისტიკის წყაროდ „არეოპაგიტულ კორპუსს“. ეს თხზულებანი იყო მისთვის არა ოდენ კელევის საგანი, არამედ მისი სულიერი სარკე, ორთოდოქსიაზე, სქოლასტიკაზე მეტი რომ არის ინდივიდუალურ-მისტიკური, შემოქმედებითი სწრაფვა ღმერთისაკენ. „მთავარი ესთეტიკური აზრი — ესაა შტურმი ცისა ქვეყნიერების სადიდებლად“ (შ. ნუცუბიძე).

არეოპაგიტიკა ღმერთის აღწერის შეუძლებლობას ქადაგებს

(აპოფატიკური თეოლოგია): ერთარსება ღმერთი, წმინდა სამება, არ მიიწვდომება სიტყვით, აზრით. ეს ისაა, რომლის „... არცა გამოთქმა, არცა მოგონება შესაძლებელ". და მიუხედავად ამ წინასწარი განაცხადისა („საღმრთოთა სახელთათვის") თითქოს ფარ-ხმალი რომ უნდა დაყაროს შემეცნებამ, ესაა დაუოკებელი წყურვილის ნიმუში — ავიდეს ცის კიბეზე, ისწრაფოს ღმრთისკენ, მისგან მიმავალი სინათლის აღსაწერად. ამიტომ პეტრე იბერიელის (ფსევდო დიონისე აროპაგელის) თხზულება არ არის სქოლასტიკური (თუმცა ზოგიერთი ავტორი მაინც თვლიდა მას სქოლასტიკურად), იგი, თავისი ბუნებით, ზესწრაფვით არ პასუხობს ცნობილი სქოლასტიკოსის პეტრე დამიანის თეზისს — „ფილოსოფია არის ღვთისმეტყველების მსახური". ამიტომაცაა, რომ ბატონი შალვა მასში ხედავს ერეტიკულ-შემოქმედებით, თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების კლასიკურ ნიმუშს.

არავინ დაიტრაბახოს, თვითო ბატონმა შალვამაც, ახსნას ამ საიდუმლოების საიდუმლოება. ესე იგი, ვინმემ ლოგიკის ენაზე გვითხრას, როგორ იპოვნა მან არეოპაგიტული წიგნების ნამდვილი ავტორი, რომელსაც, როგორც თავად ბატონი შალვა იტყოდა, ისტორიამ საბურველი წააფარა. ამგვარი აღმოჩენებისათვის მეცნიერებას არავითარი მეთოდ-აპარატურა არ მოეპოვება, ეს არის ისეთივე აუხსნელ-აუწერელი, როგორც პროცესი მისტიკისა. ეს შეეძლო მხოლოდ განსაკუთრებულ ინტუიციას, რაღაც იმდაგვარს, სიზმარი რომ გაუცხადდება კაცს.

ბატონი შალვას მეცნიერული მოძღვრება აღმოსავლური რენესანსის შესახებ საოცარი სიუჟეტისაა (არ მინდა ვთქვა, საინტერესო სქემა აქვსო), არეოპაგიტიკამ შთანთქა და გადაადნო პირველი საუკუნეებიდან VI-მდე მოყოლებული თეოლოგიური აზროვნების უმნიშვნელოვანესი მიღწევები. ხოლო შემდეგ იგი იქცა ქვაკუთხედად შუასაუკუნეობრივი ერეტიკული (შემოქმედებითი აზროვნების, როგორც წარწყმედა-ნარევი-მიწიერთან ნაზიარევი) აზროვნების უმშვენიერეს ქრისტიანულ ძეგლად, მთელი შუასაუკუნეების, რენესანსისაკენ მიმავალ მოძღვრებათა საფუძვლად (იოანე სკოტ ერიუგენა, ეკჰარტი, კუზანელი, პიკო დელა მირანდოლა...).

შ. ნუცუბიძის კონცეფციით აღმოსავლური რენესანსი არსებითად, მსოფლმხედველობრივად, დაემყარა პეტრე იბერიელის თხზულებებს — გენიალური არეოპაგატიკულ წიგნებში ჩამოყალიბებულს. ეს აღმოჩენა მეტისმეტად მოეფერა ქართულ თავმოყვარეობას. ეს დიდად საამაყო ფაქტია, რომელსაც როგორც წესი, პირველი უნდობლობა ქართველებმა გამოუცხადეს. ბატონი შალვას ამ დიდებულ კონცეფციას (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მხარს უჭერდა არა მხოლოდ თავკაცობა ქართველოლოგებისა, არამედ მისი მოკვდავი დამწუები წევრებიც.

ბატონი შალვა ხანდახან მარტინ ჰაიდეგერს ასე მოიხსენიებდა — „მარტინა ჰაიდეგერი"... ეს იყო ამონაკვესით ნათქვამი, — ევროპის, გერმანიის შუაგულში მოაზროვნე თუ მეტს გააკეთებს თავის შესაძლებლობაზე, მეტად თუ დაფასდება და არა ნაკლებად... ბატონმა შალვამ, ბევრის გარემოების გამო კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვულმა, დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ რომ არა ჯაჭვები,... ნახავდა „მარტინა_ჰაიდეგერი"... (ამ ფსიქოლოგიურ მომენტს ყურადღება მიაპყრო აწ განსვენებულმა პროფესორმა ვენორ ქვაჩახიამ). თავად გასაჯეთ, რა საოცარი ჰოროსკოპი აქვს: „ვეფხისტყაოსანს" ფაქტიურად ციხეში თარგმნის: ციხე და სტალინის კაბინეტი კრემლში, მეგობრული მუსაიფი და სტალინის ფაქტიური — რედაქტორული დახმარება! კრემლი და ციხე, რომლის გასაღები, ქვეყნის დიდმპყრობელს უდევს ჯიბეში. კაი მარშრუტია. კლასიკური თემაა დიდი დრმატურგიისათვის! ეს ცხოვრებაში — მეცნიერულ აზროვნებაში?! მისტიკისა და ერესის ისტორიას რომ აანალიზებს აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ბატონ შალვას მოჰყავს ენგელსის მშვენიერი ციტატა თავისი პოზიციის გადასარჩენად. მაგრამ ორჯერ დასამოწმებელი რომ ორმოცჯერ არის დამოწმებული, ესეც იმას ჰგავს, ზემოთ რომ ითქვა.

ბატონი შალვა აღმოსავლური რენესანსის თეორიის ფუძემდებელია. არც ისე დიდი ხანია დაიწყო ამ თეორიისა და თვით ბატონი შალვას ღვაწლის დაფასების რენესანსიც. 1971 წელს პატარა, 18 წუთიანი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი შეიქმნა — „შალვა ნუცუბიძე". ამ ფილმსაც შალვას ბედი-მდევარი დასდევდა. ამოჰყარეს ბევრი კარგი დეტალ-ეპიზოდი და კინალამ თვით ბატონი შალვა ამოაკლეს მას. რომ არა რეზო ჩხეიძის ჩვეული რაინდობა, ვერას უშველიდა ავტორთა თავგამოდება.

ხშირი იყო შალვა ნუცუბიძის მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან გაძევება. მაგრამ, ასე თუ ისე, ხანდახან ხერხდებოდა მისი მიწვევაც იმ კაცის წყალობით, რომლებიც მაინც არ ამოსწყდებიან, თუმცა მაშინ, შალვა ნუცუბიძისადმი დიდი სიმპათიების გამო სახელის ნაცვლად ან სამსახურის, ან რანგის დაკარგვა ელოდა ნებისმიერს, ამას ახალგაზრდობის საფიქრელად ვამბობ!

შალვა ნუცუბიძე გერმანიაში მოღვაწეობის დროს სიამაყით აცხადებდა: მე დავიბადე ფარცხანაყანევში. (ისე, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იგონებს თავის თავზე — პატარა მდინარისპირელი როგორ ეჯიბრებოდა ლენინგრადის უნივერსიტეტში ნევისპირელებს, ევროპაში კი — სხვა დიდ მდინარისპირელებს). ეს გახლავთ ის განცხადება, რომ ტალანტის ცვარი ციდან მოდის, მას არ ანაწილებს არც იმპერიის, არც დიდი ქალაქების ლოგიკა. ეს ის საზეიმო ჰეშმარიტებაა, მწყემსი ბიჭი რომ იქცევა თავის ხალხის ღვთაებრივ წინამძღოლად — დავით წინასწარმეტყველად.

შეუდარებელი იყო ბატონი შალვა-პოლემისტი, რა არ უწყობდა მას ხელს საამისოდ! მაგრამ ეს იყო კეთილშობილი მოასპარეზე, მეტოქის რაინდული გრძნობით აღსავსე. ერთი თქმულების ასოციაცია ამეკვიატა ამასთან დაკავშირებით: ალექსანდრე მაკედონელს უზარმაზარი ძაღლი გამოუგზავნეს ინდოეთიდან საჩუქრად. დაინტერესდა იმპერატორი — რის შნო და მარიფათი აქვსო ინდოელ გოლიათს. გამოუყვანეს მგელი ზედაც არ შეხედა, დათვი არც ის გახდა ყურადღების ღირსი. გამოუყვანეს ლომი და გაიმართა ასპარეზი... დააკვირდით ბატონი შალვას თხზულებებს! მას იდეოლოგიის სახელით ესეოდა ავი მწერების გუნდი. სახელს არ არქმევდა მას. სატანის ჭინკებს სატირის ცეცხლს წაუკიდებდა. აუდიტორიაში კი ერთი კალამბურის მათრახით მოატრიალებდა მათ. იგი ეკამათებოდა მხოლოდ ღირსეულ მეტოქეს. მწვავე პოლემიკა ჰქონდა ბატონ კორნელი კეკელიძესთან. მახსოვს, მეცნიერებათა აკადემიაში მოიწვიეს სასწრაფო სამეცნიერო სხდომა — ბატონი კორნელის მოხსენება-აღმოჩენის ევაგრე პონტოელის (ქართველის) შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოდის ბატონი შალვა (წინასწარვე იგრძნობა და იცნობა, რომ იგი მწვავე ოპონენტი იქნება). — ბატონებო, კორნელი კეკელიძე (პაუზა) არათუ ქართული კულტურის მკვლევარია, არამედ (პაუზა) იგი (პაუზა) თეითონაა ქართული კულტურა...

წელს XX საუკუნის აზრის მესაძირკვლეების, ბატონ შალვა ნუცუბიძისა და ბატონი სერგი დანელიას დაბადების ასი წლისთავი ვიზეიმეთ. მათი ურთიერთობა იყო რაინდული პოლემიკის ჩაუქრობელი ასპარეზობა. როდესაც ბატონმა შალვამ გაიგო ბატონი სერგის ულამაზესი სიკვდილის შესახებ (იგი უნივერსიტეტის აუდიტორიაში ოპონენტობის დროს, რეცენზიის კითხვის დროს გარდაიცვალა), გაფითრდა, მჯიღი მკერდში ჩაირტყა — „ჩემი სერგია, ჩემი სერგია!“ და შეიმშრალა ძმობის ცრემლები.

1988 წ.

მიხეილ ზანდუკელი

ბატონი მიხეილის ერთი ნამოწაფარი მეცა ვარ. იგი წლების მანძილზე ინდივიდუალურ კონსულტაციებს მიტარებდა, მისი ხემძღვანელობით გამოვდიოდი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. მის ამაგს ვერანაირად ვერ ეზღაე. დიდი ბუნების, დიდი კეთილშობილების კაცი იყო. საქართველოს თავისუფლებაზე ჩაუქრობელი მეოცნებე.

ადამიანი რომ სულიერი ღირებულებით ფასდება, დიდი კეთილშობილება რომ გვავიწუებს მის გარეგნობას, ეს უველამ კარგათ ვიცით. მაგრამ თუ გარეგნობაც სურათია შინაგანი სრულყოფილებისა,

სულიერი სილამაზისა, ესეც არაა ურიგო. ბატონი მიხეილი ნაქანდაკევი ქართველი იყო, ახოვანი და ლამაზი კაცი, სიკვდილამდე უჭკნობის სილამაზით ატარა სული, რუსეთის ციე ციხეებში ნატანჯ-ნაგვემი სხეული.

არიან ადამიანები, რომელთა ნათელი სულების გამოხმობა ძლიერ მოგინდება — შეახედო დღევანდელ საქართველოს. ეს ის ადამიანებია, რომელთა საქართველოს თავისუფლებისა კი სჯეროდათ, მაგრამ თუ ასე ახლოს იქნებოდა, ძნელად წარმოედგინათ, რა თქმა უნდა, თავისუფლებამდე ჯერ გოლგოთა გვაქვს გასავლელი, მაგრამ მრისხანე კერპების მსხვრევა თუ ასე რევოლუციურად მოხდებოდა, ძნელად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა.

სწორედ ბრძანებს ბატონი სოლომონი, ბატონი მიხეილი არ იყო იმ ფილოსოფიისა — ყველასთან კარგად იყავიო. გამოხედეითვე მეტყველებდა მისი პოზიცია. არ დამავიწყდება სურათი: კორნელი კეკელიძე, გრიგოლ კიკნაძე, სოლომონ ხუციშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე და თავად ბატონი მიხეილი კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტში სხედან. ბატონი მიხეილი თავისი ცნობილი ღიმილით ეფერებოდა ყველას, — საუბრისას გადაიტანდა რა მზერას ერთიდან მეორეზე. ამ დროს შემოვიდა მთავრობის მიერ 37 წელს გამოყენებული დოცენტი. ბატონმა მიხეილმა საუბარი შეწყვიტა, დაავლო ქუდს ხელი და ჩქარი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ყველას გვაქვს ჩვენ — ჩვენი გადაუღებელი, მაგრამ ოცნებაში არსებული ფილმი. აი, ზოგიერთი ასეთი კადრი კიდევ უნდა აღვადგინო. ბატონი მიხეილის ყველაზე ახლო მეგობრები იყვნენ იშვიათი მამულიშვილები — ნიკო მგელაძე და მისი მეუღლე ოლია დუმბაძე. აქ ხშირად ეხვდებოდი ბატონ მიხეილს. რა ლამაზი იყო ის არისტოკრატიული საუბარი, კულტურა ცხოვრებაში, ცხოვრება კულტურაში. ეცდილობდი, სადილი ამეცდინა, რადგან ბატონი მიხეილი თავის გვერდით დამისვამდა ხოლმე. ეს იყო დახვეწილობისა და არისტოკრატიზმის განსახიერება... იგონებდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში გატარებულ წლებს, ქართველი ინტელიგენციის მიერ აქ გაწეულ შრომას.

საბჭოთა საქართველოს პერიოდში მე არ ვიცი სწავლების მეთოდიკის ორიგინალობის თვალსაზრისით ვინ შეედრება „ზანდუკელის სკოლას". იგი ბატონი მიხეილის თაოსნობით და წინამძღოლობით შეიქმნა და არსებობდა 1921-1929 წლებში — ძველი გიმნაზიის ბაზაზე რუსთაველის პროსპექტზე რომ პირველი სკოლაა. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. ეს იყო არმონიის სკოლა — ყველაფერი რომ გათვალისწინებული იყო — კლასიკური საგნებით — ფიზიკური კულტურისა და სპორტით. ვიდრე ბიუროკრატიზმის კლანჭებს

იგერიებდა ბატონსი, მანამ იარსება ამ სკოლამ. შემდეგ კი იმ დაემართა, რაც დაემართა ყველას და ყველაფერს.

ბატონი მიხეილის მოღვაწეობა განუყოფელია უნივერსიტეტისაგან. ეს წმიდა კაცი აშენებდა უნივერსიტეტს. მან, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, დიდი შრომა გასწია. იგი ქართული ლიტერატურის ისტორიას ქართველი ხალხის ცხოვრებასთან კავშირში, ქართველი ხალხის ეროვნულ სულიერთან კავშირში განიხილავდა. განსაკუთრებით ასტკივებდა ხოლმე ნაიარევი ქართული რომანტიზმის სოციალურ პოლიტიკურ წინამძღვრებს რომ იხილავდა, კახეთის 1812 წლის აჯანყების მიმოხილვისას, როგორც ხშირად, თავის გულისტკივილს ვერ ფარავს: „... გულის ხილვრელე აღმაშფოთებელია ოფიციალური ენით დაწერილი დოკუმენტიც კი ერთიმეორეზე შემზარავი ფაქტისა ხალხის ეკონომიურად განადგურებისა და ზნეობრივად შელახვისა... პირდაპირ გასაკვირია, როგორ შეძლო მოეთმინა მთელ ხალხს, რომელსაც დიდი ხნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, დიდი ხნის კულტურა, საკმარისად მდიდარი მწერლობა ქონდა, გარდა ისეთი მატერიალური შეძენრობისა და შელახვისა, ეს ზნეობრივი შეურაცხყოფა და შეგინება, რომელსაც შეიცავს რუსეთის მოხელეები უპასუხისმგებლოთ აწარმოებდნენ ქართველების მიმართ“ (მ. ზანდუკელი, თხზ., ტ. I, 1972, გვ. 72).

მიხეილ ზანდუკელი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი მამშენებელია. დაღგა ჟამი შეიქმნას არა პროფესორების ისტორია, არამედ ინტელიგენციის ისტორია. მით უმეტეს, ბევრი გაუჩინარდა იმ უცნაური კრიტერიუმების გამო, რითაც დგებოდა ნეკროლოგები – ცრუ ტომეულებით. მიხეილ ზანდუკელი თავის აზრით, თავისი ღვაწლით მხოლოდ ერს, მხოლოდ ეროვნულს ემსახურებოდა და არც ქართველი ერის მატიანე იქნება უმადური. ნათელი ეფინოს ბატონი მიხეილის ნათელ სახეს.

16 თებერვალი, 1990 წ.

ნიკო მგელაძე

ერთხელ, პროფესორ გრიგოლ კიკნაძესთან, მის მიერვე დაარსებულ გაჟას კაბინეტში, ვისხედით მისი მოწაფე-მეგობრები. ჩამოვარდა საინტერესო თემა ვინ იყო ჩვენი იდეალური იმაგო, ვისაც უშუალოდ ვიცნობდით. ყური ჩემზეც მოვიდა. ცოტა ხანს გავაკვირდი. დარწმუნებული ვარ, ბატონ გრიგოლს ცოტა უჭირდა

გაურბინა -- შეიძლებოდა თვით მასზე მიმეთითებინა. ამის სრული საფუძველი ჰქონდა და მქონდა. წამიერი პაუზის შემდეგ მე ვამბობ ნიკო მგელაძე!

-- „ოო, ნიკო მგელაძე მესმის“ — თქვა ბატონმა გრიგოლმა და უველას გაგვიკვირდა მისი აღფრთოვანების მაღალი ემოციურობა. ბატონი გრიგოლის ფსიქოლოგიური, გამჭოლი მზერა ადამიანის ბუნებაში ბევრს ხედავდა. მას ნანახი და განცდილი ჰქონდა -. როგორ იქცეოდნენ ადამიანები განსაცდელში. განსაცდელში კი ცოტა, ზოგჯერ ძალიან ცოტა, შემოგრჩებათ ხელში, კაცი რომ ჰქვია.

ნიკო მგელაძე, პეტერბურგის ქართული ინტელიგენციის იმ თაობის წარმომადგენელია, ივანე ჯავახიშვილის თანავარსკვლავედი რომ ჰქვია. იგი ბრიუსელშიც სწავლობდა, ფლობდა ძველბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს. მოღვაწეობდა გარკვეულ დრომდე თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორად -- მათემატიკაში.

ნიკო მგელაძემ ტრაგიკული ცხოვრება განვლო, მაგრამ არაფერი ეტყობოდა ტრაგიკულობისა. ეს იყო მშვიდი, დარბაისელი კაცი, ჭკუის, ცოდნის ღირსებათა ერთიანობის განსახიერება,შეუვალი პრინციპულობისა და პატიოსნების, მაგრამ არა „ბუკვალიზმის“ პატიოსნებისა. ეს იყო კაცი ჩვილი გულით და მტკიცე გონებით.

1956 წლის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, თბილისის იმ ავადსახსენებელი კომენდატის შვილს, ძია ნიკოსთან ჰქონდა გამოცდა მათემატიკაში, ვინ არ მიუგზავნა ამა ქვეყნის ძლიერთაგან, — თუ ცოდნა აქვს, ნიშანს ვერ დავაკლებ. ცოდნა ღმერთს მიუცია ადამიანისათვის, მე რა უფლება მაქვს, ის წავართვა. მაგრამ თუ არ იცის, მე მამამისს ქართველი ახალგაზრდების სისხლს არ შევარჩენ.

როგორც მიამბო, მართლა არ იცოდა საგანი, თორემ ორიანს ისე როგორ დავუწერდით. ასე რომ, გენერალ გლადკოვის ვაჟი გაირიცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. საინფარქტო ვითარება თანამდებობის პირებისათვის ბევრი იყო, მაგრამ ყოფილმა კომენდატმაც არ გაართულა საქმე. ძია ნიკოს გატეხა — მაშინ შეუძლებელი გახლდათ. ეს იცოდა მისმა ყოველმა მცნობელმა.

მისი მეგობრები იყვნენ ნიკო ლორთქიფანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ვიქტორ კუპრაძე, გოგი მხეიძე, ავთანდილ ბენდუქიძე... მისი უახლოესი მეგობარი გახლდათ პროფესორი მიხეილ ზანდუკელი.

ძია ნიკოს ამშვენებდა უკეთილშობილესი ქალბატონი, პედაგოგი ოლია ირაკლის ასული დუმბაძე. მათ შვილი არ ჰყავდათ. მთელი სინაზე, სიყვარული გადატანილი ჰქონდათ ახლობლებზე, ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. ეხმარებოდნენ ყველა გაჭირვებულს. მათ ოჯახში ყოველდღე იყო საინტერესო საუბარი. მე ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი, კვირაში ერთხელ თუ არ გამოვცხადდებო-

დი, ატყდებოდა ძებნა. აქ ხშირად იყვნენ ჩემი მეგობრები იუზა ევგენიძე და ელგუჯა გიუნაშვილი. ასე იყო 1959 წლის მარტიდან 1962 წლის 27 დეკემბრამდე, ძია ნიკოს გარდაცვალებამდე. რამდენიმე თვე (იელისამდე) იცოცხლა დეიდა ოლიამ. მერე უკვე თითქმის ყოველდღე დაედიოდით მეც და ჩემი ახლობლებიც დეიდა ოლიას სანახავად. ახლა ძია ნიკო 106 წლისა იქნებოდა.

ეს იყო დიდი პიროვნება და თუ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიერ ვერ იქნა ათვისებული მისი დიდბუნებოვანი ღირსებები, ეს იყო სწორედ ხელწერა ეპოქისა. ჩრდილში დარჩნენ უდიდესი ღირსებების მქონე ადამიანები, დიდი ნიჭი და ერუდიცია საფლავში რომ გაიყოლეს. თუ ვარგა საზოგადოება, სახელმწიფო, თუ იღბლიანია ეპოქა მისი, ასეთ ადამიანებს მაგნიტივით უნდა იზიდავდეს; საზოგადოებას ასეთი ადამიანები არ მიეძალებიან, ისინი უნდა მოძებნო და სთხოვო, შეკვეთა უნდა მისცე დიდი საქმისათვის.

ღმერთი რომ არსებობს, მარადიული სასუფეველი რომ არსებობს, იმიტომაც მჯერა, რომ ამგვარი ადამიანების სული არ შეიძლება არარაობად იქცეს. მარადის ცხოვნება მათ.

1992 წელი.

ბატონი რეზო

ბატონი რეზოს მოღვაწეობის ყველა სფერო ეროვნული სულით სუნთქავს. ხშირად ჩნდება კითხვა: როგორ ახერხებდა იგი იმ პოლიტიკურ ვითარებაში ერისადმი ეგზომ თამამი სიყვარულით სამსახურს. პასუხს ამ კითხვაზე ყველა მისი მცნობელი გაგცემთ: იშვიათი გონიერებითა და პიროვნული ხიბლით, იმ ხიბლით, რითაც სატანურ სიფხიზლესაც მოადუნებდა ხოლმე: იშვიათი არისტოკრატიზმით, ვაჟკაცობითა და განათლებულობით, გაბედულობითა და დახვეწილობით... საზოგადოდ ძნელია ქართველი კაცის ღირსებათა ნუსხაში დაასახელო თვისება, რომელიც მას არ ჰქონდა. ორივე სამყარო ლამაზად ერწყმოდა მასში — ზეცისა და ამ ქვეყნის მადლი.

ბატონ რეზოს საქართველოს განუყენებული ცნება კი არა, რეალური საქართველო უყვარდა თავისი ფესვებითა და მომავლით. მას უყვარდა ქართველები, სათითაოდ ახლობელნი თუ პირადად არნაცნობნი. იგი გახლდათ შეუდარებელი ჰირისუფალი სეეგამწარებული მამული შვილისა. ცხოვრების ბოლო პერიოდში იმ იდეით იყო ანთებული, თითქოს რუსთაველის მიერ დასმული ამოცანა უნდა ამოეხსნა:

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა“.

სიძნელეებითა და ფათერაკებით აღსავსე ამ გზაზე მას რაღაც მისტიური მიზანი ამოძრავებდა — მოებრუნებინა გაფანტული ქარ-

თული სული, მოგებრუნებისა მადლი ქართული ნიჭისა და სულიერი ცხოვრებისა ეკუთვნის უმისამართოდ გახარჯული.

ჩვენს ისტორიულ თანდაყოლილ ძნელბედობას რა ეუთხრა თორემ ბატონი რეზო, როგორც არასდროს, ახლა სჭირდებოდა აღელვებულ საქართველოს. არავინ გვიწყინოს და დღეს არავის შეეძლო საზოგადოების განწყობის ისე მართვა, როგორც ბატონ რეზოს. მას არ ეშინოდა სიმართლისა. იგი თავის ერს ეუბნებოდა არა იმას, რაც ნებავდა ამ წუთს აღელვებულ ხალხს, ეუბნებოდა იმასაც, რაც სიმართლე იყო და ხვალ შესაცვლელი აზრი არ გახლდათ. იგი კი არ ჩამდიოდა აუდიტორიის დონეზე, თავის დონეზე აჰყავდა აუდიტორია. ამიტომაც, მასთან შეხვედრაზე ხალხი სხვანაირად ფიქრობდა შეხვედრის ბოლოს, ვიდრე დასაწყისში. განსაკუთრებით ლაღად შლიდა ფრთებს მისი მართალი სიტყვა უნივერსიტეტში.

რეზო თაბუკაშვილს სიყვარულის მადლი ღვთისაგან ჰქონდა ნიჭად მიღებული. ასეთ სიყვარულს ვერ ისწავლი, რამდენიც არ უნდა იმეცადინო. რა პარტიები, ასოციაციები და გაერთიანებები არ იქმნება ჩვენს დროში. სულის გასაყარზე ბატონმა რეზომ საფუძველი ჩაუყარა უნიკალურ ინსტრუმენტს მადლიერების ინსტიტუტს. ქართველმა ერმა ეროვნული კეთილშობილების მსოფლიოს წინაშე განცხადების საუკეთესო ფორმა მოძებნა. ქართველი ხალხი არასდროს ყოფილა უმადური ხალხი, ეგოისტი ხალხი. მას ლამაზად უყვარდა მთელი მსოფლიო, შეძლებული თუ გაჭირვებაში მყოფი ხალხებით. ასე ესმოდა ამ მორწმუნე ვაჟკაცს, რაინდს ქართველი ხალხის მოღვაწეობის მისია. ამიტომაც, როგორც ჩვენი ეკლესიის მამამ, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კურთხევისას ბრძანა, ბატონი „რევაზი იყო დიდი მამულიშვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანი". ბატონი რეზო არ მოკვდება მანამ, ვიდრე ქართული კულტურა იარსებებს. მარადიული სასუფეველი ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს.

11 აგვისტო, 1990წ.

დიდი მორალური ძალა

უნივერსიტეტის დამაარსებელთა შემდეგ ძნელია დაასახელოთ მეორე პიროვნება, უნივერსიტეტისათვის რომ სიცოცხლე ასე შეეწიროს. იგი იყო ჭეშმარიტი ზვარაკი, ჩვენი ერის ინტელექტისა და ზნეობის საერთო ტაძრის შეუპოვარი დამცველი. იგი არ იყო „საწყალი პატიოსნება". იგი ორი ათეული წელი უნივერსიტეტში დიდსა თუ პატარას კანონიერებასა და წესიერებას ასწავლიდა. მისი ზნეობა და ფსიქიკა შორს იყო თავის გატანის „ფილოსოფიისაგან". „არავის აწყენინო"; „ეცადე ყველამ კარგი თქვას შენზე"... კარგი

კარგზე კარგმა კარგმა კაცმა უნდა თქვას. მას ბევრი მომდურავი ჰყავდა. ბატონი გურამიც იგულისხმება დიდი ვაჟას მიერ საუკუნის წინათ ნათქვამში: „ცუდას რად უნდა მტერობა კარგია მუდამ მტრიანი“. ო, როგორ საჭირო იყავი, ბატონო გურამ, დღევანდელ საქართველოში, როგორც წესიერების განსახიერება.

თქვენ ფიზიკოსობას ფიზიკოსები გიქებენ. მე იმას ვამბობ, რაც მინახავს, მიგვრძვნია და მიცვნია. ტანჯვით მოთმინებით, თვითგანძარცვით, პირადი მაგალითის ძალით თქვენ დიდი მორალური ძალა დაუტოვეთ უნივერსიტეტს და არა მარტო უნივერსიტეტს. თქვენ იყავით საქართველოში ყველაზე პოპულარული პრორექტორი, ყველა უმაღლესი სკოლისათვის დიდი ავტორიტეტი.

გურამ ჭილაშვილი განზოგადებითი მნიშვნელობით იხსენიება. ჭილაშვილობა მაშინვე მოაგონდებათ, როცა უპრინციპობას წააწყდებიან, როცა ნატრობენ მექრთამეობისათვის, პროტექციონიზმის თუ სხვა უბედურებისათვის გზის გადაღობვას.

უნივერსიტეტში იქნება გურამ ჭილაშვილის სახელობის სტიპენდია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სხვაა: ბატონი გურამი არაორდინალური პიროვნება იყო. კეთილშობილურ სიმკაცრესთან ერთად საოცარი თბილი გული ჰქონდა, იცოდა დიდი სიყვარული. ხალხის პატიოსანი მეხსიერება არ დაიეწყებს ჩინებულ ვაჟკაცს, მეცნიერსა და პედაგოგს.

15 აგვისტო, 1990 წ.

ბახსენება ძველისთვის საჭირო კაცისა

ეს იყო 1965 წელს.

— ბატონო ვენორ, საით მიბრძანდებით, — ვკითხეთ ერთხელ აჩქარებით მიმავალს.

— სად მივდივარ და ჩილიციელობას ვიწყებ, მგონია, — გაიცინა და აგვიხსნა.

— ახალი მინისტრი რომაა, თუ იცით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. თუკი ვინმეს ჰკუა მოეკითხება, გაბრაზება შეუძლია და მთლად არ მოსწონს ეს ქვეყანა — მწერლები, რეჟისორები თუ მეცნიერები, ყველას იქ აგროვებენ. ვეხუმრებით, — კაცო შენ აქ აკადემიას ხომ არ ქმნიო... კარგი გეგმები კი აქვს, მაგრამ რა უშველის ამ უკუღმა ნაშენებ ქვეყანას.

1968 წლის 22 თებერვალს დიდი სიხარული ჰქონდა ბატონ ვენორს. საბჭოთა კავშირში პირველად, მისი ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა სოციოლოგიის კათედრა. ეს მაშინ საშიშ ანტიმარქსისტობას თუ არა, ამარქსტიტობას მაინც ნიშნავდა.

რამდენი განცვიფრებული თვალები გვახსოვს სოციოლოგიაზე მეოცნებე მოსკოვ-ლენინგრადელი მეცნიერებისა. ბატონი ვენორი ყოველთვის ინტელექტუალური ოპოზიციონერი იყო იდეოლეგიისა. იგი გაბედული გახლდათ არა მხოლოდ ოფიციოზის წინააღმდეგ. მას შეეძლო წასულიყო მოდური აზროვნების საშიშროების წინააღმდეგ. დღესაც საარაკოდ იგონებენ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე და იქიდან აუდიტორიებში გადასულ მის მიერ გაჩაღებულ დისკუსიებს. რამდენჯერ გადარჩა, თუმცა არა გაუროზგაედ, ვერა და ვერ მოათვინიერეს.

როდესაც ეროვნული მოძრაობის ისტორიის სხეულზე ვმსჯელობთ, სულის მოძრაობის შიდა ფენებსაც უნდა ჩავხედოთ.

ეროვნული სიმართლისაკენ მიმაყალი ყოველი აზრი: ამ ძნელი 70-წლიანი იმპერიის პირობებში ქართულმა მხატვრულმა და მეცნიერულმა აზრმა თავისი ბეკებით ზიდა ერის ღირსება და უფლება ცის ქვეშ. საქართველო აო გახლდათ მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის იურიდიული სუბიექტი, მაგრამ ის გახლდათ ღირსეული სუბიექტი მსოფლიოს კულტურის თანავარსკვლავედში. თუ კვლავ აინთება ნიჭიერება, მაშინ იხარებს სული ყოველი ტრაგიკული ქართველისა, ვინც ოცნებობდა მოაზროვნე და ბეკებგაშლილ საქართველოზე.

ბატონი ვენორი მოუსვენარი და დაუოკებელი ენერგიის კაცი გახლდათ. ხშირად ვყოფილვართ მონაწილე მიხეილ მესხთან და მის მეგობრებთან შინაურული, მაგრამ ცეცხლიანი ფეხბურთის თამაშისა. ორმოცდაათს გადაცილებული ვენორი უგულოდ არ დატოვებდა მოედანს. უყვარდა ქეიფი, სიყვარულს აფრქვევდა მოყვარესა და მტერსაც. ადამიანებისგან განმარტოებას კი არა, გულგრილ პაუზას ვერ იტანდა

პროფესორ ვენორ ქვაჩახიას, როგორც მეცნიერს, კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ახლა ჩვენ მისი მეცნიერულ დამსახურებებს ვერ ჩამოვთვლით. მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას უცილობლად პროგნოზისტული ალღოს კაცი იყო. — რად გინდათ ტომები, თუ მასში ერთი სტრიქონის ღირებულების სიმართლეაო. იგი დიდად აფასებდა ჩვეულებრივ საუბარში გაჩენილ ფოლკლორს, საინტერესო აზრს, შეხედულებას. ძალიან უყვარდა იგი ბატონ ილია ვეკუას... ჩემო ვენორ, სად გვინახავს საქართველოში კაცის დაფასება. ავტორიტეტი ამერიკიდან თუ არ ჩამოიტანეს, ისე აქ ვინ მოგხედავსო...

ჩვენთვის მართლა ძნელია ახლა ვენორ ქვაჩახიას გახსენება მშობლიურ გალსა და სოხუმში, ძმებთან... ამ ტკბილ-მწარე სურათს მთელი საქართველოს დღევანდელი ტკივილი სხვადასხვაგვარად გაგვახსენებს... სიცოცხლის სიჭარბის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ მიხეილ ქვაჩხაია და მისი ვაჟკაცები. მაგრამ არა არს მარადიული წუთისო-

ფელში. მართლა ანგელოზისსადარ პატარა ქეთინოს დაღუპვამ გაუნელებელი ჭრილობა დაგვიტოვა ყველას. ვენორის სიცოცხლე კი დაილეწა...

13 მარტს ათი წელი სრულდება, რაც ვენორი ქვაჩახიამ სასუფეველი დაიმკვიდრა. დროის სიფერმკრთალე ვერ მოეკიდა მის სახეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს იგი.

12 მარტი, 1992 წ.

თანაავტორი

ვ. კვარაცხელია

„არა ვიქმ ცოდნა რას ვვარგებს,

ფილოსოფოსთა ბრძნობისა“...

–

ანტიქრისტე, ცხადია, ქრისტეს მტერს, ქრისტეს მგმობელს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ყველა ღვთისმაგინებელი როდია იმ რანგისა, მას ანტიქრისტე ეწოდოს. ანტიქრისტე დიდი სატანაა, დიდი ბელზებელია, რომელმაც ხელთ იგდო დიდი ძალა-უფლება და ხალხს ადამიანთა გულებიდან ამოარეცხინა ქრისტეს სიყვარული.

„ცეცხლითა და მახვილით, მზაკვრობითა და დაუნდობლობით დაიკავა ღვთის ადგილი. ე. ი. ღვთის ნაცვლად მთელ ქვეყანაში სატანა დაეუფლა ადამიანთა სულს. ასე რომ, ანტიქრისტე არის რომელიღაც ხელმწიფე, დიდი მიწიერი ძალის მფლობელი, ღვთისმდევნელი და შემდეგ კი ქრისტესაგან გამომზეურებული სიბნელე და მისი უძლევი შუქით ძლეული.

საღვთისმეტყველო ლიტერატურა ბევრს ეცადა, ბევრს ეწვალა — ვინ არის ეს დიდი ბელზებელი, თავისი ძალით, გარკვეულ დროს უფლის ძლიერება რომ მიუთვისებია და ადამიანებს უბედურება ბედნიერებადაც მოაჩვენა.

ყოველ მითოლოგიასა და რელიგიურ მოძღვრებაში სიკეთის პირისპირ ბოროტებაა. ღმერთს ებრძვის სატანა. ასეევა ძველი აღთქმის ღვთისმგმობელნი.მაგრამ ახალი აღთქმის ანტიქრისტე უბრალოდ განყენებული სიმბოლიკა არ არის. იგი კონკრეტულ პირებზე მიუთითებს. სიმბოლიკა ისტორიულ რეალიზაციას ჰპოვებს. ამას დაჟინებით გვამცნობს იოანეს გამოცხადება (აპოკალიფსი). ანტიქრისტე სახელს არ ასახელებს უბრალოდ იმიტომ, რომ წმინდა წერილში უწმინდურთა სახელი არ მოიხსენიოს. გარდა ამისა, ჟამი უფლის მეორედ მოსვლისა გაცხადებული არ არის. იგი საიდუმლოა რაც არ იცის თვით ანგელოსთა დასმაც კი. ქრისტე მეორედ მოვა ციდან, იგი მოვა სრულიად მოულოდნელად, მოვა მწარე განკითხვითა და ჭეშმარიტ ღვთისმოსავთა გადასარჩენად. „მოძღვრება ანტიქრისტეს შესახებ უაღრეს საიდუმლოებად რჩება... არ დავიწუებთ იმის ძებნას, თუ რომელი საკუთარი სახელი იმალება თითოეული სიმბოლოს იქვეთ, რომელიც მიუთითებს მათ არსებობაზე, მაგრამ ყოველი ადამიანი, რომელიც მოქმედებს ისე, როგორც ისინი, მეტ-ნაკლებად ნაზიარევი არიან ანტიქრისტეს საიდუმლოებას“ Словарь библейского богословия, под редакцией Ксенье. Леон-Дюфура, Брюссель 1974 г. Антихирист.

ანტიქრისტე მიწიერ კონკრეტულ ადამიან-სატანას აღნიშნავს, დიდი ძალის მფლობელს, დიდი უბედურებების მომტანს. თეოლოგები მართალია, ბევრ ისტორიულად ცნობილ ღვთისმგობელს მიადგნენ, მაგრამ ის ნიშნები, რასაც საკმაოდ უხვად გვაძლევს აპოკალიფსი, არ დაემთხვა თუნდაც იმიტომ, რომ ანტიქრისტე მოდის აღსასრულის წინ, განკითხვის წინ და მისი ბატონობის ძლევა ქრის-

ტეს მიერ იქნება საღვთო სასუფეველის დამკვიდრება ქვეყნად. ე.ი. მეორედ მოსვლის წინა პერიოდის წარმოდგენა ერუანტელსა ჰგვრის უველას, გარდა ჰეშმარიტი მორწმუნისა.

მოწაფეთა კითხვაზე — „... რა არს სასწაული იგი შენისა მისი მოსვლისა და აღსასრული ამის სოფლისა? მაცხოვარი უპასუხებს: „ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ. რამეთუ მრავალნი მივიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებენ". (მათე, 24, 4–5)

მაცხოვარი მძიმე სურათს ხატავს: მიწისძვრა, ჭირი, სიძულვილი... „რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა..." რაც შეეხება, ცრუწინასწარმეტყველთ, ცრუქრისტეთ ისინი ანტიქრისტეს როლში არიან, მაგრამ იგი მაინც არ არის ანტიქრისტეს იდენტური ცნება.

ანტიქრისტე, პირდაპირი მტერი ქრისტესი, იღებს მის ნიღაბსაც, და პოლარული ნიშნით, როგორც გარდასახული მეფისტოფელი, იღებს ქრისტეს ნიშნებს. მაგალითად, ანტიქრისტეს ჰყავს პარტნიორი წინამორბედი, როგორც ქრისტეს-ნათლისმცემელი. ასეთი წინამორბედი ჰყავდათ ზოროასტრს, კონფუციისსაც; სატანა ბაძავს, ზოგჯერ იმეორებს ღვთის ნიშნებს. ამ შეპირისპირებით მსგავსებებს ქვემოთ შევეხებით.

იოანეს გამოცხადებაში ანტიქრისტე არის წარმოდგენილი ორი მხეცის სახით. პირველი მათგანი არის პოლიტიკური ძალა. იგი გმობს ღმერთს, აიძულებს ადამიანებს თაყვანი სცენ თვით მას და სდევნის ჰეშმარიტ მორწმუნეთ. მეორე მხეცი არის პირველის განმადიდებელი, მისი სახის შემქმნელსაც კი უწოდებენ. მეორე მხეცი აიძულებს უველას თაყვანი სცენ პირველ მხეცს.იგი მიმართავს სასტიკ რეპრესიებს. ყოველივე ეს არის აღსასრულის ან მეორედ მოსვლის წინაპერიოდის ნიშნები. ანტიქრისტე სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის. ბიბლიის ავტორიტეტული კომენტატორი, ღრმად მცოდნე პიროვნება ა. პ. ლოპუხინი (Толковая Библия ... комментарий А.П. Лопухина) საუკუნის დასაწყისამდე, ე.ი. ისტორიულ წარსულში ვერ ხედავს ანტიქრისტეს ანალოგონს და წერს: "ანტიქრისტეში ფიქრობდნენ დაენახათ მაგ.მუჰამედი, პატრიარქი ნიკონი, ნაპოლეონი და სხვა ისტორიული პირები. ისტორიამ თავის წარსულში ჯერ-ჯერობით არ მოგვცა ჩვენ ანტიქრისტე – მხეცის დასტური და ამიტომაც არ შეიძლება იგი ვეძებოთ წარსულში... იოანემ არ დაასახელა ეს სახელი ახლა არა იმიტომ, ამის გამოცანა, იდუმალება შეექმნა, არამედ იმიტომ, რომ ამ სახელის ცოდნა ჯერჯერობით საჭირო არაა, რადგან უსარგებლოა. იგი საჭირო და სასარგებლოა მხოლოდ აღსასრულის ჟამს, როდესაც გამოჩნდება ის კაცი, რომელიც ამ სახელს ატარებს. ანტიქრისტე ცნობილი გახდება პიროვნულად... ანტიქრისტეს პირადი სახელი განზრახ დაფარულია უფლის ნებით განსაკუთრებული ღვთაებრივი სიბრძნის მიზანდასახულობით. მხო-

ლოდ მომავალი დრო გაგვიხსნის იესო ქრისტესა და ეკლესიის ამ საგანეგმო მტრის სახელს (Лопухин), შეგახსენებთ, რომ ეს წიგნი 1911 წელსაა გამოცემული.

როგორც ითქვა, აქ ანტიქრისტე პარტნიორთან ერთად მოგვევლინა. პირველ მხეცთან ერთად მოსულ მეორე მხეცს „გამოცხადება“ დრაკონს უწოდებს. ეს ის ურჩხულია, რომელიც პირველი მხეცის წიაღშე აჩოქებს ქვეყანას. ამავე დროს ეს თავისსავე ფერხთით მილიონთა თაყდადრეკაცაა. აპოკალიფსის XIII თავი, რომელიც ამ სიმბოლოთა ყველაზე მკაფიო სურათია, უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს, ამ ორ მხეცს — თანამოაზრე ანტიქრისტეს გვიხატავს ასეთი წყვილადი მოღვაწეობით. აქ მითითებული არ არის, რომ იმ დროს ადამიანები განასხვავებენ მხეცს, ე. ი. ანტიქრისტეს დრაკონისაგან, ე.ი. ეშმაკისაგან და დრაკონისადმი თაყვანისცემის გამოხატვა ლაპარაკობს უბრალოდ იმ ობიექტურ ფაქტზე, რომ თაყვანისცემა მხეცისადმი სინამდვილეში იქნება აგრეთვე იგივე თაყვანისცემა დრაკონისადმი. რამდენადაც მხეც-ანტიქრისტეს ექნება ძალა და მნიშვნელობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას იღებს, იგებს დრაკონ-ეშმაკისაგან (Лопухин).

ადამიანები მხეც ანტიქრისტეს და დრაკონს ეთაყვანებიან არა როგორც ადამიანებს, არამედ როგორც ღმერთს. ქრისტე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ანტიქრისტე — მხეცის მოძღვრება, რომელიც უნდა იწამო და ეთაყვანო მას ვითარცა უნაკლოს, უდიადესს, რომელსაც ვერ შეედრება ვერავითარი რელიგია. ანტიქრისტე — მხეცისა და დრაკონის კრიტიკის ფიქრშიც გაელევება ისჯება უსასტიკესი სასჯელით.

ანტიქრისტე ყველაზე სასტიკია ამ ქვეყნად მოვლენილთაგან, რადგან იგი ღმერთს, ღვთიურს ემტერება–საოცარი შეუპოვრობით.

„და მე დავინახე ზღვიდან ამომავალი მხეცი, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა; და მის რქებზე ათი ჯიღა და თავებზე ღვთისმგმობელი სახელები.

მხეცი, რომელიც მე ვიხილე ჰგავდა ავაზას; მისი ფეხები, როგორც დათვისა.მისი პირი, როგორც ლომის პირი, როგორც ლომის ხახა. მისცა მას დრაკონმა თავისი ძალა, თავისი ტახტი და ძალაუფლება.“

(გამოცხ. იოანესი, 13, 1-2) ავაზა ნიშნავს ცბიერებას, დათვი — შეუპოვრობას, ლომი — პატივმოყვარეობას, ძალაუფლების დაუმცხრალ სიხარბეს.

ანტიქრისტე მოდის ზღვიდან. ეს სიმბოლო კარგად გაშიფრულია. ზღვა „... წმინდა წერილის ენაზე ძალიან ხშირად გამოიყენება ხალხების სიმრავლის აზრით. ამასთან ხალხისა, რომელიც არის მოუსვენარი, აჯანყებული და სასუფეველისადმი, ღვთისმოსაცი ხალხისადმი მტრულად განწყობილი“ (Лопухин 1-2).

როგორც ვხედავთ, უღმერთოდ აჯანყებულ ხალხს მრავალეროვანი ხალხის წიაღიდანვე ეგებება ანტიქრისტე — მხეცი. (როგორც მართლმადიდებლურ ეკლესიას სწამს, ანტიქრისტეს მოსვლა არის დროებითი და საბოლოო. მის შემდეგ უკვე უფალი განიკითხავს ყოველს. ანტიქრისტე — მხეცისა და დრაკონის დუეტი დამთავრდება. თუმცა მეორედ მოსვლის წინ აშკარაა კიდევ ერთი ანტიქრისტიანული კატეგორიის გამოჩენა; სახელდობრ, ცრუწინასწარმეტყველთა ან „მტყუვარნი — ქრისტენი"-ს გამოჩენა. ეს ანტიქრისტე — დრაკონის უშუალო მრეველი არ არის, მაგრამ თავისი ცრუღმერთობით ღვთისმკრეხელნი და წარწყმედილნი არიან, რომელთაც ასევე მიუზღავს უფალი."

ყველაზე რთული, რასაც აღიარებენ თეოლოგები, ესაა რიცხვთა ახსნა ბიბლიის მიხედვით. ერთ-ერთი თავსატეხია, თუ რატომაა მითითებული ანტიქრისტეს მძვინვარე მოღვაწეობის 42 თვე (სამნახევარი წელი). თანაც ეს უკავშირდება ანტიქრისტეს დაჭრას.

თუ რატომაა სამნახევარი წელი, ანუ 42 თვე, ანუ 1260 დღე საღვთო სიმბოლიკიდან, ეს გასაგებია, ახსნილია, მაგრამ ანტიქრისტეს როგორ უკავშირდება, ასახსნელია. სამნახევარი წელი გრძელდებოდა იერუსალიმის რბევა—აოხრება. სამნახევარ წელს გაიქცა დედაკაცი (ქრისტიანული ეკლესია) უდაბნოში. დაემალა ათეისტურ დევნას.

აქ დედაკაცი ახსნილი სიმბოლიკაა... ის ნიშნავს როგორც ითქვა, ქრისტიანულ ეკლესიას, რომელიც 1260 დღეს იმალებოდა უდაბნოში ანტიქრისტესაგან დევნილი. უდაბნოც ამ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობისაა. კარგად ამბობს ლოპუხინი: „ქრისტიანული ეკლესია როგორღაც კიდეც ცხოვრობს და არც ცხოვრობს მიწაზე". (12,6)

„დედაკაცი კი გაიქცა უდაბნოში, სადაც მისთვის მომზადებული იყო ადგილი ღმერთისაგან, რათა იქ ეკვებათ იგი ათას ორას სამოც დღეს" (გამოცხ. 12,6). ე.ი. სამნახევარი წელი, ანუ ორმოცდაორი თვე, ანუ 1260 დღე არის ის დრო, როცა, „დედაკაცი" (ქრისტიანული ეკლესია) გადამულულია ღმერთისაგან უდაბნოში. უდაბნო, როგორც ითქვა, საეკლესიო წიაღს უკავშირდება ხორციელი, მიწიერი, სიმდიდრისაგან განძარცული, სულიერობით აღსავსეობისათვის მოწოდებული სამლოცველო ალაგი (გავიხსენოთ, თუ როგორ დაუწუნა გრიგოლ ხანძთელმა დემეტრე მეფეს აფხაზეთის (დასაელეთი საქართველოს) წალკოტისებური ბუნება სამონასტრო მშენებლობისათვის).

ახლა დავუბრუნდეთ სამნახევარ წელს ანტიქრისტეს მძვინვარებისა. როგორც ცნობილი, დღე ღვთისა (День Господень), თეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია, ასევე დღე ანტიქრისტესი (День антихриста). ეს დღე ზუსტად ერთ დღეს არ ნიშნავს, მისი გამოვლენის ყველაზე მკაფიო ფაზას გულისხმობს. „ვაი, მიწასა და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით, რადგან

იცის რომ დრო მცირეღა დარჩა". (გამოცხ. 12, 12). ანტიქრისტეს „მოღვაწეობა" გაცილებით მეტ ხანს გრძელდებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად ანტიქრისტიანულ სახეს და სახელს აპოკალიფსური სიმბოლიკით ამ სამნახევარ წელს ხვდება კაცობრიობა.

მაშასადამე, სურათი ასეთია: ანტიქრისტე ამოდის ზღვიდან (აბობოქრებული ხალხების წიაღიდან): „და ვიხილე. ერთი მის თავთაგან თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული, მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა და განცვიფრდა მთელი დედამიწა და თაყვანი სცეს დრაკონს, რადგან ხელისუფლება მისცა მხეცს,თაყვანს სცემდნენ მხეცს და ამბობდნენ: ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან შებრძოლება?

და მიეცა მას პირი, რომელიც ლაპარაკობდა დიდს ღვთისგმობას. და მიეცა მას ძალაუფლება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ." (გამოცხ. XIII).

პირველი მხეცი — ანტიქრისტე მოდის რა მრავალხალხოვანი აბობოქრებული ზღვიდან, იწყებს თუ არა მოღვაწეობას, სასიკვდილოდ დაიჭრება. გვერდით ჰყავს პირი, სასწაული ძალისა, დრაკონი, რომელიც მას ძალას აძლევს. მის წინაშე დააჩოქებს ლამის მსოფლიოს. მოარული აზრები უნდა გაიფანტოს და ითქვას, რომ ეს სურათი არ გამოხატავს ლენინისა და სტალინის წყვილს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა არსებობს ხელჩასაჭიდი ნიშნებიც. ბოროტი ენები ამბობენ, რომ სამნახევარ წელს იმოღვაწევა დიდმა ლენინმა, (ანტიქრისტეობის „კლასიკური პერიოდი"). ახლა ვნახოთ,რას გულისხმობენ და მერე გავფანტოთ ეს მიუღებელი აზრი: მაგალითად ლენინი დაიჭრა 1918 წლის 30 აგვისტოს. 1922 წელს იგი, ფაქტიურად 2 თვეს მუშაობდა. დეტალიზაციას აქ აზრი არა აქვს. არც ბიბლია აწესებს ყოველთვის რიცხვთა სიმბოლიკის არითმეტიკულ სიზუსტეს (მაგ. ათასი ხშირად სიმრავლეს ნიშნავს და ა.შ.) ასე რომ მოცლილი ხალხის გარჯა, რომ ლენინი ფაქტიურად, სამნახევარ წელს ბობოქრობს, როგორც ბელადი ანტიქრისტეო, სწორი არ არის. არც სამნახევარი წელი ემთხვევა ზუსტად, არც ლენინის მკაცრი დამოკიდებულება უნდა გავიგოთ ეკლესიის მიმართ უკიდურესად, რადგან იგი სცნობდა ეკლესიის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას სინდისის თავისუფლების კოდექსის სახით. თუმცა გარდაქმნის ეპოქის პირუთვნელი ობიექტურობა მოითხოვს ითქვას სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე გადაგვარჩენს:

„ამიტომაც ვამბობ დაბეჯითებით, რომ ჩვენ სწორედ ახლა უნდა გადავიხადოთ ყველაზე გაბედული და დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმულ სამღვდელოებასთან და ჩავახშოთ მისი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რათა მათ ეღარ დაივიწყონ ეს რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. ამ გეგმის გატარების კომპანია კი ამგვარად წარმომესახება..." (ვ.ი. ლენინი, წერილი მოლოტოვს „ლიტერატურუ-

ლი საქართველოს" №10 იესო ქრისტეს მრავალი მონაცვლე სახელები აქვს: მესია, კრავი ღვთისა, ძე ღვთისა, და სხვა. ანტიქრისტე ტოვებს თავის სახელს და სარგებლობს ფსევდონიმებით. აქ შემთხვევით მინიშნებებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ლენინი და სტალინიც ფსევდონიმური სახელებია. ულიანოვი სარგებლობდა აგრეთვე ფსევდონიმებით: ვ. ილინი, კ.ტულინი, კარპოვი, და სხვა. ჯუღაშვილი, სოსელო, კობა და სხვა ბოლოს და ბოლოს რევოლუციამ ჩამოასხა ვითარცა ფოლადი — სტალინი, დრაკონი „ახდენს დიდ სასწაულებს. ცეცხლიც კი ჩამოაქვს დედამიწაზე ადამიანთა წინაშე" (გამოცხ. 13. 13) აქაც მეტისმეტი ხელოვნურობაა, როდესაც ფიქრობენ, რომ სტალინმა აღჭურვა ანტიქრისტიანული სახელმწიფო ატომითა და წყალბადით. მსგავსი ნიშნებიც სხვა მოიძებნება, მაგრამ, ამით ნაადრევი დასკვნების გაკეთება არ იქნების.

დრაკონი, როგორც ითქვა, „...აიძულებდა დედამიწას და მის მკვიდრთ თაყვანი ეცათ პირველი მხეცისთვის, რომელსაც განეკურნა სასიკვდილო ჭრილობა" (გამოცხ. 13. 12.)

. დრაკონის მიერ პირველი მხეცისათვის საკულტო მდგომარეობის შექმნით, თვით დრაკონი აცდუნებს დედამიწის მცხოვრებთ სასწაულებით, რომლებიც „მიეცა მას მხეცის წინაშე მოსახდენად, და ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება, რომელსაც აქვს ჭრილობა მახვილისაგან და გაცოცხლდა.

და მიეცა სული მხეცის ხატებისათვის მისაცემად, რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, რომ მოკლულიყო ყოველი,ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას". (გამოცხ. 13,14-15). ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ ანდრია არქიეპისკოპოსის კომენტარს: „ მოგვითხრობენ, რომ დემონები ხშირად ლაპარაკობდნენ ჯადოქრობის გამო, გამოსახულებისა და ქანდაკების მეშვეობით...შესაძლოა მკვდრის სხეულის მეშვეობით, როგორც სიმონ მოგვმა, დიდი პეტრეს თანდასწრებით, რომაელებს უჩვენა მკვდრის სხეული, ვითარცა ცოცხალი, თუმცა მოციქულმა ამხილა სიყალბე". Толкование на Апокалипсис Андрея архиепископа Кесарийского, М., 1989, XIII 14).

მკვდრის სხეულის ბალზამირებას ძველი ეგვიპტელები ახდენენ იმ რელიგიური წარმოდგენის გამო, რომ ცხედარი სულს, სიცოცხლეს ინახავდა, აუკვდაებდა. ასე რომ, ესეც გარკვეული რელიგიურობის (ოღონდ არაქრისტიანულის) გამოხატულებაა.

ანტიქრისტეს სურათებით, ქანდაკებებით მოფენილია ქვეყანა. დრაკონი აიძულებს ყველას თაყვანი სცეს მათ უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე რელიგია — თავის საკულტო საგანს. წინააღმდეგ შემთხვევაში უსასტიკესია ანტიქრისტეს სამყარო.

როდესაც ანტიქრისტესა და დრაკონის წყვილის შესახებ ვლაპარაკობთ, იგი საგმობია მორწმუნეთათვის. ათეისტს, ცხადია, იგი

არცა ეწყინოს და არც უნდა ეტკინოს. ეს არ ეხება ძლიერებას, ძალთა მპყრობელის გონების სიდიადეს.

საერთოდ საყოველთაო ადამიანური სისუსტე და ცდუნებაა, როცა დიდი სტალინი მცირე ყალიბით გვინდა წარმოვიდგინოთ. უველა მაგინებელი სტატია, წიგნი თუ პამფლეტი, რაც უხვად მოედინება ჩვენს პრესაში, მაძაგებელნი მას ხატავენ ზებუნებრივ ძალად. დიდი ფსიქოანალიზი არ სჭირდება იმას, რომ ეს დავიჯეროთ. გამოდის, რომ 70 წელი ვებრძოდით ამ დრაკონს სამასი მილიონი კეთილი ხალხი. „ დაგვეხმარა" ფაშისტური გერმანიაც მის დასამარცხებლად და არ იქნა. ჯერაც მისი ხარხარი გვესმის, ასე სასტიკად რომ დაგვცინის. ბოროტებასაც თავისი განზომილება აქვს. ისტორიულ პირთა შეფასებისას უნდა გავუძლოთ ცდუნებას. დიდი კაცის პატარა კაცად დანახვა პატარა ადამიანის თვისებაა. უველაზე კარგი იუმორით თქვა ეს აზრი ჰეგელმა: სკოლის რომელი მასწავლებელი არ ასაბუთებდა, რომ ალექსანდრე მაკედონელი და იულიუს კეისარი ვნებებს იყვნენ აყოლილი და ამიტომ უზნეო ადამიანები იყვნენ? აქედან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ იგი, სკოლის მასწავლებელი, მათზე უკეთესია, რადგან მას არა აქვს ასეთი ვნებები და ამას იმით ამტკიცებს,რომ არ იპყრობს აზრი". (Гегель Философия истории. М. 1935, გვ. 31)

და თუ მორწმუნენი ირწმუნებენ ანტიქრისტეს მეწყვილე დრაკონი მაინცა და მაინც ქართველი იყოო, არც ეს უნდა იყოს ცუდის ნიშანი, რამეთუ მეორედ მოსვლის ჟამს, უფალი ქრისტე აქ უნდა მოვლინდეს ანტიქრისტეს განსაკითხავად. მით უმეტეს მთელმა საქრისტიანო ლიტერატურამ იცის (ქართულს არ ვგულისხმობ), ივერია ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა.

28 ნოემბერი, 1989 წ.

ჩერნობილი აპოკალიფსში
(შემთხვევითობა თუ აუცილებლობა?)

გამაღიზიანებელია სენსაციურობისაკენ მისწრაფება. ბევრს, ალბათ, ეს სათაურიც გააღიზიანებს. მე მათი მესმის და წინასწარ ბოდიშსაც მოვიხდი, თუ მეტს დავპირდი და ნაკლებით წარვდექი მკითხველის წინაშე.

ჩვენი ეპოქის სირთულეს უახლოესი ეპოქებიც ვერ შეედრება.

სხვანაირია თანამედროვე ადამიანის ორიენტაცია სამყაროში. შეუძლებელია არ გვაინტერესებდეს, ან გვჭირდებოდეს, გაეხედოთ იმ უცნაურ გზას, საითკენაც მიდის ქვეყანა. ასე ერთ ბედ ქვეშ მყოფი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას არ ახსოვს. ვუყუროთ საქართველოს მომავალს, მის ოცდამეერთე საუკუნეს ძველი პოგრიტით

— ასე შორს ვერ წავალთ. დღის წესრიგშია საერთო საკაცობრიო ყოფნა-არყოფნის საკითხი.

რას გვაძლევს ჩვენი ყურადღების ასე შორს გადასროლა? — იქნებ ასეთი კითხვაც გაჩნდეს, ვერ გეტყვით, რას მოგვცემს, მაგრამ ამ გლობალური მსოფლიო წრედის გაუთვალისწინებლად მეტისმეტად გულუბრყვილო გეგმები შეიძლება გამოგვივიდეს. ჩვენ კი გვინდა ამ ამღვრეულ მსოფლიოში ნათლად ვხედავდეთ ჩვენს გზას. ეს კი ფართო თვალსწიერის გარეშე, მსოფლიოსთან რეალისტური ურთიერთობის გარეშე, არ გამოგვივა — არც თეორიული აზროვნება და მით უმეტეს — პრაქტიკა.

ყოველი თეორიული გარჯა ფილოსოფიისა და რელიგიის პოზიციიდან უნდა დაეხმაროს ადამიანს ყველა შემთხვევაში, თუ საამისო ძალა არ შეეგწევს, სურვილი მაინც უნდა გექონდეს.

ბიბლიურ სიბრძნეს ქება არ ესაჭიროება. მისი გამორჩეულობა და განსხვავება ადამიანური სიბრძნისაგან ის გახლავთ, რომ მასში თუმცა არა ადვილმისაწვდომად, მაგრამ გაცხადებულია ღვთის ნება არა ოდენ იმის შესახებ რა მოხდა, არამედ რა უნდა მოხდეს.

ჩვენ, ცხადია, არავითარი პრეტენზია არა გვაქვს აპოკალიფსური შიფრის გახსნისა, იდუმალთმხილველთა საიდუმლობებში ჩახედვისა. მაგრამ არ გვიწყენს უფალი ვეცადოთ, გავიაზროთ ზოგიერთი ისეთი საკითხი, რაც ჩვენთვის მოკვდავთათვის, იქადაგა მაცხოვარმა. ერთი ასეთი შიფრი ჩერნობილის ტრაგედიამ წაგვაკითხა.

„მესამე ანგელოზმა დაუკრა ბუკი და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით იწვოდა, და ჩავარდა მდინარეების მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე. ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა; და წყლების მესამედი ნაწილი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისაგან, ვინაიდან მწარე გახდნენ ისინი" (გამოცხ. 8, 10–11).

აბზინდა, როგორც ძალიან კარგადაა ცნობილი, არის იგივე მცენარე ჩერნობილი. ეს არის არტემიზიის ერთ-ერთი სახეობა — აბზინდა ან ჩერნობილი ან (ჩერნობილნიკ) — მცენარე. ეჭვი რომ არ შეგეპაროს, წყაროებს მივმართოთ: Artemisia, ae f бот., _ артемизия, общее наименование разновидностей полыни и чернобыльника" (იხ. Латинско-русский словарь, М., 1986 г.)

(ვლადიმერ დალი: „Полынь... _ горький, **чернобиль**... нничк"] (Тольковый словарь).

ეს უველგანაა ასე განმარტებული და არავითარ ეჭვს არ იწვევს რომ „პოლინი" (აბზინდა) არის იგივე „ჩერნობილი," ან „ჩერნობილნიკი". ისიც ვიცით, რომ მთელი ბიბლიიდან არც ერთი წიგნი ისე რთული არაა წასაკითხად, გასაგებად, როგორც იოანეს გამოცხადება (აპოკალიფსი). კაცმა რომ თქვას, ეს წიგნი უშუალოდ არც იკითხება; მისთვის გარკვეული შიფრის ცოდნაა საჭირო. ესაა სიმბოლოე-

ბით გადმოცემული მეორედ მოსელის სურათი — როგორადაც გამოეცხადა იოანე ღვთისმეტყველს კუნძულ პატმოსზე მაცხოვარი და აუწყა მეტად მწარე სურათი და სასუფევლის დამკვიდრება.

დავუბრუნდეთ კონკრეტულ სიმბოლოს. მაშასადამე ვარსკვლავი, რომელსაც ჰქვია აბზინდა, ანუ ჩერნობილი, ჩამოვარდება ციდან, როგორც ცეცხლი და საწამლავი, სწამლავს წყლებს — მდინარეებსა და ზღვებს. ამოწყდება მიწის მცხოვრებთა მესამედი. თეოლოგიაში კარგად ცნობილია, რომ ბიბლიური ციფრები პირდაპირი სიზუსტით არ უნდა გავიგოთ. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს დიდ სიმრავლეს. ბიბლიაში (არამარტო ახალ აღთქმასა, აპოკალიფსში), არამედ ძველ აღთქმაშიც საკმაოდ კარგად ჩანს ატომური, წყალბადისა თუ ნეიტრონის ბომბის მოქმედება. ერთადერთი ესაა, რომ ისინი არაა დასახელებული. როგორც ანტიქრისტეს სახელს განგებ არ ასახელებს წმიდა წერილი, ალბათ, ასევე ერიდება ამ გამაუბედურებლის - ციდან წამოსული ცეცხლის სახელის სახელდებას ძველი აღთქმიდან: „ვითარ განვარდა ცისგან მთიები განთიად აღმომავალი? შეიმუსრა ქვეყანასა ზედა განმავლენელი ყოველთა წარმართთა" (ესაია, 14, 12). რა თქმა უნდა,ეს ვარსკვლავი რომ ვარსკვლავს არ უნდა ნიშნავდეს, დღეს ყველა მიხვდება, თუმცა იდუმალმხილველისათვის ის ნამდვილად ვარსკვლავის მრისხანედ ჩამოვარდნას აღნიშნავდაო.

ვრცლად მოეიტან ცნობილი კომენტატორის ა.ლოპუხინის აზრს: „...ციდან ეცემა, ჩამოვარდება ვარსკვლავი (აბზინდად წოდებული) პირდაპირ დედამიწაზე და ეს დაცემა არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. თვით იდუმალმხილველისათვის ვარდნილი ვარსკვლავი ნამდვილი ვარსკვლავი იყო, და ის განასხვავებს მას სხვა ვარსკვლავთაგან, რომ იყო დიდი, მაგრამ მიუერთა რა მას აბზინდის წოდება, იოანე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ის ვარსკვლავი ამასთან ერთად იყო სასწაულებრივი და თავის არსებაში შეიცავდა რაღაც უფრო მეტს, ვიდრე სხვა ვარსკვლავები. ამიტომაც იგი გამოხატულია ვითარცა... ანთებული ჩირაღდანი და მწველი - ღვთის ნების ქმედებით. ვარსკვლავის ვარდნის შედეგი წინასწარ მინიშნებულია მის სახელწოდებაში — აბზინდა, მწარე ბალახი. შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ წყალი მოიწამლა მისი სიმწარით არა ოდენ დედამიწის რომელიღაც მონაკვეთზე, არამედ მთელ დედამიწაზე, ასე რომ, ადამიანები მთელი ქვეყნისა, მოიხმარენ რამდენადმე მოწამლულ (არაწმინდა) წყალს. წყლის ეს სიმწარე (მოწამლულობა — ვ.გ.), რასაც უნდა მივუმატოთ წინარე სასჯელიც ღვთისა, გამოიწვევს ადამიანთა დიდ სიკვდილიანობას. უეჭველია, რომ ყოველივე ეს ძნელად წარმოსადგენია ჩვენთვის, დღევანდელობისთვის, სინამდვილეში ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში არაფერს მსგავსს არ

ეხედავთ. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ უარი ვთქვათ ამ სასჯელის სწორი გააზრებისაგან. „ესაა მომავალი დროის მოვლენა". (Лопухин, კომენტ. გამოცხ. 8, 10-12).

მოტანილი კომენტარი საუკუნის დასაწყისშია დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, ეს წიგნი დასტამბულია 1911-1913 წლებში. ოთხმოცი წლის წინათ ბევრი რამის წარმოდგენა შეიძლებოდა, მაგრამ ესაა დროის ის მონაკვეთი, რომელიც თავისი საკვირველებით საუკუნეებს აღემატება. ამიტომაც ფიქრობს ავტორი, რომ რაღაც ისეთი აფეთქდება, რომელიც დიდ მსხვერპლს მოიტანს, რომელიც მოწამლავს მდინარეებსა და ზღვებს, რომელიც მომავალ დროების მემკვიდრეობა იქნება. დღეს ამ სტრიქონებთან ასე ახლოს მივიდა ეპოქა (მისი წარმოდგენა მხოლოდ წინასწარმეტყველს შეეძლო). ჩერნობილის ავარიის შედეგის თითქმის სრული სურათი გვაქვს.

როგორც ითქვა, ჩვენი მიზანი არაა მკითხველის შეშინება, მაგრამ ვიდრე სანუგეშო საყრდენებთან მივიდოდეთ, გავიხსენოთ აპოკალიფსიდან ზოგიერთი სხვა სურათიც: „მეორე ანგელოზმა დაუკრა ბუკი და, თითქოს ცეცხლმოდებული დიდი მთა გადმოგდებულ იქნა ზღვაში, და ზღვის მესამედი სისხლად იქცა. და ამოწყდა ზღვაში სიცოცხლის მქონე ქმნილებათა მესამედი, და ხომალდების მესამედი დაიღუპა" (გამოცხ. 8, 8-9).

ვერ გეტყვით აპოკალიფსის დასაწყისში ვართ თუ შუაგულში, მაგრამ მძიმე სინამდვილე იშლება ჩვენს თვალწინ. ვითარდება საზღვაო ტექნიკა, ამდენი გემი კი აფრებიანი ხომალდების დროს არ იღუპებოდა. შავი ზღვა თუ ასე დაგვისნეულდებოდა, ვერც ამას წარმოვიდგენდით. ესაა საკაცობრიო ტრაგედია. მადლობა ღმერთს, ადამიანს შეგუების იშვიათი უნარი და სირაქლემას კომპლექსი რომ აქვს. ამაზე ხშირი ფიქრი იქნებ საჭიროც არ იყოს. საერთოდ კი თეოლოგებმა, ფილოსოფოსებმა ჩვენში დროა აუწყონ ადამიანებს ყველაზე მწარე ჭეშმარიტებანი, ოღონდ არა პანიკური სენსაციისათვის,არამედ გზის პოვნის ქრისტიანული წყურვილით.

წინასწარმეტყველების სურვილი ყოველთვის წვაჰდა ადამიანს. გონება არის ადამიანის მძიმე ღირსება - მოუსვენარი, აკრძალულს რომ ეტანება. ოღონდ კი გაიგოს, რა ხდება „იქ", და თავს ფათერაკშიც ჩაიგდებს. ერთი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი შეეედრა მზეს; ჩამახედე შენს გულში, გავიგო რა ხდება და მერე თუნდ ჩამწვი შენს ცეცხლშიო. წინასწარმეტყველების ცდუნება დიდია, მაგრამ თუ ეს მადლი უფალს არ მოუცია, არ უნდა ეცადო მის მისაკუთრებას. ეს უარესია, ვიდრე თვალთმაქცობა. ეს ისეთი უპატიოსნებაა, რომელიც პირდაპირ ღმერთის თვალწინ ხდება და ისჯება ნიღბის ისეთი მწარე აგლეჯით, შეიძლება ცხვირ-პირიც თან გააყოლო.

სახარების მიხედვით, თვით უფლისმიერი წინასწარმეტყველი,

ადამიანი წინასწარმეტყველებს მხოლოდ ნაწილობრივ. აბსოლუტური წინასწარმეტყველება არ ძალუძს ხორციელს.

არაფერია უფრო საინტერესო,ვიდრე გაგება უფლის ნებისა. ნუთუ ღმერთს წინასწარ აქვს შედგენილი ის სცენარი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მისივე რეჟისურა? თუ წინასწარი ნიშნები არსებობს მოსახდენი მოვლენებისა, მაშინ ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. მწარე იქნება აღსასრულის ჟამი ცოცხლად დარჩენილთათვის, რისი წინასწარი დინება, ანუ წინარე დასაწყისი ახლაც ჩანს, რასაც შთაგვაგონებს უფალი ღმერთი: ამიტომ აუცილებელია,თუ არ გვინდა განგვიკითხონ, თვითონ განვიკითხოთ, საკუთარი თავი ღვთაებრივი მოციქულის მიხედვით.„ ამიტომ, ჰამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი აკეთეთ ღმერთის სადიდებლად" (1 კორინთ. 11,31) Толкование на Апокалипсис Андрея архиепископа Кесарийского. М., 1988 ს. კომენტ. გამოცხ. 8. 10-11)

ღვთის სასჯელი ორგვარია: ერთი რისხვა, განადგურება იმისა, რაც არსებობის ღირსი არაა, ვერ დაიმკვიდრებს სასუფეველს. ესაა ჯოჯოხეთი. მეორეა სასჯელი, როცა ღმერთი ამბობს: „ვინც მიყვარს, მას ვსჯი" — ესაა გალახვა ადამიანისა, ხალხისა, რომელიც ღირსია აცდენილი გზიდან ჰეშმარიტს დაუბრუნდეს. ბევრი რისხვა დაატყდა ქართველ ხალხს. მისი ახსნა შეიძლება სოციოლოგიურად, ფსიქოლოგიურად, ეკონომიურად და ა.შ. სხვაგვარია მისი წაკითხვა მორწმუნის თვალით. ეს ნიშნავს წარმოუდგეს მორწმუნეს სულიერი მინიშნებანი, დაინახოს მასში უფლის ნება. ასეთნაირი წაკითხვის ფაქტია ის, რომ 1986-87 წლის სვანეთის მთების ზვავებმა თან ჩაიტანეს მრავალი სახლი და ადამიანი. იმასაც იტყვიან ხოლმე — ღმერთი წმინდა მსხვერპლსაც ითხოვსო. ამასთან ერთმა ფაქტმაც მიიქცია ყურადღება. რწმენით ნაგები, ქართული კოშკები და ეკლესიები დარჩნენ ღვთის კალთაგადაფარებულები. სვანეთ-აჭარის წმინდა მსხვერპლი — უგონო სტიქიის მსხვერპლი მორწმუნის თვალსაზრისით — საქართველოს გადასარჩენად ისურვა ღმერთმა. ვერავითარი დადგენილებებით, საზოგადოებრივი აზრით ვერ ხერხდებოდა ის, თაეის მშობლიურ ქართულ მიწაზე მხარი გაეშალათ პირზედოფლგადამდინარე სვანებსა და აჭარლებს. ისინი ბურჯად მკვიდრდებიან მთასა და ბარშიც, ბარში, რომელიც ფეხქვეშ გვეცლებოდა. ამიტომაც ყოველ ჟამს ქართველი ხალხი წმინდა სანთელს უნთებს ამ სტიქიით დაღუპულთ, მამულის სასიკეთო გზამ, მისმა ბედისწერამ რომ მოითხოვა.

რამდენადმე განსხვავდება რელიგიური გმირისა და ეროვნული გმირის ცნება. 9 აპრილის წმინდა მსხვერპლი ისეთი უცნაური ფაქტია, ლეგენდებში რომ წაგვიკითხავს.დრო მას სხვაგვარად, სწორედ რელიგიური ლეგენდის შუქზე დაგვანახებს.

ახლა დავუბრუნდეთ უმთავრესს. რატომ უნდა მოვიდეს, როგორ უნდა მოვიდეს მაცხოვარი მეორედ? როგორია თანამედროვე კაცობრიობა, მისი სული და აზრი არსებობისა? როგორები გახდნენ ადამიანები, ატარეს თუ არა ღვთის განაწესი, აღთქმა უფლისა? მაცხოვარი განკითხვისათვის სასტიკი რისხვით უმიზეზოდ არ მოვა. ე. ი. თანამედროვე ადამიანებმა ერთმანეთის ცქერით, ერთმანეთის შემყურე მორალით დაივიწყეს ღმერთი? რამდენი კაცი იქნება ქალაქში ჰეშმარიტი მორწმუნე, რომ უფალმა ქალაქი არ დაანგრიოს? უმრავლესობა თუ უმცირესობა? (გვაშორეთ სოდომისა და გომორის ცოდვა და რისხვა) თუ ერთი კაცია ქალაქში წმინდა, მას წაიყვანს, განარიდებს უფალი, ქალაქი კი მოისრება. ნოეს კიდობანი და ყველა პერიოდი ბიბლიური კაცობრიობის განახლებისა, განკითხვის ჟამს მეტად მძიმე სურათს გვიხატავს. ღმერთი – განმსჯელი მოდის მაშინ, როცა ბოროტება სრულად აღემატება სიკეთეს, როცა მორალი იზომება იმით, ვინ შედარებით ნაკლებ ბოროტებას სჩადის. ის იშვიათი პიროვნება, ვინც ღვთაებრივი პირდაპირობით შეხედავს დაცემულ ზნეობას, უნდა ავიდეს გოლგოთის მთაზე.

რამდენს ვცრუობთ და ზრდილობა გვგონია. რამდენს ვცოდავთ და ცხოვრების ნორმა გვგონია... მაშინ მოდის რისხვა უფლისა მიწისძვრითა თუ ზეციდან გამოგზავნილი ზღვასა და მიწაზე მთებივით ავარდნილი ცეცხლით.

განკითხვა ღვთის სამართალია, მაგრამ მისი სასწორი მეტისმეტად მკაცრია; ჩვენს ცოდვებს სხვა საზომით ზომავს, ვიდრე ჩვენ შეგვიჩვევია თვალი. ზოგჯერ იტყვიან ისტორია მეორდებაო, მაგრამ ლაპარაკია წიგნისეულ, წმინდა წერილისეულ ჰეშმარიტებასთან ცხოვრების მიახლოებაზე. წიგნი ხდება არა ოდენ მეხსიერების ფენომენი, არამედ წმინდა წერილის აზრი სასიცოცხლოდ ამოქმედდება სულში.

ის, რაც უნდა მოხდეს, ნუთუ ვინმემ ადრიდან იცოდა? ვის შეიძლება ეს სცოდნოდა? ეს შეიძლება სცოდნოდა მხოლოდ შემოქმედს, რომელმაც შექმნა სამყარო. ხოლო ღმერთის აზრს ნაწილობრივ მისწვდებიან მოციქულნი, წინასწარმეტყველნი. თვით იესო, თავისი მიწიერი არსებობის 33 წლის მანძილზე,თავის თავს ღმერთს არ უწოდებდა, იგი გახლდათ ძე ღვთისა. ჯვარცმის მერე მან დატოვა მიწა და აღვლინდა ზეცად და იქცა მამის სწორ ღმერთად. ღმერთი დაბრუნდა თავისთავში თავისი მესიანისტური მოღვაწეობიდან. მიწიერი, კაცური არსებობის პერიოდში მისი სჯეროდა თორმეტ მოწაფეს, აქედან ერთმა, იუდამ, გასცა იგი – ასე სწამს ღვთისმეტყველებას. მის შემდეგ კი, ჯვარცმის შემდეგ, სასუფეველში დაბრუნებული და სრული ღვთიური ძალმოსილებით ქრისტეს უკვე კაცობრიობა მიჰყვება. ე.ი. მიწიერი არსებობა აბნელებს, ასუსტებს ღვთაებრივის დანახვის შესაძლებლობას. ეს ხშირად კარგად ვლინ-

დება ხელოვანი გენიოსების მაგალითითაც. სიკვდილი ხელს უწყობს ჰეშმარიტი ღვთიური არსის მატარებელი პიროვნების ამაღლებას.

როდესაც მეორედ მოსვლის წინაპერიოდის შესახებ ვლაპარაკობთ, ასე ხშირად და დაუმცხრალად რომ ეძიებდა მას საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ამას უბრალო ახსნა არა აქვს. ესაა მთელი კაცობრიული არსებობის აზრის ახსნის საკითხი, ესაა არსებობის წესის გადასინჯვის საკითხი. როგორი კაცობრიობის შვილები ვართ ჩვენ, თუ ადამიანი დაშორდა პირველქმნილი ადამიანის აღთქმას, ღვთაებრივ არსს, იგი ვეღარ ასრულებს ჰეშმარიტ ადამიანურ მისიას. თუ ადამიანი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის არსებობითაა შეპყრობილი და საზოგადოებრივ პათოსს, სხვებზე ზრუნვის თამაშს თამაშობს, იგი ფლიდია. და თუ ფლიდობამ, ეგოიზმმა, შურმა დაისადგურა კაცობრიობაში, ყალბი და გადაგვარებული კაცობრიობა აღარაა უფლისა.საქმეს არ შეელის ერთი-ორი პირჯერის გადაწერა. ლაპარაკია ღმერთის ადამიანის სულში დამკვიდრებაზე. ის, ვინც და რაც არსებობის ღირსი არ არის, სჯობს არ არსებობდეს — ასე სჯის მორწმუნე. მორწმუნეობას მეტ-ნაკლები სიღრმე აქვს. მორწმუნე უკეთ ხედავს თავის არსებაში ცოდვებს, ვიდრე ის ცოდვილი, ვინც უბრალოდ ვერაფერს ხედავს.როგორც ქათქათა ქსოვილზე მცირედი ლაქაც მკვეთრია, ასეა წმინდა კაცის სულიც. რატომ სჭირდება „სახარებას" გვაუწყოს მაცხოვრის მიერ წარმოთქმული ესქატალოგიური სიტყვა (აღსასარულის შესახებ). მაცხოვარი არიგებს მოწაფეებს, ჰეშმარიტ მორწმუნეებს, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი მრისხანე განკითხვის ჟამს, როგორ უნდა გადარჩნენ. აზრი ასეთია: განმტკიცდნენ ღმერთში. განისპეტაკონ სული, ე.ი. საღმრთო ზნეობას უნდა დაუბრუნდეს ის, კერძოულ ზნეობაში ჩაკარგული ადამიანი. ვითარცა იტყვის მაცხოვარი: „და პირველად სახარება უნდა ექადაგოს ყველა ერს". (მარკ. 13, 10). ერთობ მკაცრია, უსასტიკესია მაცხოვრის მიერ წარმოდგენილი განკითხვის ჟამი. მაგრამ ჰეშმარიტი მორწმუნეთათვის არსებობს აპოკალიფსური სიხარულის განცდაც. ეს ნიშნავს, რომ იგი, მორწმუნე, თვით მიიღებს სასტიკ გვემას, ტანჯვას, წამებას, ოღონდაც კი სულზე ლოდი აეხადოს, ცოდვები შეუმსუბუქდეს. ამიტომ ერთის შეხედვით უცნაურია ვედრება „დამსაჯე, უფალო, ცოდვილი". ჯოჯოხეთურია სულით გაღატაკებული კერპთაყვანისმცემლის ტანჯვა, რაც უკვე მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვაა. ქრისტიანული ტანჯვა მოწამისა — ეს არის ნეტარება.-„ნეტარება ტანჯვაშია" — ამ ქრისტეს მიერ ცნებაში გაცხადებულია უღრმესი ჰეშმარიტება. მაცხოვარი გვაუწყებს: „როდესაც მოისმენთ ომების შესახებ და ომების ამბებს, ნუ შეძრწუნდებით, ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული.

ვიდრე ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, იქნება მიწისძვრანი ადგილ-ადგილ და შიმშილობანი.

ეს მშობიაობის ტკივილთა დასაწყისია.

ძმა ძმას გადასცემს სასიკვდილოდ და მამა — შვილს, აღდგებიან შვილები მშობლების წინააღმდეგ და დახოცავენ მათ.

მოძულებულნი იქნებით ყველას მიერ ჩემის სახელის გამო. ხოლო ვინც ბოლომდის მოითმენს,ის გადარჩება" (მარკ. XIII, 7, 8, 12, 13).

როგორც ითქვა წინასწარმეტყველების პრეტენზიაზე თვალი წაგცდეს ეს მკრეხელობაა. ჩვენ არც წინასწარმეტყველთა საქმეში ვერევით. ეს დიდ ღვთაებრივ საიდუმლოებასთანაა დაკავშირებული და ჩვენს შესაძლებლობებს ყოველად აღემატება. მაგრამ დაფიქრება და განსჯა ამ საკითხზე ყველას გვმართებს. გოეთეს „ფაუსტიდან":

„მუდამ წინასწარ ეშსადეგი სახლში
და პარაგრაფიც კარგად ისწავლეი,
რათა დარწმუნდეი, რომ პროფესორი
მხოლოდ მას ამბობს, რაც წიგნში არის."

8 დეკემბერი, 1989 წელი.

იესო და ქართველი

ასეთ საკითხზე მსჯელობისას კაცმა ღმერთს შეწყალება უნდა სთხოვოს და მკითხველს შემწყნარებლობა. განსაკუთრებით მაშინ, თუ საზოგადოების რაღაც ყურადღების მისაპყრობს პპირდები. ხორციელი პატიჟი საღმრთო საქმესთან შეუთავსებელია. ქადაგების უფლება ღვთისმსახურთ აქვთ, რამეთუ ისინი ქადაგებენ არა თავისი სახელით, არამედ ღმერთის სახელით. ერისკაცის ცოდვილი ეთიკა ცდუნებას უმეტესწილად ვერ უძლებს. როცა რაიმეს სწუნობს, ამით უნებლიეთ გვეუბნება, რომ ისეთი უნდა იყოთ, როგორიც მე ვარ.როცა რაიმე თვისებას იწონებს, მკითხველს აფიქრებინებს აი, მე ვარ ასეთიო.

წინამდებარე სტატიის ავტორსაც აწუხებს ეჭვი თავის თავისადმი — ხომ არ ავუევით ცდუნებას მკითხველის გაკვირვებისათვის. კიდევ ერთხელ და ყოველთვის ვითხოვ პატიებას, თუ ასეთი გრძნობა დაეუფლება ვინმეს.

ამ სტატიის სათაურში მეორე სიტყვად, ალბათ, ველოდებით იმ სიტყვას, რასაც უნდა მოველოდეთ იესოს შემდეგ, ე.ი. ქრისტეს.როგორც ყველას კარგად მოეხსენება, იესო არის მაცხოვრის მიწიერი სახელი, იმ ამქვეყნიური არსებობის აღმნიშვნელი, რაც 33 წელს გაგრძელდა. ჩვენ მართლმადიდებლებს, რომლებიც ვაღიარებთ იესო ქრისტეს ორბუნებოვნებას — კაც-ღმერთობას (დიოფიზიტობას), ბუნებრივია, ძლიერ გვაინტერესებს მაცხოვრის მიწიერი არსებობის

ისტორიაც. ეს საკითხი პირველი საუკუნებიდანვე დღემდე და ძარადის იქნება ინტერესის საგანი.

მომეტებულ ადგილს დავუთმობთ ერთი ინგლისელი თეოლოგის თვალსაზრისს, რომლის კონცეფციას ვერ კი გავიზიარებთ, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო აშკარადაა. ჩამბერლენი ამტკიცებს, რომ იესო ქრისტე სისხლით, ხორცით, ტომობრიეი წარმოშობით არ იყო ებარელი. იგი მხოლოდ სარწმუნოებრივად იყო ებრაელი (იუდეველი). იგი იყო გალილეველი და როგორც კარგადააო ცნობილი, გალილეველნი, სადღაც ახლო აღმოსაელეთიდან გადმოსახლებული ტომი, გახლდათ მეომარი და მომლხინარი ხალხი. ქვემოთ ვრცლად მოვიტანთ მის ციტატებს. ცხადია, ქარველ მკითხველს ვერ მივცემთ იმის ილუზიას, რომ იოცნებოს, იესო ქრისტე და მისი წინაპარი საქართველოდან ხომ არ იყოო. მაგრამ ყოველ ქრისტიან ხალხს აქვს სურვილის უფლება, იესო ქრისტეს ღმერთკაცურ ბენებასთან თავისი ეროვნული ნიშნების სიახლოვე ეძებოს.

ქრისტიანული იკონოგრაფია ვალდებულია არ აპყვეს ცდუნებას და მაცხოვრის ხატი თავისი ეროვნული წარმოსახვის ნიშნებით არ დატვირთოს. ხატი არის დოკუმენტური სურათი ღვთისა და არა ხელოვანის ფანტაზიის მიერ შექმნილი სახე. ეს არის სახე, რომელიც თავისთავად ქმნილია და გამოეცხადა თავის მრევლს. მიუხედავად ამისა, დიდი იკონოგრაფიული კულტურის ხალხები თავიანთ ეროვნულ წარმოდგენებს მაინც ვერ აღწევენ თავს და, ალბათ, არც მაცხოვარი გაგვიწყრება ამის გამო. ეს სიყვარულისა და უფალთან მიახლოების შესაწყნარებელი გადახვევაა. რა თქმა უნდა, მკრეხელობაა მეტისმეტი სითამამე და ფანტაზიის აყოლა. ჩვენის ღრმა რწმენით ქართველი კაცი ძალიან ჰგავს იესო ნაზარეველს და მოგვიტევოს უფალმა ეს კეთილი სურვილი. ღრმად მწამს და საკმაოდ ანთროპოლოგიური ნიშნებიც მოიპოვება ამ სიახლოვისათვის. ვიმეორებ, ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, ქრისტე იყო ქართველიო, არამედ იმას, რომ ქართველი ჰგავს ქრისტეს. დასახელებული წიგნიდან გალილეველთა ეთნოფსიქიკური მახასიათებელი ამის საფუძველს გვიქმნის. ავტორი, გარკვეული მიზეზებისა გამო, ტენდენციურია, როცა გალილეველთა (სარწმუნოებით ებრაელთა) ხასიათს უპირისპირებს იუდეველებს (სარწმუნოებით და რასობრივად ნამდვილ ებრაელებს). იესო ქრისტე თავისი ხალხის შვილია, მაგრამ არა მხოლოდ თავისი ხალხისათვის მოვლინებული. მისი მოძღვრების საოავეა ის წმიდა წერილი (ძველი აღთქმა) ებრაელ წინასწარმეტყველთაგან ქმნილი, რომელსაც ის ხშირად იმოწმებს. სხვა წიგნს იგი არც ასახელებს.

იესო ნაზარეველის ქართულ ხასიათთან სიახლოვის ძიების წყურვილი იქნებ იმანაც გამოიწვია ქართველ ებრაელებსა და ქართველებს შორის რომ საოცარი სიახლოვე გაცხადდა მეოცე საუ-

კუნის მიწურულში. ქარველ ებრაელებსა და ქართველებს ყოველთვის უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ იგი განსაკუთრებით ცხადი ახლა გახდა. ხალხების დაძვრა თაეიანთი მშობლიური მიწისკენ, რაც აგრეთვე ნაწინასწარმეტყველებია ბიბლიაში, ებრაელთა დაბრუნება აღთქმულ მიწაზე მორწმუნეთათვის რელიგიურად იკითხება — ვით თარცა ნება უფლისა. ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის ურთიერთობა, ხალხთა მეგობრობის არანაირ მოდელს არ ემყარება. იგი განუმეორებელია და არაემპირიულად გასააზრებელი. მასში რაღაც ბიბლიური საიდუმლოება სუფევს.

იესო, როგორც ითქვა, ჩვეულებრივი ადამიანური სახელია, ფრიად გავრცელებულია იუდეაში. წარმოშობით ეს სახელი მოდის ძველებრაულიდან (იეშუა, იეშეგუა). ისიც შინაარსობრივად ნიშნავს ღმერთს, ღვთაებრივს. ქრისტე ნიშნავს მხსნელს, მესიას, ღმერთს. ეს სიტყვა კი არსებობდა ებრაულში, მაგრამ არავისი სახელი არ გახლდათ. იგი მაცხოვარს ეწოდა როგრც ღმერთს. იესოს დროისათვის ასეთი სურათი გვაქვს. სამხრეთ პალესტინაში შედის იუდეა, როგორც რომის პროტექტორატი. ჩრდილოეთ პალესტინას ეკუთვნის გალილეას ისტორიული ოლქიც. ყველანი რომის იმპერიის ქვემდებარეა. გალილეველებიც სარწმუნოებრივად იუდეველები არიან. რომის იმპერიის ქვეშ იჩაგრება რიცხობრვად პატარა ხალხი, ებრაელი ხალხი, რომელმაც ღმერთი დაჰბადა. დამპყრობელს მაგარი მხედართმთავრები და გენერლები ჰყავთ, მაგრამ მესია, მხსნელი მას არ მოევლინება. ეს არის საღმრთო თანასწორობის უზენაესი კანონი, რომელიც აპოკალიფსის ჟამს, ასეა ფორმულირებული:„წინანი უკან, უკანანი წინ!“ ასე რომ, ნუ ვიჩქარებთ, საყვედურს — ღმერთო, ზოგს რომ ასე დიდმპყრობელად გააჩენ, ზოგს კი ტყვედპყრობილადო — საცნაურად შეიძლება გაცხადდეს ყოველივე. ზოგიერთი სასახლეს ზოგიერთის საპყრობილე სჯობს. ყოველ შემთხვევაში, რომში არ ჩამობრძანდებოდა ღმერთი. იგი გაცხადდა მრავალტანჯულ ხალხში — ებრაელ ხალხში. გალილეაში ერთ პატარა დაბა-ქალაქ (ფაქტობრივად სოფელში) ნაზარეთში მოვიდა ახალი სულიერი სიცოცხლე კაცობრიობისა.

მაგრამ ძნელი საცნობია ღმერთი კაცში გაცხადებული. ხშირად სტუდენტებისათვის მიკითხავს:ქრისტე რომ რომელიმე ფქვენგანში გაცხადდეს, თუ იცნობთ მას თქვენსავე ამხანაგში-მეთქი. აბა რა! — წამოიძახებენ ხოლმე. არა მგონია. მას ალბათ, ისევ თორმეტიოდე კაცი თუ იცნობს. მას ისევე შეურაცხყოფენ და გააგდებენ თავისიანები თავისი სოფლიდან, როგორც იესო ნაზარეთიდან. მას ისევე დავადგამდით ეკლის გვირგვინს, როგორც მისმა თანამედროვეებმა. ღვთის კაცის შუკი, როგორც სახარებიდან ჩანს, ხანდახან მაინც გაიციმციმებს ხოლმე ხალხის ცნობიერებაში. როცა უკვე იესო ქრისტედ ჩანს ცხადია ჯერ მრევლს მთლად ეს არ სჯერა და ხალხი მა-

ინც დამცინავად იკითხავს — ეს ნაზარეთიდან არაა?! იკითხავს ისევე, როგორც ჩვენში იციან ხოლმე რომელიმე უავტორიტეტო სოფელს ან დაბას რომ დაასახელებენ, ცინიკური ფონის შესაქმნელად. „ერთხელ იგი თავის თანამემამულეებს წმიდა წერილის ერთ ადგილს განუმარტავდა. ეს ხდებოდა ნაზარეთში, მისი დაბადების ადგილას. ნაზარეველებმა იკითხეს: „ეს ის არაა, იოსების შვილი, აქ რომ დაიბადა და იზრდებოდა?„ Гегель, Философия религии, Т. I. М. 1976, გვ. 42). ახლა ეს დიალოგი ადვილი წარმოსადგენია საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა დიალექტისა და კოლორიტის ნიშნით. „და როდესაც ნაზარეველებმა იგი გააძევეს ნაზარეთიდან, მას გაახსენდა ანდაზა, რომ არ არის წინასწარმეტყველი თავის მამულში“ (პეგელი, იქვე).

ნაზარეთი მთის ფერდობზე ტერასულად გაშენებული ქალაქია, იერუსალიმიდან ორი — სამი დღის სავალზე. როგორც აღწერენ მის ეთნოგრაფიულ ყოფას ისტორიკოსები, თავი საქართველოში გეგონებათ. ანალოგიურად შეუძლია წარმოიდგინოს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხს.

იესო ქრისტეს ებრაულ წარმოშობას, ცხადია, არ უარყოფს სახარება. იგია ძე დავითისა და აბრაამისა. ხშირად იწვევს კითხვას, — სულიწმინდისაგან შობილი კაც-ღმერთი როგორ არის შთამომავალი დავითისა და აბრამისა? იოსები ხომ მისი ხორციელი მამა არ არის? იოსები ღმერთმა მიუჩინა მას მამად, იგი დაამტკიცა მის კანონიერ მამად. ეს სულისმიერი მამობა ქმნის იმ გვაროვნული მემკვიდრეობის უწყვეტ ჯაჭვს, ღმრთისაგან ჩენილ დიდ ებრაელებთან რომ აკავშირებს იოსებს. საღმრთო ნება აკავშირებს იესოს დავით წინასწარმეტყველის დაბადებასთან. ორიენი ბეთლემს იშვნენ. ქართველი მეფეები იჩემებდნენ უშორეულეს მემკვიდრეობას დავითის ფესვთან. აქ ძნელია მტკიცების დოკუმენტების ძიება. აქ რწმენითი ქვეყანაა და, პირველ ყოვლისა, ჩვენ ის გვაინტერესებს — როგორ სწამდათ ჩვენს წინაპრებს. ეს რწმენა იყო მათთვის უფრო რეალობა, ვიდრე ემპირიული რეალობა. ასე რომ, ძალიანაც რომ მოვინდომოთ იესო ნაზარეველის მითვისება, ეს შეუძლებელიცაა. მაგრამ, ვიმეორებ, სიახლოვის რწმენის გააზრებას თავისი საჭიროება აქვს.

მაშასადამე, ქრისტეს დროსათვის ებრაელური ტომები, პროვინციები, ყველანი რომის იმპერიას ექვემდებარებიან. იმპერია, კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის იმპერია იყო. დაყოფა-დაქუცმაცების ფილოსოფია არც რომაელებს ესწავლებოდათ: „გალილეას და პერეას ჰყავდა ერთი საერთო ტეტრარხოსი მაშინ, როცა იუდეა, სამარია და იდუმეა ექვემდებარებოდნენ რომის პროკურატორს“ (Гаустон Стюарт Чамберлен, Явление Христа, с, Петербург, 1912, გვ. 39). მაშასადამე ტეტრარხოსი და პროკურატორი ორივე ნამესტნიკია. პარალელურად ებრაელებს მეფეც ჰყავდათ, მაგრამ ნამესტნიკისთვის

უნდა ეცქირა თვალებში. მაშასადამე, სხვადასხვა რეგიონებად დაყოფილი სამთავროები, ერთმანეთს შორის ერთიანდებოდნენ სარწმუნოებით, მაგრამ ეთნოფსიქოლოგიური სიჰრელე აქაც იჩენდა თავს. მათ შინაგან და პოლიტიკურ ერთიანობას, ადვილად წარმოიდგენთ, როგორ შეუწყობდა ხელს იმპერია. ებრაელები, რწმენით, არაებრაელებს წარმართებს ეძახდნენ. ასე რომ გაგულისებულად უნდა იყოს შერქმეული სახელწოდება - „გალილეა", რომელიც ებრაულიდან ქართულად ნიშნავს „გეჰილ ჰაგგოუიმ" — „წარმართთა ოლქს". მაგრამ ეს არის, არა მართლა წარმართები, არამედ წყრომით შერქმეული სახელწოდება. „ქრისტეს დროსაც გალილეა იყო მოწყვეტილი იუდეასაგან. ასე რომ, მასთან მიმართებაში ეჰირა უცხო მხარის პოზიცია" (გვ. 39).

იოანეს სახარების მეოთხე თავი სრულ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რაოდენ განსხვავდებოდა წესაღმსარებლობა იუდეველებისა და სამარიელებისა (იგულისხმება ქრისტეს საუბარი სამარიელ დედაკაცთან). მათ შორის გაცილებით მწვავე ურთიერთობა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სარწმუნოება ჰქონდათ. ებრაელები მათ ერეტიკოსებს ეძახდნენ. ამგვარი განხეთქილების მომენტები თითქმის ყველა რელიგიას აქვს. „გალილეველთა ეროვნული ხასიათი აგრეთვე განირჩეოდა ებრაულისაგან. გადაშალეთ ებრაელთა ნებისმიერი ისტორია — ევალდი, გრეცი, რენანი — ყველგან თქვენ იპოვით, რომელი გალილეველნი განირჩეოდნენ პალესტინის ყველა სხვა მცხოვრებ ტომთაგან. გალილეველები იყვნენ ფიცხნი, ენერგიული იდეალისტები, საქმის ხალხი, რომელთა ხანგრძლივ კონფლიქტებში ქრისტემდე და მის შემდეგ გალილეველები ყოველთვის იყვნენ მშფოთვარე ელემენტი ადამიანები, რომელთა მოთვინიერება მხოლოდ სიკვდილს შეეძლო, მაშინ როცა, წმინდა სისხლის ებრაელთა მრავალრიცხოვანი კოლონიები რომსა და ალექსანდრიაში ბრწყინვალე ურთიერთობაში იყვნენ წარმართულ იმპერიასთან..." (გვ. 43).

აღფრთოვანებულია ავტორი გალილეველთა მეომრული სიმამაცით, თავისუფლებისადმი სიყვარულის დაუოკებლობით; ეს არის მეამბოხე ხასიათი — არც იმპერატორისა ეშინია და არც მისი გარნიზონისა: „შორეულ გალილიაში, ჯერ კიდევ კეისრის სიცოცხლეში — ეზეკია გალილეველმა გაბედა აღემართა რელიგიური აჯანყების დროშა. მას მოჰყვა იუდა გალილეველი. მისი დევიზი ასეთი იყო: „ღმერთი არს ერთადერთი — მეუფე ჩვენი. სიკვდილი არარაობაა, თავისუფლება — უველაფერი! შემდეგ გალილიაში გაჩნდა სიკარულთა (დანისტების) პარტია, რამდენადმე მსგავსი თანამედროვე ინდიური „ტუგებისა". იმათ მთავარმა ბელადმა მინახემმა ნერონის დროს გაანადგურა იერუსალიმის რომაელთა გარნიზონი..." (გვ. 44).

ვფიქრობთ ავტორი ტენდენციურია, როცა გალილეველი ქალის ხასიათს უპირისპირებს ებრაელი ქალის ხასიათს, იმ ხასიათს, რო-

მელსაც განასახიერებს ივდითი და ესთერი. ჩვენ ეს ხასიათი, გალილეელი ქალისა ებრაულსაც მოგვაგონებს და ქართულსაც. ასევე შეუძლია სხვა ეროვნების ქრისტიანმაც თავისი ხალხის თვისება ამოიკითხოს მასში: „გალილეელ ქალებზე არაერთგზის მოიხსენიება წმინდა წერილში: ისინი განთქმულნი იყვნენ მხოლოდ მათთვის ჩვეული თავისებური სილამაზით. პირველი საუკუნის ქრისტიანები გვიამბობენ მათ იშვიათ კეთილშობილებასა და წინდახედულებაზე სხვა სარწმუნოების აღმსრულებელთა მიმართ, განსხვავებით ნამდვილი ებრაელი ქალების დამცინავი და სიძულვილით გამოხატული დამოკიდებულებისაგან“ (გვ.45). გალილეელები გამოირჩეოდნენ არამეულ ენაზე მოსაუბრე ხალხს შორის ძლიერ განსხვავებული მეტყველებით, იმდენად, რომ მათ პირველსავე სიტყვაზე იცნობდითო.

„გალილეელებმა მოგვიანებით შექმნეს თავისებური რასა, რომელიც განირჩეოდა თავისი ძალითა და სიმამაცით, რაც მათ დაამტკიცეს ლაშქრობაში, რომელსაც მეთაურობდა სპარსი შარბარაც და რომელმაც 614 წელს აიღო იერუსალიმი. (გვ.44).

ჩამბერლენი მეტისმეტად აჰყვა თავისსავე ტენდენციურ მსჯელობას, რაც ასეთი სითამამით გაგვიცხადდა: „ის, ვინც ამტკიცებს, რომ ქრისტე იყო ებრაელი, ის უვიცია — რამდენადაც ერთმანეთში ურევს რელიგიასა და რასას... რომელ რასას ეკუთვნოდა იგი? ამაზე პასუხი არ გვაქვს“. (გვ.48). ჩამბერლენის მტკიცებით, ქრისტე „რელიგიითა და აღზრდის მიხედვით, უეჭველად ებრაელი იყო, მაგრამ ტომობრივად, ის არავითარ შემთხვევაში არ იყო ებრაელი“. ჩამბერლენი ბუნდოვნად აფათურებს მზერას ახლო აღმოსავლეთისაკენ, ზუსტად კი ვერ გვეუბნება სადაურნი არიან გალილეელები:

„გალილეა და მისი მოსაზღვრე ოლქები, როგორც ითქვა, იყო სისტემატურად კოლონიზებული ასირიიდან და როგორც ბიბლიიდან ჩანს, დიდი სამეფოების სხვადასხვა ნაწილებიდან, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მთიანი სირიიდან. ქრისტეს დაბადებამდე საუკუნეებით ადრე აქ, მათ გარდა, ჩამოასახლეს ბევრი ფინიკელი და ბერძენი. ამ ფაქტის საფუძველზე სრულად შესაძლებელია, რომ გალილეაში შეიდა არიული სისხლი; თუმცა უეჭველია, აქ ხდებოდა სხვადასხვა რასის შერევა და უცხოელები დიდი რაოდენობით სახლდებოდნენ ნაყოფიერ გალილეაში... ამგვარად, ჩრდილოეთ პალესტინის მცხოვრებნი, სამარიიდან დაწყებული, გახდნენ სარწმუნოებით ებრაელები, თვით ისინიც კი, რომელთა ძარღვებში არ გვხვდება წვეთი ებრაული სისხლისა. მოგვიანებით იქ, სხვათაშორის, შესაძლოა მიმდინარეობდა წმინდა სისხლის ებრაელთა ჩასახლებაც“. (გვ. 41).

რასობრივი კლასიფიკაციები ნაირ-ნაირია. ვფიქრობთ, ყველაზე საინტერესოა ის, რომელიც ჰეგელმა მოგვცა. მისი თვალსაზრისისათვის არასდროს არავის უწოდებია რასისტული. ეს კლასიფიკაცია არც ებრაულსა და კაკასიურ რასას აპირისპირებს ერთმანეთს.

„მხოლოდ კავკასიურ რასაში სული აბსოლუტურ ერთიანობაში მოდის თავის თავთან, — მხოლოდ აქ სული შედის სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან, აღწევს თავის თავს თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, ამოსხლტება იქეთ და აქეთ მუდმივი რყევიდან, ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ, აღწევს თვითგანსაზღვრულობას, თვითგანვითარებას და ამით ახორციელებს მსოფლიო ისტორიას... პროგრესი ხორციელდება მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით" (Гегель, Энциклопедия философских наук, философия духа, Т. 3. М. 1977, გვ. 63).

კავკასიური რასა არ ნიშნავს მარტოოდენ კავკასიელებს, ის აღნიშნავს მთელ ევროპულ რასას. ფიზიოლოგ ბლუმენბახისა და კამპერის კლასიფიკაციას, რომელიც ძალიან გავრცელებული იყო აგერ, ჩვენს საუკუნემდე, ეფუძნებოდა ჰეგელის ანთროპოლოგიური პრინციპი. ეს არაა დიდი დიალექტიკოსის მიერ გაკეთებული ჩანაწერები თუ შთაბეჭდილებანი, იგი მას, არსებითად, ბუნებით ნიჭიერების კლასიფიკაციის მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა ჰეგელი კავკასიურ რასაში არჩევს „ორ ნაწილს — წინა აზიის მცხოვრებთ და ევროპელებს; ეს დაყოფა ახლანდელ დროში ემთხვევა მაჰმადიანებად და ქრისტიანებად დაყოფას" (იქვე, გვ. 64). ე.ი. იგი ახლო აღმოსაელეთის მაჰმადიანებსაც ამ რასის გარკვეულ ნაწილს მიაკუთვნებს, განსხვავებით შორეული აზიისაგან. თუმცა წმინდა ევროპელებთან შედარებით, წინა აზიის პოლიტიკური ცხოვრებაც ვერ აღწევს დანაწევრებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ქცევას, ნამდვილ სახელმწიფოებრივ ერთეულებად განწევრებასო.

ჩვენ არ შევუდგებით თავის ქალას ფიზიოლოგიურ ანალიზს,მაგრამ ჰეგელი მას რასობრივი კლასიფიკაციის საფუძვლად მიიჩნევს. ეს ფიზიოლოგიური პრინციპი, ძირითადად ასეთია: ყურის ხვრელიდან ცხვირის ძირამდე გავლებული ჰორიზონტალური ხაზი, გადაკვეთილი შუბლის ძვალიდან ზედა ყბის ძვლამდე ქმნის ძირითადად სწორ კუთხეს. ხოლო ცხოველებს ეს კუთხე განსაკუთრებით წამახვილებული აქვს. მაღალგანვითარებულ რასას კი, ვიმეორებთ, აქვსო სწორი კუთხე:

„კავკასიურ რასას დასახელებული კუთხე აქვს სწორი ან თითქმის სწორი, განსაკუთრებით სამართლიანია ეს იტალიურის, ქართულისა და ჩერქეზული ფიზიონომიის მიმართ. ამ რასას თავის ქალა ზემოდან დამრგვალებული აქვს, შუბლი რამდენადმე ამობურცული, ღაწვის ძვლები ნაკლებად შეიმჩნევა, წინა კბილები ორივე ყბისა პერპენდიკულარულია, კანის ფერი თეთრი, ლოყები ალისფერი, თმები გრძელი და რბილი" (ჰეგელი, იქვე, გვ.61). ახლა ვნახოთ პიროვნულად როგორ ახასიათებს იესოს ჩამბერლენი. იგი ვრცელ შეპირისპირებით ანალიზს ახდენს ბუდასა და ქრისტეს შორის. ბუდას იგი თვლის უდიდეს ღვთაებრივ მოვლენად, ლამის ქრისტეს გაუ-

ტოლდესო, მაგრამ ქრისტე დასახელებულ ავტორს უფრო დიდ მოვლინებად მიაჩნია, რადგან ქრისტე არ გმობდა მიწიერ ცხოვრებას, პირიქით, აკურთხებდა მას. ქრისტეს ავტორი გვიხატავს ლამის ასკეტიზმის მგმობელად. ცხადია, ეს ასე არაა, მაგრამ ერთი რამ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქრისტე არ იყო ნათლისმცემელივით მკაცრი ასკეტი. ყოველ შემთხვევაში, ასკეტიზმი თვითმიზანი არაა. ასკეტიზმია საშუალება სიყვარულის მისაღწევად. ე.ი. მიზანი არის სიყვარული და არა სხეულებრივი თვითგვემა. „ რელიგიის მრავალი შემქმნელი თავის თავსა და თავის მოწაფეებს უწესებდა გვემას, საშმელისადმი მიმართებაში, ქრისტე კი — პირიქით, იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ არ მარხულობდა, როგორც იოანე, არამედ ცხოვრობდა ისე, რომ ადამიანები მასზე ამბობდნენ: „აი, კაცი, რომელსაც უყვარს პურის ჭამაც და ღვინოც“ (გვ. 25). ეს მართლა ქართველივით დაგვიხატა იესო ავტორმა, მაგრამ, როცა ქრისტე გვეუბნება „სუთ ღვინო“, დალიეთ ღვინო, ვითარცა სისხლი ჩემიო, ეს არ ნიშნავს სიმთვრალისადმი მის შემრიგებლობას, მაგრამ ავტორი სწორია, რომ ქრისტე არ არის სუსხიანი კანონმდებელი, მკაცრი ადმინისტრატორი. იგი მოვიდა სიყვარულისა და მიტევებისათვის. ყოველ ცოდვილს აძლევს შანსს, ჯოჯოხეთიდან ამოვიდეს მონანიების ძალით. მაგრამ ეს მონანიება არ არის უფროსის წინაშე ჩვეულებრივი ბოდიშის მაგვარი რამ. ამისთვის სულის უმთავრესი წყურვილი და ღვთისადმი ლტოლვის ნიშია საჭირო. ქრისტე დასახელებული ავტორის თქმით, მონაწილეობს „ საქორწინო ნადიმებში, ქორწინებას აცხადებს საღვთო წმინდა განაწესად, ხოლო სხეულის ცოდვებს განსჯის ისე შემწყნარებლურად, რომ თვით მრუში, ქალისთვის ვერ პოულობს შეჩვენების სიტყვებს“ (გვ. 25)

ერთი სიტყვით, ქრისტეს ადამიანური მხარე დასახელებულმა ავტორმა მეტისმეტად გაათბო, ისე რომ, ასკეტიზმი ლამის განდევნა. მაგრამ, ქრისტე, როგორც მესია, მხსნელი მოვიდა მიწიერ არსებად იმიტომ, რომ თავისი გაადამიანურებით გაეზიარებინა ადამიანის ჰირი და ლხინი. ესაა მესიანიზმის არსი. ავტორი, მართალია, როგორც ვთქვით, ტენდენციურია, მაგრამ უხვად პოულობს მასში ადამიანურს. და თუ ქართველის ხასიათს ბევრი რამ გვაგონებს, ეს უწინარესად ისაა, რომ ამქვეყნიური სიცოცხლე ქართველისათვის დიდად ფასეულია. იესოს ჰქონდა შესანიშნავი იუმორი, იყო თანამგრძნობელი და არა დამსჯელიო. იესო ქრისტემ ლამაზი სული შთაბერა კაცობრიობას, ქართველ ხალხს საოცარ იმედსა და ძალას აძლევდა შობის დღესასწაული, როცა იესო ქრისტე მოვიდა ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, ადამიანის საშველად. ქართველ ერს სწამს მხსნელი ძალისა. იდიდოს აწ და მარადის.

იანვარი 1990 წ.

ათასი წლის წინათ ცისფერი ზღვის ტალღებში, საბერძნეთში, ათონის მთასთან მოცურდა ღვთის მშობლის სახენაიარევი ხატი. ხატი უკარება და განრისხებული. მხოლოდ ქართველი მიიღო და ქართველთა (ივერთა) მონასტრის კარიბჭეში დაემკვიდრა იგი.

ათასი წლის შემდეგ თბილისში ზღვისფერი ციდან თავითმფრინავით ჩამობრძანდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი (ერთ-ერთი ვარიანტის ასლი), ხატი ნაკურთხი და ნაფიცი. ეს იყო 1989 წლის 9 ოქტომბერი. მთელი თბილისი გამოეგება მას, მფარველ დედას მონატრებული, აღელვებული და დაბნეული ერი იმედის წყურვილით შეხვდა მას. ხუთი საათი ფეხით, გალობით მოჰყვებოდა ერი და ბერი სიონის ღვთისმშობლის ტაძრამდე... ხოლო ეს იყო 1648 წლის 13 ოქტომბერი... მთელი მოსკოვი შეეგება ივერიის ღვთისმშობლის ხატს (ორიგინალის ბადალ ასლს), რომლის გადაღება-გადახატვა ათონზე თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა.

როგორც ყოველ ბავშვსა თუ ყოფნა-არყოფნის მზღვარ წამზე მყოფი ადამიანი წამოიძახებს „ვაი დედაო“, საერთო დედა საქრისტიანოსი არის დედა-ღვთისმშობელი. მისი კალთის მფარველი ძალის რწმენა ძალას აძლევს ერს. გავიხსენოთ ელემენტარული ჭეშმარიტება: ვისაც საკუთარ დედაზე მეტად არ უყვარს ღვთისმშობელი, ის არ არის ნამდვილი მორწმუნე, ვისაც საკუთარ შვილებსა და თავზე მეტად არ უყვარს ღმერთი და ღმრთის მშობელი, ის არ არის ჭეშმარიტი მორწმუნე. ამიტომ ქრისტიანი ამბობს: მე ჯერ ქრისტიანი ვარ და მერე ქართველი. ვინც გადაანაცვლებს ამ თანამიმდევრობას, წინ ქართველობას დააყენებს, ის არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანი. ხოლო როგორი ქართველი იქნება იგი, ამას ვერ გეტყვით. არაჭეშმარიტი, სხვისი დასანახი პირჯვარისწერა, საღვთო განსაცდელის ეპოქაში, ვერ არის ის, რაც ღმერთს ნებავს. არც ქადაგება, სახარების ციტატირებაა კარგი ტონი, თუ გულიდან არ მოდის. როდის მოვა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი? როდის მოვა ღვთისმშობელი ციდან? როცა მლოცველი ერი, ხატის წინ მდგარი, თავისი სულის სიღრმეში იგრძნობს, რომ მას ღვთისმშობელი თავის მშობელზე მეტად უყვარს. მოძმეს მაშინ შეხედავს როგორც ნამდვილ ძმას, განიწმინდება შურისა და ღვარძლისაგან, — აი მაშინ მოვა ღვთისმშობელი ციდან!

რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებს სხვადასხვაგვარი წაკითხვა აქვს, იგი წიგნივით იკითხება მორწმუნისთვისაც. არის თუ არა წინარე ნიშნები ღვთისმშობლის გამოჩენისა? არ დამავიწყდება ერთი ქართველი 1978 წლის 14 აპრილს, თავისთვის რომ წაიჩურჩულა: „დიდება შენს სახელს, ღვთისმშობელო“. იმ დღეს თბილისში ცუდი კაცი არ არსებობდა. არ არსებობდა რჩევა დაყოფა სოციალური

ფენებისა. ყველა და ყველაფერი ღამაზი იყო: სტუდენტი, მეცნიერი, მწერალი, მილიცია თუ პოლიცია. ეს არის ეროვნული იდეის უნივერსალური დამამაგნიტებელი ძალა — მადლი ცისა რომ გარდმოედინება ხალხზე. თუ არა სასწაული, რითი უნდა გაიმარჯვო?

როგორც ერთი კაცი არ არის ყოველ წუთს ერთგვარი, არც ერის ცნობიერება არის ყოველ ჟამს ერთგვარი. ზოგჯერ კარგა ხანს დაიბუდებს ერის გულსა და ტვინში სატანა. მაშინ ერის სულიერი მამანი რისხვით გამოუდგებოდნენ თავის ხალხს. გინახავთ, ალბათ, (უფრო სოფლებში) გამწარებული მშობელი რომ წყეულა-კრულვით გამოენთება თავის ღვიძლ შვილს. როგორც ღვთის რჩეულმა ებრაელებმა იცოდნენ თავისი მშობელი ხალხისადმი: „ვაი ნათესავსა ცოდვილსა ერსა სავსესა ცოდვითა, თესლი ბოროტი, ძენი უსჯულონი! დაუტევეთ უფალი, განარისხეთ წმინდა ისრაელისა, და უცხო ექმნენით და განსდექით“ (ესაია, 1, 4) შენს ხალხს რომ ასე მიმართო, მის წინამძღოლად უნდა იყო ღვთისაგან გამოგზავნილი. ჩვენში ამის მკაფიო გამოხატულებაა დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე. უბრალო მოკვდავთ არა გვაქვს უფლება ჩვენი ხალხის უკეთურ მხარეებზე ასე რისხვით აღვმართოთ ხელი. მაგრამ ის მასობრივი ტრაბახი, რაც გეჯირს, არც ის უნდა იყოს ის, რაც ღვთისმშობელს მოეწონება.

ახლა ვნახოთ რა მადლი და სიკეთე მოუტანა ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის უსაზღვრო სიყვარულმა რუსეთს, ვიდრე მადლის შემობრუნებაზე ვილაპარაკებდეთ: „ივერიელთა მიწა, მოხსენიებული სრულიად რუსეთის ხელმწიფეთა ტიტულში, არის საქართველო. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, ათონზე მყოფი, იწოდება ივერიის ღვთისმშობლად იმიტომ, რომ იგი წმინდა ათონზე ნიკიედან „ზღვით მოვიდა და დაემკვიდრა მაშინდელი ივერიის მონასტრის ბჭეში, (ქართველთა სავანე, ამიტომაცაა იგი კარიბჭის ხატად წოდებული). (Краткое описание двадесяти монастырей, обитающейся на св. горе Афонской. Изд. Общ. др. Писм. Пб., 1877, и ‘Сказание об иверской иконе Богоматери” М. 1869)

ეს იყო ასე: 1647 წელს მოსკოვს ეწვია ათონის ივერიის მონასტრის არქიმანდრიტი პახომი. ცნობილმა იერარქმა ნიკონმა, შემდეგში სრულიად რუსეთის პატრიარქმა მეფე ალექსი მიხეილის ძის თანხმობით „...სთხოვა პახომის გადმოეღო ყველაზე სრულყოფილი ასლი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა და ჩამოესვენებინათ იგი მოსკოვში. როგორც კი დაბრუნდა პახომი სამშობლოში, მაშინვე შეუდგა შეესრულებინა აღთქმული სურვილი და შემდეგსავე წელს, ე.ი. 1648 წელს გამოუგზავნა ხელახლადქმნილი ხატი მოსკოვში... ეს ხატი არ განირჩეოდა არაფრით პირველისაგან (ორიგინალისაგან — ვ. გ.) არცა სიგრძით და არცა სიგანით. არც სახით... წმინდა

ხატით ჩამოვიდნენ მოსკოვში 1648 წლის 13 ოქტომბერს. მეფე მთელი თავისი ოჯახით, პატრიარქი იოსები, საეკლესიო საზოგადოება... მრავალნი, სხვადასხვა ასაკისა და წოდების ადამიანები თაყვანისცემით შეეგებენ ხატს" (Жизнь пресвятые владичицы нашей Богородицы, Приспо-Деви-Марии, (Пб., 1860, გვ. 227-228). რუსი ავტორი სასულიერო მწერალია: „მამული ჩვენი ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა. ჩვენში არაა ქალაქი, არაა ქვეყანა, რომელიც მოწმე არ იყოს ღვთისმშობლის სასწაულებისა... რუსეთი არის ვრცელი ტაძარი ღვთისმშობლისა, მის მიერ ამორჩეული ადგილი მთელს ქვეყნიერებაზე... ღვთისმშობელმა ისურვა მონაწილეობა მიეღო ქადაგებაში და წილად ხვდა სამოციქულო მოღვაწეობისათვის ივერია (ახლადდელი საქართველო). მან სიხარულით მიიღო წილისყრის ეს შედეგი და ის-ის იყო უნდა სწვეოდა ივერიას, მაგრამ მას ანგელოზმა აუწყა, რომ ეს ქვეყანა შემდგომ განათლდებოდა — ხოლო შენ — აუწყა მას ანგელოზმა — გელოდება ზრუნვა სხვა მოწყალისა, სახელდობრ, ის უნდა დარჩენილიყო იერუსალიმში. აქ ღვთის მშობელი ცხოვრობდა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში". (დასახ. წიგნი გვ. 212-213)

ახლა ჩვენ არ დავუწყებთ დავას დასახელებულ ავტორს რუსეთ-საქართველოს მიწიერ-ზეციერ საზღვრების შესახებ. ერთი პატარა წიაღსვლა კი მსურს, ქართველებსა და საქართველოზე არაქართველთა ფასეულ ცნობებს აქვს ფასი და დამაჯერებლობა. საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის თქმულება მთელ ქრისტიანულ ლიტერატურაშია გავრცელებული. იგი რომ მხოლოდ ჩვენი თქმულება იყოს, ნაკლებსარწმუნო იქნებოდა. ამ თქმულებას კი ჩვენ ვერწმუნებით როგორც ჰეშმარიტსა და უდიდეს ფაქტს.

ახლა გავყვეთ იგივე ავტორს, პატიოსან მთხრობელს, თუ როგორ იხსნა მოსკოვი, რუსეთი ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედმა ხატმა. 1771 წელს მოსკოვს საშინელი უბედურება დაატყდა თავს, მძვინვარებდა ჭირი. იშვიათი იყო სახლი, გარდაცვლილი რომ არ ჰყოლოდა. ყველგან ტიროდნენ და ლოცულობდნენ. ძალიან ბევრი გაიქცა. დამმარხველიც კი აღარ იყო. ამ მძიმე ჟამს ღვთისმშობელმა არ მიატოვა თავისი სამწყსო. როცა ყველა მწუხრით იყო შეპყრობილი, ერთ მონაზონს გამოეცხადა უცნობი ბერი და აუწყა: რატომ არ შეგიძლიათ გამოასვენოთ ღვთისმშობლის ქართული ხატი? თქვენ ხომ გაქვთ ზუსტად ისეთი, საქართველოდან ჩამოტანილი. ის თქვენთან იმყოფება მონასტერში, გამოქვაბულში, მოძებნეთ და დაინახავთ წყალობას ღვთისას. ამ ხატის წყალობით განიკურნებით და გეშველებათ არამხოლოდ თქვენ, არამედ მრავალს სხვასაც. ამ მაცნეს სიტყვებმა ზეციერ დედოფლის წყალობაზე გაამხნევეა დედაქალაქი. დასახელებული ხატი მოძებნეს და შემოატარეს ყველგან, სადაც კი ავადმყოფები იყვნენ. ყველანი გამოჯამრთელდნენ. ამ

დროიდან შეწყდა ჭირი" (გვ.212-213).

1812 წლის 1 სექტემბერი მძიმე დღეა რუსეთის ისტორიაში. ნაპოლეონი მოადგა დედაქალაქს. მოსკოვი გამოიყურებოდა როგორც სკაგაქცეული სკის ყუთი. ქალაქის მთავარსარდალი რასტოპჩინი ვერ ურიგდებოდა კუტუზოვის გადაწყვეტილებას — დაეტოვებინათ მოსკოვი. მისი აფიშებისა და მოწოდებების მთავარი საზრუნავი იყო ხატები, წმინდა ნაწილები. ეს სურათი მშვენივრადაა ასახული ლ. ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში". შთაგონებულად და ფიქრის აღმძვრელადაა კუტუზოვისა და გენერალიტეტის დაჩოქება, ამბორი ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე. სასწაულმოქმედმა ხატმა არაერთგზის მისცა სასწაული ძალა რუსეთს. ქართულ მისტერიას ეტყობა ვერ გაექცევიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის მთელს რუსეთში პოპულარიზაციისათვის დიდი წვლილი აქვს პატრიარქ ნიკონს. საოცარია მისი დამოკიდებულება და მისიეე ბედი ივერიისადმი. ალექსი მიხეილის ძე რომანოვის, როგორც ყოველი მეფის კარს, ჰყავდა გაწაფული ინტრიგანები. მათ წაახდინეს ურთიერთობა მეფესა და პატრიარქს შორის. ეს ასე მოხდა: „ მოსკოვში საზეიმო მიღება გაუმართეს ქართველ მეფე თეიმურაზს, რომელიც ჩამოვიდა, რათა განემტკიცებინა საქართველოს კავშირი რუსეთთან... პატრიარქი არ მოიწვიეს სასახლეში. გაბრაზებულმა ნიკონმა მოითხოვა ვითარების გარკვევა, მეფე შეჰპირდა, პირადად აუხსნიდა ყოველივეს, მაგრამ ბოიარების ხრიკებით პასუხი ვერ მიიღო". (М. Толстой, Рассказы из истории церкви, кн. V, გვ. 88 გვ. 167). მიხეილ ტოლსტოის ეკლესიის ისტორიაში საკმაოდ გეხვდება საქართველოსთან ურთიერთობის ფაქტები, ისტორიული სიზუსტისა რა მოგახსენოთ (არც მოტანილი ციტატის კომენტარს გთავაზობთ).

ნიკონი იმდენად გაცხარდა, რომ დატოვა პატრიარქობა და თავის მმართველობაში დაიტოვა მხოლოდ სამი, მის მიერვე დაარსებული მონასტერი. ვოსკრესენსკი, ივერიისა და ჯვრის მონასტრები.

ივერიის მონასტერი მან ააშენა ვალდაის ტბაზე. ათონის ივერიის მონასტრის მსგავსად...

ერთი სიტყვით, დიდი იყო რუსეთში თაყვანისცემა და ძალა ღვთისმშობლისა. მას თაყვანს სცემდნენ მწერლები და ფილოსოფოსები. „ცნობილია, თუ როგორ მოიქცა მართმადიდებლად ი.ვ. კორეევსკი, რომელიც ადრე რაციონალისტი იყო. როცა მან იხილა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ივერიის ხატი და მისი მლოცველი ხალხის ბავშვური რწმენა" (Вл. Соловьев, Собр. соч. т. V, გვ. 167).

ერთი სიტყვით, რუსეთის სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში დიდი იყო თაყვანისცემა ივერიის ღვთისმშობლისადმი. ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში შესუსტდა მისი ხსენება. მადლობა ღმერთს, ორტომეულში — (Мифы народов мира, М.), როგორც

იქნა ვიხილეთ რიგიანი აღნიშვნა ფაქტისა: „ზოგიერთი მართლმადიდებლური გადმოცემის მიხედვით. მარიამი მონაწილეობდა მოციქულთა შორის ქვეყნების განაწილების წილისყრაში, რის მიხედვითაც უნდა წასულიყვნენ ისინი საქადაგებლად. წილისყრით მას შეხვდა ივერია (საქართველო), რომელსაც იგი შემდგომში მისტიურად უკავშირდებოდა თავისივე „ივერიის“ ხატის მეშვეობით. თუმცა ანგელოზმა მას, ნაცვლად ამისა, მიუთითა ათონისაკენ, რომელიც უნდა გამხდარიყო მართლმადიდებლური ბერ-მონაზვნობის მსოფლიო ცენტრად, განსაკუთრებული ღვთისმსახურების ალაგად“. (იხ. „მარიამი“)

როგორც ვიცით, უფრო გავრცელებული ვერსიებით იგი იერუსალიმში დარჩა, იოანე ღვთისმეტყველის სახლში. მაგრამ ათონის სავანე, მართლაც დიდი ნათელის კერა გახდა. იქ არის საქართველოს მფარველის სასწაულმოქმედი ხატი. რეპროდუქციებისა და რუსული ასლების, მიხედვით, სიტყვიერი აღწერილობებითაც ეს არის ხატი, რომელიც საოცრად განსხვავდება ყველა სხვა ხატისაგან. ყველა ვარიანტი სახენაირევი ღვთისმშობლის ხატისა აქედან მოდის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით. ორიგინალისა და მის ბადალ ასლს ახასიათებენ — შავფერი სახით, მოქედილობებით“ (ტოლსტოი). ასევე ოქროს მოქედილობაში ჩასმულია „ჩენსტახოვოს ღვთისმშობელი“ პაულინების მონასტერში ჩენსტახოვოს მთაწმინდაზე. თბილისში მამადავითის მთას მთაწმინდა ეწოდა XV საუკუნეში ათონის მთაწმინდის ანალოგიით, აქედან დაბრუნებული ბერების მიერ. ჩენსტახოვოს (პოლონეთში) მთაწმინდა კი წოდებულია XIV საუკუნეში. ივერიის ღვთისმშობელი სახის მკაცრი გამომეტყველებით, გამჭოლავი მზერით საკვირველი სიძლიერის შთაბეჭდილებას ქმნის. შავი ფონი აძლიერებს მიუღწეველი სიშორის განცდას. მასში არაიმდენად სილამაზეა (როგორც ჩენსტახოვოს ღვთისმშობელია). მასში ამოუცნობი იდუმალება და ზეციური ძალის უსასრულობაა.

მკითხველს მაინც შევახსენებ ღვთისმშობლის ხატის იარას. ბიზანტიის კეისრის ტახტს დააკლდა ხალხის ყურადღება, რომელიც უაღრესად რელიგიური განცდითაა შთანთქმული. ხალხის მზერა და ფიქრი ხატს მიუზიდავს. კეისარმა ეკლესიის მესვეურთა წიაღში განხეთქილების ვაშლი ჩააგდო. სასულიერო წრეებს გააღვიძებინა ოდესღაც მიძინებული თეოლოგიური საკითხი: ღმერთი თუ ღმერთია, რანაირად იქნება კაცი, ადამიანი? ხატი ადამიანისა. ხატი არ არის ღმერთი. ხატის თაყვანისცემა ხომ არ არისო, კერპის თაყვანისცემა? ერთი სიტყვით, კეისრის ხრიკმა მიზანს მიაღწია და დაიწყო ხატთმებრძოლობა (VIII ს.) მეფის მოხელემ დასჭრა ღვთისმშობლის ხატი, ერთ ქვრივთან გადამალული. ქვრივმა ხატი ზღვას მისცა. გავიდა ჟამი... ხატი ათონის მთასთან მიცურდა... ეს იყო უკვე მეათე საუკუნე...

ახლა კი ჩვენი ცოდვილი ერისკაცული ბაგეებითა და კალმით

დაელოცოთ უმშვენიერესი დღე საქრისტიანოსი. უფალმა დალოცოს ათონის ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, გარდმოფინოს მისი მადლი ტანჯულ ივერიას. აღორძინდეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ღმერთმა დალოცოს ყველა მიმართულების ქრისტიანული ეკლესია — მისი ჯვარ-გუმბათი. ღმერთმა დალოცოს განსაკუთრებულ ტანჯვა-შევიწროება გამოვლილი საბჭოთა კავშირში მყოფი ეკლესიები — ბალტიისპირეთისა, რუსეთისა, სომხეთისა, უკრაინისა, ბელორუსიისა. ღმერთმა დალოცოს ებრაელი ხალხი. მშობელი ღვთისმშობლისა და იესო ქრისტესი. იდიდოს, იმძლავროს ჩვენმა სამოციქულო ეკლესიამ მისი ღვთივკურთხეული პატრიარქის ილია მეორის წინამძღოლობით.

ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს საქართველოს.

ამინ!

8 თებერვალი, 1990წ.

საულე და პაული

ყველაზე ენერგიული მდევარი ქრისტიანებისა იქცა ყველაზე ენერგიულ მოციქულად, ოცდაათ წელს ქრისტეს ნათელს ჰფენდა იგი ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებს... ოცდაათი წელი სიბნელეში, ოცდაათი — სინათლეში (მთლიანად სამოცი წელი იცოცხლა). ესაა კლასიკური მაგალითი ქრისტეს მოძღვრების თვალშეუდგამი სიმაღლისა — როგორ შეიძლება უწმინდური იქცეს უწმინდესად. თუმცა საულე, როგორც მისი პაპა და მამა, ფარისეველთა წრიდან იყო, წესიერი აღზრდა ჰქონდა მიღებული და კანონებს ერთგულად იცავდა. მაგრამ მისი გზნება და დანაშაული ქრისტიანების მიმართ დიდი ბოროტება იყო, რაც დიდი სიკეთით ზღო. ეს ფაქტი ქრისტიანობას არათუ დაუმალავს, პირიქით, იმის მაგალითია, თუ რაოდენ დიდია ადამიანის შანსი — ჯოჯოხეთიდან ავიდეს ზეცად; რაოდენ დიდია ქრისტიანული ჰუმანიზმის არსი. პაულე ხშირად იგონებს თავის წარსულს, აწმყოს სიმაღლის გადასახედიდან. „მე, რომელიც უწინ მგმობელი, მდევნელი და შეურაცხმყოფელი ვიყავი, მაგრამ შეწყალებული ვიქენი, ვინაიდან უმეცრებით და ურწმუნოებით ვაკეთებდი.

სწორედ იმიტომ ვიქენი შეწყალებული, რომ იესო ქრისტეს ჩემში პირველად ეჩვენებინა მთელი სულგრძელობა მათდა სანიმუშოდ, რომლებიც ირწმუნებენ მას საუკუნო სიცოცხლისათვის“ (I ტიმ, 2. 13. 16).

ხშირად არკვევს, მაგრამ გაურკვეველი რჩება, პაულე მოციქული პირადად შეხვედრია თუ არა იესო ქრისტეს. იგი შვიდი წლით უმცროსია მაცხოვარზე, 7 წელს დაიბადა, მოიქცა 37 წელში (როცა

30 წლისა იყო) ე.ი. მაშინდელი პავლე, არ იქნებოდა მაცხოვრის საკმაოდ დაინტერესებული. პირველად იგი გამოჩნდება სტეფანეს წამების ჟამს. სტეფანე „აღსილი სულიწმინდით“ ქრისტეს სიყვარულით უდრტვინველად ეგებება სიკვდილს. მას სჯიან ძველი წესით. მონაწილენი ამ აქტისა ტანისამოსს (ზედა სამოსელს) იხდიან და აწყობენ საველეს ფერხთით. საველე იწონებს ყოველივეს... „ იუდეველებს, თავის ბუნებრივი ხასიათით, არ უყვარდათ დევნა, მაგრამ ბრალსა სდებენ თავის თანამედროვე სინედრიონს უმოქმედობისათვის.“ (Ф. В. Фаррар, Жизнь и труды св. Апостоля Павла I-I и II М. 1887, გვ. 103).

და აი, გამოჩნდა ენერგიული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მიაჩნდა რომ ეს ქრისტიანები დაღუპავენ ქვეყანასა და „აწამებდა“, აჩანაგებდა მათ, ნებას აძლევდა თავს, ინკვიზიტორულად შეჭრილიყო მათს სახლებში, გამოათრევდა კაცებსა და ქალებს და ჰყრიდა ციხეში“ (ფარარის დასახელებული წიგნი, გვ. 105)

ჩვენის რწმენით, ეს საკითხი არასოდეს ისე საინტერესო არ ყოფილა, როგორც დღეს, საველე წარმოგვიდგება 20-30-იანი წლების იმ ბოლშევიკად, რომლისთვისაც ძღვნად ერთი ქათამი რომ შეეძლია ვინმეს, ციხეში ჩასვამდა, დასახვრეტად გაგზავნიდა, როგორ შემომბედეს პატიოსან კაცსო. მაგრამ ამნაირ პატიოსან ბოლშევიკს გმირულად მიჰყავდა ციხეში დასახვრეტად მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი. უკეთილშობილესი გრიგოლ წერეთელი, რადგან იგი ჯვარს ატარებდა.

ძალზე ბევრი კითხვა მოგვეჯარა. კითხვები, რომლებიც ჩვენს ახლანდელ სასიცოცხლო არსებობის საკითხებს შეეხება. ვის უნდა ვკითხოთ, თუ არა წმიდა წერილს. მაგრამ ისეც ყველასათვის ცხადია, ხშირად ხდება, პოლემიკისას, ერთი ერთ ციტატას მოიტანს „სახარებიდან“, მეორე კი იქვე შეგვაგებებს საწინააღმდეგო აზრს „სახარებიდან“. მაგრამ წინააღმდეგობა, ყველა შემთხვევაში, ჩვენშია, ცხოვრების რეალობაში და არა „სახარებაში“. ვინც ამ წმიდა წერილის პოზიციებიდან ვეკამათებით ერთმანეთს, უნდა შევთანხმდეთ: როგორც კი გაგვიელვებს არდათანხმების თვითმიზნური სურვილი, მოწინააღმდეგის გამტყუნების ჟინი, მაშინვე ვცოდავთ. თუმცა ბიბლიურ ჰეშმარიტებათა გააზრება, მისი პირველ არსით გადმოცემა არც ისე იოლი საქმეა. სხვადასხვა საეკლესიო მიმართულება უძველესი (აპოსტოლური) პერიოდიდანვე რომ გაიყო, დღემდე ოცნებობენ მათს საბოლოოდ ერთიანქმნას. განსხვავებებია არამარტო წესაღმსარებლობაში, ლიტურგიკაში, არამედ ადამიანის მისიასთან დაკავშირებულ ზნეობრივ პრობლემებში. მაგალითად, XI საუკუნეში ბერძნული და ლათინური ეკლესიების წარმომადგენლები „ალილუიას“ გარკვეულ დღეებში შესრულების წესთან დაკავშირებითაც წაეჩხუბნენ ერთმანეთს. ეკლესიათა დავის ისტორია დიდია. ყველა

შემთხვევაში, ცდილობდნენ შეთანხმებას, გაერთიანებას, უმეტესწილად კი აღწევდნენ დაყოფას. მთავარი მიზანი იყო, მოციქულთა პირველწყაროს მოძღვრებას არ დაშორებოდნენ. ქრისტემ თავისი მოძღვრება დაგვიტოვა ზეპირით, მას მოციქულები იწერდნენ. ამიტომ საეკლესიო მოძღვრების თავანკარა წყარო უნდა ყოფილიყო მოციქულთა მიერ ნაქადაგევი წმინდა ღვთაებრივი ჭეშმარიტებანი, ადამიანური ისტორიების მინარევებისაგან თავისუფალი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს ბევრი ჰქონდათ საკამათო. საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, ამიტომაც უფლებამოსილია ოცსაუკუნოვან ისტორიას ითვლიდეს. „... ბერძნული სომხური და ქართული ეკლესიები ემყარებოდა პირველყოფილი ეკლესიის მოძღვრებას, ე. ი. წინ უსწრებდა მეოთხე საუკუნეს.

აქედან ჩვენ ვასკვნით, რომ ეს მოძღვრება იყო მოციქულთა მოძღვრება და რომ ეკლესიები: ბერძნულ-რუსული, სომხური, ქართული დღემდე რჩებიან იესო ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ წარმომადგენლებად" (В. Гете, изложение учения православной и католической церкви, С.П. 1869 გვ. 7).ყოველი მორწმუნე უფლებამოსილია თავისი ეკლესიის ხასიათის გარეშე დაეწაფოს წმიდა წერილს, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი საღვთისმეტყველო ლიტერატურა გვეხმარება გავერკვეთ მის უღრმეს, ზეციურ ჭეშმარიტებაში, ასევე ჭეშმარიტი მორწმუნე, შვილი თავისი ერისა, ყურს უგდებს თავისი ეკლესიის ხმას.

საზოგადოებრივი ცხოვრება, ისტორიის მაჩვენებლებით, ყოველთვის ერთნაირად არ დულს და არ ქუხს. არის პერიოდები მეტისმეტი დაბნეულობისა, გზის ძიების წუყურეილისა. აუცილებელი პირობა ადამიანების საზოგადოებად ქცევისათვის, ყველას კარგად მოგეხსენებათ, არის ურთიერთობის წესი, რჯული. იურდიული სამართალი უნდა ეფუძნებოდეს ღვთაებრივ სამართალს. ამიტომ მკაფიოდ უნდა გაეახსენოთ ერთმანეთს — რას ითხოვს ჩვენგან ღმერთი. ის კარგად გვახსოვს, რას ვითხოვთ ჩვენ ღმერთისაგან (იმისა კი რა მოგახსენოთ, რამდენად სწორია ჩვენი მოთხოვნები!).

ჩვენი დაბნეულობა გამოწვეულია იმით, რომ ბიბლიაში გამზადებული, გზისმაჩვენებელი, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, აბსოლუტური კონკრეტულობით, არ არის მოცემული. ადამიანი მართლა თოჯინა როდია (პლატონისეული შედარებაა), რომელსაც რასაც უკარნახებენ, მხოლოდ მას შეასრულებს რობოტული მოვალეობით. ღმერთმა რომ ადამიანი შექმნა თავის მსგავს არსებად, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შექმნა შემოქმედებითი არსება, რაღაცა შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო. ამტომ სახარება არის სინათლე, მაგრამ კონკრეტული ცხოვრების გზა შენი უნდა აირჩიო და ამ სინათლით ილტვოდე. ნათელი, ღვთაებრივი ცხოვრება მზამზარეულად არ გეეძლევა. ამას უნდა მიაღწიოს ადამიანმა თავისი ნიჭით, შრომით, გარ-

ჯით და, რაც მთავარია, ღვთისადმი რწმენით.

ამჟამად არათუ ჩვენში, მთელ მსოფლიოში ღირებულებათა გადაფასების ეპოქაა. დღეს დედამიწაზე მცხოვრები ადამიანი, თუ ღრმად მორწმუნე და ღვთისაგან ხელდასხმული არაა, ალბათ, ვერც მიხვდება — როგორი კაცობრიობის შვილები ვართ ჩვენ. იქნებ მთელი კაცობრიობა არ ვარგა. თუ ასეა, მაშინ მეორედ მოსვლა აუცილებელი ყოფილა. ადამიანი იმიტომ უნდა არსებობდეს, რომ ის კარგი უნდა იყოს. ცუდი არსებებისათვის ქომაგობას ღმერთთან ვერავინ გასწევს. დაბნეულები ვართ. ბევრი რამის არცოდნის უბედურებას დაემატა ცუდად ცოდნის უბედურება. მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ, ერთმანეთს ხმა მივაწვდინოთ. უმეტესწილად ეს ცდა ისეთი ხმაურით გრძელდება, ყველა რომ ყვირილით მოუწოდებს ერთმანეთს — „ხალხო, გაჩუმდითო“.

ერთმანეთში აგვერია ავი და კარგი. არ ვიცით, რას თანავუგრძნობთ, რა დავიცვათ და რა დავგმოთ. საზოგადოება სულ უფრო ხშირად მიმართავს საეკლესიო ავტორიტეტს, რაც მისასალმებელია.

ღვთაებრივი ცხოვრების გზა ძნელია. იგია უარის თქმა მრავალ საკუთარ წარმატებაზე, სიხარულზე. ეს ტანჯვის გზაა, მოთმინების მძიმე ტვირთია. ადამიანს სულ ეჩქარება, დღეს უნდა აყვავება, სახელი. თუ უღალატებს გზას, მიმართავს ლამაზ-ლამაზ სიცრუეს, ენას გამოუძებნის ადამიანებს. ხალხს ექნება მეფისტოფელის შემწეობა, მოიმკის განცხრომას, ცრუ დიდებას. მაგრამ ბოლოს კი მოგვკითხავს უფალი ყოველივეს. აღმოვჩნდებით ცდუნებული-მაცდუნებელი — ეს უკვე უფრო მწარე საზღაურია, ვიდრე განვლილი სიტკბოება. ამიტომ ჩვენ ჰეშმარიტად მაშინ ვირჯებით, როცა — ვაამებთ არა ადამიანებს, არამედ ღმერთს“ (I თესალ. 2, 4,) ასეთ შემთხვევაში კი ნუ ველოდებით ხალხის აღფრთოვანებულ სიყვარულს. ხალხი ყოველთვის კეთილ გუნებაზე როდია, ყოველთვის როდი მოსწონს სიკეთე და როდი მოსწონს პიროვნება. ხალხი განმსჯელია, თუ იგი მომზადდა როგორც საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების წევრი თავს უნდა გრძნობდეს რიგით წევრად და არა პირიქით, — საზოგადოება მიაჩნდეს თავის წევრად, ე. ი. თავისი აზრების გასასაღებელ საშუალებად. ამიტომ კეთილგანმსჯელი ხალხის მომზადება, ჩამოყალიბება რელიგიის გარეშე მყოფი ადამიანებისათვის ძნელია. თუ საზოგადოების ყოველი წევრის გულწრფელი საფიცარი, რეალურად, თავისი კერძო საფიცარია (შვილები, ცოლი, დედა-მამა) და სამშობლოზე ფიცი ფაქტიურად ცარიელი ლოზუნგია, ასეთ შემთხვევაში ძნელია ხალხის საზოგადოებად ქცევაზე ვილაპარაკოთ. ქრისტე კი გვასწავლის საკუთრივის, კერძოს დათმობასა და გაერთიანებას ღმერთში. როდესაც ხალხი ადიდებს ცრუს, აძაგებს მაღალს, ამისთანა ხალხზე ამბობდნენ — სატანაა მასში დაბუდებულიო.

იმართებოდა სადღეღამისო ლოცვები რათა ლოცვით და ვედრებით განედევნათ სატანა, გარდმოფენილიყო სულიწმინდა. ხალხი უნდა განათდეს სიკეთისადმი, სამართლისადმი სიყვარულით. თავისთავად ეგრეთწოდებულმა უმრავლესობამ („ბოლშინსტვომ"). როგორც ჰეშმარიტების მსაჯულმა რა და როგორ განსაჯა, კარგად მოგეხსენებათ. სახარების სიტყვებს არ შეიძლება გენიალური უწოდო, რადგან იგი უფრო მაღალია, ვიდრე გენიალური, ადამიანური ნიჭიერების მაქსიმუმი. პავლე მოციქულის ტიმოთესადმი მიწერილ ეპისტოლეში, გთხოვთ, დააკვირდეთ, როგორია აპოკალიფსური პერიოდის ხალხის პორტრეტი: „ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი,

ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმინდურნი.

მოძულენი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოღალატენი, სასტიკნი, კეთილის მოძულენი, გამცემნი, თავხედნი, გაბღენძილნი, უფრო სიამაყეთა მოყვარულნი, ვიდრე ღვთისა.

რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ, ასეთებს ერიდე..." (II ტიმ., 3, 1-5).

რამდენიც არ უნდა ეეჭვდრო მკითხველს, შეწყვიტე ამ სტატიის კითხვა, დაუბრუნდი ზემოთ ნათქვამ პავლეს სიტყვებს, რამდენიმეჯერ, თითო სიტყვასთან დიალოგის გაბმით გაჩერდი-მეთქი, ვიცი, არ შემისრულებს. ფიქრობენ, ეს თვისებები აქვთ სხვებს, მე კი არაო. ვისაც ეს უგვანი თვისებები მართლა არა აქვს, ის უკვე პავლე მოციქულია. წმინდანია. არ დავინახოთ არაფერი ჩვენში ამ უზნეობის ჩამონათვლიდან, ნიშმავს, უბრალოდ, პრიმიტიულები ვართ. და თუ მართლა აპოკალიფსური ეპოქის სიახლოვეს ვართ, და თუ ის ზნეობრივი გადაგვარება, რომლის სურათს სწორედ მეორედ მოსვლის წინ გვიხატავს მოციქული, მაშინ ვიფიქროთ, რა დონეზე იქნება ხალხის ხალხური სულისკვეთება. ამიტომაცაა განკითხვა უსასტიკესი, უსაშინელესი, — სხვათა შორის — ხალხისათვის და არა თითოეროლა ღვთისმოსავისათვის. ჰეშმარიტი მორწმუნე მიესალმება ღვთის სამართალს, რაოდენ სასტიკიც არ უნდა იყოს. მიესალმება არა, უბრალოდ, ისე, სხვების დასასჯელად, სეირის მაყურებლად რომ წარმოიდგინოს თავი, არამედ — თავის თავის მიმართ ღვთის სამართლიან სასჯელის მისაღებად. როდესაც მოქცეულ პავლეს რაზგებს ურტყამდნენ, რამდენადაც სტკიოდა სხეულს, აამებდა სულს, რადგან მასში ძველი ცოდვების საზღაურს გრძნობდა, სული თავისუფლდებოდა ცოდვისაგან. ამდენად, სრულიად სხვადასხვანარია ღმერთის რჩეული და ხალხის რჩეული კაცი. ჩვენ ღვთის რჩეული კაცის კვალდაკვალ ისე უნდა ვიაროთ, რამენაირად ცხოვრების განსაწმენდელად გამოგვადგეს.

იესოს პირველი მოსვლის მიზანი იყო თავისი უმანკო სისხლით, ადამიანური ტანჯვა-მსხვერპლის გაღებით ეხსნა ადამიანი, გამოესყიდა მისი ცოდვები. მეორედ მოსვლის მიზანიც ხსნაა, მაგრამ უკვე სხვა სახისა. იგია ცოდვათა და ცოდვილთა განსამართლება. ცოდვა კი, ვითარცა წინასწარ წერილ არს, არის გაცილებით მძიმე, ვიდრე ამას წარმოიდგენენ ადამიანები, რომლებიც განკითხვის კართან დგანან. განკითხვა გაფრთხილებებით, დროის მითითებით არ მოდის. იგი მოდის მაშინ, როცა ადამიანებს თავის თავის მეტი არავინ ახსოვთ. თუ ვინმე ვინმეს შეახსენებს, — კაი ერთი, მოგცლია შენო, და განაგრძობს თავის მიერ დაწყებულ უფრო „სერიოზულ“ თემაზე ლაპარაკს, ხოლო ახირებულ გამაფრთხილებელს სიბრალულის თვალით გადახედავს როგორც არაჯანსაღ, არარეალისტ ტიპს — გავიხსენოთ: „... ვინაიდან დადგება დრო, როდესაც საღ მოძღვრებას არ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისთქმებით ამოირჩევენ ყურის მაამებელ მასწავლებლებს“ (II ტიმ. 4. 3-4) მაგრამ „სახარებაში“ არაერთგზის და არაშემთხვევით ხაზგასმულია: განკითხვა მოვა ვითარცა იტყვის პაელე მოციქული „...მოულოდნელად დაატყდებათ თავს განადგურება“ (I თეს. 5. 3), ხოლო ის, ვისაც ახსოვს უფლის შეგონება, მარად ფხიზლად აქვს სულში ნება უფლისა, ის ფხიზლობს. განკითხვა შემოიპარება როგორც ქურდი, ამიტომ უნდა იფხიზლო, რომ არაფერი გამოგეპაროს.

ცხადია, მეორედ მოსვლის ჟამი მეტისმეტად მძიმე სასჯელია ცოდვილთა, ადამიანთა ცოდვებისა. მაგრამ ხსნა არ არისა, არ გვეუბნებიან. არის გზა ხსნისა, მაგრამ ესაა მძიმე, წრფელი და ეკლიანი გზა. ამიტომაც წმინდა მამები, რომლებიც პირუთვნელად გვახსნებენ სასტიკ განკითხვას, შეგვახსენებენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეგვაშინონ, არამედ შიში არის ის მაფხიზლებელი ძალა, ადამიანს, გაპირუტყუებისაკენ მიმავალს, შემოაბრუნებს და თავის გზაზე დააყენებს. როცა ადამიანი თავის თავს განიცდის როგორც თავის სრულ ბატონ-პატრონს, ვერ ხედავს თავის თავში თავის თავზე მეტს, ჰეგელის თქმით, ესაა პირუტყუული ეგოიზმი. მაგრამ პირუტყუს ამისთვის ჩვენ ვერ დავდებთ ბრალს. ისინი ბოროტებას არ სჩადიან. ბოროტებას სჩადის ის, ვისაც უფალმა მისცა წესი, მაგრამ არღვევს აღთქმას. ამიტომაც საზოგადოებას აქვს რჯული. „... ჩვენ ვიცით, რომ რჯული მაშინ არის კეთილი, თუ ვინმე ჯეროვნად იყენებს მას. ცნობილია, რომ რჯული დადგენილია არა მართალთათვის, არამედ ურჯულოთა და ურჩთა, უღმერთოთა და ცოდვილთა, გარყვნილთა და ბილწთა, დედ-მამის შეურაცხმყოფელთა და კაცის-მკვლელთათვის“ (პავლე, I ტიმ. 8-9). „შიში შეიქმს სიყვარულსა“ — სახარების ეს აზრი, რუსთველის სიტყვებით, მოგვაგონებს იმას, რომ სხვაგვარად ადამიანის არსებობას აზრი არა აქვს. ადამიანი ღირსეულია, ვაჟკაცია მაშინ, როცა იგი არის „ღმრთის მოშიში“. სამართო

შიშის შთაგონების წყარო არის განკითხვა, უფლის მეორედ მოსვლა. მის შესახებ ხშირი შეგონება თვითმიზანი არაა მოციქულთათვის.

ასე რომ, თუ გვინდა, საქართველო იყოს დამოუკიდებელი ღონიერი და ძლიერი, სულ არაა საჭირო ეს ბრძოლა ძალიან შორიდან დავიწყოთ. პირიქით, იგი უნდა დავიწყოთ ძალიან ახლოდან. ყოველ დილით, რომ გულიანად პირჯვრის გადაწერით თითო ჭინკა გამოვაგდოთ საკუთარი გულიდან, მეტი არაფერი გვინდა. თუ მაგრად ვიმეცადინებთ თვითგანკითხვაში, მომზადებული შეხვედებით განკითხვას. როგორც ჩვენი თანამედროვე პოეტი ამბობს: „მეც ცოტათი სალიერი, მეც ცოტათი – იუდა ვარ! ოდა, შენ მომმადლე ღმერთო, ღონე, ძალა სულიერი – ჩავკლა ჩემში კაენი და იუდა და სალიერი". არ ვიცი, რატომ, მაგრამ მწამს, ღრმად მწამს, რომ ქართველი ამას გააკეთებს ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის შემწეობით.

როგორც ვამბობთ – ქრისტე ჩვენშია, ჩვენ ქრისტეში ვართ, – ამგავარადვე შეიძლება ითქვას, ყოველ ჩვენგანში მეტ-ნაკლებად აირეკლება საულე-პაულეს მეტამორფოზის მომენტი. ყოველ ჩვენგანს გვაქვს ღვთაებრივი უფლება შევიგნოთ, მოვინანიოთ ცოდვანი ჩვენი. რამდენი „ძველი ბიჭი" გმირი გამხდარა, ახალგაზრდობაში რომ ყაჩაღობდა, შემდგომში ყოჩაღობდა საქვეყნო, საერისკაცო საქმეში. ადამიანის ბიოგრაფია არ არის ბიუსტი. იგი პროცესია და არავის აქვს უფლება არ დაინახოს დასანახი ღირსება, ნაცარი ვქექოთ, სადაც ეს საჭირო არაა. ახლა მეორე პოლუსს გავხედოთ.

შეიქმნა საზოგადოებრივი შთაბეჭდილება თუ ცალმხრივი აზრი, ქრისტესმიერ გულმოწყალებაზე. დავივიწყოთ, რომ ქრისტე სასტიკია უზნეობისადმი, ურჯულოებისადმი. ვითარცა ამბობს პაულე მოციქული, ქრისტე „... ცეცხლის ალით იძიებს შურს მათზე, ვინც არ შეიცნო ღმერთი და არ ემორჩილება უფალ იესოს სახარებას" (II თესალ.1.8.).

ჩვენ, გაწუწკებული ფოსტალიონიით, კარგი ამბების მახარობლობას დავეჩვიეთ. არ გვინდა გული ვიტკინოთ, არც სხვებს ვაწყენინოთ, რათა არ შემიძულონ. მე არც ჩემს აზრს ვაუწყებ ვინმეს, არც სხვისი აზრით მინდა ვინმე დავაშინო. როგორც პაულე მოციქული გვაფრთხილებს: „...ღმერთმა დაგვადგინა არა შესარისხად, არამედ გადარჩენის მისაღებად ჩვენი უფლის იესოს ქრისტეს მეშვეობით" (I თეს. 5.9.)

ხშირად გვესმის სხვადასხვა ბიწიერების მიფუჩეჩებისა და მასთან შეგუების ფილოსოფია ქრისტიანული ღვთისმოსაობის დემაგოგიური სამოსელით.. ქრისტე შეუბრალებელია ბოროტებისადმი, ქრისტე შეურიგებელია ბოროტების. ცნობილი ღვთისმეტყველი წმინდა ირინეი წერდა: „უგნურნი არიან ისინი, რომელნიც აზეიადებენ ქრისტეს

გულმოწყალებას და სდუმან განკითხვაზე, იმედოვნებენ რა ახალი აღთქმის მეტ წყალობაზე, მხედველობიდან უშვებენ უფრორე დიდი სრულყოფილების აუცილებლობას, რასაც ის ითხოვს და ამიტომ გამოიგონებენ ხოლმე ღმერთს, რომელიც განსხვავდება სამყაროს შემოქმედებისაგან". (Сочинения святого Иринея епископа Лионского, М., 1871, გვ. 508).

ბოროტებით გაჟღენთილი ადამიანი უნდა გიყვარდეს, — ეს ნიშნავს, რომ იგი გაათავისუფლო, იხსნა ბოროტებისაგან. თუ შენ მასში შეიწყნარებ ბოროტებას, მაშინ თვითონ ხდები ბოროტებას ნაზიარები. სიყვარულის ეს ძალა თუ არ შეგეწევს, გეჯაბნის ბოროტება, არავინ იფიქროს — არაუშავს-რაო, გვითხრას მაცხოვარმა. საზოგადოებაში გახშირდა მეტად გულის ამაჩუყებელი კონცეფცია — სიკვდილის დასჯის კანონის გაუქმების შესახებ. მე რომ შემეძლოს, გავაუქმებდი სამშობლოს ღალატს, მკვლელობას და თავისთავად გაუქმდებოდა სათანადო სასჯელი. მილიარდი მანეთი რომ გაფლანგოს კაცმა, როგორ შეიძლება სანაცვლოდ სიცოცხლე მოსთხოვო. მაგრამ როცა საბრალო დედას, ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაკლა ადამის გვარის შემარცხვენელმა, მე მისი არდახვრეტის ჭაღალდს ნურვინ მომიტანს შეწყალებისათვის ხელმოსაწერად. ცხრა თვის ანგელოზს რომ აკვანში ტყვიით ჩაკლავს გარეწარი, შემირცხვენია იმის კაცობა, ვინც ლირიკულ მოძღვრებას წამიკითხავს; მე, შეზღუდულ ადამიანს, მორალს წამიკითხავს შემწყნარებლობაზე ქრისტიანობის სახელით. არავინ იფიქროს, თითქოს წინააღმდეგი ვიყო ქვეყნად იმ ვითარების შექმნისა, რომ ეს კანონი გაუქმდეს. მაგრამ როცა მკვლელს იმ არგუმენტით უწერ ხელს შეწყალებაზე, მკვდარს მაინც არაფერი ეშველებაო, არ უნდა იყოს ეს მთლად ქრისტიანული მორალი. ბევრი მკვდარი ბევრ ცოცხალზე უფრო ცოცხალია, ეს ვიცით. შეწყალება შვილმკვდარ დედას ან მამას ჰკითხეთ. ჰკითხეთ მიცვალებულის სულს. მე რა უფლება მაქვს მკვლელის ცოდვა გავიზიარო (ლაპარაკი არაა შემთხვევით მკვლელობაზე). ერთი სიტყვით, ქომაგობას ამგვარ საკითხებში წარწყმედისაკენ მივყავართ. ქრისტიანობის სახელი ბოროტებათა სანქციის უფლებას არავის აძლევს. კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ კაცობრიობის უსასტიკეს სასჯელს. მეორედ მოსვლის ჟამს და ნახავთ, თუ როგორ „გადაგვისვამს" თავზე ხელს უფალი ღმერთი. მით უმეტეს, დღეს, როცა მთელ საბჭოთა კავშირში, ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სამართალი, უმეტესწილად, ფულით იყიდება, არ უნდა დავასხათ წყალი იმ წისქვილზე, რომელიც ბოროტებას ფქვავს.

სამწუხაროა, რომ საზოგადოება ხშირად საშურ ორიგინალობას, მსჯელობის ფილიგრანულ ტექნიკას იყენებს ამა თუ იმ ბოროტმოქმედების გასამართლებლად ან მისაფუჩეჩებლად. აბა, ვნახოთ, როგორ ვექომაგებით სიკეთეს! თუ უზნეობა არ შევიძულეთ, სიკეთეს

ვერ შევიყვარებთ — ამ ჰეშმარიტებას ბიბლია არ სჭირდება, ეს არის ყველა ბერიკაცის აფორიზმი.

5 *ოქტომბერი*, 1990 წ.

ვის გაჰკიცეთ?

მაეზოლეუმიდან სტალინის გამოსვენების შემდეგ ხშირად გაისმოდა: დაიბნა ხალხი, აღარ იცის, ვის დაუჯეროსო. ახლა კვლავ მიებჯინა მაეზოლეუმს ქვეყნიერების მზერა. დღეს საქართველოში უხერხულია, როცა გესმის: დაიბნა ხალხი, აღარ იცის, ვის გაჰყვესო. ჩვენ უნდა გავყვეთ იმას, ვისაც მივყვებოდით თითქმის ჩვიდმეტი საუკუნე. ქრისტიანული რჯული ყველა გზაჯვარედინსა და წყვდიადში გვეელინებოდა, ეითარცა სვეტი ნათელი. მას მივყვებოდით და იმიტომ გადავრჩით. არამარტო გადავრჩით, ერმა უმძიმეს პირობებში კულტურა შექმნა.

ტანჯვა არის ღეთაებრივი პიროვნებისა თუ ღეთაებრივი ერის არსებობის სტიქია. ღმერთს ვინც უყვარს, აწვალებს, გამოსცდის და გაამარჯვებინებს. სამოთხისებური ცხოვრება კარგია ხორციელი სიმშვიდისათვის, მაგრამ ამბობენ „ნეტარება ტანჯვაშიაო“. ამიტომაც მწამს, რომ ჩვენ ხალხს დიდი ტანჯვა ელოდება, მას არ მიატოვებს ღმერთი. ეს ჰეშმარიტება ყველაზე ცხადად აპოკალიფსურ ეპოქაში უნდა გაცხადდეს — „წინანი უკან, უკანნი წინ“.

დღეს ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება გრიგალშია გახვეული. გვიჭირს გავარჩიოთ გზა — მტერი და მოყვარე, ბოროტი და კეთილი. სიამაყით გავიძახით „ერმა გამოიღვიძაო“. გაგიხარიათ, გამოღვიძება კარგია, ცუდმა გამოძინებამ ცუდი გამოღვიძება იცის.

ერთ-ერთ უნათლეს დღედ სულიერი აღორძინებისა მე მესაახება 1978 წლის 25 დეკემბერი — უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინტრონიზაციის დღე, დაუვიწყარი დღე — სვეტიცხოველში გაბრწყინებული. შემდეგ კი მსოფლიოს ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად მისი კურთხევა! გავიხსენოთ მაშინდელი სახელმწიფოებრივი სუსხი. სიბნელე ეკლესიისადმი. მაგრამ მოვიდა შუქი ციდან და განაპო წყვდიადი. პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით პატრიარქმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფი მიიწვია და სასულიერო ტრაპეზეც დაახვედრა. აქ იყვნენ პროფესორები მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე და სხვანი. ერთმა უნივერსიტეტელმა ასეთი სიტყვებით მიმართა პატრიარქს:

— უწმინდესო და უნეტარესო, საქართველოს ეკლესიის წიაღი დიდი ხანია ელოდება თქვენს მოვლინებას და თქვენც ამობრწყინდით ჩვენი სულიერი ზეცის კაბადონზე, ეითარცა მთიები. თქვენი, როგორც საქართველოს ეკლესიის პატრიარქის, მსოფლიო ეკლესია-

თა საბჭოს პრეზიდენტად კურთხევა აღგვავსებს საღმრთო სიხარულით და განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ღმერთს ახსოვს ქართველი ხალხი. საქართველო.

მე ვერ შევუდგები პატრიარქის გაწეული ღვაწლის ჩამოთვლას. ეს უკვე მთელი ისტორიაა. მან იმთავითვე დაამყარა კავშირი ჩვენს ინტელიგენციასთან, კულტურის მკვლევარებთან ისე, რომ მუდამაც უფრთხილდებოდა ყოველი მათგანის პოლიტიკურ ყოფას. მისი დალოცვით მადლმოსილნი შეეგებნენ ახალ სინამდვილეს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შორეულ ოცნებაში მყოფ იდეას. ის კი არც ისე შორს ყოფილა და მოვარდა ვითარცა ქარიშხალი.

ამ ორ-სამ წელიწადში ბევრი რამ სასიკეთო გაგკეთდა. ბევრი რამაც წახდა, მაგრამ მთლიანად ხდება და მოხდება ის, რაც უფლის ნებაა. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, გულზე ხელები დავიკრიფოთ და ველოდოთ წყალობას.

პოლიტიკურმა ღელვამ წარმოშვა მრავალი პარტია თუ გაერთიანება. საქართველო აივსო პრეზიდენტებით, თავმჯდომარეებით, თანათავმჯდომარეებით. ჩემს ნაცნობებში იშვიათად მეგულება ვინმე, რაღაცის პრეზიდენტი არ იყოს (ამ სტრიქონების ავტორიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ქვეკლუბის პრეზიდენტია). ოდესღაც ფეხისწვერებზე ადგომით წარმოსათქმელი სიტყვა „პრეზიდენტი“ დაბლა ჩამოვიტანეთ...დღეს ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის ნომერ პირველი პრობლემა ეს გახლავთ ლიდერობის ეთიკა.

მოგეხსენებათ, ყოველი პარტია, რაოდენ წმინდა დროშას არ უნდა აფრიალებდეს. იგი ნებსით თუ უნებლიეთ ჯგუფური ჰეშმარიტების ცოდვას ვერ ასცდება. რამდენი პარტიაცაა, იმდენი ჰეშმარიტებაა. სინამდვილეში ჰეშმარიტება არის მხოლოდ ერთი. გზა აბსოლუტური ჰეშმარიტებისაკენ, ღმერთისაკენ, ხორციელდება ტაძრის გზით.

ჩვენმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ფხიზელი აზრი და ინტერესი შეაგება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლეს. რაც მთავარია, ხალხს გაუჩნდა იმედი, გამოჩნდა გზა. საზოგადოდ ჩვენი პატრიარქი აგრძელებს იმ ღვთისნიერ ქართველ მოღვაწეთა ტრადიციებს, რომლებიც ახლოს იყვნენ ერის ტკივილებთან. ამ ეპისტოლეში ჩვენ, როგორც არასდროს, ისე ვიხილეთ მისი ათრთოლებული გული, ერის ბედზე შემკრთალი და დაფიქრებული ღვთის წარმომადგენელი. ეს წერილი დამაწერინა დიდმა სურვილმა, — ჩვენმა საზოგადოებამ, ახალგაზრდობამ გულისყურით, რწმენით წავიკითხოთ და რწმენით დავუჯეროთ იმ ადამიანს, რომლის ცხოვრებისა და ფიქრის წესი აღემატება ყოველგვარ საერო ტალანტს. ვის დავუჯეროთ? აი, ბატონო, ვის უნდა დაუჯეროთ ყველამ — ჩვენ

მოკვდავებმა და იმათაც, ვისაც აქვს პრეტენზია ერი წაიყვანონ მწვერვალისაკენ და არ გადაჩეხონ უფსკრულში.

ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ჩვენი ერის წინაშე დიდი პრობლემები დგას. მდგომარეობა რთულდება და უარესდება იმითაც, რომ ქართველთა შორის არ არის თანხმობა, მეტიც, ხშირად მტრობაა, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფონზე".

არ მეგულება ადამიანი, ვისაც სხვა აზრი ჰქონდეს. ჩვენში რომ ღრმად იყოს ღვთის რწმენა, მაშინ ხომ მოვერეოდით საკუთარ თავს. მაშინ არ გვეყოლებოდა ჩვენსავე გულებში დაბუდებული ერის მტერი სატანა. გარეშე მტრები არ გვაკლია, მათი დანახვა უფრო ადვილია. მაგრამ ხშირად შორს მიმართული მუშტებით, მტრის მარტო გარეთ დალანდვა, აქაური, ჩვენეული სიგლახის დაფარვის ხელოვნებაცაა. ყველაზე საშიში მტერი ჩვენშია, ის თუ დავძლიეთ, ქვეყანა გადარჩება, თუ მე ჩემი სახელისა თუ თანამდებობისათვის ვითავისუფლებ საქართველოს, ესაა ჩემი ქვეყნის დაპყრობა-დაბეჩავების ცნობილი ფორმა. არამარტო გადამთიელი იმონებდა ხალხს. გამოვარკვიოთ ვიდრე სხვა გაგვირკვევდეს — ჩემი თავი მიყვარს საქართველოსათვის თუ საქართველო მიყვარს ჩემი ინტერესებისათვის. არავის არ ჰქონდეს იმედი — დროს თვალს ავუხვევ.პატრიარქის მიერ დანახულ სინამდვილეს ღრმად უნდა ჩაეუფიქრდეთ. საზოგადოდ, ჰეშმარიტად მორწმუნე ადამიანი პატრიარქის აზრს იღებს არა კრიტიკულად, არამედ რწმენით. შეიძლება აკრიტიკო მეცნიერებისა თუ სახელმწიფოს პრეზიდენტი, ნებისმიერი თეორეტიკოსი, მაგრამ ჩვენი სამწყსოს მწყემსი კეთილი ლაპარაკობს ღვთის სახელით, ვისაც ეს ეპისტოლე წაუკითხავს ან წაიკითხავს, არ შეიძლება აღმოჩნდეს ქართველი — იქნება იგი მორწმუნე ქრისტიანი, ათეისტი, კომუნისტი თუ მუსულმანი ქართველი, რომ მასში ზნეობრივად რაიმე მიუღებელი ნახოს.არ ვაძალებ ათეისტს (ან რა უფლება მაქვს ირწმუნოს ღმერთი, არც მაპმადიან ქართველს ვაძალებ მიიღოს ქრისტიანობა). ეს მისი ნებაა. ჩვენი პატრიარქი, როგორც მამა არ არჩევს შვილებს სიყვარულით, ყველა ქართველს ქართველად თვლის.

მინდა გულისყური მიგაპყრობინოთ პასუხისმგებლობის საკითხზე. ძალიან ვთხოვ ჩვენს პრესას, ჩვენს საზოგადოებას ხშირად შეავწუხოთ ის სიტყვა — პასუხისმგებლობა. ჩვენ მას ენერგიულად ვეუღლით გვერდს ყველა რთულ სიტუაციაში, თუ გრძნობ უკანდასახევ გზას, — ყველაფერი დააბრალო სხვას და არფერი თავს. მაშინ, რასაც გინდა იმას იტყვი და არა იმას, რაც სჭირდება ერს. ეროვნულ-პოლიტიკურ ბრძოლაში იყო და არ ფრთხილობდე — ეს ნიშნავს, რომ არა გაქვს პასუხისმგებლობა. ეს წარმოშობს მძიმე შეცოდებას. მოგეხსენებათ, ზოგჯერ ერთ პროვოკატორს შეუძლია დაგღუპოს,

როცა ათასი გენიოსი ვერ აგაშენებს. მიტინგებზე რამდენიმე გზის მესმა უცნობი ორატორებისაგან მწარე გაკილვა იმ „ლაჩრებისა“ რომლებიც გონიერებისა და სიფრთხილისაკენ მოწოდებებით რაღაც-რაღაცეებს გვაპარებენო თურმე. გონერება თურმე ხელს უშლის ეროვნულ საქმეს. თუ ჩვენ გვეშინია იმისა, რომ ჩვენზე იტყვიან მშიშარააო, მართლა მშიშარა ვყოფილვართ. ვინც რა უნდა ისა თქვას, მთავარია მართალი ვიყოთ სინდისისა და ღვთის წინაშე. აქა-იქ კვლავ გრძელდება მოწოდება „სისხლი, სისხლი უნდა დაიღვაროსო!.. ქართველი გმირი ისტორიულად სამსხვერპლოზე გზავნიდა თავის თავს და არა სხვას. ვიმეორებ ამ მწარე ჭეშმარიტებას: ქართველი გმირი თავის თავს გზავნიდა სამსხვერპლოზე და არა სხვას.

უფრო სწორე გზა მგონია, როცა მამული შვილი ხმალს იღებს ხელში, წინ ერთადერთ ძეს წარიმძღვარებს სამშობლოს დასაცავად. ე.ი. თავის სისხლს სთავაზობს მამულს და არა ფანამემამულეებისას. ჩემის მხრივ იგავით გეტყვით სათქმელს: ცხრა მთას იქით ბაყბაყდეისა არ გეშინია, აქვე რომ ფინიამ შეგვიყეფოს, გულზე ხელს ეიტაკებთ ხოლმე. კრემლის კრიტიკისათვის რომ პერსონალურად არავინ ზარალდება, ხომ ხედავთ. დღეს საშიშია ერთმანეთს ვუთხრათ მწარე სიმართლე ღრმა სიყვარულით. ვისი მეშვეობით შეიძლება ვუთხრათ ერთმანეთს ასეთი სიმართლე? აი, ჩვენი ეკლესიის,მისი უწმინდესი და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ ნაჩვენები გზით. არავინ იფიქროს, პატრიარქს ეროვნულ პოლიტიკური მოძრაობის წაძღოლას ვთხოვდეთ... მისი კურთხევით უნდა ამოვშანთოთ გულიდან მძვინვარე შური, მოვერიოთ საკუთარ თავს!

არც ის იფიქროს ვინმემ, ეროვნულ მოძრაობაზე უარი უნდა ვთქვათ და დინებას მივყვეთ. ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობებში. უნდა დაიწყოს ახალი, კონსტრუქციული მოღვაწეობის ეტაპი.

ღმერთსა და ერს შორის არის ღვთიეკურთხეული ეკლესია. თუმცა ეკლესიასაც შეუჩნდნენ მკრეხელი ოპოზიციონერები, სექტანტები, „რასკოლნიკები“. კიდევ ერთი საწუხარი: სად გინახავთ ადამიანი, ვისაც თავის გამოჩენა არ სურდეს. ზოგი თავის არგამოჩენის მცდელობით ცდილობს თავის უკეთ გამოჩენას... მითუმეტეს, ახალგაზრდა, ისიც ქართველი, როგორც მინიმუმი, გენერლობაზე ფიქრობს. ამასთან დაკავშირებით სახარების კიდევ ერთი სიბრძნე მინდა გავხადო აქტიური ფიქრის საგანი. ეს მცნება ჩვენგან თითქმის მივიწყებულია. ყოველ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკური ენებების დროს არ ვახდენთ მის ციტირებას. ღმერთმა ისე მკაცრად დალოცა ლიდერობისაკენ მისწრაფება, რომ იგი წყევლის ზღურბლზეა. შეუსმენელთათვის: „ვინც თქვენ შორის მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს.

და ვისც თქვენს შორის მოისურვებს პირველობას, თქვენს მსახური იქნება. რადგან ძე კაცისა არ მოვიდა რომ სხვები მოსახურის, არამედ რომ სხვებს ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად". (მათე, XX,26-28).

შეიძლება ვისმე წარმოსახვის თვალით მიმოაელოს ისტორიულსა და ჩვენს ახლის მყოფ სტანდარტებს და თქვას, უეჭველობდა ძალმომრეობა და არა ღვთიერჩეულობა. ეს სწორია, მაგრამ ჩვენმა დრომ რომ სულ სხვაგვარად შესძლო ადამიანთა ურთიერთობას, ისიც ხომ ფაქტია. XX საუკუნის პირველ ნახევარში ვიდრე მეორე ათასწლეულის მიმწურსაბოლოს ტირანიების მძვინვარების პერიოდი გახლდათ. ასეა მთელ ქვეყნიერებაზე არამარტო ტოტალიტარული დიქტატურების მსხვრევა ხდის, არამედ ჯგუფური ტირანიებიც მალე ბენილუქსებშიც და ათასწლეულის იმედიც ნუარავის ექნება. თანამედროვე ადამიანმა დაკარგა რივითი მორჩილების ფსიქოლოგიური ყალიბი. იგი თუ დაემორჩილება, ისევ კოლექტიურ ნებას. ამით მე იმას როდი ვამტკიცებ – კაცობრიობას ბედნიერი დემოკრატია ელოდება წინ-თქო. არც ისე კარგი პირი უჩანს უახლოეს მომავალს. ცხადია, არც საზოგადოების გაბრუებისა და აგზნების დროებით ეფექტს უარვყოფ, მაგრამ ამ გზას ბევრი ძველებური ოინი სჭირდება, ახლანდელი დრო კი არაფის შეუხახუნს ნაჭუსს: „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა". (მათე, X, 26). ჩვენს ტირანებს ეს სასაკილოდ არ ეყოფოდათ. მაგრამ საკვირველი და საშფოთარო ის არის, რომ ახლაც ბევრი ოპტიმიზმს ტირანიის დეზებზე. მაგრამ თუ კაცს ოდნავ მაინც აქვს ჩვენი დროისა და სახარების შეხებათა ურთიერთდაახლოების გრძნობა, მიხვდება, რომ სიყალბეს დიდი ხნის პერსპექტივა არა აქვს. მალე იმსხერება სიღმები. ახლა ყველაზე დიდი ეშმაკობა უეშმაკოობაა. თუ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ყოველი წარმომადგენელი მიზნად არ დაისახავს გულმართალობას, არაფერი გამოგვივა. სწორედ ერთიანობის ერთადერთი გარანტია ისაა, ჩვენს სულებში გამეფდეს საერთო ღვთაებრივი სული. სხვა სახე კოსმოლიდაციისა არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმა ნუ ქნას, ასრულდეს გენიალური რუსი მწერლის 120 წლის წინათ თქმული აზრი მკვირე ერების შესახებ: „... ეს სათვისტომოები გამუდმებით ერთმანეთას ჩხუბში, შუღრიანობასა და ინტრიგებში იქნებიან ან რასაკვირველია, რაიმე სერიოზული უბედურების ჟამს ისინი უცილობლად მიმართავენ რუსეთს დახმარებისათვის. რაოდენ არ უნდა ვეუხეშებოდეთ, იქორაობენ და ცილი გვწამონ ჩვენ ევროპის წინაშე, რომელსაც ისინი მაამებლურად დაარწმუნებენ თავიანთ სიყვარულში, მაგრამ ინსტინქტურად ისინი ყოველთვის იგრძნობენ (ცხადია, მხოლოდ უბედურების ჟამს და არა უფრო ადრე), რომ ევროპა ბუნებრივი მტერია მათი ერთიანობისა, იყო და დარჩება ასეთად. და თუ ისინი

არსებობენ ამ ქვეყნად, ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ დგას უზარმაზარი მაგნიტი - რუსეთი, რომელიც დაუბრკოლებლად იზიდავს მათ მთლიანობასა და ერთიანობას" (დოსტოევსკი, Дн. 26,80).

დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური აზროვნება არის არა ნამდვილად პოლიტიკური განსჯა, შესაძლებლობებისა და სასურველობის განსხვავებით, არამედ ესაა შეჯიბრება -ოცნების კოშკის სიმაღლით, ვინ ვის მოუხსნის რეკორდს. ამას მე ვამბობ ჩემს საწინააღმდეგოდ, ყველას ' - ფორმალისა თუ არაფორმალის საწინააღმდეგოდ: ჩვენ ღმერთი მოგვთხოვს პასუხს ერთმანეთის გაბრუებას რომ გამოფხიზლებას ვეძახით. „ინტელიგენცია თავია ერისა" (ვაჟა). ჯერჯერობით ამ თავის მოქმედების მწვავე საჭიროება არ ჩანს.

დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგით ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალი აქცია არათუ ხელს უწყობს მართლა დამოუკიდებლობის მიღწევას, არამედ ხელს უშლის მას; არათუ გვაახლოებს, გვაშორებს მას. ამიტომაცაა, რომ „ე. წ. ინტელიგენცია" დაცინვის საგანიც გახდა. როცა კაცს მცირე სნეულება შეაწუხებს (ვთქვათ სურდო), იგი პოლიკლინიკაში ნებისმიერ თეთრხალათიანს მიმართავს, არ იკითხავს მისი ვითარცა მკურნალის კონდიციას. მაგრამ თუ სამკვდრო სასიცოცხლო სნეულება შეაურვებს, შანხაიდან ჩამოიყვანს ექიმს, ეცოდინება დაწვრილებით მის შესახებ ყოველივე. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რეალური ბრძოლა მირჩევნია თეატრალურ ომს. ეს დამოუკიდებლობა იმიტომ კი არ მენატრება, რომ ტკბილ ცხოვრებას მოგვიტანს. იმიტომ, რომ ჩემს ნებაზე ამოვისუნთქავ — ავად თუ კარგად. როცა ქვეყანა თვითონ არის თავისი თავის უფალი, მაშინ არის იგი ქვეყნიერების ნამდვილი წევრი, მაშინ არის იგი ქვეყანა — პიროვნება. ჩემის რწმენით, ხვალ თუ ზეგ რუსი თავის ფეხით წავა რუსეთში. ძალიან რომ ეხვეწო, არ დარჩება, მას ჩვენზე ნაკლებად არ აწუხებს გამოხრული რუსეთის ბედი. კარგა ხანია რუსული ინტელიგენციის კულუარებში ისმის რუსი ინტელიგენციის დიდი სურვილი დამოუკიდებელი რუსეთის შესახებ. ჩვენ კი ეს ორი წელი თითქმის არაფერი გაგვიკეთებია ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის — რაიმე კონსტრუქციული გზის გამოსანახავად. ეკონომიკური გამოყოფა გადართვა და ეკონომიკური მოგლეჯა საქართველოსა არსებული ვითარებისაგან სულ სხვადასხვა რამაა. ერთია გონების გზა, მეორე — კატასტროფისა. რუსის ჯარი მაშინ უნდა წავიდეს საქართველოდან, როცა ჩემს ჯარს ჩააბარებს საზღვრებს, რუსი და ქართველი გენერლები დაემშვიდობებიან ერთმანეთს. ეს კი მიიღწევა უდიდესი ინტელექტისა, უდიდესი სიბრძნისა და ყველა უნარის ერთობლივი მოქმედების წყალობით, პოლიტიკური ბრძოლის მეშვეობით. „ოკუპანტების" გინება დამოუკიდებელი საქართველოს მისაღწევად არათუ ათხელებს ბორკილებს, ასქელებს მას. ესაა რეალობა! დასავლეთის პოლიტოლოგებმა

ძალიან კარგად იციან სიტყვა იდეალიზმის ღირსება ფილოსოფიაში, მაგრამ ზოგიერთი რესპუბლიკის ლიდერთა მიმართ რომ ამ სიტყვას იყენებენ, მწარე დაცინვა იმალება მასში. პოლიტიკაში იდეალისტიაო, დღეს ისინი რომ ამბობენ, არც მეტი არც ნაკლები ნიშნავს ამ საქმის არაფერი გაეგებათო.

ჩვენს პრესაში აქა-იქ გამოჩნდა „ე. წ. ინტელიგენციის“ წარმომადგენელთა ჭკვიანური და ღრმა წერილები. არავითარი ექო! თუ საღრღნელი არგუმენტი ვერ მოუძებნეთ, ვარჩევთ დუმილის ბოიკოტს. კარგზე, უკეთეს შემთხვევაში, ვდუმვართ. ქართული ინტელიგენცია საოცრად დაჭსაჭსეს. ახლა კი პატრიარქის ეპისტოლეს იმედი მაქვს. თვით პატრიარქს აქვს იმედი, ესაა უველაზე მთავარი: „მე იმედის თვალით ვუყურებ მომავალს. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც 19 მარტს მომხდარი ფაქტი. ამ დღეს იმძლავრა ჩვენში მიძინებულმა სიყვარულმა, შეერთდა დაჭსაჭსული ქართული სული, სინანულის მადლით განიბანა და თანადგომისა და თანაგრძნობის სურვილით აღვსილი ერთგულების ფიცით წარსდგა ღვთის წინაშე სიონის ტაძარში. ღმერთმა ისმინოს მათი, ღმერთმა დალოცოს და შეკრას საქართველო“. როგორ დაეიჯერო, პატრიარქის ეს ეპისტოლე ქართველს ერუანტელს არ მოგვრის, ორ-სამჯერ არ წაიკითხავს და თავისთავს არ ჰკითხავს — აი, მე პირადად რა უნდა გავაკეთოო. ვეუდრები პაველე მოციქულის სულს, ჩვენი ხალხის მიმართ არ აღსრულდეს მისი მკაცრი სიტყვები: „სმენით მოისმენთ და ვერას გაიგებთ, ხედვით დაინახავთ და ვერას იხილავთ.

რადგან გამქისდა ამ ხალხის გული და დაეხშოთ ყური და დაეცვოთ თვალი, რათა არ იხილონ თვალით და არ იგრძნონ ყურით, და რათა არ მოიქცნენ, რომ განვკურნო ისინი“ (მოც. XXVIII, 26-27).

ჩვენი ხალხი შეისმენს ღვთის ხმას, ყოველი ქართველის გულწრფელი ლოცვა ერთად შეერთდება და აგვისრულდება ლოცვა ღვთივკურთხეული ჩვენი პატრიარქისა:

„...ღმერთმა დალოცოს და შეკრას საქართველო“.

12 მაისი, 1990 წელ

ხმად მღალადებლისა...

რა სიტყვის ძალა უნდა გქონდეს, სიკეთისაკენ რომ მოაბრუნო ხალხი? პაველე მოციქული რომ მოვიდეს, მადლს ისევე მძიმედ დათესავს ჩვენში, როგორც წარმართებსა და კერპთაყვანისმცემლებში. ყოველ შემთხვევაში ტაშის გრიალით არ შეეგებებიან არც მაცხოვარს და არცა მოციქულთ. წმიდა სიტყვის მადლი არ ხმაურობს. რა აზრი აქვს ამ სტრიქონებს, მკითხველის ყურთასმენის მიპყრობა რომ სურს? ვიცი ვერას გავხდები, მაგრამ არ შემიძლია გავჩერდე. იქნება

წმიდა წერილის ერთი-ორი ციტატისაკენ შემოვაბრუნო ერთი-ორი მკითხველი, ერთად რომ ვიფიქროთ. ღმერთმა შემინდოს, თუ ვცოდავ, მაგრამ ისიც თქმულა: „...ვისაც შეუძლია სიკეთის ქმნა, მაგრამ არა იქმს, ცოდვილია" (იაკობისა, IV, 17).

ღირს იყვირო ხმაურში, როცა არაფერი ისმის? ვიჭყლიტებით სიმჭიდროვით და ხმა ერთმანეთისათვის ვერ მიგვიწვედენია. ვქადაგებთ თუ ვემუდარებით... ყოველივე რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა". სამი წელია, რაც ჩვენში ეროვნულმა მოძრაობამ გამოიღვიძა. კინაღამ წამცდა სიტყვა გამოიღვიძა-ს ბრჭყალებში ჩასმა.

მოსკოვური ხუმრობა მინდა გაგახსენოთ, ამ ოთხი წლის წინანდელი: „რა უცნაური ხალხი ხართ ქართველები, როცა ყველანი სდუმდნენ, თქვენ ყვიროდით, როცა ყველანი ყვირიან, თქვენ სდუმხართ". ჩვენ თითქმის ყველაზე გვიან დავიწყეთ ეს მოძრაობა. ამ დროს უკვე, რომ მოგენდომებინათ, ვერ დარჩებოდით უძრაველ. ნელ-ნელა გავგულისდით და მთავრობას მუშტით ლაპარაკიც დავუწყეთ. გმირული გამბედაობის იერით. მთავრობა კი საერთოდ არაფრად აგდებს ჩვენს პროტესტსა და ამგვარ გამბედაობას. რას მივაღწიეთ? მივაღწიეთ ქვეყნის ამომგდები იდეოლოგიის დეიდეოლოგიზაციას, ჩამოვყარეთ კერპთა ძეგლები. ვინ მიაღწია? მსოფლიო პროცესების ისტორიული კანონზომიერების აეტორების დაჩემება ძნელია. სამი წელიწადი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე დიდი დროა. რას მიაღწია ჩვენმა მსოფლმხედველობამ? — სევდასა და უიმედობას. აქა-იქ ფერდაკარგული ხმით ისიც კი გაიგონეთ: ამისთანა დამოუკიდებლობა ღმერთმა გვაშოროსო. ასე შეშინებული ქართველი საზოგადოება მე არ მახსოვს. უცხო დამპყრობლებს შინაური დამპყრობლები ენაცვლებიან. შეიქმნა ილუზია, თითქოს ჩვენი პრესა ყველაფერს ბეჭდავს. ყველაფერს ბეჭდავს გარდა მთავარისა. თვალის ახვევის ტექნოლოგია გაფურჩქვნის ფაზაშია. ადამიანს, ვინც ხედება მწარე სიმართლეს, სცხვენია შეიმჩნიოს, მშიშარა ვარო, ამიტომ, იგი იქმნის შეგუების, გარდასახვის განწყობას და აღიფრთოვანებს თავს იმითაც, რაც კარგად იცის, რომ ბოროტებაა. ამგვარი დიქტატურის საქართველო ვისაც სურდეს, მისი იყოს, მე კი ერთი დღეც არ მინდა ვიცოცხლო აგრესიული მონების საქართველოში. რა თქმა უნდა, არც ფეხს მოვიცველი აქედან. ამ სამმა წელიწადმა გვიჩვენა ჩვენი ურწმუნოების, ურჯულოების მძიმე სურათები. 20-30 წლებში ეკლესიის გუმბათზე ასული კომკავშირელი, რომელიც სიამაყით სტეხდა ჯვარს ეკლესიას, არ არის უფრო ცოდვილი, ვიდრე ის, ვინც მანდატები გადაყარა, არც ღმერთი სწამს, მაგრამ პოლიტიკური მიზნით ძალად, ვიღაცის თუ რაღაცის ჯიბრზე, გაუკეთა ეკლესიას ჯვარი. პირველმა არა უწყოდა, რას სჩადიოდა. მეორე ცრუქრისტეს მრევლიდანაა. რატომ არ გვინდა ამაზე მძიმედ და

მწარედ დაეფიქრდეთ. ვის არ გვეხება ეს? საქართველო ვინ აქტიურობით, ვინ გულგრილობით უფსკრულის პირას მივიყვანეთ.

ეკითხულობთ „სახარებას", ვიზეპირებთ ლამაზ მცნებებს, მაგრამ არ გვინდა, მას მიეუპყროთ ჩვენი ცოდვებით სავსე გული. სახარება ჩვენი სულისა და გულის განწმენდისათვის მოგვცა უფალმა. ამ სტრიქონებისათვის პატიებას ვთხოვ უფალს, რამეთუ ვეპოტინები წმიდა და მაღალ მცნებებს, მე, ცოდვებით სავსე ერთი მოკვდავი.. ჩვენ გვჭირდება არა ფსიქიურად აქტიური, არამედ ზნეობრივად და ინტელექტუალურად აქტიური საზოგადოება.

მკითხველო, ნუ მიწყენთ და ჩვენში საკმაოდ დაისადგურა მშიშარობამ. შიშის სინდრომის გამოხატულებაა კოლექტიური დიდგულობა. მრავალრიცხოვნების იმედით დიდგულობა, და ამ სიმრავლის წინაშე შიში. ეს იმიტომ, რომ არ გვეშინია ღმერთის. ღმერთის მოშიში არის უშიშარი კაცთა შორის. „ღმერთის მოშიშ შეშანიკს" არ ეშინია არცა ვარსკვნისა, არცა სპარსეთის შაჰისა. ღვთის შიშის არქონა არის ურჯულოებისა და გადაგვარების ნიშანი. ყველა ბიბლიური საკაცობრიო ტრაგედიის მიზეზი — ესაა ზურგის შექცევა ღვთისადმი. დამნახავი დღეანდელობას დაინახავს „ბიბლიაში". განკითხვის, მეორედ მოსვლის ჟამის გახსენება, მისი ნიშნების შეხსენება აშინებს ადამიანებს. უნდა აშინებდეს, მაგრამ არ აბნევდეს. განკითხვა განუკითხაობას არ უდრის. განკითხვისაკენ მზერის მიპყრობა მოითხოვს საკუთარ სინდისში ჩახედვასა და გაწმენდას. ღმერთის რწმენა სათნოებაში, სიკეთეში ვლინდება. ღმერთს არ სჭირდება აღიარების დეკლარაციები. „მე მწამს ღმერთი" — სიამაყით განაცხადებს ადამიანი, იცის რა, ეს კარგი ტონია. მაგრამ დაიწყებს თუ არა ფიქრს, განსჯას ხშირად ნახავთ საპირისპიროს. ამისთანა რწმენა არც ღმერთს სჭირდება, არც ერს, არც მის განმცხადებელს. ღმერთის რწმენა ნიშნავს, ყოველი შენი გაცხარების, თავდავიწყების ჟამს არ დაგავიწყდეს სიკეთე-სამართლიანობა. ვიცი, ბიბლიიდან დღეანდელ-დღეზე მკაცრი მითითებანი გვაშინებს. უნდა შეგვაშინოს, ძვირფასო მკითხველო, მეც და თქვენც. პაელე მოციქული — „...რაკი იგი სიმართლეზე, თავშეკავებასა და მომავალ განკითხვაზე ლაპარაკობდა, შეშინდა ფელიქსი და თქვა: „ახლა წადი და როცა მოვიცლი, მოგიხმობ შენ".

მახსოვს სოფელში, მოხუცები, წერა-კითხვის თითქმის ძლიეს მცოდნენი, მაგრამ ეკლესიურ ნათელს ზიარებულნი, როცა ერთდროულად რამდენიმე შემზარავ ამბავს გაიგებდნენ, ზნეობის დაცემის გამომხატველს, პირჯვარს გარდაისახავდნენ და შიშით იტყოდნენ, — „ღმერთო, შენ დაგვიფარე, მეორედ მოსვლაა ნამდვილიო". ამგვარი მოვლენები ზნეობრივი გადაგვარების სიმბოლურ პასუხად ესახებოდათ ჩვენს წინაპრებს. ახლა კი ეს უკუღმართი და უნათლო განათლება ხელს გვიშლის დავინახოთ დასანახი, მოვისმინოთ

ძოსასმენი. როცა ქალაქს უბედურება შეემთხვეოდა, მორწმუნე პირჯვარს გადაიწერდა და უფალს პატებას სთხოვდა. ლამაზი იყო ადამიანის სული და სახე მაშინ. 9 აპრილის ტრაგედიამ 21 ადამიანის უმანკო სიცოცხლე იმსხვერპლა. 18 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა შემთხვევითობას, ჩვენს ბედოვლათობასა და უწესრიგობას მამადავითის წმიდა მთის კალთებზე. „...რა გვონიათ, ის თვრამეტი კაცი, რომელთაც სილოამის კოშკი დაეცა და ამოწყვიტა, უფრო დამნაშავენი იყვნენ, ვიდრე ყველა ის ადამიანები, რომლებიც იერუსალიმში მკვიდრობენ? არა, გეუბნებით: თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავე დაიღუპებით (ლუკა 13, 4-5). კარგად იცით, განათლებულნო. მძიმე იყო ხვედრი იერუსალიმისა! ასეთი მასშტაბის უბედურებამ უნდა დაგვაფიქროს. ისე არ ვიფიქროთ, მე თუ ვცოდე, სხვამ შეიძლება ზღოსო. მაშ, რა უნდა ვქნათ? მე მგონი, სახარებას, პირველ ყოვლისა ჩვენი გულები შევუშვიროთ, ღვარძლი, ამპარტავნობა, შური, ქედმაღლობა, სიკეთის წაბილწვის სურვილი, ბოროტების გუნდრუკის კმევა მოვიშალოთ. როგორ, თქვენ რომ ბოროტებას ეძახით, იქნებ მე ის მგონია სიკეთე და პირიქითო შეიძლება გვითხრან. არა, არც ასე გახლავთ. ყოველი ბოროტი აზრის უკან ნებისმიერ გაბოროტებულ ადამიანს ჰყავს შიგნითა ოპონენტი. აი, იმას მეტ ხანს დავუგდოთ ყური. ჩემი ბოროტი გულისთქმის წინააღმდეგ უნდა მეყოს ძალა. რა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მდგომარეობაა ჩვენში? რას ვუსმენთ? „...ზეცით ჩამოსული სიბრძნე, უწინარეს ყოვლისა, წმიდაა და მერე მშვიდი, თვინიერი, მორჩილი, გულმოწყალებითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და პირადპირი" (იაკობისა, 3, 16-17). როგორ ვფიქრობთ, ამგვარ სიბრძნეს დავხარბდებით? აბა გადავაგდოთ ღვარძლისა და შფოთის მარცვალი -- მაშინვე ამობიბინდება. ბოროტების კეთება უფრო ადვილია, ბოროტებას ტრიუმფის ასპარეზი აქვს, მაგრამ გარკვეულ დროში და მწარე ფინალით, ეს არის ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლის მარადიული სქემა.

ადამიანის ცხოვრების საინტერესოობა ის გახლავთ, რომ მან უნდა გაარჩიოს ერთმანეთისაგან ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი – თითქოსდა თავისთავად განსაზღვრული და ადვილსაცნობი. ასეთ ეპოქაში, აპოკალიფსური ეპოქის პრელუდიის ჟამს, ხდება ცნობიერების საოცარი დაბინდვა. ადამიანი ენერგიულდა ადიდებს სატანას, ვითარცა ანგელოზს. ესაა ანტიქრისტესა და ცრუქრისტეს მრევლის ეპოქის ნიშანი. „...ცრუ მოციქულნი, ზაკვის მოქმედნი, ქრისტეს მოციქულთა სახეს იღებენ, თუმცა რა გასაკვირია: თვით სატანაც ხომ სინათლის ანგელოზის სახეს იღებს" (კორინთ. XI, 12-14).

ერთი სასიამოვნო ტენდენცია შეინიშნება. გამოჩნდა დინების საწინააღმდეგო ტენდენცია სიმართლის ერთგულებისათვის. მე მინახავს კეთილშობილური აუდიტორიის წინააღმდეგ გამოსული არამ-

ზადა. მაგრამ მე მინახავს უგნურებით აქაფებული აუდიტორიის წინაშე გამოსული მართლისმთქმელიც. აი, ამისა არ უნდა შეგვეშინდეს. დამცირდები, შეურაცხგყოფენ უგნურნი, რომელთაც უნდა მივუტევოთ. გარეგნული მარცხი, თუ ეს შინაგანი ღვთისნიერი იდეით არის შთაგონებული, უფრო გაგრძნობინებს საღვთო მადლთან მიახლოებას. მოციქული ამბობს: „ამიტომაც ვტკბები უძლურებით, შეურაცხყოფით, გაჭირვებით დევნილობითა და ქრისტეს გამო შევიწროებით, რადგან როცა უძლური ვარ, მაშინა ვარ ძლიერი" (კორინთ. XII, 10). ამ სიტკბოების გაგებას სულის განსპეტაკება სჭირდება.

ჰკითხეთ ნებისმიერ ინტილიგენტს, ახალგაზრდას — ათეისტი ხართო? სასტიკ შეურაცხყოფად მიიღებს, არადა, ასეთი ხშირი ათეიზმი იშვიათად შინახავს. პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა ეროვნული მოძრაობა. რომელი გზით ვიაროთ — დალოცვისა თუ წყეველის გზით, ძმანო ქრისტიანენო? ნათქვამია, წყეველა მაწყევარს უბრუნდებაო. მე კი ასე „დავწყეველიდი" ნებისმიერ წყეველისმოყვარულ ქართველს: ღმერთო, გონს მოიყვანე განაგდე მისგან სატან-თქო.

„გეუდრებიან თქვენ, ძმანო, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, რომ ერთი გქონდეთ ყველას სათქმელი, დუ ნუ იქნება თქვენს შორის განხეთქილება, არამედ განმტკიცებულნი იყავით ერთი გონებით და ერთი აზრით. ვინაიდან მეუწყა თქვენზე, ძმანო ჩემნო, ქლოეს სახლეულთაგან, რომ დავა არის თქვენს შორის" (I კორ., 1. 10-11).

„გაფიცებთ თქვენს უფალს, წაუკითხეთ ეს წერილი ყველა წმიდა ძმას" (I თესალ., IV, 27).

21 ივლისი, 1990 წ.

ვინ არის განათლებული?

მკითხველმა უკვე გაიფიქრა, -- ამ სტატიის ავტორი უცილობლად გულისხმობსო თავის თავს განათლებულთა შორის. ნუ ვიჩქარებთ, ძვირფასო მკითხველო! განათლებულობაზე ნაირ-ნაირი თვალსაზრისი, მაღალ-მაღალი კრიტერიუმებია. ყოველ შემთხვევაში განათლებულობა „ბიბლიოთეკის თაგში გადატანასაც" არ გულისხმობს მხოლოდ. იგი სულის ნათელფენას, ნათელ უნარსა და პოზიციას უნდა გვიელენდეს. განათლებული კაცებით არც ისე ვართ განებიერებულნი.

ქრისტოლოგები ხშირად უსვამენ ხაზს: ქრისტე არ იყოო წიგნიერად განათლებული (ის მხოლოდ ძველი აღთქმის, წმიდა წერილის სიტყვებს იმოწმებს). თორმეტი წლის იესომ იერუსალიმში, ტაძარში

განაცვიფრა მწიგნობარნი. „ყოველ მას მსმენელს აღეტკბა მისი გონება და პასუხი" (ლუკა. 2.47). იესო ღმერთის ძე გახლდათ. შესდგომში მაძის სწორი ღმერთი ქრისტე. ღმერთს არ სჭირდება ადამიანური საშუალებები. წიგნთა აზრების მოშველიება ზეციური ჭეშმარიტებისაკენ აღმავალ კიბეზე ასასვლელად. ღმერთი თვითონ არის გახათლების შინაარსი და მიზანი. ის აღემატება ადამიანურ გასაოცლებულობაზე მაღლა დგას. ეს ჩვენ გვქონდება ბიბლიური წიგნები უკეთ დავინახოთ, უკეთ შევისმინოთ.

ჩვენი საუკუნის ტექნიკურმა საკვირველებამ შეგვაქცინა ილუზია, თითქოს. ჩვენ გაცილებით მაღლა ვდგავართ იმ „სამარცალო" ადამიანებზე, რომელთაც ტელევიზორი არ ესახათ. სასაცილოდ წარმოვიდგენთ მათ მიამიტ გაკვირვებას თანამედროვე კომპიუტერის სილვიასას. ჩვენ მივუახლოვდით ასტრონომიულ ზეცას და დავშორდით სულიერ ზეცას. ადამიანის სულიერი განათლება კატასტროფულად დაეცა. თანამედროვე ადამიანის ფილოსოფიური თუ თეორიული აზროვნების ძალა, სიღრმე თუ სიმაღლე ოდნავადაც ვერ შეედრება სულიერი ზეცის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ბიბლია, საღვთისმეტყველო ლიტერატურა შექმნეს. ასეთი კატასტროფულად ზედაპირულია თანამედროვე ადამიანის წიგნიერება, სულიერობა, მათ შორისაა ქართველი ხალხიც. იგი გაცილებით განათლებული იყო მაშინ, როცა ბევრს ქალაქზე სელისმოწერაც არ შეეძლო უბრალოდ ჯვარს დაუსვამდა. ამას გაკვირვებისათვის არ ვამბობ. მასში უფრო მეტი შინაგანი სიბაღლე იყო. ვიდრე დღევანდელი ამღვრეული და სმაურიანი ინფორმაციებით გამოცლილ ადამიანში. ერთი ქართული თქმულება მინდა გაგახსენო: თავადთან ორი მოშჩვანი გლეხი მივიდა. მე ამას ფული ვასესხე და მიბრუნებსო. ამბობდა ერთი, მეორე კი პირიქით ამტკიცებდა თავადს უთხრა: აი, ამ ეკლესიას ორივემ ხმერე შემოუარეთ და მერე ჩემთან მოდითო. პირჯვრის წერით ერთი წრის შემოცლის შემდეგ. ერთ-ერთი მათგანი მივიდა თავადთან და ალიარა. მე შეველოდე. აი, იმ გლეხში სინდისმა გაიღვიძა, გაიღვიძა ღმერთისადმი შიშით. ჩვენ, ცხადია, დღეს აღარ ვართ ასე „მიამიტნი". იმ გლეხმა არ იცოდა ჰეგელის აზრი: ადამიანი, რომელიც თავის თავში ვერ ხედავს თავის თავზე მეტს, ის პირუტყვულ ეგოიზმში იძირებაო. ჩვენ ვიცით ჰეგელის აზრი, მაგრამ ხშირად არად ვაგდებთ მას. განათლების მიზანი კი ის არის, სული და გული გაგვეინათდეს, უკეთესი გავხდეთ, ჭეშმარიტება გვწყუროდეს. ჭეშმარიტებას მივუახლოვდეთ.

კიდევ ერთი ილუზია: ზოგჯერ ასალგაზრდა სიამაყით აცხადებს: მეც ცივილიზებული ადამიანი ვარ და როგორც მინდა ისე მოვიქცევი. ამას აცხადებს ისეთი ტონით, თითქოს ნიშნავდეს მე კულტურის ადამიანი ვარო. მეოცე საუკუნის ინდუსტრიული ცივილიზაციის ცნება არ უდრის კულტურის ცნებას. პირიქით, ფილოსო-

ფოსი შპენგლერი თვლიდა,ასეთი ცივილიზაცია სპობსო კულტურას.

თუ ზნეობის კულტურაზე მიდგება საქმე, ზოგჯერ ასეთ დაპირისპირებასაც ახდენენ: კულტურის ადამიანი არის რჯულზე. წესებზე აღზრდილი ადამიანი (წესიერი), ხოლო ცივილიზებული ეგოისტურ ვნებებზე აღზრდილი. ამიტომ ცივილიზებულობის ამ ფაზას ველურობასაც უწოდებენ. ყოველივე ეს განსაკუთრებით საცოდნელია ჩვენისთანა მინიატურული ქვეყნისათვის. ჩვენთვის რჯულის მიტოვება ქვეყნიერების მიტოვების ეროვნულ საშიშროებას ქმნის. ბევრი უნდა ვიფიქროთ ამაზე.

დაეცა სულიერი განათლება, დაეცა კულტურა, დაეცა ზნეობა. ის, რაც სირცხვილით წვავდა ადმიანს, დღეს მისი შეფასების უნარი დავკარგეთ. როგორი საშინელება იყო ცილისწამება, დაბეზღება, ღალატი, შური... დღეს ბოროტებას ეპითეტებს ვუძებნით. ყოველივე ეს გონების დაბნელებამ, სულის გაღატაკებამ იცის. მერედა საით მივდივართ, რა მოჰყვება ყოველივე ამას? ძლიერნი ამა ქვეყნისანი ფიქრობენ, მე და ჩემს შვილიშვილებს არა გვიშავს რა: „ცხეს ვზი ეგზომ მაღალსა"... არა, სამწუხაროდ, ეს ასე არ იქნების, არავისთვის იქნება სამსჯავრო ტკბილი... არასმქონენი ფიქრობენ, როგორ წაართვან სხვას და როგორ გახდნენ თვითონ მქონენი. ეს იმიტომ, რომ ჩაქრა სულის სინათლე, ზნეობის სინათლე. ვთქვათ, ათეისტი გვეტყვის, რომ იგი არ ცნობს რელიგიურ სამსჯავროს და წუთისოფელს უყურებს ნატურალისტური თვალებით. მაგრამ ამ ურჯულოებით რომ სოფელი არ აშენდება, ამასაც ხომ ყველანი ვგრძნობთ: 1969 წელს, მოსკოვში, ლექცია წაგვიკითხა მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა შჩოლოკოვმა. სხვათა შორის, ერუდირებული და კარგი მოსაუბრე კაცი იყო. მე მის ცოდვებზე აღარას ვამბობ, ეს ქვეყანამ იცის. თემა იყო სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ გადასვლის გზები (მიახლოებით). ორ საათში დაგვანახვა, თუ როგორ დავაშორებულვართ სოციალიზმს უკუსვლით. საჰმელ-სასმელზე ქურდობა-დატაცების ზრდის დიაგრამას რომ არჩევდა, თქვა: ყველა ადამიანს მილიციელს ხომ ვერ მიუჩენ. ან რა შეუძლია მილიციელს? უწინ კაცი ეკლესიაში რომ შედიოდა, სანთელს დაანთებდა, ღმერთის ეშინოდა და არ იპარავდა... დარბაზში სიცილი რომ გაისმა, შეშინდა მილიციის მინისტრი და მოუბოდიშა ზურგს უკან აქტიურად მზირალ ლენინის პორტრეტს...

ერთია ინდივიდუმის განათლების საკითხი, მეორე — ხალხისა. ცალკეული პიროვნებები შეიძლება განათლებული იყვნენ, ხალხი კი ბრბოდ იქცეს, თუ მათ შორის, ადამიანებს შორის, სულიწმიდა არ ჩადგა, საქმეს არ ეშველება. ურელიგიო ხალხი ვერასოდეს მიაღწევს სულიერ ერთიანობას. თუ კაცს თავისი შვილის სიყვარულის გულწრფელობით მაინც არ ეფიცება ღმერთი (ცხადია, მორწმუნეს ყველასა და ყველაფერზე მეტად უყვარს ღმერთი). მაშინ იქ საერთო

დასაფიცი არ არის და ასეთი ადამიანებისაგან საზოგადოება ვერ შეიქმნება. თუ ადამიანი ვერ ერევა საკუთარ თავს, თავის ეგოიზმს — ისეთი ერთეულებისგან კეთილი სიმრავლე არ შეიქმნება. თუ ადამიანს თავისი თავი სამშობლოზე მეტად უყვარს, ყოფნა-არყოფნის ჟამს, ასეთი ადამიანი სამშობლოს უცილობელი მოღალატეა. ჩვენი დროის საცნაურმყოფელობა ასეთია: ყველანი გავდივართ საღრმთო ატესტაციას ისე, რომ არ ეიცით – ეს რომ უკვე დაწყებულია. ჩვენი გამოცდა-განსაცდელი დაწყებულია. ყველანი გამოვევლინდებით, თანაც დროის გაცილებით მოკლე მონაკვეთში.

უტვინოდ მიღებული თავისუფლება რომ თავისუფლება არ არის, ამას ენციკლოპედიების ქექვა არ სჭირდება. ხალხი რომ თავის თავს მოუწყობს ბლოკადას, ეს ხომ იშვიათი უბედურებაა. არანაკლებია კიდევ ის, რომ ამის შესახებ კამათი გაიმართება. ბევრი მეზობელი ხალხი ლამის გადაეიმტერეთ. მაგრამ ჩვენთვის რომ რომელიმე მათგანს გზები დაერბია, გეკითხებით, უფრო დიდი მტერი გვეყოლებოდა? მაშასადამე, პირველი მტერი საკუთარი უგუნურებაა. ეს იმ ხალხს ემართება სამსჯავროს წინ, რომელსაც სიმართლისათვის ზურგი შეუქცევია. მსჯელობს და ასაღებს ჰეშმარიტებად იმას, რაც მას მოეპრიანება ან აუჩემებია. ცოდვის ქვეშ ყოფნას მადლის ქვეშ ყოფნა სჯობია.

ცოდვის ქვეშ მყოფი ხალხის სურათს ასე გვიხატავს პაველე მოციქული:

მათი ხორხი ღია სამარეა: ენებით ცრუობენ: მათ ბაგეებზე ასპიტის გესლია.

მათი პირი წყველით და გესლით არის სავსე.

მათი ფეხები სწრაფი არიან სისხლის დასაღვრელად.

ნგრევა და უბედურებაა მათ გზებზე.

და მშვიდობის გზა არ იციან.

მათ თავლწინ ღმერთის შიში არ არის.

(რომაელთა მიმართ, 3, 13-18). რა საღრმთო ლოგიკაა ხალხის ასეთი ჰკუაარევის ფაქტში? ნუთუ არ შეიძლება ვეძებოთ რაიმე სასიკეთო თუ ეს მხოლოდ ღმერთის რისხვაა? არა, აქ არის საღმრთო დიალექტიკა, აქვს მას კეთილი მხარეც. ერთ ადგილს კიდევ შეგახსენებთ „სახარებიდან“, ნათლად რომ ითქვას სათქმელი „პირველად მოსე ამბობს: მე გავაღვიძებ თქვენში შურს არა-ხალხით, გაგაღიზიანებთ უგუნური ხალხით. ხოლო ესაია გაბედულად ამბობს: მიპოვეს მათ, ვინც არ მეძებდა; გამოვეცხადე მათ, ვინც არ მკითხულობდა“ (რომაელთა, 11, 19-20).

მივაქციოთ ყურადღება ძველი და ახალი აღთქმის ამ საერთო ჰეშმარიტებას, მოსეს ღვთაებრივ ჰკუას: „გაგაღიზიანებთ უგუნური ხალხით“. მართლაც, გონიერმა კაცმა რა უნდა ქნას, რა უნდა თქვას, როცა უგუნური ხალხი უგუნურობს? შეუერთდეს უგნურე-

ბას?! არა, აი, მაშინ მოიქცევით ისე, როგორც იქცევა ჩვეულებრივი ნორმალური ქრისტიანი, რომელსაც მივიწყებული ჰყავდა ღმერთი, რომელშიც მიძინებული იყო ხმა ღვთისა. „ღმერთო შენ დაიფარე ამდენი უგუნური“ .– ამას ამბობს უკვე გააქტიურებული გონიერი ადამიანი. ალბათ, ხშირად გვინახავს ასეთი სურათი. აი, ამიტომ ამბობს ესაია: „მიპოვეს მათ, ვინც არ მეძებდა, გამოვეცხადე მათ, ვინც არ მკითხულობდა“.

სიმართლის არდანახვის ახლანდელი ვინი დიდ უბედურებას დაგვატეხს თავს. მაგრამ იმ უბედურების შემდეგ, განსხვავებით 9 აპრილის ტრაგედიის გააზრებისაგან, სხვაგვარად, სულ სხვაგვარად დავფიქრდებით. მაგრამ მანამდე მისასვლელი გზა მეტისმეტად მძიმეა. ამას არც წინასწარმეტყველი სჭირდება და არც მეცნიერი პროგნოზისტი. მე ვთხოვ ჩვენს პუბლიცისტებს, უფრო რეალურად შეეხედოთ ჩვენს დაშინებულ აზროვნებას, რაც კარგად ჩანს ჩვენს საერთო ფსიქოლოგიურ ტენდენციებში. კერძოდ, ქართველი ხალხის მტერი სულ სხვაგანაა. ბევრჯერ მითქვამს, -- ცხრა მთას იქით ბაყბაყდევისა არ გვეშინია, აქ კი ფინიას შეყეფება გვიხეთქავს გულს. მე ვგულისხმობ ქართველი ხალხის ნომერ პირველ მტერს, საკუთარ უგუნურებასა და სიცრუეს, რაც უფსკრულისაკენ მიაქანებს ჩვენს ხალხს.

ბავშვობის მეგობარი შემხვდა, ღრმად ჩაფიქრებული, ვკითხე სევდის მიზეზი.

— იცი რა, ხომ გახსოვს ჩვენი სოფლის ბიჭები რომ ჯურუყვეთლებს შეეხვდით საჩხუბრად და ცხვირ-პირი ვამტვრიეთ ერთმანეთს?

— კი მახსოვს!

— ჰოდა, ახლა მიეხვედი, რომ ის ჩხუბი კრემლის მიერ იყო ინსპირირებული... ხუმრობა იქით იყოს, კრემლს თავისი ცოდვები ეყოფა, ინსპირირებაც კარგად იცის და უარესიც, მაგრამ მე არ მიმაჩნია ვაჟკაცობად, საკუთარი სიგლახის დაფარვისთვისაც რომ ყველაფერს სხვას ვაბრალებთ. ყველანი ვცოდავთ, როცა სრული სიმართლის აუცილებლობაა და ნახევარსიმართლეს ვამბობთ. ერთადერთი გზა, ინტელიგენციის მამაცური მიზანი არის ხალხს ეუთხრათ მწარე სიმართლე, „არ გვინდა ტაში“. თუ ვინმე კითხულობს ამ წერილს, ამ წუთს, ალბათ იფიქრებს; დალოცვილო, სხვებს რომ მოუწოდებ, შენ, რა, — ამბობ სრულ სიმართლეს? არა, ვერ ვამბობ. მაგრამ მომეცით ტრიბუნა და ვიტყვი. ამაზე უფრო დაკონკრეტება ჩვენი ახლანდელი სულიერ-პოლიტიკური რეალობისა იმას ნიშანავს, რომ ეს წერილი არ დაიბეჭდება. მე რედაქტორებს ვერ დავაყენებ ხათაბალის წინაშე.

ჯერ კიდევ ყავლგაუსვლელი ილეთია: ქართველმა უნდა ვაქოთ ქართველები და საქართველო, თუ გვინდა პატრიოტის შთაბეჭდილება შეექმნათ. ამას, თქვენ წარმოიდგინეთ, საქმიან პატრიოტიზმზე

მეტი გასავალიც აქვს. ვინ გაზომავს პროფესორ სერგი დანელიას მეცნიერული აზრის, პედაგოგიური მადლის პატრიოტულ ხვედრს საქართველოსათვის? აი, ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელსაც სიცოცხლე მოუშხამეს მედროვეებმა, თვით სამეცნიერო ინტელიგენციაში მოკალათებულმა თაღლითებმა, ხალხის ბრბოდ მქცეველებმა, რომლებიც როგორ ფიქრობთ, ვერ აღწევდნენ ბრბოზე სასურველ ეფექტს?... რომ, თურმე, პროფესორი სერგი დანელია არაპატრიოტია, თვითონ კი, ჭრისტეს ფეხის მკვნეტელნი, მედიდურ პატრიოტებად ბუმბერაზობდნენ ხალხის სახელით, მშრომელთა კოლექტიეების სახელით ხდებოდა ნათელ პიროვნებათა გაშავება. ეს საკითხი სხვა დროისათვის! ახლა ბატონ სერგის, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულსა და ამიტომ მისი ხალხის რიგი სიგლახით გაგულისებულ ბატონ სერგის მოვუსმინოთ:

„ყველამ ვიცით, რომ ქართველი ინდივიდუალისტია. ის განაპირების, გამიჯვნის ან გაყრის მოტრფიალეა. როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავთ ქართულ მწერლობაში (გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე). მას უყვარს გაპიროვნება, თუმცა პიროვნებად ქცევა მაინც უჭირს, მას უყვარს სახელი, თუმცა სახელის შეძენა მისთვის ძნელია.

... ყველა თავისი პირადობისაკენ მიიწევდა და ერთი საზოგადო მიზანი არ ჩანდა. არ იყო ერი, რადგან გვარმა ვერ დათმო თავი. დღესაც ქართველისათვის კაცი თავდება იქ, სადაც თავდება მისი გვარი, ე.ი. ნათესავ-მოყვრობით მასთან შეკრულ ადამიანთა ჯგუფი. ვინც ჩვენი ნათესავი არ არის, მას ჩვენ კაცად არ ვთვლით.

არსად სენიორალური რეჟიმი არ იყო ისეთი სასტიკი, ისეთი უსულ-გულო, როგორც საქართველოში; ყმებს ყიდდნენ, როგორც ღორებს. სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველი ქალები თათრების ჰარამხანებში სევდისგან ჰკნებოდნენ. და ყველა ეს ცოდვა საქართველოს ხალხის სახელით ფიქრობდნენ გაემართლებინათ. მაგრამ მხოლოდ ცრემლზე და სისხლზე აშენებული ციხე მუდამ ინგრეოდა. ლეგენდა ტყუის, რომ ციხე აშენდაო...“ (ს. დანელია, ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, 1927, გვ. 82, 84, 85).

თუ როგორ გრძნობდა, თუ როგორ იცოდა ბატონმა სერგიმ ქართველი ერის დიდი სულიერი პოტენციალი, ამისათვის მისი ბრწყინვალე ნაშრომები გაიხსენეთ, ხოლო ზემოთ მოტანილი გაგულისებული სიტყვები, ჩვენი ხალხის მანკიერებათა განსაკურნებლად მხილებული თვისებები — დემაგოგებს ხელსაყრელ მასალად არ გამოადგებათ. დღევანდელმა ჩვენმა ეროვნულმა მღელვარებამ ბევრი სავალალო თვისება ამოაფრქვია. მას აშკარად აკლია ჭეშმარიტად ძირეული, სუბსტანციურად ქართული კეთილშობილება. ეროვნული მოძრაობის ფორმებს — მასთან დაკავშირებულ ლექსიკონს — დამთავრებულს საუბრის ტონითა თუ ჟესტიკულაციით საკმაოდ უვარ-

გისი იმპორტის სახე აქვს. დროა, ქართულად დაველაპარაკოთ ერთმანეთს, ქართულად ვიტიროთ და ქართულად ვიცინოთ.

ნათელს მოკლებული ცოდნა, უნათელო განათლება, არ არის ჰეშმარიტი და იგი სატანას ემსახურება. დღეს ჩვენი მიზანი არის ერის გადარჩენა ჩვენივე უმეცრებისაგან. ჩვენს ხალხს დღეს არა აქვს სწორი ინფორმაცია და ამიტომაც არა გვაქვს სწორი ორიენტაცია — ხშირად, გვგონია, ვებრძვით საქართველოს მტრებს, თურმე, შედეგის მიხედვით, ვებრძვით თვით საქართველოს. ხალხი, რომელიც ხელებს ასავსავებს, — არ მინდა ვიცოდე სიმართლეო, — იმ ხალხის საქმე ვერ არის კარგად. თუ არ ვიცით სად იწამლება ერის მასაზრდოებელი წყარო, ვერ გადაეარჩენთ წყაროს... ნათქვამია, იუპიტერი რომ მოიძულებდა ხალხს — მტერს და მოყვარეს აურევდაო. ყველა ვისაც პრეტენზია გვაქვს თავს პიროვნებად ვთვლიდეთ, ვალდებულნი ვართ უარი ვთქვათ სიჯიუტეზე. ჯიუტი ადამიანი ვერასოდეს იქნება პრინციპული.

პრინციპული ადამიანი იდეის მსახურია, სიმართლეს თავის სურვილზე მაღლა აყენებს. ტვინი იმიტომ მოგვცა ღმერთმა რომ ავი და კარგი გავარჩიოთ; თუ არ გვინდა გავარჩიოთ, მაშინ ტვინი სულ არაა საჭირო.

ყოველ ადამინს, ვინც მიტინგზე გამოდის სიტყვით თუ სტატიას სწერს ერის საჭირბოროტო საკითხზე, ნებსით თუ უნებლიედ პრეტენზიები აქვს. ამიტომ ყველანი უნდა წარვდგეთ სინათლის შუქზე და გაევსინჯოთ ჰეშმარიტების რენტგენს. თუ არა, მერე, ძალად რომ გაგვსინჯავენ არ ჩავეარდებით კარგ ღეშში. სამსჯავრო, სასამარლო კი კარს მოგვადგა: „სასამართლო კი არის, რომ სინათლე მოვიდა ქვეყნირებაზე და ადმიანებმა სინათლეზე მეტად შეიყვარეს სიბნელე. ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმენი. ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს სინათლე და არ მიდის სინათლესთან, რომ არ იქნეს მხილებული მისი საქმენი.

ხოლო ჰეშმარიტების მქნელი სინათლისაკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმენი, ღმერთში რომ არის ქმნილი". (იოანე. 3, 19-21).

აი, როგორ დაგეყურებს თავზე სახარება. ყველა ჩვენი ცოდვამადლი რომ ზეპირად იცის. ღმერთმა დაგვიფაროს, უფლებამოსილად თქვას, ვინმემ ჩვენზე — მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო. ერთს მაგრად რომ შეგვანჯღრევს ღმერთი, მერე უფრო ხშირად შეეკითხებით წმიდა წერილს, მერე უფრო ტრაგიკული იქნება ჩვენი ვედრება „უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ!". შეგვიწყალებს, ალბათ,. თუ ჩვენს ცოდვებს მოგვიტევებს. ღმერთო, დაგვიფარე!

11 აგვისტო, 1990 წ.

— რა მოხდება ხვალ? — ეკითხება რუსი თავადი გრძნეულს.

— ხვალ მე სასწაულებს მოვახდენ! — უპასუხებს გრძნეული.

თავადმა ხმალი იძრო და თავი მოჰკვეთა გრძნეულს“ — „მოახდინე სასწაულები!“. რა მოხდება ხვალ — ეს იცის მხოლოდ ღმერთმა. თავდაჯერებული გულთმისნობა არ უყვარს უფალს. ღმერთს ყველაფრის ახსნის ნება არ მიუცია ადამიანისათვის. ჩვენ არ ვიცით, როდის, რა დღეს, რა საათს უნდა მოვკვდეთ. არც ის ვიცით, როდის უნდა იყოს ქვეყნის აღსასრული. ეს იცის მხოლოდ ღმერთმა და არ იციან თვით ღვთით რჩეულმა ადამიანებმაც კი. როცა იესო ქრისტე ზეთისხილის მთაზე იჯდა. მიუახლოვდნენ მას მოწაფეები და უთხრეს: „გვითხარი, როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის ნიშანი?“ (მათე, 24,3).

„...იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის, არც ზეცდურმა ანგელოზებმა, არც ძემ. არამედ მხოლოდ მამამ“ (მათე, 24, 36). „ამიტომ ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი“ (მათე, 24,42).

უფლის მეორედ მოსვლის სურათი საშინელი სამსჯავროა ქვეყნის განსჯისა და დასჯისა. ამ სურათებს ქვემოთ გავიხსენებთ. რა თქმა უნდა, შიშის გარეშე მისი წაკითხვა-მოსმენა შეუძლებელია. თანაც ეს არაა ჩვეულებრივი შიში, იგი სხვაგვარი, დიდი შიშის განცდას გვგვრის. მაგრამ თეოლოგებთათვის აპოკალიფსის წიგნი, ბოლო ჟამის წიგნი არის ნათელი, ოპტიმისტური წიგნი.

ხელოვნების მეშვეობით, ხშირად აპოკალიფსი გაგებულია პესიმისტურად როგორც მხოლოდ განადგურება, არ იძლევა იმედის სხივს. ეს კი იწვევს გულგატეხილობას, ხელჩაქნეულობას. მიუხედავად აპოკალიფსური საშინელებისა — ეს გახლავთ განკითხვა და არა განუკითხაობა. გადარჩება განახლებული კაცობრიობა განწმენდილი ნაწილი კაცობრიობისა. ამ საკითხზე მოსაუბრე ავტორებმა სხვები კი არა, ჯერ თავი უნდა შევიშინოთ, ერთად ვიფიქროთ, ერთად ვიტანჯოთ და მონანიების ცნების ქვეშ დიდხანს გავჩერდეთ. არ კმარა წამიერი ვედრება — ღმერთო მაპატიე... და შემდეგ ვედრება სავსეა წუალობისა და მადლის დაუმსახურებელი გამოთხოვნით.

გოეთე ამბობდა: არ არსებობს ბოროტება,ჩემში რომ არ იყოსო. ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ გოეთეს თავი ბოროტ ადამიანად მიაჩნდა. არა, ადამიანის ბუნებაში სიკეთეც ძევს და ბოროტებაც. ჩვენ კი გვყავს ადამიანები დახარისხებულნი ბოროტებად და კეთილებად. ბოროტებისაგან სრულიად განწმენდილი ადამიანი წმინდანია მხოლოდ. ამიტომაც ლოცულობს, ფხიზლობს მორწმუნე სული, არ გაძლიერდეს მასში სატანა. სულს ფხიზელი მწყემსვა სჭირდება. „...და

თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც ქურდი და ვერ გაიგებ, რა დროს მოგივალ" (გამოცხ. 3,3).

წიგნსა და ცხოვრებას შორის მანძილი ასე არ შემცირებულა, ალბათ საუკუნეების განმავლობაში. დღეს, როგორც არასდროს, ისე მიველტვით ბიბლიას და გვინდა გავიგოთ ხსნის გზა. ამ წიგნს ჩვენ დღეს ერუდიციის მამშვენებელ ფენომენად როდი მივიჩნევთ. არ არის უფრო ჰეშმარიტი პასუხი არსად. მაგრამ ბიბლიაში გამზადებული პასუხი საღმრთო საიდუმლოებაზე არ გეხვედება. ამ ცოდვილი წუთისოფლის ცდუნებებს უნდა თავი დავაღწიოთ. თუ გვინდა გადავრჩეთ, ის ღვთაებრივი მცნებანი, ზეპირად რომ ვიცით, მთელს ჩვენს არსებაში უნდა დატრიალდეს.

დღეს ხელოვნებას თუ მეცნიერებას არა აქვს უფრო მწვავე და საინტერესო თემა, ვიდრე თემა აპოკალიფსისა. იგი ერთგვარი მოდური ინტერესის საგანიცაა. მაგარამ ყველაზე მთავარია ადამიანური ინტერესი — ამ წიგნში, ვითარცა სარკეში, დავინახოთ ეპოქა და სული ჩვენი. განსაკუთრებით ამძაფრებს ცნობისწადილს ბედი ხვალინდელი დღისა. თუ ჩვენი ეპოქა აპოკალიფსის ნიშნებს გვაძლევს, უნდა გავფრთხილდეთ ძლიერ, ვეევედროთ უფალს, რათა გვაპატიოს ცოდვები. ღმერთი ბოლო ჟამს განსაცდელს მოუვლენს ხალხს იმიტომ, რომ დავინახოთ ღმერთი. ნებისმიერი ათეისტიც კი უკიდურესი გაჭირვების ჟამს შველას სთხოვს ღმერთს. გაჭირვებისას უფრო ვხედავთ ჩვენს უძლურებას, ჩვენი მედიდურობის ამაოებას, ვგრძნობთ, რომ არსებობს მაღალი და დიადი ძალა, ჩვენი შემეცნებისათვის მიუწვდომელი. ამიტომაც აპოკალიფსის წარმოდგენა-განცდა ერთსა და იმავე დროს არის დაღუპვისა და ხსნის განცდაც. იგია სასამართლო, რომელსაც კეთილად ეგებება მორწმუნე. მორწმუნისათვის სასჯელი ღვთისაგან არის ცოდვის შემსუბუქება, მაგრამ ღვთის სასჯელი ორგვარია. თუ ღვთისაგან სასჯელი არის ვითარცა სასჯელი მამისა შვილზე, მაშინ უფალს ვუყვარვართ. მას სისხლის ღვრა, მსხვერპლი მოსდევს. მაგრამ ხალხი გამოდის უღმერთობიდან, უზნეობიდან, განიწმინდება მისი ცოდვილი სული. „ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. აბა, ეშურე და მოინანიე" (გამოცხ.4,19). მაგრამა რისხვა სხვაგვარია ანტიქრისტეს, ცრუქრისტეს მრევლის მიმართ. ესაა ჯოჯოხეთი. მათ სასუფეველი არ ეღირსება. ესაა ორმაგი სიკვდილი. მათ აღდგომა არ უწერიათ. ის ადამიანები სამარადჟამოდ ამოვარდებიან უფლის წიგნიდან, „სიცოცხლის წიგნიდან". ასეთ ცოდვილებს შენდობა რომ არ უხერხდებათ, ცხონება არა აქვთ.

იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება" შექმნილია პირველ საუკუნეში, როდესაც ეგეოსის ზღვის კუნძულზე, პატმოსზე გადასახლებულ იოანეს გამოეცხადა მაცხოვარი. მრავალი ვერსიიდან გაბატონებულია აზრი, რომ ეს იგივე იოანე ზებედეს ძეა, ქრისტეს საყ-

ეარელი მღვაფე და არა სხვა იოანე.

დიდმოწამე მამათა წიგნებში ხშირადაა აღწერილი — როგორ გამოეცხადება უფალი წინასწარმეტყველთ, არა ქალაქსა თუ სოფელში, არამედ ძირითადად უდაბნოში. ღმერთი თვით ირჩევს ვისაც უნდა მოევლინოს. უდაბნოში განაპირებაც იმას ნიშანვს, რომ წუთისოფლის ცოდვილ სამყაროს, კაცთა ცოდვილ ფუსფუსს განარიდებს უფალი. კუნძულ პატმოსზე გამოეცხადა იოანე ღვთისმეტყველს უფალი და უკარნახა, თუ როგორია ჟამი განკითხვისა. ვერანაირი ნიჭიერება, ვერანაირი ძალისხმევა ვერ მიგვაწვდენს იმ საიდუმლოს, რაც ღვთისგან მოდის. ეს პროცესი ჰგავს მუზის მოვლინებას პოეტზე. დაუკითხავად რომ დაეუფლება მას. გამოცხადება (აპოკალიფსი) არის განსაკუთრებული ნათელხილვა. ნათდება ცნობიერება ღვთაებრივი მადლით. ესაა ხილვა შინაგანი ხედვით წარმოსადგენი სიმბოლოებით, გამოცხადება სიტყვით. ყველა შემთხვევაში ესაა კარნახი ზემოდან, აუხსნელი დაუსაბამო წყაროდან. ეს არაა მიწიერი სიბრძნე აზრიდან რომ აზრი გამოგვყავს. ესაა ზესიბრძნე, საიდან გაჩნდა ეს აზრი, აზრის აზრი — მას რომ ვერ მივწვდებით, რაოდენ გულმოდგინედ ფეხის წვერებზე არ უნდა აიწიოს ცნობიერების სწრაფვა მისწვდეს ზეცის ზეცით ზეცას. ეს ზეაღსვლა, მიახლოება უფლის ნებასთან ღვთივ რჩეული ადამიანის მძიმე ტვირთი და მადლია. მაგარამ თვით წმინდანნი, მოციქულნი ხორციელი არსებანია და ამიტომაც ამბობს ღვთისმეტყველება, რომ ადამიანი „წინასწარმეტყველებს მხოლოდ ნაწილობრივ".

შესაძლებლობა იმისა, წინასწარ გაიგო, თუ რა მოხდა, ნიშანვს, რომ ეზიარო ღვთაებრივ სცენარს. რაც ხდება, თურმე ხდება არა შემთხვევით, არამედ წინასწარწერილი კანონებით. ღმერთის მიერ რომ არის ქვეყანა შექმნილი, მის მიერ რომ არის ქვეყნის გეგმა შედგენილი, აი, საამისო საიდუმლოებას ვუახლოვდებით განსაკუთრებით მძიმე აპოკალიფსური ნიშნის ეპოქაში, უფრო ახლოს ვგრძნობთ უფალს.

ძველი კომენტატორებისათვის აპოკალიფსის . რიგი სურათები ზედმეტად სიმბოლური მნიშვნელობისა იყო. ე.ი. სიმბოლოდ აღიქვამდნენ ისეთ სურათებს, რაც ატომური აფეთქების ეპოქაში, ტექნიკური კატასტროფის მრავალნაირი შესაძლებლობების დროს სრუ-

„წინასწარმეტყველი ეზეკიელიც, როცა მან ოთხი ცხოველი იხილა, რომელთაც ოთხ-ოთხი პირისახე ჰქონდათ და თითოეული მათგანი ღმერთის დიდებას განაცხადებდა, არც ქალაქში იმყოფებოდა და არც სოფელში მაშინ, არამედ შორს ადამიანებისგან, უკაცრიელ ველად, რადგანაც. უფალმაც ასე უბრძანა „აღდეგ და განვედ ველად და მუნ ითქვას შენდამიო" (ეზეკ.,3,22) იხ. წმიდა ანტონ დიდი „სწავლანი".51.

ღიად პირადპირ შეიძლება გაიგო. ჩვენ შეიძლება მომწრე ვართ იმისა, რასაც წინასწარმეტყველებდნენ. აპოკალიფსში ხშირია პირდაპირი, სინამდვილეზე აგრესირებული სურათები და შეგონებანი. რამდენიც არ უნდა გაეუფრთხილდეთ ერთმანეთს, აპოკალიფსიდან მკითხველს უნდა შეეახსენოთ ზოგიერთი ასეთი სურათი.

„აიღო ანგელოზმა საცეცხლური, აავსო იგი ცეცხლით სამსხვერპლოდან და ჩამოაგდო დედამიწაზე; და იქმნა ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და მიწისძვრა“ (8, 5)

„მეორე ანგელოზმა დააყუარა საყურის. რაღაც მსგავსი ალმოდებული დიდი მთისა გადმოგდებულ იქნა ზღვაში: და ზღვის მესამედი სისხლად იქცა“ (8, 8).

მკითხველს შეეახსენებთ, რომ აბზინდა ნიშნავს არტემიზიას „ანუ ჩერნობილს“ „ჩერნობილნიკს“ (იხ. ლათინურ-რუსული ლექსიკონი, დალის ლექსიკონი). აბზინდა ახლა შეგეხედება: „მესამე ანგელოზმა დააყუარა საყურის და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით იწეოდა. და ჩაეარდა მდინარეთა მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე.

ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა; და წყლების მესამედი ნაწილი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისაგან, ვინაიდან დამწარდენენ ისინი“ (8, 10-11). ამ სილეის კომენტართან დაკავშირებით საუკუნის დასაწყისში ლოპუხინი მიიჩნეედა, რომ ეგ. ალბათ, მომავალში მოხდებაო. მკითხველს ვერ მოეუბოდიშებ, ამ წმიდა წიგნიდან კიდევ უფრო სასტიკი სურათები რომ უნდა გაეიხსენოთ:

მესუთე ანგელოზმა „გახსნა უფსკრულის ჯურღმული და ამოვარდა კვამლი ჯურღმულიდან, როგორც დიდი ღუმლის კვამლი; და დაბნელდა მზე და ჰაერი ჯურღმულის კვამლისაგან“ (9, 2).

„იმ დღეებში ადამიანები სიკვდილს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ იპოვიან მას; ინატრებენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი გაექცევა მათ“ (9, 6).

„კვამლიდან გამოვიდნენ კალიები დედამიწაზე და მიეცა მათ ძალა, როგორც აქვთ ძალა მიწის მორიელთ“ (9, 3).

„შესახედაობით კალიები წააგავდნენ საომრად გამზადებულ ცხენებს; მათ თავებზე გვირგვინები, მსგავსი ოქროსი, და მათი სახეები, როგორც ადამიანთა სახეები“ (9,9).

„ჰქონდათ ჯაშანი როგორც რკინისა, ხოლო მათი ფრთების ხმა, როგორც გრიალი მრავალი ეტლისა და ცხენისა, საომრად რომ მიიჩქარიან“ (9, 10).

ამგვარ ტექნიკურ ასოციაციებს მრაველად ენახათ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებთან. ეს ხილვები კი ცხარმეტი საუკუნის წინ არის ჩაწერილი.

თანამედროვე ფილოსოფოსები, გლობალურ აპოკალიფსურ სა-

შიშროებას, ხშირ შემთხვევაში, მიაწერენ ტექნიკური ცივილიზაციის უმართაობის დონეს. მართლაც ტექნიკის მეშვეობით კაცობრიობის, მთელი ცივილიზაციის ბედი, გარკვეული აზრით, შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. ე.ი. შემთხვევითობას შეუძლია ქვეყნიერების დაღუპვა. ეს ფაქტი ფაქტია, მაგრამ მთავარი საფრთხე უზნეობიდან მოდის, უღმერთობიდან მოდის. ისტორიამ მრავალი პანიკური განგაში იცის, მეორედ მოსვლის კატასტროფას რომ ელოდნენ უთოფობის ხანაში. ღმერთს დასჯის მრავალი საშუალება მოეპოვება.

აქვს თუ არა აზრი გამოვფხიზლდეთ, გული მივუშვიროთ ღვთის დარიგებას, მოვინანიოთ ცოდვები, მძიმე საქვეყნო ცოდვები? შეისმენს თუ არა ჩვენს გულწრფელ ვედრებას ღმერთი და უკეთესი გაეხდებით თუ არა ჩვენ? აი, წმიდა წიგნები, „აპოკალიფსი" გაფრთხილებაა, იქნება შეგვიწყნარაროს ღმერთმა. ᲣᲦᲛᲔᲠᲗᲝ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲡ. ღმერთი წყალობით ვერ დააჯილდოებს უღმერთოებს. ღმერთი არა მარტო აქტიურ ბოროტმოქმედთ მოკითხავს პასუხს მეორედ მოსვლის ჟამს. იგი მოიცლის ე.წ. ნეიტრალური პიროვნებების მიმართ, ვინც ერთნაირად გულგრილია ბოროტებისა და სიკეთისადმი. ლავდიკიის ეკლესიას მაცხოვარი აუწყებს: „ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი; ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი!

მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ შენ, არც ცივი ხარ, არც ცხელი; ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან" (3.15-16). ერთი ცნობილი თეოლოგი ასეთ კომენტარს უკეთებს ამ სენტენციას: „ეს მშვენიერი სიტყვები მიმართულია არა მხოლოდ ეკლესიის მიმართ, არამედ ცალკეული პიროვნებების მიმართ... ეს სიტყვები ჩვენ ყველამ გამუდმებით უნდა ვიკითხოთ" (А. мень, 3,14-22).

მკითხველს ვთხოვ, განსაკუთრებით დიდხანს იფიქროს ამ „ნელთბილი" ადამიანის შესახებ. თითქოს უცნაურია ღმერთი განურისხდეს ასეთ კაცს, რომელიც თავისთვისაა, არც ბოროტება აწუხებს, არც სიკეთე. ბიბლიიდან კი არაერთგზის ვხედავთ, რომ ღმერთი თავის საყვარელ ხალხს მოუელენს მტარვალს, მაოხრებელს: თავისი ხალხის სისხლსა ღვრის უფლის მიერ გამოგზავნილი სატანა. ეს იმიტომ, რომ ხალხში მიძინებული უღმერთობა გამოაღვიძოს და ღმერთი გაახსენოს, აი, ამ დროს, დიდი ტრაგედიის დროს, ხალხი გონს მოდის, მიხვდება, რომ სიტყვა „ღმერთი" არ არის ცარიელი სიტყვა. მიხვდება, რომ ღმერთის დავიწყებას წუმპეში მიყავს ადამიანები. მაგრამ ეს „ნელ-თბილი" არის ტიპი — საზოგადოება. ეს არ არის გამხელილი სატანა. ეს არის ადამიანებში განაწილებული სატანა, სატანა თითქოს პასიურ მდგომარეობაში. აი, ასეთი ადამიანები ქმნიან საზოგადოებას, ქმნიან საზოგადოებრივ აზრს. ეს არის წამყვანი საზოგადოება, რომელიც ვერ ჰგუობს ბაირონს, პუშკინს, ბარათაშვილს. გალაკტიონს ალუდას, ჯოყოლას... ეს საზოგადოება ვერ

იტანს მაღალ ინდივიდუალობას, პიროვნულ მეობას. მით უფრო ვერ იტანს ღვთისნიერ ინდივიდუალობას. ღმერთი ყოველთვის და ყველას არ უწყობს გამოცდას. მაგრამ დგება ჟამი, როდესაც ადამიანმა უნდა აირჩიოს ან ტანჯვა, ან იოლი გზა (გზა „ნელ-თბილი“ კაცისა). ამჯერად ჩვენ არ ვეხებით უღმერთოდ გააქტიურებულ ბრბოს, აქტიურ სატანურ-რეეოლუციურ ბრბოს. უღმერთოდ აბობოქრებული ხალხი წარღვნაა.

„ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი“. „არც წყალია, არც ღვინო“— ნიშნავს, რომ მას ღვინოც სჯობია და წყალიც. სიმართლის სხვადასხვანაირი შეფარდებითი მნიშვნელობა აქვს „ნელ-თბილ“ ადამიანს და საზოგადოებას. მას ჰყავს ღმერთის თვალში არანამდვილი გმირიც, თუმცა აღიარებული გმირი, სინამდვილეში გმირი — სუროგატი. „ღვთის რჩეული“ და „ხალხის რჩეული“, ერთი და იგივე არაა, ხშირად საპირისპირო ცნებებია. მეორედ მოსვლის ჟამი სხვა სიღრმეს ითხოვს. თუ კაცი ხარ, ნამდვილი უნდა იყო. „თუ სიმართლე და ძალლმომრეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა, სიმართლის მხარეს უნდა დადგე. „ნელ-თბილი“ საზოგადოება ამიტომ მადლობას არ გეტყვის, პირიქით გაგლანძღავს, კიდეც. ამიტომაც არის „ნელ-თბილი“ აპოკალიფსური რისხვის საგანი: „ამოგანთხევ ჩემი პირიდან“. მწარეა ეს გზა და ახალგაზრდობას ვერ მოხიბლავ ტანჯვის გზის არჩევით, მაგრამ ღვთაებრივი სიამოვნების საიდუმლოებას მეტი განათლება სჭირდება. ვისაც ღვთის ცვარი ეპკურება — ბედნიერია, „ნელ-თბილის“ თვალში არამომხიბლელი. რაც არ უნდა მეგობრობით იყოს დაყურსული ეგეთი კაცი, საღრმთო განსაცდელის ჟამს იგი მარტო რჩება. თუ მარტოსულობა არ იგრძნო ადამიანმა, იგი ვერ იგრძნობს ღმერთს. ღმერთს მინდობილი კაცის ცხოვრება ადვილი არაა, მაგრამ ამ ტანჯვას თავისი ხიბლი აქვს, რომლის საიდუმლოებას ჩვენ ადვილად ვერ ეხვდებით. აპოკალიფსი მკაცრად შეგვახსენებს უფლის ნებას — სიცოცხლის მდინარება რომ არ იქცეს გუბე-ჭაობად. საჭლე იყო ცხელი. მხურვალე მდევნელი, მტერი ქრისტიანობისა. მასში სული დუღდა და იგი შეტრიალდა, ვითარცა მხურვალე ქრისტიანი, უდიდესი მოციქული. გულგრილობის ჭაობი კი უიმედოა, მისგან ჰეშმარიტი ქრისტიანი ვერ მოიქცევა.

მკითხველს მინდა გავახსენო გალაკტიონის ლექსი, აპოკალიფსის თემაზე. წინასწარ იმასაც შევახსენებ, რომ აპოკალიფსში არის ოთხი მხედრის, ოთხი ცხენის ხილვა:თეთრი, წითელი, შავი და ფერმიხდილი, მნიშვნელობა ასეთია: თეთრი — იმპერია, წითელი — ომი, შავი — შიმშილი და ფერმიხდილი — სიკვდილი, ამ სიმბოლოებზე საგანგებოდ არ შეეჩერდებით. გალაკტიონის ლექსში შეგხვდებათ „კრეისერების ნაფოტები“ („ამოწყდა ზღვაში სულდგმულთა მესამედი, და ხომალდების მესამედი“ (გამოცხადება 8, 9). პოეტები და წინასწარმეტყველები ტუუპისცალიერთ არიანო — ვიღაცას უთ-

ქვამს. გალაკტიონი საკვირველად ქმნის 1914 წელს ლექსს-ხილვას აპოკალიფსურს „გუბე“.

„ეს მდინარეში შეფითხდა — ეს სისხლის დღენი
უცებ გაწერდა — კოსმიური შეიქმნა გუბე;
აპოკალიპსის გადაიმსხვრა კლდეებზე ცხენი,
ამოეფუტქა ხვეულების უბიდან უბე.
ირეკა ყვითელ ჭაობების ბრმა ზედაპირი,
კრეატურების ნაფოტები, მისი დროშები.
გამორიყული დამხრჩალებით სუნიქავს ნაპირი,
ცოცხალი წარღვნის
უდარდელად გარდამოშშეები.
აშშორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს.
გაიხილვიეთ! შურისგება
არყევს ნიობას —
გადაირღვევა ნაპირები... და გადალეკავს
ძველს, ეხლა მაინც დაღუპვის ღირსს კაცობრიობას...“

თუ კაცობრიობა უღმერთოდ ცხოვრობს, რას ეტყვის ღმერთი „დაღუპვის ღირს კაცობრიობას?“. აი, რა არის „ნელ-თბილი“. ანუ დამყაყებული გუბე. ამიტომაც, გვიგზავნის უფალი რისხვას — რომ განაახლოს ქვეყანა ძველი.

„ნელ-თბილის“ მიმართ არც სატანაა მადლიერი. „ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად თქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: გამოურკვეველი ადამიანებიაო“, არც ეს არიან, არც ისო, ვერ გაიგებ, რა ხალხია, არც ბოგდანია ჭალაქში და არც სელიფანი სოფელშიო“ (მხიარული გამოცოცხლება, ტაში). ასეთი გამოურკვეველ ადამიანებზე და მიღწევებზე აგრეთვე, საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღა, — არც წყალია და არც ღვინო“ (მოწონების შეძახილები, ტაში), „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“ (მოწონების შეძახილები, ტაში). (სტალინი, ლენინის შესახებ. 1953 წ. გვ.83-84).

მეორედ მოსვლის შესახებ უფალი გვაუწყებს: „ახლოა ჟამი“. როგორც თეოლოგებისათვის კარგადაა ცნობილი, ღმერთისეული დროის განზომილება სხვაგვარია. აქ შეიძლება „მალე“ ნიშნავდეს მილიონ წელს. ასე რომ, ღვთაებრივი წამზომი ადამიანური დროის დიდ მასშტაბებს შეიძლება გულისხმობდეს. მაგრამ „გამოცხადება“ გვაძლევს მინიშნებებს — ღვთის სამსჯაროს მოახლოებაზე. ჩვენ ღვთის საიდუმლოებებს ვერ მივწვდებით. ის საიდუმლოებანი, რაც შვიდი ბეჭდით დაბეჭდილ წიგნშია, მისი გახსნა შეუძლია მხოლოდ მაცხოვარს. ის არის ზეწიგნი, ღვთის საიდუმლო წიგნი. თვით ძლიერ ანგელოზს, რომელსაც მარჯვენა ფეხი ზღვაზე დაუბჯენია, მარცხენა კი მიწაზე — ხელთა აქვს მხოლოდ მომცრო წიგნი (გრაგნილი). შვიდი ბეჭდით გასაიდუმლოებული წიგნის ბეჭდის ახსნას, საი-

დუმლოების ახსნას ახდენს ქრისტე, თუ როგორი იქნება მეორედ მოსვლის, სამსჯაროს დადგომის სურათი. მთავარი ნიშანი მეორედ მოსვლის დაწყებისა, მისი პირველი ფაზა, არის ანტიქრისტეს მოსვლა. ღვთისმეტყველი გვთავაზობს გაეისარჯოთ და მივხვდეთ — ვინ არის ის მძვინვარე ანტიქრისტე მხეცის სახით წარმოდგენილი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში მოდის, როგორც კონკრეტული ისტორიული პირი. ამიტომაც ეძიებენ თეოლოგები — ვინ არის იგი — ნერონი, დომიციანე, დიოკლეტიანე თუ სხვები? — ეს ინტერესი განაპირობა იმან, თუ როდის დადგება ის საშინელი სამსჯავრო. იგი კი იწყება ანტიქრისტეს მოსვლის შემდეგ.

„ანტიქრისტე" ორი მნიშვნელობით იხმარება. ერთ შემთხვევაში ეს არის უბრალოდ ღვთის მაგინებელი კაცი თუ ქალი, გნებავთ ჯგუფი ადამიანებისა, კონკრეტულად კი იგი ნიშანს რომელიმე ისტორიულ პირს, რომელიც ან მოსულია, ან უნდა მოვიდეს. ასეთი თეოლოგიური ძიებანი, დაწყებული მეორე საუკუნიდან (წმიდა ირინეი), არ წყდება, ბევრ ისტორიულ პირზე მოისინჯა ანტიქრისტეს აპოკალიფსური შიფრი მოგვიანო პერიოდშიც — ნაპოლეონი, პეტრე დიდი, ჰიტლერი და ა.შ.

რაც შეეხება ლენინს თუ სტალინს, მათ მიმართ, როგორც საზოგადოდ, ღვთისმგმობელ, კომუნისტებზე, ზოგადი მნიშვნელობით, ცხადია, ხშირად გავიგონებთ ამ სიტყვას — „ანტიქრისტე". მაგრამ კონკრეტულ-ისტორიული ნიშნით ჩვენ ასეთ გამოკვლევას ჯერჯერობით არ ვიცნობთ.* ღმერთს პატიებას ვთხოვ და მკითხველს დიდსულოვნებას, თუ ეკადნიერდებით, შეეხედოთ ისტორიულ ანტიქრისტეს აპოკალიფსის „ანტიქრისტეს" ნიშნით.

ისტორიული ანტიქრისტე ნიშნავს ქრისტეს არა უბრალოდ მგმობელს, არამედ დიდი ძალის მჭონე, სატანური ძალის მჭონე ადამიანს, რომელმაც მუსრი გაავლო ქრისტიანებს, მთელი იდეოლოგია შექმნა ქრისტეს გმობის საფუძველზე. ე.ი. ანტიქრისტე ნიშნავს ქრისტეს დიდ მტერს, რომელიც ფორმალური ნიშნით კიდეც ჰგავს ქრისტეს უარყოფითი ნიშნით, ე.ი. ანტიქრისტე იკეთებს ნიღაბს.

ლენინი, ჩვენი აზრით, შეუდარებელია ყველა საძიებელ ისტორიულ ანტიქრისტესთან შედარებით. ლენინის ხელმძღვანელობის პერიოდში, მისი ტირანიის პირობებში, მწერალ ვლადიმერ სოლოუხინის ცნობით, დაიღუპა 15-17 მილიონი ადამიანი, სრულიად რუსეთის 360 ათასიანი სამღვდელოებიდან განადგურდა 320 ათასი ეს არის

* საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ყოველ შემთხვევისათვის შევახსენებთ გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებულ ჩვენს სტატიებს „ანტიქრისტე" (28 ნოემბერი, 1989 წ.), „ჩერნობილი აპოკალიფსში" (8 დეკემბერი, 1989 წ.). „საველე და პაველე" (5 თებერვალი, 1990 წ.)

მსოფლიო ისტორიის სარეკორდო მძვინვარება ანტიქრისტესი. „ვიხილე, ერთი მის თავთაგან თითქოს სასიკვდილოდ იყოს განგმირული, მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა, და განცვიფრდა მთელი დედამიწა და უკან გაედევნა მხეცს". (13,3). კომენტატორები თვლიან, ეს ხილვა ნიშნავს ჭრილობას — იმპერატორისათვის მიყენებულს. ლენინი კაპლანის ქალმა დაჭრა 1918 წლის 30 აგვისტოს.

მაგრამ ლენინი გადარჩა, და ამის შემდეგ თითქმის 6 წელი იცოცხლა. „ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა". (გამოცხადება 13,3). „ნება მიეცა მას, რომ ეომა წმინდანებთან და გაემარჯვა მათზე. და მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე" (13,7). ლენინი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხელმწიფე გახლდათ, რომელმაც ომი წმინდანებთან და გაიმარჯვა მათზე, ამოხოცა 320 ათასი სული სამღვდელოებისა, იესო ქრისტეს ჰყავს წინამორბედი (ნათლისმცემელი), რომელიც გზას აძლევს მაცხოვარს, პირველი აუწყებს ხალხს, რომ მოდის მესია. წინამორბედი არ ნიშანავს მაინცდამაინც ასაკით წინაპარს. ეს არის მისი ნათელმფენელი. მისი უკულმართი ანტიქრისტეული ფორმა ასეთია: ლენინს ჰყავს თავისი გზის დამლოცველი — ხალხს რომ არწმუნებს, — აი, ვის უნდა გაჰყვეს ქვეყანა. ეს არის სტალინი. იგი ქვეყანას დააჩოქებს მის წინაშე და ამით თვითონ იხვეჭს ძალაუფლებას. ლენინი ზღვიდან მოდის, სტალინი — მიწიდან. ზღვაც და მიწაც სატანის სამეუფოა. არც ერთი მოდის ციდან, არც მეორე. ვინც ლენინის ხელმწიფობის პერიოდს გაიხსენებს (1917-1924 წლებში, განსაკუთრებით 1922 წლიდან, როცა სტალინი ხდება პრაქტიკული გამგებელი ქვეყნისა, არ შეიძლება არ გაახსენდეს (აპოკალიფსის მკითხველს) ეს სტრიქონები: მეორე მხეცი, მოქმედებდა პირველი მხეცის მთელი ხელმწიფებით მის წინაშე და აიძულებდა დედამიწას და მის მკვიდრთ თაყვანი ეცათ პირველი მხეცისათვის, რომელსაც განეკურნა სასიკვდილო ჭრილობა. ახდენდა დიდ სასწაულებს, ცეცხლიც კი ჩამოიტანა ციდან დედამიწაზე ადამიანთა წინაშე" (13, 12-13). გაიხსენეთ სტალინის ქება-დიდება პრესაში, როცა ატომური უმბარა იქნა სსრ კავშირში გამოგონებული. იგი აღქმული იქნა, როგორც მისი გენიის დამსახურება.

აპოკალიფსში მნიშვნელოვანია ეკლესიის, ქრისტიანების დევნის ორმოცდაორი თვე (1260 დღე, 3,5 წელი). „მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკნა და დაეგმო ღმერთი. მიეცა მას ხელმწიფება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ" (13,5).

მას შემდეგ (1918 წლის 30 აგვისტოს), როცა ლენინი დაიჭრა, მართალია, ჭრილობა განიკურნა, მაგრამ იგი ხშირად ავადმყოფობდა. 1922 წელს ფაქტიურად იგი ორ თვეს მუშაობდა. არსებითი სხვაობა არ გვექნება, თუ მთლიანად ამ პერიოდს შევუფარდებთ, შევადარებთ ქრისტიანთა დევნის 42 თვეს. ყოველ შემთხვევაში —

სისასტიკით, ეკლესიის შეურაცხების თვალსაზრისით, მსხვერპლის სიმრავლით ვერცერთი, მანამდე დასახელებული ისტორიული იმპერატორი, ანტიქრისტეს სავარაუდო კანდიდატი, ლენინს ვერ შეედრება.

სტალინმა ქვეყანას გააღმერთებინა ლენინი და ლენინიზმი. „ლენინი ცოცხალია", „ლენინი მარად ჩვენთანაა", — ისეთი ფანატიზმით ავრცელებდა კულტს, რომ მართლაც „აცდუნებდა დედამიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომლებიც მიეცა მას მხეცის წინაშე მოსახდენად, და ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება, რომელსაც აქვს ჭრილობა მახვილისაგან და გაცოცხლდა. მიეცა სული მხეცის ხატებისათვის მისაცემად. რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, რომ მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას" (13, 14-15). სწორედ ლენინისადმი კერპთაყვანისცემა და თაყვანისცემის გამო მოკლული იქნა მილიონობით ადამიანი. ქვეყანას მოეფინა „მხეცის ხატება", იგი ლაპარაკობდა თეატრში, კინოში, ფერწერაში, მუსიკაში... იგი აღიბეჭდა ყველგან, ყველაფერზე. სადაც კი გაიხედავდა ადამიანი, ყველგან ამ „მხეცის ხატებას" შეხედავდა. შემთხვევით არ გეგონოთ მისი აღბეჭდვა ფულზე. აი, სულ ახლახან გამოშვებული ფულის ნიშნებიც კი ვერ იშორებს სატანის ნიშანს. იუდეველები აღშფოთებით დახედავდნენ ხოლმე კეისრის დინარს, ეჯაერებოდათ რომაელი დამპყრობლები, მაგრამ რა ექნათ, უფულოდ ვერაფერს იყიდიდნენ.

წმინდა წიგნში უწმინდური ანტიქრისტეს სახელი პირდაპირ არაა მითითებული, მინიშნებულია სახელი მხოლოდ რიცხვით 666. ისტორიული ანტიქრისტეს სახელი თითოეული ასოს შესაბამისი რიცხვით უნდა შეადგენდეს 666. მაგალითად სიტყვა ტიტანი (ბერძ. ტ-ე-ი-ტ-ა-ნ) უდრის 666; ტ-300, ე-3, ი-10, ტ-300, ა-1, ნ-50=666. „დიდი ალბათობაა ის, რომ მომავალი ანტიქრისტეს სახელი იწოდებოდეს ტიტანად. თუმცა მტკიცებას ვერ დავიწყებ, გამოვაცხადო ეს ანტიქრისტეს სახელად".

(Соч. святего Иринея, книга пятая, гл. XXX,3).

ეს სიტყვები 18 საუკუნის წინ დაიწერა. ბევრი. თეოლოგი შეეცადა 666-ით აეხსნა ანტიქრისტეს ვინაობა, მაგრამ ეს არ მოხერხდა და უფრო მნიშვნელოვნად ითვლება სხვა ნიშნები.

ქრისტეს, არ კარგავს რა თავისი ადამიანურ სახელს (იესო), აქვს აგრეთვე მრავალეპითეტოვანი სახელებიც: მესია, კრავი, დავითი ძე ღვთისა, უფალი და ა.შ. ვლადიმერ ილიას-ძე, — ტოვებს რა თავის ნამდვილ გვარს — იწოდება ლენინად. სარგებლობდა ფსევდონიმით: ვ. ილინი. კ.ტულინი. კარპოვი. მეორე მხეციც. ანტიქრისტეს პარტნიორიც, იცვლის თავის გვარს — ჯუღაშვილი და ხდება სტალინი. ისიც სარგებლობდა ფსევდონიმით: სოსელო. კობა. სტალინი, ლენინისაგან განსხვავებით, მრავალ ღირსებასაც ფლობდა. სტალინის

დროს მნიშვნელოვნად შემცირდა ეკლესიის დევნა. ლენინური ინტერნაციონალიზმის აღორძინება ეკლესიის წინააღმდეგ ხრუშჩოვმა სცადა. ცნობილია სტალინის ყველა ომის წინ სრულიად რუსეთის პატრიარქთან შეხვედრისა. სტალინი არცთუ უპირველესწარმტყველი ღამოჩნდა თავისი თავის მიმართ: აი, მე მოვკვდები და თქვენ ერთმანეთს დაჰპამთ, ძალაუფლებისთვის დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებისათვის. იბრძოლებთ ყველაფერის გაღაფასებისათვის, რაც კი გაკეთებულა. ყველა ცოდვას მე დამაბრალებთ და სანაგვეზე გადამაგდებთ. მაგრამ ისტორია ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს".

ანტიქრისტე, როგორც ითქვა, მით უფრო მკაფიოდ გვიმჟღავნებს საძიებელ ნიშნებს, რაც უფრო მეტად მტერია და ფორმალური ნიშნით მსგავსიც ღვთის სახებასა თუ მოქმედებასთან. ანტიქრისტეს დედა, ისევე, როგორც ქრისტესი იუდეველი უნდა იყოს. ლენინის დედა იუდეველი გახლდათ. და, რაც მთავარია, მართლა საკვირველებაა, ანტიქრისტეს დედას ერქვა ქრისტეს დედის სახელი. მარია ბლანკი გახლდათ პროლეტარიატის ბელადის დედა.

ლენინი პარტიის ყველა სხვა ლიდერთან „შედარებით", ამბობს სტალინი, მარტო ერთი-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი..." (სტალინი ლენინის შესახებ, გვ.34). „ლენინის სახით ჩვენ გვყავს პარტიის მთის არწივი" (იქვე, გვ. 35).

მართლაც-და „ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან შებრძოლება?" (გამოცხ.13,4). ლენინს და სტალინს პროლეტარიატის გარდა დედამიწაზე სხვა, არსებობის უფლებების მქონე ადამიანები არ ეგულვებოდათ. ქლეტდნენ ინტელიგენტებს. „ზიზღი მოწუწუნე ინტელიგენტებისადმი... აი, რაზე გველაპარაკებოდა მაშინ ლენინი" (სტალინი, გვ.39). ლენინს და სტალინს ეცოტავებოდათ დედამიწის პროლეტარიზაცია მის ერთ მეექვსედ ნაწილზე. „პროლეტარიატის გენიალურ ბელადთა შორის უგენიალურესმა ლენინმა იცოდა, როგორ უნდა აუნთონ „გულში მთელი მსოფლიოს მშრომელებს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი" (სტალინი, გვ. 31). „... მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომს და ხალხზე, ენასა და ერზე" (გამოცხ.13,7). სიცოცხლის წიგნი, ბიბლიის, მიხედვით, ნიშანვს ღმერთის მიერ შედგენილ წიგნს, რომელშიც მორწმუნენი ხვდებიან, სიკვდილის შემდეგ რომ ცხონებას იღებენ. ვინც არ ხვდება ამ წიგნში, იგი კარგავს სასუფეველს, ჯვდება ორგზის სიკვდილით. არსებობს ლექსთა კრებული (ქართულადაც) „ლენინ, მსოფლიოს ბელადო". თითქმის ყველა ქვეყნის პოეტთა ვაილექსებია მათში წარმოდგენილი. „თაყვანი სცა მას დედამიწის ყველა მცხოვრებმა, რომელთა სახელებიც ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს წუთისოფლის დასაბამიდან დაკლულ კრავს" (გამოც. 13,8). რაც შეე-

ხება ქართველ თუ რუს პოეტთა ანალოგიურ კრებულებს, აქ სხვა ვითარებაა. აქ ჰეშმარიტ პოეტთათვის ეს იყო აუცილებელი ხარკი სიცოცხლის გადარჩენისათვის. რა თქმა უნდა, არიან ლენინზე შეყვარებული პოეტებიც. მაგრამ ყველა დიდი პოეტი, ასეთი ხარკის მიუხედავად, საყვედურის ღირსი არ არის. ჩვენ ვერ განვიკითხავთ მათ. მაგრამ ამერიკელ თუ ფრანგ, ინგლისელ თუ ესპანელ პოეტს მუზა ჟრომ აუთამაშდება ლენინის გზნებით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ყველა ქვეყანას ჰყავს სატანის მრველი.

როგორც ითქვა, მეორე მხეცი, პირველი მხეცის განმადიდებელი და, ამდენად, თვითგანდიდებული, იწოდება (დრაკონად) გველეშაპად. 1937 წლის 11 დეკემბერს სტალინმა დიდ თეატრში კიდევ ერთხელ განადიდა პირველი მხეცის მოძღვრება და სიტყვა დაასრულა: „მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აპყრობენ მთავრობის ლოჟას, საითკენაც მიდის ამხანაგი სტალინი. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს ვაშა!" „ამხანაგ სტალინს ვაშა!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" ვაშა!", „გაუმარჯოს პირველ ლენინელს..." (დასახ. წიგნი, გვ.85) ...ბედი მისი ვინც პირველი შეწუვეტდა ტაშს, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა ტაშისკერისაგან დაოსებულს! „თაყვანი სცეს გველეშაპს. რადგან ხელმწიფება მიცა მხეცს; თაყვანს სცემდნენ მხეცს და ამბობდნენ: ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან შებრძოლება" (გამოცხ. 13,4).

ახალი აღთქმის ბოლო წიგნი, იოანეს „გამოცხადება" მიჩნეულია ძველ და ახალი აღთქმის ხიდად. აპოკალიფსის ხილვა მნიშვნელოვანწილად საზრდოობს ძველი აღთქმის სიმბოლოებით. ასე რომ ძველი აღთქმის აპოკალიფსის გარეშე ვერც ახალს გავიაზრებთ. ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ღვთისაგან თავისი საყვარელი ხალხის წინააღმდეგ მოვლენილი დამსჯელი. ამ დამსჯელის მეოხებით საშინელი მტრის და მაოხრებლის გამოგზავნით უფალი აღვიძებს თავის ხალხს, ღმერთის სიდიადეს უჩვენებს ამ უბედურებათა მეშვეობით. ეს არის უფლის დაცვალებით მოსული სატანა. გოგი და მაგოგის შესახებ მრავალნაირი ვერსიაა თუ ვინ არიან და საიდან. უფრო გავრცელებული აზრის მიხედვით გოგი ეს არის მაოხრებელი, ხოლო მაგოგი — მისი ხალხი. ფიქრობენ, რომ შესაძლოა ეს იყოს სირიელი ტირანი მეფე ეპიფანე ანტიოქელი, ფიქრობენ, რომ შეიძლება ეს იყოს ჩრდილოეთ აზიიდან, სკვითებიდან თუ სპარსეთიდან და ა.შ. არის სხვა საინტერესო მოსაზრებაც: „ბოხარტმა გოგის ადგილსამყოფელად მიიჩნია კავკასიის მიდამოები, აწარმოა, რა იგი ებრაული სიტყვებიდან გოგ-შაზან...ე.ი. გოგის ციხე-სიმაგრე. იგი გამოთქვამს აგრეთვე უცნაურ აზრს, თითქოს პრომეთე, იუპიტერის მიერ კავკასიონზე მიკაკვული, სხვა არავინ იყო, თუ არა გოგი..." (Апостолы. Очерки жизни и учения святого Апостола и Евангелиста Иоанна Богослова, соч. Федора Яковлева, М., 1860 г. 416).

გოგი რომ ქართველად ვაქციოთ, უფრო სწორედ კიდევ ერთი ტირანი რომ ვიპოვოთ ჩვენს წინაპრებში, ამის აუცილებლობა არა გვაქვს, ჩვენ ისედაც გვთვლიან ტირანების ბუდედ, ჩვენებიც გვეყოფა. დამსჯელს თვითონ ღმერთი ქმნის და თვითონვე ანადგურებს. თავის ხალხს კი მოხდის სახადს, განაახლებს მასში წყურვილსა და სურვილს — ილტვოდეს ღმერთისაკენ. ჩვეულებრივი ადამიანური განსჯა კი მიჩვეულია ღმერთისაგან მხოლოდ წყალობასა და არა სასჯელს. საბოლოოდ სასტიკად დასჯილია დამსჯელი სატანა. „წამოხვალ ჩემს ხალხზე, როგორც ქვეყნის დამფარავი ღრუბელი; უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ წამოგიყვან ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ“ (ეზეკ., 38,16). თუ ღმერთი არ მიწყენს, ამ უახლოეს თარგმანში, ბოლო სტრიქონში მთლად სიზუსტე ვერ უნდა იყოს „...როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ“ („შენში“ კი არა, შენის მეშვეობით. თუ როგორ უნდა დაზუსტდეს, ეს თანამედროვე ქართულით მთარგმნელ-სპეციალისტების გადასაწყვეტია. „და ამოგიყვან შენ ქვეყანსა ზედა ჩემსა, რაითა მიცნან ყოველთა ნათესავთა მე წმიდა-ყოფასა შინა ჩემსა შენს შორის მათსა“ (იხ. მცხეთური ხელანწერი, ზ. სარჯველაძის რედაქციით).

ღმერთი სჯის თვით გოგის ხალხს, რათა მიახვედროს მათ, — გული მიიბრუნონ ღმერთისაკენ: „გავგზავნი ცეცხლს მაგოგში და უზრუნველ ზღვისპირელებში და მიხვდებიან რომ უფალი ვარ“. (ეზეკ. 39,6). როდესაც დღეს ჩვენ ნაღვლიანად შევყურებთ ჩვენს „ნანგრევებსა და ქალაქს“, ვგრძნობთ, რომ ღმერთმა დაგვსაჯა. ჩვენში ჩვეულებრივი საუბრის ლექსიკონში მოხშირად ეს გამოთქმა. მაგრამ უფალი მანამ არ გამოგვილევს რისხვას, სანამ სიმართლე არ მოგვწყურდება, ვიდრე ღმერთისკენ მართალი სწრაფვის დიდი სურვილი არ გაჩნდება. ჯერ-ჯერობით კი, ვგრძნობთ, რომ „ჩვენი სიმართლის იმედით“ არ მოგვხედავს ღმერთი. დანიელ წინსწარმეტყველი ამბობს: „ღმერთო ჩემო, ყური მომაპყარ და ისმინე, გაახილე თვალები და მოხედე, ჩვენს ნანგრევებსა და ქალაქს, შენი სახელი რომ ჰქვია. რადგან ჩვენი სიმართლის იმედით კი არ მოგვაქვს შენს წინაშე ჩვენი საევდრებელი, არამედ შენი დიდი მოწყალების იმედით“ (დან.9,18).

21 თებერვალი. 1992 წ.

ჰროვნოზები და დიაგნოზები

ეს წერილი ადრეც შეიძლებოდა დაწერილიყო: დაბეჭდისა კი რა მოგახსენოთ. და თუ ახლა უნივერსიტეტის გაზეთის „სტუდენტური ფურცლის“ წყალობით ეს ხერხდება, ამ სითამამისათვის მადლობა დროს და არა ავტორს.

პირველ ყოელისა, მე თხოვნით მივმართავ ბატონ ზვიად გამსახურდიას, ბატონ მერაბ კოსტავას, ზოგიერთ, ჩემი აზრით, დროულსა და საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით.

კარგა ხანია ოფიციალური პრესისაგან თქვენ კეთილი სიტყვა არ გსმენიათ. სხვას რომ ეკვი შეეპაროს, თქვენ არ დაეჭვდებით და არ იფიქრებთ, რომ მე ამ ბარათის მოწერა ვინმემ მიკარნახა, ან მაგრძნობინა მისი პოლიტიკური აუცილებლობა. პირიქით, მე სირცხვილიც მაწუხებს, რომ ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ვერ შევძელი აქტიურად წინ აღვდგომოდი ბევრ უგვანო ლანძღვას თქვენი მისამართით. არც ახლა გვაქვს მაინცა და მაინც კარგი ტონი. ახლა, როცა თვით მთავრობა მოგვიწოდებს თქვით მრთელი მართალიო, მაინც არ გვინდა გავიხსენოთ, რომ თითქმის ყველა ის მწვავე ეროვნული პრობლემა, რომელსაც დღეს ჩვენი საზოგადოებრიობა განიხილავს, თქვენ დააყენეთ იმ დროს, როცა ადამიანებს ფიქრში მონოლოგი აფრთხობდა. მე ვერ ვიკისრებ ვილაპარაკო ამ საკითხებზე პირველ მღაღადებლის ხმით, რამეთუ არსებობს არათუ სტრიქონთა პლაგიაცია, არამედ იდეათა პლაგიაციაც, ველოდით, რომ ტელევიზორში ვიხილავდით ანდრეი სახაროვს. გამოჩნდა კიდეც, ბოდიშიც მოუხადეს, ღვაწლიც დაუფასეს. ჩვენ კი ან არ გახსენებთ, ან კი ნირშეცვლით; მწარე სიტყვებს კი თქვენც არ უმასპინძლდებით მაინცა და მაინც ტკბილსიტყვაობით. შორს რომ არ წავიდეთ, მე, როგორც ერთ რიგით ქართველს, (სხვათა შორის, არც ისე ადვილია რიგითი ქართველობა), მაინც მაქვს მორალური უფლება, როგორც მეგობრებს, გთხოვოთ შემდეგი: თქვენ დიდი ავტორიტეტი გაქვთ ჩვენს ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობის ღელვამ, მოძრაობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ერი ძლიერია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ მოძრაობას სტიქიის საშიშროება აქვს. ვფიქრობთ, დადგა დრო დემონსტრაცია-მიტინგებიდან გადავინაცვლოთ დარბაზებში და ნამდვილ დისკუსიებში, უკომპრომისო და ინტელექტუალურ პოლემიკაში დაიწმინდოს ის კონსტრუქციული წინადადებანი, რომელმაც ხორცი უნდა შეისხას. მე, მართალია, მაკვირვებს ჩვენი ოფიციალური მხარის პოზიცია იმის შესახებ, რომ არ ცნობენ ისეთ არაფორმალური ორგანიზაციების არსებობას, როგორიც არის „ჰავჰავაძის საზოგადოება“, „მეოთხე დასი“ და სხვა. თუ მის არსებობას არ ვცნობთ, ასევე შეგვიძლია ჩვენ არ ვცნოთ არსებობა თბილისში გამართული 12 ნოემბრის დემონსტრაცია-მიტინგისა. (ისევე, როგორც

ალოგიკურად მეჩვენება მიტინგზე გამეორებული გამოთქმები: „რესპუბლიკის ე. წ." მთავრობისადმი. ე. წ. მთავრობას რა პეტიცია უნდა წაეუყენოთ). მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ თბილისში გამართული უნებლიედ ნებადართული მიტინგების როლი დავაკნინოთ. მაგრამ დადგა ეტაპი, როცა ეს პროცესი მწვერვალსა და უფსკრულს შორის მიმდინარეობს. არც თქვენ, არც მე ნამდვილი პოლიტიკური მოძრაობა არ მიგვაჩნია სტიქიურ პროცესად. სტიქიურობა შეიძლება ერთხელ ან თუნდ რამდენიმეჯერ, მაგრამ სისტემატურ სტიქიურობას რომ კარგი ბოლო არ ექნება, ეს ყველამ კარგად ვიცით. ჩემი აზრით, როგორც რიგითი მოქალაქის აზრით, დღეს საქართველოს სჭირდება აუსრულდეს საუკუნეების მანძილზე საოცნებო და აღუსრულებელი წადილი — ერთიანობა. ერთიანობისათვის ბრძოლა დაქსაქსვით მთავრდებოდა უმეტესწილად. ლამის დავიზარო წმიდა წერილიდან ციტატის მოტანა, რადგან წესიერთა გარდა, მას ხშირად უწმინდურნიც ეტანებიან. ამ წერილის მკითხველთ შევახსენებ, რომ ქრისტემ დაიწუნა არასისრულე აზრისა — გიყვარდეს მოყვასი შენი. იგი ასე შეასწორა და შეაესო: „გიყუარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხეედით მწყევართა თქვენთა"... (მათე, 5, 44). მკაფიოდ განმარტა, რომ შენი მტერი შეიყვარე და არა სული წმიდისა ან სამშობლოს მტერი. თუ ჩვენ ერთმანეთისადმი ატანა-დათმობაში არ გაემეცადინეთ, მტრის სასიხარულოთ დავიშლებით.

როდესაც ჩვენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკის ამბებს მიეუგდეთ ყური (არც ისე დიდი ხნის წინათ, არც ეს ითვლებოდა კარგ ტონად.) მთელი ყურადღება გადავიდა ეკონომიკური მოდელის გადმოღებაზე. მართალი გითხრათ, ჩემი ფიქრით აქედან სხვა რამის გადმოღება უფრო გვჭირდება: ესაა პოლიტიკური ტაქტი და ტაქტიკა. მათ იპოვეს ის გასაღები, რაც ჩვენს სინამდვილეში შექმნილი ურთულესი მარწუხებიდან გამოიყვანს მცირერიცხოვან ერს. სრულადაც არ მოგვფენს ჩრდილს, თუ ამ საკითხში ერთ ბედს ქვეშ მყოფი ხალხის მიერ დიდხანს ნაფიქრსა და ნაკვალევ გზას დავადგებით. ამასთან ერთად, ვხედავთ, რომ სხვა ექსპერიმენტები მწარედ მთავრდება. ბალტიისპირეთმა მომავლის გეზი განსაზღვრა. იმდენად ნათელია მიზნისკენ, საქმისკენ სწრაფვა, რომ არად უღირთ პირადი ამბიციები. ვკითხულობთ ამ მასალებს, როგორც XIX პარტკონფერენციის, გარდაქმნის იდეების პასუხს. არც მიხეილ გორბაჩოვის ღვაწლია დავიწყებული. მათ ამ მიტინგებზე ამაოდ როდი მოაქვთ ქვეყნის ლიდერის პორტრეტები. ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა მასალებს რომ ვეცნობით, ხშირად მაგონდება სახარებიდან ეპიზოდი: ქრისტეს უდაბნოში სატანა ცდის. ერთ-ერთი გამოცდა ასეთია: იგი უნდა ჩამოვიდეს სახლის სახურავიდან არაჩვეულებრივად. მაცხოვარი უპასუხებს: რატომ უნდა ჩამოვიდეს არაჩვეულებრივად, როცა შეიძლება ჩამოვიდეს ჩვეულებრივად.

ვსარგებლობ შემთხვევით და მე, როგორც რიგითი მკითხველ-მსმენელი ჩვენი პრესისა, მივმართავ ინტელიგენციის წარმომადგენლებს კიდევ ერთი თხოვნით. „ინტერნაციონალიზმმა“ იმდენ ყალბ პრობლემას გადაუსვა ფერად-ფერადი საღებავები, რომ ტერმინი აშკარა კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ თუ ჩვენ დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის ლამპარს მივყვებით, მაშინ უნდა დავიცვათ საკრალური ანდერძი — მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის მათეული წესი. მე ერთ კარგ სტატიაში პოლიტიკურად ასეთი მიამიტი გაკვირვება ვნახე: ნახეთ, ჩვენი მეზობელი ხალხის პრესა რა ლამაზ ინტერნაციონალურ აზრებს ქადაგებს და მის საწინააღმდეგოს კი სჩადის თავის სასარგებლოდო ე. ი. ისინი პოლიტიკურად უფრო ჭკვიანები ყოფილან. პოლიტიკური აზროვნება, რაოდენ წმინდა იდეას, ეროვნულ იდეას არ უნდა ემსახურებოდეს იგი, ყოველთვის შეიცავს თავის საიდუმლოებასაც. არის საკითხები, რომელსაც გრგვინვა სჭირდება, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც ტუჩებზე თითის მიფარებით უნდა აკეთო. კალმით ომის ატეხა ავტორისათვის არ არის ძნელი, მაგრამ ხალხის ინტერესებს იგი ყოველთვის ხეირს არ მოუტანს. კალმის ოსტატებმა მტერი არ უნდა მოუმრაველოს თავის ხალხს. ამით ვერავინ დამაბრალებს თითქოს უგვან შოვინისტთა წინაშე ქედის დახრას ვქადაგებდე. მაგრამ არც ის მომწონს, როცა ვინმე ფეხბურთლა მოსკოველ ჟურნალისტს ქართველი—ერის მარშლობა შეებმება. თუ ილიას დროშას მივყვებით, გავიხსენოთ: სულმწათმა იცოდა ვისზე ხმალი აღემართა და ვისთვის დაეყვავებინა. შოვინისტის გმობის იქეთ მისი ხალხის მეორე მხარეც დაელანდა. მე არც მორჩილებასა ვქადაგებ, არცა შინ და გარეთ ურიცხვი მტრის მომრაველებას. მე მხოლოდ მკითხველ-მსმენელის პრეტენზია მაქვს და იმათგან, ვისაც ლიდერობის პრეტენზია აქვს, მეტ დაკვირვებას და წინდახედულობას მოვითხოვ. წინ ძალიან ძნელი გზაა. ჯერ-ჯერობით დიდსა და პატარას რომანტიკული პოლიტიზმით აღტკინება გვაქვს და ლამაზი სპექტაკლის მონაწილე თუ მაყურებელიეით ვგრძნობთ თავს. ტრაგედია იქნება, ვინმემ უფლება-მოსილად თქვას: — ქართველებს დემოკრატიის შნო არა ჰქონიათო. ქართველებს ტირანების საჯიშედ გვთვლიან, დიდ ქვეყნებს ვასაზრდოებდით პოლიტიკოსებით. რა ღმერთი გაგვიწყრება, ხალხი ვერ გახდეს პოლიტიკოსი. ლიტვა, ლატვია, ესტონეთი მხიბლავს ფილოსოფიური სიმშვიდითა და მოძრაობით. ჩვენ ჯერ-ჯერობით პოეტები ვართ პოლიტიკაში. პოეტი სიტყვით ფასდება, პოლიტიკოსი — საქმით.

ახლაც. ისე როგორც ათი წლის წინათ, 14 აპრილს, ახალგაზრდობამ, უნივერსიტეტის სტუდენტობამ დაიწყო განახლების მოძრაობა. მაგრამ ვერავითარი მოძრაობა ვერ იქცევა ჰეშმარიტად ეროვნულად, თუ იგი მთელი ხალხის გულისთქმას არ გამოხატავს. ჩვენს

სტუდენტებზე არავინ იფიქროს — „ბუმბარეზობით დადიანო“. მშობლიური სიყვარული თავისი ხალხისადმი ასულდგმულებს მათ. არავითარი ე.წ. მამათა და შვილთა შორის ბრძოლის პრობლემა არ დგას. ამაზე მეტყველებს, თუნდაც მათი ინტერესი ბატონი აკაკი ბაქრაძის პიროვნებისადმი, ლექციებისადმი, რომელიც უკვე ვეღარ დაიტია ვერანაირმა დარბაზმა.

დასასრულ მინდა ბოდიში მოვიხადო, თუ აქა-იქ თავი ვერ დავაღწიე შეგონებას, მაგრამ მთელი ჩემი არსებით მოგიწოდებთ მშვიდი მღელვარებისა და ერთიანობისაკენ.

22 ნოემბერი 1988 წ.

დიალოგი უნდა შედგეს

„დიდი თითი“ — ასეთი პარაგრაფიც აქვს მიშელ მონტენს. სისხლისმღვრელი ომის დროს (უძველეს დროში, რომელიღაც ქვეყანაში) მტერი მეფენი დიდ თითს დიდ თითზე მიაბჯენდნენ ერთმანეთს და დაზავდებოდნენ. მოსისხლე სახელმწიფოთა წარმომადგენლები ერთმანეთს ბატონო — პატივცემულოთი (ყოველ შემთხვევაში, არა ყვირილითა და გინებით) ადამიანური ენით ელაპარაკებიან. ჩვენ?... არაფორმალური ორგანიზაციის ლიდერებს ერთ სტატიაში „ბატონოთი“ მიმართეს. შეიძრა ჩვენი პრესა და არა მარტო პრესა. როგორ თუ დაარღვიეს ასეთი წესი: მხოლოდ ოფიციალურად ნაკურთხ ადამიანებს უნდა მიმართო „იჩობითა“ და ბატონო-პატივცემულოს მთელი ტიტულატურით. სახე უნდა გქონდეს სიტკბოებით აღსავსე, არაფორმალური ორგანიზაციების წარმომადგენლებს კი — უსახელოდ, სახე უნდა გექონდეს მეტისმეტი აღშფოთებით აღსავსე, ინტონაციაც სათანადო... რა ზრდილობაზე, რა კულტურაზე და ჰუმანიზმზე შეიძლება ლაპარაკი?! სად, ვინ თქვა ადამიანების ასეთი მორალურ-ფსიქოლოგიური დახარისხება? სადამდე მივედით? საქართველო აივსო სიძულვილით. ეს საშინელი სოციალური ეროზიაა. ტელევიზიით გამოგვყავს მუშათა კლასის წარმომადგენლები, თავისთავად წესიერი მშრომელები, მეტისმეტად უწესო დავალებით, რომელთაც „დამუშავებელი მუშები“ შეარქვეს. ვინ ვის ეცილება ამ ქვეყნის ავტორობასა და პატრონობას. მუშას მუშის სოციალური ფუნქცია უნდა ჰქონდეს და არა სოციოლოგ-ტრიბუნისა. თეორეტიკოსობა კი თეორეტიკოსის საქმეა. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური დანაშაულია ქართველი მუშა, მუშათა კლასის სახელით, თავის შვილებსა თუ ძმებს ამგვარი მისიით ელაპარაკებოდეს. ის მუშებიც, რომლებმაც ასეთი არასასიამოვნო დავალება შეასრულეს, ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან. ჩვენი მუშა, ჩვენი გლეხი ჩვენი მამა თუ ძმაა, ჩვენი ღვიძლია, ჩვენი ოჯახის წევრია. მოვუწოდებთ მათ, არ

აჰყუნენ ასეთი ვაიკლასობრივ დიდაქტიკას.

„ჩვენ გავიმარჯვეთ". — გავიგონებთ ხოლმე აქა-იქ. ვინ ვისზე გაიმარჯვა? მტერი დავამარცხეთ?

მოვუწოდებთ მთელ საზოგადოებას, ოფიციალურსა თუ არაოფიციალურ მხარეებს: გონს მოვიდეთ, ნუღარ დავინახავთ ქალაქში ამაზრზენ ტანკებსა და შეჯავშნულ ადამიანებს. დაველაპარაკოთ, მოვუსმინოთ, მოვუთმინოთ ერთმანეთს. მტერს ნუ გავაცინებთ. ნურავის ჰგონია ყველაფრის ცოდვას სხვას ავკიდებ და მე კი ჩრდილში წამოვწვებიო. მოვუწოდებთ ინტელიგენციას — ითავოს თამამი მისია, მოვლენებს დაარქვას თავისი სახელი. შეწყდეს ურჩხულის კბილების თესვა, სიძულვილის თესვა!

3 მარტი, 1989 წელი.

შეხვედრა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1989 წლის 16 აპრილს.

/სატელევიზიო ჩანაწერის მიხედვით/

ბატონებო, ვინც გუშინ დამწუხრებულთა ოჯახებში ბრძანდებოდით, შეუძლებელია ეს შთაბეჭდილება ოდესმე კაცს გაუნელდეს. ალბათ, ყოველი თქვენგანი ვინც იქ ბრძანდებოდით, ცრემლებთან ერთად მწუხარე ფიქრით წამოვიდა და თავის თავთან ექნებოდა ალბათ ასეთი შინაგანი დიალოგი: ხომ არ დავაკელი მე რაიმე ამ ვითარებას, რაც მე შემეძლო გამეკეთებინა, იქნებ რაღაც მნიშვნელობა და წილი ჰქონოდა მას. აი, ეს პასუხისმგებლობის საკითხი ძალიან მწვავედ გაჩნდა ჩვენს გულში და ფიქრში. თუ მთავრობამ ჩაგაბარა სამი კაცის მეთაურობა, რაიმე რომ მოხდეს, მთავრობის წინაშე ხარ პასუხისმგებელი. თუ ეროვნულ მოძრაობაში, ვთქვათ, ხუთ კაცზე გაქვს გავლენა, ერის წინაშე ხარ პასუხისმგებელი. თუ მორწმუნე კაცი ხარ, ღმერთის, ხატის წინაშე აგებ პასუხს. აი, ეს ღრმა ტკივილი, ღრმა განცდა, ღრმა ფიქრი დღეს ყოველ ქართველ ინტელიგენტს აქვს. ჩვენ არ შევუდგებით ახლა და ვერც შევუდგებით, ამას დროც უნდა, ყოველმხრივი ანალიზი რომ მოხდეს მომხდარი მოვლენისა. ეს ძალიან ღრმა პროცესიდან მომდინარეობს და უაღრესად რთული მოვლენაა. ერთ რამეს კი თავიდანვე ვიტყვი, — ქვეყანა, თავისი სახლი რომ კაცს თავზე დაენგრევა, პატრონი არის პასუხისმგებელი. პატრონმა უნდა მოუაროს თავის სამწყსოს. მაგრამ იმის შესახებ თუ ჩვენ რა ვერ გავაკეთეთ, რაში ვგრძნობთ ჩვენს სისუსტესა და ნაკლს, ამას უფრო გულწრფელად, უფრო მწარედ, მთავრობის დასწრების გარეშე, უფრო თვითკრიტიკულად... ცალკე

გაეანალიზებთ. ამიტომ ამ შემთხვევაში, ჩემს გამოსვლაში, ვითარება ცალმხრივი არ მინდა მოგეჩვენოთ. ერთი საკითხი მინდა თქვენს წინაშე დავსვა. ბატონი ედუარდის გამოსვლაში ხაზგასმით იყო ნათქვამი დიალოგის აუცილებლობის შესახებ. ალბათ, ყველა უნივერსიტეტელს, მოხვდება ყურში, ხმის ჩაწყვეტამდე სულ ამას იძახდა უნივერსიტეტი, მისი ხელმძღვანელობაცა და მისი სტუდენტთა მოძრაობის თავკაცობა, ლიდერები. კაცმა რომ თქვას, ტრაბახში ნუ ჩამოართმევენ უნივერსიტეტს, მაგრამ ეს დიალოგი მან დაიწყო. დაიწყო შეუპოვრად, ენერგიულად, მაგრამ უნივერსიტეტის კომპეტენცია მაინც უნივერსიტეტში მთავრდება და მას არ შეეძლო, არ ჰქონდა იმდენი ძალა გადასწვდომოდა იმ ზონას, სადაც უკვე მთავრობის კომპეტენციას უნდა ემოქმედნა. მაგრამ ეს ფაქტია, რომ უნივერსიტეტი ამ პოზიციის მომხრე იყო. ის მოუწოდებდა ხელისუფლებას, — მიეცეთ ამ ახალგაზრდებს დარბაზები, მიკროფონები, მიეცეთ პრესაში თავისი სიტყვის აღმოთქმის საშუალება, თორემ შეგუბება გამოიწვევს ერთბაშ უბედურებასო. ეს რომ ზეპირად არ დარჩეს ხმად მღაღადებლისა, თქვენის ნებართვით, პრეს-კლუბის ზოგიერთი ნომრების ამონაჭრებს ბატონ ედუარდს გავაცნობ. ჩვენმა სტუმარმა, ბატონმა გიორგიმ მინდა იცოდეს, სტუდენტებმა პირველად 24 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში მიტინგი რომ ჩაგვიტარეს, მაშინ ჩვენ ვაღიარეთ, რომ ისინი ჩვენთან მართალნი იყვნენ. თავის დროზე ვერ მოვუსმინეთ მათ და ტრადიციული გულგრილობით შევხვდით. შემდეგ მათ მრავალი დემოკრატიული უფლება გამოგვგლიჯეს. უნივერსიტეტმა, მისმა დარბაისელმა საზოგადოებამ, სამეცნიერო საბჭოს წევრების უმრავლესობამ გადაწყვიტა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. ეს მთლად სასახელო და საამაყო არ არის, მაგრამ გარკვეულად, მნიშვნელოვანწილად ვალდებული გავხდით ავყოლოდით ჩვენ ჩვენი შვილების გულისთქმას. აყოლაც არის და აყოლაც. თუ ზედმეტად გადავყევი, არაკორექტულად მოეპყარი, ეს ცოტა არ იყოს სისუსტეა, მაგრამ ურთიერთგაგება მაინც მოხდა, არის და ჩემის ღრმა რწმენით იქნება. აქ არიან პრეს-კლუბის წარმომადგენლები, ალბათ ისინიც იტყვიან, თქვან, რამდენად შევძელით ჩვენ აი, ეს ურთიერთგაგება და რაში არიან ჩვენზე უკმაყოფილონი. მათ აკრძალული აქვთ რაიმე საქებარის თქმა, მხოლოდ კრიტიკული უნდა თქვან. იმედი მაქვს მომავალი დიალოგის ფორმები იქნება გულწრფელი და თამამი. აქ ითქვა იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას იუბილე გაეუმართეთ, ლექციები მიეცით. აქ ამის ისტორიებს არ მოვყვები, მაგრამ ყველაფერი მოხდა ისე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოიქცა ისე, როგორც იმ შემთხვევაში, იმ სიტუაციაში მოიქცეოდა ბატონი ედუარდი. ჯერ ერთი, ზვიად გამსახურდიას მაშინდელი ვითარება სხვა იყო. ჩვენ, ინტელიგენცია ეელოდით, რომ სახაროვს ახალი ხელმძღვანელობა გამოუშვებდა და პატივსაც მია-

გებდა. ასე თუ ისე, ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო ჩვენთანაც, მაგრამ იმდენად დაძაბულობით ვხვდებოდით ამ ხალხს, /დისიდენტებს/, რომ სხვა პასუხი, ალბათ შეუძლებელი იყო მათგან, ახლა, ვინ რამდენად სტყუის, ვინ რამდენად მართალია, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ამოსავალი პრინციპი, მეთოდიკა აქედან მოდის და ალბათ ამიტომაც არის, რომ ბატონ ედუარდს თავის გამოსვლებში არც ერთხელ სიტყვა ექსტრემისტი და ექსტრემიზმი არ უხსენებია. ჩვენ შევქმენით ექსტრემისტული სიტუაცია. ვალდებულნი ვართ მეტ-ნაკლებად ღრმად გავაანალიზოთ იგი. ამიტომ საჭიროა დიალოგის და დემოკრატიულობის ტენდენციები გავაღვივოთ და განვავითაროთ. მართალია მაღალი სტუმრების თანდასწრებით ცოტა უხერხულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ პოლიტიკური მიმდინარეობის თვალსაზრისით საბჭოთა კავშირში ორი პოზიციაა აშკარად გამოკვეთილი. ერთი არის გარდაქმნის, საჯაროობის, დემოკრატიის მომხრენი, მისი მოთავენი და მეორე — მისი მტრები. ერთი ამბობს, იქნებ ვეცადოთ, ვიბრძოლოთ, მივაღწიოთ ნამდვილ დემოკრატიასო, მეორე კი, არანაკლები. რეალური ძალაა თავისი მძიმე მასით. ვართ არჩევანის წინაშე. რომლის მხარეზე უნდა დავდგეთ. თუ დამარცხდა ის პროგრესული ფრთა, რომელიც იბრძვის, თუმცა ამ ბრძოლას ბევრი ნაკლი და ტკივილი ახლავს, სტალინიზმის აყვავებას უნდა ველოდოთ. მე ღრმად მჯერა და ღრმად მწამს, რომ უნივერსიტეტის ინტელიგენცია გარდაქმნის, საჯაროობის იდეას მიესალმება. ჩვენთან ხშირად ისმის — გარდაქმნა ზემოდან მოდისო. მე ცოტა კორექტივი მინდა შევიტანო ამ ნათქვამში. ჩემის რწმენით, გარდაქმნის იდეა მაქსიმალურად აქტიურად წამოვიდა ზემოდან, მაგრამ რეალიზაცია გარდაქმნისა და საჯაროობისა უნდა მოხდეს ხალხში, ხალხმა უნდა გააკეთოს ყოველივე. თუ იღბალი გვაქვს და თუ არ დავკარგავთ საერთო ენას, იმედი მაქვს, რომ ამ უმძიმეს კრიზისს გადავურჩებით. საუკუნეების მანძილზე დაიკსაქსა არა მარტო ქართული მიწა-წყალი, არამედ ჩვენი სულიერი ზეცაც. დიდი ნერვული ფსიქოზის დროს, რაც არ უნდა ბრძენი ხალხი შეიკრიბოს, ერთმანეთს ვერაფერს აგებინებენ. ამიტომ თუ ჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა, ყველაფრის თქმა და ყველაფრის განხორციელებაზე შეიძლება იოცნებოს კაცმა. ახლა ერთი დელიკატური საკითხის შესახებ მინდა მოგახსენოთ. 1981 წელს, აღდგომა დღეს, დავწერე ერთი ძალიან მწვავე წერილი ბატონი ედუარდის სახელზე. წერილი იწყებოდა ასე:

„ძვირფასო ბატონო ედუარდ!

თქვენ ისე გვანებრივებთ დემოკრატიულობით, რომ თვით თქვენდამი სასაყვედურო აზრიც სამახარობლოსავით გვინდა ხოლმე თქვენვე გაუწყოთ. ეს ჩვენ გაბედულებაზე როდი მეტყველებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენში მფარველ ძალას ეხედავთ. თქვენი დიდი იმედი რომ გვაქვს იმიტომ ვითხოვთ ბევრს..." დანარჩენი, რაც ეწე-

რა წერილში, ბატონმა ედუარდმა იცის, რეპეტიტორობას ეხებოდა.

ბატონო ედუარდ, თქვენ და ბატონ გიორგი /რაზემოვსკის/, კიდევ უფრო საპატივსაცემო პიროვნებას. რადგან ის სტუმარი გახლავთ, მინდა გითხრათ, რომ ალბათ, გაკვირვებული იყავით მთელი დღეების მანძილზე ენერგიულ უარს რომ გეუბნებოდით უნივერსიტეტში მობრძანებაზე. სიმართლე გითხრათ, ერთი აქტიური უარის მთქმელთაგანი მე გახლდით, რომელმაც რექტორს ვუთხარი, რომ ბატონი ედუარდი ხშირად მოდიოდა უნივერსიტეტში, იყო შესანიშნავი ტრადიცია ინტელიგენციასთან თამამი მსჯელობისა, დემოკრატიული დიალოგისა და მე არ მინდოდა, რომ ამ ვითარებაში გენახათ ჩვენი სულიერი მდგომარეობა. დიდი პროგრესი ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, არ გვექნება, ამ ტკივილების მოშუშებას დრო უნდა და თუ ჩვენ დიდი მადლობებით ვერ გხვდებით, თუკი ტკბილი სიტყვებით ვერ გხვდებათ საზოგადოება, არ გვიწყინოთ. ვიცით, თქვენი ბუნება, თქვენი ფსიქოლოგია იმისთვის არის, რომ ყველაფერი მოითმინოთ, აიტანოთ თქვენი ხალხისაგან. მე ეს მჯერა და ვიცი თქვენი ნათქვამიც და განწყობილებაც. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენ იმედი ხართ ჩვენი და გვინდა, რომ ყოველივეს გაუძლოთ, აიტანოთ. ისტორია საბოლოო ჯამში არაფერს ივიწყებს. მე მინდა ახლა ჩვენს ახალგაზრდობას, საზოგადოებას მოვუხადო ბოდიში ერთ ორგანიზაციულ საკითხზე. მთელი დღეების მანძილზე უნივერსიტეტი სავსე იყო არა მარტო უნივერსიტეტელებით, არამედ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებით, რომელთაც აქტიური კავშირი აქვთ ჩვენს სტუდენტობასთან. მთელი ქალაქი მოვიდა. მოვიდა ყველა დიდი ტკივილებით ვის შვილი ყავს დაღუპული და სამართალი ვერ იპოვა. ვის რა უბედურებები აქვს. ყველა მათგანი, ალბათ, საჭიროებს, შეხვდეს ბატონ ედუარდს, ბატონ გიორგის, თავისი ტკივილები რომ გააცნოს. ათასობით ადამიანს უნდოდა სიტყვაში გამოსვლა. ალბათ, ესეც გასაგებია და ნეტავ შეიძლებოდეს, რომ ყველამ ყველას მოუსმინოს. იმ ადამიანებს მე მინდა ბოდიში მოვუხადო, რადგან მე დავპირდი, რომ ბატონი ედუარდი, ბატონი გიორგი ისე არ წავიდოდნენ თბილისიდან, რომ არ შეხვედროდნენ უნივერსიტეტის საზოგადოებას.

სპკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სოციალისტური შრომის გმირს, ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს

ძვირფასო ბატონო ედუარდ!

თქვენ ისე გვანებივრებთ დემოკრატიულობით, რომ თვით თქვენდამი სასაყვედურო აზრიც სამახარობლოსავით გვინდა ხოლმე

თქვენვე გაუწყოთ. ეს ჩვენს გაბედულებაზე როდი მეტყველებს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენში მფარველ ძალას ვხედავთ. თქვენი დიდი იმედი რომ გვაქვს, იმიტომ ვითხოვთ ბევრს.

ჩვენი საერთო შთაბეჭდილებით, თქვენ ვერ მოიცალეთ ყურადღების საჭირო პროცენტი დაგეთმოთ რეპეტიტორობის საკითხის შესასწავლად. არადა, როგორც ჩანს, მსჯელობა რეპეტიტორობის შესახებ ლამის მოდად იქცეს.

როგორც გავიგე, ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რეპეტიტორობის აკრძალვის შესახებ. ბევრი ეიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ასეთი დადგენილება იქნება სერიოზული იდეოლოგიური შეცდომა და ერთგვარი დისკრედიტაცია იმ მნიშვნელოვანი კურსისა, რასაც ცენტრალური კომიტეტი ეწევა ამ რვა-ცხრა წლის მანძილზე. ცენტრალური კომიტეტის სალანძღავმა სიტყვამ მოქალაქეობრივ თავმოყვარეობაზე მოქმედი მორალური ძალა შეიძინა, ამის დაკარგვა არასგზით არ შეიძლება! და თუ ისეთ კატეგორიას დაუწყებთ ლანძღვას, რომელშიც უწმინდესი ადამიანების სახეებიც მოიაზრება, შვებით ამოისუნთქავს მეკრთამე — ერთნაირად გვლანძღავენო!

რა თქმა უნდა, რეპეტიტორობა სასიხარულო მოვლენა არ არის, პირველ ყოვლისა თვით რეპეტიტორთათვის, ეს ფაქტია. მაგრამ მისი იმგვარად ლანძღვა, როგორც ეს გარკვეულ ტონად ჩამოყალიბდა ბოლო ხანებში, აშკარად არაკონსტიტუციურია, იდეოლოგიურად არასწორია. შრომის უფლება კონსტიტუციური უფლებაა ყოველი მოქალაქისა. შრომისუფლების ხელყოფა ცივილიზებული საზოგადოების ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა. თუ მასწავლებელი ან ლექტორი საზღაურით ამეცადინებს თავის მოწაფეს და შემდეგ ამ პირობით დაუწერს ნიშანს, ეს არ არის რეპეტიტორობა; ამ შემთხვევაში უნდა ვებრძოლოთ მეკრთამეობას და არა რეპეტიტორობას. თუ ლექტორი იმ პირობით ამეცადინებს აბიტურიენტს, რომ იგი დაეხმარება მისაღებ გამოცდებზე და საამისოდ იღებს სარგებელს, ეს არის არა რეპეტიტორობა, არამედ მეკრთამეობა. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ კრიტიკის ისარი მივმართეთ საკუთრივ რეპეტიტორობისა და არა საქმოსნობის წინააღმდეგ. ამან გამოიწვია ერთგვარი ტენდენცია, როგორმე დაამსგავსონ ერთმანეთს მეკრთამეობა და რეპეტიტორობა, მაშინ, როცა რეპეტიტორი პირველი მტერია მეკრთამეობისა. საზოგადოდ, რომელიმე სოციალური ჯგუფის, კატეგორიის ლანძღვა, რომელშიც შეიძლება თუნდაც ერთი წესიერი კაცი მოხვდეს, არის შეცდომა და იგი წესად არ გამოდგება, რადგან არ ზოგადდება. თითო-ოროლა, მართლაც ბიზნესმენად ქცეული რეპეტიტორის მიმართ ვერავითარი დადგენილება ვერ გასჭრის. ჯობი გადატყდება წესიერ რეპეტიტორზე. ეს არის არა ფორმალისტური, არამედ რეალისტური აზრი.

დადგენილება, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს რეალურ ვითარებას, მოსალოდნელ შედეგებს. იგი გააშიშვლებს ლამაზად ჩაცმულ ცუდ მდგომარეობას სამეცნიერო-პედაგოგიური ინტელიგენციისას. ჩვენ რომ პირუთნელი, ზუსტი სოციოლოგიური სურათი შევქმნათ იმის შესახებ, თუ რამდენ პროცენტს ვაკმაყოფილებთ სახელმწიფო ბინით, ავეჯით, ტელეფონით, სამეცნიერო ლიტერატურით – მწარე სინამდვილის წინაშე აღმოვჩნდებით. სამეცნიერო ინტელიგენციის ამ ერთმა ნაწილმა იპოვა გამოსავალი ოფლით მოიპოვოს პური, მათ კი ჯამში ეგოისტური ჯუტა დაუწყეს, აქაოდა გაკეთდა რეპეტიტორიო. სამეცნიერო წრის რეპეტიტორთა მორალურ ნაწილს სახლში უზის თავისი კოლეგების, მეგობრების შვილები, ზოგჯერ ვიღაც გაჭირვებული კაცის შვილი, მთავრობის მუშაკების შვილებიც და ჰონორარიანი აბიტურიენტების გვერდით უფასოდ ამეცადინებენ 3-4 მოსწავლეს და ზოგჯერ მეტს.

რატომ მიმართავს მეცნიერ-მუშაკი ამგვარ ჯოჯოხეთურ შრომას? ან რატომ სჭირდებათ ჩვენს მოსწავლეებს ამგვარი მომზადება? ამ კითხვებზე სახეარიდებული პასუხი უკვე შეუძლებელი იქნება. თუ გადავხედავთ საერთო ვითარებას, პოლონეთის ამბებსა თუ სხვა პრობლემებს, ყოველივე ამგვარი რამ, ვფიქრობ, მეტად საზიანო აღმოჩნდება ჩვენი იდეოლოგიისათვის. ასე რომ, თქვენი თქმისა არ იყოს, გვეტყვიან, აუტკივარ თავს რად იტკივებდითო... გარდა ამისა, ისმის კითხვა: რატომ ვაფართოებთ, ვაერთიანებთ უკმაყოფილოთა წრეს, მეკრთამეთა გვერდით რატომ ვაყენებთ წესიერ ადამიანებს? სახელგატეხილი მეკრთამეებისაგან ლანძღვა საშიში არ არის ჩვენი იდეოლოგიისათვის. რესპუბლიკის ახლანდელი კურსისათვის, მაგრამ თუ ხალხმა დაინახა გამწარებული, საცოდავი წესიერი კაცი, ეს იქნება სახელის გატეხა თქვენს მიერ წამოწყებული დიდი საქმისა. ამიტომ, გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ სხვაგვარად ჩამომართვით, ამ წერილის პათოსი, უწინარეს თქვენდამი გულშემატკივრობამ წარმოშვა.

იდეოლოგიის პოლიტიკა იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ "...თქმითაც დაშავდების" ყური მოვკარი ლეგალური და არალეგარული რეპეტიტორების სახამუშო ტერმინებს. რეპეტიტორობა ლეგალურია. თავისთავად. იხდის რა რეპეტიტორი საფინანსო წესით. მაგრამ ამგვარი დადგენილების დროს გახმაურებული სიტყვა, იცით რას მოგვიტანს? სარდაფში თუ ნაქირავებ ბინაში მცხოვრები რეპეტიტორი მოვა და გეტყვით, ბინა მომეცით, მოსწავლეები უნდა ვამეცადინოო. და იცით, ამ მხრივ, რა მდგომარეობაა?!

ამასთან ერთად, მინდა გაცნობოთ ერთი ფრიად არასასიამოვნო ვითარების შესახებ. უკვე აქა-იქ მწიფდება აზრი, რომ სერიოზულად დაისვას საკითხი რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მუშაკთა მატერიალური პრივილეგიების, როგორც არა-

კომუნისტური მოელენის, გაუქმების შესახებ. პირადად ძე შორსა ვარ ამ აზრისაგან. პერიკლე ამბობდა, თუ სახელმწიფო მოღვაწე ოჯახის მოვლას გადაჰყვება, სახელმწიფოს რასაირად მიხედავსო. თუმცა ამას ამბობდა პერიკლე და არა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები! ეს გასათვალისწინებელი სიმპტომია, მეტად არასასიამოვნო პირადად ჩემთვის. მე ვიცი, ზოგს პირადად ვიცნობ, რომ ცენტრალური კომიტეტის ბევრი კრისტალური მუშაკი (რეპეტიტორისა არ იყოს) დღედაღამ შრომობს, მათ ლუკმა არ დაემადლებათ. ხედავთ, სად მიდის ამ განხეთქილების ფესვები?

ორჯონიკიძის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე ამბ. გ. ენუქიძემ მშვენივრად თქვა: ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი კურსის თავისებურება ისიცაა, რომ ჩვენ შევძელით შემოგვეკრიბა ნიჭიერი ხელოვანნი და მეცნიერნი. პირადად თქვენ იშვიათი გულისხმიერება და აღღო გამოაელინეთ ინტელიგენციის მიმართ. მაგრამ ახლანდელი აკადემიკოსებისადმი ყურადღება არ კმარა. ახალგაზრდა მათემატიკოსი, ბიოლოგი, გეოგრაფი, ფილოლოგი... მოწაფეს თუ ამზადებს, როგორც ამას სჩადიოდნენ არა მარტო ჩვენი, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა პროგრესული ქვეყნის ადამიანები, რატომ შეურაცხვყოფთ მათ. ჩვენი სახელოვანი მეცნიერების ბიოგრაფიებში, მათ რეპეტიტორობასთან დაკავშირებით, არსად წამიკითხავს მეფის მთავრობას დაერბიოს ვინმე ამის გულისთვის. იქნებ ვინმე ფიქრობს რომ უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებისა და პარტიული კომიტეტების კომისიები „ეგზეკუციებს" მოაწყობენ მეცნიერ-პედაგოგთა სახლებში და მათ ყოფას გოგია უიშვილისას დაამსგავსებენ? მე სამეცნიერო-პედაგოგიური ინტელიგენციის იმ ნაწილს ვგულისხმობ, რომელიც მემატიანეა ხვალინდელი დღისა. მემატიანეთა გადაკიდებას კი არც ერთ საზოგადო მოღვაწეს არ ეუსურვებდი. უცოდინარ აბიტურიენტს მგონი სჯობს მცოდნე აბიტურიენტი. საშუალო სკოლაში სწავლების დონის ამაღლების შესახებ დადგენილება მესმის, ეს კი არა. ცოდნის გადაცემა და მიღება უაღრესად კეთილშობილური საქმეა და არა საძრახისი.

ვფიქრობთ, ღირს რამდენიმე წუთით დაფიქრდეთ იმაზე, თუ საიდან მოდის რეპეტიტორობაზე თავდასხმის პირველწყარო. მას დაემატა ზოგიერთის სოციალური ჰორიზონტის სივიწროვე და ზოგიერთის მატერიალური ეგოიზმი, შური.

დიდად მისასალმებელია ატესტატის ნიშნების უფლებამოსილების გაუქმება. საქმე უკვე კატასტროფამდე იყო მისული... ვისაც სწავლება უნდა ასწავლის, ვისაც სწავლა უნდა ისწავლოს! ახლა უკვე საჭიროა პოზიტიური გზების ძიება. სახელდობრ, უნდა აღსდგეს საცდელ-საჩვენებელი სკოლები (ერთ დროს რა განთქმული იყო პროფესორ მიხეილ ზანდუკელის სკოლა!). ასეთი სკოლებისა თუ კურსების ჩამოყალიბება სერიოზულ მუშაობას საჭიროებს. ჰაიჰარად

ეს არ გაკეთდება. მაგრამ ნახავთ — ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგები რა ენოუზიაზმს გამოავლენენ ამ მხრივ. აბაშის ექსპერიმენტის განზოგადების გვერდით რეპეტიტორობის აკრძალვაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, უნდა მოვძებნოთ სწავლების ოპტიმალური სოციოლოგიური გზები. როგორც ბაზარში „ტაქსას" დაწესებამ დამატებითი მაქინაციები წარმოშვა, ასეთ ვითარებასავე უნდა ველოდოთ რეპეტიტორობის აკრძალვის შემთხვევაში. ყოველ შემთხვევაში, არ არის საჭირო 1991 წელს გადასაწყვეტი საკითხი მაინცდამაინც 1981 წელს გადავწყიტოთ.

ძვირფასო ბატონო ედუარდ!

კოშკი, რომელშიც თქვენ ბრძანდებით, ჩვენდა საბედნიეროდ, ზევით ზევით მიიწევს. მაგრამ თქვენთვის ჩვეული იშვიათი ინფორმაციული სიფხიზლე თუ მოდუნდა, მაშინ შეიძლება მიწას დაშორდეთ. და მჯერა, რომ ეს არ მოხდება. ეს წერილი რამდენიმე კაცს მაინც გავაცანი. მირჩიეს: იმ მიზნით, რომ უფრო მიაღწიოს მან ამხ. შევარდნაძემდე, მოდი, კოლექტიურად მოვაწეროთ ხელიო. ჩემი პასუხი: ეს წერილი ამ სახითაც მიაღწევს მიზანს, თუ არა და მაშინ შევჯავშნოთ ფათერაკი ინტელიგენციის ხელწერებით-თქო. თქვენი მოსმენისა, მოთმენისა და ღრმა ანალიზისათვის მომინდვია ეს გულწრფელი წერილი.

26 აპრილი, 1981 წელი.

ბედის ირონია?

წინათქმა:

ამბობენ: „ქართული ფილმი" უმჯობესია ფილმზე რეცენზიებს აქვეყნებდესო.

პასუხად: როცა სახლი იწვის, შეუძლებელია იქვე მყოფი მისი პატრონი სხვა თემაზე მუსაიფობდეს. იგი ხანძრის ჩასაქრობად იბრძვის. ყველა გაზეთი დღეს პურზე უწინარეს აუცილებელ საზრდოს — მართალ სიტყვას — უნდა აწვდიდეს თავის ხალხს, სიტყვას ძნელად სათქმელს, თუ გვინდა შთამომავლობამ წყევლა-კრულვით არ მოიხსენიოს თაობა ჩვენი. „ქართული ფილმი" მხოლოდ გადაღებულ ფილმთა შესახებ ვერ იმსჯელებს, — მან კელავაც უნდა იფიქროს იმ ეროვნულ-სულიერ ტრაგედიებზე, რის შესახებაც შეიქმნება ქართული ფილმები.

— ბატონო ვახტანგ! რატომ და როგორ გაგანთავისუფლეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობიდან?

ვახტანგ გოგუაძე — შესანიშნავი ფორმულირებაა — „გაათავი-

სუფლეს" სამსახურიდან... ე. ი. ადამიანებს იმდენად სტანჯავს ეს თანამდებობები, რომ ერთი სული აქვთ, როდის ამოისუნთქავენ. ალბათ, მეც ასეთ დღეში გახლდით. ახლა — კონკრეტულად გიპასუხებთ, ჩემი განთავისუფლება ასე მოხდა: 1990 წლის 13 დეკემბერს, 12. 15 სთ-ზე რექტორის კაბინეტის წინ მხედება რექტორი, ბატონი ნოდარ ამაღლობელი, და მოკრძალებული და შეწუხებული ღიმილით მიწვევს თავის კაბინეტში:

— რაშია, იცი, საქმე, ძალიან მიჭირს ამის თქმა... გუშინ გამსახურდიამ დამიბარა და მითხრა შენზე...

— ბატონო ნოდარ, თქვენ მაგისთვის ნუ შეწუხდებით, მე ხომ გითხარით, ამ წუთას დავწერ განცხადებას.

— არა, კაცურად, მითხარი, თუ რაიმე ხინჯი გრჩება, შენ როგორც იტყვი, ისე მოვიქცევით.

— არა, ბატონო ნოდარ. ჩემი გულისთვის უნივერსიტეტს, თქვენ ან ვინმეს უხერხულობაში როგორ ჩავაყენებ. მითუმეტეს თქვენგან მე კარგის მეტი არაფერი მახსოვს.

და დავწერე განცხადება. ასე რომ, ასრულდა ჩემი ხუმრობა: ამ განცხადებების წერით არავინ მათავისუფლებს, მოდი და, ახლა აღარ დავწერ განცხადებას განთავისუფლებაზე და თვითონ გამანთავისუფლებენ-მეთქი. ახლა შევუდგები ლექტორობას, სტუდენტებთან მუშაობას. თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, ამგვარად მონიჭებული თავისუფლებიდან თავისუფლების აღკვეთამდე ბევრი არაფერი დარჩება...

კორესპოდენტი — როგორც ჩვენმა საზოგადოებამ იცის, თქვენ თავისუფლების აღკვეთის რეალური კანდიდატი იყავით არც ისე დიდი ხნის წინათ, იმ პიროვნების გამოც, ვინც ამჟამად გაგათავისუფლათ თანამდებობიდან.

ვ. გ. — „მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის გამიწევია სამსახური, თვითონც იციან, მე ამაზედ არაფერს ვამბობ..."

ერთმა არამყარმა პიროვნებამ მისაყვედურა:

— თქვენ არ გქონიათ მყარი პოზიცია, თქვენ ხომ მის გვერდით იდექით.

— დიახ, მაგრამ მე გვერდით ვედექი დეენილის როლში მყოფს, მდევარს კი არასოდეს ამოვდგომივარ გვერდით.

ახლა ცოტა უკან გადავინაცვლოთ და ერთი განცხადებაც გავიხსენოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ჯ. ი. პატიაშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო ჯუმბერ!

ოთხი წლის წინათ (12.02.85) ბატონ ედუარდთან გასაუბრებისას მან ამიხსნა მიზეზი, თუ რატომ მნიშნავდნენ პრორექტორად. მე ვუთხარი:

— რახან ასეა, გადავდებ ყველაფერს გვერდზე და ორ წელიწადს ვიმუშავებ.

მერე სად მიდიხარ?

— მერე დავბრუნდები კათედრაზე.

— ჰო, ეს მთლად თქვენზე აღარ არის დამოკიდებული.

ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ცხოვრება ვის სად წაიყვანს, ჩვენ არ გვეკითხებაო. აგერ ოთხი წელი სრულდება და ყველამ იცის ჩემი სამსახურის ავ-კარგი. მე არაფერში მოვტყუებულვარ: არც არაფერ სიკეთეს ველოდი. მე ბედის დავალებას წუწუნის გარეშე ვასრულებდი. ერთადერთს, რასაც ვნატრობდი, ეს იყო, რომ რაიმე ცუდად წამოსაძახები არ დამხვედროდა წინ. მე არც მთავრობის დასაყვედრებელი მაქვს რაიმე: არც ბინა, არც აგარაკი, არც მანქანა და არც არაფერი მიმიღია, როგორი ცარიელ-ტარიელიც მოვედი, ისე მივდივარ, არც არავის მიმართ მაქვს რაიმე პრეტენზია. თუ ჩემ ცხოვრებას რაიმე ნაკლი აქვს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემივე მიზეზით. არც ის იფიქროს ვინმემ, ტანჯვა-წვალებასა და იდეოლოგიურ ლანძღვა-გინების ძველებურ ფორმებს გავექცევი. ასე უხვად, ღიად რომ მაბეზღებენ ჩვენს პრესაში (წარმომიდენია ზურგს უკან, თქვენ რას გეუბნებიან!), მაგრამ თქვენთან ჩემზე დაბეზღება, როგორც ჩანს, ვერ ჭრის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე შემწევს ძალა შეგეკამათოთ, აგიხსნათ ვითარება და არ მოგატყუოთ. ეს თქვენ კარგად იცით. საქართველოსათვის, უნივერსიტეტისათვის მლიქვნელობაც შემიძლია (პირადი ინტერესებისათვის რამდენად, — ეს სხვებმა განსაჯონ). მე მივდივარ იმიტომ, რომ ამჟამად ძალზე მძიმე მდგომარეობაა. მრავალი თანამდებობის პირი, თავის სასარგებლოდ ამღვრევს წყალს და ვერ ხვდება, რომ საბოლოოდ იგი, ამღვრეული წყალი ყველას დაგვახრჩობს. მე არ მინდა ვიტვირთო რაიმე პასუხისმგებლობა ისეთ მძიმე რგოლში, როგორიცაა უნივერსიტეტი, მისი ახალგაზრდობა, რომელსაც მე თურმე „ტვინს ვუმღვრევ“. იმედი მაქვს ამ ამღვრეულ ტვინს სხვები განანათლებენ. პირადად თქვენ იმიტომ გწერთ ამ წერილ-განცხადებას, რომ სხვა თქვენს ქვემდებარე ინსტანციაში მე ამ საკითხზე პასუხს ვერ მივაღწიე. რექტორმა განცხადება დამიხია (აპრილში); მინისტრმა, ბიუროს წევრებმაც არ მომიწონეს „ჯერჯერობით წასვლის“ სურვილი. გარდა ამ მთავარი მოტივისა, მე სრულიად დისკვალიფიცირებული ვარ, როგორც ლექტორი, პროფესორი. უპატრონოდ მყავს მიტოვებული ოჯახი. ასე რომ, პრორექტორობას „სახელმწიფო ძიძის“ თანამდებობას, მირჩევნია რიგითი პროფესორობა. არავითარი კათედ-

რის გამგეობა ან რაიმე თანამდებობის მაგვარი რამ არ მინდა. ჩემი გადაწყვეტილება არასოდეს დამყარებია ემოციებს. ეს არის საკმაოდ დიდი ხნის ნაფიქრი და, გთხოვთ, თქვენი თანხმობით გამათავისუფლონ პრორექტორის თანამდებობიდან.

ვახტანგ გოგუაძე
28 მარტი, 1989 წელი.

ორ თებერვალს მიხმო საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა. საუბარი ორ საათს გაგრძელდა. სხვათაშორის, საუბარში მე მას ვუთხარი:

— ბატონო ჯუმბერ, თქვენ ხომ იცით, მე თქვენი მეგობარი არა ვარ, მაგრამ მე თქვენთვის მტრები არ გამიჩენია...

თუმცა საუბარი მეგობრულად წარიმართა. ერთობ დრამატული იყო ჩვენი დამოკიდებულება. რა მელოდა მაშინ ხელისუფლებისაგან, ეს ღმერთმა იცის, ბევრსაც კარგად ახსოვს; საუბარი დამთავრდა ასე:

— ასე რომ, ჩემო ვახტანგ, შენი პრორექტორობიდან განთავისუფლება ჩემი მუშაობის ცუდი შეფასება იქნება და, გთხოვთ, ეს განცხადება წაიღოთ.

— არა, ბატონო ჯუმბერ, იყოს მაინც ეს განცხადება თქვენთან, წინ ძალიან მძიმე გზაა და, რა ვიცით, იქნებ გული მოგვივიდეთ და დააწეროთ სათანადო რეზოლუცია-მეთქი.

განცხადება არ წამოვიღე. 9 აპრილამდე ორი თვითა და ერთი კვირით ადრე, მე მას განთავისუფლებას ვთხოვდი — რომ „გავხედე, ბატონო ჯუმბერ, წინ, რაც მოდის; მე არ მინდა, ამ უბედურებაში გავეხვიო“. ამას დიდი წინასწარმეტყველება არ სჭირდებოდა, როგორც იმას, რომ მე ამჟამად ხვეწნის გარეშე მივიღებდი განთავისუფლებას. კრიტიკული საღი აზრის მტრად მიჩნევა და დემოკრატია ერთად — ეს იგივეა, მოითხოვო შემწვარი ნაყინი. ჩვენს ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებას მხოლოდ სიმართლისათვის ბრძოლა გადაარჩენს. სიმართლეზე დიდი კაცი ჯერ არ დაბადებულა. სხვაგვარად ტაძრისაკენ კი არა, უბედურებისაკენ წავალთ. საჭიროა ვიბრძოლოთ არა დიქტატურის სტაბილიზაციისათვის, არამედ დემოკრატიის სტაბილიზაციისათვის. „გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ“... ამომაძირკვინეთ საქართველოდან ჯანსუღ კახიძე, ლიანა ისაკაძე, რობერტ სტურუა... რომ არაფერი ვთქვათ აწ განსვენებულ პროფესორ მერაბ მამარდაშვილზე. მერე გაადვილდება ცხოვრება, დაიწერება ლექსები... „საამურია ცხოვრება“. არ დაიჯეროთ — „ჩვენთან არს ღმერთი!“ ღმერთი მასთანაა, ვინც მისკენ ილტვის.

17. 12. 90 წელი.
1 იანვარი, 1991 წელი.

უკომენტაროდ...
მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

ბატონო დეპუტატებო!

ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის აღმავლობის ეპოქაში საქართველო როგორ მიექანება დიქტატურის უფსკრულისაკენ. საქართველოში საღ აზრს დღეს გასავალი არა აქვს, არაჯანსაღმა აზრმა კი კატასტროფამდე მიგვიყვანა. ეს ყველა ჩვენთაგანის ბრალია, მაგრამ მეტნაკლებია ჩვენი ცოდვა ღვთისა და ერის წინაშე. მალე ერთი წელი გახდება, რაც ამჟამინდელი უზენაესი საბჭო ფუნქციონირებს. თუ რეალისტურად, ჯანსაღად განვსჯით ყოველივეს, უნდა დაგვეთანხმოთ, რომ პარლამენტის მოღვაწეობა, სამწუხაროდ, ვერ პასუხობს ელემენტარულ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ არიან პატიოსანი ადამიანებიც. მათთვის დაკისრებულ მოვალეობასთან შეფარდებით ეს პატიოსნება სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად მისი მუშაობა ჩვენმა ხალხმა დადებითად შეაფასოს. პარლამენტის კანონებმა შექმნეს სისტემა დიქტატურისა, პრეზიდენტის სრული თვითნებობისა და შეუზღუდავი ძალაუფლებისა, რაც გახდა ქართველი ხალხის საქვეყნოდ სახელის გატეხის საფუძველი.

საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის გარჯის მთავარი სტიმულია პირადი გამდიდრება, ოჯახური კეთილდღეობა, ლამის ნახევარი საქართველო მოჯამაგირეებად და „ტელოხრანიტულებად" აქციეს. უმოწყალოდ იძარცვება საქართველო, კანონი არის ის, რაც მოესურვება ზ. გამსახურდიას, მის მეუღლეს და ცოლისდებს. ასეა მთლიანად წარმართული საკადრო პოლიტიკა. დააკანონეს მონური მორჩილება და არნახული მლიქვნელობა. საქართველოს იდეოლოგია უტიფარ სიცრუეზეა აგებული, თქვენ კი, ბატონო დეპუტატებო, თუ ყოველივე ამას ვერ ხედავთ, სირცხვილია, გონიერებისა და მიხვედრის დონის თვალსაზრისით. თუ ხედავთ და ასე სდუმხართ დანაშაულია. მისასალმებელია, თუმცა სრულიად არასაკმარისია პარლამენტში დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობა.

საქართველოს კომპარტიის ბიუროს გადაწყვეტილება „გკჩპ"-სთან სერგო ორჯონიკიძის სულისკვეთებით მიგებებისა კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა თავისი რეალური და პრაქტიკული მნიშვნელობით რესპუბლიკის პრეზიდენტის დამოკიდებულება მოსკოვის 19-21 აგვისტოს დღეების მიმართ, რამეთუ მას უპყრია საქართველოში ძალაუფლება, საქართველოს კომპარტიას კი დღეს, საბედნიეროდ, აღარ აქვს ძალაუფლება. პრეზიდენტმა პრაქტიკულად შეასრულა ის, რაც კომპარტიამ სიტყვიერად გამოხატა. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა „ვრემიათი", უცხოეთში გადაცემული

მისი ინტერვიუები გახდა საქართველოს მორიგი ღანძღვის საფუძველი, მაგრამ „გკჩპ"-სთან ზ. გამსახურდიას დამოკიდებულება სრულიადაც არ გახლავთ შემთხვევითი. შეგახსენებთ, მას ენერგიულად იცავს კრემლის ძალები (საბჭოთა არმია). საბჭოთა საქართველოს მილიციას კრემლი აძლევს წელიწადში 150 მილიონ მანეთს, სუკ-ს 140 მილიონს, პროკურატურას 7 მილიონს. აი, ეს ორგანოები იცავენ მას და ნურავის ეგონება კრემლის ინტერესების საზიანოდ. მაგრამ როგორც კი საშიშროება შეიქმნა, გამსახურდიამ დაუყოვნებლივ მოისროლა ის ეროვნული გვარდია, რომლის შექმნა დაკანონებული გახლავთ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კონსტიტუციით, მაგრამ საქართველოში მოქმედი კონსტიტუცია არის ის, რაც მოესურვება პრეზიდენტსა და მის მუუღლეს.

ბატონო დეპუტატებო!

გთხოვთ, გათავისუფლდეთ ზ. გამსახურდიას შიშისაგან და შეშინდეთ ხვალინდელი დღისადმი თქვენი პირადი პასუხისმგებლობით. ერი დღეს თუ ხვალ ამ პროცესს მისცემს პოლიტიკურსა და იურიდიულ შეფასებას. გთხოვთ, გამოიჩინოთ პირუთვნელობა, მთელი ყურადღება გაამახვილოთ უმთავრეს სასიცოცხლო პრობლემებზე და არასგზით არ გადაიტანოთ ყურადღება მეათეხარისხოვან საკითხებზე. თქვენ გეძლევათ ისტორიული შანსი — ერი იხსნათ ამ სამარცხვინო მონური დაქტატისაგან. ამიტომ მოგიწოდებთ, მოიწვიოთ პარლამენტის სხდომა, განიხილოთ და მხარი დაუჭიროთ ჩვენს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გადაყენებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობიდან ზ. გამსახურდია. გამსახურდიასა და მისი მეუღლის მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

ა. ეროვნული და სახელმწიფო ქონების განიავებისათვის პირადი გამდიდრების მიზნით;

ბ. ეროვნებათა შორის კონფლიქტის გაღვივებისათვის;

გ. საკადრო პოლიტიკაში უხეში თვითნებობისათვის (პროტექციონიზმი, ნათლიმამობა, საქმისადმი ყოვლად არაკვალიფიცირებული დამოკიდებულება), რამაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს როგორც მატერიალურად, ისე სულიერად);

დ. ქართველი ინტელიგენციის, საზოგადოებრიობის, პოლიტიკური ოპონენტებისა და ცალკეული მოღვაწეებისადმი ცილისწამებისა და პროვოკაციების გამო.

2. გათავისუფლებულ იქნან პოლიტპატიმრები.

3. სათანადო შეფასება მიეცეს საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციას. დაისვას საკითხი საქართველოს რადიო-ტელემაუწყებლობის ორგანიზაციისა და პრესის ზოგიერთი მუშაკის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

ცილისწამებისა და სიცრუის პროპაგანდის, ერის ცნობიერების დეზორიენტაციის გამო.

ბატონო დეპუტატებო!

გთხოვთ, წარმოდგენილ საკითხებს ნუ შეხედავთ ტრადიციული ფსიქოლოგიით (სიმართლე სიმართლეა, მაგრამ არაფერი გამოვაო). გარწმუნებთ, ეს საკითხები მალე თავისთავად დადგება დღის წესრიგში. ხალხი უკვე ხედავს ყველაფერს. ჩვენ არ გვინდა ის დაწყებული სიძულვილი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის მიმართ თქვენზეც გადმოვიდეს. ხედავთ, იმპერია იშლება. დამპყრობელმა საქართველოს, შესაძლოა თავისთავადაც გაანებოს თავი, ჩვენ კი დამოუკიდებლობისაკენ კი არა, პირუკუ მიმართულებით მივდივართ. გთხოვთ, მოიქცეთ ისე, როგორც ეს ღირსეულ მამულიშვილთ შეჰფერით.

პროფესორი ვახტანგ გოგუაძე
24. 08. 91.

„ძირს ერის მოღალატეთა ხროვას!“

ამ დღეებში თბილისში გავრცელდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული პროკლამაცია, რომელსაც ხელს აწერს „პროფესორი“ ვახტანგ გოგუაძე, იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ბრალს სდებს საქართველოს პრეზიდენტს კორუფციაში, პირადი გამდიდრების მიზნით უკანონობათა ჩადენაში და სხვა მრავალ უკეთურებაში. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ე. გოგუაძე არის ავადსახსენებელი მგელაძისა და შევარდნაძის ახლო ნათესავი და მათი უშუალო აგენტი საქართველოში. იგი მათი წყალობით მოკალათდა თბილისის უნივერსიტეტში ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში და დღეს იმპერიის აგენტურის დასაყრდენია. „დემოკრატიის“ ქურქში გახვეული შევარდნაძე მსგავსი გარეწრების მეშვეობით ცდილობს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დისკრედიტაციას. ე. გოგუაძე ერთ-ერთი მთავარი აპოლოგეტია კრიმინალური ტერორისტული ბანდის მხედრიონისა, მისი ატამანის ჯაბა იოსელიანის პირადი მეგობარი და თანამებრძოლი. იგი უნივერსიტეტის ზოგიერთი სხვა ვაი-პედაგოგებთან ერთად ნერგავს ახალგაზრდობაში ე. წ. „კანონიერი ქურდების“ კულტს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, კრემლის მიზანი ყოველთვის იყო ჩვენი ახალგაზრდობის გახრწნა, ქურდობისა და ნარკომანიის ჭაობში ჩათრევა, რათა ამ გზით ახალგაზრდობა ჩამოეცილებინათ პოლიტიკური და ეროვნული ბრძოლისათვის. ამ ბინძური მიზნების განხორციელებისათვის კი იყენებდნენ გოგუაძის მსგავს უპრინციპო პიროვნებებს, რომელთაც ოცდაათ ვერცხლად მიჰყიდეს სატანას სული.

რენეგატ შევარდნაძის კარიერამ კრახი განიცადა მოსკოვში, ძან დაკარგა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, თავისი ორმაგი თამაშით დაკარგა გორბაჩოვის კეთილგანწყობა, რითაც გამოირიცხა მისი ვიცეპრეზიდენტობა, ხოლო მის მიერ შეკოწიწებული ე. წ. „დემოკრატიული რეფორმების" პარტია საპნის ბუშტი აღმოჩნდა, რომელმაც ვერავინ გააერთიანა. ამის გამო იგი ეძებს კვლავ გზებს საქართველოსაკენ, სადაც მას სურს ხელმძღვანელი როლი დაიბრუნოს. ერთხანს იგი ცდილობდა მგელაძისა და იოსელიანის „მხედრიონის" მეშვეობით განეხორციელებინა ეს, ახლა კი პუტჩისტების: სიგუას, ხოშტარიას, გოგუაძის, ადვაძის, ჰანტურიას და სხვათა იმედები აქვს, რომელნიც მისი გაანგარიშებით გვარდიას აუჯანყებენ პრეზიდენტს და დაამხობენ.

დროა ქართველმა ერმა ამხილოს იმპერიის აგენტები და საკადრისი განაჩენი გამოუტანონ მათ, ვინც გვეღობება თავისუფლებისა და საერთაშორისო აღიარებისაკენ მიმავალ გზაზე.

მაშულიშვილთა საძმო.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს

პროფესორ ვახტანგ ელასის ძე გოგუაძის (მცხ. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პრ.ს. III კვ. XI კორპ. ტ. 31-85-39)

ახსნა-განმარტება

გაეცანი თქვენს მიერ წარმოდგენილ მიმართვას საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი ჩემი სახელით. ვადასტურებ, რომ ეს დოკუმენტი ჩემს მიერ არის შედგენილი. ჩემთვის ცნობილია პასუხისმგებლობის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ ჩემს მიერ ცრუდ დაედება ბრალი პირს ან პიროვნებებს დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, მოქმედი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად, რომლის შინაარსს მე გავეცანი და გაფრთხილებული ვიქენი პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, ვაცხადებ, რომ მყარად ვდგავარ ჩემს პოზიციაზე. ჩემს პრეტენზიებს უკან წავიღებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაათავისუფლებთ საქართველოს პოლიტპატიმრებს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რაიმე ბრალდება ცრუდ მიმაჩნდეს. რაც შეეხება ცალკეულ ბრალდებებს, მე მის დასაბუთებულ სურათს, დოკუმენტაციასა და არგუმენტაციას გავაცნობ სასამართლოს. ამჟამად, ორსიტყვიან ახსნა-განმარტებაში საამისო საშუალება არ შეიძლება იყოს.

რაც შეეხება წინასწარი გამოძიების პროცესს, მოგახსენებთ: საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, ცხადია ვერ შეძლებენ

წინ აღუდგნენ რანაირი სახის დანაშაულიც არ უნდა მოდიოდეს ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან. ეს ჯერ-ჯერობით არც მომხდარა და არც მოხდება. ამიტომ მოვითხოვ წინასწარ გამოძიების პროცესში რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად ჩართული იქნას ჰაველის, ლანდსბერგისის და ბორის ელცინის წარმომადგენლობით გამოგზავნილი პირები, რომელთაც სცნობს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

რაც შეეხება კითხვას რატომ მიმაჩნია პროფესორი ჯაბა იოსელიანი პოლიტპატიმრად, ჩვენ არგუმენტების ნაკლებობას არ განვიცდით. მაგრამ ამჟამად ბატონ ზ. გამსახურდიას შევახსენებ ერთ ეპიზოდს: 1989 წლის 24 ნოემბერს ცხინვალის მისადგომებთან დილის 11 სთ-ზე, იგი ადგენდა ცხინვალში გასაგზავნ დეპუტაციის სიას. მათ შორის ვიყავი მეც. ბოლოს ბატონმა ჯაბამაც უთხრა ბატონ ზვიადს, რომ მეც ჩამრთვოდა. ამაზე ბატონმა ზვიადმა დაუყოვნებლივ უპასუხა: — შენ არა, ჯაბა, შენ ხომ აქ უნდა დაგვიცავ. მე ვსარგებლობ შემთხვევით და მოვუწოდებ ბატონ პრეზიდენტს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს და ცილს ნუ სწამებს იმ ქართულ ინტელიგენციას, რომლითაც იგი უნდა დაუკავშირდეს დასავლეთს.

პროკურატურის გაფრთხილებას ყურად ვიღებ. და მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემს ყოველ სიტყვაზე.

რაც შეეხება ჩემი მიმართვის მეორე აბზაცს, იმ ფორმულირებას, რომ „საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის გარჯის მთავარი სტიმულია პირადი გამდიდრება, ოჯახური კეთილდღეობა". — ამ საკითხზე მე გამოძიებას ვუპასუხებ, მხოლოდ იმ კატეგორიული მოთხოვნით, რომ მასში ჩართული იქნებიან არა მხოლოდ საქართველოს სამართლდამცავი ორგანოების წარმომადგენლები (ზემოთ დასახელებული რესპუბლიკებიდან). ჩემი ზემოთ მოტანილი აზრი, ცხადია, სწორად მიმაჩნია. მოვითხოვ, რომ ჩემი მიმართვის საკითხზე ჯერ სახალხოდ, დემოკრატიულად იმსჯელოს პარლამენტმა და მისი დადგენილების შემდეგ გადაეცეს იგი პროკურატურას. მანამდე კი მე გამოძიებას ჩვენებას არ მივცემ.

ახსნა-განმარტება დაწერილია ჩემი სიტყვებით, ჩემს მიერ და სწორია, ხელს ვაწერ.

ვახტანგ გოგუაძე
29.08.91 წელი.

1991 წლის აგვისტოში დამიბარა ყოფილმა პრეზიდენტმა, გადმომცა ბატონ ვახტანგ გოგუაძის სახელით შედგენილი ხელმოწერილი მიმართვა და მითხრა, ეს შედგენილი არის ვახტანგ გოგუაძის მიერ, დაუძახეთ და გააფრთხილეთ, თუ არ დაადასტურებს, რაც აქ წერია, მიცემული იქნება პასუხისგებაში.

ამ არასასიამოვნო პროცედურის შესრულება დავავალე ჩემს მოადგილეს ბატონ როლანდ გილიგაშვილს, რომელმაც იმავე წლის 29 აგვისტოს წარმოადგინა ბატონი ვახტანგ გოგუაძის განმარტება, რომელშიც ის ადასტურებდა, რომ მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების მისამართით შედგენილია მის მიერ და მოითხოვდა მასში აღნიშნული ფაქტების გამოძიებით შემოწმებას, რომ გამოძიების პროცესში ის წარადგენდა სათანადო მტკიცებებს, რომლებითაც დადასტურდებოდა პრეზიდენტისა და მისი მეუღლის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი.

ვინაიდან გამსახურდია დავალების მოცემის შემდეგ ყოველდღე მახსენებდა, შევასრულე თუ არა მისი დავალება ბატონ ვახტანგ გოგუაძის გაფრთხილების შესახებ. იმავე დღეს მოვახსენე მას ბატონი ვახტანგის პოზიცია, რამაც მასში გაკვირვება და შიშის გრძნობა გამოიწვია, გაფითრებული სახე ჰქონდა და დაბნეული მომჩერებოდა, ალბათ, გაითვალისწინა მოვლენების შემდგომი განვითარების საშიშროება და ბოლოს თქვა, ასეთი ადამიანები თავისუფლად არ უნდა დადიოდნენ, მე მოვუული მასო.

ვახტანგ რაზმაძე.

პერსონალური პიროვნება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატებს

ძვირფასო მამულიშვილნო, თქვენ მიბრძანდებით საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. ალბათ, მოკავშირე რესპუბლიკათა შორის უველაზე რთული მისია გაკისრიათ თქვენ. ქვეყნის აზრი მიპყრობილია 9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისადმი. თქვენ ყოველ გარჯას, ყოველ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რომელიმე თქვენგანის აუწონელი სიტყვა შეიძლება მთელი საქარველოსთვის სავალალო გახდეს. ყველა არაქართველი, მტერი თუ მოყვარე თქვენი გამოსვლის მიხედვით იმსჯელებს არა პირადად თქვენზე, არამედ ზოგადად — როგორც ქართველსა და ქართველებზე. რას მოვითხოვ თქვენგან პირადად მე, როგორც ამომრჩეველი და სსრკ სამი სახალხო დეპუტატის ნდობით აღჭურვილი პირი? თქვენ ხალხის რჩეულნი ხართ,' მაგრამ ხალხი, ამომრჩეველი, თავის რჩეულს რჩევას უნდა აძლევდეს. ეს საჩოთირო სრულიადაც არ არის. ყოველ პრეზიდენტს ახევია მრავალი მრჩეველი, მაგრამ პრეზიდენტი პრეზიდენტია. ჰკვიანს სჭირდება მრჩეველი, უჭკუოს მრჩეველი არ სჭირდება ამ წერილ-მიმართვის ტექსტი ამეკვიატა, არ მომასვენა და მინდა გარკვეული მიზეზით პრესით გაგაცნოთ იგი. ეს იმიტომ, რომ თქვენი მოქმედებისა და აზრის ორიენტირია დღევანდელი ქართული საზოგადოებრივი განწყობილე-

ბა. იგი არაა ერთგვაროვანი. ვერ ვიტყვით, ვთქვათ ფორმალებს ასეთი აზრი აქვთ, არაფორმალებს კი საპირისპირო, აზრი უაღრესად აჭრელდა. თქვენ უნდა მოუსმინოთ მთელს საქართველოს შეაჯეროთ საზოგადოების აზრი თუ გრძნობა, ჩვენზე უფრო ღრმად გაანალიზოთ ყოველივე და ვთქვათ ის, რაც სიკეთეს მოუტანს საქართველოს. თუ თქვენ ისეთ სიმართლეს იტყვით, რომელიც ზიანის მეტს არაფერს შესძენს ჩვენს ხალხს, ამისთანა სიმართლე, ალბათ, სხვაგან და სხვა ჟანრით უნდა ითქვას. თქვენ სიმართლე უნდა თქვათ მაღალი პოლიტიკის ენაზე, დიდი პოლიტიკის დონეზე. თქვენ უნდა აჩვენოთ აზრის ძალა, მუშტის ძალით იქ ვერაფერს გახდებით. ნურც იმას იფიქრებთ, საქართველოში მეტ თაიგულს მას დაახვედრებენ, ვინც მწარე სიტყვათა აუქციონში გაიმარჯვებს, ისეთი რამე უნდა თქვათ და გაკეთოთ, ხვალ რომ მოგვეწონება ჩვენც და თქვენც. მტერიც კი აღიარებს თქვენს ღირსებას. თქვენ უნდა შეინარჩუნოთ სხვადასხვა ხალხების მატიანეებსა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებული ქართველი კაცის სიმპათიური სახე. ეს ჩვენი მამა-პაპათა დიდი მემკვიდრეობაა, რასაც ბოლო ჟამს რიგიანად ვერ ეუფრთხილდებით. მოგეხსენებათ, ძველი ევროპიელების თუ აზიელი ისტორიკოსების წყაროებში ქართველი კაცი და ქალი ქებულნი გახლდათ, ზოგჯერ ლეგენდარულიც — კი. მე მწამს, რომ გიხილავთ ღირსეულ მოპაექრეებად, არავის ათქმევინებთ ქართველები ჰიჰყინა, წუწუნა ხალხია, ყველაფერს რომ მხოლოდ სხვას აბრალებენო. სრულიადაც არ მინდა პოლიტიკურ ტრიბუნაზე ვინმემ ემოციური გეიწროდოს, ეს კულტურული ღანძღვაა, გონიერების ნაკლებობაზე რომ მიუთითებს, თქვენ უნდა დაარწმუნოთ ყველა, რომ ხართ სამართლიანი განმსჯელნი, ობიექტურნი, მშვიდნი, რაინდულად რომ შეგიძლიათ თავისივე ნაკლისა თუ სისუსტის აღიარება; არამც და არამც ჯიუტი კაცის შთაბეჭდილება! მოგეხსენებათ, ჯიუტი არ შეიძლება იყოს პრინციპული და სამართლიანი. სადაც სიჯიუტეა, იქ ეგოისტური აკვიატებაა. ეგოისტი კი, საბოლოოდ, თავის თავის მეტს არავის უყვარს. ეგოისტ კაცსა თუ ერს სამართალი არ მოეკითხება. ვიმეორებ, თქვენი სახელი და გვარი ასეთ სიტუაციაში არის ქართველები და საქართველო, — ისტორიულად განთქმული თავისი ვაჟკაცობითა და კაცთმოყვარეობით, სხვადასხვა ხალხებთან ძმობის უბადლო ნიშიერებით.

ძვირფასო დეპუტატებო, ღმერთმა დამიფაროს დაგაძალოთ ჩემი აზრი. დღეს საბჭოთა კავშირში, საქართველოში დემოკრატიული წყობილებისათვის ბრძოლაა და არა რეალური დემოკრატია. თუმცა ყოველივე ჩვენგანი ბუნებით დემოკრატად ვთვლით თავს, მაგრამ ტირანულად კი ვესხმით თავს ერთმანეთს განსხვავებული აზრის გამო. ძნელი ყოფილა თავის დაღწევა იმის კლანჭებისაგან, რასაც ვებრძვით. როგორც ჩანს, ტირანულად ავიშვით და არა დემოკრა-

ტიულად. გთხოვთ თქვენც მიმიტევოთ და ყველა მეგობარმა ფორმალმა თუ არაფორმალმა, ვისი თვალსაზრისიც არ ემთხვევა ჩემს მოსაზრებას. მე პირადად ამას ურთიერთობის ერთგვარ გამორკვევად და გამოცდადაც ჩავთვლი.

თქვენ, როგორც პატრიოტებს, პოლიტიკოსებს, რომელი გირჩევნიათ — უზარმაზარი ქვეყნის, ნახევარმსოფლიოს წიანმძღოლი ჩვენი ხალხისადმი კეთილგანწყობილი იყოს თუ გაღიზიანებული? რომელი სჭირდება საქართველოს? თუ, მოდით, და გავაღიზიანოთ, გული მოვიფხანოთ?! პასუხი ალბათ ნათელია. ჩვენ დროსთან ვდებთ სანაძლეოს. ბატონ მიხეილ გორბაჩოვს ქართველებთან, საქართველოსთან კარგის მეტი არაფერი აკავშირებს. ამას დრო გვიჩვენებს. ყველანი დავრწმუნდებით, რომ 9 აპრილს ის ბარბაროსული აქცია არამარტო ჩვენ, თვით მ.გორბაჩოვს მოუწყეს. ამ ფაქტმა მას ბევრი უსიამოვნება მიაყენა. გორბაჩოვისა და ჩვენმა საერთო მტერმა თავისი აისრულეს და, ალბათ, ახლაც ხითხითებენ, თუ ზოგჯერ მისამართი შეგვეშლება. ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, გამოვიძიოთ მტერი. ღმერთი რომ ხალხს მოიძულებდა, მტრისა და მოყვრის გარჩევის უნარს უკარგავდა. გახსოვთ გასული ყრილობა, „აგრესიულმა უმრაველესობამ" ჩვენს მიმართ რა პოზიცია დაიკავა. მ. გორბაჩოვი იყო ის კაცი, რომელმაც ჩვენი მსარე დაიჭირა, ჩვენი საყვედურებიც არად ჩააგდო, გაიგო ჩვენი მდგომარეობა. მიხეილ გორბაჩოვია ის კაცი, რომელმაც ტყვედპყრობილი ეკლესია გაათავისუფლა, რომელსაც გულწრფელი მადლობა უთხრა რომის პაპმა. ყველაზე პროგრესულად მოზროვნე კაცმა მთელს მსოფლიოში. მე, როგორც ქართველი კაცი, რიგითი მოქალაქე, კატეგორიულად მოვითხოვ თქვენგან, ყველა ქართველისაგან მტერს ნუ მოვუმრაველებთ საქართველოს. ყველა ქართველი უნდა გაუფრთხილდეს საქართველოს!

პასუხი ღმერთმა მოგვკითხოს ყველას თქვენც და ჩვენც. ვინ გამბედავია და ვინ მლიქნელი ნუ ეიჩქარებთ იარლიყების გამოწერას. ყველას მალე მოგვეცემა საშუალება მძიმე გამოცდები ჩავაბაროთ. შეგახსენებთ, რომ აპოკალიფსური ეპოქის შვილები ვართ. ძალზე ხანმოკლეა გამოცდის ჟამი. ყოველი ჩვენგანი წარვდგებით უზენაესის წინაშე ნიღაბჩამოხსნილნი.

პირადად ჩემზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა დეპუტატ ა. სობჩაკის გამოსვლებმა. ინტერვიუებმა 9 აპრილის ტრაგედიის თაობაზე. ეს არის გაწონასწორებული, ერუდირებული, დახვეწილი კაცი, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის უფლებამოსილი წარმომადგენელი პარლამენტში. ნეტავი ბევრი იყოს იქ ასეთი დეპუტატი! მე მას მადლობას ვუხდი ქართველი ხალხისადმი თანადგომის გამო.

ალბათ, ძალიან ეწყინებათ , ზოგიერთ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერს, ჩემს მეგობრებს, მაგრამ მინდა ჩემი გაკვირვება გამოვთქვა ერთი გარემოების გამო. გაჩნდა და არ წყდება აზრი,

თითქოს 9 აპრილს დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ოფიციალურადაა ცნობილი. თითქოს ოჯახებმა დამალეს, რომ ოჯახის წევრი დაიღუპა ამ ტრაგიკული მოვლენის დროს. მეორე დღიდანვე მთავრობის სასახლის წინ იდგა ყვავილების ზღვა; დაღუპულთა სურათები, სანთლები, ხალხის ცრემლი და გოდება არ წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან. ხალხმა ეს წმინდა მსხვერპლი გმირად გამოაცხადა. მე დიდი ბოდიშით მინდა გაგახსენოთ, რომ უნივერსიტეტმა დიდი შეღავათები გაუწია მისაღებ გამოცდებზე 9 აპრილს მოწამლულ აბიტურიენტებს. მათ მიმართ ყველანაირ შეღავათებზე წავიდნენ სახელმწიფოებრიეი და საზოგადოებრიეი ორგანიზაციები. გამაგებინეთ, — რა ლოგიკით უნდა დამალულიყო ასეთი მსხვერპლი. ვინ დამალავს, რატომ დამალავს და როგორ დამალავს საქართველოში ამისთან ფაქტს? მე ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ჩვენ პოლიტიკაში თუ რეალიზმის გზას არ დავადექით, დაღუპვის პირას უკვე ვიმყოფებით. თუ ომს ვუცხადებთ ვინმეს, მითხარით, მეც წამოვალ ოღონდ ამიხსენით — ვინ არის სარდალი და როგორ უნდა ეომოთ. პოლიტიკური ბრძოლის ნაყოფიერება შედეგით განიზომება — რა სიკეთეს მოუტანთ თქვენს ხალხს.

ძვირფასო დეპუტატებო,

მე მწამს, რომ თქვენ გამოიჩენთ ღრმა პრინციპულობას, გონიერებას, ბევრს გვერდზე გამდგარსაც ჩვენსკენ შემოაბრუნებთ, და შექმნით იმის საფუძველს, რომ საბჭოთა კავშირში, ევროპაში, მსოფლიოში ქართველი ხალხის შესახებ იცოდნენ სიმართლე.

5 დეკემბერი, 1989 წ.

მინაწერი: ეს „პერსონალური მიმართვა" რომ შეწუხებული კაცის მიერაა დაწერილი, არავის გაუკირდება ამის მიხვედრა. იმ დღეებში უნივერსიტეტის კლუბში /რამდენიმეგზის/ ტევა არ იყო. რადიოფიცირებული ჰოლი და ეზოც ისმენდა, მოსკოვს მიმავალ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების „დამოძღვრას". ის რომ შეესრულებინათ, ვერ წავიდოდა კარგად ჩვენი საქმე. მიტინგის თავკაცი ყოფილი პრეზიდენტი გახლდათ. ზოგიერთიც არ ჩამორჩებოდა რადიკალურ მოთხოვნებში. დეპუტატებისადმი წაყენებულ იქნა ულტიმატუმი — თუ ისინი არ შეასრულებდნენ მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნებს გამოცხადდებოდნენ მოღალატეებად, არ ჩამოუშვებდნენ აეროპორტში. მათ უნდა ემტკიცებინათ, რომ 9 აპრილს დაიღუპა არა 21 ადამიანი, არამედ „ათეულებით და ასეულებით გვამებს ყრიდნენ მტკვარში". მათ უნდა ემტკიცებინათ, რომ რუსის ჯარმა გენოციდი მოუწყო ქართველ ხალხს.

ნურავინ იტყვის, მაშინ მიტინგს ძალა არ ჰქონდაო. მიტინგის წინაშე მლიქნელობდნენ ხშირად. მე ვერ ვიტყვი, რას იზამდნენ

ჩვენი დეპუტატები, მიტინგისათვის რომ დაეჯერებინათ. ვერც იმას ვიტყვით, რატომ არ დაუჯერეს /ლაპარაკი არ არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯანსაღ მიტინგებზე/. აქ სხვა იდეა, სხვა ჩანაფიქრი ჩანდა. ჩემი მიმართვის მთავარი მორალურ-ფსიქოლოგიური მიზანი იყო, — ჩვენს დეპუტუტებს მოსკოვში ყველას მიმართ არ ექნიათ მუშტი. მაშინ გორბაჩოვი და დემოკრატიული ფრთა ერთად იყვნენ. ჩემი დიდი სურვილი იყო, ჩვენს დეპუტატებს ჯანსაღი დემოკრატიული მხარე მიემხროთ, რომლის შემადგენლობაში გახლდათ მსოფლიოში ცნობილი მოღვაწეები და რომელთა სიტყვის ტირაჟს დიდი სივრცე ჰქონდა. ალბათ, მემილიონედი გავლენა ამ წერილმაც იქონია ჩვენს დეპუტატებზე. ყოველ შემთხვევაში კარგად დაემთხვა ყოველიეე ყოველიეეს. ამბოხებულ ჩვენს დეპუტატებს მხარი აუბა და უკან გამოჰყვა მრავალი მოკეთე, მათ შორის შევარდნაძე და გორბაჩოვიც /მოლაპარაკება რომ გაამართეს/.

ახლა ამ ტექსტში არფერია უჩვეულო და საინტერესო, მაგრამ იგი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ აბობოქრებულ მასის /მომიტინგეების/ ტაშის გრიალში მიმდინარე სულისკვეთებას. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. დამინდეს და ამჟამად აღარ გამომაცხადეს იმ „საპატიო" იარლიყებით, ასე ძალიან რომ უყვარდა დიდოსტატის ძეს, მაშინ ჯერ კიდევ სჭირდებოდა მას ჩემთან ურთიერთობა.

მიეცით ნიჭსა...

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა — ღირსებას". რამდენჯერ გაგვიგონია, თუ ვინ გამოდგება ამ ჟურნალის რედაქტორად, ამა თუ იმ თანამდებობაზე: ისინიც კი, ვინც რეალურად არ წყვეტდნენ ამ საკითხებს, ასე კონსერვატიულად უპასუხებდნენ: ჰო, მაგრამ უპარტიოა, ჰო, მაგრამ ცოტა უტაქტოა... უტაქტობის მომხრენი არეინ ვართ, მაგრამ ამ სიტყვას უფრო მარჯვედ მომგერიებელი ნიშანი შეეძინა. ხშირად უტაქტოდ ითვლება ის, ვინც უფროსობისაგან განსხვავებულ აზრს, ახალს, ორიგინალურს იტყვის.

და მაინც პირველ რიგში ეს არის ნიჭისთვის ყველა გზის გახსნის მოთხოვნა. გონიერი კაცი უდაბნოს წალკოტად აქცევს, უგნური კი... თუ ნიჭიერებას არ ითხოვს სოციალური სიტუაცია, იქ პროგრესზე ზედმეტია ლაპარაკი. ნიჭიერი კაცი კი ხშირად არასტანდარტულია და მავანთათვის გამღიზიანებელიც. ჩვენ კი ხშირად უსახო მაამებლებს ვამჯობინებთ. ამოცანაა შინაგან თავისუფლებას მივაღწიოთ, მაშინ არც ჩვენ დავიღლებით რეევრანსებით, არც სხვებს დავღლით, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმეა. ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან" ერთი ფსიქოლოგიური მომენტი მინდა გავიხსენო. გიორგი ყმა აღარაა. არც გაჩირვება ადგას — თავი

ყმად იქციოს. მაგრამ მასში საუკუნეების სიბეჩავეა, ამიტომაც ვერ ბედავს თავის გრძნობას კესოსადმი უფლებამოსილი სახელი დაარქვას... იყო დრო, როცა უთქვამთ: კი დავწერ, მაგრამ ვინ დამიბეჭდავსო. დღეს ჩვენში რა სიმაღლისა და სიღრმის წიგნი თუ სპექტაკლი განებავთ, გზას ყველა იკვლევს. შესანიშნავი სიტყვა თქვა პატონმა გიგა ლორთქიფანიძემ თეატრალურ მოღვაწეთა ყრილობაზე მოსკოვში. მართლაც, ათ წელზე მეტია, ჩვენს რესპუბლიკაში არ აკრძალულა არც ერთი მხატვრული თუ მეცნიერული ნაწარმოები. ამ თავისუფლებამ შექმნა ისეთი დიდი ფილმი, როგორიცაა „მონანიება".

დღეს ყველას პირზე აკერია გარდაქმნა, დაჩქარება. ზოგან დაჩქარების რეალური განხორციელების ნაცვლად დაჩქარებული ლაპარაკი გვაქვს. მაგრამ ზემოდან მომავალი ტალღა გარდაქმნის აუცილებლობისა, სასიკეთოდ მიიწევს წინ. „თაყვანისცემა — ღირსებას" — ეს პრინციპი თუ ვერ გავატარეთ, მაშინ კადრები იკადრებენ იმას, რასაც კადრულობდნენ...

როგორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანდასახულობა გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად? როდესაც 70-კაციან კურსზე შევდივართ, შეგვიძლია შევარჩიოთ რამდენიმე მაღალი დონის სტუდენტი. აი ამ კონდიციას უნდა უპასუხებდეს ყველა. უნივერსიტეტის სტუდენტი თავისთავად უნდა ნიშნავდეს წარჩინებულს. იქნება ვფიქრობთ, რომ რესპუბლიკაში ამდენი ნიჭიერი სკოლადამთავრებული არ მოიპოვება. არა, ჩვენი მისაღები გამოცდების სისტემა ჯერ შორსაა სრულყოფისაგან. ამას აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ობიექტურ მხარეზე, ალბათ, აჯობებს ცენტრალურ პრესაში ითქვას, ის რაც უნდა გაკეთდეს.

ახლა უფრო ახლოს მივიდეთ კონკრეტულ სინამდვილესთან.

ცნობილია ქართული თავმოყვარეობის ასეთი შტრიხი: საკუთარი საოჯახო ამბავი გარეთ არ უნდა გაიტანოო. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ პირი თავს არ დამალავს. უნივერსიტეტის პრესტიჟისათვის ზრუნვას — მეტაფორებით შეკაზმვას აზრი აღარ აქვს. იგი საიდუმლო კუნძული როდია. მას სჭირს ის სიკეთე და სნეულება, რაც ჩვენი ცხოვრების თანამდევია. დღეს ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ.

პირველი და უდიდესი ნაკლი ის გახლავთ, რომ ჩვენი სტუდენტობის არასაკმაო ნაწილი არის კონდიციის მქონე მომავალი სპეციალისტი. ვერ გამოვთქვამთ კმაყოფილებას მათი განათლებისა და კულტურის მხრივაც. ყველაფერი არც ოჯახებს და არც საშუალო სკოლას გვინდა გადავაბრალოთ. დავიწყოთ კულტურულ-ესთეტიკური დონის საკალალო ტენდეციებით.

ხალხური სიმღერების ანსამბლის ხელმძღვანელი ცრემლებით შემხვდა: ვიღუპებით, ჩვენი ბიჭების სმენა არაფრად ვარგაო. მე

კარგა ხანს ვამშვიდებდი. ბიჭებს სმენა გვიან ეხსნებათ-მეთქი. გავახსენე ტიტო გობის, შალიაპინის და სხვა საოპერო მომღერლების ბიოგრაფიებიდან იმედის მომცემი ფაქტები.

ეს აზრი სწორი იყო სმენაშენახული ახალგაზრდების მიმართ, მაგრამ სმენადანაგვიანებული (არ ვიხდი ბოდიშს ამ სიტყვისათვის!) ახალგაზრდის გულს და გონებას რა ვუყოთ. როცა ცუდი მუსიკა დაასწრებს — დაიბუდებს მის სულში ცხადია, იგი ტელევიზორში „შენ ხარ ვენახს“ ხმას ჩაუწევს და კაკაფონიას აუწევს (ნურვინ დამაბრალებს, რომელიმე ჟანრის კრიტიკას).

მაგრამ სკოლის მოსწავლეთა საკასეტო ფონდი ჩვენს მომავალ თაობას დიდ სულიერ საშიშროებას უქადის. ანტიმუსიკა, პრიმიტიული როკვა სპობს ჰარმონიის მოთხოვნილებას. ორი წლის წინათ ზეშთაგონებული მისიონერივით უნივერსიტეტში მოვიდა ბატონი ჯანსუღ კახიძე. დაიფიცა, რომ აბონემენტების წყალობით ოპერას ბილეთების გასაღება არ სჭირდება, გეგმა შესრულებულია. მაგრამ ძალიან აწუხებს ქართველი ახალგაზრდობის მუსიკალური ორიენტაციის ხარისხი. სახელდობრ: რას გრძნობს, რას ფიქრობს უნივერსიტეტის სტუდენტი... ვფიქრობდი კლუბში ტევა არ იქნებოდა. დარბაზი, როგორც იქნა, შეივსო. ბატონი ჯანსუღი მარილიანი სიტყვით, ჩვეული არტისტიზმით ხსნის ყოველი ინსტრუმენტის ფუნქციას... შემდეგ ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია. მე მგონი ასეთი გზნებით, მონდომებით ორკესტრი და დირიჟორი გასტროლებზეც არ დახარჯულან... დარბაზში მსხდომი ახალგაზრდობა მშვენიერი სანახავი გახლდათ სათნოებით აღსავსე სახით, ასე გაგრძელდა თითქმის ერთი წელი. ვიმედოვნებ, კვლავ გაგრძელდება. ახლა ვნახოთ, რას ფიქრობს პროფესორ-მასწავლებელთა უმცირესობა, მაგრამ მაინც ზოგიერთი პედაგოგის აზრებს ვამზეურებ, რაც ჩვენი მხრივ, ალბათ ყველაზე დიდი უტაქტობაა.

— უხერხულია უნივერსიტეტში კლარნეტის, ვიოლონჩელის, ჰობოის... განმარტებები. ეს ყველას შეუძლია ნახოს მუსიკალურ ენციკლოპედიაში.

— ენციკლოპედიაში ამ ინსტრუმენტების სურათებია, მაგრამ ხმა რომ არ ისმის? გარდა ამისა, მე სრულიადაც არ მიმაჩნია პირადად ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტის ლექტორისათვის, ზედმეტად, გამახსენოს ან გამაცნოს ამ ინსტრუმენტების არსი და ფუნქცია სიმფონიურ ნაწარმოებში (უთხრა მუსიკასთან უფრო ახლოს მყოფმა, მუსიკასთან უფრო შორს მყოფ ქალბატონს).

საუნივერსიტეტო განათლება ნიშნავს კლასიკურ განათლებას, ფილოსოფიური სიღრმით, ისტორიული ფესვმაგრობით. რომანტიკოსობას ნუ დავაბრალებთ: გიმნაზიათდამთავრებული, რომელსაც ბერძნულად წაკითხული ჰქონდა ჰომეროსი, ლათინურად ციცერონი — ამ საგზლით შედიოდა უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, დღეს, ინ-

ფორმაციის თავსხმის პირობებში ეს ლინგვისტური ფუფუნება შეუძლებელია. მაგრამ სტუდენტმა კურსდამთავრებულმა ხომ უნდა იცოდეს ის საგნები, რომლებიც დიპლომშია აღნიშნული. ფილოლოგიის ფაკულტეტის IV-V კურსის სტუდენტები უკვე ქართული წერის თუ ლიტერატურული ნორმების მსაჯული უნდა იყოს, რომელსაც ანდობ ნაშრომის კვალიფიციურ განხილვას. საკმაოდ დიდი დრო ეთმობა უცხო ენას. არა ერთი ან ორი, ყველა სტუდენტი უნდა ამართლებდეს, ანაზღაურებდეს მთელი წლის სპეციალისტის ნაშრომს — მას უნდა შეეძლოს გააგებინოს თავისი აზრი უცხოელს და ელემენტარულად ესაუბროს თავის საგანზე.

ჯერჯერობით კომისიები ისევ ქაღალდებს ამოწმებენ. სულ მალე კი კომისიები შეელენ კურსებზე და რეალურად, საქვეყნოდ, საჯაროდ გამოჰკითხავენ სტუდენტებს ანაზღაურებენ თუ არა სახელმწიფოს მიერ დახარჯულ თანხებს, იციან თუ არა ის, რაც უნდა იცოდნენ. პასუხისმგებლობა ლექტორისა და სტუდენტისა იქნება პერსონალური და რეალისტური. აქ ამაო იქნება თავის მართლება — მოსამზადებელი ფაკულტეტიდან მოვედი, ლიმიტი მჭონდა თუ სხვა. იანვრის პლენუმზე ძალიან ხშირად ისმოდა სიტყვა რეალიზმი, რეალისტური... ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ მალე, ალბათ, არ უნდა დაგეჭირდეს დასწრების აღრიცხვის ჟურნალი. სტუდენტი თავისი ნებით, ცოდნის საჭიროებისათვის უნდა დაესწროს არათუ თავისი ცხრილით გათვალისწინებულ საგნებს, შესაძლოა სხვა ფაკულტეტის ლექციებსაც (თუ სურვილი ექნება).ყოველ შემთხვევაში უკვე ინერგება არჩევითი სპეცკურსები. კარგი და ცუდი ლექტორი უნდა გაირჩეს ერთმანეთისაგან. ჩვენ თითქმის ვერავითარ ანგარიშს ვერ ვუწევდით სტუდენტების მიერ ლექტორისადმი, ლექციის დონისადმი ზოგჯერ საკმაოდ ობიექტურ პრეტენზიებს. რა თქმა უნდა, ყოველთვის აღსაზრდელთა პრეტენზიებიც არ გახლავთ საფუძვლიანი,ზოგჯერ იგი საგნის ცოდნის მომთხოვნელობის მიზეზითაც არის გამოწვეული. როგორც საშუალო სკოლაში, უმაღლესშიც მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმაც კარგად უწყიან.ვინ არის თავგადადებული პედაგოგი. ეს არის ერთ-ერთი რეალისტური გზა არჩევითობისა და შერჩევითობისა. მაშინ თავისთავად გაუდიდდება ხელფასი იმას, ვისაც ეკუთვნის, ცრუმასწავლებლები კი სხვა საქმეს გაიჩენენ. უდიდეს ღირსებად სწორედ ის მიმაჩნია, რომ თითოეულისაგან მოითხოვენ უნარის მიხედვით, უქნარასთან გათანაბრებამ მშრომელს კაცს, გლეხს თუ მეცნიერს გული აუცრუა. საჭიროა შრომის დიფერენცირება.

ვსარგებლობ შემთხვევით და ბისდა ერთ საპირბოროტო საკითხს შევეხო. გარდაქმნა დემოკრატიზაციის ჯანსაღი აზრის, კრიტიკული აზრის ამოქმედებას ნიშნავს. როგორც ბოროტებაა კრიტიკის ჩახშობა, ასევე ბოროტებაა კრიტიკისათვის სახელის გატეხა. ცილის-

შეშაბლობა „ანონიმშჩიკობა“. გაზეთ „თბილისში“ ამ საკითხზე რამდენჯერმე წავიკითხეთ კარგი მოქალაქეობრივი პათოსით დაწერილი სტატიები, მაგრამ მაქვს შენიშვნაც. დროა ამ ხალხზე ზოგადსა და დაუსაბელებელ კრიტიკას მათი სახელდებით გამომზეურება ვამჯობინოთ. ვერც უნივერსიტეტი გადაურჩა ამ სენს, თითო-ოროლა, მაგრამ დაუმცხრალი ინტრიგანის წყალობით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ღირსებას ჩრდილი არ უნდა მოეფინოს. ჯანსაღი კოლექტივი, ჯანსაღი ორგანიზმი არაჯანსაღ ელემენტს არ ჰგუობს, ან თვითონ დაავადდება. იმედი მაქვს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხარს დაგვიჭერს, რათა ყოველივე გამომზეურდეს. ზოგიერთი მათგანი მარჯვედ იყენებს ინტრიგანის სახელს, რათა თავისი დანიშნულებანი შენიღბოს. საკმარისია დაიწყოს პროფესიული მომჩივანობა და შემდეგ ინტრიგანს ხელს ვერ ახლებ. არაის უთქვამს კრიტიკა და ცილისწამება ერთიაო. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა. აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფაზე ზედმეტი იქნება ლაპარაკი. იგი ცუდ ზეგავლენას ახდენს დისციპლინის საერთო მდგომარეობაზე. საკადრო პოლიტიკის დინამიკა იმას ნიშნავს, რომ ახალმა თაობამ თავისი ადგილი იპოვოს. ცნობილი აზრია: ტბა, რომელსაც გაშდინარება შეუწყდება, ჭაობად იქცევა.

11 თებერვალი, 1987 წელი.

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲐᲓ“ ᲘᲥᲪᲐ

სტუდენტობის რამდენი პროცენტი სწავლობს უმაღლეს სკოლაში ცოდნის მისაღებად და რამდენი — დიპლომისათვის? — ამ კითხვაზე რომ ზუსტი სოციოლოგიურ-სტატისტიკური პასუხი გვქონდეს. დარწმუნებული ვართ, ერთობ გულსატკენ სურათს მივიღებდით. მაშინ უფრო გასაგები იქნებოდა, თუ რატომ არის აუცილებელი ლექციაზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, აკადემიური მარეგულირებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, გაუთავებელი ძიძაობა და ა.შ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ლექტორის ლექციაა ჟურნალი კი არა, სხვა „დამხმარე ძალებიც“ სჭირდება, ოდნავადაც ბისი ლექცია ვერაფითარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ცხადი გახდება. რომ გარდაქმნა, მხოლოდ ძირეული გარდაქმნა თუ უშველის საქმეს. ამდენი წუნის, „მდარე ხარისხის პროდუქციის“ გამოშვებას ვერც სახელმწიფო გვაპატიებს და ვერც ხალხი.

უმაღლეს სკოლაში ნამდვილ გარდაქმნას რომ მივაღწიოთ,მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად უნდა შეიცვალოს სოციალური ვითარება. პირველ ყოვლისა. იქ მოხვედრა არ უნდა უნდოდეს იმ კაცს, ვისი საქმეც ეს არ არის. ობიექტური წინამძღვრებით კი ჯერჯერობით ისე ვაიძულებთ ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლას,რომ მას ვე-

რაციონალური ცხოვრებისმაგრე ვერ შეაკავებს. ზოგიერთი მომენტი: მაღაზიის თუ სასადილოს გამგისთვის არ უნდა იყოს აუცილებელი უნივერსიტეტის დიპლომი. ნიჭიერ კაცს უდიპლომობა არ უნდა უქმნიდეს ბარიერს. ჩვენში დიპლომი გახდა რაღაც ფატალური აუცილებლობა,ურომლისოდაც სოციალურ კიბეზე აღმავალი გზა ახალგაზრდობისათვის ჩაკეტილია. ჩვენ ხშირად ზედმეტ მიზეზს ეხედავთ დიპლომის პრესტიჟულობაში, როცა მისი ფორმალური აუცილებლობა ფუნქციას დაკარგავს. ცხადია სათანადო მონაცემები თუ არ აქვს, ისე მის მისაღებად მოცლილი კაცი იბრძოლებს მხოლოდ. უნდა ვაღიაროთ:დიპლომი ბევრისთვის გახდა თვითმიზანი,და ეს ეწინააღმდეგება უმაღლესი სკოლის საარსებო და ნამდვილ მიზანს — სპეციალისტის ჩამოყალიბების საქმეს.

გარდაქმნის თანამედროვე ვითარების კეთილისმყოფელი სულისკვეთება გვაძლევს იმის უფლება-საშუალებას, რომ სერიოზულ ნაკლოვანებათა ობიექტურ მიზეზებზეც ვილაპარაკოთ (ადრე უველაფერი უნდა დაგვებრალებინა მავანისა და მავანისათვის,ან ბუნდოვნად მინიშნებული „რაღაცისათვის“).

თუ უმაღლესი სკოლის მთავარი მიზანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაა, მაშინ ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს უველაფერი და არ მივიღოთ მხედველობაში დანარჩენი, რაც მის განხორციელებას შეუშლის ხელს. მადლობა ღმერთს, დღეს სითამამისათვის მოწოდება, ურთიერთგამხნევება არ გვჭირდება, ამას ჩვენგან პარტია მოითხოვს, ვთქვათ სრული და არა მიკიბულ-მოკიბული სიმართლე.

ჩვენი აზრით, მეცნიერული ინტელიგენცია ვალში ვართ მთავრობის წინაშე, რამდენადაც ვერ შევძელით მკაფიო ფორმულირება, არგუმენტირება ზოგიერთი წესის უვარგისობისა. ეგულისხმობთ ისეთ მოვლენებს, რომლებმაც ფეხი მოიკიდა ჩვენი იდეოლოგიის სახელით და ამ დროს მიუღებელი გვგონია სწორედ ჩვენი იდეოლოგიისათვის, ყოველი ჰუმანისტური თვალსაზრისისათვის.

დღესდღეობით უმაღლეს სკოლაში შემსელელთათვის მრავალნაირი საფეხური არსებობს - პრივილეგირებულთა და ნაკლები უფლების მქონე ახალგაზრდებისათვის. მიიღებს ახალგაზრდა წელში გაწყვეტილ „სამიანებს“ და ჩაირიცხება, მეორე მიიღებს „ოთხებს“, „ფრიადებს“ და რჩება გარეთ. ასეთი წესით შორს ვერ წავალთ. ეს ქმნის იმის ,ობიექტურ წინამძღვარს, რომ ვერ აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. როგორც არ შეიძლება ბუნებრივი მონაცემების, ნიჭის მნიშვნელობის გაზვიადება, არც მისი დაკნინება და იგნორირებაა სწორი.

ამას წინათ ერთმა ომის ვეტერანმა გვიამბო: — ომი ის-ის იყო მთავრდებოდა, მოუშუშებელი ჭრილობით უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე გავედი. მივიღე ის ნიშნები, რომლებიც კონკურსში იყო

საჭირო და ჩავირიცხე. ჩემთვის რომ ეთქვათ, შენი „სამიანები" სხვის „ხუთიანებს" სჯობსო, თავს შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი. ომში დამსახურებისათვის სახელმწიფო ჯილდოებსა და შეღავათებს არ გვაკლებს. მაგრამ ნიჭით დაჯილდოება არ შეიძლება!..

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ აზრს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის ზრუნვა ყველა მოქალაქის უწმინდესი ვალია. დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს საზღვრებს — წყალში თუ ცაში თოფმომარჯვებული კაცი კი არა, მეცნიერულ-ტექნიკური აზრი იცავს. სამხედრო მეცნიერება ჩვენი მეცნიერული აზრის შედეგს გამოხატავს. აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც სტუდენტი მეორე, მესამე კურსიდან მიჰყავთ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. უმაღლეს სკოლაში დაბრუნებულთა აბსოლუტური უმრავლესობა სრულფასოვნად ვერ აღიდგენს თავის ინტელექტუალურ დონეს. არადა, ეს არის ყველაზე ჯანსაღი ენერგია, თაობა ვაჟების კონტიგენტისა, რაც იმავ სამხედრო-სამეცნიერო აზრის სრულყოფასაც სჭირდება. განა არ აჯობებს, რომ სამხედრო სამსახური მათ სწავლის დაწყებამდე ან სწავლის დამთავრების შემდეგ გაიარონ?

კარგა ხანია, ვცდილობთ მოსამზადებელი ფაკულტეტების მიზნისა და ფუნქციის გარკვევას. ჯერჯერობით კი ვერაფერი გადავწყვიტეთ. არადა, მოსამზადებელი ფაკულტეტის კონტინგენტი სერიოზულ პრობლემას ქმნის. ჯერ ერთი, მის უმრავლესობას რის ვაი-ვაგლახით, გაუგებარი კონიუნქტურული პროტექციით ვამთავრებინებთ ფაკულტეტს; შემდეგ; ისინი გავლენას ახდენენ თანაკურსელებზე და ლექტორებზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე შეფასების კრიტერიუმებზე მიდგება.

სახელმწიფოებრივი ჩანაფიქრი ამ კურსებისა უაღრესად ჰუმანურია და მის გაუქმებაზე ფიქრიც არ გვსურს. მაგრამ საქმე ასე გვესახება: სადღაც მთის სოფელში, დაბა-ქალაქში თუ დიდ ქალაქში ნიჭიერი ყმაწვილი ან გოგონა შრომობს და ფიქრობს სწავლაზე სწავლისათვის. ნიჭიერია, მაგრამ არა აქვს რეპეტიტორების ფული. წარმრება მას გზავნის ერთწლიან კურსებზე უმაღლეს სასწავლებელში. ერთი წლის მანძილზე მას ლექტორები უფასოდ ასწავლიან, ისწავლოს და შემდეგ კი ჩააბაროს მისაღები გამოცდები საერთო კონკურსის წესით! ეს არის ჩვენი ჰუმანისტური იდეოლოგიის პოზიცია და მას არ უნდა ვარღვევდეთ.

რაკი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება, მისი დიპლომი ესოდენ საარსებო ინტერესების საგნად იქცა, მისკენ მომავალმა გზამ უამრავი ნეგატიური მოვლენა შვა, რომელთა მეტასტაზების ამოძირკვა ერთობ ძნელია. ამას ერთვის უმაღლესში შესასვლელი საინსტრუქციო წესების საშინელი დახუნძლვა-დაწვრილმანება მრავალი ბუნდოვანი ნიუანსით,რომელიც ათასნაირი ეშმაკობისაკენ

უბიძგებს, შეიძლება ითქვას, თავგანწირულ მშობლებს. აქ თუ ვითარება არ გამარტივდა, ქაღალდომანიის ზრდის საშიში ტემპი წარმოიშობა.

დიდხანს ბჭობდნენ იმის შესახებ, ატესტატის ნიშანს უნდა ეწეოდეს თუ არა ანგარიში მისაღებ გამოცდებზეო. ვიდრე „პრავდამ", „იზვესტიამ" და სხვა ცენტრალურმა ორგანოებმა მზეზე არ გამოჰფინეს ატესტატის ნიშნების წარწყმედის მძიმე სურათები, მანამ საქმეს ძვრა ვერ უყვეს. თუმცა პრობლემა არც სადღეისოდ არის გადაწყვეტილი. სკოლის ატესტატის ნიშნებს კი არა, სკოლის ცოდნას უნდა ეწეოდეს ანგარიში. ეს კი შესაძლებელია სრულიად უბრალოდ: ვთქვათ უნივერსიტეტში, ნებისმიერ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ჩამბარებელმა აბიტურიენტმა ჩააბაროს ყველა ის ჰუმანიტარული საგანი, რომელსაც სკოლაში სწავლობდა. ასევე, შესაბამისად — საბუნებისმეტყველო დარგებში. ეს გაზრდის სკოლის პასუხისმგებლობას, სახელდობრ, რეალური ცოდნის გაღრმავების საჭიროებას. გავიხსენოთ მედლებისათვის ბრძოლის სოციალური პროცედურა. ყველამ კარგად იცის, რაც ხდება, და ხდება, ჩვენი აზრით, მძიმე ცოდვა თაობების ფსიქოლოგიის წინაშე. მოვუხსნათ მედალს უმაღლესისაკენ მიმავალი საშმაკო ატრიბუტები, შეღავათები და ვნახავთ, რომ პრესტიჟისათვის მედალს მხოლოდ ის სკოლადამთავრებული მიიღებს, ვინც ღირსია. შეღავათები მედალოსანს კი არა, ავადმყოფს სჭირდება. რაც შეეხება უმაღლესი სკოლის მისაღები გამოცდების ობიექტურ-სუბიექტურ ნაკლოვანებებს, აქ მათი დაძლევის გზების ძიება მხოლოდ ახლა დაიწყო. ჯერჯერობით კი სრული პრობლემების წინაშე ვართ.

სკოლასა და უმაღლეს სკოლას შორის გარდამავალი კავშირი სათანადო სრულყოფას მოითხოვს. როგორც ცნობილია, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში არასრული საშუალო სკოლის (შვიდი კლასის) დამთავრების შემდეგ სრულ საშუალო სკოლაში მოსწავლეს აქვს საგნების არჩევის საშუალება საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარული ინტერესების შესაბამისად. ძველი გიმნაზიელი რომ ბერძნულად კითხულობდა ჰომეროსს, ლათინურად — ციცერონს და შემდეგ შედიოდა უმაღლეს სასწავლებელში, დღეს ცოტა დაუჯერებელიც კი ჩანს, მაგრამ ასე იყო. ამას წინათ, „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა წერილი იმის შესახებ, რომ მცირდება განათლებული ადამიანების რიცხვი, რადგან განათლებას რეალური ფუნქცია არა აქვს, ხშირად კი იგი არავის სჭირდებაო. უკიდურესობაში ვერ ჩავვარდებით, მაგრამ ნამდვილი ფესვმაგარი — ღრმა და ნათელი განათლება, ჰეშმარიტი ინტელიგენტურობა რომ საეალალო მდგომარეობაშია, ესეც ფაქტია. განათლებული კაცი ესთეტიკურად თუ საბუნებისმეტყველო ჰორიზონტით მეცნიერების ყველა დარგს სჭირდება. ჩვენი დაკვირვებით, ლაბორატორიებში, ცალკეული ბიოლოგი-

ური თუ ფიზიკური მოვლენების ანალიზის დროს, გაცილებით უკეთ ხვდებიან მიზეზთა მიზეზს ის სტუდენტები, რომელთაც ფართო განათლება აქვთ. დიახ, ბიოლოგს ეხმარება დოსტოევსკისა თუ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გააზრება, რადგან აზრის წვდომა მოაზროვნეს შეუძლია და ჩვენი მიზანია აღვზარდოთ სტუდენტი მოაზროვნე,მკვლევარი, მაძიებელი.

ჩვენი პუბლიცისტები,საზოგადოება კარგად გრძნობდნენ,რომ ადრე თუ გვიან ტვირთად ქცეული ცრუსპეციალისტების სიმძიმე ვერსატარები გახდებოდა. აი, დადგა დრო ანგარიშისა. ოღონდ ავისა და კარგის გარჩევის ეს პროცესი დიდ დაკვირვებას მოითხოვს. საკითხი ასე დგას: უმაღლეს სკოლაში არ უნდა ასწავლიდეს ის, ვისაც სათანადო კონდიცია არა აქვს, არ უნდა სწავლობდეს ის, ვისაც საამისოდ მონაცემები არ გააჩნია. მაგრამ ამ აღმოჩენით შეიარაღებულებმა არ შეიძლება ერთბაშად განურჩევლად მოეკითხოთ ერთმანეთს პასუხი, რადგან ამ ამბის მიღმა ადამიანები არიან — ოჯახით, ცოლშვილით, ცხოვრებისეული უფლებამოსილი გეგმებითა თუ ოცნებებით. ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი, მოქალაქეობრივი ვალია უაღრესად ფრთხილად, ტაქტიანად ვეცადოთ, რომ ადამიანებმა თვითონ მოძებნონ და იპოვონ თავიანთი ადგილი. უმაღლესი სკოლისათვის, დიახაც რომ, შეუფერებელია გამოთქმები: „გავაგდოთ“, „გავრიცხოთ“, „დავსაჯოთ“ და ა.შ. მაშ როგორ გავაჯანსაღოთ ცხოვრება, როგორ გავთავისუფლდეთ პროგრესის შემფერხებელი მოვლენებისაგან? საამისო სიტუაციები უნდა შეიქმნას.

უმაღლესი სკოლის თანამედროვე რეფორმა ბევრ სიკეთეს ითვალისწინებს.მათ შორის არჩევითი სპეცკურსების დანერგვას. სტუდენტები ამოირჩევენ არა მარტო საგანს, არამედ მის წამკითხველ ლექტორსაც. რა თქმა უნდა, ამ მიმართებით ბევრი რამ დასახვეწია, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სიტუაციები ემართოთ.

ასევე გვმართებს ფიქრი სტუდენტთათვის უმაღლესი სასჯელის — გარიცხვის ფორმაზეც. როცა სტუდენტი იგრძნობს, რომ ვერ სწავლობს, ვერ შეძლებს საგნის დაუფლებას, მისი ტოლები კი უმაღლესდაუმთავრებლადაც რიგიანად აწყობენ თავიანთ ცხოვრებას, წავა და ისიც თვის ადგილს იპოვის. ხოლო თუ მაინცდამაინც სურს უმაღლესი განათლების მიღება, დარჩეს კურსზე და გასწიოს ის ხარჯი, რაც ერთი კაცის მომზადებას სჭირდება.

იქნებ, აი ახლა, ჩვენ მეოცნებეებიეთ ვაგებთ სწავლა-ცხოვრების პერსპექტიულ მოდელს?

არა, საამისო საფუძველი უკვე არსებობს - მთელი ჩვენი ცხოვრების განახლება-გარდაქმნის პირველი, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი ნაბიჯები.

ჩვენი საწუხარ-სათქმელის შინაარსი ამგვარად გვინდა შევაჯამოთ: დიპლომი, როგორც სპეციალისტობის აღმნიშვნელი ფორმალუ-

რი ნიშანი, არ უნდა იქცეს „თილისმად“ და „ფეტიშად“. საამისოდ უკვე იქმნება სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი, სოფლიდან რომ თავზეხელაღებით გამორბის ახალგაზრდა. ეს იმიტომ როდი ხდება, თითქოს თბილისური ჟანგბადი ენატრებოდეს ვინმეს. სოფლად ცხოვრების რიგიანი პირობები უნდა შეიქმნას...

დღეს რეკომენდაციებითა და წინადადებებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ისიც ბევრს ნიშნავს, რომ ადამიანთა ჩვეულებრივი საუბრის ზედმეტად კონკრეტული თემები შეიცვალა. ყველა საქვეყნოდ ფიქრობს, წუხს, მსჯელობს სოციალურ პრობლემებზე.

ასეთმა ფიქრმა გვათქმევინა ჩვენც ჩვენი სათქმელი.

13 ივლისი, 1987 წელი.

საქმე, საქმე...

ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მქმნელია

წავიდა დრო, სენტიმენტალური პატრიოტობისა, აზიურ მეტაფორებში სამშობლოს სიყვარულის გამოხატვის საკმარისობისა. დღეს, გონების, მტკიცების, ცოდნის ძალა ბატონობს.

ჩვენ ბევრი რამ ვიცით ქართული კულტურის ისტორიის შესახებ, მაგრამ საქმემ რომ მოითხოვოს — გვთხოვონ ერთსაათიანი საუბარი ჩაგვიტარეთო, მუდარის თვალით გადავხედავთ. მხოლოდ სპეციალისტებს, შესაძლებლობა კი არსებობს ამგვარი ლექცია ჩაატაროს ნებისმიერმა სტუდენტმა ან სტუდენტყოფილმა.

ნაკარნახევი იდეის შემთხვევა მინდა გავიხსენო: ქ.მოსკოვში ერთ-ერთ ახალგაზრდულ ინტერნაციონალურ საზოგადოებაში საჭირო გახდა იქ მყოფი ეროვნების ახალგაზრდებს ეამბნათ თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე. ამ საზოგადოებაში რამდენიმე ქართველი სტუდენტიც მონაწილეობდა. მათ შუბლზე ცივი და ცხელი ოფლი მონაცვლეობდა, როცა სხვებს უსმენდნენ — საკუთარ ჯერზე მოლოდინის ფიქრით. საბედნიეროდ ერთ-ერთმა გაბედა და ტაშიც დაიმსახურა. სტუდენტი ისტორიკოსად მიიჩნიეს, მაგრამ გაკვირვებამ იმატა, როცა იგი ჩვენი უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი აღმოჩნდა.

— ჩემს ცხოვრებაში ასე არაფერი გამმართლებია, — მითხრა შემთხვევის გმირმა. ერთხელ გადავწყიტე შემესწავლა, უფრო სწორად დამესწავლა ის აუცილებელი რამ, რაც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს. მივმართე ერთ სპეციალისტს. მან მეტად მოხერხებული, ნათლად გადასაცემი კონსპექტი შემიდგინა: საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი; ქართული დამწერლობის, ხუროთმოძღვრების ისტორია; ქართული ლიტერატურის ისტორიული მიმოხილვა, მისი კორიფეები; ქართული ხალხური, სასულიერო მუსიკა, მისი

აღიარების მონაცემები და პერსპექტივები მსოფლიო მუსიკალურ არენაზე; საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდები. ეს კონსპექტი ვთარგმნე რუსულად და დავისწავლე, ვცდილობდი მის გააზრებას.

მოგეხსენებათ, ბევრის სწავლა, ინფორმაციის უხვად მიღება ერთია, მავრამ გადაცემა კი გარკვეულ თავისებურებასთანაა დაკავშირებული. ორი საზამთროს ერთ ხელში დაჭერის ცდის შედეგი ყველასათვის ცხადია.

გაეხსნათ ფრჩხილები: უნივერსიტეტში უკვე თითქმის ყველა ფაკულტეტზე ისწავლება, ან შეისწავლება საქართველოს ისტორია. კურსის მოსმენის შემდეგ ზოგმა სტუდენტმა შეიძლება გაგვაკვირვოს, მაგრამ თუ მისი ცოდნა საგანგებო მეთოდით არ წარიმართა, იმგვარ ლექციას, ზემოთ რომ მოგახსენებდით, მაინც ვერ წაგვიკითხავს.

ეს იდეა უფრო კონკრეტული, გეგმასთან მიახლოებული სახით ასე გვესახება: სპეციალისტი, რომელიც სტუდენტებთან საქართველოს ისტორიის(ან, ვთქვათ, ქართული კულტურის) კითხვას იწყებს, ჯგუფს წინასწარვე აცნობს ლექციის ტექსტს, მოდელს, რომლის გადაცემა კურსის მოსმენის შემდეგ სტუდენტმა უნდა შესძლოს. ეს ტექსტი იქნება გეგმაც, რომლის მიხედვით ახალგაზრდები შეივსებენ და განივრცობენ ცოდნას. ასე რომ, აქ თუთიყუშიზმი არ უნდა შეგვეპაროს. სემესტრის დამთავრების შემდეგ ჯგუფში სტუდენტი კითხულობს (ძალზე სასურველია თუ რუსულადაც შესძლებს) ლექციას. ლექციის მოცულობა და სპეციფიკა ჰუმანიტარული და არაჰუმანიტარული ფაკულტეტების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

შესამუშაებელი კონსპექტის მოდელი სრულიადაც არ მეხატება ადვილ რამედ. სასურველია, გარდა სპეციალისტებისა, მასში მონაწილეობა მიიღონ მწერლებმაც. კონსპექტის უმთავრესი ნიშნები უნდა იყოს სიზუსტე და სინათლე. ფაქტების დროით-სივრცობრივი სიცხადე. ვინ, სად და როდის, — ეს კითხვები უნდა იყოს ყოველთვის სხარტად პასუხგაცემული. ამასთან, ამ კონსპექტის თუ ბროშურის (არ ვიცი მას შემდეგ რას დავარქმევთ) ნაცელად წიგნი არ უნდა გამოგვივიდეს. თუ ზომას არ დავიცავთ, შეიძლება მეოცნებეებად ვიქცეთ, მეოცნებეები კი ღრუბლებში დანავარდობენ.

29 სექტემბერი, 1978 წელი.

ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲡ

გულისტკივილით წავიკითხე გაზეთ „თბილისში“ (12.IV.89) გამოქვეყნებული თქვენი წუხილი: არა გვაქვს ერთი კანონიკური და დახვეწილი ბუკლეტი — „ქართველები და საქართველო“. თქვენ გალო-

ბითა და სიმღერით აცნობთ მსოფლიოს ერთი საკვირველი ხალხის კულტურას. ქართული მუსიკა ქართულ სულს, შეიძლება ითქვას, სუბსტანციურად გამოხატავს, მაგრამ ყოველი საკვირველი ფენომენის ხილვა-სმენისას კაცს აღეძვრება ცნობის წადილი — ვინ არის მისი ავტორიო. ქართველი სტუდენტი შესაძლოა ერთი საათი გესაუბროს სვეტიცხოვლის შესახებ, მაგრამ საეჭვოა ყველამ შესძლოს ზუსტი, ტევადი პასუხი გასცეს კითხვებზე: რა დროიდან იწყება ქართული დამწერლობა, სარწმუნოება, რამდენი ათასი ძეგლი გვაქვს, ვინ არის ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიის, საზოგადოდ, ქართული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები. დიახ, ყველა ადამიანმა, ვინც საქართველოს გასცდება უნდა დაიზეპიროს ათგვერდიანი ტექსტი და თავის სამშობლოს გიდობა შესძლოს. გვაქვს ტომები, ენციკლოპედიები, მაგრამ კეთილგანწყობილ უცხოელს გაბნეულად ვაცნობთ თავს და ლიტერატურასაც ასე გაფანტული სახის ინფორმაციით ვაწვდით. მშვენიერია თქვენს მიერვე შედგენილი ბუკლეტი ანსამბლ „რუსთავის“ შესახებ. აქ ბევრი გიწვალიათ, ამ თემატურ ინფორმაციაში რამენაირად მთელი საქართველოც დაგენახვებინათ უცხოელისათვის.

მაქვს წინადადება: გამოცხადდეს კონკურსი ათგვერდიან ბუკლეტის ტექსტზე. იგი არ უნდა იყოს ჩუქურთმიანი ქართულით, ემოციებით დაწერილი; უმჯობესია სადა, ტევადი დასახსომებლად მოსახელეთებელი სტატისტიკითა და თარიღებით. გათვალისწინებული იქნება უცხო კაცის ინტერესები ინფორმაციის მიმზიდველობის ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური მხარე. კონკურსის გამოცხადება ბევრ კულტურულ დაწესებულებას შეუძლია. თუ ვერ შეძლებენ ან არ ისურვებენ, მაშინ უნივერსიტეტი გამოაცხადებს კონკურსს-პრემიას (სოლიდური თანხით). ეიმეორებ მთავარია ტექსტი რომელშიც ჰიპოთეზას ჰიპოთეზა დაერქმევა და არა ჰეშმარიტება. ავტორის სუბიექტურობა უკან დაიხევს. თქვენს მიერ დაყენებული ეს საკითხი ჩვენც დიდი ხანია გვაწუხებს, მაგრამ საქმე კი ვერ გაგვაკეთეთ. მეც ერთი იმათთაგანი ვარ ვისაც ეკუთვნის ბოდიშის მოხდა.

კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს შეეხეთ ბატონო ანზორ. იბეჭდება ჩვენს შესახებ აუგი უცხო და რუსულ ენებზე. ჩვენ კი ქართულად ვიფხანთ გულს. ჯერჯერობით იაპონელები ან ჩინელები, როგორც ვატყობთ ჩვენზე ძვირის თქმას არ აპირებენ. ჩვენც გაგვიძნელდებოდა ამ ენებზე პასუხი. ევროპულ ენებზე კრიტიკას შეგვიძლია ვუპასუხოთ იმავე ენაზე. ქუჩაში, სამწუხაროდ, დაგვინახავს — ყმაწვილს რომ რამდენიმე ურტყამს. ქართველი კაცის რაინდული ბუნების ისტორიის ფონზე ესაა საშინელება. ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებს. ასეთი ასოციაცია გვაქვს: როცა ვიღაც უჩინო უცხოელი ჩვენზე შხამს დაანთხევს, იწყება ჩვენს გაზეთებში ჩვენი ინტელიგენციის საჩინო წარმომადგენელთა ლაშქრობა. მეტოქე მეტოქედ

უნდა ვარგოდეს! ამას წინათ ერთი ინგლისელის შესახებ ატყდა ამისთანა ამბავი. მას სუფრაზეც შევხვედრივარ მაგრამ მას არაფრით დაუხსომებია თავი ჩვენთვის. არ შექმნეს მისგან გმირი?! ერთ კრიტიკოსს ჩვენმა ერთმა კრიტიკოსმა უნდა გასცეს პასუხი. რა თქმა უნდა. ამით ჩვენ როდი უარვყოფთ აუცილებელი განმარტების აუცილებლობას. ჩვენმა უნივერსიტეტმა გაუგზავნა რექტორის წერილი ლონდონის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, მასთან არსებულ აღმოსავლეთ მცოდნეობის ინსტიტუტს, სადაც ქართველოლოგიური კაბინეტია (დავითლანგი რომ ხელმძღვანელობდა), ის ჩვენი კრიტიკოსიც იქვე მუშაობს. ეთხოვა ლონდონის უნივერსიტეტის იმ კაბინეტის ხელმძღვანელობა დაეკისროს ინგლისელ მოქალაქეს, ქალბატონ თამარ დრაგაძეს.

შენი ხალხის, ერის სულისკვეთების კრიტიკას უფლებაც უნდა. თვით დიდ ილიასაც არ ეპუებოდნენ თანამემამულენი. მაგრამ ილიას, როგორც ერის წინამძოლის ხასიათს, ქმნის მისი მამობრივი სიმკაცრე. ჩვენ მოკვდავნი, ვერ ვბედავთ ეროვნულ თვითკრიტიკას. მაშინვე ცუდი ქართველის, თუ უარესის არა, იარლიყი მზადაა. არა, რამენაირად უნდა შევძლოთ ჩვენივე ნაკლის დანახვა. შევძლოთ სხვა, გარეშე, ნეიტრალური კაცის თვალით შემოვხედოთ ჩვენს მუშაობას. მეტისმეტი აღტკინებული კივილით ვხედებით უცხოთაგან კრიტიკას. იმის თქმა როდი მინდა, ამგვარ რასმე ტაშით უნდა შევხვდეთო. ვგულისხმობ სიმშვიდისა და სიძლიერის საჭიროებას. პოლიტიკაში იმარჯვებს ის ვინც უფრო გონიერულ პოლიტიკას მიმართავს. პოლიტიკა ნიშნავს არა იმის თქმას, რაც ენაზე მოგვადგება, არამედ იმის თქმას და ქმნას, რაც შენს ხალხს სიკეთეს მოუტანს. პოლიტიკური აზროვნება და მოღვაწეობა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს შედეგს. სხვანაირად მამულს მტერს–მოუმრაცლებ. მერე კი გვიან იქნება თითზე კბენანი. ვერც ის გვიშველის, ყველაფერი სხვას დავაბრალოთ. მიყვარს ერთი ბრძნული ნათქვამი: გონიერი კაცი თავის დამარცხებას თავს აბრალებს, ნაკლებად გონიერი კი — სხვასო.

რატომ არ ეუყვარვართ, რატომ ეძულვართ? — მსგავსი კითხვები ხშირად გვესმის. რომ უყვარდე ეს სიყვარული უნდა მოიპოვო, ამისათვის მტერს მტრულად ბრძნულად უნდა შეეხვედეთ. მტრის ღირსების დანახვაც უნდა შევძლოთ. დღეს ყველა უნდა ვეცადოთ, ვაიძულოთ მტერ-მოყვარე, დაინახოს ქართველი კაცის კალტურული, არისტოკრატული ბუნება. ეს თვითგანდიდებითა და ხოტბით არ-მოხერხდება. ამისათვის საჭიროა შრომა, ბრძოლა, სიბრძნე.

უნდა ვაღიაროთ, ჩემს სტუდენტებს ისე გამეტებით ვერ განეურისხდები, როგორც საკუთარ შვილს. ალბათ იმიტომ, რომ ისინი საკუთარი შვილივით არ მიყვარს. არადა უნდა გვიყვარდეს. ვისაც შეუძლია მამობრივი სიმკაცრით მოეპყროს მათ, ნახავს, რომ ისინი

რაინდები არიან. მაგრამ, როცა დიდი სიმრავლე გრგვინავს, ჩვენ, ორატორები ვამჯობინებთ ავუყვეთ და გავუყვეთ მათ თუნდაც მცდარი გზით. ეს ვერაფერი პედაგოგიკაა და ვაჟკაცობაა, მლიქვნელობის სქემა ასეთი იყო: თავის დამცირება დიდი თანამდებობის პირის წინაშე საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოვებლად, ახლა შეიცვალა: შემოვიდა მლიქვნელობა სიმრავლის წინაშე. აგერ ახლა იყო, თუ საჭირო დოზით მაინც არ დაიმოწმებდი მარსს თუ ენგელსს, წიგნს არ დაგიბეჭდავდნენ. რახან პოლიტიკური ცენზურა თვითონ გახდა კრიტიკის საგანი, შეიქმნა ილუზია, თავისუფალი აზრის გაფურჩქვნისათვის. სამწუხაროდ, არა. წარმოიქმნა კერძოული „ჰეშმარიტებანი“, დაქსაქსული და დაშინებული ჯგუფური აზროვნება, რომელსაც ზოგჯერ მაფიურსაც უწოდებენ, ზოგჯერ რას არა! არ იძვრის აზროვნება სიღრმისკენ. პოლიტიკა პოლიტიკისათვის ნიშნავს აზროვნების გაღატაკებას. პოლიტიკურმა თავისუფლებამ კულტურული აზროვნების ნიადაგი უნდა შექმნას. დიდად მაწუხებს ის ტენდენცია, რაც ერთ დროს ეულგარულ ბოლშევიზმს სჭირდა, კერძოდ, ტალანტური ბუნების პიროვნების წინაშე ღაშქრობა. მე ვერ გეტყვით -- ვინ რამდენად უცოდველია. ეს ალბათ უნდა განისაჯოს ამათუიმ თანამდებობის დაკავების ჟამს, მაგრამ ხელოვანისათვის ნიჭი არც ბოლშევიკებს და არც სხვა პარტიებს არ მიუციათ. ბულბულს ქვა არ უნდა ვესროლოთ. ბატონო ანზორ, თქვენ ჯერჯერობით არ ვიცი გასტროლები გიფარავთ თუ ღმერთი.

ვეცადე გულახდილობას, მაგრამ ვგრძნობ, გულს ისეთი მძიმე სარქველები ადევს, მისი ახდა ძალიან ძნელია. მწამს მოვა ძლიერი მართლის მთქმელი, თავის თავს, თავის ვნებებს რომ დაამარცხებს, გვეტყვის ულმობელ სიმართლეს, ჩვენ მას ჯვარზე ავიყვანთ (თუ მანამდე ვაცალეთ ასვლა); მერე მიეხვდებით — საით არის მზე სიმართლისა.

5 ოქტომბერი, 1989 წ.

უნივერსიტეტში სიახლეა

ინტერვიუ თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორთან ვახტანგ გოგუაძესთან

— ბატონო ვახტანგ! გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. თქვენთან საუბარი ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის: თქვენ უყვარს სტუდენტისათვის დიდად პატივსაცემი და უახლესი პიროვნება ბრძანდებით. თქვენ ყოველთვის გვერდით ედექით ახალგაზრდობას, უველაზე მძიმე მომენტებში — მიტინგებზე და დემონსტრაციებზე — თქვენი სიდინჯით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, აწონასწორებდით მათ ემოციურობას, სიფიცხეს. ახალგაზრდები, რომლებიც

ამ დიდი ტაძრის კედლებში სუნთქავენ, კეთილ მეგობრად გთელიან და კელაე გიგულებენ ერთგულ მრჩეველად.

ბატონო ვახტანგ! რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ, უნივერსიტეტში მოულოდნელი სიახლეა. იმ დროს, როცა მისაღებ აბიტურიენტთა რიცხვი წელს ყველგან შეზღუდული იყო და ეს კი თავისთავად იწვევდა დიდ კონკურსს, გამოცდების ჩათავების შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ: ყველა აბიტურიენტი, ვინც გამოცდებზე არ ჩაიჭრა, სტუდენტი გახდა.

არა და, რამდენმა შეიკავა თავი კონკურსში მონაწილეობისაგან! რამდენმა მიატოვა გამოცდები, როცა პირველ საგანში სამიანი მიიღო! ამგვარად, ახალგაზრდების დიდი არმია გულდაწყვეტილი დარჩა. უარეს დღეში არიან მათი მშობლები.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რამ გამოიწვია ასეთი გადაწყვეტილების მიღება და ისიც გამოცდების შემდეგ? რა მიზანს ისახავს იგი და განმეორდება თუ არა მომავალში?

— ეს გადაწყვეტილება ჩვენგან არ მომდინარეობს. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო და მას საფუძვლად კაცთმოყვარეობა, ადამიანური მხარე უდევს. ამ გადაწყვეტილებას ერთგვარი ექსპერიმენტიც შეიძლება ეწოდოს. ვინც მისაღებ გამოცდებზე არ ჩაიჭრა, დაე, მანაც ისწავლოს დაუსწრებლად, ან საღამოს დასწრებულზე. რაც მეტი განათლებული ადამიანი ეყოლება საქართველოს, მით უკეთესი. წინასწარ ვერ გეტყვით, განმეორდება თუ არა წლევანდელი მაგალითი მომავალში. ალბათ, ამას მისი შედეგი განსაზღვრავს.

მე მიმაჩნია, რომ დროა შეიცვალოს მისაღები გამოცდების ჩაბარების ტრადიციული წესი. სერიოზული გადახედვა სჭირდება პროგრამებს, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. წერით სამუშაოებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აზროვნებით მხარეს. საერთოდ, უნივერსიტეტში უნდა გატარდეს ისეთი პრინციპები, რომლებიც გამორიცხავს ხათრის გაწევის საშუალებას.

— არის აზრი, რომ თითქოს ჩარიცხული სამოსანი სტუდენტები გადაიხდიან სწავლის ფულს? რამდენად ახლოს არის ეს აზრი ჭეშმარიტებასთან?

— უნივერსიტეტი აპირებს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას, მაგრამ ამისათვის ჯერჯერობით მზად არა ვართ. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა გამოიწვევს იმას, რომ ვისაც ექნება ეკონომიკური შესაძლებლობა, ის ჩაირიცხება და გადაიხდის ფულს, მაშინ ალბათ დასაშვები იქნება ერთდროულად როგორც საბიუჯეტო ფონდი, ისე სამეურნეო ანგარიში. ჯერჯერობით სწავლის ფულის გადახდა არ მოხდება. საღამოს დასწრებულისა და დაუსწრებლის სტუდენტები იმით „ზარალდებიან", რომ სტიპენდიას ვერ მიიღებენ. ვინც კარგად ისწავლის, შესაძლებელი იქნება მისი გადაყვანა დღის ფაკულტეტზე.

ვინც ვერ შეძლებს სწავლას, ის თავისთავად გაირიცხება.

ზემოთ ვახსენეთ სწავლის გადასახადი, რაც ალბათ, სამეურნეო ანგარიშს მოჰყვება შედეგად. განა ყველას შეეძლება ფულის გადახდა? რა თქმა უნდა,• არა, მაგრამ მათაც მივიღებთ. და თუ ისინი კარგად ისწავლიან, შეიძლება სტიპენდიაც დაიმსახურონ.

— ხომ არ გამოიწვევს წლევანდელი ექსპერიმენტი სუსტი სპეციალისტების რიცხვის ზრდას? არა და, ახლა ჩვენს რესპუბლიკას რარიგად სჭირდება ჰეშმარიტად მაღალი დონის, თავისი საქმის კარგი მცოდნე მოქალაქეები?

— სწავლის გაუფასურების საშიშროება რომ არ შეიქმნას, გვეყოლება სათანადო კომისიები, რომლებიც ჩაიბარებენ გამოცდებს სესიების დროს. გარდა ამისა, განხორციელდება სრული საჯაროობა, სტუდენტები მოისმენენ თავიანთი ამხანაგის პასუხს. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტმა იმ 30 კალენდარულ დღეში,როცა მას მოუწევს უნივერსიტეტში სიარული, ლექციებიც უნდა მოისმინოს და გამოცდებიც უნდა ჩააბაროს. კიდევ ვიმეორებ, საუკეთესო სტუდენტი დღის დასწრებულზე გადავა.

სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ბევრ ღონისძიებას განვახორციელებთ; ჩვენი პროფესორები, რომლებსაც ხშირად უწევთ საზღვარგარეთ ყოფნა.გაფრთხილებულნი არიან კარგად გაეცნონ იქაური სწავლების წესს, გაითვალისწინონ ყველანაირი მოდელი და აქედან გამომდინარე შეიმუშაონ მოდელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის. აღიარებულია, რომ უცხოეთში სწავლობს ის, ვისაც ცოდნის მიღება უნდა. ჩვენთან მთლად ასე არ არის .— აქ ბევრი ახალგაზრდა მხოლოდ დიპლომის მიღებითაა დაინტერესებული.

განა ბევრი გვყავს ისეთი სტუდენტი, რომელიც კურსის დამთავრებისას ბიბლიოთეკაში აღამებს? და ალბათ დადგება დრო, როცა ჩვენთანაც მხოლოდ სწავლისთვის მოვლენ, ეს მაშინ,როცა ადამიანები გახსნიან კერძო რესტორანს ან სასტუმროს, ისინი დაკავებული იქნებიან თავიანთი საქმიანობით და დიპლომს აღარ გამოეკიდებიან. მაშინ, ალბათ, არც ამდენი ხალხი არ მოგვაწყდება.

სწავლების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ლექტორზე. მაღალკვალიფიციური ლექტორი ყოველთვის ფასობდა და დაფასდება. როცა სტუდენტი სწავლის ფულს გადაიხდის, მაშინ ის — ლექტორსაც აირჩევს, თვით გადაწყვეტს, ვის ჯგუფში იმეცადინოს. სუსტი ლექტორი კი თანდათან დაკარგავს სტუდენტებს...

რადგან ქალთა ჟურნალიდან ბრძანდებით, ერთი საიდუმლო მინდა გაგიმხილოთ. არის იდეა, რომ მომავალში შეიძლება უნივერსიტეტთან გაიხსნას კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი, სადაც საღამოს საათებში ისწავლიან ქართველი გოგონები, ახალგაზრდა დედები. ამ სასწავლებელს არ ექნება უნივერსიტეტზე ნაკლები უფლებამოსილება, მეცადინეობა ჩვეულებრივი პროგრამით წარიმართე-

ბაისე, როგორც უნივერსიტეტში... და ვფიქრობ, ამ სასწავლებელს უნივერსიტეტთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც ექნება.

ბატონო ვახტანგ! წელს როგორც თქვენ აღნიშნეთ, 1600 სტუდენტი მიიღეთ დამატებით. ხომ არ წარმოიქმნება გაჭირვება აუდიტორიებისა და საერთო საცხოვრებლის ბინების სიმცირის გამო?

— ჩვენ ამაზეც ვიფიქრეთ. გადაწყვეტილი გვაქვს იჯარით ავიღოთ ერთერთი შუნობა, სადაც ლექციები ჩატარდება. შეეძლებთ საცხოვრებელი ბინებითაც უზრუნველვყოთ ჩვენი სტუდენტები. რაკი საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე 1600 სტუდენტი ვახსენეთ, მინდა განგიმარტოთ: აქედან 400 სტუდენტი სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით მივიღეთ. ესენი არიან ნაწილობრივ გამსვლელი ქულის მქონე აბიტურიენტები, სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა და სვანთა ოჯახის შვილები, მრავალშვილიანი ახალგაზრდა დედები, სპორტსმენები, ინვალიდები. ვფიქრობთ, არ გვიმტყუნებენ, გაამართლებენ ჩვენს ნდობას.

როგორი პოზიცია უპირავს უნივერსიტეტს სოხუმის ფილიალის მიმართ?

— სოხუმის ფილიალში მისაღები გამოცდები ჩატარდება. იქ სწავლის მსურველი ბევრია. თანდათანობით, როცა ყველაფერი დაწყნარდება, როცა დამნაშავე ექსტრემისტები საკადრისად დაისჯებიან, სწავლის ნორმალური პირობებიც იქნება.

— არის აზრი, რომ საქართველოს მომავლისათვის აუცილებელია გაიხსნას უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები სხვადასხვა ქალაქებში. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— ეს ძალიან კარგი ჩანაფიქრია. ერთერთი ფილიალის გახსნას მესხეთ-ჯავახეთში, კერძოდ, ახალციხეში ვაპირებთ, ზოოვეტინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მონაწილეობით. არცერთი ლექტორი არ იტყვის უარს წელიწადში ერთი თვე ჩავიდეს მესხეთში უსასყიდლოდაც კი. მაგრამ ჩვენ მაინც კარგ მატერიალურ ანაზღაურებას შევთავაზებთ.

— გისურვებთ ყველა სიკეთეს იმისათვის, რომ ღირსეულად გაგეწიოთ თქვენი ჭაპანი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

1989 წელი.

უჩვეულო შემოდგომა

წლევანდელი უჩვეულო სასწავლო წლის დაწყებისა და ამჟამად უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში შექმნილი ვითარების შესახებ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსი-

ტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ ვახტანგ გოგუაძეს.

— წლევანდელი წელი საქართველოში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის განსაკუთრებულია მათი უმრავლესობა (ვინც გამოცდებზე დადებითი შეფასება დაიმსახურა) სტუდენტი გახდა. ეს უჩვეულო ფაქტია ჩვენთვის. ამიტომ, ცხადია, მკითხველთათვის საინტერესო იქნება ყოველივე ამ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველ შედეგს წინ მიზეზი უსწრებს. ამ უჩვეულო „შედეგის" „მიზეზზე" მინდა გკითხოთ: საიდან მომდინარეობს ეს აზრი, ვინ არის (ან არიან) მისი მოთაე და რომელმა ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საკითხის დადებითად გადაჭრის საქმეში? რესპუბლიკამ დამოუკიდებლად მიიღო ეს გადაწყვეტილება?

— წლევანდელი წელი მართლაც ყველასაგან გამორჩეულია. ჩვენ უპრეცედენტო შემთხვევის მოწმენი გავხდით. ზემდგომმა ორგანოებმა — საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლების სამინისტრომ გაითვალისწინეს აბიტურიენტებისა და მათი მშობლების თხოვნა, მათი სურვილი სწავლის გაგრძელებისა და გააფართოვეს სტუდენტთა კონტიგენტი. მთავრობის პოზიციიდან ეს იყო ჰუმანური აქცია, რომელზედაც უნივერსიტეტი უარს ვერ იტყოდა.

რა დასამალია, გამოცდების არსებული წესი ჩვენში არ არის იდეალური. მის მსვლელობაში ხშირად აქვს ადგილი ნეგატიურ მოვლენებს. ამიტომ სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ წელს ჩარიცხულ დაბალქულიან აბიტურიენტებს შორის მეტად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდები გამოვლინდებიან და პირიქით...

მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ აღმოვჩნდით მეტად მძიმე ვითარებაში, რადგან ერთხელ თუ მოვარყევთ კანონს, მერე ცხოვრებაში პრინციპების გატარება ძნელი ხდება. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც მოვალენი ვართ, ყველაფერი მორალურ სასწორზე ავწონოთ და, ამავე დროს, გადავწყვიტოთ ადამიანის სასარგებლოდ ისე, რომ კანონი არ დავაზიანოთ.

— სტუდენტობა ყველასათვის სასიხარულო და სასიამოვნოა, მაგრამ მიღების ასეთმა წესმა, ცხადია, გარკვეული პრობლემებიც წარმოშვა (ეს ჩვენთან, თორემ საზღვარგარეთის ქვეყნებში ეს ფაქტი ჩვეულებრივი მოვლენაა). მაგალითად, ის, რომ საგრძნობლად გაიზარდა სტუდენტთა კონტიგენტი. უნივერსიტეტის პოტენციალი ეყოფა თუ არა მათ უზრუნველყოფას პედაგოგებით, აუდიტორიებით, დროით?

— ეს ფაქტი საზღვარგარეთის ქვეყნებში რომ ჩვეულებრივი მოვლენაა, ამაში გეთანხმებით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საზღვარგარეთ ცოდნის მიღების, კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბების სურვილი ფიგურირებს. ჩვენი კი, უმრავლესობის შემთხვევაში, ეს დიპლომისა და პრესტიჟის საქმეა.

რაც შეეხება იმას, ეყოფა თუ არა უნივერსიტეტს პოტენციალი, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყოველ მხრივ კრიტიკული მდგომარეობა გვაქვს. მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხთ. განათლების სამინისტროს დახმარებით, დავიჭირავებთ შენობებს, მოვიწვევთ პედაგოგებს. ყოველივე ეს რთული გადასაჭრელია. მაგრამ, იმედია, ამ სირთულეებსაც მოვერევით.

— თქვენი აზრით, მიღების ასეთმა წესმა ხომ არ შეიძლება გამოიწვიოს, წინანდელთან შედარებით, სტუდენტთა მომზადების დაბალი დონე?

— სამწუხაროდ, ამ პროგნოზსს ვერ ავცდებით. აღნიშნული ფაქტი, უსათუოდ იმოქმედებს ცოდნის დონის დაწევაზე, მითუმეტეს, რომ ეს პროცესი უკვე დიდი ხანია დაწყებულია. საქმე ის გახლავთ, რომ უნივერსიტეტს ყოველი მხრიდან „მოაწყდა" და ჩვენც გულითადად შევხვდით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. იქნებიან ისინი სტიქიით დაზარალებული სვანეთისა და აჭარის მოსახლეობის წარმომადგენლები, საბავშვო სახლების აღზრდილნი, ინგილოები, ინვალიდები, 9 აპრილის ტრაგედიისას მოწამლულები თუ მრავალი სხვა... ყველა სათანამგრძნობელო და საშეღავათო ვითარების განმუხტვა ჩვენ დაგვეკისრა. ხშირად ისეთი თხოვნით მოდიან, რომელიც ჩვენს კომპეტენციაში არ შედის; არ დაგიდევენ. შესაძლებელია თუ არა მათი სურვილის დაკმაყოფილება. უნივერსიტეტი და, საერთოდ, უმაღლესი სასწავლებელი, უპირველესად ცოდნის კერაა,სადაც მაღალი დონის სპეციალისტები უნდა ყალიბდებოდნენ. არსებული შეღავათები კი ამის საშუალებას არ გვაძლევს. წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება ნორმალურად მუშაობა, როცა უნივერსიტეტთან შეკრებილ დემონსტრანტთა ერთი ჯგუფი აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილზე შეღავათების დაწესებას მოითხოვს, მეორე კი საპირისპიროს — სტუდენტთა მხოლოდ ცოდნის კრიტერიუმით შერჩევას?!

— როგორი იქნება მათი სწავლის შემდგომი პერიოდი, ყველა მათგანი გააგრძელებს სტუდენტობას თუ მოხდება შერჩევა?

იქნება თუ არა რაიმე ახალი საგამოცდო სესიების მიმდინარეობაში ამასთან დაკავშირებით, როგორ წარიმართება სტუდენტთა გამოცდა?

— შერჩევის პროცესი რასაკვირველია, გათვალისწინებული გვაქვს, მაგრამ მე არა მაქვს დიდი იმედი ჩვენი პრინციპულობისა. უნივერსიტეტი ამ ზედმეტმა ანგარიშის გაწევის პოზიციამ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. ამიტომ საკმაოდ გულგატეხილი ეუყურებ ამ საკითხს.

რაც შეეხება სიახლეებს საგამოცდო სესიების მიმდინარეობის პროცესში: გამოცდა უნდა მიმდინარეობდეს გაცილებით მკაცრად. მას უნდა იბარებდეს კომპეტენტური კომისია. ესეც საკმარისი არ

არის; თითოეული სტუდენტის გამოცდას უნდა ესწრებოდეს თანაჯგუფელთა 80% მაინც. სწორედ ისინი გადაწყვეტენ ამხანაგის უნივერსიტეტში დარჩენა-არდარჩენის საკითხს.

ჩვენი შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, უადგილო გულჩვილობა კარგს არაფერს მოგვიტანს. სტუდენტთა კონტიგენტის ფილტრაცია უნდა ხდებოდეს ობიექტურად და უკომპრომისოდ.

— სასწავლო წელი ჩვენთან გვიან, 2 ოქტომბერს დაიწყო. დამკვიდრდება ეს წესი თუ გამონაკლისი შემთხვევაა?

— ჩვენ ისეთი ცვალებადი ეპოქის შვილები ვართ, იმდენად არამდგრადია გარდაქმნის პროცესი, რომ წინასწარ განჭვრეტა, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ღიმილს იწვევს.

სწავლის 2 ოქტომბერს დაწყების ფაქტმა საზოგადოებაში საკმაო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მათი აზრით, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკურ მიზანს ისახავდა — როგორმე გაეგრძელებინა სიმშვიდის მომენტი. შესაძლოა ასეც იყო. მე ერთ მაგალითზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: სექტემბერში ხშირად მინახავს უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და დერეფნებში მოსეირნე ბიჭები, ჩვენი სტუდენტები. როცა მიზეზს ვეკითხებოდი, ასე მპასუხობდნენ: მოგვენატრა ლექციები, სწავლის დაწყება, დაეიღალეთ... ჩვენ ახლა პოეზიის საღამოები, მაღალი კულტურული დონის დისკუსიების მოწყობა გვინდაო. ამით იმის თქმა მსურს, რომ სწავლის მოგვიანებით დაწყებამ გარკვეული დადებითი შედეგიც გამოიღო,რაც არცთუ ისე ნაკლებად მნიშვნელოვანია.

— სწავლის ერთი თვით გვიან დაწყებასთან დაკავშირებით შემცირდა სემესტრის ხანგრძლივობა, ხომ არ გამოიწვევს ეს სირთულეებს, შეიცვლება თუ არა სასწავლო პროგრამა, ან პირიქით, ხომ არ გაგრძელდება სემესტრი?

— ზემოთ სწავლის გვიან დაწყების შედეგებზე ვისაუბრე, მაგრამ, მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს, ისევე როგორც ამ ფაქტს. სემესტრის ხანგრძლივობა შემცირდა, მაგრამ ის რაც სექტემბერში უნდა გვესწავლა, ისევ ჩვენი სასწავლია, სასწავლო პროგრამა არ შეიცვლება, ცოდნის მოცულობაზე უკან ვერ დავიხევთ. შესაძლებელია, ლექციები ერთი კვირით მოგვიანებით შეწყდეს. ამ რიგად, ჩვენს სტუდენტებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად მობილიზება მოუწევთ. იმედი მაქვს, ჩვენი ახალგაზრდობა ამ სირთულესაც ადვილად გაუმკლავდება!..

20 ოქტომბერი, 1989 წ.

არ მიბვატოვებენ ჩვენი წმინდანები...

1918 წლის 18 თებერვალს (26 იანვარს) მთელმა საქართველომ ზეიმით აღნიშნა უნივერსიტეტის დაარსების დღე. მას შემდეგ 72 წელი გაიდა...

ამ დღესთან დაკავშირებით ჩვენი კორესპოდენტი შეხვდა და ესაუბრა უნივერსიტეტის პრორექტორს ვახტანგ გოგუაძეს.

— ბატონო ვახტანგ, დღეს უნივერსიტეტის დაარსების დღეა. ჩვენი პირველი შეკითხვა ტრადიციული იქნება... რა სიახლეებით ხვდება უნივერსიტეტი თავის დაბადების დღეს?

— სიახლეზე როცა ვლაპარაკობთ, უნდა ვიგულისხმოთ, ორი მომენტი: საქვეყნო სიახლეების ანარეკლი და მეორე, აქედან გამომდინარე, საკუთრივ საუნივერსიტეტო სიახლეები. უდიდეს მოვლენად მიმაჩნია სიცრუის იდეოლოგიის განდევნა. ჩვენ დაჰიპნოზებული გვქონდა აზროვნება. მაგალითად, პარტიის ისტორიის გამოცდა ჩაბარებული აქეს ყველა უმაღლეს დამთავრებულს. როდესაც სტუდენტი აბარებდა საგანს, მას მოწიწებით უნდა წარმოეთქვა, სერგეი მირონის ძე კიროვი თუ „ჩვენი სერგო“. მართლა რევოლუციური სისწრაფით განვითარდა მოვლენები. ახლა სტუდენტმა თუ ლექტორმა უნდა ილაპარაკოს პატიოსანი ანუ მართალი ისტორიის ენით და თქვას — მართლა რა ჰქნა „ჩვენმა სერგომ“. სიცრუეზე აგებული ისტორია არის შხამი, რომელიც წამლავს ადამიანებს. ისტორია ცხოვრების გაკვეთილი უნდა იყოსო, — ნათქვამია. სიყალბის გაკვეთილებით კი შორს ვერ წავალთ. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი მეცნიერებები უნდა იკითხებოდეს ისე როგორც ეს ევროპის უნივერსიტეტებშია. ვიმეორებ, ეს არის უდიდესი მოვლენა უნივერსიტეტისა და საზოგადოდ, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. კონიუნქტურასთან დაკავშირებით ერთი აღსარებაც მინდა გაგიზიაროთ. 1967 წელს კათედრის გამგე, აწ განსვენებული პროფესორი გელა ბანძელაძე სხდომაზე მეკითხება — რას შვრება შენი დისერტაციაო. — დავამთავრე, ბატონო გელა, ახლა მომარქსვა-მოენგელსებაზე ვარ-მეთქი. ჩემს დისერტაციებს მარქსიზმთან მართლა არ ჰქონია არაფერი საერთო, მაგრამ თუ რომელიმე ჰუმანიტარი მაჩვენებს დისერტაციას, რომელიც დაიცვა მომარქსვა-მოენგელსების გარეშე, დიდად გავიხარებ. ეს იყორ კატეგორიული სახელმწიფოებრივი დოგმა. რა უნდა ექნათ მეცნიერებს? ამ ცოდვილ მიწაზე ვინც უცოდველია, ქვა იმან უნდა ესროლოს ცოდვილს. ის ებრაელები, ცოდვილ ქალს რომ ჩაქოლვას უპირებდნენ, მორწმუნენი იყვნენ და მიხვდნენ — არ არის კაცი ამ ქვეყანაზე უცოდველიო და ქვაც არ ესროლეს. მე ვთხოვ ჩვენს ახალგაზრდებს, ადვილად ნუ განიკითხავენ მამათა საქმეებს, რამეთუ თვითვე არ იქნენ განკითხულნი.

— უმაღლესი სასწავლებლები მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს რომ ვერ ამზადებენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, საინტერესოა რა ტენდენციები აქვს სტუდენტთა ინტელექტუალურ განვითარებას. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მომავალი სპეციალისტების დონე ამაღლდეს?

— ოო, მწარე შეკითხვაა. ნიკო მარი სამტრედიიდან ეტლით მიდიოდა ჩოხატაურში, თავის სოფელში. საუბარში მეეტლემ უთხრა: იცი რაა, ჩემო ბატონო? ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჩვენ თავისუფლება უფრო ადრე მივიღეთ, ვიდრე განათლებაო. მე არ ვიცი ეს შეეტლე რაგვარ თავისუფლებას გულისხმობდა, მაგრამ აჰა, მოდის პოლიტიკური თავისუფლება. მაგრამ თავისუფლებას ათვისება უნდა.

ჩვენი ახლანდელი ეროვნული უბედურების წყარო არის სოციალური უწესრიგობა, რასაც სამწუხაროდ, კიდევ უფრო მწარედ ვიგრძნობთ უახლოეს მომავალში. მე ეროვნულ ტრაგედიად მიმაჩნია დიპლომის კულტი. დიპლომი არის ცხოვრების უფლებისა და პრესტიჟის ისეთი ჯადო, რაც ღუპავს, ფიტავს ერის გულღვიძლს, ფანტაზიას აღემატება ისეთი პარადოქსია, ამდენი მაღალკვალიფიციურობის აღმნიშვნელი დიპლომიანი ადამიანი, და საოცარი დეფიციტი რეალურ სპეციალისტზე.

— ცნობილია, რომ წელს უნივერსიტეტმა, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებელებმა ფართოდ გაუღო კარი არა მარტო დადებით ნიშნების მქონე აბიტურიენტებს, არამედ ბოლო საგანში ჩაჭრილებსაც კი...

ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს უარყოფითად იმოქმედებს სწავლების დონეზე?

— რა თქმა უნდა, ეს არის მახვილი ინტელექტზე ალმართული და მეორე მხრივ, კიდევ უფრო საზიანო იმ აზრით, რომ კანონმა, წესმა დაკარგა შემაკავებელი ძალის მნიშვნელობა, ურომლისოდაც ცხოვრება ანარქიად იქცევა. მთავრობის კრიტიკა ჯერ-ჯერობით არათუ საშიში არაა, მოდაც კი არის. ამ შემთხვევაში სიამოვნებით დავაბრალებდი ყველაფერს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. მისგან წამოვიდა ეს პრეცენდენტი, მაგრამ ჩვენ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა არ გავუწიეთ მას წინააღმდეგობა, რადგან ამ ფაქტს მიღმა უნდა გავიხსენოთ — რა პოლიტიკური სიტუაცია იყო. ზოგი ჯარიდან გათავისუფლების პირობას ხედავდა მასში. ზოგი რას და ზოგი რას. გარდა ამისა, ანგარიში გავუწიეთ სტიქიური უბედურებისაგან დაღუპულ რეგიონებს (სვანეთი, აჭარა). მრავალშვილიანებს, ინგილოებს, 9 აპრილს მოწამლულებს და ასე შემდეგ. ასე რომ, უნივერსიტეტის ბეჭებს დააწვა ყველანაირი ეროვნული ტვირთი. აქ რაღაც დიდი, რეალური გარდაქმნა უნდა მოხდეს, სხვაგვარად აზრი არა აქვს დეტალების შეკეთებას.

— მაინც რა მიგაჩნიათ ძირეული გარდაქმნის პირობად?

— ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, — მოხშირდა უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ ლაპარაკი. რა თქმა უნდა, იდეა არაადეკვატური. საბჭოთა კავშირში ოფიციალურად პრესაში ეს საკითხი დასვა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა ლოგუნოვმა. უნივერსიტეტის პრეს-კლუბმაც საგანგებო წერილი გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“. ამჟამად პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფი სერიოზულად ჩაუღრმავდა ამ საკითხს. ოქტომბერში უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ საგანგებოდ იმსჯელა ამ პრობლემაზე და შექმნა სათანადო კომისიები. სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომია ნიშნავს იმას, რომ მას სახელმწიფო უნდა არჩენდეს და ამავე დროს არ იყო სახელმწიფო მოხელეების ჭირვეულობაზე დამოკიდებული. ესე იგი უნივერსიტეტი უნდა იყოს თავისუფალი. ეს კი შეუძლებელია მაშინ, თუ თვით საქართველო იქნება თავისუფალი. თავისუფლება კი, მინდა გავიმეორო, არ არის მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თუ ჩვენ ვერ შევძელით შევქმნათ ნათელი სოციალური სტრუქტურა, თუ საქართველო თვითდაპყრობის გზით მივუშვით, ცხადია, უნივერსიტეტი ვერ იქნება კუნძული. ავტონომია გარდაუვალია. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას თავის კანონები, ფიცი მისცეს ერს, რომ მამულიშვილებს გაუზრდის, მოიშორებს ისეთ საყოველთაო სენს, როგორიცაა პროტექციონიზმი.

— როგორ გესახებათ ბატონო ვახტანგ, საქართველოს ახლანდელი სოციალური ვითარება და მისი მომავალი?

— ეროვნული ტრაგედიის სოციალურ მიზეზად მიმაჩნია მისი მართვის დამყაყებული სტრუქტურა. მიაქციეთ ყურადღება — მიტინგებსა თუ სხვა საზოგადოებრივ საკრებულოებზე რა ინტონაციით წარმოითქმის — ბიუროკრატია, პარტოკრატია, მაფიოკრატია... ბიუროკრატი, ჩემი განმარტებით, ნიშნავს კაცს, რომელიც ცუდად მუშაობს და კარგად ცხოვრობს, მთავარი საზრუნავია თვითმომარაგება და არა ხალხის მომარაგება. ამ ტკბილი ცხოვრების მოწყობისათვის აუცილებელია პარტბილეთი. აი, ამიტომაც შეიძულა ხალხმა პარტია და საერთოდ მგონია, ყველაფერი. ბარემ ერთი საკითხიც მინდა განვმარტო: მადლობა ღმერთს, რადიკალებმაც დააკონკრეტეს ეს თვალსაზრისი. სახელდობრ, პარტიაში მყოფი კაცი შეიძლება იყოს თუ არა ჭეშმარიტი პატრიოტი. პარტიაში ზოგი კარიერისთვის შედიოდა და ზოგიც, ძირითადად, ინტელიგენცია, თავდაცვისათვის თავის საქმის ელემენტარული დაცვის უფლებისათვის. ამ პარტბილეთით გადაარჩინეს თავიანთი ნაშრომი. ნაღვაწი. ამიტომ დღეს მე პარტიის რიგებში ბლომად ვხედავ ხალხს, ვის მაღალეროვნულობაში ქრისტეც არ შეიტანს ეჭვს. მეორე მხრივ, წლინახევრის სტაჟის მქონე პატრიოტი რომ უცბად, თავისთვის საპრეზიდენტოდ ითავისუფლებს საქართველოს, ესეც დასანახია და დაინახავს

ხალხი. ყველაზე ობიექტური, ყველაზე მიუკერძოებელი და ყველაზე პატიოსანი არის დრო. დრო ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

— ცნობილია, რომ უნივერსიტეტში არსებობს პრეს-კლუბი, კლუბის სახელთან ბევრი საინტერესო ფაქტია დაკავშირებული. თუნდაც ის ეროვნული მოძრაობის პათოსი, რაც მთელი წლის განმავლობაში ასულდგმულებდა საქართველოს ახალგაზრდობას. იქნებ მოგვითხროთ მისი საქმიანობის შესახებ.

— ახლა ემოციებს კონსტრუქციული განსჯა ცვლის. სტუდენტობა ემზადება, მუშაობს, ფიქრობს მომავალი საქართველოს გზებზე. ეს ნაკლებ ხმაურიანია და ნაკლებ ეფექტურიც გარეგნული თვალსაზრისით, მაგრამ ესაა უკვე საქმე, რომელსაც დიდი შრომა სჭირდება. რაც შეეხება „სტუდენტურ ფურცლებს“ მან თავისი სიტყვა თქვა იმ დროს, როცა გაზეთებს, სიტყვის თქმის უფლება არ ჰქონდა. დღეს უკვე რესპუბლიკურ გაზეთებს სიტყვას არავინ უკრძალავს. ახლა მთავარია გაზეთებმა კარგი მეგზურობა გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს. ახლა ჩვენს გაზეთთან იქმნება ახალი პრეს-ცენტრი, საზღვარგარეთის მერიდიანებზე. უნივერსიტეტის სტუდენტობას ეროვნულ მოძრაობაში ჰქონდა და ექნება თავისი ხელწერა. რაც არ უნდა ფსიქოზის ვითარება ყოფილიყო ყოველთვის ხერხდებოდა მათთან დიალოგი. ეს ნიშნავს არა ყველაფერზე თავის ქნევას, ცალმხრივ თანხმობებსა და ხელწნა-მუდარას, არამედ მამა-შვილურ ჩხუბს, დაპირისპირებას. მაგრამ მინდა ვისურვო ისეთი დაპირისპირება, რომელიც ერთიანობასა და განვითარებას ქმნის და რასაც დიალექტიკა ჰქვია. დიალექტიკა საკაცობრიო აზრის დიდი მონაპოვარია, რაც სამწუხაროდ ვერ გამოიყენა ბოლო დროის ცნობილმა, აწ, დაწუნებულმა თეორიამ.

— და ბოლოს, რას გვეტყვით უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებზე?

— მიზანი ასეთია: უნივერსიტეტში ასწავლიდეს ღირსეული, სწავლობდეს ღირსეული: ამის მიღწევა ეგრეთ წოდებული „წმენდის“ თეორიით შეუძლებელია. უნდა გაიწმინდოს უნივერსიტეტიო — ამას ყველაზე მაღალი ხმით გაიძახის ის, ვინც არ არის უნივერსიტეტში ყოფნის ღირსი. დამიჯერეთ, რომ თქვენი გაკვირვებისათვის არ ვამბობ ამას: როგორც კი ხალხის გაყრის რეპრესიებს შეეუდგებით, მაშინ გააგდებთ ყველაზე საწყალს, ყველაზე უპრეტენზიოს და ყველაზე საჭირო სპეციალისტს. ახლა მე თითქოს შევქმენი ჩიხი, რომელიდანაც ვერ გამოვდივართ. უნდა შეიქმნას ვითარება, რომ უნივერსიტეტში მუშაობა ხელსაყრელი იყოს მისთვის, ვისაც საამისო მოწოდება, ნიჭი და ღირსება აქვს. მაგალითად, გეტყვით ერთ გზას. ამერიკაში გასაგზავნ სტუდენტთა შესარჩევი ტურები ჩაეატარეთ. საერთო ჰორიზონტის შემმოწმებელი გასაუბრება ჯერ წერით ჩატარდა, შემდეგ ზეპირი გასაუბრებით. როცა სამოც სტუდენტს

ვკითხეთ რომელ ენაზე გირჩევნიათ დაწეროთო, მათ განაცხადეს — ინგლისურადო. ოთხი სტუდენტის გარდა ყველამ დაწერა ინგლისურად, ეს იყო ბოლო ტური. მანამდე ასზე მეტი მონაწილეობდა. უცხო ენის ცოდნით სტუდენტის ინტელექტის სრული შეფასება არ იქნება სწორი, მაგრამ ფაქტია, სტუდენტი, რომელიც უცხო ენაზე დაელაპარაკება უცხოელს თავისი საქმის შესახებ, ეს უკვე გარკვეული ეტაპია. ჩვენ გვინდა, რომ ძირითადად ამ სტუდენტთა ბაზაზე შეიქმნას სტუდენტთა ელიტარული საზოგადოება, ანუ „უნივერსიტეტი უნივერსიტეტში". ალბათ, შეუერთდებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი ტალანტური მონაცემებით გამოირჩევიან, მაგრამ ვერ ფლობენ ენებს. სულერთია, რამდენიმე წელიწადში მაინც მოხდება ამ დიპლომების „ინფლაცია". მაგრამ ეს ადვილი საქმე არაა. შერჩევის ობიექტურობისათვის ბრძოლაში ძალიან დაგვეხმარნენ ასე ვთქვათ, შინაური არაფორმალები, ჩვენი ოპოზიციონერები, რომლებიც არაფერს შეგვარჩენენ, ე. ი. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ პროტექციისათვის ნიადაგი მოიშალა. ჯერჯერობით, ეს მაინც ტრაბახი გამოგვივიდა, მაგრამ საჯაროობა არის ერთადერთი გზა. უნივერსიტეტში ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ. კიდევ ერთი მომენტი: ეს უცხროენოვანი სტუდენტები ამ სემესტრში თითო გვერდს მოამზადებენ უცხო ენაზე („უნივერსიტეტის გაზეთში"). მას გავგზავნით უცხოეთში და იქნება სასინჯი ქვა მომზადდეს, საფუძველი უცხოენოვანი გაზეთის გამოშვებისათვის თბილისში.

ერთი სიტყვით წინ დიდი, რთული ცხოვრების გზაა. სტუდენტებს დაუდგათ ჟამი დიდი ილიას სტუდენტობისათვის კეთილისმყოფელად მიბაძვისათვის. ერზე ფიქრს სტუდენტი ილია ჭავჭავაძე დღე-ღამეში თვრამეტ საათს ანდომებდა და მაინც ნაპოლეონის თქმისა არ იყოს, „პოლიტიკა — ეს ბედია". იღბალი უნდა საქმეს. ღვთისმშობელი და წმინდა გიორგი წამდაუწუმ ისე გულით იხსენება ჩვენი ხალხის მიერ, რომ გვჯერა არ მიგვატოვებენ ჩვენი წმინდანები, რათა უფლის ნათელი მოჰფინონ მრავალტანჯულ ივერიას.

8 ოქტომბერი, 1990 წ.

ილიას დროშით

კიდევ ერთხელ გაცხადდა ჩვენი ხალხის საცნაურობა. მაგრად ჩაძინებულმა ერმა მაგრად გამოიღვიძა. ესაა გრიგალის წელი, ტრაგედიისა და აღორძინების წელი...

ვის არ წუდება გული: მსოფლიოს ფორუმებს, ფესტივალებსა თუ ოლიმპიადებზე მოდის სოფლისოდენა სახელმწიფოს წარმომადგენლები თავისი სახელითა და გვარით. გენერალური ასამბლეის შესახებ ჩვენ ყველას მიამიტი წარმოდგენა გვაქვს. მაგრამ აქ მსოფლიოს

ოჯახის სრულუფლებიანი ქალები იკრიბება. სად არის ამ დიდგული საქართველოს წარმომადგენლობა? ერთი სიტყვით, მოვიდა ჟამი განკითხვისა — „წინანი უკან და უკანანი წინ“.

ჩვენი მოძრაობა, ღელვა სრულიად არასტანდარტულია, არც პოლონეთის, არც ბალტიისპირეთის ანალოგებს იმეორებს იგი. იგი სტიქიას ჰგავს, სულ რომ ბობოქრობს, თუმცა არც მთლად ასეა საქმე. ამ წლის მანძილზე იყო ბევრი არშემდგარი მიტინგიც. ძალიან გვიან გაგვიჩნდა სიფრთხილის გრძნობა. ხშირად გვეშინია სიფრთხილისაკენ მოწოდებისა; გვეშინია მშიშრობა არ დაგვბრალდეს, უშიშარ კაცს არც ამისა უნდა ეშინოდეს.

უფრო ფასობდა ღელვის გამოწვევა. ვისწავლეთ ღელვის დაშოშმინებაც. ეს ერთი წელი საოცრებად შევა ჩვენს ისტორიაში, მემატიანე ვერც მოასწრებს ყველაფრის აღბეჭდვას. მეტისმეტად, იმდენად მეტისმეტად დაიქსაქსა საქართველოს მიწა-წყალი, მისი სულიერი ზეცა, რომ, როგორც იქნა, მიველით საბედნიერო უკიდურესობასთან — ერთიანობის აუცილებლობასთან. მთიელი და ბარელი, ქალაქელი და სოფლელი, მუშა და ინტელიგენტი, გლეხი და მეცნიერი, მამები და შვილები, მთავრობის კაცები და ერისკაცები, ბიუროკრატები და „ექსტრემისტები“, ფორმალისტები და არაფორმალები, ფიზიკოსები და ლირიკოსები... დავიღალეთ განკერძოებით, ეგოისტობით, შურიანობით, ქიშპობით და რახან გამოჩნდა სამშობლოს დროშა, ჩვენ მის კეთილ ჩრდილქვეშ ვერთიანდებით. საკეკლუცოდ მკერდზე გარდმოფენილი ჯვარი სულში გადავიდა. არტისტული ლოცვიდან მართალი ლოცვისაკენ აღელინდა. რამდენი რამ მოხდა. ერთი წლის წინათ ფიქრს ვერ მივაკარებდით დღევანდელს, საოცნებოს.

ამ ერთმა წელმა ცხადად გვიჩვენა, რატომ ვეძახით უნივერსიტეტს ეროვნულ ტაძარს. უნივერსიტეტი გაუძალიანდა ბიუროკრატიულ ექსტრემიზმს, ბოროტების სათავეს. მან კარი გაუღო ერის ტკივილებით შეძრწუნებულ ქართველობას. მისი მასპინძლური ღირსება ჩვენმა შვილებმა, სტუდენტებმა გაგვიღვიძეს. ისინი პირველები შეეგებნენ მესტიიდან თუ ბელაქნიდან, ფშაე-ხევსურეთიდან თუ მესხეთ-ჯავახეთიდან, აჭარიდან თუ აფხაზეთიდან ჩამოსულ აღელვებულ ქართველებს. რამდენჯერ გვინახავს უნივერსიტეტის დარბაზი თუ მისი ნაკურთხი ეზო — გამძვინვარებული დასაწყისი შეკრება-მიტინგებისა, — ყოველთვის საღვთო მადლით დამშვიდებული დასასრულით. და მაინც, რომ არა ზეგარდმო ძალა, ვინ იცის, კიდევ რას შევეყრებოდით 10 აპრილს, ტანკებითა და თავჩაჩნიანებით სავსე ეზოში, ჯარი რომ ჰაერში გასროლით, ფარებმომარჯვებული მოიწევდა ტაძრის კარებისაკენ. ჩანს, საღვთო სინათლის სვეტმა იძალა.

არასუვერენული ერი. უსახელმწიფო ერი პირველი მეპატრონის მდგმურსა ჰგავს. გარდაქმნა სულ არ ნიშნავს მშიერი ცხოვრების

მსუყე ცხოვრებით შეცვლას. იგი განკითხვის მრისხანე ფორმით მოვიდა. განცხრომის მომლოდინეთათვის იგი სუსხიანია.

ჩვენი თვალით, ტკივილებით ვიხილეთ მანამდე თქმულებებით წარმოდგენილი საღვთო მსხვერპლი. მიეხედით, რატომ ასხიეოსნებს უმანკო კრავის წმინდა სისხლი ხალხის სულსა და გულს, — შეუხორცებელი ჭრილობა და შედუღაბებული ერთიანობა! რაც უფრო შორს წავა დრო, ხატად ქცეული ჩვენი გოგონების, ქალბატონების, ვაჟკაცების ნათელი სახე ლეგენდასავით წინ გაგვიძღვება. ღმერთმა აკმაროს საქართველოს ეს წმინდა მსხვერპლი!

„ნეტარება ტანჯვაშია". ბედნიერი ვარ დღეს, 26 მაისს რომ მოვკვდე, იმედიანი ღიმილით გამოვეთხოვები თავისუფლებისაკენ მიმავალ საქართველოს.

და მაინც გული კარგს მიგრძნობს, იქმნება რეალური დიალოგის პერსპექტივა. ერის ტკივილებით ანთებული, მოღვაწე ადამიანების მიმართ მთავრობის პოზიცია საამისო სურათს ქმნის, გვიახლოვდება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. გვწამს, რომ პარლამენტური გზით, ქართველი ხალხი თავისი სუვერენიტეტის აღიარებას ჰპოვებს. ღმერთი მფარველობდეს ღვთისმშობლის წილხვდომილ ივერიას აწ და მარადის.

26 მაისი, 1989 წელი.

მოგესალმებით

ფიზიკურად ახლა ჩვენში გაცილებით მეტი გაზეთი გამოდის, ვიდრე საჭიროა. სტუდენტებს დღეს პრესა კალთასაც ახევს — მოდით, მობრძანდითო. მაგრამ მათ თავისი ნება და შეხედულება აქვთ. უნდათ თქვან თავისი სიტყვა ისე, როგორც მათ ნებავს — შეულამაზებლად, ზოგჯერ უხეშად, მაგრამ გულმართლად.

გვახარებს ქუთაისის პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტური პრეს-ცენტრის პირველი ნაყოფი — „სტუდენტური ფურცელი", გაზეთ „ქუთაისის" გვერდნახევარი რომ ეთმობა.

არც ერთ ჯგუფს, გაერთიანებას, პარტიას საზოგადოებრივი აღიარება არ მიუღია ბეჭდვური ორგანოს გარეშე. მიტინგი რამდენ ათასიანიც უნდა იყოს, მჭუხარე ტაშით მიიღებს და გააცილებს ყველაზე მღელვარე აზრს, მაგრამ გაზეთი არის კავშირი დროსთან, მომავალთან.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც, როგორც თქვენ, ძვირფასო ქუთაისელო სტუდენტებო, ძალად გამოგლიჯეს ხელიდან ხელისუფლებას „სტუდენტური ფურცელი". — ბევრს არაფერს ვითხოვთ, ერთი პაწაწკინტელა გვერდი დაგვითმეთ „თბილისის უნი-

ვერსიტეტის“ ფურცლებზეო, და ეს იყო ნათქვამი ისე დიპლომატიურად, გეგონებათ, და, მართლაც, არც ისე დიდ რამეს ითხოვენო.

მოგეხსენებათ, საყრდენი წერტილი თუ უპოვეთ, ბერკეტით დედამიწას ააყირავებთ. უნივერსიტეტის პრეს-კლუბმა ამ ფურცლის მეშვეობით დააკვალიანა თავისი მღელვარება. მთელი წლის მანძილზე მიმდინარე მღელვარებაში, ჩემის ღრმა რწმენით, უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოიჩინეს თავისი მეობა, კონცეპტუალური პოზიცია. მიხარია, რომ ქუთაისის ინსტიტუტების ჯერ კიდევ უგაზეთო პრეს-კლუბმა პირველმა გააბა ჩვენს სტუდენტურ ორგანოსთან კავშირი. მგონი კარგის მეტი ამას არაფერი მოჰყოლია.

ჩვენ ურთულესი ერის შვილები ვართ.

დღეს პატარა ერს დიდი ჰკუა სჭირდება, დიდებს — პატარაც ეყოფათ. ემოციები წყაროა გონიერი მოძრაობისა, მღელვარებისა. მაგრამ პოლიტიკურ აზროვნებასა და ცხოვრებაში ზოგჯერ მისი სიჭარბე გონიერების სიღარიბეს ნიშნავს. ყოველი ქართველი ვალდებულია გაუფრთხილდეს საქართველოს. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რას ნიშნავს მშიშარა და უშიშარი. ამის შესახებ, ალბათ, სხვა დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად შებრუნებით გვესმის მისი შინაარსი. გავიხსენოთ: შუშანიკი იყო „მოშიში ღმრთისაი“.

დიახ, ეშინოდა მას, ეშინოდა ღმრთისა, მაგრამ ვერ აშინებდა სპარსეთის მრისხანე იმპერია.

ჩვენი ღმერთი, ჩვენი საქართველო ჩვენ გვიყურებს და გონიერებას მოითხოვს ჩვენგან. უბედურება ის არის, რომ ამგვარი მოწოდება სიმშვიდისა და გონიერებისაკენ, უმეტესწილად არის შემპარავი, ჰიპნოტური შესაყალი, რათა ბრძოლაზე ხელი აგვაღებინონ. არა, ბატონებო! ბრძოლა და შრომა წინაა.

დღეს გაზეთში თითქმის ყველაფერი იბეჭდება. და მაინც უნივერსიტეტის „სტუდენტურ ფურცელს“ აქვს რუბრიკა „ბევრი იარა... “ ე. ი. არის რაღაცეები, რომლებსაც ვერ ბეჭდავს ოფიციალური პრესა. ვერ ბეჭდავს რეალურ კრიტიკას რეალური ადამიანების ცოდვების მიმართ.

რატომ?

ზოგი ზოგისა ნათესავია, მეზობელია, მეგობარია, საჭირო კაცია, მისგან დავალებულია.

აი, სტუდენტობა არის ის დაუნდობელი, მამხილებელი ძალა ბოროტებისა, რომელმაც უნდა იხსნას ჩვენი ჩამყაყებული სოციალური რეალობა. სტუდენტობა არის ობმოუდებელი პირუთვნელობა, რომელმაც მწარედ უნდა აგვიწვას ყურები თავისი პრინციპულობით.

თბილისის უნივერსიტეტის პრეს-კლუბის დავალებით, ჩემი საამაყო სულიერი მეგობრების დავალებით, მივესალმები თქვენი „სტუ-

დენტური ფურცლის" ღაღად აფრიალებას. დაველოცავ მის პირველ გულწრფელსა და ნიჭიერ ნომერს. გისურვებთ იმ სიბრძნით გაბრწყინებას, რაც ასე საჭიროა ჩვენი ერის მომავლისათვის.

28 ივნისი, 1989 წელი.

ვინ — ვარსულისაკენ!

ვის არ უნდა ჭუთაისი ჭუთაისობდეს, გელათი გელათობდეს ისე, როგორც მეთორმეტე საუკუნეში. 1106 წელს, დავით აღმაშენებლის თაოსნობით დაარსებულ აკადემიაში, იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი ასწავლიდნენ. ამიტომ იხსენიებდნენ ამ განთქმული სიბრძნის კერას „სხუად ათინად" „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად". როდის მივაღწევთ ჩვენ ამ მწვერვალებს!..

გელათის სასულიერო აკადემიის აღორძინება მკაფიო გამოხატულებაა სულიერი ამაღლებისაკენ სწრაფვისა. გამოფხიზლება სწორედ ესაა. დღეს მას აკურთხებს ჩვენი ეკლესიის მამა, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ამ ზეციური სიბრძნის ტაძრის გვერდით იქმნება მიწიერი სიბრძნის მეცნიერული ტაძარი — უნივერსიტეტი. ეს დიდი მოვლენაა. მთელი ქართველი ერის იმედიანი მზერა დღეს იქითაა მიმართული. ჩვენი საუკუნე სულიერ ღირებულებათა და წოდებათა დევალვაციის საუკუნეა. გაუფასურდა მრავალი მაღალი სიტყვა. პრობლემა აქვს „უნივერსიტეტსაც". ტარიელი რომ დავირქვა. ლომ-ვეფხვის დახოცვის შემძლებელი მაინც ვერ გავხდები. მაგრამ ქუთაისის ინსტიტუტის უნივერსიტეტად გაფართოება-გაღრმავება იმედიან პერსპექტივას სახავს. ქუთაისი ქართველი ინტელიგენციის საბადოა. აქ უნიჭიერესი ახალგაზრდები იბადებიან. სამწუხაროდ, ჩვენი აღზრდის აქამდელი სისტემა ყველაფერს აკეთებდა ნიჭის დასაჩლუნგებლად. ნიჭზე წყურვილი არ ჰქონდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ახლა გვიჭირს, უფრო გაგვიჭირდება, ნიჭმა, ჭკუამ, შრომამ უნდა გადაგვარჩინოს.

ქუთაისი ქართულ სოფლურ გარემოს არაა მოწყვეტილი, მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ ხასიათში. ცათამბჯენები რომ აშენდეს „ინდუსტრიის მშენებელი" ქუთაისი არ დაკარგავს თავის კოლორიტს. აქ არ შეიძლება არ იფეთქოს ჯანსაღმა ქართულმა ნიჭიერებამ. სიბრძნე რაც ძირძველია, მით უფრო ღრმაა, მით უფრო მაღალია. ასეთია გონის გამოვლენის მარადიულობის საიდუმლო.

20 სექტემბერი ისტორიული თარიღის მნიშვნელობას იძენს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ქუთაისის ამ უმაღლეს სასწავლებელთან ურთიერთობაში

აპირებს იხელმძღვანელოს პრინციპით: წინ-წარსულისაკენ! ეს ნიშნავს კვლავაც აღორძინდეს სამეცნიერო პედაგოგიური ერთიანობა. თბილისიდან ქუთაისის ინსტიტუტში დადიოდნენ. ასწავლიდნენ დიმიტრი უზნაძე. შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ეარლამ თოფურია და სხვა მშვენებანი ჩვენი მეცნიერებისა. ბევრი სახელოვანი მეცნიერი მისცა ქუთაისმა საქართველოს. ვუსურვოთ ქუთაისის უნივერსიტეტს ნიჭის გაბრწყინება, აქ სასწავლოდ ჩამოსულიყვნენ ათენიდან თუ იერუსალიმიდან. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქუთაისი, აამაღლოს მისი სული 900 წლის წინანდელ მწვერვალებამდე.

19 სექტემბერი, 1990 წელი.

მოვლენებს თავისი სახელები ვუწოდოთ

ბატონო რედაქტორო! როდესაც გარდაქმნის იდეამ ამოქმედება იწყო, ერთხანს „რევოლუციური“, ისე, სიტყვისთვის, გამაძლიერებლი ეპითეტის მნიშვნელობისა გვეგონა. ახლა კი ვრწმუნდებით, ეს სიტყვა ტყუილად არ ყოფილა მოხმობილი. სად გინახავთ უმსხვერპლო რევოლუცია. გაგახსენებთ: გოეთეს ეკითხებიან — რას იტყვით რევოლუციის შესახებ? — მე მძაგს ყოველგვარი რევოლუცია, რამეთუ იგი ერთნაირად სპობს ბოროტსა და კეთილსო.

რევოლუციის დაუნდობლობაზე ბევრი რამ თქმულა. ახლანდელი რევოლუცია ინტელექტის რევოლუცია გვინდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ამისთანა მოძრაობას უძრაობა მერჩივნაო, — ამას მხოლოდ ობივატელი ამბობს. ვინც სულის ამოთქმისათვის ჰეშმარიტი ინტილიგენტური არსით ცხოვრობს, მისთვის „არა პურითა ცხოვნდების, არამედ სიტყვითა.“

„კომუნისტის“ 1936, 1937, 1938... წლების ნომრები მიფურცლავს. კარგა ხანს გონს ვერ მოვსულვარ. რამდენი ერისკაცი გაუწირავს, რამდენი ცოდვა უტვირთავს. მოვიდა ახალი სინამდვილე, გარდაქმნის ეპოქა, განკითხვის ეპოქა. აბა ვინ წარმოიდგენდა ახალი სენაკი, ოზურგეთი თუ სხვანი თავიანთ ნაკურთხ სახელებს დაიბრუნებდნენ. არ არის ეს უმნიშვნელო რამ. მოვლენებს თავისი სახელები ერქმევა. კაი სახელიც ამშვენებს მოვლენასა და კაცს.

„კომუნისტი“ ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთია ჩვენში. სტატიის ავტორს პარტბილეთს არავინ უსინჯავს (უპარტიოებიც თანაბარუფლებიანი ავტორები არიან). ვერც ვერავინ აღნუსხავს კომუნისტებისა თუ უპარტიოების ცხოვრების ამსახველ თემებსა და საზღვრებს. იგი უკვე ხალხის ცხოვრებას ემსახურება, კითხულობს რესპუბლიკა, ყველა ვინც კი ქართული იცის. მოვიდა ჟამი ამ სახალხო გაზეთს იმ რესპუბლიკის სახელი დაერქვას, რომელსაც ის

წარმოადგენს. დაე, იქცეს საელე პაელედ. ეს კიდევ უფრო გაუხსნის ხელს გაზეთს, რომ დააღწიოს თავი ერთგვარ საოქმო სტილს (საწყენად ნუ მიიჩნევთ, რამეთუ ეს მისი მოვალეობაა). და თუ ერთ დილით გადავშლით გაზეთ „საქართველოს", ვფიქრობთ კარგი დილა იქნება. მე უკვე წარმოვიდგინე, რომ ეს ასეც მოხდა. ახლა რა მინდა ეუსურვო გაზეთ „საქართველოს". არფერი ისე არ სჭირდება დღეს საქართველოს, როგორც ეროვნული თვითცნობიერების რეფლექსია, სწორი პოლიტიკური ტაქტი და ორიენტაცია. ამას ყველანი ვგრძნობთ და მოვუწოდებთ ერთმანეთს — „მოვუხმოთ გონიერებასო". გამოდის კი ისე, ათასი შეკრებილი რომ ერთდროული ყვირილით აშოშმინებს ერთმანეთს „სიწუნარე", სიწუნარეო". უნდა დავიწუოთ თვითანალიზი, თვითკრიტიკა. ძველისძველი ჭეშმარიტებაა: დიდი კაცი თავის დამარცხებაც თუ უღიმღამობას თავის თავს აბრალებს, პატარა კაცი სხვას. რა ეშლება თუ არ ეშლება მოწინააღმდეგეს, ეს უკვე გავიგეთ. ჩვენ არაფერი გვეშლება? მაგრამ ამისათვის იქნებ ილიაა საჭირო? მოსე თავის ხალხის მრისხანე მამა იყო. მოგეხსენებათ, ილია თავის ხალხს მწარე სილასაც გააწნავდა, როგორც თავის შვილს.

ყველანი ვგრძნობთ, რომ ურთულესი ეპოქის შვილები ვართ. XXVII ყრილობის მასალებშიც კი ხშირად ფიგურირებს სიტყვა აპოკალიფსური. როგორც არასდროს ისეა საჭირო სულიერი საყრდენი, საკუთარი ხალხის ბედიღბლის გაფრთხილება. როდესაც ქრისტე თავისი ხალხში დაბრუნდა საქადაგებლად, გაუკვირდა არ ელოდა, თუ თავისი ერი ასე დაბნელებული დახვდებოდაო, წერს პეგელი. დიდი დაბნეულობა მესიას მოლოდინს უძღოდა წინ ბიბლიური ლოგიკით. ჩვენი ლოგიკით კი ზოგიერთი გადაყირავებული ცნება, ელემენტარული ჭეშმარიტებანი უნდა აღვადგინოთ. ხშირია და ჩვეულებრივი, მშიშარა რომ მამაცს მხნეობას ასწავლის, მექრთამე მორალს გვიკითხავს. ერთი უგვანო თვისებას ავუმხედრდით მეორე უკიდურესობაში ჩავარდნით. მლიქვნელობა რომ ულირსი თვისებაა, ეს კარგად ვიცით. მაგრამ აქ ფორმა და შინაარსი აგვერია ერთმანეთში. მლიქვნელობა იმიტომაა საზიზღრობა, რომ კერძო კეთილდღეობისათვის იმცირებს ადამიანი თავს ეიღაცის წინაშე. მაგრამ შენი სამშობლოსათვის თავის დამცირება თუ გმირობა არა ხშირად აუცილებელი საქმეა. თუ ჩემს ქვეყანას გოლიათებს გავუშწარებ, მტრად მოვიკიდებ ისე, რომ ხელში შურდულიც არ მიჭირავს, ამას რა ჰქვია, სახელი მკითხველმა დაარქვას. ჩვენ ყველამ ვნახეთ ამას წინათ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიხეილ გორბაჩოვის მიღება. რამ გააგიჟათ გერმანელები ასე: უყვართ ბატონო გორბაჩოვი? ძალიან კარგი. პატივს სცემენ იმიტომ, რომ მათ სჭირდებათ? ე. ი. ჰკვიანი ხალხია. მე მინდა ჩვენ (პირველ ყოვლისა ამ სტრიქონების ავტორი) უფრო ჰკვიანები და პრინციპულები ვიყოთ, რაც მთა-

ვარია კუნძსა და მხედარს ერთმანეთში ნუ ავურევთ, სიტყვა „რეალიზმი" მუდამ თავში უნდა გვიტრიალებდეს.

დღეს დიდი მღელვარე ცხოვრებაა საქართველოში. ძნელია ვინმემ მყარი პოზიცია დაიჩემოს. ოპტიმისურად რომ გაიღვიძებ, შეიძლება საღამო პესიმისტურად დაამთავრო ან პირუკუ. ღმერთმა დაიფაროს იმნაირი მაშოშმინებლობა, მოძრაობის ჩაქრობას რომ ისახავდეს მიზნად. ერთი რამ მაინც მაიმედებს — ქართველებს არ გვიყვარს ურთფეროვნება. როგორც ჩანს, იწყება ახალი ფორმა პარლამენტური, დარბაისლურ-პოლიტიკური აზროვნებითი ბრძოლა თავისუფალი და ნათელი აზრის საქართველოსთვის.

ბატონო რედაქტორო. ამ პატარა წერილს „შალაშინი" არ სჭირდება. იმედი მაქვს გაზეთ „საქართველო" შეიქმს მრავალფეროვნებას და თავის სტილს, თუ ავტორთა სტრიქონები კონვეირული წარმოებისა არ იქნება. მინდა ვისურვო — ახალ ნათლობას თავისი მადლი დაჰყოლოდეს.

25 ივნისი, 1989 წ.

პირველად რუსეთის იმპერიაში

„ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს"

დროის სიშორე აამაღლებს იმ 14 აპრილს. 1978 წლის 14 აპრილს. პირველად რუსეთის იმპერიის ისტორიაში გაიმარჯვა საღმა საპროტესტო აზრმა, დიდმა საპროტესტო დემონსტრაციამ. ყველა სიკეთე სული წმიდის მადლით გაერთიანდა: ახალგაზრდობის მძლავრი ეროვნული ემოციები და ძველგაზდობის გონიერება. ამ დღეს თბილისში არ იყო ცუდი კაცი. ეს იყო ქართველების ერთ მუშტად შეკვრის ულამაზესი სანახაობაც.

მოვლენამ რომ ისტორიული ფაქტის დადგენილი სახე მიიღოს, დროის დისტანციაა საჭირო. ყველა მთხრობელს დრო-მემატიანე მიუჩენს თავის ადგილს. მაგრამ ეს დღე დღეს გაკვეთილისთვის გვინდა რომ გავიხსენოთ.

ამას წინათ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (22. 03. 90) გამოქვეყნდა ნოდარ გრიგალაშვილის წერილი-დიალოგი — „მთავარია ბრძოლა თავისუფალ ერისათვის". ნოდარი, იმჟამად ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. თეითონ იყო იმ დიდი მოძრაობის წამოწყების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი. უნივერსიტეტი ერთბაშად გამოცოცხლდა. ბობოქრობდნენ მწერლები. ბობოქრობდნენ 90 და 80 წლის აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა. საუვედურისთვის იმჟამინდელ საზოგადოებაში თითქმის არ გვეგულება ფენა. ერთი პატარა ფაქტობრივი უზუსტობა მინდა გასწორდეს,

რაც დიდი ხნის წინათ ჩემი ცუდად ნაამბობის ბრალი იყო: „ბატონმა ვახტანგმა თავადაც მოაგროვა ლექტორებში საპროტესტო ტექსტის ხელმოწერები, მაგრამ უთვალთვალეს და ტექსტი თავაზიანად წაართვეს". წართმევით არ წაურთმევიათ. დღევანდელ ახალგაზრდობას შეიძლება სიცილად არ ეყოს მაშინდელი ფორმულირების მოთხოვნა, რაც ახლა კარგა კონიუნქტურულადაც შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ ნუ გვიწყენს ნურავინ და მაშინ, ჩვენი საზოგადოების მიერ წამოყენებული 75-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციისა, გაცილებით თამამი პოლიტიკური განაცხადი გახლდათ, ვიდრე დღევანდელი უთამამესი ლოზუნგებიც კი. ეს იმიტომ, რომ მაშინ ხმამაღლა ფიქრიც არ იყო მოდაში, ახლა კი პოლიტიკური ყური ძლიერ ყიჟინასაც კარგად ჰგუობს.

დავუბრუნდეთ ისტორიას: ხელმოწერის ტექსტი უნივერსიტეტში კარგა ერთ კვირას ტრიალებდა, ფარულად. ყველამ არც იცოდა მის შესახებ. ხელმოწერები გრძელდებოდა. მაგრამ ვითარება ერთობ იძაბებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რაც იყო ხელმოწერები, ის ჩაგვებარებინა ცეკას კომენდატურაში. სტუდენტებს კი უკვე ჩაბარებული ჰქონდათ. 7 აპრილს, პარასკევს 13 საათი იქნებოდა, მე და ზურაბ გოგიჩაიშვილი (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე) წავედით ტექსტის წასაღებად. წავედით ფეხით. ზუსტად ფილარმონიის წინ (მოპირდაპირე მხრიდან) ჩერდება მანჭანა და გადმოდის უნივერსიტეტის ერთი პროფესორი შეშფოთებული სახით და გვეუბნება:

— ჩხიკვიშვილმა გაიგო თქვენი პეტიციის შესახებ და გთხოვათ სასწრაფოდ დაბრუნდეთ უნივერსიტეტში. სოხუმიდან დარეკა შევარდნაძემ და მოითხოვა თქვენი უკან დაბრუნებაო. ჩხიკვიშვილი ამბობს, ოღონდ მე ნუ გადამახტებიან და მე თვითონ წავუღებ შევარდნაძესო.

— მოდი, ვითომ ჩვენ არ გინახივართ, — ვუთხარით ჩვენ.

— არა, ძალიან გთხოვთ, რექტორმა ბოლოსდაბოლოს გთხოვათ, გეფიცებით კაცობას თუ ხელი შევუშალოო.

მე და ზურაბმა მოვითათბირეთ. ბოლოს და ბოლოს რას გვიზამს რექტორი. დავბრუნდით. მასთან იჯდა პროფესორი სერგი ჭილაია. ბატონი დავითი აფორიაქებული იყო. — რას შვრები, ბიჭო, შევარდნაძემ დამირეკა ახლა სოხუმიდან. არ გინდათ ცეკაში ცალ-ცალკე პეტიციების გზავნაო. გავაფორმოთ ჩვენი მოთხოვნები კანონიერად და მე წარვუდგენ თვითონ ცეკას.

მე ვუამბე იმ არასწორი მეთოდების შესახებ, რითაც ხელი შეგვიშალეს ამ აქციის კანონიერი ფორმით განხორციელების თაობაზე.

— გაძლევ კაცურ სიტყვას, მიდი, სადაც გინდა, რომელ კათედრაზეც, ფაკულტეტზეც გაიგონებ, რომ არასწორად მიმდინარეობს კონსტიტუციის ამ მუხლთან დაკავშირებული აზრის ჩამოყალიბება

და მსვლელობა, მაშინვე მე მითხარი. გაძლევ პირადი კონტროლის უფლებას.

— თუ ეს ასე იქნება, ეს გვინდა ჩვენ.

— ჰოდა, არ გინდათ ეს პეტიცია, დახიე თუ კაცი ხარ.

— არა, მე როგორ დავხევ, ეს კოლექტიური წერილია, ჩემი ხომ არაა?!

— აბა რა ვქნათ?

— თქვენთან იყოს.

— მოდი ეს წერილი მაშინ შენთან იყოს, თუ გაიგონებ, ამ აქციას ხელი ეშლება, მაშინ როგორც გინდა ისე გააკეთე.

ასე რომ წერილი წამოვიღე. რამდენიმე მეგობარს დავუძახე (რუსთველის კაბინეტის წინ) შეეხედით და ვუთხარი ყოველივე. ისიც დავსძინე, რომ მიუხედავად ყველაფრისა, თუ გინდათ გავუტეხ რექტორს სიტყვას და ახლავე წავიღებ-მეთქი. — ვნახოთ ორშაბათამდეო. ყველას კარგად ახსოვს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის, თუ არ ვცდები, ყველა კათედრამ, უნივერსიტეტის სხვადასხვა რგოლებმა (სულ 1300 კაცის) აზრი ბატონმა დავით ჩხიკვიშვილმა წარუდგინა ცეკას. ამის შესახებ ოფიციალურად ითქვა სესიაზე. ყველას კარგად ახსოვს მაშინ ბატონი დავით ჩხიკვიშვილის ძალზე სწორი და აქტიური პოზიცია.

ნოდარ გრიგალიშვილის წერილიდან კიდევ ერთი ადგილი მინდა გავიხსენო: „ხელმძღვანელი ჩვენ არ გვყოლია, ყელაფერი სტიქიურად მოხდა და საერთოდ, 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია, არ ვიცი შეგნებულად თუ შეუგნებლად, მე მგონი თვით ხელისუფლებამ მოაწყო. მთელი ერთი კვირის მანძილზე იხვეწებოდნენ, 14-ში ნუ გამოხვალთო. ამან, ბუნებრივია, საპირისპირო შედეგი გამოიღო, ვინც არ იცოდა, საერთოდ რა ხდებოდა, იმათაც ყურები ცქვიტეს...“ არც უმაგისობა მგონია! ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკის ხელმძღვანელი თებერვლიდან მოყოლებული სხვადასხვა თათბირზე კრემლის მიერ შემოთავაზებული ახალი კონსტიტუციური ფორმულირების შესახებ რომ იმას გაიძახოდა — „ამას არ გვაპატიებს ახალგაზრდობაო“, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ პოლიტიკაა, რომელმაც ძალზე ზუსტად იცის გათვლილი შედეგი. ნოდარ გრიგალიშვილი ჩვენის ფიქრით, სწორ ანალიზს უკეთებს იმ წინამძღვრებს, რამაც დაამწიფა 14 აპრილი.

უფალს უფლისა და კეისარს კეისრისა.

13 აპრილი 1990 წელი.

პარტიიდან გასვლა იმდენადვეა სატრაბახო, რამდენადაც პარტიაში შესვლა. ვერავის შევპირდები, მე უკეთესი ქართველი გავხდები მას შემდეგ, რაც ანტიქრისტეს მანდატი დავდე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მე ვემსახურებოდი ივანე ჯავახიშვილის იდეოლოგიას. ვისაც სხვა მოსაზრება აქვს, მზად ვარ, ვუპასუხო ყოველ შენიშვნას. პირადად მე პარტიის ზრუნვით რაგვარად ვარ „გამთბარი“, ეს უფალმა და მერე ხალხმა განსაჯოს.

გოეთეს „ფაუსტში“ ორი სანაძლეო გვაქვს: ღმერთსა და მეფისტოლეს შორის, მეფისტოფელსა და ფაუსტს შორის. ღმერთი ადამიანს თავის ქმნილებად თვლის, ეშმაკი კი თავისად. და აი სანაძლეოს საგანი გახდა დოქტორი ფაუსტი. მეფისტოფელი სთავაზობს ფაუსტს ყოველ სურვილთა აღსრულებას, სამუქფოდ სული უნდა დასთმოს. ფაუსტი სანაძლეოს სთანხმდება, ე. ი. მონაწილეობს გამოცდაში (როგორც ჩვენ შევდივართ სკკპ რიგებში). ფაუსტს ყოველი სიძნელის ძლევა უადვილდება. ტკბილია ცხოვრება დაბრკოლებების გარეშე, ან დაბრკოლებებს შეღავათების მაგიური მკლავი რომ დაგვაძლევინებს. შედიხარ პარტიაში, თუ მოხვდი პარტოკრატიაში იღებ მატერიალურ კეთილდღეობას, მაგრამ თუ საჭიროა გათქმევინებენ, გაგაკეთებინებენ იმას, რაც შენი ერის ღალატს უდრის. პოტენციალურად იგულისხმება, რომ შენ შენი ერის სამტრო პოზიციაზე უნდა იდგე. სატანურ-გენიალურ თქმად მიმაჩნია ერთი ქართველი ფუნქციონერი ქალის ნათქვამი ცეკაში დასაწინაურებელ ერთ კადრზე: — როგორ, აქ მოსვლა უნდა, ხიზილალის ჭამა უნდა და იმისი კი არა?.. მაგრამ არ იქნება ქრისტიანული იმის თქმა, ვინც ცეკაში მუშაობდა, ყველა ცუდი იყო, ყველა ცუდიაო. იყვნენ ანომალიურნიც. ამიტომაც ტყდება ციხე შიგნიდან. საზოგადოდ მე პარტიიდან იმიტომ კი არ გავედი, საქართველოს სოციალურ დაქსაქსვას შევუწყო ხელი. პირიქით, ადამიანს აქვს უსაზღვრო შანსები — სავლედან იქცეს პავლედ. პავლე ციდან მოდის, მაგრამ ამით ის გვითხრა მაცხოვარმა, რომ ჩვენ ნუ განვიკითხავთ ერთმანეთს. განმკითხველი ჩვენს ზევით არის. ჩვენი მიზანია ერთმანეთის მიტევება, ერთმანეთის ატანა. ამას ნიშნავს „გიყვარდეს მტერი შენი“. მაგრამ გიყვარდეს სულიწმიდის მტერიო — ნურას უკაცრავად.

ვინც ერთგულად ემსახურება პარტიას, მიიღებს მატერიალურ კეთილდღეობას, ტკბილი განცხრომით მოისვენებს „ნაზ სარეცელზე“. ფაუსტი იღებს სანაძლეოს, მაგრამ ეშმაკს თვითდაჯერებით უპასუხებს:

„თუკი ოდესმე განცხრომას ვიგრძნობ
და მოვისვენებ ნაზ სარეცელზე,
დაე მაშინვე მომეღოს ბოლო“.

ფაუსტს წმინდა მიწაზე არ უელია მეფისტოფელის გვერდით. ბევრი უბედურების თანაზიარიც გახდა. უნებლიე მონაწილეა გრეთჰენის დედის ძმის, თვით გრეთქენისა და ჩვილის დაღუპვისა. ცოდვილია მიწიერი ცხოვრება, მოქმედი ადამიანი ნუ დაიტრაბახებს — უცდომელი ვარო. „ადამიანი მუდამ ცდება, ვიდრე ისწრაფვის". („ფაუსტი") ვინც არას იქმს, არცა ცდება. დოქტორმა ფაუსტმა გაიარა დიდი ცოდვილი გზა. და აი, სული მისი ვისკენ იქნება, აქ გამოჩნდება მისი ცოდვა-მადლი. ფაუსტის კეთილი სული ღმერთს ეკუთვნის. უფალმა განასპეტაკა მისი ტანჯული მზრუნველი სული, ვერ ჩაიგდო ხელთ იგი მეფისტოფელის ჭინკებმა, უფრო ძლიერია ის ღვთიური ნაპერწკლები. დოქტორი ფაუსტი სასუფეველს იმკვიდრებს.

კენჭს კი ჩავაგდებთ ჭაობში, მაგრამ ჭაობი ვერ შეაღწევს კენჭში. კომუნისტურ პარტიაში ზოგი „ნაზ სარეცელზე" განცხრომისთვისაა, ზოგი არსებობის თვითშენახვისათვის და ბევრსაც ბევრი ბოროტება შეუნელებია, სხვისკენ მიმავალი. აპოკალიფსური ეპოქის ნიშანია, — დიდხანს ვერ ითამაშებ. მალე იმსხვრევა ნიღაბი ანტიქრისტეს მრევლისა, როგორც ქრისტეს სახელით მოსულ თვალთმაქცებისა. ყველა ჩემი ლოცვა მონანიებისაა. ბევრი, ბევრი ცოდვა გვაქვს მოსანანიებელი, საშინელი ამბიციურობა „მე", „მე", „მე". კლასიკური ეგოიზმის გრიგალში რომ არ დავიკარგოთ, ერთადერთი გზაა— შეწყალება ვეევედროთ ღმერთს. დიდმა დოქტორმა ფაუსტმა დიდი ტანჯვა-მონანიების გზით დაიმკვიდრა სასუფეველი. პატარა დოქტორებიც ამ გზას უნდა დავადგეთ.

პარიზი, 1990 წელი.

საზოგადოება „სტალინის" წევრთა შეცილებსა და შეცილიშვილებს

„სტალინის" საზოგადოების წევრთა უმრალესობა ხანშიშესული კომუნისტებია. ამ საზოგადოების შექმნა მოულოდნელი აღმოჩნდა. ამან ძალიან მძიმე მდგომარეობა დაგვიხატა. რამდენადაც პოლიტიკური ორგანიზაციის სახით მოგვეველინა. იგი მონაწილეობს უზენაეს საბჭოს არჩევნებში.

სტალინის ფენომენის შეფასება ჯერ კიდევ ადრეა. იგი მომავლის საქმეა. ჩვენ კი ის თაობა ვართ, ვისაც არ გაგვნელებია ტკივილი ბებია-ბაბუას თუ დედ-მამის რეპრესიებისა. ამბობენ: სტალინს ერთერთი დიდი კამპანიის შემდეგ მოსახსენებელს, მსხვერპლი უკვე მილიონებს აღწევსო. სტალინმა თქვა: როდესაც კვდება ერთი კაცი ეს ტრაგედიაა, როდესაც იღუპება მილიონები ეს უკვე სტატისტიკაა.

არიან ადამიანები, რომელთაც ვერ მოუშორებიათ სტალინის სატანური ხიბლი, თუმცა პირივით სძულთ სტალინიზმი. სტალინი, ლენინისაგან განსხვავებით, მრავალ პირადულ ღირსებას ფლობდა. იგი იყო „ბოროტი გენია" და დროდადრო ისეთი ლამაზი ჟესტის გაკეთებაც იცოდა, ხალხი გონს ვერ მოეგებოდა. სხვათა შორის ასეთი ჟესტი მან ეკლესიის მიმართაც გამოიჩინა. ასე რომ, ის ჯანმრთელი ქართველი გლეხი, რომელიც ახლაც სიამოვნებით სვამს მის სადღეგრძელოს, ნუ გვაკვირვებს — მასში, ქართველი კაცის სიდიადეს ხედავს. ამიტომაც არ უნდათ დაიჯერონ, რომ სტალინმა მილიონობით ადამიანი გაჟლიტა. სტალინის პიროვნების ხიბლი გასკვირი არაა, გასაკვირია, გსურდეს სტალინიზმის პირობებში ცხოვრება. ავიწყდებათ, რომ მილიონთა შორის დაიღუპნენ სტალინზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანებიც. ДИКТАТУРА НИШნАვს ДАმხვრეტელთა Дახვრეტასაც. ეს კანონზომირება არ დარღვეულა არცერთი დიქტატურის პირობებში. ეს ჰეშმარიტება არ უნდა დაავიწყდეთ დიქტატურის მოტრფიალეებს. მე არ გამიკვირდება, რომ საზოგადოება „სტალინმა" შექმნას თუნდაც ახალი მუზეუმი, შეაგროვოს სტალინის შესახებ კინო-ფოტომასალები. ეს ბიზნესის წყაროც შეიძლება გახდეს. ამის შესახებ კარგი წინადადება ჰქონდა გაზეთ „მამულს". მაგრამ დღეს გსურდეს სტალინიზმი (ისიც უსტალინოდ) — ნიშნავს, გსურდეს სოციალური ქოლერა. მთელი კაცობრიობის თვალში სტალინიზმი არაა უფრო ნაკლები ბოროტება, ვიდრე ფაშიზმი. ზოგჯერ წინ სტალინიზმს აყენებენ. ღმერთმა დაგვიფაროს ამ უბედურებისგან!

ამ საზოგადოების მიერ არჩევნებში მონაწილეობის უფლება შემაშფოთებელია. იგი არ უნდა ელოდოს რაიმე წარმატებას. ხოლო ის ადამიანები, რომლებთაც ეს ორგანიზაცია შექმნეს, როგორც ჩანს, პოლიტიკურ მიამიტობას იჩენენ. ალბათ, არ ითვალისწინებენ, თუ რა უბედურებაში დგამენ ფეხს. მე ამ ადამიანებს მინდა სიყვარულით და არა მტრობით მივმართო. ნუ ჩამითვლით ამას ფარისევლობად. არცერთი ფენა, არცერთი სოციალური კატეგორია არ უნდა იქნას გამოყენებული მტრობისა და სიძულვილის საბაბად. ამიტომაც მოვმართავ მე მათს შვილებსა და შვილიშვილებს, სთხოვონ მამებსა და ბაბუებს — ნუ იზამენ ამ საქმეს. სტალინიზმმა რომ გაიმარჯვოს საქართველოში, საქართველოს ხელს არ ჩამოართმევს არცერთი კულტურული ქვეყანა. მე არ ვაპირებ თქვენთან სამოქალაქო ომს. მოგმართავთ თხოვნით, ხვეწნით. ოღონდ ნურაც იმას იფიქრებთ, რომ ეს საწყალი კაცის ეედრებააო. ალბათ, არ დამიჯერებთ მაგრამ გულწრფელად გირჩევთ — ამას გირჩევთ თქვენდა სასიკეთოდ. ხომ ხედავთ, ძველი ცოდვები არ ჩამოგვირეცხავს და ახალს ნუ დაიდებთ კისერზე. თქვენს პოზიციას, რა თქმა უნდა, ვერ გაიაზრებს ვერცერთი შეგნებული მუშა და შეგნებული ინტილიგენტი.

დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს იგი სტუდენტ ახალგაზრდობაში. ვიღრე გვიან არაა, გთხოვთ უარი თქვათ უზენაესი საბჭოს არჩევნებში თქვენი საზოგადოების მონაწილეობაზე.

25 სექტემბერი, 1990 წ.

ოლღა გურაბიშვილის მიმართ

მიმართვა აფხაზ და ქართველ ხალხს

ყველა ქართველისათვის ცნობილია ოლღა გურამიშვილის მიმტევებლობის უნიკალური ფაქტი. ჩვენი ხალხის მოსედ წოდებულის, ილია ჭავჭავაძის მეუღლემ ილიას მკვლელთა სიკვდილის დასჯისაგან შეწყალება მოითხოვა. ეს მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ. ეს გენეტური ფესვი არ კვდება ჩვენს ხალხში. ასეთი დიდი ადამიანობის გამოვლინებაა ეოვა ვეკუას ქერიეის ქალბატონ ეთერი კოპალიანი — ვეკუას მიმართვა აფხაზი და ქართველი ხალხისადმი, რომელიც გაზეთ „იევრიაში" (№23) გამოქვეყნდა. ეს გმირის გმირ მეუღლეს შეეძლო. ცოლი სარკეაო ქმრისა -- ასეთ შემთხვევებზე უნდა ითქვას. ეს მიმართვა მთლიანად მინდა მოვიტანო, ასეთ მცირეტირაჟიან გაზეთში კი არა, როგორიც „იევრიაა", ეს ტექსტი ხშირად უნდა იბეჭდებოდეს მასობრივი ტირაჟით.

„შოგშართავთ თხოვნით, ნუ დავივიწყებთ წარსულს, ჩვენს სიყვარულს, ისტორიას, მარვალსაუკუნოვან მეგობრობას, ჩვენ ღვიძლ ძმებად ვიწოდებოდით და ვიყავით კიდევაც. დღეს ნუ დავარღვევეთ ამ ძმობას, ნუ მივყიდით ეშმაკს სულს, ერთმანეთის გვერ-გვერდ ვიბრძოდით და ვიცავდით დედა საქართველოს, პურს ერთად ვტეხდით, ძმად ვეფიცებოდით, ძუძუმტეობდით და ერთად ვლოცულობდით. ახლა კი რა ღმერთი გაგვიწყრა, რა ბოროტმა ძალამ დაგვრთგუნა და დაგვიმონა?! ღმერთო მაღალო, შენ გაუნათე გზა ხსნისა გონებაარეულთ, გზა — მოყვასის მოყვასთან მობრუნებისა, რამეთუ ქადაგებ -- „გიყვარდეთ მტერნი თქვენი..."

მოგმართავთ ვედრებით, მე, ქერიეი, ძმების მიერ განწირული ქართველისა. ეოვა ვეკუასათვის ძვირფასი იყო ძმობისა და მეგობრობის ისტორია. მე გთხოვთ, უკუვაგდოთ და ვებრძოლოთ იმ ბოროტ ძალას, რომელიც აგრერიგად დგას ჩვენს შორის და რომელმაც ერთმანეთის მტრებად გვაქცია. ამ ბოროტმა ძალამ დაანგრია და ფეხქვეშ გათელა ჩვენი წმინდა წარსული, ჩვენი ისტორია და მისიცე სურვილია საქართველო აღიგავოს პირისაგან მიწისა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერთი მამის ღვთის შვილები. „ვისაც კეთილი სამსახური სურს, იგი სრულიად უნდა გაემიჯნოს ბოროტს", წერდა ეოვა, მოეუხმოთ გონირებას, განვაგდოთ ბოროტი

და ჩაედგეთ კეთილის სამსახურში. შეევედროთ ღმერთს, რათა შეგვინდოს ძმების მიერ დაღვრილი სისხლი.

„ყოველად წმინდაო სამებაო, შეგვიწყალე ჩვენ, უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან მეუფეო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი...

უფალო შეგვიწყალენ“.

ეკატერინე კოპალიანი-ვეკუა
18.09.89

ასეთ კეთილშობილურსა და ჰკვიანურს მე ვერას ვიტყვი და არც შეეცდები ჩემი კომენტარებით შეგაწყინოთ თავი. უბრალოდ, არ შემიძლია ჩემი მოწიწება, თავდადრეკა მუხლმოყრით არ გამოვხატო ამ დიდი სათნოებისადმი; იგი მადლსა ჰფენს აფხაზი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან გავლილსა და გასაველელ გზას.

ვახტანგ გოგუაძე, პროფესორი
12 იულისი, 1990 წ.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ — 206

ხვალ, 1989 წლის 19 მაისი, 9 აპრილს დაღუპულთა ორმოცია. ქალაქში დიდი ფუსფუსია. საპროტესტო დემონსტრაცია-მანიფესტაციისათვის ემზადება სტუდენტობა...

14 საათია. ჩემთან უნივერსიტეტში მოვიდნენ პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი და ბატონი მამია დარჩია.

— ჩვენ ბატონმა შოთა გორგოძემ (შინაგან საქმეთა მინისტრი) გვთხოვა, იქნებ თქვენ დღეს შესძლოთ იმ ლიდერების შეკრება, რომლებიც ციხეში არ არიან; ხვალისთვის რომ რაღაც ექსცესები არ მოხდეს.

არაფერი გამოვა, ამისთვის საჭიროა დღესვე ოთხივე პოლიტპატიმარი ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია და ირაკლი წერეთელი გაათავისუფლოთ. ხვალ უკვე გვიან იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს 9 აპრილზე უფრო მწარე ტრაგედიაც...

ისინი წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან შემოდიან სტუდენტები და მთხოვენ — ვიზრუნო ეროვნული მოძრაობის ლიდერების გათავისუფლებისათვის. ვურეკავ ცკ-ს პირველ მდივანს გივი გუმბარიძეს.

— ბატონო გივი, ჩემთან არიან სტუდენტები და გვთხოვენ, რამენაირად შევძლოთ, ხვალისთვის გავათავისუფლოთ დაკავებული ლიდერები.

— იცით რა, ბატონო ვახტანგ, მე მესმის თქვენი, სტუდენტებისა, მაგრამ ეს მთლად ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ხომ იცით, ზევით როგორ უყურებენ ყველაფერს, მაგრამ მე მაინც ვეცდები... ხვალისთვის აბა რა გითხრათ...

— არა, ბატონო გივი, ხვალ უკვე გვიან იქნება. თუ გინდათ თავიდან აეცილოთ ყოველგვარი უბედურება დღესვე უნდა გავათავისუფლოთ, გიმეორებთ. ხვალ უკვე აზრი აღარა აქვს...

— კარგი, კარგი, ვეცდები...

შემდეგ ტელეფონით დაგვიკავშირდა ისევ ბატონი ზურაბ ფორაქიშვილი და რამოდენიმე სტუდენტთან ერთად წავედი ბატონ შოთა გორგოძესთან. იგი შეშფოთებული იყო. ჩვენს მოთხოვნაზე, — გავათავისუფლოთ დაკავებულებიო, მან აგვიხსნა, რომ ეს მასზე არ არის დამოკიდებული, ეს პროკურატურის საქმეაო. ბატონმა შოთამ წამიყვანა რესპუბლიკის პროკურორთან, ბატონ ვახტანგ რაზმაძესთან. რაზმაძე შეწუხებული მხრებს იჩეჩდა, ჩვენ ვინ გვეკითხება, უკან მოსკოვიაო. ტელეფონით დაელაპარაკა გუმბარიძეს. შემდეგ რაზმაძე ირონიით მეუბნება:

— ესენი რომ გაეუშვათ, მერე მე რომ დამიჭირონ, შენ მე დამიცავ?

— აბა რას ვიზამ!

ეს სიტყვები გამახსენდა ვ. რაზმაძის მოადგილის კაბინეტში 1991 წლის 30 აგვისტოს, ჩემი დაკითხვისას, როცა მე მათ განვუცხადე მზადყოფნა ჩემი დაპატიმრებისათვის. მაშინ პროკურატურამ არ აიღო თავის თავზე ჩემი დაპატიმრება. ჯერჯერობით მხოლოდ დასაჰერთა სიაში ვარ, პრეზიდენტისაგან კრემლის აგენტად წოდებული.

— ბატონო ვახტანგ—ვეკითხები პროკურორს — რომელი მუხლი აქვთ წაყენებული?

— 206!

— აჰა, 206!...

როგორც ჩანს, ამ მუხლს „კაი" ბედი აქვს!

პროკურორთან თითქმის ერთ საათს ვიყავი. მოსკოვსაც დაელაპარაკა ჩემთვის არც მთლად გასაგებ ენაზე, ნახევარტონებში. შემდეგ მითხრა-სასწრაფოდ მომიტანე უნივერსიტეტის შუამდგომლობა-ცო. იმ ხანად წერილობითი შუამდგომლობები ისედაც ბევრი იყო გაგზავნილი ცკ-ში. დღე იწურებოდა, მიევარდი უნივერსიტეტში, სასწრაფოდ გავამზადეთ ეს შუამდგომლობაც და წავუღე პროკურორს. ვატყობ მონდომებას, მაგრამ ჯერჯერობით იმედს ვერ იძლევა პროკურორი. — რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავათავისუფლებინოთ — ეფიქრობდი ჩემთვის. რას არ ვპირდები პროკურორს, მომავალ, დისიდენტურ საქართველოში!

მითხრა, კოორდინატები დატოვე, შეიძლება ყოველ წუთს დაგვჭირდეთო.

საღამოს 9 საათზე ისევე რესპუბლიკის პროკურორის კაბინეტში ვარ. აქვე მობრძანდა ბატონი ჯანსულ ჩარკვიანი, რომელსაც თავისი ფრონტი უკვე გახსნილი ჰქონდა ამ საქმესთან დაკავშირებით. 10 საათზე კი ორთაჭალის ცნობილ ციხეში ვართ. ბატონმა ჯანსულმა „სინანულით" თქვა, ჩემდა სამარცხვინოდ ციხეში პირველად ვარო.

— არა უშავს რა, ბატონო ჯანსულ. იმედია მომავალში გამოვასწორებთ — დავამშვიდე მე.

მართლაც შანსები ორივეს ერთობ დიდი გაგვიჩნდა. ციხის უფროსის კაბინეტში, მცირე ინტერვალით, ცალ-ცალკე შემოიყვანეს მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და გიორგი ჭანტურია. მათ ერთმანეთის ამბავიც არ იცოდნენ. გიას ცოლის შერთვა მოულოცეს. (ციხეში მოეწერა ხელი ირინა სარიშვილთან) — სიძე, შე ძველო, — ასე გადაკოცნეს გია. აქ იყვნენ ვახტანგ რაზმაძე, შოთა გორგოძე, რომან გვენცაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მუშაკი. საუბარი პროკურორმა დაიწყო:

— ბატონი ჯანსული და ბატონი ვახტანგი მთელი დღე დარბოდნენ თქვენს საქმეზე. მათ თავიანთ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა, რომ თქვენ პირობით გაგათავისუფლოთ.

ბიჭებს გულთბილად ესაუბრა ბატონი ჯანსული.

მახსოვს ჩემი სიტყვა:

— ჩემი დამსახურება დიდი არაფერია. ამასწინათ ვიყავი აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში... თბილისის განწყობილებაც ვიცი. თქვენი გათავისუფლება უნდა ქართველ ხალხს. ასე რომ, თქვენ პირადად ჩემი დასამადლებელი არაფერი გჭირთ.

მოსკოვი რაში არ ერეოდა, რომ ამ საქმეში არ ჩარეულიყო. როგორც გავიგე, იმ „ავადსახსენებელი" კრემლის ქართველის ხელი ერია მათ გათავისუფლებაში. მოდას გადავუხვიე. აგენტმა თავისი შეფი უნდა ლანძღოს. მე „კრემლის აგენტმა", უფრო რთულ ილეთს მივმართე. ე. შევარდნაძის კისერზეა ის ცოდვა თუ ბედნიერება, საქართველოში კომპარტიამ რომ ოსტატურად შეაჩერა ხელში ძალაუფლება კომპარტიის ენერგიულ მლანძღველ ოპოზიციას.

ღამის პირველი საათი იყო, ციხის ეზოში რომ გამოვედით. აქ დაგვხდნენ ზ. გამსახურდიას მეუღლე, მისი მეგობარ-ნათესავი ქალბატონები. ადრე 206 მუხლით ნასამართლევ ლუიზა შაკიაშვილს ისე გაეხარდა „ბიჭების" გათავისუფლება, რომ შოთა გორგოძე კინაღამ ხელში აიყვანა (საკუთარი ძალ-ღონის იმედით). ლიდერები მანქანაში ჩასხდნენ. უნდა შეკრებილიყვნენ კოლხურ კოშკში. მერაბი ჩემს მანქანაში მძღოლის გვერდით დაესვი. წვერმოშვებული და ღრმად დამწუხრებული სულ ერთსა და იგივეს ბუტბუტებდა — ნეტავი მე ვიწვე იმათ მაგივრად მიწაშიო. მერაბმა, პეტრიაშვილისა და ლარსის ქუჩის გადაკვეთაზე ტელეფონ-ავტომატი დაინახა, მანქანა გავაჩერეთ. თამრიკოს (ჩხეიძეს) დავურეკავო. იყო ღამის ორის ნახევარი.

ვერ დაურეკა. მე ის კომკში დავტოვე და გამოვბრუნდი. მეორე დღეს, ორმოცის მწუხარე დღე საღრმთო სიმშვიდით და სილამაზით ჩატარდა.

206 მუხლის ქვეშ მყოფი ოთხი ლიდერი შეუდგნენ ეროვნულ მოძრაობაში თავიანთ საქმეს. „პოლიტიკა ჰუმანიანი საქმეა" — უთქვამს სტალინს შალვა ნუცუბიძისათვის. იმ 18 მაისს აქეთ, წელიწადნახევრის შემდეგ, 206 მუხლის ერთი მფლობელი რესპუბლიკის პრეზიდენტია, მეორე კი, მის მიერვე 206 მუხლით მსჯავრდებული თანამოძმე და თანამებრძოლე გია ჭანტურია. „პოლიტიკა ჰუმანიანი საქმეაო!" დღეს საქართველოს სოციალ-პოლიტიკური სინამდვილე პარადოქსების დემონსტრირებაა. სიცრუის ასეთი ტრიუმფი არც ერთ რევოლუციას არ ახსოვს. „სულელი ეშმაკი"-უწოდა შილერმა ეშმაკს... საქართველოში ბევრი მწუხარე შენობაა. მაგრამ მთავრობის სახლის წინ ნაშენი კარვები, „რა ხელმა აზიდა, რა ხელმა აშენა?" მსგავსი კომიკური დაწესებულება ჯერ არ მინახავს. ერთი სარგებლობა კი იქნება — ქართული კინო და თეატრი მდიდარ ნედლეულს მიიღებს მომავალში კარავაბადის სახით.

ისტორია არაფერს იგიწყებს, მალე დაერქმევა მოვლენებს თავისი სახელი — ვინ აგენტია, ვინ არა. ჯერ-ჯერობით არაფერი შეცვლილა, 206 მუხლი კვლავ იმპერიის სამსახურშია მუხლჩაუხრელად.

13-20 დეკემბერი, 1991 წელი.

ᲙᲐᲛᲔᲑᲝ!

ეს იყო 1978 წლის 14 მარტს ისტორიული 14 აპრილის ზუსტად ერთი თვით ადრე. ზუგდიდში, რუხის, ათასკაციან კლუბში ტევა არ იყო, ხალხი გარეთ რადიოთიც უსმენდა, რაც შიგნით ხდებოდა. აქ მიმდინარეობდა ჩემი წიგნის „ერი გულადი, პურადი"-ის განხილვა. ოთხ საათს გაგრძელდა იგი თავისი კონცერტით და დასრულდა რესტორანში 200-კაციანი ბანკეტით. საბოლოო სიტყვა ასე დავიწყე:

„ბატონებო და ქალბატონებო,

მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომელნიც საქართველოს რომელ კუთხეშიაც აღმოჩნდებიან, მას აღიარებენ ყველაზე კარგ კუთხედ. საქართველოს ყველა კუთხე ერთი მეორის უკეთესია. მაგრამ ერთი რამ კი მინდა გითხრათ: შემხვდა მეგობარი, რომელსაც უკვე წაუკითხავს ეს წიგნი და ნახევარ-ხუმრობით მკითხა: შენი წიგნიდან რა გამოდის, დუნიაზე ქართველების ბადალი ხალხი არ დადის, და ქართველებში კი რჩეული მეგრელები არიანო? რა დამავიწყებს იმ გულიან ტაშს. ეს სიტყვა ასე დავამთავრე: „ყველა ადამიანს აქვს თავისი ცხოვრების გამორჩეული თარიღი. ამიერიდან სიკვდილამდე

მემახსოვრება ეს ღირსახსოვარი დღე, 1978 წლის 14 მარტის ზუგდიდი. დიდება და სიხარული თქვენ!"

დასახელებული წიგნი დიდი ვერაფერია, მაგრამ ნებსით თუ უნებლიეთ მასში სამეგრელოს ეთნოფსიქოლოგიურმა ისეთმა მასალამ მოიყარა თავი, მეგრელთა გონიერების სიმკვირცხლეს და სილამაზეს რომ წარმოგვიდგენს. ნუ მიწყენთ და, სხვათა შორის, პროფესორ ჯაბა იოსელიანს ეკუთვნის ნათქვამი: ყველა ქართველი ცოტა-ცოტა მეგრელი ვართო. ზოგს დედა ჰყავს მეგრელი, ზოგს ბაბუა თუ რძალი... არა იმიტომ, რომ მეც მაკავშირებს სამეგრელოსთან ასეთი სუბიექტური ჯაჭვი... მე იმ წიგნში ჩავაქსოვე ამ კუთხისადმი სიყვარული. ცოტნე დადიანის კუთხის ხალხს რაინდობა სისხლში აქვს.

მეგობრებო,

დღეს ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს. ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია. თავზე გვექცევა საქართველოს ზეცა, ფეხქვეშ გვეცლება საქართველოს მიწა-წყალი. თქვენ ყველამ კარგად იცით თქვენი ისტორია, კარგად იცით რა ჰქვია იმ ბაცილას, საქართველოს რომ დროდადრო საშინლად აუძლურებდა, -- კუთხური დაპირისპირების ჩამოგდება. მახსოვს ერთხელ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ფოლკლორისტებმა მეგრული სიმღერების ფესტივალისათვის მოსაწვევი მიუტანეს. ბატონმა არნოლდმა განაწყენებით ჰკითხა მათ:

– კი, მაგრამ, ამას წინათ კახური სიმღერების ფესტივალი რომ გაიმართა, მაშინ რატომ დაგავიწყდით?

იმხანად საქართველოს ცოცხალი მეტყველების ლექსიკონში არ ტრიალებდა სიტყვა „პრეზიდენტი", მაგრამ დამემოწმებიან სტუდენტობის მეგობრები, ხშირად მითქვამს ბატონი არნოლდის შესახებ, აი, ვინ უნდა იყოს, აი როგორი წამომიდგენია-მეთქი საქართველოს პრეზიდენტი.

დიდად სამწუხაროა, რაც ამ ერთმა წელმა გვიჩვენა, რა უნდა ქნა იმაზე უარესი, ძმა ძმას წაჰკიდო, მეგრელი — მეგრელს, კახელი — კახელს, ქალაქი სოფელს...

კუთხურობა ცუდი კი არაა, კარგი გრძნობაა, ოღონდ დასაპირისპირებელ მოვლენად არ უნდა ვაქციოთ. გულზე ხელი დავიდოთ, რომელი კუთხე დაზარალდა ამჟამად ყველაზე მეტად, რომელმა კუთხემ მიიღო ყველაზე მეტი მსხვერპლი, ჭრილობა, რატომ, რისთვის?

თუ ღმერთს ჩვენთვის ჯოჯოხეთი არ განუმზადებია, მწამს რომ ყველა ჩვენგანმა უნდა გავიაზროთ, რა მოხდა, რა მოხდება, თუ წინ დინჯი გონება არ წავიმძღვარეთ. 1989 წლის სექტემბერში რექტორთა თათბირზე პირველმა მე გამოვიდე თავი (დროებით რექტორის მოვალეობას ვასრულებდი), რომ ზუგდიდი რახან ითხოვს, იქ შეიძლება უნივერსიტეტის გახსნა მეთქი. ვასაბუთებდი და ყოველთვის

დავასაბუთებ, ამ კუთხის ახალგაზრდების მაღალ დონეს. აქ მაღალი განათლების ინტელიგენციაა, დიდი ტრადიციებია.

ძმებო, ზუგდიდელებო,

არანაირი კერძო ინტერესები არ მალაპარაკებს. არც რაიკომის მდივნობას ვაპირებ და არც გუბერნატორობას. მაწუხებს მხოლოდ თქვენდამი ჩემი მოქალაქეობრივი ვალი და სიყვარული. მწამს ეს ღრუბელი გადაიელის მალე. ჩვენ ყველანი ერთმანეთს ძმურად მოვეხვევით.

10 იანვარი, 1992 წელი.

„ჩვენ თუ ამ პროცესებს მხოლოდ ემოციურად შევაფასებთ, დიდხანს ვიქნებით ბნელში..."

რუსთაველის პროსპექტს ზღვა ხალხი შესდგომოდა. აგოდებული, მოზარე ერი არა ასფალტზე, არამედ დაცლილ ჭილზებზე დადიოდა. შობის წინარე, გამთენიისას საქართველომ ჩონჩხადქცეული რუსთაველის გაიზირი იხილა. ცოდვამ დედაქალაქის გულში, სათაყვანებელ პროსპექტზე დაიდო ბუდე.

...ღმერთი მაღალია. ჭეშმარიტების ზეძალამ იზეიმა საქართველოშიც. ჯოჯოხეთიდან ამოხეთქილ ტიტანურ ობობას ლახვარით დააჭრეს საცეცები, იმედია — ახლა მაინც საბოლოოდ ჩაქრა და ჩაისუმქრა გეენი.

ჩონჩხადქცეულ რუსთაველის პროსპექტზე ჯერ კიდევ დიდხანს იბობღებს გაქუსლული პრეზიდენტის შაეი ახრდილი.

საოცარი ალეგორიაა თითქოს: მხოლოდ ბრძენი ილიას და აკაკის ძეგლი დგას მყდგრად და შეუვალად, ნიშნად მომავლის იმედისა. ეს ინტერვიუ რომელიც უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ გოგუაძეს ჩაეოვართვით იმ დილითვე 6 იანვარს, იმის ნათელი დასტურია, რომ ჩვენი სამშობლოს ცის კაბადონზე სალი აზრის გამარჯვებისა და სიკეთის ვარსკვლავი უნდა აკიაფდეს — ახლა მაინც, აწ და მარადის.

— დღეს 6 იანვარია, — საქართველოს ბედკრული ისტორიის კიდევ ერთი ძირწარე ფურცელი, ძმათა სისხლით შეღებილი. თქვენი პირველი შთაბეჭდილება მომხდარი ფაქტის ჟამს?

— ვფიქრობ, პირსისხლიანი დიქტატურა უკვე დასრულდა. მთავარია, გამსახურდიამ ბუნკერი დასტოვა და სამარცხვინოდ გაიქცა. ე.ი. შეწყდება სისხლისღერის ის მასშტაბები, რასაც დედაქალაქში ჰქონდა ადგილი. ამავე დროს კიდევ ერთი ენერგიული და დამაჯერებელი სახე მიეცემა იმ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომლებიც საბოლოო ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს თავისუფალ საქართველოში. უკვე შეგეძლია ეთქვათ, რომ გამარჯვების გზაზე დიდი ნაბიჯი გა-

დაიდგა და ქართველებმა ეს სასიხარულო ფაქტი ერთმანეთს უნდა მივულოცოთ.

ბატონო ვახტანგ, გვაინტერესებს თქვენეული შეფასება უნივერსიტეტის და საერთოდ, სტუდენტობის როლისა დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებში.

ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა, მისი თარიღი, ჩემის აზრით, 1988 წლის 24 თებერვლით იწყება: უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტებმა სწორედ იმ დღეს მოაწყეს მიტინგი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად. იმ პერიოდისათვის ეს მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა „მოწმენდილ“ ცაზე. იქვე, გვერდით, ამ მიტინგს გაუბედავად უახლოვდებოდა გამსახურდია. იგი ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, მიიღებდნენ თუ არა მას ეს მომიტინგეები. ხუთი წლის წინათ ხომ მისი რეიტინგი ნულის ტოლი იყო, სუკმა ბრწყინვალე სცენარი-რეჟისურა შექმნა. ლანძღვის გზით, კომუნისტურ იდეოლოგიასთან შეჯახებული კაცის სახით შექმნა ტანჯვის იმიჯი. მართალი გითხრათ, არ შევმცდარვარ მეთქი, ვერ გეტყვით. ვერ წარმოვიდგენდი, თუ კომუნისტები მასზე გააკეთებდნენ არჩევანს და შეაჩეჩებდნენ ხელისუფლებას.

თქვენ კი არა, ბატონო ვახტანგ, ეს მგონი ვერავის ვერ წარმოედგინა...

— დიახ, ეს ვრცელი ისტორიაა და ამ ინტერვიუში ყველაფერს ვერ გიამბობთ. გორბაჩოვის დამსახურებას დემოკრატიისათვის ჩრდილს არ ვაყენებ, მაგრამ მან პარტოკრატია კაგებეოკრატიით შეცვალა.

— რას ნიშნავს ეს?

— აგიხსნით, პარტოკრატიის ენა იყო უფროს-უმცროსობითი. შორიდან რომ დაგენახათ თქვენთვის უცნობი ორი მოსაუბრე და ეთქვათ, ერთი მათგანი ცეკას მდივანია, მეორე კი რაიკომისაო, თქვენ მათი სახის გამომეტყველებით და საუბრის მანერით შეუცდომლად მიხვდებოდით, რომელი იყო თანამდებობით მეტი და ნაკლები. კაკებეოკრატიაში ფორმა და შინაარსი არ ემთხვევა ერთმანეთს: უმცროსი აგენტი (გამსახურდიას საყვარელი სიტყვა რომ გამოვიყენოთ) შეიძლება ლანძღავდეს უფროსს, მაგრამ ორივენი თამაშობენ ერთ თამაშს. მართალია, გორბაჩოვის პოლიტიკური იმიჯი საბოლოოდ შეეწირა ამ თამაშს, მაგრამ მან განახორციელა სწორი სვლა, საქართველოში საჭიროდ ჩათვალეს ხელისუფლება გადაეცათ კომუნისტების კრიტიკოსისათვის. თანაც ზუსტად იცოდნენ, რომ იგი, — ზ. გამსახურდია, — საბჭოთა ჯარის გაყვანას არ მოითხოვდა და საჭიროების შემთხვევაში იქნებოდა ისეთი მორჩილი, როგორიც ღია ფორმით ვიხილეთ გკჩპ-ს დღეებში. გამსახურდიას ბოლო ჟამს მფარველები შემოეცალნენ. იგი უკვე აღარავის სჭირდებოდა. ჩვენი ხალხი მოატყუა კიდევ ერთმა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა:

გენერალი გუმბარიძე გამოიყურებოდა ვითარცა საწყალი, გამსახურდია კი მისი მთელი პარტიის დამმარცხებელი. გუმბარიძე არც ისე სუსტი და საწყალი გახლავთ, იგი წიგნიერი კაციც იყო და ხელთ ეპყრა უმძლავრესი საბჭოთა სტრუქტურები. ამ სტრუქტურებით მას რომ გამსახურდიას სასარგებლოდ არ ემუშავა, არჩევნების შედეგები იქნებოდა ისეთი, როგორიც მოესურვებოდა მის ორგანიზატორებს. დეტალებისა და ეპიზოდების დრო დადგება. მისი შესწავლა იმიტომაა აუცილებელი, რომ ერმა სხვა დროს არ ჩაიდინოს ასეთი საბედისწერო შეცდომა.

— გამსახურდიას საქმიანი კონტაქტები სტუდენტობასთან ეროვნული მოძრაობის ჟამს. რას იტყვით ამის თაობაზე?

— როცა გამსახურდია უნივერსიტეტის სტუდენტების მოძრაობას შემოუერთდა, არ დაგვაეიწყდეს რომ მისი სახით ჩვენ კარები გავუღეთ მთელს ეროვნულ მოძრაობას, მის ყველა დიახ, ყველა ლიდერს. უნივერსიტეტში გამსახურდია სწორედ ამ ტალღას შემოჰყვა იმ პერიოდში და იმგვარად, რომ იქ დიფერენცირების დრო და ვითარება არ იყო.

სინამდვილე გაიყო ორ ბანაკად — კომუნისტურად და ანტიკომუნისტურად. იქ უკვე შიდააშლილობა აღარ შეიძლებოდა. მე მას ადრეც ვიცნობდი და მისი ბუნების შესახებ არ მჭონდა დადებითი აზრი. მაგრამ მე მას ხელი შევუწყე, როგორც ოპოზიციონერს, როგორც დევნილს... მაგრამ, ვიმეორებ, მას თუ კრემლის ძალები მართლა მიაჩეჩებდნენ რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღვანელის როლს, ამას კი ვერ წარმოვიდგენდი. მე ხელს ვუწყობდი იმიტომაც, რომ იგი საკმაოდ ბევრს მითმობდა. მან იმთავითვე ბევრგზის სცადა ეროვნებათაშორისი კონფლიქტების კერად გაეხადა უნივერსიტეტი. მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით უნდა გითხრათ, რომ მან ეს ვერ შეძლო. იმდენი სიკეთე თქვენ და მე, რამდენი არშემდგარი მიტინგიც ვიცით — ანტიაფხაზური, ანტიოსური, ქვემო ქართლისა თუ სხვებისა...

— მაშინ, ბატონო ვახტანგ, როგორ მივუშვით ერმა აღვირახსნილობის სადავეები, რით ავხსნათ ეს ერთწლიანი კოშმარი?

— იმას, რაც აქ ამ ერთ წელიწადში მოხდა, ზოგიერთ ქვეყანაში ათწლეულები დასჭირდება. ეს იყო ჩვენი სახადი. თუ ჩვენ ამ პროცესებს მხოლოდ ემოციებით შევაფასებთ, დიდხანს დავრჩებით ბნელში. ჩვენ ეს უდღეური ფაშიზმი სერიოზულად, გონიერად უნდა შევაფასოთ. „უნდა მოვსპოთ ესენი“... გაუშვი, კაცო, ქრისტიანი არა ხარ... — არც ერთი ეს ემოციური პოზიცია არ ვარგა. ყველაფერი უნდა შეფასდეს თანამედროვე ცივილიზებული ფორმით. ამ პროცესს უნდა მიეცეს ობიექტური გონებისმიერი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში გავრცელებულია არასწორი აზრი ქრისტიანული შემწყნარებლობის შე-

სახებ. ქრისტე მკაცრად გმობს ბოროტებასთან შერიგებას. შემწყნარებლობაზე მაშინ უნდა ვილაპარაკოთ, როცა ყოველივეს მოეფინება ნათელი. ვიმეორებ. ყველაფერი უნდა შეფასდეს ისე, როგორც ეს დემოკრატიულ, პროგრესულ სამყაროშია მიღებული.

9 იანვარი, 1992 წ.

დედაშიშა და დედაშიშა"

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა პროფესორი ვახტანგ გოგუაძე.

როგორ გესახებათ საქართველოში შექმნილი ახლანდელი ვითარება მისი ბნელით და ნათელით?

— საქართველო ყოფნა-არყოფნის სასწორზე ძევს. მიზეზებს ყველას ვერ მივწვდები, მაგრამ საზოგადოდ, კატასტროფამდე მიგვიყვანა სიცრუემ, სიცრუით ვფიქრობთ და ვმსჯელობთ, არ გვიყვარს ჭეშმარიტება. სიმართლე არის ის, რაც მე მსურს. ღმერთი რომ კაცს მოიძულებს, მტერს მოყვარედ მოაჩვენებს და მოყვარეს მტრად. კაცი რომ თავის ქვეყანას გაძარცვავს, ძმას ძმას რომ დაამტერებს, ქალაქს და სოფელს წაკიდებს, კუთხეს კუთხის დასალაშქრად მოუწოდებს, გადასწვავს თბილისის ყველაზე ლამაზ პროსპექტს, გეკითხებით, რა ჰქვია ამას? ეს რომ საკამათო იქნება ვინმესთვის, იმ ხალხის საქმე ვერაა კარგად. რუსთველოლოგმა გადასწვა რუსთაველის გამზირი. ბიბლია ასე გვასწავლის: ღმერთი მანამ არ გამოგველევს განსაცდელს, ვიდრე ჰკუაზე არ მოვალთ. სიმართლეს არ ვიტყვით. მკრეხელობამ ზენიტს უწია.

— დღეს ხშირად გვესმის აპოკალიფსის შესახებ. რას გვეტყოდით?

— აპოკალიფსი, ანუ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება არის სურათი მაცხოვრის მეორედ მოსვლისა. ეს არის მკაცრი სამსჯავრო საშინელი რისხვით, ცეცხლითა და მახვილით, ამიტომ არაა სწორი ჩვენში გავრცელებული აზრი ქრისტიანულ გულმოწყალებაზე. თითქოს ქრისტე ბოროტებას გაპატიებდეს. — არა, ბოროტებასთან შერიგება ბოროტებაა. ქრისტე არის მკაცრი ღმერთი, რომელიც ჩვენგან გულმართლობას მოითხოვს. მე უნდა შევუნდო ჩემს პირად მტერს, მაგრამ სულიწმიდის მტერს — ნურას უკაცრავად. ქვეყნის მტერი ქვეყანამ უნდა განსაჯოს წესით და რჯულით. ანტიქრისტეს მძვინვარებას ორი ეტაპი აქვს. — ანტიქრისტე-ათეისტი და ცრუქრისტენი, ცრუწინასწარმეტყველნი. ანტიქრისტე-ათეისტი ამბობს: ღმერთი არ არსებობსო, ცრუწინასწარმეტყველნი კი მოდიან ქრისტეს სახელით, აი, მათ მიმართ განსაკუთრებით მრისხანებს ქრისტე. სჯობს ღმერთის სახელი არ შევაწუხოთ, ვიდრე მალი-მალ ვთვალთმაქცობდეთ, სხვის დასანახად ვანთოთ სანთელი. ღვთის რისხვის

ნიშანი ჩნდება, როცა ხალხი ღმერთს ღალატობს. კერპთაყვანისმცემლობა არის საზარელი გამოთაყვანებულობა.

რახან სიტყვა რელიგიურ გრძნობა-ცნობაზე ჩამოვარდა, რას იტყოდით ქართულ რჯულზე. ქართველები ხომ მაჰმადიანებიც არიან?

იორდანელმა მაჰმადიანებმა ერთხელ ასეთი რამ მიამბეს მოსკოვში: ბაზარში ვიყავით ხორცის საყიდლად. ვეკითხები გამყიდველს:

— რომელი სარწმუნოებისა ხართ?

— მე არა ვარ მორწმუნე, გეითხრა ორმა თუ სამმა. ბოლოს ერთმა თქვა — ქრისტიანი ვარო. მისგან ვიყიდეთ. ურწმუნო კაცისაგან საშველს როგორ ვიყიდითო... პირადად მე დეიდაშვილები მყვანან აჭარლები. გულახდილად გეტყვით: ჩემს მრავალ დეიდაშვილებში არათუ გამომირჩევია, მგონი უფრო მეტადაც მიყვარან ისინი. მორწმუნეთა შორის ენის გამონახვა ძნელი არ არის. უბედურებაა ურწმუნოება, ან ცრუმორწმუნეობა, კერპთაყვანისმცემლობა. ქართული რჯული არ დაირღვევა. ეს შავი, მღვრიე სახადი გაივლის და ყოველივე დაიწმინდება.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ ჯერჯერობით ცის საკითხებს ეხებით, ვიდრე დედამიწისას.

— ღმერთი არს „ცათა შინა". დღეს ისე, როგორც უველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, საქართველოს დედაქალაქშიც არის ვაშინგტონი. ჩვენი საშინაო მდგომარეობა პირისპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორ წარიმართება ვითარება მეზობელ ქვეყნებში, რუსეთში, ევროპაში, მთელს პლანეტაზე. ჩვენი ბედოვლათი ყოფილი ხელისუფლების წყალობით, ჩვენ, მსოფლიოსათვის ხუმრობა-გართობის საგნად გამოვიყურებით. დიდი ნიჭი და გარჯა დაგვჭირდება გატეხილი სახელის აღსადგენად.

— მაინც, როგორ კვალიფიკაციას აძლევთ ამ ერთი წლის ხელისუფალთა მოღვაწეობას, რა ჰქვია მას, ნაციონალიზმი თუ სხვა რამ?

— ეს ხელისუფლება გახლდათ მკვეთრად გამოხატული ანტინაციონალისტური, რომლის მსგავსი რამ არ გამიგია, ასე სძულდეს თავისი ხალხი ხელისუფლებას — იშვიათად მსმენია. მძარცველთა ეს სოციალური კასტა, რომლის მეტასტაზები შორსაა გართხმული, წინ კიდევ ბევრ უბედურებას უმზადებენ ჩვენს ქვეყანას და მაინც, უველაზე დიდი საშინელება ყოფილი პრეზიდენტისაგან — ეს არის კაენიზმის, ღვარძლის თესვა, კუთხურობის ფსიქოლოგიის გამოღვიძება.

„ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად;
ვისაც ჩვენი გაეოცა... და გაიშვა სწკურია,

ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც, სადაც წავწყდი ერთიანად მოვიხარე".
(შურმან ლებანიძე).

— როგორ ფიქრობთ, ეს სახადი უკვე მოვიხადეთ თუ კიდევ გაგრძელდება?

სამწუხაროდ, ვერ მოვიხადეთ. ჩვენ როგორც 9 აპრილი ვერ გავიაზრეთ ჯანსაღად, რეალისტურად, ჯერჯერობით ვერ ვხვდებით როგორ უნდა გავიაზროთ აჭამინდელი უბედურება. ვერ არის მაღალი ჩვენი ზნეობრივი დონე. ყველას გვინდა მეტი ვჩანდეთ, მეტი მივიღოთ, ვიდრე გვერგება. მძვინვარებს კარიერიზმი, პატივმოყვარეობა, ცრუ მიმტევებლობა, შურიანობა. თანამდებობისაკენ ლტოლვის მექანიზმი უნდა მოიშალოს. დროზე უნდა შეეძლოთ კერძო საკუთრებაზე გადასვლა. ჩვენ თითქმის შრომისუნარდაკარგული ხალხი ვართ, დაავადებულნი სოციალისტური პარაზიტიზმით. აი, როცა თანამდებობა სარფიანი აღარ იქნება, პროდუქციის შემქმნელი საქმე დაიკავებს კუთვნილ ადგილს, მერე შეიძლება რაიმეზე ვილაპარაკოთ. კერძო საკუთრების განხორციელება შექმნის პირობას ყველა შუკა-მოხვეულში სოკოებივით მომრავლებული უმაღლესი სკოლებისაკენ ლტოლვის შეჩერებას. არა დიპლომისათვის, არამედ ცოდნისათვის უნდა ილტვოდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები.

— როგორ გესახებათ საქართველოს უახლესი მომავალი?

— უძნელესია ვიდრე ოდესმე, გულგატეხილი არა ვარ, მაგრამ გაგვიჭირდება, უსწრაფესად უნდა მოაგვაროს დროებითმა მთავრობამ რუსეთის და კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობის პროგრამა კონცეფცია. ღამეები უნდა გატეხონ ეკონომისტებმა და მაიწც — საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა არის უპირველესი საზრუნავი. ჩვენ გვაყვს უნიჭიერესი შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელთა ქმნილებებს მსოფლიო იცნობს. აი, ეს სახელოვანი ადამიანები, ყოფილი პრეზიდენტისაგან კრიმინალებად წოდებულნი, უნდა ავიფაროთ წინ. სტრატეგიულად ერთიანი ქვეყნის ხსნისათვის საჭირო სამეცნიერო პროგრამა უნდა შექმნან ჩვენმა მეცნიერებმა.

— ურთიერთშერიგების შესახებ თქვენს ნათქვამთან დაკავშირებით გარკვეული უკმარობის გრძნობა ჩნდება, ხომ არ დააკონკრეტებდით?

— 1990 წლის 19 მარტს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა შესანიშნავი შეხვედრა. ურთიერთმიტევების დღეს მრავალათასიანი მიტინგი-დემონსტრაცია დასრულდა სიონის ტაძარში, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით. ამ ღონისძიების იდეა ავტორობა პროფესორ ჯაბა იოსელიანს ეკუთვნოდა. მშვენიერი დღე იყო. როდესაც მიტევება-შეწყნარებაზე ვლაპარაკობთ, უნდა დავიწყოთ ჩვენივე მე-თი. სხვის მიმართ ჩადენილი ბოროტება-დანაშაულის მიტევებას რომ გიქადაგებთ, ეს არ არის

ქრისტიანული. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ უხეირო პროპაგანდით ვათაეხედებთ თაეხედებს, რაც ძალზე საშიში შედეგების მომტანია, უპრინციპობით დავაქცევთ ქვეყანას. არა უძარღვო დემოკრატია, არა საწყალი სიკეთე, არამედ ძლევამოსილება სამართლიანობისა — აი საზოგადოებად, სახელმწიფოდ ქცევის აუცილობელი საფუძველი. ყველაფერი ეს მიიღწევა ჯანსაღი ურთიერთმიტეევების გზით, ერთიერთგაგების გზით.

ვისარგებლებ სასიამოვნო შესაძლებლობით და გაზეთ „დედამიწას" ვუსურვებ მშვიდობას მთელ დედამიწაზე და მისი ერთი გაწამებული კუთხის — საქართველოს ფენიქსებრ აღორძინებას, მოშენებას. გაზეთის ავტორებსა და მკითხველებს ახალ წელს ვულოცავთ. დაღვრილი სისხლი ჩვენი ხალხისა ყოფილიყოს განმწმენდელი ჩვენი ცოდვებისა. გაზეთი სიმართლეს თუ წერს — ისაა გაზეთი. ასეთები ძალიან ცოტა გახლდათ საქართველოში ამ ერთი წლის მანძილზე. მე გამიკვირდა „დედამიწას" რისკიანობა, როცა მან გასულ წელს გამოაქვეყნა ქეთევან მელიქიძის ლამაზი ინტერვიუ პროფესორ ჯაბა იოსელიანთან. ეს რას ნიშნავდა მაშინ — ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. სიმართლის სამსახურს დღეს ვერ დაგიფასებენ, მაგრამ ნუ გეწყინებათ, ღმერთი ხომ ხედავს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

14 იანვარი 1992წ.

თქვენ სად იყავით მაშინ?

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა პროფესორ ვახტანგ გოგუაძეს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის მეტად აქტუალურ და მტკივნეულ საკითხებზე.

— ბატონო ვახტანგ! რა დამოკიდებულება გამოხატეთ 1982 წელს თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდები რომ არ დაეხერიტათ. მოაწერეთ თუ არა ხელი შეწყალების ქაღალდს?

— არა, მე არც ვიცოდი ამგვარი ქაღალდის არსებობა. მას უფრო ტიტულოვანი პირები აწერდნენ ხელს. ჩემთვის იგი არავის შემოუთავაზებია.

— თუ მოაწერდით ხელს?

— პირდაპირი პასუხის ნაცვლად ამ ისტორიასთან დაკავშირებულ ერთ დეტალს გიამბობთ. შემდეგ თვით განსჯით, რასაც ვიქმოდი...

ტრაგედიის მეორე თუ მესამე დღეს იმ ახალგაზრდების მშობლები ერთთავად გარიცხეს სკკპ რიგებიდან. დარჩენილი იყო სოსო წერეთლის მამა, უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, ბატონი კოტე წერეთელი. ნაშუადღევს პარტკომის მდივანი (პროფესორი

გურამ ლორთქიფანიძე) მიხმობს და მთხოვს, რომ მე, როგორც იდეოლოგიის დარგში მისი მოადგილე, წავიდე ბატონ კოტე წერეთელთან და გამოვართვა ერთსტრიქონიანი ტრაფარეტი-განცხადება: „გთხოვთ ამომრიცხოთ სკკპ წევრთა რიგებიდან". ელდანაკრავმა ვიუარე. მცირე პაუზა ისევ მე დავარღვიე და სრულიად მოულოდნელად დავთანხმდი.

— კარგი, წავალ. თან წამყვა პარტკომის თავმჯდომარე ბატონი ილია ბაქრაძე. მიველით პანაშვიდზე, მიეუსამძიმრეთ (სოსო წერეთელი თვითმფრინავში დაიღუპა).

ბატონმა კოტემ ცალკე ოთახში გაგვიყვანა, სადაც განსვენებული სოსო წერეთლის საინტერესო ნამუშევრებით იყო კედლები სავსე.

ბატონო კოტე, მოვედით თქვენთან თქვენი მწუხარების გასაზიარებლად. თუ ჩვენ დავთანხმდით პარტიის დაეალებას პარტიასთან თქვენი დამოკიდებულების გარკვევის შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი მხარე დავიჭიროთ. როგორც საჭიროდ ჩათვლით, ისე გააკეთეთ. ჩვენი ნუ მოგერიდებათ.

— არა, კაცო, მე თქვენი მესმის, თქვენ რა შეგიძლიათ, რაც დაგავალეს ის უნდა გააკეთოთ. უხერხულობაში რატომ უნდა ჩაგაყენოთ, მაგრამ საოცარი კი არის, რომ პარტიისათვის, ჩემი ხალხისათვის კარგის მეტი არა გამიკეთებია რა. ახლახან დავბრუნდი მაროკოდან, ელჩმა მადლობაც გამომიცხადა, იქ სამეცნიერო მიელინება მჭონდა. თვითონ შევარდნაძის დაეალებით რამდენი საქმე გამიკეთებია საქართველოსა და უცხოეთის კულტურულ ურთიერთობაში. ახლა რა მეპარტიება, ერთადერთი შვილი დავკარგე. პარტიას რომ სინდისი ჰქონდეს, ახლა უნდა ამომიდგეს მხარში და იგი ახლა მკრავს ხელს?!

— ბატონო კოტე, როგორც ახლა ბრძანეთ, ასე დაწერეთ.

— კი მაგრამ ამას ხომ თავისი სტანდარტი აქვს, ეს ხომ არ შეიძლება? მერე თქვენ რას გეტყვიან?

— ამას თქვენ ნუ წუხართ, ჩვენ უნივერსიტეტიდან ამ გაპირვების ეამს თქვენთან სხვაგვარად არ მოვიდოდით.

ბატონ კოტეს ხელები უკანკალებდა, წერა არ შეეძლო და პირდაპირ მანქანაზე დაიწყო ბეჭდვა. საღამოს ათ საათზე პარტკომის მდივანს მიეუტანე ეს ორიგინალური განცხადება. მან იგი რაიკომის მდივანს წაუღო. ეს განცხადება იმ ღამესვე ავიდა „ზემოთ", შევარდნაძესთან. ერთადერთი მშობელი, ვინც არ გაირიცხა პარტიიდან ეს გახლდათ ბატონი კოტე წერეთელი. თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს მაშინ, იმ დროის კარგად გამხსენებელმა გაიხსენოს!

— მაშ რატომღა დაგაბრალეს ტელევიზიით, ვითომ თქვენ, სოსო წერეთლის მამა უნივერსიტეტიდან გაგეგდოთ.

— ელემენტარულად ეს ასე აიხსნება. ოფიციალური ხელისუფ-

ლების იდეოლოგია ეფუძნებოდა ამგვარ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კრედოს: თუ გინდა ადამიანი გააგიჟო, მას უნდა დააბრალო ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა მთელი ცხოვრება.

— თვითონ ბატონი ედუარდის როლზე რას იტყვით. ლამის მთელმა საქართველომ მას დააბრალოს თვითმფრინავის გამტაცებელთა დახვრეტა.

— თქვენთან რომელი საათია?

— პირველი.

— თბილისის აეროპორტში რომელი იქნება?

— იქ თორმეტი, მოსკოვის დროით.

— დიახ, მოსკოვის დროით... ბატონ ედუარდს მაშინ, ჩემი აზრით, მოუვიდა ერთი შეცდომა. საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას იგი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ იმ ახალგაზრდების სიკვდილით დასჯა-დაუსჯელობა თითქოს მის ხელთ იყო. ამ ფაქტს, „მოსკოვის დროით“, აკონტროლებდა კრემლი, საკავშირო უშიშროების კომიტეტი. ჩემი აზრით, იმ ინფორმაციით, რაც მე გამაჩნია, მას ალბათ, არაფერი შეეძლო. ნუ დაგვავიწყდება — იყო მსხვერპლი, ადამიანები დაიხოცნენ. ზოგიერთი თვითმხილველის მონათხრობს რომ დაეუჯეროთ, ბატონი ედუარდი ისეთივე ზუსტი და უშეცდომო იყო აეროპორტში იმ ღამეს, როგორც თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ კინაღამ საბედისწერო მატჩის დროს.

ახლა მე დაგისვამთ თქვენ ერთ კონტრშეკითხვას: მთელი წელიწადი, შეუზღუდავი უფლებებითა და თვითნებობით ამ საკითხზე ნადირობდა ყოფილი პრეზიდენტის კომისია. მის ხელთ იყო რესპუბლიკის პროკურატურა, უზენაესი სასამართლო. გეკითხებით, რატომ ვერ გააუქმეს იმ ახალგაზრდების სიკვდილით დასჯის განაჩენი? რახან თქვენ არ იცით, გეტყვით. ეს, უბრალოდ, პროფესიონალურად გახდა შეუძლებელი. იქ კანონი არ იყო დარღვეული. ასეთ შემთხვევაში საყვედური თუ ბრალდება შევარდნაძის მიმართ ამგვარად იცვლება ხოლმე: კი მაგრამ, რატომ ვერ შეძლო მათი შეწყალება, რატომ პროტესტის ნიშნად თავი არ დადო? ამ კითხვებს აქვს პასუხები და, ალბათ, გაცილებით ღრმად თუ ბატონი ედუარდი არა, სხვები უპასუხებენ... მთელი წლის მანძილზე პრეზიდენტის გუნდი, თვითმფრინავის გატაცების ისტორიის პროპაგანდისტები დაუცხრომლად მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს შემოქმედებითი ინტელიგენციის განადგურებისაკენ. ხმის ჩაწყვეტამდე მოუწოდებდნენ ფიზიკურად გაენადგურებინათ ისინი, ვისი სახელებიც წინ უნდა წარეიმძღვაროთ საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. ყოველივე ამას დაკვირვება და გააზრება სჭირდება. როგორ ფიქრობთ, ამისთანა ადამიანებს მართლა იმ დახვრეტილი ბიჭების ბედი ანაღვლებთ? რა თქმა უნდა, არიან წესიერი ადამიანებიც, ფეხის ხმას აყოლილნი.

არა აქვთ ინფორმაცია და ისე ლაპარაკობენ.

მაშინ რატომ არის ბატონი ე. შევარდნაძის მიმართ საზოგადოების გარკვეულ ფენებში უარყოფითი შეხედულება?

— მთავარია სიმართლე, ვინ არის მართალი. როცა ბატონი ედუარდი საქართველოს რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა, თვითონვე იძლეოდა ფორმალურ საბაბს არანაციონალური, ინტერნაციონალისტური აფიშებით. სინამდვილეში ეს იყო საქართველოს მიწა-წყლისათვის, მისი კულტურის შენებისათვის დაუმცხრალი კაცი. ეროვნული ინტერესები მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო და ამიტომ არ შეეშინდა, რომ ინტერნაციონალისტის ჩოხა ჩაეცვა და ისე ეკეთებინა ერის საქმე. თუ გინდა პატარა ერი დაღუპო, მას უნდა შეაპარონ ნაციონალისტური ლოზუნგები. გერმანელს როგორც კი გერმანიის, გერმანელობის ქებას დაუწყებთ, მაშინვე შეგაჩერებთ: ან არ გენდობა ან კი ზრდილობიანად სხვა თემაზე გადაგიტანს ლაპარაკს. ხომ ნახეთ, „ეროვნული" დროშით საქართველო ერთ წელიწადში კატასტროფამდე მივიდა.

— რას გვეტყოდით ბატონ ე. შევარდნაძის, როგორც კომუნისტის, შესახებ?

— საინტერესო კითხვაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, შევარდნაძე რა ნიშნით შევა ისტორიაში, როგორც კომუნისტური რეჟიმის აღმშენებელი თუ დამანგრეველი? თუ ვინმე ფიქრობს, რომ მას შემთხვევით შემოემსხვრა ხელში ეს წყობილება? აი, რა ბრალი ედებოდა ბატონ ედუარდს გაჩპ-საგან: ავღანეთიდან ჯარის გამოყვანის ნომერი პირველი დამნაშავე. გერმანიის გაერთიანების ნომერი პირველი დამნაშავე, დაანგრია სოციალისტური ბანაკი, გასცა აღმოსავლეთი ევროპა, დაანგრია ზემძლავრი საბჭოთა სუპერსახელმწიფო, კომუნისტური დიქტატურაც. გეკითხებით, ეს არის კომუნისტი? ვისი მეშვეობით გახდა შესაძლებელი დამოუკიდებლობაზე ფიქრი და მოქმედება? დარწმუნებული ვარ, მას, ალბათ, უნდოდა, რომ საქართველოში კომუნისტურ პარტიას უკან დაეხია და სათავეში მოსულიყო ეროვნული ძალები. კონკრეტულად ვინ და როგორ, ეს სხვა საკითხია და ამის შესახებ ჯერ არს უფრო ვრცლად ითქვას, ოღონდ სხვა დროს.

— ჩვენში ბევრი ფიქრობს, რომ დასავლეთი ცდება, როცა ბატონ ედუარდის პიროვნებაში დემოკრატიის ფსიქოლოგიას ხედავს.

— 1981 წლის 26 აპრილს ბატონ ედუარდს მივწერე მწარე წერილი, რეპეტიტორობის აკრძალვის პროექტის თაობაზე. იგი არ დაბეჭდილა, მაგრამ ლამის მთელი თბილისის რეპეტიტორებმა წაიკითხეს და ბევრს დღესაც ახსოვს. სრულად, ალბათ, შემდგომში დავსტამბავ. წერილი იწყებოდა ასე:

„ღრმად პატივცემულო, ბატონო ედუარდ!

თქვენ ისე გვანებივრებთ თქვენი დემოკრატიულობით, რომ

თქვენდამი სასაყვედურო აზრს სამახარობლოსავით გაუწყებთ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ თვით თქვენი იმედი გვაქვს". გაიხსენონ ჩვენმა მწერლებმა, ხელოვნების დარგისა და ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებმა, ვინ დააწყებინა მათ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კრიტიკა. ბევრი მათგანისაგან მსმენია შეევარდნაძის კრიტიკა. რაც მთავარია, მოსმენის კულტურაში ბრალს ვერვინ დასდებს. ვერვინ იტყვის უკადრისია, ყოყოჩია, ქედმაღალია. მე თვითონ გახლდით მოწმე, უნივერსიტეტის კლუბში, რომ ცხვირწინ ხელებს უტრიალებდნენ სტუდენტები, ერთმა ჯგუფმა კიდეც მიატოვა იგი. შემდეგ კი თვითონ დაედევნა და უნივერსიტეტის კომკავშირის მდივნის ოთახში გააგრძელა მათთან დიალოგი. თავი გაეანებოთ იმას, რომ მან პირველმა მიიღო და შემდგომ მოსკოვსაც მიაღებინა კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის კანონი. 1975 წლის 31 მაისს საქართველოს ისტორიის კაბინეტში პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე მას საყვედურით მიმართავს, ბატონო ედუარდ, ცუდად არის ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმე.

— ვიცი... იქნებ ასე გავაკეთოთ. მოსკოვი არ დაგვანებებს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცალკე შექმნას. იქნებ, ბუნებისა და ძეგლთა დაცვის გაერთიანებული სახელმწიფო კომიტეტი შევქმნათ? კარგი იქნებაო, – სხვებიც დათანხმდნენ.

ძეგლთა ნგრევის ისტორიამ, ძეგლთა დაცვის ისტორიად გადაკეთება დაიწყო შევარდნაძის დროს. აღარ გავაგრძელებ საუბარს, მისი უშუალო ინიციატივით როგორი გახდა ძველი თბილისი, რას მიაღწია ქართულმა თეატრმა, ქართულმა ფილმმა, ქართულმა სპორტმა. პირუთნელი მატიანე იტყვის ყოველივეს. ან კი ყოფილა შემთხვევა სტუდენტობას მოესურვებინა მასთან შეხვედრა, დიალოგი და უარი ეთქვა?

— თქვენი საუბარი ხომ არ არის ერთგვარი ნიადაგის მომზადება ბატონი ედუარდის საქართველოში ჩამოსაყვანად?

— ბატონ ედუარდს კარიერის კიბეების მწვერვალები აქვს ავლილი და არც დღეს აქვს კრიზისი. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეა. მას ბრძენ პოლიტიკოსს უწოდებს ყველა ბრძენი პოლიტიკოსი. ასე, რომ მას არავითარი თანამდებობა არ სჭირდება. ნებისმიერ თანამდებობაზე მეტია მისი ავტორიტეტის ძალა. მაგრამ მე რა მაკვირვებდა ყოველთვის! თუ შენ შენი ბედკრული საქართველოს ბედი გაწუხებს და არა შენი ამბიციები, რატომ არ უნდა გინდოდეს, შენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მისი გამოყენება?

გარდა ამისა, რატომ გვაეიწყდება მისი იშვიათი გამბედაობის გამო დაუღვრელი დიდი სისხლი ჩვენი ახალგაზრდობისა 1978 წლის 14 აპრილს?

ცნობილი დრამატული მატჩი ეოლოშილოვგრადის „ზარიასთან",

თვითონ ხომ ყოველგვარი დაცვის გარეშე გადაეშვა აბობოქრებულ ხალხში?

თქვენ ხომ ეროვნული კონგრესის წევრი ხართ, როგორ უყურებენ თქვენი პოლიტიკური კოლეგები, კონგრესმენები თქვენს ამ თვალსაზრისს?

ეროვნული კონგრესი არ არის პიროვნული აზრის დასაჭურისების კერა. აქ ერთმანეთს ვავარჯიშებთ განსხვავებული აზრის პატივისცემაში. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი. რომ ბევრ მათგანს ჩემზე უკეთ არ ესმოდეს ეს პრობლემა. მთელი შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის დიდი ნაწილის აზრი ბატონი ედუარდის შესახებ ყოველთვის მაღალი გახლდათ. ერთი ჩვენი ეროვნული ნაკლი ასე მესახება: ჩვენ შეიძლება არ შეგვაშინოს მტრის ტანკებმა, მაგრამ საოცრად გვეშინია მოდური აზროვნებიდან გადახვევისა. შევარდნაძის ლანძღვა მოდაშია, ხმის ამოღებისა ეშინოდათ და ეშინიათ მართლა რაღაცა არ დამაბრალონო. მას შემდეგაც კი, როცა კრემლი და მოსკოვი გამოგვეცალა ვითარცა დედაქალაქი, ბუნკერებიდან, როგორც ჯოჯოხეთიდან, კვლავ გაისმოდა არარსებული დედაქალაქის „აგენტების" ლანძღვა და კრულვა. დღეს ყოფილი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოსი, საგარეო დედაქალაქი არის ვაშინგტონი. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა სრული რეალიზაცია ვერ მოასწრო, მაგრამ ცდა არ დაუკლია შეესრულებინა თავისივე სიტყვები, დაბეჭდილი „ლიტერატურულ საქართველოში" (ჰკვახე შეძახილის ექო", 15. 11 1991 წელი). იგი წერდა: „თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრწნა გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჰეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო. მედროვენი და მოღალატენი კი გმირებად."

ეს გზა დაღუპვის გარდა, არა არის რა...

როგორ ფიქრობთ, სახადი უკვე მოვიხადეთ, თუ ჯერ კიდევ დავრჩით განსაკურნებელი...

სამწუხაროდ, ვერ მოვიხადეთ. ეს განსაცდელი მეგონა უფრო ააშაღლებდა ჩვენს ზნეობას. კვლავ მძვინვარებს კლასიკური ეგოიზმი. მე, მე, მე... ვიპარავ სხვის გამბედაობას, სხვის კეთილ ფიქრს, სხვის კეთილ საქმეს. ჰეშმარიტება არის ის, რაც მე მსურს. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი განსაცდელს გაგვიგრძელებს.

— ახლა ერთი დელიკატური კითხვა: თქვენ უნივერსიტეტში ჯერ იყავით პარტკომის მდივნის მოადგილე (უხელფასოდ), შემდეგ ხუთ წელზე მეტ ხანს პრორექტორი. ამავე დროს კარგა ხანია მონაწილეობთ ეროვნულ ცხოვრებაში. ხომ არ გიგრძვნიათ უხერხულობა იმის გამო, რომ კომუნისტური პარტიის წევრი იყავით. უფრო კონკრეტულად: ხელახლა რომ—დაატრიალოთ თქვენი ცხოვრების ფირი, ალბათ, უარს იტყოდით კომპარტიის წევრობაზე.

— არაერთხელ შემხვედრია, რომ მოწაფეებს ჰეგელიანელს მეძახდნენ მეგობარ-კოლეგები. მართალი გითხრათ, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან სისხლი მქონდა გამშრალი. არც კომპარტია მხიბლავდა. მაგრამ მე ვიყავი ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც ჯიბეში ბევრ ღირსეულ ადამიანს ედო იმ სატანის გამოსახულებიანი მანდატი, რომლის გამოსახულება აღბეჭდილია ფულზე. თუმცა არ მსმენია ვინმეს ეთქვას. ფული ეშმაკსო და 25-მანეთიანები ბუნკერიდან გარეთ გამოეყაროს. ჩვენი ფაკულტეტის მამშვენებელ მეცნიერებს არა მგონია ჩრდილი მოჰფენოდა პარტიის წევრობის გამო. კოტე ბაქრაძე, რეზო ნათაძე, ანგია ბოჭორიშვილი, საელე წერეთელი, გელა ბანძელაძე, ვენორი ქვაჩახია, ნიკო ჭავჭავაძე, გურამ თევზაძე... ვერც მე და ბარე ორიც ამ პიროვნებებს მამულიშვილობით ვერ შეედრება. ნეტავი დღეს მოგვცა ისეთი პარტიის წევრები, როგორებიც იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. პარტიის მანდატს, როგორც საშვს, ისე იყენებდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია. რეზო ჩხეიძის პარტიის მანდატმა საფარველი შეუქმნა იმ ანტიკომუნისტურ ფილმებს, ტალანტურ ფილმებს, რომელთაც მოსკოვის შავი ფილტრი უნდა გაევლოთ. ბატონი რეზო ამ მანდატის საშუალებით ხელმძღვანელობდა იმ კინოსტუდიას, რომელმაც მსოფლიოში ჰპოვა აღიარება. კინო არის ერთ-ერთი მთავარი არხი ქართველი კაცის კეთილშობილებისა და მშვენიერების მსოფლიოში პოპულარიზაციისათვის. აი ამ კინოსტუდიის, ქართული კულტურის დანგრევით დაიწყო „მოღვაწეობა“ ეროვნული ლოზუნგებით მოსულმა ანტიეროვნულმა მთავრობამ. უმაღლესი მიზანი ერის არსებობისა კულტურის შექმნაა.

— მხარს უჭერთ თუ არა დროებით მთავრობას?

— დროებით ხელისუფლებას: მხარს ვუჭერ მხოლოდ დროებით.

— ნაკლსა და შეცდომებს თუ ხედავთ მათ მოღვაწეობაში?

— რამდენიც გნებავთ, მაგრამ თუ ისინი გაუმკლავდნენ მთავარს, ნიშნავს, რომ გადაარჩინეს საქართველო.

— არც თქვენ გაკლდათ ამ პერიოდში მტრობა. რას იტყვით თქვენს მოძულეთა მიმართ.

— მტრები არასოდეს მაკლდა. მტრებისთვის კი არა, მეგობრებისთვის არა მცალია. დამისახელოს ვინმემ შემთხვევა, მტრობას რომ მტრობით ვუპასუხე. შენს მტერს რომ უნდა შეუნდო, ეს კარგად გავიაზრეთ, თუმცა პრაქტიკულად ეს ძნელია. სხვის ცოდვებს კი სხვამან შეუნდოს. მე რა ძალა მაქვს, რომ ღმერთისა და ერის მგმობელს შევუნდო. ეს განგების ნებაა.

— თქვენი ოპოზიციური მოღვაწეობა, ალბათ, დამთავრდა, რადგან ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვიდა.

ძნელი სათქმელია. ჯერ ჩვენი ცხოერება არ არის ისეთი, რომ მისი ხელისუფალნი კრიტიკას გადაურჩნენ. ჩემი ოცნებაა, რამენაირად გავშორდე ყოველგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. ბევრი, ბევრი რამ არ მომწონს, არც სხვისი და არც ჩემი.

— ბოლოს და ბოლოს, ხომ იქნება თქვენი მოსაწონი ხელისუფლება?

— გალაკტიონისა არ იყოს, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ იმ დროს კი ჩვენ...

18 იანვარი 1992 წ.

„სალი ასრი ბადაბეარჩინს და წაგვიყვანს ტაძრისაკენ!"

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა სახელმწიფო საბჭოს მდივანი. როგორ ვუშველოთ საქართველოს?

— ბატონო ვახტანგ, მკითხველმა საზოგადოებმა ცოტა რამ იცის იმაზე, თუ რა ხდება სახელმწიფო საბჭოში, დასრულდა თუ არა მისი ჩამოყალიბება?

— ერთ თვეზე მეტია, სახელმწიფო საბჭო მოქმედებს და ამავე დროს თვითსრულყოფის პროცესს განიცდის. არსებითად შეივსო მისი კონტიგენტი, უახლოეს ხანში მას შეემატებიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ზოგირეთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები. შეიქმნა და უახლოეს სხდომაზე ძირითადად ჩამოყალიბდება კომისიები. ის სტრუქტურები, რაც პარლამენტური მუშაობის საყრდენია. ჯერჯერობით ვერ ამუშავდა სარედაქციო კომისია, ამიტომ ვერ ხერხდებოდა სრულყოფილი რეპორტაჟების გადმოცემა ტელევიზიითა და პრესით. ამიტომაც იყო, რომ საბჭოს მიერ განხილული ზოგიერთი დეკრეტი თუ დებულება სერიოზული ხარვეზებით გამოქვეყნდა.

მაინც რომელი დოკუმენტები გაქვთ მხედველობაში?

დეკრეტი არმიაში გაწვევის შესახებ. სამთავრობო დებულების საბჭოს მიერ განხილული და რედექტირებული ვარიანტის ნაცვლად თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ამ დებულების განუხილველი ვარიანტი. ხელმოუწერლად, თუ ვინ სად და როდის განიხილა, მოიწონეს თუ დაიწუნეს.

— ჩვენი გაზეთისადმი ხომ არა გაქვთ რაიმე პრეტენზია?

— არავითარი. მიზეზი როგორც მოგახსენეთ ის იყო რომ, ვერ მუშაობდა სახელმწიფო საბჭოს სარედაქციო კომისია.

— მაინც რა არსებითი ხასიათის შეცდომას გულისხმობთ?

— გაზეთ „საქარველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დროებითი დებულება" (17 აპრილი, 1992). ტექსტის ქვევით არ არის აღნიშნული, თუ ვინ მიიღო, ვინ

განიხილა და დაამტკიცა.

ეს ტექსტი განიხილა და დაამტკიცა სახელმწიფო საბჭომ თავის სარედაქციო ცვლილებებით. მაგალითად, აქ წერია: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე — პრემიერ-მინისტრი არის „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი...“ ეს ჩასწორებულ იქნა შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი არის საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებლი ხელისუფლების უმაღლესი თანმდებობის პირი...“ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოთ დგას პარლამენტი, მისი თავმჯდომარე? ჯერჯერობით პარლამენტის ფუნქციას სახელმწიფო საბჭო ასრულებს.

ეს და სხვა ასეთი დოკუმენტები, გაზეთში გამოქვეყნებული, ამიერიდან გადაეცემა სარედაქციო საბჭოს სათანადო ხელმოწერით, გამოიცემა სპეციალური ბროშურის სახით და მიეცემა დოკუმენტის საბოლოო სახე.

— რამდენად კანონიერია თვით საბჭოს დაკომპლექტების წესი?

— კანონიერია ის, რაც გონიერია, რაც რეალურად გადაარჩენს ჩვენს ხალხს, შეიყვანს ცივილიზებულ სამყაროში, მაღალგანვითარებული ქვეყნების ოჯახში. უკანონოა ის, რაც უგუნურია, უგუნურობას ნგრევა შეუძლია და არა შენება. ჩვენი ხალხი ჯეროვნად არ არის ინფორმირებული, მაგალითად რას, ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდში საქართველოს გაწევრიანება. ეს ნიშანეს ჯიბეცარიელ კაცს ასესხო დიდი ფული, რათა ფეხზე დადგეს, აშენდეს, თანაც ამ ფულის მოხმარებაში, მოშენებაში დაგეხმაროს. ასეთი რამ საერთოდ არ ხდება, ან თუ ხდება ძალზე იშვიათად. ჩვენს შემთხვევაში ევროპამ, ამერიკამ დაარღვიეს მათთვის ჩვეული პედანტური წესი. რატომ, რისთვის? ამ კითხვებზე პასუხს ზოგიერთი არშესმენის მომხრე გაურბის, მაგრამ ადამიანს, რომელსაც არ სურს სიმართლე გაიგოს, რა ესაქმება პოლიტიკურ ცხოვრებაში ან რა უნდა პოლიტიკურ მიტინგზე? რაც შეეხება სახელმწიფო საბჭოს ამ ერთი თვის ნამოღვაწარს, შეადარეთ მისი შედეგები, მიღწევები პარლამენტის მოღვაწეობის შედეგს! ხომ გახსოვთ, არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი მოქმედი პოლიტიკოსი არ გაგვეკარა. იზოლაციონიზმი რომ დამღუპველია, განა ამ ჰეშმარიტებას მტკიცება სჭირდება? რანაირად უნდა იარსებოს რომელიმე, თუნდაც დიდმა ქვეყანამ, თანმედროვე მსოფლიოსაგან გარიყულმა და მოძულებლმა?

— მერედა რატომ შეგვიძულეს? ხომ არ უდევს ამ საქმეში წვლილი იმ პიროვნებას, ვინც ეს ქვეყნები შემდგომ ჩვენსკენ შემოაბრუნა?

— ადამიანს, რომელიც სხვა ქვეყნის ხელისუფალთ მოუწოდებს, ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას ზურგი შეაქციეთო, არათუ დიდ პოლი-

ტიკოსად, კაცადაც არავინ ჩათვლის. ამის გაგებას ფილოსოფოსობა არ სჭირდება.

— თქვენი აზრით დასავლეთის ეს უეცარი შემობრუნება მხოლოდ ბატონი ედურდის დამსახურებაა?

– არა, ეს არის ქართველი ხალხის ისტორიული ღირსების აღიარება. მაგრამ თუ რა წვლილი მიუძღვის აღიარების პროცესში ამ ადამიანს, რომელმაც მთელ მსოფლიოს მოუტანა სიკეთე, თავად მკითხველმა განსაჯოს.

— ხომ არ ვაზვიადებთ პიროვნების როლს?

— მე იმ განზომილებებს, იმ შეფასებას ვეყრდნობი, რასაც იზიარებს მთელი მსოფლიო და ნახევარზე მეტი ქართველობა.

— იქნებ განგვიმარტოთ, რას გულისხმობთ ამ ცნებაში — „ნახევარზე მეტი ქართველობა"?

ვგულისხმობ იმას, რომ ქართველი ხალხის ერთიანობის აღდგენის პროცესი უკვე მიმდინარეობს, მაგრამ ისე ენერგიულად იმუშაოს მისი გახლეჩისათვის, რომ აღდგენა ასე უეცრად ვერ მოხდება.

— მოდით, ისევ სახელმწიფო საბჭოს დაუბრუნდეთ. როგორ მოხდა მისი დაკომპლექტება?

— სამხედრო საბჭოს მიერ ადრე შექმნილი საკონსულტაციო საბჭო უცვლელ ბაზად დარჩა. საბჭოს გაფართოების პროცესში, გათვალისწინებულ იქნა რიგი ადამიანური ფაქტორებისა, რომ შეზღუდულიყო სუბიექტური მომენტი, ამისათვის შეიქმნა სამანდატო კომისია, რომელმაც შეიმუშავა გარკვეული კრიტერიუმები სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ცხადია, აბსოლუტურად ობიექტური და უნაკლო არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს პროცესი. გარკვეული პირობითობა მის წინამძღვრებშივე არის მოცემული. კამათის მოყვარულებისათვის აქ საკამათო ბევრია. ამ საბჭოს შემადგენლობაში, სამწუხაროდ, ვერ მოხვდა ბევრი ღირსეული პიროვნება. ბევრმაც თავისი პროფესიისადმი ერთგულება დააყენა წინ. ყოველ შემთხვევაში, საბჭოს წევრები არ ფიქრობენ, „მხოლოდ ჩვენ გვზრდიან დედანიო". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის დროებითი ხელისუფლება.

საბჭოს წევრებს ძალიან მძიმე სამუშაო ტვირთი დააწვებათ მხრებზე. საბჭოს წევრთაგან შექმნილი კომისიები შეივსება დარგობრივ, პროფესიონალური ინტერესების გათვლისწინებით — არა საბჭოს წევრთაგან. ყოველ მათგანს, თავინთი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისას ექნება სრულუფლებიანი ხმა. მაგალითად, კულტურის კომისია, რომელმაც თავის თავმჯომარედ ბატონი ელდარ შენგელაია აირჩია, შეივსო 50-მდე წევრით, ამ კომისიის წევრები სწორედ თავისი პრობლემატიკით არიან დაინტერესებული და დარ-

წმუნებული ბრძანდებოდეთ, მთელ დროსა და ენერგიას მას მოანდომებენ.

— ახლა რომელი კომისიები მუშაობენ?

— ჯერჯერობით მუშაობს იურიდიული, სააგრეო ურთიერთობის, კულტურის, ადამიანის უფლებებისა და ეროვნულ ურთიერთობათა, ეროვნებათაშორისი, საარჩევნო დებულების შემმუშავებელი კომისიები. მალე მუშაობას შეუდგება სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების, ეკოლოგიური, ენერგეტიკის, სამხედრო მშენებლობისა და სხვა კომისიები.

კომისიები ამუშავებენ დეკრეტებს, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებს. მათ სახელმწიფო საქმის გაკეთების, სიკეთის ქმნის განუსაზღვრელი უფლებები აქვთ, თქვენ შესაძლებლობები თქვით! სამწუხაროდ, ხშირად ჩვენი ცნობიერება დატვირთულია ფორმალიზმით, სქემებით, კენჭისყრის გატაცებით. ბიბლიაში ვერ მოძებნით იმის მაგალითს, რომ კარგი კაცი ხმის უმრავლესობით შეერჩიოთ, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს უარვყოფდე ხმის უმრავლესობის უპირატესობას უმცირესობაზე. მაგრამ ნამდვილი დემოკრატია სადაც არის, იქ. ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორი ანგარიში ეწევა უმცირესობის აზრს, თუკი ეს აზრი უმრავლესობისას სჯობს. საქმე ჭეშმარიტებისადმი პატივისცემამ უნდა გადაწყვიტოს.

— ახლა, ჩვენს ყველაზე დიდ სატკივარზე ვისაუბროთ. რა ძალისხმევას მიმართავს სახელმწიფო საბჭო ცხინვალის რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად? როგორც ეხედავთ, სისხლისღვრა კვლავ გრძელდება.

— ცხინვალის რეგიონში დაშვებულია, რომ იტყვიან, საუკუნის შეცდომა, უფრო ზუსტად, დანაშაული საკუთარი ხალხისა და, გნებავთ კაცობრიობის წინაშე. შენ თუ ქვეყნის ხელისუფალი ხარ, შენს მიწა-წყალზე მცხოვრებ ყველა ხალხს პატრონობა უნდა გაუწიო კანონისა და წესის მკაცრი დაცვით. როდესაც საბჭოთა გენერალი 1990 წლის დეკემბერში ტაშის გრიალით გააცილეს ამ რეგიონში, რომელი გონიერი ადამიანი ვერ მიხვდებოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას? ხოლო თუ ვინმესთვის ეს მოულოდნელი იყო. რა ესაქმება იმას პოლიტიკაში, რა უნდა მას პოლიტიკურ ტრიბუნაზე? ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს პოლიტიკური პასუხიმგებლობის ნამდვილი ზნეობრივი კოდექსი, რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში შეიძლება ერთ დაუფიქრებელ სიტყვას სისხლისღვრა მოჰყვეს; სამწუხაროდ, იმის იმედი გვაქვს, ყველაფერს სხვას ან ვილაცას გადავაბრალებო... ახლა რაც შეეხება სახელმწიფო საბჭოს, ალბათ, ფიქრობთ, რატომ პირველ დღესვე არ მიაწყდა იგი ამ სასიცოცხლო პრობლემას. კარგად გაიხსენოთ ამ ერთი თვის თუ თვენახევრის წინანდელი ჩვენი მდგომარეობა. ამერიკასა და ევროპის მიერ ამ ერთ თვეში ჩვენსკენ საქმიანად გამოწვდილი ხელის მნიშ-

ვნელობა, მისი პოლიტიკური ზემოქმედების ძალა კარგად იცის ჩვენმა მეზობლებმა. ახლა დადგა ჟამი, უფრო მეტად გაითვალისწინოს ბევრი რამ რუსეთის ხელისუფლებამ. ცხინვალის რეგიონის პრობლემა არ მოგვარდება რუსეთის ხელისუფლებასთან და თვით ოსი ხალხის წარმომადგენლებთან ნორმალური დიალოგის გარეშე. საამისო ვითარება იქნება. კონკრეტულად, საქართველოს სახელმწიფოს საბჭომ შემოიღო პრემიერ მინისტრის მოვალეობის შემსრულების მოადგილის თანამდებობა ეროვნებათაშორისი და ადამიანის უფლებების დაცვის დარგში, რომელიც იმავდროულად არის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დასახელებულ დარგში. სახელმწიფო საბჭომ, მისმა პრეზიდიუმმა, ამ თანამდებობაზე დანიშნა ბატონი ალექსანდრე კავსაძე და აღჭურვა იგი სახელმწიფო საბჭოს საგანგებო რწმუნებებით. როგორც კი ცხინვალიდან გავა რუსეთის ჯარი, იქ, საქართველოს ტერიტორიაზე, შევა საქართველოს მილიციის სპეციალური ნაწილები, რასაც წინ უნდა უძღოდეს მშვიდობიანი მოლაპარაკება ოს მოსახლეობასთან. ეს ნაწილები შეელენ არა შურისძიებისათვის, არამედ სამოქალაქო წესრიგის დასამყარებლად. მე ვერ გეტყვით, რომ ეს ნაბიჯები ისეთი ჯადოსნური მალამო იქნება რომელიც მყისვე მოაშუშებს ყველა ჭრილობას, მაგრამ თუ ღმერთი არ გაწყრა ქართველ და ოს ხალხს — ორივე მხარეს სწყურია მშვიდობა და შერიგება. ცალკეულ ექსტრემისტებს თავისი პასუხი მოეთხოვებათ. ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის ვინ არის მტყუან-მართალი.

თუ ხალხი გაჰყვება უაზრობას, ეს ალბათ, ცუდია. ამას მხოლოდ სიძულვილი, ნგრევა — უბედურება მოჰყვება. ასე იყო დასაბამიდან. ჯერ არავის უნახავს უგუნურობას რაიმე აეშენებინოს. თუ ხალხი გაჰყვება აზრს, აზრიან კაცს — ეს არის გარანტია გადარჩენისა, აშენებისა.

— ხომ არ ვექცევით ისევ „მესიანიზმის“ ტყვეობაში?

— ცრუ მესიანიზმი იმას ნიშნავს, რომ კაცი გაიძახოდეს — მე ვარ მხსნელი, მე ვარ ყველაფერი თქვენთვის, სამშობლომ თავი უნდა გასწიროს ჩემთვისო. რაც შეეხება საქართველოს ახლანდელ ლიდერს, არსებითად, იგი მსოფლიოს პროგრესული და მძლავრი დემოკრატიული სამყაროს ძალამ გვიკარნახა. საერთაშორისო პოზიცია ასეთია: ხალხს, რომელსაც ასეთი წიანმძღოლი ჰყავს ვენდობით, მას ყოველნაირად დავეხმარებითო. ეს არის ცხადზე უცხადესი ფაქტი ნორმალური ადამიანისათვის. ღმერთი რომ კაცს მოიძულებს, მტერს და მოყვარეს აურევსო. ღმერთმა ნუ ქმნას, მტრისა და მოყვრის, ჰკვიანისა და უჰკუოს ვერ გარჩევის სენმა დაგვრიოს ხელი. მაშინ ვერც მსოფლიო გვიშველის...

ავღანეთის ომში საქართველომ დაკარგა ათეულობით ქართველი და არაქართველი ახალგაზრდა. რომ არა ჩვენი თანმემამულის თავ-

განწირული რისკი იმდროინდელ პოლიტბიუროში, ავღანეთის ტყვეის ცეცხლში რამდენიმეგზის ჩასვლა და თვით სამხედრო საქმეშიც მონაწილეობა საბჭოთა ჯარის გამოსაყვანად, დღესაც ისევ ისე იქნებოდა ქართველი დედების გოდება. რატომ არ გეინდა ეს დავინახოთ?

— ბატონო, ვახტანგ, ხალხში აქა-იქ მსმენია: აი, ხომ მართალი ყოფილა ზ. გამსახურდია, გოგუაძეზე რომ ამბობდა შევარდნაძის აგენტიაო.

— აგენტობა ნიშნავს საიდუმლო კავშირს, საიდუმლო საქმეში მონაწილე პირს, რომელიც თავის შეფს, შენიღბვის მიზნით ლანძღავს კიდევაც. მე ყოფილ პრეზიდენტს 1990 წლის 8 აპრილს (კვირა დღეს უნივერსიტეტში ქალბატონ ევენრა ურუშაძის დაკრძალვაზე ყოფნისას) ვუთხარი, რატომ ლანძღავ შევარდნაძეს, მას ხომ შენთვის კარგის მეტი არ გაუკეთებია მეთქი. — იცი რა, ეს მას სჭირდებოდა, ხალხის თვალში რომ კარგი კაცი ეთამაშაო... იქვე მიალანძღა ის ადამიანიც, რომლის შესახებ ერისკაცს უკმეხი სიტყვის თქმის უფლება არა აქვს, მის სიწმინდეში მხოლოდ უწმინდური შეიტანს ეჭვს.

რაც შეეხება ბატონ ედუარდს, მის შესახებ, საბედნიეროდ, აზრის შეცვლა არ დამჭირვებია, რა აზრისაც ვიყავი ის აზრი მაქვს. მე კარგად ვგრძნობდი და ვცნობდი მის ეროვნულ პოზიციებს. ისე კი არავითარი კავშირი არ მქონია მასთან, რაც საქართველოდან წავიდა. არც მანამდის გახლდით მასთან დაახლოებული. უბრალოდ მიცნობდა. მხოლოდ შარშან ნოემბერში შევხვდი მოსკოვში და არც არავითარ საიდუმლოებას ეს შეხვედრა არ მოიცავს. საზოგადოდ ბატონ ედუარდი საიდუმლოებებზე არსოდეს არ ამყარებდა იმედებს. შენ რომ გაგანდოს საიდუმლოება, შენზე დამოკიდებული უნდა გახდეს. დაეუშვათ და გაგივარდა ხელიდან ეს საიდუმლოება, რა, თავის მართლებას მოჰყვეს თუ რა?!.

— თქვენთვის როგორც სახელმწიფო საბჭოს მდივნისათვის ადვილია თუ ძნელი მასთან მუშაობა?

— შეიძლება ითქვას — ორივე ერთად — ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმდენად, რომ ბევრ რამეს სწავლობ მისგან. არ გაწუხებს კომპლექსები. — ვაითუ განსხვავებული აზრი მიწყინოს. არ იფიქროს ჰკუას მასწავლისო. (ჰკუა მას იმდენი აქვს რომ შენი არ შეშურდეს). მის შესახებ ლაპარაკი ჩემთვის ცოტა უხერხულიცაა და ეცდილობ, არც არაფერი ვთქვა. ეს მომავალის სათქმელია. მაგრამ ვსარგებლობ თქვენი შეკითხვით და მის ერთ თვისებას მივაპყრობ თქვენს ყურადღებას. ადამიანებისადმი სიმპათია-ანტიპათია თითქმის არასოდეს არ სძლევს მას. საქმის კეთებაში მისთვის არ არსებობს მტერი და მოყვარე, — ვის ესმის ეს აზრი, ვის შეუძლია სწორად გადაწყვიტოს ეს პრობლემა, აი ეს არის მისთვის მთავარი. ამიტომა-

ცაა, რომ ზოგჯერ გული წყდებათ მის ერთგულ ადამიანებს, მე რატომ არ დამიძახა, მე ხომ მისთვის თავი გავწირეო. ეს არაა უმადურობა. სახელმწიფო საქმეში ერთგულება. აუცილებელია მაგრამ საკმარისი არაა. ასევე უკვირთ, აი ეს კაცი მას სულ ლანძღავდა (პრესით, ტელევიზიით), ახლა კი ვითომც არაფერი, ცხვირწინ უზის და ერთად მუსაიფობენ ან მუშაობენო. არც ეს არ უნდა იყოს საკვირველი. ასე რომ, მასთან მუშაობისას არავითარი აზრი არა აქვს, ეცადო თავი მოაწონო ან ემლიქვნელო. უნდა უთხრა ის, რაც სჭირდება საქმეს. გზა არ უნდა გადაუღობო ნიჭიერ ხალხს. არ უნდა გადაუმალო ისეთი ადამიანები ვინც საქმეს გამოადგება.

— როგორ გრძნობენ თავს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები სახელმწიფო საბჭოში?

— მე მგონი, ყველა ერთმანეთისაგან რაღაცას ვსწავლობთ. ყვირილით შეიძლება გამზადებული ნააზრევი იძახო მიტინგზე, მაგრამ, როგორც ჩანს, აზროვნებაზე კარგი დამამშვიდებელი წამალი ნერვებისათვის არ არსებობს. ვსწავლობთ ერთმანეთისადმი მოთმინებას, თითქმის გადაეჩვიეთ გუნდურ ლაპარაკს, ვაცლით ერთმანეთს აზრის გამოთქმას. უკან იხევს სიძულვილი, განაწყენება. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასეა. ყველანი ვმზეურდებით ერთმანეთის პირისპირ — ვინ ვინა ვართ. ყველანი ვხვდებით, რომ არ ყოფილა სწორი — გულში ვერავინ ჩაგეხედავსო. რა ვიცი, მე კარგად მეჩვენება ეს გარემო. მაგრამ მთავარი მაინც ის რეალობაა, რაც გარეთ სუფევს.

— როგორც ჩანს, თქვენ კმაყოფილი ხართ საერთო ვითარებით.

— რა დროს კმაყოფილებაა, ხალხი შიმშილით კვდება. ლაპარაკია შედარებით გაუმჯობესებაზე და რაღაც იმედის მომცემ პერსპექტივებზე, მის კონკრეტულ მაჩვენებლებზე. უბრალოდ გული არასდროს გამტეხია, თორემ ჩვენ ჯერჯერობით ყოფნა-არყოფნის პირას მდგარი ხალხი ვართ. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება ჩვენი მეზობელი ქვეყნების ცხოვრება. რა სჯობს კმაყოფილ მეზობელს, გამწარებული მეზობელი — მტერს!

— როგორ გესახებათ რუსეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობა?

— რუსეთი, რუსი ხალხი, რუსული კულტურა ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს. მძულდა უგულო იმპერიული ადმინისტრაციული თითის ქნევა, ისე როგორც სხვებს. ჩვენ გვინდა მეზობელ-მეგობრები გვყავდეს. არ შეიძლება ჩვენი ცხოვრების მოწყობას წარემართოთ ვიღაცის ჯიბრზე. რუსეთს უნდა სჯეროდეს, რომ თუ საქართველოში კეთილდღეობა დამკვიდრდება, ეს მისთვისაც კარგი იქნება. მაშინ არც კვანტს დაგვიდებს და არც ტანკს შემოგვისვევს.: „ლანძღვა-გინება არავის სიამოვნებს. ჩვენ ყველანი უნდა ეცდილობდეთ — რუსეთისა თუ რომელიმე ქვეყნის წინაშე არა მლიქვნელო-

ბას, არამედ ღირსეულ მეგობრობას, პარტნიორობას. პოლიტიკური აზრი უნდა ავწონოთ შედეგით. რა შედეგს მისცემს ჩემს ქვეყანას ჩემი სიტყვა და საქმე. ამიტომ ჩვენ ენის წვერიდან არ უნდა მოვისროთ სიტყვა პასუხისმგებლობა. რეალიზმი, საღი და სადა აზრი გადაგვარჩენს და წაგვიყვანს ტაძრისაკენ.

24 აპრილი, 1992 წ.

გაიროში შევედით, ახლა საით?

საუბარი სახელმწიფო საბჭოს მდივანთან ვახტანგ გოგუაძესთან

— ბატონო ვახტანგ, როგორია სახელმწიფო საბჭოს დამოკიდებულება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისადმი"? შეკითხვა შეიძლება უცნაური ჩანდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჟურნალისტთა წრეში გაჩნდა აზრი, რომ „უწყებანის" გამოსვლა პარალელიზმს გამოიწვევს, რადგან არსებობს „საქართველოს რესპუბლიკა".

— პარალელიზმი არ იქნება, რადგან „უწყებანის" ფუნქცია სხვაა, ეს ბიულეტენია, რაც თანდათან გამოიკვეთება. „საქართველოს რესპუბლიკა" კი მთავარი გაზეთია, შეიძლება ითქვას, სახალხო გაზეთია, როგორც ყველაზე მასობრივი და ფესვგამდგარი. მას ინფორმაციული ოპერატიულობის სადღეისო პრობლემატიკის გაშუქების გამოცდილება და ტრადიცია აქვს.

— რომელ ტრადიციებს გულისხმობთ?

— ვგულისხმობ ბოლო ათეული წლების გაზეთ „კომუნისტს" და მის მემკვიდრე „საქართველოს რესპუბლიკას". კომუნისტური იდეოლოგია, როგორც ასეთი, ბოლო ორ ათწლეულში არ არსებობდა, იგი სახეცვლილიც იყო და შინაარსგამოცლილიც. გაზეთი „კომუნისტი" არ იყო მხოლოდ და მხოლოდ იძულებითი გამოსაწერი გაზეთი. გინდოდა თუ არა, მასში შეიძებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, ყველაზე ოპერატიული ინფორმაცია. გონიერ მკითხველს არ უჭირდა გაერჩია, სად იწყებოდა ის იდეულოლგიური ხარკი — მომარქსულ-მოენგელსებული თეორიული სიყალბეებით, ცეკასეული მწარე თაედასხმებიც ცალკეულ პიროვნებათა ღირსებებზე თუ სხვა რამ. ერთი სიტყვით ამ გაზეთის შავი და თეთრი ნაკადები უნდა განვასხვაოთ. მაგრამ გაზეთის ამ შავ ბიოგრაფიას არ უკავშირდება იმ რედაქციის თანამშრომელთა ბიოგრაფია, რომელთაც მე ვიცნობდი (ხანდახან ვიბეჭდებოდი, უფრო მეტად კი მკითხველი გახლდით). ამ ადამიანებისადმი მე სიყვარული და პატივისცემა მაქვს.

— შარშან, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" რომ მწარედ გკბენდათ, არ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება რედაქციისადმი?

— არავითარ შემთხვევაში, ჯერ ერთი, ღანღვა-ცილისწამებებს

მე არასდროს ვკითხულობდი. მეუბნებოდნენ, მიამბობდნენ, მე ცალი ყურით ვუსმენდი. ლანძღვა გინებისთვის არ უნდა მოსცდე.

— თუ უპასუხებთ იმ მლანძღველებს?

— არც ერთ შემთხვევაში. მე ვუპასუხებ, თუ კაცი აზრით მეკამათება. უღირსი მოკამათე ფიგურად არ უნდა აქციო. ერთხელ, „კომუნისტის“ ერთ-ერთ საუბარში ვახსენე ის შედარება, რომელიც ახლაც მინდა მკითხველს შევახსენო ასეთი თქმულება: ალექსანდრე მაკედონელს ინდოეთიდან უზარმაზარი ძაღლი გამოუგზავნეს საჩუქრად. დაინტერესდნენ, რის შნო და მარიფათი აქვსო ამ ძაღლს. გამოიყვანეს მგელი, ზედაც არ შეხედა, დათვი — არც ის გახადა ყურადღების ღირსად. გამოუყვანეს ლომი. ძაღლი წამოდგა და დაეძგერა ღირსეულ მეტოქეს. მე არც ლომს ვადრი თავს და არც იმ გრანდიოზულ ნაგაზს. მაგრამ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ღირსება, ყველა მაყეფარს თავი არ გაუყადროს, უაზრო კამათს არ გადაჰყვეს. რაზე ვკამათობთ, როგორ ვკამათობთ — ამის ფსიქოანალიზი რომ ჩაგვიტარონ, აზრის სარკეში ჩაგვახედონ, დავინახავდით, ის ძარცვა-გლეჯა, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა საიდან იწყება. უაზრობის აქტიურობიდან მოდის ეს უბედურება.

— კომუნისტებისადმი თქვენი ჰუმანური დამოკიდებულება კომუნისტური წარსულისადმი ერთგვარი ნოსტალგია ხომ არ არის?

— ამ ბრალდებას ვერანაირად ვერ მივიღებ. ჯერ ერთი, დადგა ჟამი უფრო პირდაპირ გაეცნობიეროთ და სხვებსაც გავუცნობიეროთ, რომ „ციხე შიგნიდან გატყდა“. შედარება დაუვესებთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის სათაურს. ხელს აწერს ფსევდონიმი — „მკითხველი“. როგორც „მხილებული“ იქნა, იგი ტარიელ ჯანტურია ყოფილა. დიახ, ციხე შიგნიდან გატყდა და კომუნისტური რეჟიმის, მისი სისასტიკის დამხობა თვით კომუნისტური მანდატის მფლობელებმა ითავეს.

— ვის გულისხმობთ მთავარ გმირებად?

— იმათ, ვისაც გულისხმობს მთელი მსოფლიო და ნახევარი საქართველო.

— ჩამოთვლის თანმიმდევრობაზე რას იტყოდით — გორბაჩოვი და შევარდნაძე, თუ პირიქით?

— ამას კარგად გრძნობდა ტაქტიანი დასავლეთი, მაგრამ დღეს რომ ნუმერაცია ასე არ იწყება, ამას ხედავთ. მე ვფიქრობ, არც ერთ ქართველს არ უნდა სწყდებოდეს გული, რომ კომუნისტური დიქტატურის დამხობის ნომერი პირველი „ბრალდებული“ („გკჩპ“ — სგან) დღეს სახელმწიფო საბჭოს სხდომებს მართავს, ყოფილი „იმელის“ შენობაში. მცირე ღიმილის მომგვრელი ხომ არ არის მის თვალწინ, ზოგჯერ დიქტატურის დამამხობლის რიხიანი ინტონაციით, მუშტებს რომ უქნევენ კრემლის იმპერიის პოლიტიკურ ნანგრევებს? მე საბჭოს წევრებს არ ვგულისხმობ.

— თქვენ, ალბათ, ჩვენს რადიკალურ, ახალგაზრდულ, დისიდენტურ პარტიებს გულისხმობთ.

— პირიქით, ეროვნულ-დემოკრატიული, დამოუკიდებლობის პარტია, მონარქისტული და სხვა პარტიები, ყველაზე შეურიგებელნი და ეროვნული მოძრაობის ჭარტეხილების ავტორები, პირდაპირ გეტყვით, რაინდული ეესტით შეხვდნენ შევარდნაძეს. ადვილი არ იყო მათ ცნობიერებაში გამჯდარი „კრემლის მოღვაწისაკენ“ ერთბაშად შემობრუნება, მაგრამ კაცური პოზიცია სახეზეა.

— მაშ, ვის გულისხმობთ, კონკრეტულად რომელ ფენას, ჯგუფს თუ წრეს?

— ვის ეგულისხმობ და იმათ, ვინც არც მტრად უქნია ღმერთს და არც მოუყვარედ. უფრო კონკრეტულად: გუშინდელ კომუნისტებს, მანდატები რომ მას შემდეგ გადაყარეს პარტია რომ გავიდა მათგან. „პარტიიდან გაველი“ — შეტრიალდა. კვალი რომ წაშალო დისიდენტად რომ თავი წარმოვიდგინოთ, ყველაზე მომგებიანია ვილაპარაკოთ კომუნისტური წარსულის საშინელებაზე. მე გაოგნებული დავრჩი, როცა ერთი ყოფილი დიდი ქალაქკომის მდივანი, ცეკას წევრი, აღშფოთებით ლაპარაკობდა ქალაქის საბჭოს ერთ-ერთ ყოფილ თავმჯდომარეზე, როგორც ფუნქციონერზე (ხაზი გაესვა, რომ იმ პიროვნებისადმი არ ჰქონდა პრეტენზია). მე განცვიფრებული ვუყურებ და ვუსმენ, როგორი პიროვნული უპირატესობის გამოკვეთის მიზნით ლაპარაკობენ ყოფილი კომუნისტები ყოფილ კომუნისტებზე. სხვათა შორის, არა ერთს ვიცნობ, კომუნისტებისაგან შორს მდგარ ინტელიგენტებს, — რა შუაშია პარტიის წევრობა, მთავარია ვინ რას აკეთებდაო. ფუნქციონერი არ არის, უარესი, ვიდრე უფუნქციო უქნარა. შეეთანხმდეთ ასე: ვის გულისხმობთ კომუნისტებში. კომუნისტები უნდა გავყოთ — მაფიური იდეოლოგიის უზნეო მსახურნი და უმეტესობა — იძულებით მანდატიანები, რომელთაც ისევე ედოთ ჯიბეში ლენინის თავიანი ბილეთი, როგორც თქვენ გიდევთ ახლა ლენინის თავიანი ხუთთუმნიანი. შეეთანხმდეთ ასე, ვინც კი კომკავშირში ყოფილა, მიუღია ახალგაზრდა კომუნისტის ნათლობა, მან თავი გაანებოს ამგვარ მლანძღველობას. ლანძღოს ყოფილი კომუნისტის ან ანტიკომუნისტის კონკრეტულად დასაგმობი საქმე. ვიმეორებ, და ვთხოვ ყველას გაიმეოროს — ვისაც ახალგაზრდა კომუნისტის მანდატი უტარებია – გაიხსენოს, ჯერ თავი განიკითხოს და მერე სხვა.

— და მაინც, გკითხავთ, რა ჰქვია იმ ეჰვს, ხშირად რომ გეესმის, ხომ არ არის კომუნისტური მმართველობის რეანიმაციის საშიშროება?

— ეს არის ხელ ენური მოჩვენება, ეითომ ეჩვენებათ, მაგრამ კარგად იციან, რომ ლენინ-სტალინელები რომ ჩამოარიგონ რაიკომის მდივნებად, ის მაინც არ აღსდგება. სატანას მომავალი არა

აქვს. მაგრამ დავაზუსტოთ კომუნისტის ცნება. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, დემაგოგიისგან რომ შეისვენოს ხალხმა. უნივერსიტეტის ფილოსოფია. ფსიქოლოგიის პარტიული ორგანიზაციის კრებებზე. მაგალითისათვის, აკადემიკოს რევაზ ნათაძისაგან, არა ერთი ჭკვიანური და საჭირო აზრი მომისმენია. ბოლშევიზმი უწინარესად, იმ მოაზროვნე თაობამ დაამხო, რომელიც სატანის ბილეთით შევიდა ციხეში. ბოლშევიზმი საზარელი მოვლენა იყო, ნუ შევეჯიბრებით ამის უკუფენაში. ისიც გვახსოვდეს იქნება: ბოლშევიზმის ყველაზე მძვინვარე მტერი ფაშიზმი იყო. ღმერთმა შეაჩვენოს ერთიც და მეორეც, თავი გავანებოთ ერთმანეთის ლანძღვას. მლანძღველობა უსაქმურთა და ხელმოცარულთა ხვედრია.

— ბატონო ვახტანგ, აქა-იქ გაისმის, ეროვნული მოძრაობა გაკოტრდა, პოლიტიკური პარტიების რეიტინგი დაქვეითდა...

რეიტინგისა რა მოგახსენოთ, იგი ისე სწრაფად დახტის ზევით-ქვევით, რომ არც კარგად უნდა მოგატყუოს და არც ცუდათ. რაც შეეხება ეროვნული მოძრაობის გაკოტრებას, ამას ვერ გავიზიარებ. ნამდვილი მოაზროვნე სახე ახლა აქვს მას. პარტიებმა ქუჩიდან დარბაზებში გადაინაცვლეს და დაიწყეს ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება. მათ დიდი როლი შეასრულეს იმისათვის, რომ ერი მორჩილ ფარას არ დამსგავსებოდა. თუ ქარტეხილებმა სტიქიურად აქეთ და იქეთ მიგვახეთქეს, თუ ამ ტრაგიკულ პროცესებს მწარედ ვიმკით, ეს ყველა ჩვენგანის ცოდვა-მადლის შედეგია. პოლიტიკური პარტიების გაკოტრება კი არ არის ჩვენი მიზანი, პირიქით, ისინი უნდა დამწიფდნენ, გაღრმავდნენ, ხალხური წიაღით უფრო უნდა ისაზრდოონ და მაფიებისადმი შეურიგებელ პოზიციას დაადგნენ.

— ბატონო ვახტანგ, რას ნიშნავს პოლიტიკოსი?

— რას ნიშნავს ვერ გეტყვით (ენციკლოპედიური განმარტება არ გვინდა), შემიძლია გითხრათ, ჩემი შეხედულება. როგორ მესმის თანამედროვე პოლიტიკის ზოგიერთი ნიშანი.

გერონტი ჭიქოძეს უთქვამს, პოლიტიკოსად არ გამოვდგებიო, მშიშარა ვარო. მართლა მშიშარა კაცი ამას არ ამბობს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, მშიშარა კაცი პოლიტიკაში არ გამოდგება, რადგან ცრუობს. სიცრუეა ჩვენი უბედურებების სათავე. პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს თქვას სიმართლე მაშინ, როცა აუცილებელია, სარისკოა, რაღაცნაირად უნდა შეეგუოს, რომ მას სიმართლის სამსახური სიცოცხლის ფასად დაუჯდება. თუ ჩვენთვის სიკვდილი შეუძლებელი შესაძლებლობაა, არაფერი გამოგვივა, მაშინ საქმე გვაქვს კარიერისტთან, რომელიც მთელ თავის ხელოვნებას წარმართავს იმ ნიშნით, თავი მოგაჩვენოს უფრო მეტად, ვიდრე ღირს არს. პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს საძულველ ადამიანსაც ყური დაუგდოს და სიძულვილმა აზრი არ შეაცელევინოს, სიძულვილს სიძულვილით არ შეხვდეს. მოვალეობაცაა, საკუთარი თავი არ დაეინახოთ იმაზე მეტი

რაცა ვართ. ძალიან ძნელია, მაგრამ უნდა მოვერიოთ საკუთარ თავს. პოლიტიკურ ცხოვრებაში პრეტენზიული უვიცობა გაცილებით ცუდია, ვიდრე უპრეტენზიო უვიცობა. როცა შენი არ იცი, სხვას უნდა ჰკითხო, ჰკვიან კაცს მიაგნო. პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მართვის სისტემაში დღევანდელობისათვის მაღალი დონეა საჭირო. ეს დალაგებული ქვეყნის სამსახურეობრივი სისტემა. შემუშავებული, ერთგვარად ავტომატიზებული, სოციალური მექანიზმი არ არის. საქართველოში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში ყოველ წუთს ჩნდება არაორდინალური პრობლემა. მის პასუხს ვერცერთ კოდექსში ვერ წაიკითხავთ, ამიტომ, საჭიროა ალღო და ალბათ, ნიჭი. ამ სიტყვის მნიშვნელობა მთლად არ ემთხვევა სიკკვიანის მცნებას. თანამედროვე პოლიტიკოსი ფსიქოლოგიურად უნდა აერთიანებდეს თავის თავში სტანდარტულსა და არასტანდარტულს.

— რას გულისხმობთ ხასიათის სტანდარტულობაში?

— ცოტა მოუქნელი მცნებაა, მაგრამ ვგულისხმობ ასეთ მნიშვნელობას: საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში ჩვენ ვიქცევით არა მხოლოდ ჩვენი ნებით, არამედ იმ ნებით, იმ წესებით, რომლებიც თვითონ საზოგადოებას შეეფარდება. ჩვენი მოქმედება უნდა უპასუხებდეს საზოგადოების, სახელმწიფოს ნებას, მის გარკვეულ სტანდარტებს. მეორე მხრივ, ნიჭიერება იქ არის აუცილებელი, საცა არა გვაქვს არავითარი „შპარგალკა", დაწესებული ნორმა. უნდა იფიქრო, ზოგჯერ წამებში მიიღო გადაწყვეტილება. ეს ფრიად რისკიან ვითარებასაც უკავშირდება და შეუმცდარობის გარანტიაც არ არსებობს.

— რახან შეუმცდარობაზეა ლაპარაკი ხომ არ მიგაჩნიათ შეცდომად თქვენი სატელევიზიო ინტერვიუს შემდეგ ბატონი ედუარდის წალენჯიხაში მოგზაურობის და ფილმის „იესო ნაზარეველის" ფრაგმენტების პარალელური ჩვენება? მეტისმეტი ხომ არაა აქ ნაგულისხმევი შედარება?

— ქრისტეს ცხოვრებას უნდა შევადაროთ არა თუ ბატონი ედუარდის ცხოვრება, არამედ ყველა ქრისტიანის ცხოვრება. „ქრისტე ჩემშია, მე ქრისტეში ვარ", ან „ჩვენ ყველანი ქრისტიანები ვართ, როცა ჰეშმარიტად ქრისტიანები ვართ". მაცხოვარი იმიტომ მოვლინდა მიწიერი არსებობით, რომ ჩვენი ტვირთი, ჩვენი შეურაცყოფანი გაეზიარებინა, ეჩვენებინა ჩვენთვის, თუ როგორ უნდა შეხვდე ყოველივე ამას. რაც შეეხება იმ ფაქტს, არავის არ შეუდარებია ბატონი ედუარდისა და მაცხოვარის მასშტაბები. აქ დასაწუნებელი იპოვნეს იმათ, ვინც მას ეძებს, მაგრამ იპოვნეს იმიტომაც, რომ სერიოზული განათლება არ გვიწყობს ხელს. პირადად მე ჟურნალისტის მიერ შესრულებული იმ დანართის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ ვფიქრობ რომ ამაოდ გაისარჯნენ ოპონენტები. ვისარგებლებ შემთხვევით და ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი შე-

ნიშნენაც მინდა გამოეთქვა თქვენი გაზეთის მიმართ, როგორც რიგითმა მკითხველმა. 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა თურქეთის მოქალაქის, წარმოშობით ქართველის, თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისა და აწ ასპირანტის, ბატონი ალი ალთუნის წერილი საქართველო-თურქეთის ურთიერთობაზე. — „როგორ უნდა განვითარდეს ურთიერთობები?“ წერილი მიმართულია თურქეთის პრემიერ-მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისადმი. წერილში მრავალი ბრალდებაა წამოყენებული რელიგიური ურთიერთობის სფეროში, მაგრამ აკლია დოკუმენტაცია-არგუმენტაცია. მასში მრავალი „თურმეა“, რომელიც უფრო გაგონილს ემყარება. ჩვენი სინამდვილე შეიძლება კიდევ უფრო მუქი იყოს, მაგრამ ასეთ სიტუაციაში, ასეთ თემაზე პოლიტიკური ჟურნალისტიკა და ჟურნალისტური პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ხალხთა და სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნას. ბატონი ალი ალთუნს მე უნივერსიტეტიდან ვიცნობ და პატივსა ვცემ. წერილშიც არის მწვავე და საყურადღებო პრობლემები, მაგრამ ვიმეორებ, როცა რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთის ტრიბუნაზე გამოვდივართ, ყოველ სიტყვას, ალბათ გაზომვა უნდა.

ის ხელშეკრულებები, რომლებიც რუსეთთან და თურქეთთან დაიდო, ჩვენი უკეთესი მომავლის გარანტიაა. ორი გიგანტი სახელმწიფო კეთილმეზობლური და მეგობრობის პოლიტიკურ გარანტიებს იძლეოდეს, ეს ნანატრი მიღწევაა...

— უკაცრავად, ზოგ-ზოგები მაინც ეჭვობენ, რაღაც ხომ არ იმალებაო ამ ხელშეკრულებებს უკან.

— ეს სერიოზული პოლიტიკური აზრი არ არის, შეიძლება ითქვას ორღობის პოლიტიკაა. სირცხვილია, როცა საქვეყნოდ სასიხარულო არ ახარებს და რაღაცას თხზავს, ეს უბედურებაა იმ კაცისა, რომელმაც ამ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი. მე იმედი მაქვს, რომ მალე განვიკურნებით. გაეროში გაწევრიანება საქართველოს დიდი ნდობის გარანტიაა. დიდმა პოლიტიკამ გადაწყვიტა — საქართველო სერიოზულ და ეკონომიურად ღონიერ სახელმწიფოდ უნდა იქცეს.

— გაეროში შევედით, ახლა საით?

— ახლა საქმეს მიეხედოთ!..

12 აგვისტო, 1992 წელი.

ყველაფერი არის ძლიერ ცუდად, ყველაფერი ძლიერ კარგად არის

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანთან ვახტანგ გოგუაძესთან.

— ბატონო ვახტანგ, გვაინტერესებს — თქვენი ურთიერთობა

დემოკრატიულ კავშირთან? როგორ დაიწყო, როგორ ვითარდება, როგორ გესახებათ მომავალში?

— დაიწყო ღიმილ-სიცილით, როდესაც ბატონი ავთანდილ მარგიანი მიყვებოდა დემოკრატიული კავშირის დიდ პერსპექტივებზე, მე დონკიხოტად მეჩვენებოდა. უარს ვიყავი, ერთ პარტიას გავეყარე, მეორეს ვერ შევეყრები-მეთქი. ასე თამაშ-თამაშ. ბატონი ავთანდილისადმი პიროვნული კეთილგანწყობის მიზეზითაც აღმოვჩნდი ამ კავშირის თანათავმჯომარედ. ბატონ ავთანდილთან ერთად აქ კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები არიან თანათავმჯდომარეები.

საარჩევნო ბლოკების ფორმირების წინ დემოკრატიულმა კავშირმა განიცადა გარკვეული დარტყმები, თითქოს და ესაა წითლების რეანიმაციის მცდელობა. ადრე ასეთი დარტყმები მიიღო ამ კავშირმა ბატონი გიორგი ჭანტურიასაგან. მან არ იცოდა, რომ ამ კავშირში ვიყავი. დიდ უფლებებს ვერ მივცემ თავს, მაგრამ გია ჭანტურიასთან გულწრფელი ადამიანური სიყვარული მაკავშირებს, ჩვენ ერთმანეთის აზრს ანგარიშს ვუწევეთ მაგრამ უფრო არსებითი ისაა, რომ მაშინ მას არ ჰქონდა სრული ინფორმაცია. არა მგონია, ახლაც ამ აზრისა იყოს. იყო მეორე კატეგორია, რომელსაც ხელოვნური მოჩვენებები აწუხებს ხშირად, ანტიდალტონიკური განწყობილება ეუფლება წითელი ფერისადმი („კორიდას სინდრომი"), მაგრამ საარჩევნო კომპანიის წინ, ვისაც კონსტრუქციული, გაკეთებული საქმით არ შეუძლია დაიკვეხოს, ვიღაცას ხომ უნდა აგინოს, თავი რომ მაღლა ასწიოს: ეს ფსიქოლოგია წავიდა. ახალგაზრდა კაცი ქვეყანას რომ დაპირებებით აპურებდეს, გასაგებია, მაგრამ ჩემი ხნის კაცი რომ დაპირებებს აფრქვევდეს, ხალხი ამას აღარ მიიღებს, არ უნდა მიიღოს.

ახლა საარჩევნო განსაცდელ-განსაწმენდელში ბევრი იქნება წამძახება, მათ შორის მიტყუპებული ცილისწამებები, რის ჩამოფერთხეაც უცბად არ ხდება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, ჩავაბაროთ ხალხს ზნეობრივი და პროფესიონალური ანგარიში, მლანძღველ-დამწუნებლობითი ქულების ჩაწერის დრო ამოიწურა. ამომრჩეველსა და მკითხველებს ვთხოვ დეპუტატობის კანდიდატებს დაგვაკვირდეს, დავიბრალებთ თუ არა რაიმეს, თუ ყველაფერს დავაბრალებთ სხვას. ჩვენი სამარცხვინო სნეულებაა ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება.

— ჩვენ დროში ეკურნალისტიკა უფრო და უფრო შედის ადამიანურ ინტიმურ სფეროებში. ერთი დელეკატური კითხვა: მე ვესწრებოდი ამ ბლოკის შექმნის მცდელობას, რომელიც ჩაიშალა. ამ შეკრებაზე ერთმა ცნობილმა მოღვაწემ ძალზე გამწარებულმა, ყვირილით მოგაძახათ, შენ ცეკას მდივანი ხარო. როგორ კომენტარს გაუკეთებდით, ხართ თუ არა ცეკას მდივანი?

— ეს სერიოზული კითხვაა, ზნეობრივი პრობლემაა, რომელსაც

ასეთიეე სერიოზული ფსიქოანალიზი სჭირდება. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც დასცეს უიჟინა -- წითლების ბლოკთან რა გვინდაო. შემდეგ კი პირიქით, რას გვიშერებით, რას შერებით, რატომ არ გინდათ. ჩვენთან ერთად იყოთ ბლოკშიო, ეს მოგონილსა ჰგავს, მაგრამ ნამდვილია.

— რაც შეეხება იმ ოპონენტს, მისი ნათქვამის მიხედვით, ცეკას მდივნობა იმიტომაა საჭიროროობა, რომ ცეკაა საჭიროროობა. ახლა იმ პიროვნებისა და ჩემი მიმართებები ცეკასთან, მე რაიკომის წევრობის მეტს ვერაფერს მივაღწიე. ქალაქის პარტიული კომიტეტის დელეგატსაბაც კი. ვიყავი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე. საზოგადოებრივ საწყისებზე (უხელფასოდ) იდეოლოგიის დარგში. ვატარებდი როგორც აღთქმული მქონდა ივანე ჯავახიშვილის იდეოლოგიას. თუ სხვა მასალები მოეპოვებათ ჩემს ოპონენტებს (ბლომად მყავს აგრესიული ოპონენტები), დავჯდეთ საქვეყნოდ და გავარჩიოთ. მაქსიმუმი ჩემი თანამდებობისა — უნივერსიტეტის პრორექტორობა გახლდათ. მე ცეკას აქტივის კრებებზეც კი არ მეძახდნენ. ახლა ის დალოცვილი ჩემი მგმობელი, თუ არ ვცდები, 1973 წლიდან იყო ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი... ოჯახაშენებულო ცეკაც შენ იყავი და საბჭოთა მადლით შემკულ-განებრიერებული ყველა მთავრობის ყვლა ამალას ამშვენებდი. მაგონდება ანეგდოტად ქცეული ამბავი: ბერია რომ დააპატიმრეს, ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე კრებაზე უბრალო გლეხს დაემუქრა — შენ ბერიას თანამოაზრე ხარო. -- თავმჯდომარევ, კაი რომ იყო სულ შენ გაიძახოდი, — ამხანაგი ბერიაო, გლახა რომ გახდა, ახლაა ჩემი ამხანაგი? აი, ამ ანეგდოტის დონეზე ვაზროვნებთ.

— ბატონო ვახტანგ, თქვენთვისაც რომ შემოეთავაზებინათ ცეკას წევრობა და ის რეგალიები, უარს იტყოდით?

— რას ამბობთ, სიხარულით დავთანხმდებოდი, ბინაც მექნებოდა და ცოლშვილიც კმაყოფილი მეყოლებოდა. (ეს ისე, ნახევარხუმრობით). მე ამ რეგალიებს ვერ დავიმსახურებდი გარკვეული მიზეზების გამო, ცეკას კი უყვარდა მედროვე კაცი. ხვალ რომ დაბრუნდეს ცეკა, მე იმისთვის დამიწყებენ ლანძღვას, ცეკას აგინებდიო. ჩემი მორალური პოზიცია არ არის მაღალი, ის არის ელემენტარული — ადამიანური. მე იმ კაცს იმას არ ვუზრახავ, რატომ გქონდა ის საბჭოთა რეგალიების ყულაბა სავსე-მეთქი. არავითარ შემთხვევაში, ის ნიჭიერი კაცია და ეს ამბები ხელს უწყობდა თავის შემოქმედებით საქმეში. მე ვუძრახავ იმას, რომ სირაქლემასავით ვხუჭავთ თვალს, ნუ ვმალავთ ბიოგრაფიას, რომელიც არ არის დასამალი. ნუ ვართ ამ კომპლექსების ტყვეობაში. თავი გავანებოთ წამხედურ აზროვნე-

ბას, მოდური აზროვნებას, ვთქვათ ელემენტარული სიმართლე, „ნუ განიკითხავ“ — ეს წერა-კითხვის უცოდინარმა გლეხმაც იცოდა, წირვიდან დაბრუნებულმა.

— როგორი იყო და როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება იმ კაცის მიმართ, „ცეკას მდივანი“ რომ დაგიძახათ.

— სხვათა შორის, საოცრად დიდი სიმპატიები მჭონდა მის მიმართ. მოგიყვებით ერთ ამბავს, რასაც განზოგადოებული მნიშვნელობა აქვს. 1982 წლის დასაწყისში სამ გზის დამიბარა საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველმა მდივანმა, მეხვეწა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორობას მთავაზობდა. თანაც დამიჟინა, ერთ წელიწადში ბინას მოგცემო. მესამე გზის დამითანხმა. შემავსებინა ანკეტა, ხელი ჩამომართვა. წამოვედი უნივერსიტეტში, მილოცავდნენ „დაწინაურებას“. გული არ მიწევდა, ვერ წარმომედგინა უნივერსიტეტთან განშორება. გადის დრო, არ მეძახიან. ბოლოს და ბოლოს არ დამნიშნეს, სხვა დანიშნეს. გაუგებარი რა დარჩება ამ ქვეყანაზე. ერთმა დიდი თანამდებობის პირმა გადაწყვიტა ყოველივე — როგორ შეიძლება, გოგუაძეს გაზეთი ანდოთ, ის ხომ დისიდენტიაო. შეგიძლიათ შეამოწმოთ ბატონ იოსებ ორჯონიკიძესთან და ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძესთან. ბატონი ედუარდისთვის ეს არ მიკითხავს. მიუხედავად იმისა რომ ჩემი რედაქტორობის საკითხი, როგორც ჰორაობდნენ, მისგან მომდინარეობდა. დაზუსტებით ის ვიცოდი, რომ მასთან შეთანხმებული იყო. ის პირი, რომელმაც მე დღეისათვის დისიდენტის საპატიო წოდება მომანიჭა, მაშინ არასასურველ დროს, ბატონი ალექსი ინაური გახლდათ. მე დისიდენტი არ ვყოფილვარ. მე ელემენტარული თავმოყვარეობის დონეზე ხანდახან ვერ ვუძლებდი სიცრუეს. ისე კი, მთლიანობაში, როგორც აბსოლუტური უმრავლესობა, მეც ბევრ სიცრუეს ვისმენდი და ვითმენდი, ისე როგორც დღეს. არც ერთი მთავრობის ხელში მე კაი არ დამმართნია. ერთადერთი პარადოქსი ეს იყო, როცა ბატონმა ედუარდმა, გაიტანა თავისი და დამნიშნა პრორექტორად. გასაუბრებაზე მე მას ვუთხარი, რომ არ შევიცვლებოდი. სწორედ ასე, ექსპერიმენტული ტანჯვის დარგში გახლდით პრორექტორი. ახლაც, თუ ვინმეს ჩემი „ცეკას მდივნობა“ სწვავს თვალებს, მან უნდა იცოდეს, რომ მე თანამდებობის ტკბილ სავარძელში არ ვზივარ. როცა ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება და თანამდებობა პირადი კეთილდღეობისათვის ივარგებს, მაშინ მე აქ ვინ გამაჩერებს, იმდენი კაი კაცი გამოჩნდება თანამდებობის დამამშვენებელი. მაგონდება ერთი ამბავი: ბატონი შალვა ნუცუბიძე თავისი საიუბილეო გამოსვლისათვის ემზადება. სარკის წინ დგას, ფიქრობს, უეცრად მეუღლეს ეძახის — მე გამოვალ ჩემს იუბილეზე და ისე კი არ ვიტყვი, როგორც გიორგიმ იცის, მე მთავრობამ ყველაფერი გამიკეთა, და არაფერი დამაკლოო. მე ვიტყვი: ამ მთავრობამ ყველაფერი გამიკეთა, მაგრამ ვერაფერი ვერ დამაკლოო.

— მაინც როგორია თქვენი დამოკიდებულება იმ ოპონენტისადმი?

— მე მას ახლაც პატივსა ვცემ. ოღონდაც არა გულით, არამედ გონებით.

— რა განსხვავებაა.

— მისგან განსხვავებით, მე მიმაჩნია, რომ ის არის ერისათვის, პოლიტიკისათვის, ხელოვნებისათვის საჭირო კაცი. თუკი რამ ჩემს ხელთ იქნება, მე მას ამ მხრივ ყურადღებას არ მოვაკლებ და არ გავაკეთებ ისე, ზევით რომ ავიხედავ, არსთა გამრიგემ მითხრას, ეს არ გეკადრებაო. ისე კი, არც გულში მაქვს შავი მეხსიერების სკივრი.

— ახლა მივუახლოვდი ჩვენი ინტერვიუს მთავარ მიზანს. ჩვენ შორიდან, ლირიკით დავიწყეთ, ახლა გადავედით დრამაზე.

— ბ-ნო ვახტანგ, რატომ მოხდა საარჩევნო დებულებაში ცვლილება და, საზოგადოდ რას იტყვით მის შესახებ.

— პოლიტიკურ ცხოვრებაში ტაქტი აუცილებელია, აუცილებელია ბევრი რამის ართქმა, მაგრამ სიცრუისა — არც ერთ შემთხვევაში. დებულების პროექტი მარტში შექმნილ სახელმწიფო საბჭოს დახვდა. ოთხ თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა მისი განხილვა საბჭოზე. იგი ისე იქნა მიღებული, ხელის აწევით დამტკიცებული, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ერკვეოდა მის არსში, მათ შორის — ბატონი ედუარდიც. ბოლოს და ბოლოს მან დასტური მისცა პირვანდელი სახის დებულებას, რომელიც მან ვერ გაიგო. სამწუხაროდ, დებულების პროექტი, თავისთავად იყო გაუგებრობა. დებულების განხილვისას რამდენჯერმე ითქვა, მთავარი საშიშროება არის ის, რომ არ შეიქმნას „ლოკომოტივი“, პარაოზი“ რომელიც თავის შემადგენლობას გააძლიერებს პარლამენტში. სრულიად ღიად, ჭარაგმის გარეშე ისიც გამოიხატა, რომ ამის საშიშროებას ქმნის ბატონი ედუარდი, მას ხალხი მხარს დაუჭერს არჩევნებში და თუ გაიმარჯვა, ხომ დავიღუპებითო. ამ აზრის ინიციატორი იყო უმცირესობა, აქტიური, დაუმცხრალი უმცირესობა — უმრავლესობამ წინააღმდეგობა ან ვერ გაუწიეთ, ან არ გაუწიეთ. ბატონი ედუარდი იძულებული შეიქმნა, განეცხადებინა, თქვენ თუ ეს გაწუხებთ, — „პარაოზია“ და „ლოკომოტივი“ ბოლოს და ბოლოს, თუ ერთ კაცს გულისხმობთ (იგულისხმებოდა ცხადია თვით შევარდნაძე), ის ერთი კაცი, არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობასო. ამიტომ შევარდნაძემ ხელი ასწია შევარდნაძის წინააღმდეგ. პირადად მე არ ავწიე ხელი და ჩემი პოზიცია,არა აქტიური ფორმით, მაგრამ სამგზის გამოვხატე, საბჭოზე, სახელდობრ: ნუ იზამთ ამას. დღეს ისედაც ბუნდოვანი ცნობიერების საზოგადოებასთან ბუნდოვანი დებულებით მისვლა დაღუპვაა. ეს ჩვენ წინ დაგვხვდებათქო. ვერავინ დამაბრალებს და არც მაბრალებენ რაიმე მონაწილეობა მიმეღოს, 30 პარტია რომ ამ-

ხელდა ამ ხელოვნური ბურუსის წინააღმდეგ. არ მაბრალებენ იმიტომ, რომ მაშინ უნდა აღიარო, რომ მე პარტიებთან გარკვეული გავლენა მაქვს. მე მაწუხებდა ერთადერთი — დღეს ქართველი ხალხისათვის კიდევ თვალის ახვევა ესაა გზა უფსკრულისაკენ. პარტიების მოთხოვნამ, დებულების შესწორებამ, შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დებულება და რათქმა უნდა, გაცილებით ჯობდა წინა 28 ოქტომბრის არჩევნების დებულება. ახლანდელი დებულება საშუალებას იძლევა, თუ ბატონი ედუარდი სათავეში ჩაუდგება, რომელიმე ბლოკს, მისი პოლიტიკის მხარდამჭერთა პოზიცია უმჯობესდება. ამიტომ დაიწყო სხვა ფორმით ბრძოლა. ბატონ ედუარდს არ უნდოდა რომელიმე ბლოკის წარმომადგენელი ყოფილიყო. ამიტომ ითხოვდა, იხვეწებოდა, მოდი და 16 ადგილი დაუშვათ დამოუკიდებელი კანდიდატურებისათვის. ამ ადგილებზე კენჭი უნდა ეყარათ იმათ, ვინც პარტიებს ან რამე ჯგუფს არ წარმოადგენდნენ. ამიტომ ყველამ იცოდა, რომ მას, ბატონ ედუარდს სწორედ ამ სახით უნდოდა კენჭი ეყარა. მოიკლეს თავი და არ დაანებეს. ძლივს გავიტანეთ ბატონი ედუარდის დაჟინებული წინადადება, — ყოველ რაიონს პარლამენტში ყოლოდა თავისი წარმომადგენელი. აქაო და აქ მოაზროვნე პოლიტიკოსები უნდა ვიყოთო, რაიონი ჭაობს შექმნისო თქვეს იმათ, რომელთა მოაზროვნეობა ამისთანა ბნელ-ბნელი ბილიკებით გვატარებს.

„დემოკრატიულად" განწყობილმა ერთმა ჯგუფმა, ბატონ ედუარდს მიმართა წერილით, რომ კენჭი იყაროს ბლოკში, სადაც ის მოისურვებს. მას არა აქვს თავისი ნება, თავისი უფლება. ასე ავყარეთ უფლებები თავისუფლებისათვის მებრძოლ ედუარდ შევარდნაძეს. ისტორია არ დაიჯერებს ამ პარადოქსებს. რაც ახლა ხდება: ხომ დავიღუპეთ, შენ რომ გაიმარჯვო, აქ დარჩი და იყავი სუსტი, როგორც ჩვენ გათამაშებთ ისეთიო.

— ბატონო ვახტანგ, უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით, ვინ არიან ეს ადამიანები.

— არა, რა საჭიროა კონკრეტულად ზოგს მეტად გვეხება იგი, ზოგს ნაკლებად.

— მაინც როგორ ხსნიან, რა არგუმენტებს იშველიებენ?

— არგუმენტი ასეთია, შევარდნაძე რომ პრეზიდენტი გახდეს, დავიღუპებით, აკი დაგვღუპა წინა პრეზიდენტმაო. ეს ადამიანები ან ვერ ხედავენ განსხვავებას გამსახურდიასა და შევარდნაძეს შორის, ან არ ხედავენ. ღმერთისათვის მიმინდვია, რა ჰქვია ამას. მე როცა ტელევიზიით განვაცხადე ბატონი ედუარდის პასუხისმგებლობა და უფლებები არ შეესაბამება ერთმანეთს, მას როგორც თავმჯდომარეს ელემენტარულ უფლებებსაც არ აძლევენ-მეთქი, პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი არც მომესალმა. სხვათაშორის ეს მათ ნაკლებად შეეხებათ. ვიდრე აი იმ „მოაზროვნე" პოლიტიკოსებს.

თქვენ ერთობ გამოუვალი სურათი დახატეთ. მაინც როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა ბატონმა ედუარდმა არჩევნებში?

— თუ ოდნავ პატივმოყვარეობას აჰყვა, თუ თავი არ დაიმცირა, მან შეიძლება უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე. ეს სრულიად რეალურია. მაგრამ მასში იმდენად დიდია სამშობლოს გადარჩენის ინტერესი, რომ იგი მხოლოდ საქართველოსთვის დაიმცირებს თავს და აბსოლუტურად ყველაფერს იღონებს, აზრი არ ათხოვოს უაზრობას. აქ ორი პოზიციაა. არ გვინდა ძლიერი შევარდნაძე, ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლებით, მეორე პოზიცია ამბობს, სუსტი შევარდნაძე ნიშნავს სუსტ საქართველოს, ძლიერი შევარდნაძე ძლიერ საქართველოს. დიდი ფსიქოლოგობა არ სჭირდება და ალბათ, უცხოელ ექსპერტებს მივცემთ გასაანალიზებლად, თუ რა ტირანული სულით ებრძვიან მას ექსპრეზიდენტის ფსიქოლოგიით — თავისსავე თვისებებს როგორ მიაწერენ იმ თვისებების არმქონეს. ეს ყველაფერი გამოვა მზის სინათლეზე. ღმერთი არ გვაპატიებს უღმერთობას.

— ვითარება, სურათი, ერთობ რთული დახატეთ და გამოსავალი კი არა სჩანს, ეს არ სჩვევია თქვენეულ ოპტიმიზმს. ოპტიმისტი ხართ თუ პესიმისტი?

— მე ქრისტიანული ოპტიმიზმის წარმომადგენელი ვარ. „ნეტარება ტანჯვაშია" „სიკვდილი ხსნაა" სულისა. ასე რომ, ქრისტიანული ოპტიმიზმი რთულია. მე ვხედავ მძიმე მომავალს. ამ უახლოესმა პერიოდმა ბევრი ფარული ცხადი გახადა. დიდად სამწუხაროა რომ ჩვენ აქაც ბევრი „გროზნო" გვაქვს. ჩვენ საქართველოსთვის კი არ გვინდა ჩვენი თავი, ჩვენთვის გვინდა საქართველო. ჯერ ჩვენს ფიქრებში, მსჯელობებში ვგლეჯთ საქართველოს სულსა და სხეულს, მერე კი მისი რეალიზაცია გვაქვს მიწიერად, თვალხილულად. ძალიან ულმერთოდ ვიქცევით, და სასჯელი ღვთისა არ აგვცდება. მე ვცდებოდი, მეგონა ნათელი უფრო ადრე მოვიდოდა. ჯერ კიდევ მწარე გზაა გასავლელი. მძვინვარებს საშინელი ეპიდემია — შური, სიცრუე, სულიერი ღირებულების მოპარვა, შენი სახელის მიტაცება, შენს მიერ გაკეთებული საქმის უკეთეს შემთხვევაში მიფუჩეჩება-მიმალვა, საკუთარი სიგლახის სხვისთვის მიწერა — აი, რა არის დაღუპვის ნიშანი. პროგნოზებისაგან თავს ვიკავებ, მაგრამ თუ ცოტათი რწმენის თვალით შეხედავთ ქვეყანას, ადამიანთა სულებს უნდა მოავლო თვალი და მიხვდები, რა შეიძლება დაგვემართოს. ჩვენმა ხალხმა, მშრომელმა, პატიოსანმა ადამიანებმა კი გამოიღვიძეს, მაგრამ ხალხსა და შევარდნაძეს შორის დგას ძალა, რომელსაც საქართველოსთვის კი არ უნდა თავისი თავი, თავისთვის უნდა მთლად საქართველო.

20 აგვისტო, 1992 წელი.

1992 წლის 10 ოქტომბრის სატელევიზიო მიმართვა ამომრჩევლებისადმი

ძვირფასო ამომრჩევლებო!

ხვალ ქართველი ხალხი, საქართველო თავის ისტორიულ არჩევანს გააკეთებს. ალბათ ყველას მიგიქცევიათ ყურადღება, საქართველოს ისტორიაში, ქართული კულტურის ისტორიაში, ძალიან დიდი დატვირთვა აქვს სიტყვას — ბედი, ბედისწერა. ჩვენ გვწამს, ამიერიდან საქართველოს ბედს უფლის ნება გადაწყვეტს და არ ეშმაკისა. დღეს ჩვენ უმძიმეს ვითარებაში ვართ. ჩვენ ომი გვაქვს. მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ სამოქალაქო ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს, თანდათან სახეს იცვლის და სამამულო ომად იქცა. ესეც დიდი უბედურებაა, ცხადია მაგრამ, ყველა შემთხვევაში მას ახლავს გარკვეული სინათლე, კერძოდ ის, რომ ჩვენ დავინახეთ მტერი, მტერი გარეთ და მთელი ჩვენი შინაგანი ძალით, მთელი ჩვენი მრწამსით ჩვენ ვერთიანდებით. დღეს ქართველ ხალხთან, მშრომელებთან არაერთგზის შეხვედრის დროს მათ თვალებში წაიკითხავთ დიდ სევდასა და ნაღველს, დიდ ტრაგიზმს, მაგრამ ამავე დროს მაძიებელ სინათლის შუქს. ჩვენი ხალხი მოაზროვნე ხალხია, რომელსაც ამჯერად ჰეშმარიტად შეუძლია სწორი არჩევანი გააკეთოს. ამჯერად იგი საღად მსჯელობს, აზროვნებს და ყველანაირი შანსი გვაქვს იმისა, რომ არ დაიბნეს.

ჩვენ, ჩვენი ბლოკის სახელით, რომელსაც „მშვიდობა" ჰქვია, პირველ ყოლისა, ვოცნებობთ საქართველოს გამარჯვებაზე, იმისათვის, რომ პარლამენტი იყოს ჰეშმარიტად მოაზროვნე, ჰეშმარიტი სიკეთისათვის და სიმართლისათვის მოწოდებული. ერთი რამ თავიდანვე უნდა აღინიშნოს; რეალურად რომ შევაფასოთ სიტუაცია, ჩვენ არჩევნებს ვერ ჩავატარებთ, რომ არა ლიდერის გამოჩენა.

შვიდი თვე გავიდა. 7 მარტს ჩამოვიდა ბატონი ედუარდი თბილისში. შვიდი თვე გავიდა, რაც გრძელდება ძალიან მძიმე დიალოგი ქართველი ხალხისა თავის შვილთან. მძიმედ შეხვდა მას ჩვენი ხალხი. ჩამოვიდა იგი მსოფლიო რეგალიებით, უმაღლესი პოლიტიკური ტიტულებით, მსოფლიოს მიერ აღიარებული უდიდესი დიპლომატი. არავის საქართველოში ამის თაობაზე ეჭვი არ გამოუთქვამს, მაგრამ მის ეროვნულობას, მის პატრიოტულობას გარკვეული გამოცდა დასჭირდა. მან ამ ხნის მანძილზე თავის ხალხს თავისი გული, თავისი უსაზღვრო სიყვარული უჩვენა, არაერთგზის დასდო თავის სიცოცხლე ფათერაკის, ხიფათის წინაშე და თავის ხალხს სრული მზადყოფნა გამოუცხადა. დღეს იგი ჩვენი ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობს. სიყვარული სიკეთის გარდა სხვა არა არის რა. სირცხვილი არის, როდესაც უღირს ლიდერს შეუქმნით და მას ვუკრავთ ტაშს, მაგრამ სირცხვილი იქნებოდა ღირსეული ლიდერი

გამოგიჩნდეს და მას ზურგი შეაქციო. დღეს ძალიან ჯანსაღად ყალიბდება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი. არავის უთქვამს, მე მესია ვარო, ყველა შემთხვევაში ლიდერი და მისი ხალხი ერთად უნდა იყოს, ყველამ ერთი საქმე უნდა გაკეთოთ. ასეთია ჩვენი ბლოკისა და ბატონ ედუარდისადმი, თავმჯდომარის არჩევისადმი, ჩვენი დამოკიდებლობის საკითხი. მაგრამ კიდევ ერთი რამ მინდა ჩვენს ამომრჩეველს ვალახდილად ვუთხრა: რომ ბატონი ედუარდის პროგნოზები და წინასწარმეტყველება ჰგნებავთ ასე დავარქვათ თითქის უცდომელი იყო ყოველთვის აქამდე და ღმერთმა ნუ ქნას ამიერიდან გაცუდდეს. მან ძმიმე პროგნოზი დაუსვა ჩვენს ბლოკს. ვიღრე ბატონი ედუარდი ჩვენს ბლოკში დროებით ირიცხებოდა, მან გვითხრა, რომ იქნებ ძვირადაც დაგიჯდეთ თქვენ, ტკივრთად გექცეთ ჩემი თქვენთან ყოფნაო. რა თქმა უნდა გარკვეული პოპულარობა მოგვიტანა მის სახელთან ჩვენი ბლოკის დაკავშირებამ, მაგრამ პროგნოზი აგვიხდა იმ აზრით, რომ დიდი გაღიზიანება გამოიწვია ჩვენს კონკურენტებში, პოლიტიკურ ოპონენტებში და ძალიან მძიმე განსაცდელის წინაშე დაგვაყენეს. ჩვენ არ შეგვეძლო, რა თქმა უნდა, სხვების გამაშავებელი, სხვების მაკომპრომენტირებელი არგუმენტების მოძებნა. ეს ჩვენი სტილი არ იყო, ჩვენი საქმე არ იყო და ბევრი რამ მოვითმინეთ, ამიტომ ხალხში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია ამ პროცესმა, მაგრამ ჩვენ ბედს არ ვუჩივით და გვინდა დაუფარავად გითხრათ, ჩვენი ბლოკი მოწოდებულია იმისათვის, რათა სრული არმონია სუფევდეს თავმჯდომარესა და ყველა ბლოკს, ყველა პარტიასა და ჩვენს შორის. ოღონდ ისიც გვინდა იცოდეს ჩვენმა ამომრჩევლებმა, რომ ჩვენი ლოზუნგი იმის თაობაზე, რომ)გამოვიყენოთ ედუარდ შევარდნაძე", ჩვენ ასე დავაზუსტეთ: გამოიყენოს ბატონმა ედუარდმა ბლოკი)მშვიდობის" ყველა შესაძლებლობა, რათა ჩვენ დავეხმაროთ მას თავისი პოლიტიკის გატარებაში. ისე ნურავის ეგონება, რომ შევარდნაძის თანამებრძოლობა, მის გვერდით დგომა და საქმიანად მხარში ამოდგომა ადვილი საქმე იყოს. არ დაგვავიწყდეს, – ბრძოლა გრძელდება, ბრძოლა ძალიან მწვავე, ძალიან რთული და ძალიან ღრმა. ჩვენი ბლოკის მიზანი, მოწოდება არის მშვიდობა, დემოკრატია, ნამდვილი უმანიზმი. დემოკრატია არა სიტყვიერი მხოლოდ, არამედ ადამიანური, ფსიქოლოგიურად, ზნეობრივად გააზრებული და გაშინაგანებული. ყველა ჩვენს საქციელში, ყველა ჩვენს მიმოხვრაში უნდა სუფევდეს დემოკრატიულობა, უმანური სულისკვეთება, სხვაგვარად იგი ცარიელი, ლიტონი სიტყვები დარჩება. ჩვენმა ბლოკმა, როგორც ყველა ბლოკმა და საარჩევნო ერთეულმა, რა თქმა უნდა, ამომრჩევლებს გააცნო თავისი საარჩევნო პლატფორმა და პროგრამა. ჩვენ არ გვინდა ახლა ლათინური ტერმინოლოგიით შემკული საპარლამენტო პროგორამით გავაკვირვოთ ამომრჩევლები. გაგახსენებთ, რომ

ასეთი პროგრამები, ასეთი მოდელები, ევროპული აქტები, ნორმები უამრავი მოდის ჩვენთან. სრულიადაც არ არის ძნელი მისი შეკაზმვა. ძნელი არის კონკრეტული სინამდვილის გააზრება, თორემ სრულიადაც არ არის ძნელი იმის ცოდნა, თუ როგორი სტრუქტურა არის ინგლისის პარლამენტში, საფრანგეთსა თუ ამერიკაში. მთავარი არის ჩვენ, ჩვენი სინამდვილე გავიზიაროთ, ჩვენი სინამდვილე და მისი ტკივილები მივიღოთ სწორად და ღრუბლებში სიარულის ნაცვლად, რეალისტურად გავიაზროთ როგორი საქართველო გვინდა ჩვენ. ჩვენ ვიცით, როგორია საოცნებო საქართველო, მისი შორეული საოცნებო პერსპექტივები, მაგრამ ჩვენ ამოვდივართ იქიდან, თუ როგორი საქართველო შეგვიძლია გვქონდეს.

ბლოკი „მშვიდობის" მიზანი არის — საქართველოს მტრები უქციოს მეგობრად და არა პირიქით, როგორც ეს სამწუხაროდ ხშირად ხდება ზოგიერთი უპასუხისმგებლო განცხადების შედეგად: იქ სადაც პრობლემა არ არის, პრობლემას გაეჩენთ ხოლმე.

ჩვენი ბლოკის თაეგანწირული სწრაფვა სწორედ იქეთკენ არის, რომ ჩვენს ხალხს მართალი სიტყვა ეუთხრათ, დაეძლიოთ პოლიტიკური ამბიციები, დამღუპველი ამბიციები, რომლებიც ძალზე მძვინვარებს და ამ მხრივ ძალიან ბევრი არის სამეცადინო, რომ თითოეულმა დეპუტატმა დასძლიოს ამბიციურობა თავის თავში და შემდეგ ჩავდგეთ საქართველოს სამსახურში. ჩვენ გვინდა, რომ ხალხის სამსახურში ვიდგეთ. ჩვენ არ გვინდა ხალხის სამსახური იმისათვის, ხალხისაგან ხმები მივიღოთ, რათა პარლამენტში მოვიპოვოთ ადგილი. ამას ჩვენ ვეცდებით შინაგანად, ზნეობრივად. ჩვენი ამოცანა არის შეექმნათ სამოქალაქო პატრიოტიზმის სულისკვეთება. ჩვენი მიზანი არ არის მხოლოდ ქართველი იყოს პატრიოტი და თავის ქვეყნისათვის გადამკვდარი მამულიშვილი. ჩვენი ამოცანა არის საქართველოს ყველა მცხოვრები იყოს საქართველოსათვის თავგამოდებული პატრიოტი.

ამას წინათ გარდაბნის რაიონში ერთ-ერთ შეხვედრაზე, ეროვნებით არა ქართველი პიროვნება ადგა და თქვა, — ჩვენ ხუთი ძმანი ვართ. ოთხი საქართველოში არ ცხოვრობს. მე ვცხოვრობ მხოლოდ აქ და იმ სახელმწიფოს, სადაც ჩემი ძმები ცხოვრობენ და საქართველოს შორის თუ ომი ატყდა, მე თოფს ავიღებ და საქართველოს დავიცავ. ეს შეიძლება დამაჯერებელი არ იყოს, მაგრამ ეს ნამდვილად ასე ითქვა. ყოველ შემთხვევაში ევროპული თანამედროვე ცივილიზებული სტანდარტი ქვეყნის მოწყობისა სწორედ ასეთი გახლავთ. ჩვენს მიწაწყალზე მცხოვრებ ადამიანს რომ უყვარდეს საქართველო ისე, როგორც ქართველს უყვარს, ამისათვის ნამდვილი სიყვარული, ურთიერთგაგება, ურთიერთშემწყნარებლობა არის აუცილებელი.

ჩვენი ბლოკი ცდილობს, ყველანაირად იმეცადინებს — იყოს

სარწმუნოებრივ ურთიერთობებს შორის სრული ჰარმონია და ურთიერთშემწნარებლობა. როგორც ამის შესახებ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა უცხოელებთან არაერთგზის შეხვედრისას, საქართველო უნდა გახდეს რელიგიათა ურთიერშემწყნარებლობის საერთაშორისო ლაბორატორია, ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება თანამშრომლობდნენ განსხვავებული მრწამსის ადამიანები ერთმანეთს შორის. ამოცანა არის, საქართველოში ყველა განიმსჭვალოს პატრიოტული, მოქალაქეობრივი, ეროვნული და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო სულისკვეთებით. ჩვენ კაცობრიობის შვილები ვართ. ვიცით, რომ დამოუკიდებლობა არ ნიშნავს აბსოლუტურ დამოუკიდებლობას. ჩვენ დამოკიდებულნი ვართ კაცობრიული ცხოვრების განაწესზე, იმ საერთაშორისო ნორმებზე, რითაც ცივილიზებული სამყარო ცხოვრობს; მოწოდებულნი ვართ იმისათვის, რათა დავიცვათ ადამიანის ღირსება და უფლებები. ჩვენი ბლოკი ეცდება, არ შეარცხვინოს თავის ამომრჩევლებისადმი მიცემული სიტყვა, მის მიმართ დანაპირები. მოხდა კიდევ ერთი სასიამოვნო, უცნაური ფაქტი. ორი-სამი თვის წინ, სახელმწიფოს თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოვუწოდებდით ხალხს, საზოგადოებას, — მოდით არჩევნებზე. დღეს კი შეიცვალა ვითარება. თვითონ ხალხი მოგვიწოდებს —არჩევნები უნდა ჩატარდეს, არჩევნების ჩაშლა ღალატის ტოლფასია. ასეა ეს დღეს გაცნობიერებული მთელს საქართველოში. ყველა ნორმალური ადამიანი, ვისაც უყვარს საქართველო, დღეს პატრიოტულად არის განწყობილი, დიდი ენთუზიაზმია და მხოლოდ ან მხდალნი, ანდა ქვეყნის ინტერესებისაგან გამდგარნი, ვისაც არ აწუხებთ ქვეყნის ბედი, არ გამოცხადდებიან არჩევნებზე. არავინ აძალებს ხმა მისცეს იმას, იმ ადამიანებს, იმ ბლოკს, ვინც მას არ სურს, მაგრამ გარკვეულად, მოქალაქეობრივად ყველას ევალება, როგორც ლაშქარში მიმავალ მეომარს, თავის სამოქალაქო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მიიღოს მოანწილეობა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი ხალხი, მისი მრავალაზრიანობა, მრავალთვალსაზრიანობა გაწონასწორდება, ჰარმონიული გახდება ერთსულოვნებასთან. ბედნიერება არის, როცა ერთმანეთს ერწყმის მრავალაზრიანობა, პლურალიზმი, მრავალთვალსაზრისიანობა და ერთ სულ, ერთ ხორც ყოფნა.

მე ვიმედოვნებ, როგორც ძველად იტყოდნენ, — ქუდზე კაცი, აი, ასე გამოვცხადდებით ყველა ნორმალური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე ხვალ არჩევნებზე და ხმას მივცემთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს. ამიერიდან საქართველოს ცხოვრებაში დაიწყება ახალი ეტაპი.

ღმერთს ვევედრები, იყოს მისი ნება. ხვალინდელი დღე ბედნიერების ეტაპი ყოფილიყოს საქართველოს ისტორიაში.

19 დეკემბერი, 1992 წ.

საქართველოს ახალი ჰორიზონტი

მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარლამენტის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას. ამასთანავე, თავისი შეხედულებისამებრ, ხმა მისცა მომავალი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებს. როგორც ცნობილი გახდა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებს შორის ყველაზე მეტი მანდატი მოიპოვა ბლოკმა „მშვიდობამ". ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ხეთისო არჩემაშვილი შეხვდა ამ ბლოკის ლიდერს ვახტანგ გოგუაძეს. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს. — უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ როგორც არჩევნების საერთო წარამტებით ჩატარებას, ისე კონკრეტულად თქვენი ბლოკის თვალსაჩინო მიღწევებს.

— გმადლობთ. ეს ქართველი ხალხის მართლაც დიდი გამარჯვებაა.

— პირველი კითხვა ასეთ შემთხვევაში ალბათ ყველა კორესპონდენტს და მათ შორის მეც ასეთი მექნება: რამ განაპირობა ბლოკ „მშვიდობის" წარმატება?

— მიზეზი ალბათ ბევრია, მაგრამ მისი წარმატება ეფუძნებოდა ძირითადად, მის მართლაცდა დემოკრატიულობას. ეს ბლოკი აერთიანებს უოფილ კომუნისტებსა და დისიდენტებს, მეწარმეებსა და მეცნიერებს, ვეტერანებსა და სტუდენტებს. ერთი სიტყვით, იგი არის ისეთი, როგორიცაა ჩვენი დღევანდელი საქართველო. ესაა თავმდაბლობის ბლოკი, რომლის მიზანი არ უოფილა სხვისი დამცირებით ამაღლება, ჩვენ არ მიგვიმართავს, არც ვიკადრებდით გეგმინებინა, ცილი დაგეწამებინა რომელიმე პარტიისათვის, ან მისი იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ამას კადრულობდნენ. დიდი სისწრაფის დროა. უველა გამოჩნდება თავისი ნამდვილი სახით. მლანძღველ მაგინებელს თავისი მაგინებელი გამოუჩნდება. ჩვენი მიზანია ვემსახუროთ ხალხს. რამდენად შევძლებთ, ღმერთმა იცის, მაგრამ სიამოსოდ დიდი წადილი გვაქვს. ჩვენ არ გავმიჯნივართ ხალხს. ჩვენ ხალხიდან მოვედით, ამას გრძნობდა მრავალსარწმუნოებრივი, მრავალფეროვანი საქართველო.

— ბატონო ვახტანგ, 10 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წინასაარჩევნო კრებაზე 1992 წლის 9 ოქტომბერს. როგორ აფასებთ ამ სიტყვას და მიგაჩნიათ თუ არა, რომ იგი საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს ახალი პარლამენტის მუშაობას?

— ეს იყო ჩვენი თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ერთეული ანგარიშიც და გეგმა მონახაზი — საით და როგორ ვიაროთ. რა

თქმა უნდა, არსებითად. მომავალი პარლამენტის მუშაობის გეზი არის აქ განსაზღვრული. მაგრამ თავმჯდომარე თვით პარლამენტის მუშაობის დროს უფრო კონკრეტულ და პროგრამულ სახეს მისცემს იმ შეხედულებებს, რაც მეცნიერებათა აკადემიაში თქვა.

— არის თუ არა რაიმე ისეთი პოზიცია ამ წინასაარჩევნო საპროგრამო სიტყვაში, რომელსაც მთლიანად არ ეთანხმებით და რატომ?

— არა, შეიძლება იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძის თანამოაზრე ვარ. თუ ასეთი შეხედულება ან პოზიცია იქნებოდა, მე მანამ ვიზრუნებდი მის დარწმუნებას. თუმცა ამ მოხსენებას წინასწარგაცნობილი არ ვიყავი და აკადემიაში მოვისმინე პირველად. საკითხები ეხება თავმჯდომარის მთლიან კონცეფციას, რომელსაც მე ასე თუ ისე ვიცნობდი, მისი დიდი იმედი მაქვს.

— ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო სიტყვაში ხაზგასმით ნათქვაამია: „საჭიროა მიწის რეფორმის ბოლომდე მიყვანა, მიწის ყიდვა გაყიდვაზე გაუმართლებელი შეზღუდვის მოხსნა. ყიდვა-გაყიდვას უნდა დაექვემდებაროს არა მარტო სასოფლო სამეურნეო სავარგულები, არამედ საწარმოო დანიშნულების მიწებიც. რამდენად გაამართლებს საკითხის ასე დაყენება პრაქტიკაში? მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა ხომ არ გამოიწვევს რაიმე გართულებებს, განსაკუთრებით სასასზღვრო რაიონებში? თუმცა ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში აკრძალული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე უცხო ტომელთა მიერ მიწების მითვისებისათვის. აქვე დავუმატებ შეიძლება კი მიწის ყიდვა-გაყიდვაზე საუბარი, როცა მიღებული არ არის საქართველოს მოქალაქეობის კანონი?

— თქვენი კითხვის ბოლოს ერთგვარი პასუხიც გაქვთ გაცემული. რა თქმა უნდა, მოქალაქეობის კანონი და არა მარტო ეს კანონი, სხვა საკანონმდებლო აქტებიც უნდა იქნეს მიღებული. საქართველოს მიწა საქართველოში დარჩება. ის არაქართული მოსახლეობა, რომელიც იქ ცხოვრობს, საქართველოს ნამდვილ პატრიოტებად უნდა ვაქციოთ. მეორეს მხრივ, დემოგრაფიული წონასწორობის ყველა ის მომენტი უნდა გამოვიყენოთ, რაც გონივრულია და სართაშორისო ნორმებსაც უპასუხებს. ამჟამად, ცხადია დეტალურ პასუხს ან კანონთა სისტემას ვერ გადმოგცემთ, მაგრამ ამ პრობლემის ყველა ნიუანსი აქტიური ფიქრის საგანია იგი გადაწყდება გონივრულად.

— როგორ წარმოგიდგენიათ საპარლამენტო სპექტრი. იქნება თუ არა დაშვებული ცივილიზებული პარლამენტისათვის ფორმითა და შინაარსით დამახასიათებელი ოპოზიცია?

— ოპოზიცია ყოველ დემოკრატიულ პარლამენტში უნდა არსებობდეს. თუ თვითმიზნური ოპოზიცია იქნება, რომ ხელი ან ნერვე-

ბი შეუშალოს ვინმეს, მას ინტელექტით, არგუმენტებით უნდა მოვერიოთ და არა აკრძალვით, ან გარეთ ცნობილი „მხედრიონის“ რისხვით. ოღონდ ყველაფერი იქნება საჯაროობის ნიშნით. ხალხმა უნდა იცოდეს, რაზე იკარგება თითოეული წუთი. მიკროფონომანია უნდა დავძლიოთ. ჯერ უსდა ვიფიქროთ, მერე ვილაპარაკოთ და არა, პირიქით. ჩვენ მივესალმებით მრავალთვალსაზრისიან და ერთსულოვან ქვეყანას. ჰე'შმარიტ პატრიოტულ სულისკვეთებას „ერთ სულ, ერთ ხორც“ შეკრულ ქვეყანას, აზრი აზრს რომ ამდიდრებდეს. ჩვენი ხალხი დღეს აზროვნებს. ყვირილის, ლანძღვა-გინების დრო წავიდა. ამოცანაა, შემცირდეს ჩვენს სიტყვა გამოსვლებში: „მე“, „მე“, „მე“...

— როგორია ბლოკ „მშვიდობაში“ შემავალი პარტიების სარეთო მსოფლმხედველობრივი საფუძველი და რამდენად საიმედოა იგი თქვენი კოლეგიალური თანამშრომლობისათვის პარლამენტში?

— გამოგიტყდებით და ჩემი პასუხი ამ კითხვაზე მეტისმეტად მარტივია. ამ ბლოკში შემავალი პარტიების მსოფლმხედველობა დაეფუძნა ერთ მარტივ ჰეშმარიტებას. სჯობს ჰკივან კაცს ხელი შეუწყო, ვიდრე ხელი შეუშალო. ასჯერ რომ ჰკვიანური აზრი თქვას კაცმა, ასივეჯერ მზად ვართ თავი დავუკრათ. უხერხულია, ერთხელ მაინც ასწიეთ ხელი წინააღმდეგო, — ეს ჩვენი პოზიცია არ არის. არც ერთხელ არ უნდა დაეთანხმო, როცა არასწორია. ჩვენი ამოცანა იყო თავი დაგვეღწია მოდური, თვითმიზნური, მოოპოზიციონერო აზროვნებისაგან. მე არც მესმის, თითოეულ საკითხზე, ზოგჯერ ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს (ერთი პარტიაა და ყველა ერთნაირად აზროვნებს). მე მგონია ჰეშმარიტებაზე მეტი არც ერთი პარტია არ არის, სხვათა შორის, არც თვით საქართველო. ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჰეშმარიტება არა ისეთად მე რომ ავიჩემებ, არამედ ჰეშმარიტება, რომელიც მოგვეელინება თუნდაც ჩვენთვის არსასურველ ფორმაში. აკვიატებული ჟინი, ბოლმა ფიტავს ადამიანის ინტელექტს. მე ვნახე რამდენიმე შემთხვევა, წიგნიერი ახალგაზრდები ბოლმას რომ ვერ სძლევენ, სიძულვილს ვერ სძლევენ და ცრუობენ აქტიურად. პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს დამღუპველია. დღეს შეიძლება ვიღაცას ზაინი მიაყენო და გაიხარო, მაგრამ ბოლმა რომ მის პატრონს, ახრჩობს ცხადია. ჩვენ გვინდა ჩვენი ბლოკი „მშვიდობა“, რომელსაც უამრავი ნაკლი აქვს, ვსწავლობდეთ ჩვენს შეცდომებზე. ერთმანეთიცა და სხვებიც შხამის ნთხევას, სიძულვილს გადავეჩვიოთ, ერთმანეთი ავიტანოთ. თუ ცალ-ცალკე ქართველებს ვერ იტან, არც მთლიანობაში გიყვარს საქართველო. გვინდა გადავეჩვიოთ ერთმანეთის სხვის ადვილად განკითხვაში.

— როგორ აფასებთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენას, მის შესაძლო წვლილს ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში?

— სოციალ-დემოკრატიული პარტია რომ მსოფლიოს მოწინავე

ქვეყნებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს, ეს ყველამ კარგად ვიცით. საქართველოში ძალიან ძნელი იყო ამ პარიტიის პრესტიჟით აღდგენა, ვინაიდან მას ბევრი ზედმეტი ცოდვებიც მიეწერებოდა და ამჟამინდელ ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატიულ პარიტიას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ჩვენი ხალხი ნაკლებად იცნობს, ნაკლებ ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ 1918-21 წლების დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს წამყვანი პარტია სოციალ-დემოკრატია იყო, მისი დროშის აღდგენით დაიწყო ახალი ეროვნული მოძრაობა.

ახლანდელ სოციალ-დემოკრატიული პარტია ფართო კავშირებს ამყარებს მაღალგანვითარებული ქვეყნების სოციალ-დემოკრატებთან, ხვეწს თავისი მუშაობის სტილს და ერთ-ერთი პერსპექტიული პარტია გახდება მომავალში. მაგრამ აქვე მინდა დავძინო, რომ ყველა პარტია უნდა გაერთიანდეთ ერთი დიდი იდეით — რასაც სამშობლო ჰქვია. — პლურალიზმი და ერთსულოვნება — აი რა არის მთავარი.

— გმადლობთ.

— თქვენც მადლობას მოგახსენებთ.

22 ოქტომბერი, 1992 წ.

„ამოცანა იყო და არის — ნანგრევებში არ გაიხვლიტოს საქართველო“

— ბატონო ვახტანგ, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსთაველის პროსპექტი საომარ ასპარეზად იქცა. თბილისელების უმრავლესობას დღემდე გულს უკლავს გაპარტახებული შენობების ცქერა, თუმცა, ჩვენის აზრით, რუსთაველი მაშინ დაინგრა, როცა ზედ ჯუჯყიანი ლეიბები და კარვები წამოჭიმეს და მხატვრის სახლი ყაზარმად აქციეს. უშუალოდ თქვენ ავტომატით ხელში ბრძოლებში არ მონაწილეობდით, მაგრამ სამაგიეროდ არც ერთ საპროტესტო მიტინგს თუ მანიფესტაციას არ დაკლებიხართ, ე. ი. თანაუგრძნობდით ადამიანებს, რომლებმაც იარაღით ხელში გადაწყვიტეს კანონიერი (87%-ით არჩეული!) პრეზიდენტის დამხობა. როგორ ფიქრობთ, არსებობდა თუ არა სხვა საშუალება პრეზიდენტის გადადგომისა და, საერთოდ, როგორ აფასებთ ამ მოვლენას ერთი წლის გასვლის შემდეგ?

— ეს საკმაოდ ძნელია. ჯერჯერობით ძალიან შორსაც ვართ იმისაგან, ბოლომდე გავიაზროთ სინამდვილე, თუ რა მოხდა 9 აპრილამდე, 9 აპრილის შემდეგ. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ ყველამ, დამნაშავეების, ცოდვილების ძიება დავიწყოთ ჩვენი თავიდანვე. სხვანაირად არავაქკაცურია, არაკაცურია, — ყველაფერი გადააბრა-

ლო სხვებს, რა ადვილია ყველაფერი დააბრალო სხვას, რა ძნელია რაიმე დააბრალო საკუთარ თავს. „მე რა შუაში ვარ“ — არ იტყვის საქვეყნო პრობლემების შესახებ ქვეყნის პირისუფალი და მამულიშვილი.

ახლა, რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას მიტინგ-მანიფესტაციებში, ეს იყო მხოლოდ მოქალაქეობრივი თანადგომა. არ ვიღებდი არანაირ ინიციატივას, მაგრამ თუ რამე მოხდებოდა, არ გავურბოდი არანაირ პასუხისმგებლობას. ჩემთვის არავის უკითხავს იარაღით ჩამოვაგდოთ პრეზიდენტი თუ შეძახილითო, მაგრამ რაც მოხდა, როგორც მოქალაქე, მე ვიზიარებ ამ პასუხისმგებლობასაც. რომ ეკითხათ, გამომდინარე ჩემი ცხოვრების მრწამსიდან, მე ბოლომდე ვეცდებოდი გაგვეკეთებინა ტვინისა და ნებისყოფის საბოლოო მობილიზაცია, რათა ტყვია აგვეცილებინა. მაგრამ პრეზიდენტმა ტყვიები დაგვიშინა. როგორც ჩანს, ეს იყო ჩვენი ბედისწერა. რაც შეეხება დანგრეულ პროსპექტს, ისაა ჩვენი დანგრეული სულის სურათი. პროსპექტი თქვენი ოცნების ნაცელად აღსდგება მაშინ, როცა ჩვენი დანგრეული სული აღსდგება — სიძულვილი ადგილს დაუთმობს სიყვარულს. ეს ერთი წელი გრიგალისებური წელია, რომელიც ძველებური განზომილებით ათწლეულებს ჩაიტევს. იმდენი რამ იცვლება, განსაკუთრებით ძნელია ღირებულებათა ასეთი რადიკალური გადაფასებანი, რაც შეეხება კომუნისტური რეჟიმის დანგრევას, ეს გარდუვალი, ობიექტური პროცესი გახლდათ. ეს იყო ფუღუროდ ქცეული იმპერია, თიხის ფეხებზე მდგარი ურჩხული, რომლის დანგრევას ვერაფერი შეაჩერებდა, ამიტომ იყო და არის — ნანგრევებში არ გაიკულტოს საქართველო და არა მარტო საქართველო.

— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს აზრი, იმის შესახებ, რომ ყველაფერი, რაც პრეზიდენტყოფილმა იწინასწარმეტყველა, ახდა. ბატონი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, მაფია გააქტიურდა, შეიარაღებული ბანდები ძარცვავენ და აწიოკებენ მოსახლეობას, რესპუბლიკის გარეთ გადის სპილენძი, ხე-ტყე, ომია აფხაზეთში, მიმდინარეობს მალული პრივატიზაცია, ერთ მშვენიერ დღეს გაირკვევა, რომ თბილისში ყველა მნიშვნელოვანი სასტუმრო, წარმოება თუ სხვა, რამდენიმე ადამიანის ხელშია... როგორც წესი, თქვენი წინასწარმეტყველებაც ხშირად მართლდება, ხომ არ ემთხვევა იგი პრეზიდენტყოფილისას?

— რაც შეეხება ნათქვამს „...ყველაფერი, რაც პრეზიდენტყოფილმა იწინასწარმეტყველა ახდა“, ყველაფრისა რა მოგახსენოთ! იწინასწარმეტყველა კი, რომ გროზნოში ამოყოფდა თავს და ერთ წელიწადში თავზე დაამხობდნენ თავის სანეტარო საპრეზიდენტო სკამს. ის, რაც ახდა, იმის წინასწარმეტყველებას არავითარი ჯკუა არ სჭირდება. ქვეყანას რომ უბედურება მოუტანო, უფრო ადვილია, ვიდრე ქოხის აშენება. სასახლის აშენებისათვის, მოგეხსენებათ, რა

შრომა-ენერგიაა საჭირო, მის დაწვას შეიძლება ერთი ღერი ასანთიც ეყოს. თქვენი სიტყვები, რომ ჩემი წინასწარმეტყველებაც ხშირად მართლდება, მთლად ზუსტი არაა. მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ — 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ერთმა მანდილოსანმა კინაღამ ბრალი დამდო: შენ რომ გაიძახოდი, სტუდენტებს ეუბნებოდი, უბედურება მოხდება, სისხლი დაიღვრებაო საიდან იცოდიო. — ქალბატონო, მე ასეთი ძლიერი წინასწარმეტყველებაც შემიძლია: კურდღელს რომ ტანკმა გადაუაროს, უეჭველად დაზიანდება კურდღელი.

მაგას რა წინასწარმეტყველება სჭირდებოდა... არჩევნებამდე ეროვნული კონგრესის სასარგებლოდ ტელევიზიით გამოვედით ირინა სარიშვილი, ვალერი კვარაცხელია და მე. საინტერესო ტრიალოგი იყო. მეორე დღეს უნივერსიტეტში ჩემთან ამოვიდა ორი აღელვებული პროფესორი საყვედურით, რატომ გამოხვედით, ეს ხომ ზვიადს ეწინააღმდეგებაო. მე ვუთხარი, თქვენი ზვიადი დაღუპავს საქართველოს, თქვენ არც საქართველო გენაღვლებათ და არც ზვიადი. მე ერთიც შენაღვლება და მეორეც.

— ბატონო ვახტანგ, ამბობენ ახლადარჩეული პარლამენტი სჯობს წინას, მაგრამ გაცილებით უარესია ინგლისის პარლემენტზეო...

— ახლადარჩეული პარლამენტის ვარგისიანობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. რაც შეეხება შედარებას, ჩვენი პარლამენტი ისევე შეეფარდება ინგლისისას, როგორც საქართველო — ინგლისს. თუმცა ერთ რელიგიურ მინიშნებას გავაკეთებ. ღმერთი თავის ნაპერწკალს გატანჯულ ქვეყანაში გაჰკვესავს. არ არის გამორიცხული, ამ ტანჯვიდან საქართველო დაბრძენებული დაბრუნდეს, ამ უბედურებიდან — ნიჭი აუვავდეს.

— როგორც პარლამენტის სპიკერი, მშვენივრად უძღვებით სხდომებს, მაგრამ ეს გარეგნულად, ერთი თვალის შეკვლებით, შინაგანად როგორ გრძნობთ თავს?

— არა მგონია „მშვენივრად" ვუძღვებოდე მსოფლიოში ყველაზე ჭრელი სპექტრის პარლამენტს. მე ბევრი რამ მისწავლია ქართული სუფრის წესისაგან. ვასხვავებ ორი ტიპის თამადას, თამადა თვითონ ლაპარაკობს და შენ არ გალაპარაკებს, თვითონ ხუმრობს, შენ არ გახუმრებს, თვითონ მღერის, შენ არ გამღერებს. ერთი სიტყვით, თვითონ აქეიფებს თავის თავს. მე ისეთი თამადა მომწონს, რომელიც მაინცა და მაინც არც იგრძნობა სუფრაზე, მაგრამ იმ სუფრიდან ადამიანები სიყვარულით შორდებიან. თამადამ ხუმრობის საშუალება მისცა მას, ვისაც ეს ხელეწიფება, ამღერა მომღერალნი, ალხინა სხვები და თვით ემსახურა სუფრას. რაც შეეხება ჩვენს პარლამენტს, დეპუტატებში აშკარად იგრძნობა დიდი და საერთო პასუხისმგებლობა ქვეყნის მდგომარეობის წინაშე. ისინი ბევრს უთმო-

ბენ ერთმანეთს. საკმარისია გადახვიდე მზღერულ წამს და დაიწყება სულ სხვა თემაზე უნაყოფო კამათი, საიდანაც უკვე ვეღარ მოაბრუნებ პარლამენტს. მადლობელი ვარ, რომ ზოგიერთი დადგენილება, გადაწვეტილება მივიღეთ თანხმობის გზით. ამაში მე დავინახე ქართული, სახელდობრ ეროვნული ფსიქოლოგიის გაღვიძება. ხათრის ელემენტის საპარლამენტო ცხოვრების პროცესში ჩართვა შეიძლება ღიმილის მომგვრელი იყოს (თუ პროვინციალიზმად არ ჩაგითვლიან ევროპული პარლამენტები) მე ვგულისხმობ ხათრს ქვეყნის ინტერესებისათვის. მე არ შევხვეწივარ არასდროს არავის, ჩემი ინტერესებისათვის, მაგრამ მთავარი საიდუმლოება ეფუძნება იმას, რაც ბატონმა ედუარდმა საქართველოში ჩამოსვლის დღიდანვე ჩამოიტანა — გავთავისუფლებულიყავით კომპლექსებისაგან, პარტიული თუ სხვა დაპირისპირებისაგან.

— პარტიებსა და ცალკეულ დეპუტატებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა, ზოგჯერ განხეთქილებაც, ხომ არ უშლის ყოველივე ეს პარლამენტის მუშაობას?

— დაპირისპირებები არის ყველგან, მაგრამ, საბედნიეროდ, პარლამენტში ჯერჯერობით ღვთის მადლით, მას ცუდად არ უჩენია თავი. იგრძნობა, რომ პარლამენტის პრესტიჟს უფრთხილდებიან ყველანი. ერთმა კაცმაც რომ შეარცხვინოს პარლამენტი, სირცხვილიანი პარლამენტის წევრები დაგვერქმევა.

— ბატონო ვახტანგ, კარგად მახსოვს, რა მდგომარეობაში იყავით შარშან ამ დროს, მახსოვს, თქვენს მოსალმებას ერიდებოდნენ თქვენი ნაცნობები. წარმოიდგენდით, რომ ერთი წლის შემდეგ პარლამენტის სპიკერი გახდებოდით?

— თქვენ, ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ შარშან ამ დროს იუმორის გრძნობა არ მჭონდა დაკარგული და არც გული გატეხილი, რომ გითხრათ, ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ-მეთქი, არც ეს იქნება სწორი, თუმცა შარშანდელს ყველაფერი სჯობს. ტირანია, ადამიანის არაადამიანად მიჩნევა საშინელებაა. ჩემი ახლანდელი მდგომარეობა ისევ ბრძოლა და ტანჯვაა. ვიდრე წესრიგი არ დამყარდება, ვიდრე ხელხი არ დაპურდება, მანამ, ყველა ეს სატანჯველი, ჩვენ ყველაზე მეტად გვღრღნის, ამას მე მგონი დიდი განმარტება არ სჭირდება.

— ბატონო ვახტანგ, თუ უხერხული არ იქნება, ცოტა კულისებშიც გვინდა შევიხედოთ. უკვე 9 თვეა, რაც თქვენ ბატონ ედუარდთან მუშაობთ. ასეთ უმწვავეს ფსიქოლოგიურ პერიოდში, ყოველეთის სტაბილური როდია ადამიანური ურთიერთობები. იყო თუ არა მცდელობა, თქ_ენს შორის უთანხმოების ჩამოგდებისა?

— მაგის მცდელობა არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ამას თქვენს გასაგონადაც აკეთებდნენ და კიდევაც გააკეთებენ.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენსა და შეფს შორის შავი კატა არ გადაირბენს?

— ეჰ, შავი კატები ახლაც ბლომად დარბიან და დიდი შანსი მაქვს იმისი, რომ ჩემი თავი შეაძულონ. ეს სრულიადაც არ არის გამორიცხული, ოღონდაც გამორიცხული აი რაა: შევარდნაძეს იმხელა გონიერება და ნებისყოფა აქვს, არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს არასაკადრებელს. რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი თბილი, ადამიანური, გულახდილი საუბრის დროს მე მას ვუთხარი: ეჰ, ბატონო ედუარდ, ისე შეგაძულებენ ჩემს თავს... გამორიცხულია, მიპასუხა მან, ურო რომ მირტყან თავში, მე თუ ადამიანი ვირწმუნე, მის შესახებ აზრს ვერავინ შემიცვლისო... ისიც ვუთხარი, თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენი მფარველობის იმედი მაქვს. მე თქვენზე დიდი მფარველი მყავს და ხელი ავიშვირე ზემოთ, სადაც ყველა კეთილის მშველელია. ერთი წუთით არ შეყოვნდეთ, ვაიმე რა ეშველება საბრალო ვახტანგსო. როგორც კი დავრწმუნდები, ყველაფერი კარგადაა და მე, როგორც ჯარისკაცი, საჭირო აღარ ვარ, მე თვითონ მიგატოვებთ-მეთქი, ვუთხარი.

— მერედა არასდროს გიგრძნიათ, რომ გაცლა სჯობდა?

— იყო ასეთი მომენტიც. მაგრამ მაღლა ღმერთი განსჯის, მგონი სწორად მოვიქეცი, რომ არ გავიქეცი. რა თქმა უნდა, მისგან რომ ყოფილიყო ჭარაგმა, მაშინ რა გამაჩერებდა. თქვენ ალბათ რამდენიარი ლანძღვა და წყევლა მოგისმენიათ ჩემს მიმართ, მაგრამ ვინმესგან თუ გაგიგონიათ, რომ მე ბატონ ედუარდს ვემლიქვნელები, ეს იმიტომ, რომ ფსიქოლოგიური სიტუაცია არაა საამისო. მე არ მაქვს საშუალება, მცდარ აზრზე თავი დავუქნიო, ეს ისევეა, როგორც ვერ მოატყუებ მამას, ძმას, შვილს... მე ამ კაცისთვის სიცოცხლეს გავწირავ, მაგრამ ღირსებას არა. ღირსება ღმერთს ეკუთვნის და საზოგადოდ უღირსებო კაცი არც ბატონ ედუარდს უყვარს. დიდ კაცთან მეგობრობა კარგია, მაგრამ ისე არ უნდა მიეყრდნო, რომ თუ გამოგეცალა, ზღართანი მოადინო. შენ შენი საყრდენი უნდა გქონდეს. საყრდენი კი, ყველა მორწმუნემ იცის, ვინაა და სადაა.

— ბატონო ვახტანგ, თქვენი დამოკიდებულება ბატონ ედუარდისადმი გასაგებია. მაშინ ასეთი კითხვა — ადრე უფრო ფასეული იყო ის თქვენთვის, თუ ახლა?

— ახლა. მას ბევრჯერ გაუწირავს სიცოცხლე, თუმცა საბედნიეროდ, ღმერთმა არ შეიწირა. მაგრამ საქართველოში ჩამოსვლით მან სასწორზე დასდო არა მარტო სიცოცხლე, არამედ სიცოცხლეზე გაცილებით მეტი — ღირსება. თუ ვერ შეძლებს ქვეყანას უშველოს, მაშინ დაიღუპება ლეგენდები მის შესახებ.

— ბატონო ვახტანგ იმედიანად უყურებთ მომავალს?

— გულგატეხილი კაცი ღმერთს არ უყვარს. თუ იმედი არ გაქვს, არ გექონია ღმერთის იმედი.

„შეძენა ღვერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი"

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პარტიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს

ნება ღვთისა ზოგჯერ ადვილად გაცხადდება. მცირე მორწმუნეთათვისაც არ უნდა ყოფილიყო ძნელი მისახვედრი, რომ სახელმწიფოსაგან ტყეეობაში მყოფი ეკლესიის მინაელებულ წიაღში სხვაგვარი კაცი გამოჩნდა, კაცი უფლის შარავანდედით. 1977 წელს იმპერიას ნაკვთიც არ უთრთოდა, უჭირდა ამ დროს ქართველ ხალხს სულიერად, სხვათა შორის, არ უჭირდა მატერიალურად. ეცხოვრობდით ლამის წარმართებივით. ვგრძნობდით, ამგვარ ხორციელ თვითკმაყოფილებას ღმერთი დიდხანს არ გვაპატიებდა. გაურჯულოების საფრთხე იდგა. ამას გრძნობდა ყოველი მორწმუნის გული, ცნობდა თეოლოგიურ წიგნიერებას ნაზიარევი ადამიანი.

ღვთისგან სასჯელი ორგვარია: ერთია სასჯელი ვითარცა მამისა თავის საყვარელსა და ურჩ შვილზე. ეს არ არის უმსხვერპლო და საყმაწვილო წკეპლა. იგი მეტად მწარეა ბიბლიის მიხედვით, მაგრამ ამგვარი მსხვერპლი და წამება განწმენდს ხალხის ცოდვებს. ამგვარი განსაცდელისაგან ხალხი ღვთისნიერად დაბრძენებული და განახლებული სულით ბრუნდება. ღმერთმა ნუ ქნას სხვაგვარი სასჯელი, ცოდვებს რომ შენდობა არ უხერხდება. ასეთი ცოდვილი ხალხები აღიგვება პირისაგან მიწისა. ამას იმიტომ ვახსენებ, რომ ჩვენ ხშირად დაუმსახურებელ იმედს ვამყარებთ უფლის წყალობაზე, — „უფალი მაინც არ გაგვწირავსო". რატომ არ გაგვწირავს, თუ ჩვენ გავწირავთ. „ჩვენთან არს ღმერთი" — ეს ვედრებაა, მაგრამ მის აღსასრულებლად საჭიროა ჩვენ ვიყოთ ღმერთთან ტანჯული და მონანიე გულით. თუ სიღრმისეულად, სულის ძირამდე ვერ ჩავიხედავთ ჩვენს ცოდვებში, თუ ვერ მოვინანიებთ, მანამ სასჯელი არ მოგვაკლდება. აი, ამ გარდატეხის უძნელესი პროცესის წინ მოვლინდა ჩვენთან ეს ღვთით სავსე კაცი, რაც იმის რწმენას გვაძლევს, რომ სასჯელი უფლისა ჩვენზე არის მამის რისხვა თავის ქმნილ ხალხზე. ვიცით, სად მთავრდება ეკლესიის საუფლო საერო ცხოვრებასთან მიმართებაში. სასულიერო პირნი არ ერევიან ცოდვილ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენი სამწყსოს მწყემსი კეთილი ისე ჩაერია ურთულესი განსაცდელის ჟამს ჩვენს გაწამებულ ყოფაში, როგორც ჩარეულან ჩვენი ეკლესიის ისტორიული ვარსკვლავნი, ჩარეულა როგორც ადამიანურ ენებათა დამამშვიდებელი, დაპირისპირებულ ეროვნულ ძალთა შემრიგებელი და მოვლენებზე მაღლა მდგომი პიროვნება. რომ არა მისი მადლით აღსავსე ლოცვა, გაუსაძლისი იქნებოდა ის უბედურება, რაც ახლა გვჭირს.

ჩვენი ეკლესიის მწყემსი კეთილი, მისი ადამიანური სახე მუდამ გაგვახსენებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას — „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი".

უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით სულდგმულობს ძნელი პარლამენტი საქართველოისა. მწამს, თუ აქ ერთსულოვნება სუფევს, ეს მისი ლოცვა-კურთხევის ძალითაა. მისი ლოცვა-კურთხევით მფარველობს უფალი ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ყოველ უშიშარ და კეთილ საქვეყნო ნაბიჯს.

უსაზღვრო მადლიერება და ჩემი თაყვანისცემა ამ ღვთისსახება კაცს, რომელიც ხშირად მაგონებს გრიგოლ ხანთძელს. მინდა დიდხანს იყოს ამქვეყნად ეს მარადიული ქვეყნის ღვთითკურთხეული შვილი. კიდევ ერთხელ ცოდვილი გულით და უზომო სიყვარულით ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს დიდ ადაშიანს, ილია II-ს დაბადების 60 წლისთავს.

4 იანვარი, 1993 წ.

შინაარსი

ძვირფასო მკითხველო 3

ეჰ, თქორია, ნეშო მეგობარო, უფერულია, ხოლო ოქროს ხე სიცოცხლისა მუდამ მწვანეა 8

ნიგნი ენერგია 9
ტრაბახი 10
შური, ფსიქოლოგიური ეტიუდი 12
ფილოსოფოსობა და ფილოსოფიამცოდნეობა 13
რატომ არის ორიგინალობა გამოზიანებელი 15
კრიტიკა და ესთეტიკა 17
პლასტიკა სულისა და სხეულისა 23
პლასტიკურობა პოეზიაში 30
„შუშანიკის ნამების" მხატვრული სპეციფიკის ინტერპრეტაციისათვის 33
სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" აღზრდის მეთოდის შესახებ 45
ხიბლი არაკად თქმისა 50
ზნეობის ნიგნი 58
ერი უსმენს 64
ფორმა და შინაარსი პოეზიაში /ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაგალითზე/ 65
პოეზიის გრძნობადი მასალა 70
ბუნებრიეი და ინტელექტუალიზირებული ინტუიცია 85
ფორმისა და შინაარსის პოეზია 88
ქართული ეროვნული სულის დახასიათების ცდა პეგელის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრინციპით 106
სამყაროს ვაჟასეული წარმოსახვა 128
შთაგრძნობა 147
შთაგრძნობა და ესთეტიკური ღირებულება 150
შთაგრძნობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში 158
ვაჟას პოეტური პროზა 159
ანთროპომორფული წარმოსახვა ვაჟა-ფშაველას „ქუჩის" მიხედვით 164
ზეობა სულისა 171
ვაჟა-ფშაველა ეპოქის თვალით 174
ვაჟა 181
ქართული ფილოსოფიური სკოლა 185
ზოგიერთი მოსაზრება ნანარმოების ფორმისა და შინაარსის შესახებ (აკაკი წერეთლის ერთი ლექსის მაგალითზე) 194
მარილი თხრობისა 198
დიდოსტატები 201
ხასიათები 206
გრამატიკა და ცოცხალი სიტყვა 211
სიტყვა ზეპირი 219
ტარიელ ჭანტურია 50 წლისაა 222
ვაჟკაცსა გული რკინისა 226
მზე მშვიდობისა 231
ხვალ მეორე მეცადინეობაა 235

პანთეონი 237

მაგალითი პიროვნებისა პროფესორ გრიგოლ კიკნაძის დაბადების 70-ე წლისთავის გამო 238
...„რომ სიმღერით ვეუბნები“ ნოდარ დუმბაძის სხოვნას 240
ცას მიბჯენილი მზერით 242
მიხეილ ზანდუკელი 245
ნიკო მგელაძე 247
ბატონი რეზო 249
დიდი მორალური ძალა 250
გახსენება ქვეყნისთვის საჭირო კაცისა 251

არა ვიქმ ცოდნა რას გვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა 255

ანტიქრისტე 255
ჩრნობილი აპოკალიფსში (შემთხვევითობა თუ აუცილებლობა?) 261
იესო და ქართველი 268
ივერიის ღვთისმშობელი — ზღვიდან და ციდან 276
საღე და პაელე 281
ვის გაეყვეთ? 289
ხმად მღაღადებლისა... 295
ვინ არის განათლებული? 299
აპოკალიფსი 306

პროგნოზები და დიაგნოზები 319

ღია წერილი მეგობრებს 320
დიალოგი უნდა შედგეს 323

შეხვედრა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1989 წლის 16 აპრილს. 324
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სოციალისტური შრომის გმირს, ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს 327
ბედის ირონია? 331
უკომენტაროდ... მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი 335
„ძირს ერის მოღალატეთა ხროვა!“ 337
ახსნა-განმარტება 338
პერსონალური მიმართვა საბჭოთა კავშირის ქართველ სახალხო დეპუტატებს 340
მიეცით ნიჭსა 344
დიპლომი, რომელიც „თილისმად“ იქცა 348
საქმე, საქმე 353
ღია წერილი ანზორ ერქომაიშვილს 354
უნივერსიტეტში სიახლეა 357
უჩვეულო შემოდგომა 360
არ მიგეატყვებენ ჩვენი ნმინდანები 364
ილიას დროშით 368
მოგესალმებით 370
წინ — წარსულისაკენ! 372
მოელენებს თავისი სახელები ეუნოდოთ 373
პირველად რუსეთის იმპერიაში 375

ძეფისტოფელ სანაძლეო 378
საზოგადოება „სტალინის“ ნეერთა შეილებსა
და შვილიშვილებს 379
ოლღა გურამიშვილის მადლით 381
მუხლი 206 382
ძ მ ე ბ ო ! 385
„ჩვენ თუ ამ პროცესებს მხოლოდ ემოციურად შეეფასებით, დიდხანს
ვიქნებით ბნელში...“ 387
დედამინა და „ დედამინა“ 390
თქვენ სად იყავით მაშინ? 393
„სალი აზრი გადაგეარჩენს და ნაგვიყვანს ტაძრისაკენ!“ 400
გაეროში შეეედით, ახლა საით? 407
ყველაფერი არის ძლიერ ცუდად, ყველაფერი ძლიერ
კარგად არის 412
1992 წლის 10 ოქტომბრის სატელეეიზიო მიმართეა ამომრჩეელებისადმი 419
საქართეელოს ახალი პორიზონტი 423
„ამოცანა იყო და არის ნანგრეებში არ გაიჭყლიტოს
საქართეელო“ 42ც
„შექმნა ღმერთმა კაცი, თაეის ხატად შექმნა იგი“ 431

შეცდომათა ანალიზი

გვერდი	სტრიქონი	ღა	უნდა იყოს
15	ზევიდან 3	მარცვლა-მარცვლით	მარცვლა-მარცვლით
26	ქვედან 3	იქნა	იქცა
47	ზევიდან 12	პალტარტი	პალტარტი
48	ქვედან 13	უახლოვლება	უახლოვლება
49	ქვედან 4	Перелом	Перелог
50	ზევიდან 10	იდეალური	იდეალურ
50	ქვედან 10	ბუნებასა	ბუნებასა
50	ქვედან 8	მიუხედავდ	მიუხედავად
52	ზევიდან 18	წარმოადნენდა	წარმოადგენდა
58	ზევიდან 11	სამოსისაკს	სამოსისაკს
68	ზევიდან 22	შემთხვევითი	შემთხვევითი
68	ზევიდან 26	ნაწარმოებთა	ნაწარმოებთა
71	ქვედან 10	გრნობებსა	გრძნობებსა
72	ზევიდან 13	ჯრნობთ	ვგრძნობ
79	ქვედან 2	соотношени	соотношением
93	ზევიდან 16	საზღრებში	საზღვრებში
93	ქვედან 4	(ევროპელისათვის	(ევროპელისათვის)
99	ზევიდან 34	ირგვლივ	ირგვლივ
109	ზევიდან 18	ექსკურსია	ექსკურსი
115	ზევიდან 29	საერთო	საერო
129	ზევიდან 19	ანორიპიორეული	ანორიპიორეული
134	ზევიდან 25	ფაუსტის	ფაუსტს
136	ზევიდან 20	პოეტისებურობას	პოეტისებისებურობას
138	ზევიდან 22	გალეგრეული	გულეგრეული
142	ზევიდან 1	აგდოლებული	გადმოლებული
145	ზევიდან 12	переживши	переживших
150	ზევიდან 19	ბუნებასა ასროვულ მოელერებში	ბუნებასა და ასროვულ მოელერებში
157	ზევიდან 5	რემს სამდვილ ძებსა და მდუმარე ბუჩქში	რემს სამდყოფ ძებსა მდუმარე ბუჩქში
162	ზევიდან 11	ღვერთს	ღმერთს
162	ქვედან 14	განსაზიერებლად	განსაზიერებლად
165	ზევიდან 6,7	ეს ცნებები გარეგნული მსიშვნელობით ემთხვეუან, როგორც ბუნების გადმოსარება.	ეს მოელერბი გარაგნული მრიშვნელობით ემთხვეუან, როგორც ბუნების გადმოსარების მხატვრული ფაქტი.
166	ქვედან 13, 10, 4	სიმპატია	სიმპათია
170	ზევიდან 20	"ბებერი"	„ბებერი
171	ზევიდან 16	გამოტოვებელია წწ	1966-1968 წწ
179	ზევიდან 6	უშნებაა"	უშნებია„
184	ქვედან 4	უხოქილოგიის	ფსიქოლოგიის
	ქვედან 8	ქართბელოლოგის	ქართველოლოგის

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
194	ქვეიდან 8	ჭრიალი	ჭრილი
208	ქვეიდან 15	ამღლდება	მაღლდება
208	ქვეიდან 10	მეუფობას	მეუფეს
226	ზეიდან 7	იწირება კაცი?	იწირება კაცი?
226	ქვეიდან 8	არც რიცხვრაჟალი მტერი უყოყილვართ ოღესმე.	არც რიცხვრაჟალი ერი უყოყილვართ ოღესმე.
227	ზეიდან 4	ეაალერსი	ერთაღერთი
228	ქვეიდან 5	განის	გენის
232	ქვეიდან 1	სამარკვებით	გამარკვებით
239	ქვეიდან 3	სიღრმეებს სადაც შინდა	სიღრმეებს მინდა კლავ
	ქვეიდან 9	კლავ დეუბრუნლე, სი-	დეუბრუნლე, სიღრმეებს,
	ზეიდან 10	ღრმეებს, ღიოდა და	სადაც ღიოდა ღა
242	ქვეიდან 6	ელენებს	ელინებს
247	ქვეიდან 15	დამოკიდებული	დამოკიდებელი
247	ზეიდან 7	დაეშართება	დაეშართა
248	ზეიდან 18	დაკუწრლით	დაკუწრლიო
250	ზეიდან 1	ეუბნებოდლა	ეუბნებოდა
250	ქვეიდან 7	ინსტრუმენტს	ინსტიტუტს
251	ზეიდან 11	კარგზე კარგმა კარგმა კაცმა უნდა თქვას.	კარგზე კარგმა კაცმა უნდა თქვას.
252	ქვეიდან 8	ჩამოიტანეს,	ჩამოიტანე,
262	ქვეიდან 8	შეეეპაროს	შეეეპაროს
269	ზეიდან 11	კარგადაო	კარგადა
269	ზეიდან 21	ქარველ	ქართველ
287	ზეიდან 12	ყაალიობდა	ყორაღობდა
290	ქვეიდან 10	გაგკეთდა	გაკეთდა
298	ზეიდან 17	ღაილეპებით	დაიღეპებით"
316	ზეიდან 5	ღამორჩნდა	აღმორჩნდა
317	ზეიდან 3	უნად	უნდა
334	ქვეიდან 6	28 მანარი, 1989 წელი	28 იანვარი, 1989 წელი
348	ზეიდან 12	დანიშნელებანი	დანაშაულებანი
348	ზეიდან 6	რც ხალხი	ჯერც ხალხი
353	ქვეიდან 11		თანაგჯერები გ.სანაძე, მ.ჯიბლაძე
357	ზეიდან 7	მარნს	მარქსს
364	ზეიდან 7	იყორ	იყო
366	ქვეიდან 10	სახეიმწიფო	სახელმწიფო
368	ქვეიდან 19	უცხროენოვანი	უცხოენოვანი
380	ზეიდან 10	მოუარეაე	მიუართავ
402	ზეიდან 6	გათვლისწინებით	გათვალისწინებით
415	ზეიდან 6	სიმპატიები	სიმპათიები
419	ზეიდან 7	დატვრითვა	დატვირთვა
419	ქვეიდან 10	დაგაეწყება	დაგაეწყება
420	ზეიდან 4	ერთის	ერთი
424	ზეიდან 10	სართაშორისო	საერთაშორისო
425	ზეიდან 16	ჭკივან	ჩკვიან

აიწყო და მომზადდა დასაბეჭდად გამომცემლობა
„ლეგიაში“ კომპიუტერული ტექნოლოგიით

გამომცემლობის რედაქტორი რ. ჩხეიძე
ტექნიკური რედაქტორი ა. ჯაფარიშვილი
კორექტორი მ. ბურდიაშვილი

...ია სარედაქციოდან 06.10.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.03.93 საბეჭდი
1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27.25 ტირაჟი 13000
შეკვ. 423
...ასო სახელმწიფოებრიობა